




# ԳԻՆԵՄԻ

3

1984

0. 440

# სესია



321

გამოცემის ოცდახუთედი წელი

3

მარტი

1984

თბილისი

საქ. კვ. ც. ბიბლიოთეკა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-კულტიურული შუამავალი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

მთავარი რედაქტორი  
**ჯანსუღ ლვინჯილია**

სარედაქციო კოლეგია:

გივი ალხაიცივილი  
თედო ბაქიცივილი  
(მთავარი რედაქტორის  
მოადგილე)

გურამ ბაგაჟიძე  
გივი ბაგაჟიძე  
გიორგი ბუბულია  
თეიმურაზ დოიაცივილი  
მირაზ ელიოცივილი  
მიქაელ კახიძე  
ჯემალ მარგველიძე  
შოთა ნიშნიანიძე  
გურამ ფაფავიძე  
მირინ ფოცხვილი  
ნუგზარ შატაიძე

ავთანდილ ჩხიკვიციანი  
(პასუხისმგებელი მდივანი)

სოსო ცინცაძე  
გოგი წერეთელი  
ტარიელ ჭანტურია  
ბადრი შოხოელიძე  
მასა ჯოხაძე

4. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია კლინური (1984 წლის 18 თებერვალი)
6. სპაპ ცენტრალური კომიტეტის ბინარალური მღვიმის ამხანაბ კ. უ. ჩარნაქაი სიტყვა
12. სპაპ ცენტრალური კომიტეტის კოლიტატირუს წიგნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაბ ნ. ა. ტიხონოვის სიტყვა
14. სპაპ ცენტრალური კომიტეტის კოლიტატირუს წიგნის, სპაპ ცენტრალური კომიტეტის მღვიმის ამხანაბ მ. ს. გორბაჩოვის ბამოვლა
15. კონსტანტინე უსტინის ქა ჩარნაქაი
17. სპაპ ცენტრალური კომიტეტის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

მიმართება

კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს

### კოეფიციენტი და პრეზიდი

21. ჯანსუღ ჩარკვიანი — ლექსები
25. თამაზ ბიბილიანი — შვიდი ხმისა და ტორმოლასა-თვის. რომანი. გაგრძელება
84. გურამ ჯგუზაძე — ლექსები
87. ნათელა ნუშვილი — ზამთრის ღრუბლიანი ღამე. მოთხრობა
96. აკოლონ ალონი — ლექსები
99. ვაჟა ხორნაული — ლექსები
102. გურამ ნიშნიანიძე — ფოლადის ბაბირი. მოთხრობა
122. რეზა ახაიძე — ლექსები, თარგმნეს ზალთერ აბაბულმა, ელდარ კერძევაძემ, ამირან ახაიძემ

### წერილები

124. თენგიზ ჩხიძე — „სიახლე ორბის“

### ღიალოგი

146. ნინო ხოფია — ბამოცი იტალიაში

### ახალგაზრდა მწივნი „ცისკარში“

151. ნოდარ ბრიგადაცივილი — გზა ხსენისა



გეორგიული  
სტრუქტურული



სკკპ ცენტრალური კომიტეტის განერალური მდივანი  
კონსტანტინე უსტინის ძე ჩარნაქო

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი

(1984 წლის 13 თებერვალი)

1984 წლის 18 თებერვალს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს დავალებით პლენუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა აშხ. კ. უ. ჩერნენკომ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის ხსოვნას პატივი სცეს მწუხარების წუთიერი დუმილით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაცვალება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, მგზნებარე პატრიოტი, ლენინელი, მშვიდობისა და კომუნისტური მისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

პარტიული და სახელმწიფო მუშაობის უმნიშვნელოვანეს პოსტებზე, რომლებზეც იური ვლადიმერის ძე ანდროპოვს პარტია გზავნიდა, იგი მთელ ძალღონეს, ცოდნასა და უდიდეს ცხოვრებისეულ გამოცდილებას ახმარდა პარტიის პოლიტიკის განხორციელებას, მასებთან მისი კავშირის გაძლიერებას, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას.

ი. ვ. ანდროპოვი დიდ უპირატეობას უთმობდა სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ შემუშავებული ხაზის განხორციელებას, რომლის მიზანია წარმოების უოველმხრივი ინტენსიფიკაცია, მიცენიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფა, კადრების პასუხისმგებლობის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის გაძლიერება, ხალხის ცხოვრების მატერიალური და სულიერი დონის განუხრელი ზრდა.

დიდი წვლილი შეიტანა ი. ვ. ანდროპოვმა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების უოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ხალხთა სამართლიანი ბრძოლის მხარდაჭერაში. მისი ხელმძღვანელობით თანამიმდევრულად და მტკიცედ ხორციელდებოდა საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ლენინური საგარეო-პოლიტიკური კურსი — თერმოზირთ-



ვული ომის საფრთხის თავიდან აცილების, იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების ჩაშლის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების კურსს

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გლოვის დღეებში კომუნისტური მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებენ თავიანთ რიგებს პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს გარშემო, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ პარტიის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა სამძიმარი გამოუცხადეს განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს დავალებით ამ საკითხზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ა. ტიხონოვმა. მან წამოაყენა წინადადება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიონ ამხ. კ. უ. ჩერნენკო.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. კ. უ. ჩერნენკო. მან გულითადი მადლობა გადაუხადა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დიდი ნდობისათვის.

ამხ. კ. უ. ჩერნენკომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და კომუნისტურ პარტიას აღუთქვა, რომ ძალ-ღონეს, ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას არ დაიშურებს, რათა წარმატებით შესრულდეს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, უზრუნველყოფილ იქნეს მემკვიდრეობითობა იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობამ დასახა სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მშვიდობის დამკვიდრებისათვის, ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ადგანან.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.



# საპბ წმნტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის აპხანაბ კ. უ. ჩერჩენკოს სიტყვა

## ძვირფასო აპხანაბავო!

გულითად მადლობას მოვასხენებ ცენტრალური კომიტეტის წევრებს დიდი პატივისათვის — ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ჩემი არჩევისათვის. მე მთლიანად მაქვს შეგნებული უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც მეკისრება. მესმის, რა დიდმნიშვნელოვანი, რა განსაკუთრებით რთული მუშაობა მოგველის. აღვუთქვამ ცენტრალურ კომიტეტს, პარტიას, რომ მთელ ძალ-ღონეს, ცოდნას, მთელ გამოცდილებას გამოვიყენებ, რათა გავამართლო ნდობა, თქვენთან ერთად განვაგრძო ჩვენი პარტიის ის პრინციპული გზა, რომელსაც თანამიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

ორგანიზატორული ნიჭი, ნათელი შემოქმედებითი გონება, თეორიასა და პოლიტიკაში ლენინიზმის ერთგულება, ახლის მახვილი გრძობა და მასების ცოცხალი გამოცდილების აქტუალიზების უნარი, შეურიგებლობა ყოველივე იმისადმი, რაც უტყობა ჩვენი მსოფლმხედველობისა და ცხოვრების წესისათვის, ჩვენი მორალისათვის, პირადი მომხიბველობა და თავმდაბლობა — ყოველივე ამან უდიდესი ავტორიტეტი და პატივისცემა მოუპოვა იური ვლადიმერის ძეს პარტიასა და ხალხში.

პარტია მას მუშაობის ყველაზე რთულ და პასუხისაგებ უბნებს ანდობდა. განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის საუკეთესო პოლიტიკური და ადამიანური თვისებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კომპარტის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე. იგი თავს არ ზოგავდა. ცდილობდა ყოველთვის ყოფილიყო მის წინაშე დასახული ამოცანების სიმძლავრე.

იური ვლადიმერის ძემ მნიშვნელოვანი პირადი წვლილი შეიტანა თანამედროვე ეტაპზე პარტიის ყოველმხრივ აწინილ-დაწინილი და რეალისტური კურსის — განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის კურსის შემუშავებისათვის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტიბიუროს კოლექტიურ საქმიანობაში. მისი ხელმძღვანელობით გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის,

1983 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმები, რომლებიც დიდმნიშვნელოვანი ნიშნისებრები გახდა პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში. პლენუმების გადაწყვეტილებებში შემდგომი შემოქმედებითი განვითარება და დაკონკრეტება პოვა სკკპ XXVI ყრილობის პოლიტიკურმა გეზმა.

დიდ ძალასა და ენერჯიას ახმარდა ი. ვ. ანდროპოვი საბჭოთა ადამიანების აღმშენებლობითი შრომის მშვიდობიანი პირობების უზრუნველყოფისათვის, საერთაშორისო სარბიელზე სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლას.

იური ვლადიმერის ძეს კარგად ესმოდა: პარტიის ავტორიტეტის წყარო ის არის, რომ თავისი ხელმძღვანელი მდგომარეობა, თავისი საპატიო ავანგარდული როლი მან ხალხისადმი თავდადებული სამსახურით, მშრომელთა ინტერესების ზუსტად გამოხატვით, მოქმედების უტყუარი მარქსისტულ-ლენინური პროგრამით მათი შეიარაღების უნარით მოიპოვა და ამითვე განამტკიცებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სისწორეს, დროის მოთხოვნებთან და სულისკვეთებასთან მის შესაბამისობას, დამაჯერებლად ადასტურებს ის, რომ ამ პოლიტიკას მხურვალედ უჭერს მხარს მთელი ხალხი. პარტია მტკიცედ ადგას არჩეულ გზას — კომუნისტური აღმშენებლობისა და მშვიდობის გზას.

ასე იყო წინათ. ასე იქნება მუდამ! მაგრამ ჩვენ ყველას გვესმის, აპხანაბავო, რომ ამ გზით სიარულისათვის მხოლოდ სურვილი არ კმარა. უნდა შეგვეძლოს არა მარტოდ დასახოთ სწორი მიზნები, არამედ შეუპოვრად ვიღწყოღეთ კიდევ მათი მიღწევისათვის და ყოველნაირ სიძინელებს ვძლევედით. რეალისტურად უნდა ვაფასებდეთ მიღწეულს, არც ვაზვიადებდეთ და არც ვაკინებდეთ მას, მხოლოდ ასეთი მიდგომა ავგარიდებს თავიდან პოლიტიკაში შეცდომებს, იმის ცდუნებას, რომ სასურველი სინამდვილედ მოგვეჩვენოს, საშუალებას მოგვეცემს თვალნათლივ დავინახოთ, როგორც ლენინი ამბობდა, — „სახელდობრ რა „დავამთავრეთ“ და რა არ დავვიმთავრებთ“.

ხანმოკლე, გულსატკენად ხანმოკლე აღმოჩნდა ამხანაგებო, იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის შრომა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს სათავეში, ჩვენ ყველანი ვიგრძობთ უმისობას. იგი ჩვენგან წავიდა იმ დროს, როცა დიდი და დამატული მუშაობა გვაქვს გაჩაღებული იმისათვის, რომ მძლავრად დაეაჩქაროთ სახალხო მეურნეობის განვითარება, დაძლიოთ სიმუნელები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას შეექმნა 70-80-იანი წლების მიჯნაზე. მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცით, თუ როდენ ბევრი რამის გაკეთება შეძლო პარტიამ ამ მოკლე ხნის განმავლობაში, რამდენი ახალი ნაყოფიერი რამ იშვა და დამკვიდრდა პრაქტიკულად. განვაგრძოთ და კოლექტიური ძალისხმევით წინ წავწიოთ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის ხელმძღვანელობით წამოწყებული მუშაობა. — აი საუკეთესო საშუალება იმისა, რომ ჭეროვანი პარტიე მივაგოთ მის ხსოვნას, უზრუნველყოთ პოლიტიკაში მემკვიდრეობითობა.

მემკვიდრეობითობა განყენებული ცნება კი არა, ცოცხალი, რეალური საქმეა, მისი არის, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ შეუჩერებლად ვიაროთ წინ. ამ წინსვლისას უნდა ვეყრდნობოდეთ ყოველივე უკვე მიღწეულს; შემოქმედებითად ვამდიდრებდეთ მის, კომუნისტების, მუშათა კლასის, მთელი ხალხის კოლექტიურ აზრსა და ენერჯიას ვახმარდეთ გადასაწყვეტ ამოცანებს, აწყყოსა და მომავლის საკვანძო პრობლემებს, და ეს ყველა ჩვენგანს ბევრ რამეს ავალებს.

ჩვენი პარტიის ძალა მისი ერთიანობა, მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულება, იმის უნარი, რომ განავითაროს და წარმართოს მასების შემოქმედებითი აქტიურობა, იღურად და ორგანიზაციულად შეაჯავშინოს ისინი ნაციდი ლენინური პრინციპებისა და მეთოდების საფუძველზე. თქვენ იცით, ამხანაგებო, თუ რა უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ ამ ბოლო ხანს ჩვენი ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტიბიურო, იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყოფის, პარტიული ხელმძღვანელობის სტილის გაუმჯობესების საკითხებს. ერთერთი მათგანია პარტიული კომიტეტების ფუნქციებისა და სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების ამოცანების მკაფიო გამოიჭნა, მათს მუშაობაში დებლირების აღმოფხვრა. ეს დიდი, პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია. და გულახდილად უნდა ითქვას, აქ ყველაფერი ჭეროვანად არ არის მოგვარებული. ხდება ხოლმე რომ საბჭოების, სამინისტროების, საწარმოების მუშაკები ჭეროვან დამოუკიდებლობას არ იჩენენ, პარტიულ ორგანოებს აკისრებენ საკითხებს, რომლებიც თვითონ უნდა გადაწყვიტონ, სა-მეურნეო ხელმძღვანელთა მაგივრობის პრაქ-

ტიკა ხალხის უქარაგეს კადრებს უფრო მეტიც, იგი პარტიული კომიტეტის, როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორგანოს როლის შესუსტების საფრთხეს შექმნიან პარტიული კომიტეტებისათვის მეურნეობის გაძლიერება ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, ამ ადამიანების გაძლიერებას, რომლებიც მეურნეობას ხელმძღვანელობენ. ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.

ამხანაგებო თვესახვერის წინათ, ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე ჩვენ ყოველმხრივ შევაფასეთ საქმის ვითარება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხედვაში. მიღებულ დადგენილებაში საგანგებოდ აღინიშნა, რომ ახლა მთავარია შევინარჩუნოთ დაჩქარებული ტემპი, ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტის საერთო განწყობილება, განუხრელად ავამაღლოთ ეკონომიკისდმი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის დონე, უფრო აქტიურად განვავითაროთ პოზიტიური ტენდენციები, სტაბილური ხასიათი მივინიჭოთ მათ, ჩვენი უშუალო მოვალეობაა თანამიმდევრულად შევასრულოთ პლენუმის ეს დებულებანი.

მთელი ჩვენი გამოცდილება ადასტურებს: პარტიის ძალის უმნიშვნელოვანესი წყარო ყოველთვის იყო, არის და იქნება მასებთან მისი კავშირი, მილიონობით მშრომლის მოქალაქეობრივი აქტიურობა, წარმოების საქმეებისდმი, საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებისდმი მათი მზრუნველი მიდგომა. კომუნისტთა პარტიის მოვალეობაა თავის კერძს, თავის გადაწყვეტილებებს, მოქმედებას დღენიდაც ამოწმებდეს, უწინარეს ყოვლისა, მუშათა კლასის აზრის, მისი უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური და კლასობრივი გუმანის მიხედვით. ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მუდამ დიდად აფასებდა მუშაკების პირდაპირობას, მის ცხოვრებით დასაბუთებულ და ნათელ მსჯელობას. ფიზიკად ადევნებდა თვალს მის აზრს, მოვლენებისა და ადამიანების მისეულ შეფასებას, ეძებდა და პოულობდა მათში პასუხს ყველაზე საჭირობო საკითხებზე.

ყურად იღოს მუშათა წრიდან, სოციალისტური მშენებლობის წინა ხაზიდან მისული სიტყვა, ეთათბიეროდეს მშრომელ ადამიანებს — ეს დღესაც უნდა იყოს თითოეული კომუნისტი ხელმძღვანელის უპირველესი მოვალეობა, უდიდესი შინაგანი მოთხოვნილება.

შეგვეძლოს დროულად შევნიშნოთ და წავახალისოთ ხალხის ინიციატივა, თანაც, ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით — სა-მუშაო აღდგენაზე საქმისდმი ყურთითანი, შემოქმედებითი დამოკიდებულებით დაწყებული და სახელმწიფოს, საზოგადოების მართვაში აქტიური მონაწილეობით დამთავრებულ-



ლი, — ეს არის ჩვენი პროგრესის უდიდესი, შეიძლება ითქვას, უშრეტო რეზერვი. ყოველ თავის დიდ მიღწევას ჩვენი ეკონომიკა მეტ-ნაკლებად შრომითი კოლექტივების შემოქმედებით თაოსნობას. მათს საკუთარ, როგორც იტყვიან, შემხვედრ გეგმებს უნდა უმაღლოდღეს.

უდიდეს კმაყოფილებას იწვევს ქვეყნის შრომითი კოლექტივების ფართო გამოხმაურება დეკემბრის პლენუმის მოწოდებაზე — მიაღწიონ 1 პროცენტით შრომის ნაყოფიერების ზეგვემოს გადიდებას და დამატებით 0,5 პროცენტით პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. პატრიოტული აღმავლობა, ენერჯია და გერგილიანობა, რომელთათვის მშრომელებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ხელი მოჰკიდეს ამ ამოცანის გადაწყვეტას, გვისახავს რწმენას, რომ წარმატება უზრუნველყოფილი იქნება.

ვფიქრობ, ღირს ამ საკითხის განხილვა, რომ ამის შედეგად მიღებული მთელი სახსრები და რესურსები — ისინი კი საკმაოდ დიდია — მოვამართო საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, სამედიცინო მომსახურებას, ბინების მშენებლობას. ეს სავესებით შეესაბამება პარტიის კოლექტივის უმაღლეს მიზანს — ადამიანის კეთილდღეობისათვის ყოველმხრივ ზრუნვას.

საერთოდ, ამხანაგებო, როგორც ჩანს, უნდა ვფიქროთ იმაზე, რომ მშრომელთა შემოქმედებითი თაოსნობანი, ნოვატორობა უკეთ წავახალისოთ მატერიალურად და მორალურად.

საბჭოთა წყობილებას საფუძვლად უდევს სოციალური სამართლიანობა. სწორედ ეს არის მისი უდიდესი ძალა. ამიტომ აქვს ესოდენ დიდი მნიშვნელობა იმას, რომ ეს სოციალური სამართლიანობა განუხრებლად იყოს დატული ყოველდღიურ საქმეებში, იქნება ეს ხელფასი და პრემიები, ბინებისა თუ საგზურების განაწილება, დაჯილდოება — ერთი სიტყვით, რომ ყველაფერი სამართლიანად, ჩვენს საერთო საქმეში თითოეული ადამიანის შრომითი წვლილის შესაბამისად კეთდებოდეს.

აქ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს. ბევრი რამ არის დამოკიდებული თვით შრომითს კოლექტივებზე. მათ ახლა კანონმდებლობის წესით განმტკიცებული დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული. ახლა მთავარი ის

არის, რომ ეს უფლებები სრულად გამოიყენონ.

ამ ბოლო ხანს პარტიამ სოციალისტური საზოგადოების ხელმძღვანელებს ახალი გამოცდილება შეიძინა. ჩვენ უკვე ვიყენებთ ჩვენი წყობილების უბირატესობებსა და შესაძლებლობებს. მათ, რა თქმა უნდა, განეკუთვნება მასების ორგანიზებულობა და შეგნება. სწორედ ამიტომ არის, რომ დიდ ყურადღებას ეუთომბთ წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებას.

ორგანიზებულობის, წესრიგის საკითხი ჩვენთვის საკვანძო, პრინციპული საკითხია. ამის თაობაზე ორი აზრი არ შეიძლება იყოს. ყოველგვარ მოდუნებას, უპასუხისმგებლობას საზოგადოებისათვის მარტო მატერიალური ზარალი როდი მოაქვს. ისინი სერიოზულ სოციალურ, ზნეობრივ ზიანსაც გვაყენებენ. ეს კარგად გვესმის ჩვენ, კომუნისტებს, ესმის მლიანობობით საბჭოთა ადამიანს. და სავესებით კანონზომიერია, რომ ჰუმანიტარულ მთელმა ხალხმა მოიწონა შრომის, საწარმოო, სავესიმო და სახელმწიფო დისციპლინის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მიზნით პარტიის მიერ დასახული ღონისძიებანი.

ამ სფეროში ზოგი რამ უკვე გავაკეთეთ. და ვინ არ იცის, რა კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ამან საწარმოო საქმეებზე, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და საერთოდ ხალხის გუნება-განწყობილებაზე. მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, თითქოს უკვე ყველაფერი გაკეთებულიყოს. არა, ამხანაგებო, ცხოვრება გვასწავლის, რომ ამ საქმეში მოდუნება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

რაც შეეხება ჩვენი ეკონომიკის განვითარების ძირითად მიმართულებებს, ისინი ზუსტად განსაზღვრა პარტიამ. ინტენსიფიკაციამ, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დაჩქარებულმა დანერგვამ, დიდი კომპლექსური პროგრამების განხორციელებამ — ყოველივე ამან საბოლოო ანგარიშით თვისებრივად ახალ დონეზე უნდა აიყვანოს ჩვენი საზოგადოების საწარმოო ძალები.

სერიოზულ გარდაქმნას საჭიროებს ეკონომიკის მართვის სისტემა, მთელი ჩვენი სამეურნეო მექანიზმი. ამ მხრივ მუშაობა მხოლოდ დაიწყო. იგი შეიცავს საწარმოთა უფლებების გაფართოებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ფართო მასშტაბის ეკონომიკური ექსპერიმენტს. მიმდინარეობს მომსახურების სფეროში მეურნეობრიობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიება, რომელიც უქვევლია, ბევრ სასარგებლო რამეს

მოგვეცემს, დაგვეხმარება გადაწყვეტილი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პრობლემა — ავამალლოთ მთელი სახალხო მეურნეობის ეფექტიანობა.

მაგრამ, მოდით, ჩვენს თავს ვკითხოთ: ისე ხომ არ გამოდის, რომ ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი ექსპერიმენტების შედეგებს ექვსს და ამ მოლოდინით სურს შენიღბოს თავისი პასიურობა, ძველებურად მუშაობის სურვილი? რა თქმა უნდა, ეკონომიკური სტრუქტურების განახლება პასუხსაგები საქმეა. აქ ურიგო არ იქნება გვახსოვდეს ძველი ბ რძნუ-ლი ანდახა: შეიღწერა გარშემო და ერთხელ გასკერი. მაგრამ ეს სრულიადაც არ ამართლებს იმით, ვისაც საერთოდ არ სურს ანგარიში გაუქმოს შეცვლილ პირობებს, ცხოვრების ახალ მოთხოვნებს.

მეტი დამოუკიდებლობა გამოიჩინონ ყველა დონეზე, გაბედულად ეძიონ, თუ საჭიროა, გამართლებული რისკიც გასწიონ ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გულისთვის, — აი რას მოველით ჩვენი სამეურნეო კადრებისაგან.

მოგვხსენებთ, რომ შარშან სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ მთელი რიგი დიდგენილებანი შეიმუშავეს და მიიღეს ეკონომიკის განვითარების პრინციპულ საკითხებზე. ამ გადაწყვეტილებებმა პარტიულ და სამეურნეო ორგანოებს მისცა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გარკვეულ ბერკეტები.

დასახული ღონისძიებანი, მათ კი არა მართო სამეურნეო, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვთ, მხოლოდ მაშინ განხორციელდება, თუ მათი შესრულება თითოეული პარტიული ორგანიზაციის, თითოეული მუშაკის ყოველდღიური მუშაობის მთავარი შინაარსი გახდება.

დღევანდელ ამოცანებს რომ ვწყვიტოთ, ამით წინამძღვრებს ეუჭმნით მომავალში გაცილებით უფრო მაღალი მიჯნების მიღწევას. იქნებ ჩვენს ხვალისდელ დღეზე, მეთორმეტე ხუთწლედზე დეტალურად ლაპარაკი ჯერ ნაადრევად კი იყოს, მაგრამ მომავალი მუშაობის მთავარი პრობლემები, მთავარი მიმართულებანი უკვე დღეს მოჩანს.

ახალი ხუთწლელი, უწინარეს ყოვლისა, წარმოებაში ღრმად თვისებრივი ცვლილებების დასაწყისი, ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ინტენსიფიკაციის საქმეში გადაწყვეტი გარდატეხის ხუთწლელი უნდა გახდეს, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკურ-

მა ბაზამ და მართვის სისტემამ ახალი, უფრო მაღალი თვისებები უნდა შეიძინოს.


ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს ახალი იმას, რომ უზრუნველყოთ საბჭოთა-საქართველოების ეკონომიკური, სოციალური და სულიერი პროგრესის სულ უფრო მეტი ურთიერთკავშირი. ეკონომიკას ვერ ავიყვანთ თვისებრივად ახალ დონეზე, თუ არ შევქმენით ამისათვის საჭირო სოციალური და იდეოლოგიური წინამძღვრები. ასევე შეუძლებელია სოციალისტური შენგების განვითარების მომწიფებელი პრობლემების გადაჭრა, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მტკიცე საძირკველს თუ არ დავეყრდენით.

ახალი სამყაროს შენება ნიშნავს დაუცხრომლად ვზრუნვადეთ ახალი სამყაროს აღამიანის ჩამოყალიბებისათვის, მისი იდეურ-ზნეობრივი ზრდისათვის, როგორც მოგვხსენებთ, სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილა იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხები ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმში. მისი მითითებების შესაბამისად პარტია ეცდება ეს მუშაობა მთლიანად შეესაბამებოდეს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის დიდი და რთული ამოცანების ხასიათს.

გავიზროთ ეს ამოცანები კომპლექსურად, დავსახოთ მათი გადაწყვეტის ზუსტი გრძელვადიანი სტრატეგია, წარმოვაჩინოთ კომუნისტურ პერსპექტივასთან ჩვენი მიმდინარე საქმეების კავშირი — აი რა უნდა მოგვეცეს პარტიული პროგრამის ახალმა რედაქციამ. მის მომხალებას ცენტრალური კომიტეტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების გეგმების შემუშავებისას არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ მსოფლიოში შექმნილი ვითარება. იგი კი, როგორც მოგვხსენებთ, რთული და დაძაბულია. მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ამ პრობლემის პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სწორი კურსი საგარეო პოლიტიკის დარგში.

მტკიცე მშვიდობის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმისათვის ბრძოლა მუდამ იყო იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის ყურადღების ცენტრში. მისი ხელმძღვანელობით ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ და ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანოებმა ჩამოაყალიბეს აქტიური საგარეო პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ამ კეთილშობილურ პრინციპებს, პოლიტიკა, რომლის მიზანია თავიდან



აპილოს კაცობრიობას მსოფლიო ბირთვეული ომის საფრთხე. მშვიდობის ეს ლენინური პოლიტიკა, რომლის ძირითადი ნიშნები თანამედროვე ისტორიულ ეტაპზე განსაზღვრეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უკანასკნელი ყრილობების გადაწყვეტილებებმა, შეესაბამება საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს, არსებითად კი მსოფლიოს სხვა ხალხთა ინტერესებსაც. ჩვენ მტკიცედ ვაცხადებთ: ამ პოლიტიკას არც ერთი ნაბიჯით არ გადავუხვევთ.

სავსებით ცხადია, ამხანაგებო, რომ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დიდი იქნება მსოფლიო ასპარეზზე სოციალისტური ქვეყნების გავლენა, რამდენად აქტიური, მიზანწრაფული და შეთანხმებული იქნება მათი მოქმედება. ჩვენი ქვეყნები უარესად დაინტერესებული არიან მშვიდობით. ამ მიზნის მოსაღწევად ვეცდებით გავაფართოოთ თანამშრომლობა ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან. ყოველმხრივ ვეფთხაობთ და ვდღრმავებთ რა შეკავშირებასა და თანამშრომლობას სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან — ყველა სფეროში, რა თქმა უნდა, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან სფეროშიც, როგორც ეკონომიკა — ამით დიდი წვლილი შეგვაქვს ხალხთა მშვიდობის, პროგრესისა და უშიშროების საქმეში.

ჩვენ მიემართავთ მოძმე ქვეყნებს და ვამბობთ: საბჭოთა კავშირის სახით თქვენ კვლავაც გვეყოლება საიმედო მეგობარი და ერთგული მოკავშირე.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ბურჯი იყო და იქნება სოლიდარობა იმ ხალხებთან, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური დამოკიდებულების უღელი და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგინეს; და განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, ხალხებთან, რომლებიც იგერიებენ იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური ხელის ჩაღრმავებისა და ომის ხანძრების უაღრესად საშიშ კერებს ქმნის მსოფლიოს ხან ერთ, ხან მეორე რაიონში. იყო ხალხთა სამართლიანი საქმის მომხრე, იღწვოდენ ასეთი კერების მოსაპოვისათვის — ეს დღესაც ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლის საჭირო და დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა. ჩვენი პარტიის პრინციპული პოზიცია ამ საკითხებში ნათელი, წმინდა და კეთილშობილურია, და ჩვენ მას განუხრებლად დავიცავთ. ახლა, რაც შეეხება კაპიტალისტურ ქვეყ-

ნებთან ურთიერთობას. დიდმა ლენინმა გვიანდერმა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი. ჩვენ მუდამ ერთგულ ვართ ამ პრინციპისა. ახლა, ბირთვეული იარაღისა და უზუსტესი რაკეტების საუკუნეში, იგი განსაკუთრებით სწირდება ხალხებს. სამწუხაროდ, კაპიტალისტური ქვეყნების ზოგიერთ ხელმძღვანელს, როგორც ყველაფერიდან ჩანს, ნათლად არ ესმის ეს, ან არ სურს ესმოდეს.

ჩვენ კარგად ვხედავთ, რა საფრთხეს უქმნის დღეს კაცობრიობას იმპერიალიზმის აგრესიული ძალების უგუნური ავანტიურისტული მოქმედება — და ამას საქვეყნოდ ვამბობთ, რათა მთელი დედამიწის ხალხთა ყურადღება მივაპყროთ ამ საფრთხეს. ჩვენ არ გვეირღება სამხედრო უპირატესობა, არ ვაპირებთ სხვებს ვუკარანახოთ ჩვენი ნება. მაგრამ მიღწეული სამხედრო თანასწორობის დარღვევის უფლებას არავის მივცემთ. და დაე, ყველამ კარგად იცოდეს: ჩვენ კვლავაც ვიზრუნებთ იმისათვის, რომ განვაშტეტოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, რომ გვექონდეს საქმარისი საშუალებანი, რომელთა მეშვეობით შეიძლება დავაცხროთ ომის მოტრფიალე თავფიცები ავანტიურისტები. ეს, ამხანაგებო, მშვიდობის შენარჩუნების მეტად არსებითი წინამძღვარია.

საბჭოთა კავშირს, როგორც დიდ სოციალისტურ სახელმწიფოს, მთლიანად აქვს შეგნებული ხალხთა წინაშე თავისი პასუხისმგებლობა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ჩვენ მზად ვართ ყველა კონტინენტის სახელმწიფოებთან მშვიდობიანი, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის ჩვენ გვსურს სერიოზული, თანასწორუფლებიანი კონსტრუქციული მოლაპარაკების გზით — მშვიდობიანად გადაწყვიტოთ ყველა სადავო საერთაშორისო პრობლემა. სსრ კავშირი მხარში ამოუდგება ყველა სახელმწიფოს, რომლებიც მზად არიან პრაქტიკული საქმეებით შეუწყონ ხელი საერთაშორისო დამაბულობის შენელებას, მსოფლიოში ნდობის ატმოსფეროს შექმნას; სხვანაირად რომ ვთქვათ, იმათ, ვინც ნამდვილად წარმართავს საქმეს არა ომის მომზადებისათვის, არამედ მშვიდობის საფუძვლების განმტკიცებისათვის. და ჩვენი აზრით, საამისოდ სრულად უნდა გამოვიყენოთ ყველა არსებული ბერკეტი, მათ შორის, რა თქმა უნდა ისეთი, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც სწორედ მშვიდობის

შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით შეიქმნა.

ამხანაგებო, ჩვენ, საბჭოთა კომუნისტებს გულწრფელად გვხანარებს, რომ კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლისა და პროგრესისათვის ბრძოლაში მხარდამხარ მივაბიჭებთ მილიონობით კლასობრივ ძმებთან, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მრავალრიცხოვან რაზმებთან ერთად, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპის მუდამ ერთგულნი, მხურვალე სიმბათითა და ღრმა პატივისცემით ვეკიდებით ჩვენი საზღვარგარეთელი ამხანაგების ბრძოლას მშრომელთა ინტერესებისა და უფლებებისათვის და ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ყოველნაირად განვამტკიცებდეთ მათთან კავშირს.

აი, რა მიწოდდა მეტევა დღეს საერთაშორისო საქმეებში ჩვენი პარტიის გეზის შესახებ. და დარწმუნებული ვართ, რომ მას სულთა და გულით მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი.

ამხანაგებო!

მთელ თავიანთ მიღწევებს საბჭოთა ადამიანები განუხრებლად უკავშირებენ პარტიის საქმიანობას. მასების უსაზღვროდ ერთგული პარტია მასების სრული ნდობით სარგებლობს.

ეს-ეს არის პარტიულ ორგანიზაციებში დამთავრდა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია. მან კვლავ გვიჩვენა კომუნისტთა შეგნებისა და აქტიურობის მაღალი დონე. ხელმძღვანელ პოსტებზე არჩეული არიან ავტორიტეტიანი, გამოცდილი, მტკიცე ადამიანები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები. თქვენ, ამხანაგებო, გვინდა განსაკუთრებით მოგმართოთ. ცენტრალურმა კომიტეტმა კარგად იცის, რაოდენ ფართოა თქვენი მოვალეობების, თქვენი საზრუნავის წრე. იცის, თუ რა ბევრი რამ არის თქვენზე დამოკიდებული ჩვენი მიმდინარე, უახლოესი და სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტაში. ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბურო დარწმუნებულია, რომ ყველაფერს იღონებთ, რათა უზრუნველყოთ სამრე-

წველო წარმოების ზრდის სტაბილური ტემპი, სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულება, მასების შრომითი აქტიურობის განვითარება, იმ ღონისძიებათა რეალიზაცია, რომელთა მიზანია ხალხის კეთილდღეობის განმტკიცება და ამით პარტიის ავანგარდული როლის გაძლიერება.

ჩვენს პარტიაში ყოველგვარი არჩევითი პოსტი პასუხსაგები ყოვლია. პარტიულ კომიტეტში არჩევა უნდა მივიჩნიოთ თავისებური ნდობის კრედიტად, რომელსაც პარტიის წევრები თავიანთ ამხანაგებს აძლევენ. და ეს ნდობა თავდადებული შრომით უნდა გააუმართლოთ. ასეთია განვლილი კრებებისა და კონფერენციების მონაწილეთა განაწილება. ახლა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ, ამ მომენტზე განაწილდა პარტია გადასცემს იმ კომუნისტებსაც, რომლებიც ბიუტატობის კანდიდატებად არიან დასახელებული და შევლენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

საბჭოთა კომუნისტების დაუშრეტელი ძალა მათი რიგების შეკავშირება. ეს ძალა სრულად ვლინდება მაშინ, როცა როგორც ლენინი ამბობს, „ჩვენ ყველანი, პარტიის წევრნი, ვმოქმედებთ, როგორც ერთი კაცი“. სწორედ ასე ერთსულოვნად შეკავშირებულად მოქმედებს სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტი, მისი ხელმძღვანელი ბიუტეტი — ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბურო, ეს საშუალებას გვაძლევს ვივლიდეთ შემოწმებულ, ყოველმხრივ აწონ-დაწონილ გადაწყვეტილებებს, რომლებიც განამტკიცებენ მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის კავშირს, საბჭოეთის ხალხთა ძმურ მეგობრობას.

ნამდვილად პარტიული, საქმიანი და შემოქმედებითი ატმოსფერო, რომლის შექმნასაც ამდენი ძალ-ღონე მოახმარა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის უცილობელი პირობა იყო და იქნება. ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის შემდგომი ზრდის, ჩვენ წინაშე დასახული კომუნისტური აღმშენებლობის დიდი და რთული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საწინააღმდეგობარი.

# სსკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ნებრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის აპხანაზ ნ. ა. ტიხონოვიის სიტყვა

## ძვირფასო აპხანაზი!

კომუნისტურმა პარტიამ, ჩვენმა ხალხმა, მსოფლიო კომუნისტურმა და მუშათა მოძრაობამ დიდი დანაჯღისი განიცადეს. აღარ არის იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი — ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, მშვიდობისა და კომუნისმისათვის დუცხრომელი მებრძოლი.

მოკლე ვადის, წელიწადზე ცოტა მეტი ხნის მანძილზე ხელმძღვანელობდა იური ვლადიმერის ძე ცენტრალური კომიტეტს. მაგრამ ამ დროის განმავლობაში ძალზე ბევრი რამ მოასწრო. პარტიამ, რომელიც განუხრელად მისდევდა და შემოქმედებდა ამიღირებდა XXVI ყრილობის კურსს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით უზრუნველყო ქვეყნის მტკიცე წინსვლა ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ყველა მიმართულებით.

მრავალმხრივი იყო იური ვლადიმერის ძის მოღვაწეობა პასუხსაგებ პოსტებზე, რომლებსაც პარტია ანდობდა, იგი მთელ ძალ-ღონესა და ცოდნას ახმარდა ხალხის ინტერესების სამსახურს.

თითოეულ ჩვენგანს კარგად ახსოვს იური ვლადიმერის ძის ღრმამინაარსიანი გამოხვედრები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და მომდევნო პლენუმებზე, გამოხვედრები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია სოციალიზმის უპირატესობათა რეალიზაციის, კომუნისტური მშენებლობის აქტუალური პრობლემათა გადაჭრის მკაფიო პროგრამა.

იგი მარჯვედ და ენერგიულად წარმართავდა ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს საქმიანობას, რათა დაერაზმა კომუნისტები, ყველა მშრომელი ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისათვის, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფისათვის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის.

იური ვლადიმერის ძე მუდამ ეყრდნობდა

კოლექტიურ გამოცდილებას, ზუსტად უღებდა ალღოს საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნები და დიდ პირად წვლილს შეტრება პარტიის მუშაობას საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების გადიდებისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

იგი განუხრელად იბრძოდა პარტიის მშვიდობისმოყვარული საგარეო-პოლიტიკური კურსის — თერმოზორთველი ომის საფრთხის აღკვეთის, იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების მტკიცე მოგერიების კურსის თანამიმდევრული რეალიზაციისათვის.

ყველანი ღრმად განვიცდით დიდ უბედურებას, რომელიც ჩვენს პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს ეწვია, მაგრამ ლენინელ კომუნისტთა ვალია, კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ, განამტკიცეს პარტიისა და ხალხის ერთიანობა.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმში მთელი ჩვენი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფს პარტიის ურყევ მისწრაფებას — კვლავაც მტკიცედ და თანამიმდევრულად იაროს სწორი ლენინური კურსით.

განუხრელად და მიზანდასახულად განხორცილება გეზი, რომელიც შეიმუშავეს სკკპ ისტორიულმა XXVI ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებზე, გეზი, რომლის მიზანია უზრუნველყოფით წარმოების ინტენსიფიკაცია, ავამაღლოთ ეკონომიკის ეფექტიანობა, დაეაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, განავხორციელოთ სასურსათო პროგრამა, კიდევ უფრო სრულად დაეკავშიროს საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

პარტია კვლავაც განამტკიცებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ურდევ კავშირს, ჩვენი სამშობლოს ხალხთა მჭიდრო მეგობრობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია

და საბჭოთა სახელმწიფო მუდამ უერთგულ-  
ლებენ ყველა ქვეყნის ხალხთა შორის მშვი-  
დობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის  
იდეალებს, სოციალური პროგრესის იდეა-  
ლებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

პოლიტიურმა განიხილა სკკ ცენტრალუ-  
რი კომიტეტის გენერალური მდივნის საკი-  
თხი და ერთსულოვნად დამავალა პლენუმს  
შემოთავაზო ავიჩიოთ ჩვენი პარტიის ცენ-  
ტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად  
ამხანაგი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო.

კონსტანტინე უსტინის ძემ დიდი ცხოვრე-  
ბისეული სკოლა გამოიარა. მან იცის ძნელი  
გულჯაკუბური და ჭარისკაცური სამახურცი,  
ხელის რაიკომის ყოველდღიური მუშაო-  
ბაც.

იგი მრავალი წლის მანძილზე მეთაურობდა  
პარტიული მუშაობის პასუხსაგებ უნებებს  
კრასნოიარსკის, პენზის, მულდავეთის პარ-  
ტიულ ორგანიზაციებში, სკკ ცენტრალური  
კომიტეტის აპარატში.

სადაც უნდა ემუშავა კონსტანტინე უსტი-  
ნის ძეს, იგი ყველგან იჩენდა თავს მასების  
ნიჭიერ ორგანიზატორად, მარქსისტულ-ლენ-  
ინური იდეების მგზნებარე პროპაგანდის-  
ტად, ჩვენი დიადი პარტიის პოლიტიკის გან-  
ხორციელებისათვის ურყევ მებრძოლად.

კომუნისტები, საბჭოთა ადამიანები კონს-  
ტანტინე უსტინის ძეს კარგად იცნობენ რო-  
გორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა  
სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, ლენინ-  
ური ტიპის ისეთ ხელმძღვანელთა ერთგულ  
თანამესაგარეს, როგორებიც იყვნენ ლეონიდ  
ილას ძე ბრეჟნევი და იური ვლადიმერის ძე  
ანდროპოვი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროსა  
და სამდივნოში მუშაობისას კონსტანტინე  
უსტინის ძემ ბევრი რამ იღონა პარტიული  
და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ლენინ-  
ური სტილის განვითარება-დამკვიდრებისა-  
თვის, რომელსაც ახასიათებს საზოგადოებრი-  
ვი განვითარების საკვანძო საკითხთა ღრმა გა-  
გება, რეალისტური მიდგომა მიღწეულისა თუ  
გადასაწყვეტი პრობლემების შეფასებისადმი,  
მალაი მომთხოვნელობა კადრების მიმართ  
და ამასთანავე კეთილმოსურნე დამოკიდე-  
ბულება მათდამი, მშრომელთა ინიციატივასა  
და გამოცდილებაზე დაყრდნობა.

კონსტანტინე უსტინის ძე გამოირჩევა უნა-  
რით ფრთა შეასხას ადამიანებს თავისი ენერ-  
გიით, ნებისმიერი საქმისადმი ნვატორული

დამოკიდებულებით, შეაკავშიროს ამხანაგები  
ერთსულოვანი კოლექტიური მუშაობისა-  
თვის.

მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ  
მუდმივი მოთხოვნელობა იქონიოს მასების  
კლესალი ურთიერთობა, მისი ყურადღება  
ყოველი ადამიანის ბედისადმი — იქნება ეს  
ნიჭიერი ჭეციერი თუ წარჩინებული მეტა-  
ლურგი, ჭარისკაცის დედა თუ ახალგაზრდა  
მწერალი.

კონსტანტინე უსტინის ძეს თვალსაჩინო  
როლი ეკუთვნის განვითარებული სოცია-  
ლისტური საზოგადოების სრულყოფის მნი-  
შეწველოვანი თეორიული პრობლემების  
დამუშავებაში, ხანგრძლივი პერსპექტივი-  
სათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარ-  
ტიის იდეოლოგიური საქმიანობის ერთიანი  
კონცეფციის შექმნაში.

კონსტანტინე უსტინის ძე უაღრესად აქტი-  
ურად მონაწილეობს ჩვენი მშვიდობისმოყვა-  
რული საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ  
მიმართულებათა ჩამოყალიბებაში, საბჭოთა  
კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანო-  
ბაში საერთაშორისო კომუნისტური და მუ-  
შათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავში-  
რების განსამტკიცებლად.

ჩვენმა სამხედრო მუშაკებმა იციან, თუ  
რაოდენ ბევრს მუშაობს კონსტანტინე უსტი-  
ნის ძე საკითხებზე, რომლებიც დაკავშირე-  
ბულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმ-  
ტკიცებასთან, შეიარაღებული ძალების თანა-  
მედროვე ტექნიკით აღჭურვასთან, არმიისა და  
ფლოტის პირადი შემადგენლობის იდეურ  
წრთობასთან.

პოლიტიბიუროს სწამს, რომ კონსტანტინე  
უსტინის ძე ჩერნენკო სკკ ცენტრალური კო-  
მიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე  
ღირსეულად გაუძღვება ჩვენი პარტიის მებრ-  
ძოლ შტაბს.

კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს,  
რომლებიც მჭიდროდ არიან შეკავშირებულ-  
ნი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და  
მისი ხელმძღვანელი ბირთვის გარშემო,  
ხელთ აქვთ ზუსტი და მკაფიო სამოქმედო  
პროგრამა, რომელიც პარტიის XXVI ყრილო-  
ბამ, სკკ ცენტრალური კომიტეტის მომდევ-  
ნო პლენუმებმა შეიმუშავეს, ოპტიმიზმით  
შეპყურებენ მომავალს და მტკიცედ აქვთ გა-  
დაწყვეტილი თავდადებული შრომით უზრუნ-  
ველყონ ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომი  
აყვავება.

# სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ნებრის, სკპ ცენტრალური კომიტეტის პლიპნის ამხანაბ მ. ს. გორბაჩოვის გაოსკლა

ამხანაგებო! ვამთავრებთ ჩვენი ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმს, რომელიც პარტიისა და ხალხის ცხოვრების პასუხსაგებ მომენტში შეიკრიბა. პლენუმმა ერთიანობისა და დარაზმულობის ვითარებაში ჩაიარა. პლენუმზე პარტიისა და ხალხის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით გადაწყდა ხელმძღვანელობის მემკვიდრეობითობის საკითხები.

პლენუმმა ცხადყო, რომ პარტია კვლავაც გაპყვება ლენინურ კურსს, რომელიც შეიმუშავეს სკპ XXVI ყრილობამ, ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის, 1983 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმებმა. ამის აშკარა დადასტურება იყო ამხანაგ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ერთსულოვანი არჩევა სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე,

პარტიისა და სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკისა და საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის პრობლემებზე იმ დებულებებისა და დასკვნების სრული მხარდაჭერა, რომლებიც გამოთქმულია მის გამოსვლაში სკპ ცენტრალური კომიტეტის დღევანდელ პლენუმზე.

ნება მიბოძეთ პოლიტიბიუროს სახელით გამოვთქვა რწმენა, რომ ცენტრალური კომიტეტის წევრები, პლენუმის ყველა მონაწილე, დაბრუნდებიან რა ადგილებზე, პარტიულ ორგანიზაციებში იმოქმედებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმისათვის დამახასიათებელი ერთიანობისა და დარაზმულობის, მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

გისურვებთ წარმატებებს მუშაობაში.  
პლენუმი დახურულად ცხადდება.

## კონსტანტინე უსტინის ქ ჩერნენკო

**კონსტანტინე უსტინის ქ ჩერნენკო**  
დაიბადა 1911 წლის 24 სექტემბერს კრასნო-  
იარსკის მხარის ნოვოსელოვოს რაიონის სო-  
ფელ ბოლშაია ტესში, რუსია.

1931 წლიდან არის სკაპ წევრი. განათლე-  
ბა უმაღლესი — დამთავრა პედაგოგიური  
ინსტიტუტი და სკაპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტ-  
თან არსებული პარტორგანიზატორთა უმაღ-  
ლესი სკოლა.

შრომითი ცხოვრება კ. უ. ჩერნენკომ ადრეუ-  
ლი ასაკიდან დაიწყო, როცა მოჯამაგირედ  
მუშაობდა კულაკებთან. მთელი მისი შემდგო-  
მი შრომითი საქმიანობა დაკავშირებულია  
ხელმძღვანელ მუშაობასთან კომკავშირულ,  
შემდეგ კი პარტიულ ორგანოებში. 1929-1930  
წლებში კ. უ. ჩერნენკო იყო სრულიად საკა-  
შირო ალკკ კრასნოიარსკის მხარის ნოვოსე-  
ლოვოს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტა-  
ციის განყოფილების გამგე. 1930 წელს მო-  
ხალისედ წავიდა წითელ არმიასი. 1933 წლა-  
მდე მსახურობდა სასახლვრო ჯარებში, იყო  
სასახლვრო საგუშაგოს პარტიული ორგანიზა-  
ციის მდივანი.

ჯარში სამსახურის დამთავრების შემდეგ  
კ. უ. ჩერნენკო მუშაობდა კრასნოიარსკის  
მხარეში: პარტიის ნოვოსელოვოსა და უიარის  
რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის გან-  
ყოფილების გამგედ, კრასნოიარსკის მხარის  
პარტიული განათლების სახლის დირექტო-  
რად, პარტიის კრასნოიარსკის სამხარეო კო-  
მიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყო-  
ფილების გამგის მოადგილედ, პარტიის სამხა-  
რეო კომიტეტის მდივანად.

1943 წლიდან კ. უ. ჩერნენკო სწავლობს  
სკაპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ  
პარტორგანიზატორთა უმაღლეს სკოლაში. სწა-  
ვლის დამთავრების შემდეგ 1945 წლიდან მუ-  
შაობს პარტიის პენზის საოლქო კომიტეტის  
მდივანად. 1948 წელს გაგზავნეს მოლდავეთის

სს რესპუბლიკაში და დაამტკიცეს მოლდავე-  
თის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის  
პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების  
გამგედ. ამ თანამდებობაზე მუშაობისას მან  
დიდი ძალ-ღონე და ცოდნა მოახმარა რეს-  
პუბლიკაში ეკონომიკური და კულტურულ  
მშენებლობას, მშრომელთა კომუნისტურ აღ-  
ზრდას.

1956 წელს კ. უ. ჩერნენკო დააწინაურეს  
სკაპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში სა-  
მუშაოდ, სადაც იგი სათავეში ჩაუდგა სექ-  
ტორს პროპაგანდის განყოფილებაში, და ამა-  
ვე დროს დაამტკიცეს ჟურნალ „აგიტატორის“  
სარედაქციო კოლეგიის წევრად. 1960 წლი-  
დან იგი მუშაობს სსრ კავშირის უმაღლესი  
საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსად.  
1965 წელს კ. უ. ჩერნენკო დაამტკიცეს სკაპ  
ცენტრალური კომიტეტის საერთო განყო-  
ფილების გამგედ. 1966-1971 წლებში იგი  
სკაპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კან-  
დიდატია. პარტიის XXIV ყრილობაზე (1971  
წლის მარტი) მას ირჩევენ სკაპ ცენტრალური  
კომიტეტის წევრად, ხოლო 1976 წლის მარტ-  
ში პარტიის XXV ყრილობის შემდეგ გამარ-  
თულ სკაპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმ-  
ზე — სკაპ ცენტრალური კომიტეტის მდივანად.

1977 წლიდან იგი პოლიტბიუროს წევრო-  
ბის კანდიდატია, ხოლო 1978 წლიდან — სკაპ  
ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წე-  
რი. იგი სსრ კავშირის მე-7 — 10 მოწვევის  
უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ მე-10  
მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. კ. უ.  
ჩერნენკო იყო საბჭოთა დელეგაციის წევრი  
ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის  
საერთაშორისო თათბირზე (ჰელსინკი, 1975  
წელი). მონაწილეობდა ვენაში განიარაღების  
საკითხებისადმი მიძღვნილ მოლაპარაკებაში  
(1979 წელი).

კონსტანტინე უსტინის ქე ჩერნენკო კომუ-



ნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეა. ყველა პოსტზე, რომელიც კი პარტიას მიუძღვია მისთვის, იგი ავლენდა დიდ ორგანიზატორულ ნიჭს, პარტიულ პრინციპულობას, ლენინის დიადი საქმის, კომუნიზმის იდეალების ერთგულებას. კ. უ. ჩერნენკო საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში პარტიის ხელმძღვანელი როლის გაზრდის, პარტიული და სახელმწიფო მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი სამეცნიერო შრომების ავტორია. სკკ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე კ. უ. ჩერნენკომ გააკეთა

მოხსენება, რომელშიც განსაზღვრულია დანამდროვე პირობებში სკკ იდეოლოგიური საქმიანობის გაუმჯობესების მთავარი მიზანობები.

სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ორგზის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და დაჯილდოებულია სამი ლენინის ორდენით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენით, საბჭოთა კავშირის ბევრი მედლით. იგი ლენინური პრემიის ლაურეატია.

კ. უ. ჩერნენკო დაჯილდოებულია სოციალისტური ქვეყნების უმაღლესი დაჯილდოებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის,  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის,  
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

**მ ი მ ა რ თ ვ ა**  
კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა ლენინური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის დაუცხრომელი მებრძოლი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

მისი სიცოცხლე პარტიისა და ხალხის ინტერესების, ლენინის დიადი საქმის თავდადებული სამსახურის ნიმუშია. ყველა პოსტზე, სადაც კი პარტიის ნებით შრომობდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი, იგი თავის ძალ-ღონეს, ცოდნას, უდიდეს ცხოვრებისეულ გამოცდილებას ახმარდა პარტიის პოლიტიკის განუხრეველ განხორციელებას, კომუნისტური იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლას. დიდი პოლიტიკური ხელმძღვანელის თვისებები მკაფიოდ გამოვლინდა ი. ვ. ანდროპოვის მთელ მრავალმხრივ საქმიანობაში — კომკავშირულ სამუშაოებზე და კარელიაში დიდი სამამულო ომის წლების მანძილზე პარტიულ-ხანულო მოძრაობის ორგანიზაციაში, პარტიული და დიპლომატიური მოღვაწეობის პასუხსაგებ უბნებზე. დიდი შრომა გასწია მან ჩვენს სახელმწიფოს უშიშროების განსამტკიცებლად.

ამხანაგ ანდროპოვის — ლენინური ტიპის ხელმძღვანელის უდიდესი ნიჭი და ორგანიზატორული ტალანტი მთელი ძალით გამოვლინდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე მუშაობისას.

სანმოკლე იყო ი. ვ. ანდროპოვის მოღვაწეობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მეთაურად. მაგრამ ამ დროის მანძილზე პარტიამ, რომელიც XXVI ყრილობის კურსს ადგას და შემოქმედებითად ავითარებს მას, უზრუნველყო ქვეყნის მტკიცე წინსვლა ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ყველა მიმართულებით.


პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში, მათი ურდვევი ერთიანობის განმტკიცებაში დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვებები გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის, 1983 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმები. პლენუმების გადაწყვეტილებებში, ი. ვ. ანდროპოვის გამოვლენებში განვითა-



ქართული  
ენების  
სწავლის  
სამეცნიერო  
ცენტრი



იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი



რებული და დაკონკრეტებული იყო პარტიის თანამედროვე სტრატეგია — მომწიფებული სოციალიზმის სრულყოფის სტრატეგია.

ამ პერიოდში პარტიისა და ხალხის ძალისხმევა ხმარდებოდა ეკონომიკის განვითარების დაჩქარებას, სახალხო მეურნეობის მართვის გაუმჯობესებას, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, კადრების პასუხისმგებლობის ამაღლებას, მასების შემოქმედებითი აქტიურობის განვითარებას.

პარტიის ღონისძიებანი ექვემდებარება ერთ მიზანს — საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდას. ყოველივე ამაში დიდია იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის დამსახურება.

მნიშვნელოვანია ი. ვ. ანდროპოვის წვლილი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ყოველმხრივ თანამშრომლობის განვითარებაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ხალხთა ბრძოლის მხარდაჭერაში.

მისი ხელმძღვანელობით სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა სახელმწიფო თანამიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებდნენ საერთაშორისო ასპარეზზე ლენინურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს — თერმოზირთვული ომის საფრთხის აღკვეთის, იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების უკუგდების, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების კურსს.

ამ მწუხარების დღეებში კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს გარშემო. საბჭოთა კავშირის მშრომელებს კომუნისტური პარტია მიაჩნიათ თავიანთ ნაცად, კოლექტიურ ბელადად, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომელიც ხალხის საარსებო ინტერესებს გამოხატავს. პარტიის ლენინური კურსი ურყევია. პარტია აღჭურვილია სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ შემუშავებული მოქმედების ნათელი და მკაფიო პროგრამით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც მტკიცედ და მიზანმიმართულად განახორციელებს წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ორგანიზებულობისა და დისციპლინის გაძლიერების, ხალხის ცხოვრების მატერიალური და სულიერი დონის განუხრელი ამაღლების გეზს. იგი განამტკიცებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ურდვევ კავშირს, სსრ კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობას, განავითარებს სოციალისტურ დემოკრატიას, აღზრდის ადამიანებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, კომუნისმის დიადი იდეალების ერთგულების სულისკვეთებით.

ახლანდელ რთულ, საშიშად გამწვავებულ საერთაშორისო ვითარებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა სახელმწიფოს თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიაჩნიათ თანამიმდევრულად დაიცვან მშვიდობის საქმე, გამოიჩინონ მტკიცე ნებისყოფა და სიფხილღე, გადაჭრით ჩაშალონ იმპერიალიზმის ავანტიურისტული ზრახვები, განამტკიცონ ქვეყნის თავდაცვითი ძლიერება.

საბჭოთა ხალხი იმის მტკიცე მოწინააღმდეგეა, რომ სადავო საერთაშორისო საკითხები ძალის მეოხებით გადაწყდეს. უომო მსოფლიო ჩვენი იდეალია. მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩვენთან ერთად არიან მომხმარებელი სოციალისტური ქვეყნები. კომუნისტური და მუშათა პარტიები, ერთგულნი და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლნი, ხალხის ფართო მასები, რომლებიც თერმოზიტული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის იღვწიან.

ჩვენი პარტია და სახელმწიფო კვლავაც მტკიცედ და განუხრელად განახორციელებენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს. ჩვენ გვსურს მშვიდობით ვიცხოვროთ ყველა ქვეყანასთან, აქტიურად ვითანამშრომლოთ იმ მთავრობებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც მზად არიან პათიოსნად და კონსტრუქციულად იმუშაონ მშვიდობის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა ხალხმა მტკიცედ იცის: პარტია, ცენტრალური კომიტეტი, მისი ხელმძღვანელი ბირთვი ლენინური დროშის, დიდი ოქტომბრის საქმის ურყევად ერთგულნი არიან. პარტია დიდად აფასებს ხალხის ნდობას და თავისი საქმიანობის უმაღლეს მიზნად მიაჩნია ზრუნვა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის. პარტიისა და ხალხის ერთიანობა იყო, არის და იქნება ჩვენი ძლიერების წყარო.

კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის ხსოვნაში იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის ყოველთვის დარჩება როგორც მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრების უსაზღვროდ ერთგული, პრინციპული და თავმდაბალი, მშრომელ ადამიანებთან დაახლოებული, მათი საჭიროებებისა და საზრუნავისადმი გულისხმიერი ადამიანი, რომელსაც უნარი შესწევდა ყველაფერი სოციალისტური სამშობლოს ინტერესებისათვის დაეჭვებებარებინა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი ახალი ძალით გამოიჩინენ თავიანთ კლასობრივ შეგნებასა და ორგანიზებულობას, თავიანთ მაღალ კოლექტივისტურ თვისებებს, მიზანდასახული, თავდადებული შრომით უზრუნველყოფენ სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას, ჩვენი დიდი სამშობლოს შემდგომ აყვავებას.





## ჯანსუღ ჩარკვიანი

### კობტი

გესმის?! ყვილი,  
 სისხლისფერი  
 დაჭრილ მამლისა,  
 ჩაჩეხილ ხევში  
 გელოდება  
 ხროვა ძაღლების,  
 მაგრამ, მგოსანო,  
 მჭდომარე ხარ  
 მარჯენით მამისა  
 და ვიცი, ზეცით  
 რომ ამალღდები.

### აი, დავბრუნდი

აი, დავბრუნდი,  
 აღარც გრიგალი,  
 აღარც სერობა,  
 აღარც ლოდინი...  
 თუმც ძველებურად  
 ველარ გიგალობ,  
 ვარ ხელგაშლილი  
 მაინც ლორღვიით.

მთავარი არის  
 შენ რას მიპირებ,  
 მთავარი არის  
 ახლა რას მეტყვი,  
 ძველი ფიალა  
 გამიპიპინე  
 იმ ძველი შხამით  
 მე რომ გასმევედი.

ისევე ბრწყინავს  
 თვალი ბეჭედში,  
 დაგეშილი მაქვს  
 თვალი არწივის,  
 ოდნავ მოხრილი  
 წელში, ბეჭებში,  
 თამამი, როგორც  
 მთვრალი ყმაწვილი.

გამიპიპინე  
 ძველი ფიალა,  
 შემოდგომაა  
 კარგო, ზამთრამდე,  
 ხარ ჩემი ტანჯვა,  
 ჩემი ტრფიალი  
 და შენი ხელით  
 უნდა გავთავდე.



ვისაც პატივი ეცა,  
თავი ჩასთვალა ღირსად,  
ხოლო უღირსი ვიღრენს,  
გიყვეს და გლანძღავს ერთობ,

პირველი, უმადური,  
არამომღები ხმისა, **ეროვნული**  
რით განსხვავდება, **მინუსი**  
მეორესაგან, ღმერთო?

**ჰოპორტის გადასახვევთან**

ჰოპორტის გადასახვევთან  
შემოვხვდი ორფეხ სახედარს,  
ვითომ ვერ ვიცან, გამხნევედა,  
ვიცან თუ არა, გახევედა.

მე ქვეით ჩავიქირქილე, უნებ  
იმან ირიბად გამხედა.  
ერთი ისეთი გავხედე,  
მხრებს ვუტყალაშუნე სახრედა,  
ჰოპორტის გადასახვევთან  
თავი ეგონა ახმეტას.

ისევ ვერ ვიცან, ამღერდა,  
ხმაც მიუგავდა სახედარს,

**მავრის მოტივი**

ოთარ მეღვინეთუხუცესს

აი, კახების თვალისიერი,  
ქვევით თხები და  
ზევით ვირთხები,  
გთხოვთ გამომხედოთ, ფარისეველნო,  
მე ვიფურთხები,  
მე ვი-ფურ-თხე-ბი...

**ნაფოტივით კაცი**

თავს იწონებს ძველი საყელოთი,  
სულ პატარა სიხარული ყოფნის,  
გამიღიმებს ისე, როგორც ლოთი,  
ანდა, როგორც სულით ავადმყოფი.

ძლივს მიარხევს  
ძვლებს ხორცისგან დაცლილს,  
მშიერია, მაინც მაძლარია...  
ვინ არის და ნაფოტივით კაცი,  
ერთი ძველი ხუროთმოძღვარია.

**საზინელი ხასიათი, ანუ არაქული დედამიწა**

იფერფლება ძველისძველი  
ოცნება და ფიქრი,  
ფიქრიც აღარ შეიძლება  
ამ სამშობლოს იქით.

დალუპული ბიჭებიდან  
გავიხსენებ ორ-სამს,  
ორს ვიხსენებ ვისაც მინდა,  
ერთს, უნალდეს მგოსანს.

დაფნა ისე იყიდება,  
ვით ნამდვილი დაფნა,  
ეშმაკები ხითხითებენ,  
დაგრეხილნი ცხრაფად;

ვარ ბავშვობის ანაბარა  
გაფრენილი ფრანით,  
ვის, ნეტავი, დავაბრალო,  
როცა მე მაქვს ბრალი.

### ცხიერი

ვისია და ამათი,  
ვისია და იმათი,  
თვალი ქამელეონის  
და ღიმილი კრეტინის.  
აქვს მარადი წყვილიადი,  
აქვს ცბიერი სიფათი,  
მაისის ფიჭასავით  
შუბლი აქვს დასვრეტილი.

გაფრანგდა და გასომხდა,  
გაქართველდა, გარუსდა,  
უთხრეს გაჩიკორდიო —  
გაჩიკორდა ზურიალით,  
თუ საკუთარ ილეთზე  
ვინმეს ფეხი დაუსხლტდა,  
იმ დღეს, გავიხარია —  
გაუთენდა მზიანი.

ვისია და იმათი,  
ვისია და ამათი,  
და გლეხური სალათის  
ფერი დაჰკრავს ლოყებზე,  
პირი რომ გაეხრწნება  
მსუბუქი მასლაათით,  
სწორედ მაშინ გთავაზობს  
სიტყვას კაიმოყმეზე.

ვისია და ამათი,  
ვისია და იმათი,  
თვალი ქამელეონის  
და ღიმილი კრეტინის,  
აქვს მარადი წყვილიადი,  
აქვს ცბიერი სიფათი  
მაისის ფიჭასავით  
შუბლი აქვს დასვრეტილი.

### ზღაპარი

იყო ზღვისა დედოფალი,  
ჰქონდა ერთი მზითვი,  
დედოფალმა შემოთვალა —  
მზითვად მაქვსო ზვირთი.  
ვინც იმ ზვირთის ადგილს ნახავს  
ქმრობას შემომითვლის,  
ვინც შეცდება, მარჯვენა ხელს  
ხანჯლით ჩამოითლის.

არავინაც არ ისურვა  
მოენახა ზვირთი,  
იქეთ, დედოფალი სტირის,  
აქეთ, მისი მზითვი...  
ახლა ვილას რაში უნდა  
ზღაპარი და მითი.

დამესიზმრები ლანდივით,  
დამესიზმრები ჩუმი,  
ირმის ძუძუთი გაზრდილი,  
მინდვრის ყვავილის სუნით.

რა სიხარულიც შემომრჩა,  
შენი ლაქვარდის ხათრით.

სულს სინანული შებოჰავს,  
ბნელში დაგეძებ სანთლით,

იქნებ კიდევაც დაბერდი,  
აღარც გახსოვარ იქნებ...  
ღრუბლის პატარა ნაფლეთი,  
წვიმის წყლით მივსებს ჰიქებს.



## მორის

ღმერთი და ღმერთივით კაცები,  
სად და ვის ყვარებია, მორის,  
ღმერთის და ღმერთივით კაცების,  
შიში აქვთ უპირველესყოვლის.



## პერსპექტივა

(ირონია)

დახატა ყანა,  
მზისფერი ყანა,  
თავჩაქინდრული, ცისფერ წვიმაში,  
— შორით რომ მოსჩანს, ველია განა?  
— არა, ყანაა პერსპექტივაში.

— ამ ყანას ალბათ, სჭირდება მორწყვა,  
ხშირად თუ არა, ერთხელ კვირაში,  
— არა, ბატონო, შეხედეთ კონცხთან,  
არხი ჩავუთქვი, პერსპექტივაში.

ის კი, ყვითელი, მწვანე ველია,  
მაგრამ გადაღის ფერი თივაში,  
გვერდით ადგილი ცარიელია,  
ბრიგადას ვხატავ, პერსპექტივაში.

მთბველ კაცებში, ჩემის ფიქრითა  
შერჩეული მყავს ქართლის ტიპაჲი.  
ეჰე, შორს, მზისკენ, თვით მზის იქითაც  
ცვლებს იქნევენ პერსპექტივაში.

— უცებ, ნახატში მანქანაც გაჩნდა,  
ჩაჯდა მხატვარი ყვითელ ნივაში,  
მე რომ მეგონა, „ნივაში“ ჩაჯდა,  
თურმე „ვოლგაა“ პერსპექტივაში.

ამ პერსპექტივეებს ბოლო არ უჩანს,  
მკლავს ხვალინდელი წიგნის ტირაჟიც.  
პერსპექტივაში სახლი და ქუჩა,  
ლექსებს ვკითხულობ პერსპექტივაში.

## მომთხე ნატარება

საცხე მაქვს ხორბალი,  
ქერი და შვრია,  
ღვინო მაქვს ჭურისა,  
წყალი მაქვს კოდის,

სიმართლე მწყურია,  
სიმართლე მშია,  
უფალო, მაუწყე,  
გავსძლები როდის.

## ტირილის ფასი

ჩუმად ვტიროდი  
და ისე ჩემთვის,  
რომ საუბარი  
მესმოდა ღმერთის.

იყო მწუხრი და  
არ იყო შველა,  
ვით სახარობელა  
ხე იდგა ველად.

ველობზე ქარი  
დაჰქროდა ეშხით,  
თმაგაწეწილი  
ქარს ვგავდი შეშლილს.

ცრემლებით საცხე  
ხელთ მეპყრა თასი —  
ღმერთმა თუ იცის  
ტირილის ფასი.

## თამაზ ბიბილური

# შვიდი ხმისა და ტორელასათვის

რომანი

თავი მეორე

შოკინის ბალადა

მთელი ამბავი, თავიდან ბოლომდე, იმგვარად მოხდა, თითქოს ყველაფერი წინასწარ იყო ცაში დაწერილი და ელისოს აღარაფერი დარჩენოდა, იმის გარდა, რომ დაწერილი პირნათლად შეესრულებინა და კეთილსინდისიერად გაჰყოლოდა იმ როლს, რომელიც ისე მიაკუთვნეს, არცა ჰკითხეს. არაფერი დაუშავებია! ამბავი თავისი გზით მიდიოდა. მიდიოდა კი არა, მიაჭენებდა და ელისო სულის მოთქმასაც ვერ ახერხებდა. ამბავი თითქოს ფაფარაშლილ ულაყს ჰგავდა. ელისოს ბედი ვილაცას ამ ულაყისათვის მიენდო და მერე თავი დაენებებინა, ახლა რაც გინდა, ისა ჰქენიო. ულაყი მიაჭენებდა, ელისოს გადმობტომა უნდოდა, ყვირილი და მოხმობა მშველელისა, მაგრამ ვერავის უხმობდა. ბოლოს დამორჩილდა, ბედისწერას მიენდო და ყველაფერი ერთბაშად დასრულდა. გოგო ტრიალ მინდორზე დარჩა. ულაყი სადღაც გამჭრალიყო, ტყისთვის შეეფარებინა თავი თუ მდინარის გაღმა გასულიყო. გარშემო აღარავინ ჩანდა და გაოგნე-

ბულმა გოგომ არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა, ან რა ელოდა, აგვისტოს ცხელი ჰვატი განციდის და გადატანილს შანთივით ამოუწვავდა თუ ზეციდან წამოსული წვიმა ცოდვებისაგან განზანდა და წუთით მაინც დაავიწყებდა იმას, რაც მოხდა.

მანამდე ყველაფერი მარტივად და უბრალოდ მიდიოდა. ერთფეროვანი დღეები ცვლიდნენ ერთმანეთს და ოციოდე წლის გოგოს ცხოვრებაში არაფერი ხდებოდა იმგვარი, რაც აფიქრებინებდა, რომ რაღაცა შეიცვლებოდა და ოდნავ მაინც გადაიხსნებოდა ფარდა იმ სარკმლისა, რომლის იქითაც გოგოს მიერ ფიქრში და ოცნებაში დახატული ცხოვრება კრთოდა. ნეტა არ ყოფილიყო ის ცხოვრება, ის ოცნებები, მირაყივით რომ ჩნდებოდა და ქრებოდა. ელისომ უკვე კარგად იცოდა: ის შეთხზული ცხოვრება იყო, რომანებსა და ლექსებში ამოკითხული, მუსიკით განცილილი, კინოეკრანსა და სცენის ფიციარნაგზე წარმოსახული, რომელიც მართალიც იყო და არც იყო მართალი, რადგან თავად ელისოს, უკვე ოცი წლის გოგოს, არასოდეს განეცადა იმგ-

ვარი რამ, რასაც იმ რომანებისა თუ ფილმების გოგოები განიცდიდნენ. არასოდეს გამოსცხადებია ის, ვინც უკვე დრო იყო, რომ გამოცხადებულიყო... ლოდინით კი როგორ ელოდა! ხან სარკეში იყურებოდა და ბუნებას ემდურებოდა, მახინჯი ვარო. ხან თავის თავს კიცხავდა, ყველას დანახვავ ავიბეჭებდი, კუთხეში მივიკუთხებდი და ვიდრე ვინმე შემნიშნავდეს, სხვა ეწევა თავის ბედსო. ხან კი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ის სხვა ცხოვრება დიხანც შეთხზული იყო, არ არსებობდა და მხოლოდ იმიტომ შეეთხზათ, რომ ნამდვილი ცხოვრება რაიმეთი შეეგსოთ, გაემდიდრებინათ და ადამიანებისათვის ეთქვათ, ცხოვრება მართლა უღიმღამო კი არ არის, გარშემო ყველაფერია, სიყვარულიც და სიკეთეც, ბედნიერებაც და ოცნების ახდენაც, შენ მარტო დაიჭერე და კარვად დაინახეო.


მაინც ლექსებმა დამლუბაო, — გულში უღიმღამოდ ეცინებოდა გოგოს, როცა ის დღე ახსენდებოდა, პირველი შეხვედრის დღე. იმ დღეს ელისო წყალზე მიდიოდა. ხელში კოკა ეჭირა და ფიქრში წასული სწორედ იმ წუთში არ ელოდა არაფერს. „ის“ კი იმ წუთში გამოეცხადა! და პირველად იქაც სიტყვა იყო, სიტყვამ ვადაახვდა გოგო გზიდან, ვიდრე თავად „მას“ დაინახავდა. „თებრონე მიდის წყალზედა, კოკა უდგია მხარზედა...“

ეს ახლა ესმის ყურში რალაც ვაცვეთილად და ვადაპრანქულად, ახლა, როცა ყველაფერი უკვე დასრულდა და ელისოს შეუძლია თქვას, სხვა მეტი რალა უნდა მოხდესო, მაშინ კი ეს სიტყვები გოგოს წარმოსახვაში სხივით გამოკრთა და როცა მიიხედა, ამ სიტყვების მოქმელიც იქ იდგა. ასეთი რამ ელისოს მართლაც მხოლოდ კინოფილმში ან თეატრში ენახა, რომანში წაეკითხა ან ლექსით განეცადა. „ის“ იდგა ვადიმებული! თითქოს უცებ მიანათეს პროექტორის თვალისმოპკრელი სხივი! ამ სხივმა ყველაფერი ნათლით შემოსა და ელისომაც თავის თავს

ნეტარებით უთხრა: „ის მოვიდა!“ არა „ის გამოცხადდა!“

ელისოს წინ ბიჭი ედგა, ნათლით მოსილი ბიჭი!

მანამდე კი ბიჭზე ელისომ იმაზე მეტი არაფერი იცოდა, რა სიკეთეც თავად დაუფიქრებლად მიაწერა და რისთვისაც, ვარდა ბიჭის გარეგნობისა, არა მიზეზი არ ჰქონდა... არც ის იცოდა, ვინ იყო, რად ჩამოსულიყო, წიგნის კაცი იყო თუ საქმისა. რა ქნას, ჩაქოლეთ თუ გინდათ და პირველ ხანებში ისიც არ იცოდა, რა ერქვა და თავადვე არქმევდა ათასგვარ კეთილხმოვან სახელს, რომელთაგან ბოლოს არც ერთი არ გამართლდა. ბიჭის იერი, გამონედვა, თვალები, ტუჩები თუ ყველაფერი, რასაც შორიდან ხედავდა, გოგოს ფიქრით სულ სხვა სახელს ითხოვდა. ეს იყო პირველი გაოცება და პირველი შიში იმის გამო, რომ საკუთარ ფიქრებში წარმოდგენილი სულაც არ დაემთხვა ნამდვილს. სად ის სახელები, ელისო რომ ფიქრსა და ალერსში არქმევდა და სად ნამდვილი, რომელიც, რალაცის გამო, არაფერს ამბობდა, რომლიდანაც მხოლოდ სიცარიელე მოდიოდა. დაახ, მხოლოდ ელისოს შერქმეული სახელი შეჰფეროდა ამ ვადაახვად ჯინსებში გამოკრულ შეგვერემან ბიჭს და მით უფრო მის თვალებს, საიდანაც, ელისოს ფიქრით, მხოლოდ სიკეთე და ალერსი გამოკრთოდა და საიდანაც იბადებოდნენ ის სხვა, კეთილხმოვანი სახელები, რომლებიც მოგონილი და არარსებულნი კი იყვნენ, მაგრამ ვერა და ვერ დაჩრდილა ნამდვილმა სახელმა. ამიტომ, გოგომ თავის ფიქრში ყველა სახელს, ნამდვილსაც და მოგონილსაც, ტაბუ დაადო და, მარტო მე ვიცოდე და დედამიწის ზურგზე სხვამ არაფერო, „ის ბიჭი“ დაარქვა. ელისოს „ის ბიჭი“ უყვარდა, რომელიც ვილაცა სულაც არ იყო, რადგან მასზე (გოგოს ასე ეგონა) უკლებლივ ყველაფერი იცოდა. ამის მერე, ანუ ბიჭის „გამოცხადების“ წუთიდან ყველაფერი მართლაც იმგვარად დატრიალდა, თით-



ქოს ელისო რალაც შეთხზულის პერსონაჟი იყო და თავად მართლა აღარაფერი ეკითხებოდა, გარდა უსიტყვო მორჩილებისა. ეს აშინებდა და თანაც სიამოვნებას ჰგვრიდა. იყო რალაც იღუმალი მთელ ამ ამბავში, რალაც უჩვეულო და მანამდე მხოლოდ ფიქრში განცდილი.

ის დღეც ცხადად ახსოვს, ანუ მთელი სურათი იმ დღისა, როცა ყველაფერი მოხდა, როცა სიზმარი დასრულდა და სინამდვილე ცხადი გახდა. ისიც კი ახსოვს, მზე როგორ აცხუნებდა შუადღისას და როგორ ვარვარებდა დასალიერთან. ახსოვს ის მოხუცები — ბერიკაცი და დედაკაცი, ლობიოს რომ კრეფდნენ ფერდობზე და ერთმანეთს ბავშვებივით უფრთხილდებოდნენ. ახსოვს ის ათიოდე წლის ბიჭი, ფეხშიშველა რომ დარბოდა, დიდება რომ ეძახდა ვენახიდან, ის კი, თითქოს მწვეარივით აიღო გეშიო, მიინცდამაინც იმ ბუჩქების შორიახლოს დარბოდა და ჯოხს იმ ბარდებს უჩიჩინებდა, სადაც ყველაფერი მოხდა, სადაც დარჩა წარსული და სამომავლოდ მხოლოდ გაურკვეველი სიცარიელე შემოეფეთა. სწორედ ამ ათიოდე წლის ბალღზე თქვა „იმ ბიჭმა“ — ეხლავე მოვკლავ და ხრამში გადავავდებო, — როცა ბალღი იმათ ბუჩქნარს არადა არა მოეშვა, არადა არ დაუჯერა დიდედას ძახილს... „ის ბიჭი“ კი დაძაბული ელოდა ბალღის გაუჩინარებას, რადგან ეტყობა, მაშინ უნდა დაწყებულყო ყველაზე მთავარი, რასაც გოგო შიშით ელოდა, ბიჭი კი მღელვარებითა და მოუთოკავი წადილით.

— მოვკლავ მაგისი... — ამბობდა ის ბიჭი და ელისო მკლავზე ებლაუჭებოდა, რადგან ამ წუთში ამ ბიჭის თვალეგში მართლა გამჭრალიყო სიკეთე და იმგვარი გაუგებარი ბოროტება იდგა, რომ პირველად მაშინ შეეშინდა გოგოს და გაიფიქრა, ამას მართლა შეუძლია ამ ბიჭის მოკლაო.

მაგრამ იმ ბალღზე უფრო მაინც ის ბებრები ახსოვს და, კაცმა რომ თქვას,

ახლა, როცა ამბავს შორიდან ხედავს და უკვე ათასჯერაც აწონა მტანჯველი ფიქრით, ლამის ყველაფერი იმათ და აბრალოს. ხო, ბებრები ბალღებივით უფრთხილდებოდნენ ერთმანეთს და იმ ფერდობიდან, სადაც ლობიოს კრეფდნენ, იმგვარი შუქი მოდიოდა სიკეთისა და ნდობისა, რომ იმ წუთში გოგო ვერაფრით დაიჯერებდა, რომ მთელი დედამიწა ამგვარი ფერდობებით არ იყო დასეძილი, ამგვარი ბებრები არ იდგნენ და ლობიოს არ კრეფდნენ, ამგვარად არ იჩრდილავდნენ სახეს და ერთმანეთს არ ეკითხებოდნენ, აღარ ჩადის ეს მზეო? ის ბებრებიც, გოგოს ფიქრში, სხვა სამყაროდან მოსულებს დაემგავსნენ. „წიგნის ბებრებს“ დავემსგავსნენ და რალაც სხვა, ცხოვრებისაგან ამალღებული შუქი დაჰკარავდათ. და გოგო ამანაც შეუცნობელი სიამაყით აღავსო: ყველაფერი თითქოს ლამაზ ზღაპარში ხდებოდა.

„გამოცხადების“ დღემდე კი გოგო ღრმად იყო დარწმუნებული, რომ „ის ბიჭი“ ვერასოდეს შენიშნავდა, თავად კი პირველ დღესვე შენიშნა. ბიჭი ქალაქიდან სოფელში დამპყრობლის იერით ჩამოსულიყო და მთელი ქვეყანა თავისი ეგონა. ელისო შეხედვასაც ვერ ბედავდა. მარტო მაშინ, როცა ბიჭის მთელი ყურადღება რალაცისკენ იყო მიპყრობილი, ელისო გაჩერდებოდა, მოიხედავდა და თავს ნებას მისცემდა ბიჭი თავით ფეხამდე დაემახსოვრებინა, რათა ღამეულ ფიქრებში მხოლოდ თავისთანა დაერჩინა ეს ქვეყნიერებას მოდებული ბიჭი...

ამის მერე მოხდა ის „გამოცხადება!“ ორი დღის მერე კი ისევ იმ ადგილზე დახვდა „ის ბიჭი“.

- რად მიყურებ ხოლმე?
- როდის გიყურებ?
- ტყუილი რა საჭიროა?

რა დასამალია, მართლა ტყუილში დაიჭირეს და ელისო შინისკენ შეშინებული გაიქცა.

**თამაზ ზივილიანი**  
 ზვილი ხმისა და ტოროლასათვის

მაშინ „იმ ბიჭმა“ მიიძახა:

— ნუ გეშინია, არავის ვეტყვი.

ეს იმგვარად იყო ნათქვამი, რომ გოგო ისევ ნდობით გაჩერდა და დაუცადა.

— ვის უნდა ვუთხრა? ქვეყანა ფეხებზე მკილია...

ხო, არც ეს ნათქვამი შეშვენოდა იმ ბიჭს, რომელიც გოგოს ფიქრში იყო დახატული, მაგრამ იმ წუთში ესეც აპატია. აპატია კი არა, სულ სხვაგვარად, როგორც თვითონ უნდოდა, ისე გაიგო. „ქვეყანა ფეხებზე მკილია“ გოგოს თვალში იმას ნიშნავდა, შენა ხარ ყველაფერი, ქვეყანა რას მიჭეია, როცა შენ გელაპარაკებო, და კიდევ რა აღარა, რამაც „ის ბიჭი“ უფრო მეტი იღუმალებით და გამოუცნობი შარავანდელით შემოსა.

ის საუბარი იმით დამთავრდა, რომ ბიჭმა, ბინდისთვის სოფლის ბოლოში, კაკალთან დაიბარა გოგო, მაგრამ ელისომ იქვე, პატონსად უთხრა, ტყუილად არ მელოდო, მე იქ მომსვლელი არა ვარო.

— მე დაგიციდი და... — თქვა ბიჭმა და პასუხისათვის აღარ მოუცდია, ორობეში გადაუხვია.

ელისო დაბინდებას ისე ელოდა, როგორც განკითხვის დღეს, დღეს კი არა, ღამეს, თუმცა თავის თავს მტკიცედ უბრძანა, იმ კაკალთან მისვლა გულშიც არ გაივლო. მაგრამ ისიც იცოდა, ერთ წუთში შეიძლებოდა მთელი ეს მტკიცე გადაწყვეტილება ნაცარტუტად ქცეულიყო და ისე შესცოდებოდა კაკალთან ამაოდ მდგარი, გოგოს მოლოდინით გულგალეული ბიჭი, რომ სირბილით მისულიყო, მუხლებში ჩავარდნოდა და პატიება ეთხოვა.

თუ ეს მოხდებოდა, ამიერიდან ელისო იმ ბიჭის მონა გახდებოდა.

ჯერ ბინდი კი არა და არ დგებოდა. დედა ბაღჩაში მუშაობდა და თან იწყევლებოდა, მარტო ეგრე, ზეზეულად ძილი შევიძლია, მარტო გარინდებაში წასვლა... მოუსავლეთშიც წასულხარ, შენი ხელიდან საქმე არ გამოვაო. ნეტავ ის მაინც მაცოდინა, რაზე გიშტე-

რდება ეგ თვალები, რომ ამოგჩიქნენ და ნათელი აღარ გაღირსო, მოდი, მართლა მივეხმარები დედაჩემს და ეს დაწყევლილი დრო უფრო გვიან, რაცაქრა გოგომ და ბაღჩაში გადავიდა. მაგრამ როგორც კი პამიდვრებში შეერია და დედის ახლოს გაჩნდა, შეშინებული ისევ უკან გამობრუნდა: დედის შიშით „იმაზე“ ველარ იფიქრებდა, უფიქრელობა კი არ შეეძლო. თან იმისი უფრო შეეშინდა, დედაჩემმა ყველაფერი უთქმელადაც არ გამოიცნოსო. ეგონა, ალბათ დაფარვას გადავეჩვიე, ალბათ ყველაფერი შუბლზე მაწერია, რაკი იმ ბიჭმაც უტყუვრად ამოიკითხა ყველაფერი და პირადაპირ მითხრაო.

უკან გაბრუნებულ გოგოს წყევლა მიპყვა, მერე წყევლა იმ გამოცდვლებს მისწვდა, ვინც იმ გოგოს არ დაუწერა ფრიალი. დღედაღამ წიგნებში რომ ითხრის თვალებს და ლექსებსაც კი იგონებს. მერე წყევლა საბჭოს თავმჯდომარეზე გადავიდა, გოგოს ფოსტაში, წერილების დამხარისხებლის ადგილზეც კი უარი რომ უთხრა, თავისი მოგვარის შვილი მიაღებინა და იმასაც კი ათასი მანეთი გამოართვა. მერე წყევლა მთელ ქვეყნიერებას გადასწვდა, იმ ქვეყნიერებას, ლალად და არხეინად, ორსართულიან სახლებში და ბორბლებზე შეყენებულ „ქიგულებში“ რომ ცხოვრობდა და მარტო ამ ერთი ბეწო ეზო-კარისათვის ვერ გაემეტებინა ღმერთს პატარა სიკეთე. ბოლოს კი წყევლა ისევ ქმრით დასრულდა, ოჯახი რომ ფეხებზე ეკიდა, ამ გოგოს გზაზე დასაყენებლად ერთი წლის მოსავალი ვერ გაემეტებინა და მარტო ან მუშტზე იყურებოდა, ან იმაზე ფიქრობდა, სად გამოვთვრე, რომ ამქვეყნისა აღარაფერი გავიგოო. მე შენ გეტყვი და, კარგი ღვინო კიდევ დარჩა ქვეყანაზე! — კიოდა ქალი და თან ბაზარში წასაღებ პამიდვრებს ალაგებდა კალათებში... გოგოს კი არაფერი ესმოდა. სმენით კი ესმოდა, მაგრამ ახლა მისთვის სულ ერთი იყო,

რას იტყოდა დედა, ვის დასწყევლიდა და ვის დააბრალებდა, რომ თავადაც არ ედგათ ორსართულიანი სახლი, ეზოში არ შემოულიოდათ „უიგული“ და წყეულმა ინსტიტუტმაც კარი მიინცდამაინც ამ გოგოს გამოუხურა, რომელიც დღე და ღამე ლექსებით ფიქრობდა, ლექსად თხზავდა თავის ცხოვრებას და არც კი აინტერესებდა ამ მატყუარა ლექსებს იქით თუ იყო რამე.


ღამე კი არა და არ მოდიოდა, თუმცა დაღამება მაინცდამაინც არც უნდა სდომოდა, რადგან თავის თავს მტკიცედ უთხრა, მე იმ კაკალთან მიმსვლელი არა ვარ და გინდ მალე დაღამდეს, გინდ გვიან, ეს მზემ იცოდეს და მთვარემო, რადგან სწორედ იმ დროს, ბიჭმა რომ დაუთქვა, კაკლების კენწეროებს გადაღმიდან მთვარე უნდა ამობრძანებულყო. მაგრამ ამ ფიქრში, ამ გარინდებულ, მოთენთილ მოლოდინში ისიც ვერ შენიშნა, როგორ გადაფარებოდა ღრუბლები მზეს და ისიც ვერ გაიგო, როდის შემოიპარა სოფელში ბინდი. ახლა ბიჭიც ჩემზე ფიქრობს და დაღამებას ელოდებო, — გაიფიქრა ელისომ და ეს ისეთი საამო ფიქრი იყო, მარტო ამისთვის ღირდა ამქვეყნად მოსვლა, მარტო ამის გამო მოჩანდა აზარაობად ისიც კი, რომ რაღაც ინსტიტუტმა გოგოს კარი მოუხურა და თითქოს ამით უთხრა, დაემშვიდობე შენს ოცნებებს და დედაშენს პამიდვრის მოკრეფაში მოეხმარე, ხვალ დილით ბაზარზე, თქვენი პამიდვრის სხვებისას უნდა სჯობდესო.

ყველაზე მტანჯველი მაინცის წუთები გამოდგა, როცა გოგომ გაიფიქრა, ახლა სწორედ ის დროა, ბიჭი რომ კაკალთან მივიდა და ფრთხილად მიიხედ-მოიხედა, ვინმე უცხო ხომ არა ჩანსო, მერე ჩამოჯდა და ლოდინი დამიწყო. მტანჯველიც და სასიამოვნოც, რადგან გოგომ ამ წუთებში საბოლოოდ იფიქრა, ვძლიე და გავიმარჯვეო. „ის ბიჭი“ იქა ზის, მე ველოდებო, მე, და

სხვას არავის დედამიწის ზურგზე, მე კი აქა ვარ და წასვლასაც არ ვაპირებო... და რომ თავისი თავი დაეღრმუნებინა, მართლა არ ვაპირებ წასვლასო, შინ შევიდა, ხახალი გამოიტანა და წინა დლით მოკრეფილ გამხმარ ლობიოს დარჩევა დაუწყო. დედას უკვე მოემთავრებინა პამიდვრის კრეფა, ყუთებშიც ჩაელაგებინა და ახლა სოფელში შოფრის საძებნელად გასულიყო, ვინც დილაზე გამოუვლიდა და უთენია ბაზარში წაიყვანდა, რადგან, დედის რწმენით, ბაზარი უთენია იწყებოდა და თუ ბაზარში გამარჯვება გინდოდა, ყველაფერი შენით ან შენ თვალწინ უნდა დაწყებულყო. გოგო მარტო იყო და იმგვარი შვებით არჩევდა ლობიოს, თითქოს ხსნას მხოლოდ მისგან ელოდა, ამ წითელი, დარჩეული მარცვლებისაგან, რომელთაც თავისი ცხოვრება უკვე მოემთავრებინათ, გაღივებულყოვნენ, ამოწვერილიყვნენ, მზის გულზე ეცხოვრათ და ბოლოს, გამხმარსა და ფერმიხდილებს, საბოლოო სასუფეველად ეს პატარა პარკი ეპოვათ, ასე ადვილად გასარჩევი და ქარს გასატანებელი. ამ პატარა მარცვლებს არც თვალი ჰქონდათ და არც ყური, რომ გოგოს ჩასძიებოდნენ, გინდა თუ არა, გვითხარი, რაზე ფიქრობ, რად გავიწყდება ჩვენი არსებობა, ხელებს ცახცახით რად ურევ ხახალშიო, დედა კი, ვისაც შეეძლო ეს დაენახა და ეკითხა კიდევ, საბედნიეროდ, შოფრის საძებნელად გასულიყო, ბაზარში წასაყოლი შოფრისა.

ელისომ იცოდა, რომ დედა შოფრისაც ადვილად იპოვიდა და სწორედ იმ შოფერს, ვისაც მუდამ პოულობდა და ვისაც ელისომ ცოლობაზე უარი სწორედ დედის პირით შეუთვალა. „შოფრობით მიწუნებს“, — თქვა მამინ შოფერმა, რომელიც სულაც არ იყო მხოლოდ შოფერი, გოგოს კლასში სწავლობდა და არც ცუდი ბიჭი ეთქ-

**თამაზ ბიგილაძე**  
შვიდი ხნისა და ბოროლასათვის



მოლა. «თითონ რო წავიდა, ჩააბარა?...»  
 რაო მერე? ვერ ჩააბარა, ვერც ერთი  
 ოცნება ვერ აიხდინა, მაგრამ რა ექნა  
 ამ ელისოს, მართლა შოფრობით ხომ  
 არა სწუნობდა, ღმერთმა ხომ იცის,  
 ოღონდ ჰყვარებოდა და გოგოსთვის  
 სულ ერთი იყო, ვინ იქნებოდა, შო-  
 ფერი თუ არტიტი, ოღონდ ჰყვარე-  
 ბოდა და უარს არ ეტყოდა... ასე უთხ-  
 რეს წიგნებმა, ასე უთხრეს იმ ლექ-  
 სებმა, რომელთაც დამდამობით სულ-  
 მოუთქმელად კითხულობდა, ასე ამ-  
 ბობდნენ იმ ფილმებშიც, რომელთაც  
 სოფლის დანგრეულ კლუბში თუ ტე-  
 ლევიზორის ეკრანზე ხედავდა. ყველ-  
 გან სიყვარულზე იყო ლაბარაკი, ყველ-  
 გან სიყვარულზე ჩიოდნენ, სიყვარულს  
 ნატრობდნენ, სიყვარულს ელოდნენ,  
 სიყვარულს ემდუროდნენ და მინც  
 უსიყვარულოდ ცხოვრება არაფრად  
 უღირდათ. არც ამ გოგოს, იმ წყეულ  
 ინსტიტუტში ჩაჭრილ ელისოს არ  
 უღირდა ცხოვრება უსიყვარულოდ და  
 აჰა, მოვიდა კიდევ: გოგოს უყვარდა...  
 უყვარდა და მინც ფეხს არ იცვლი-  
 და, მინც არ მიდიოდა იქ, ბინდში,  
 სოფლის ბოლოში, კაკალთან, სადაც  
 სწორედ ის ბიჭი იჯდა და ელოდა,  
 ახლა უკვე მღელვარე თუ ბრაზით საე-  
 სე მოლოდინით, რადგან გოგო ყველა  
 მიღებულ საზღვარს გადასულიყო და  
 ამდენ ხანს ალოდინებდა. ესეც სიყ-  
 ვარული იყო, — ეს მიუსვლელობა,  
 ეს გაჩიუტება და ბრძოლა საკუთარ  
 თავთან. იქნებ სწორედ ეს იყო სიყ-  
 ვარული და სწორედ ამის გამო არ  
 მიდიოდა გოგო.

ბინდი კი უფრო და უფრო მუქდებოდა.  
 მოდიოდა ღამე და გოგომ იცოდა,  
 რომ საცაა დედაც გამოჩნდებოდა, გა-  
 ხარებული დედა, რომელმაც სახვალი-  
 ოდ დღესაც იშოვა შოფერი და სწო-  
 რედ ის შოფერი, ამ სამიწემ რომ უარი  
 შეუთვალა, ის კი დღემდე ელოდება,  
 იქნებ ახლა მინც მოიბრუნოს ჩემზე  
 გული, რაც თავის ინსტიტუტში ჩაიჭ-

რაო, იქნებ შოფრობით ახლა მინც არ  
 დამიწუნოსო.

და უეცრად, როცა გოგომ დაინახა  
 ლოოდ უთხრა საკუთარ თავს, მოვე-  
 რიე ჩემ სურვილს, დიდი ყოფილა  
 ცდუნება, მაგრამ არცთუ ძნელი და  
 გადაუღახავიო, გარეთ, ეზოში, კაკლე-  
 ბი აჩქამდნენ და წამოვიდა წვრილი  
 წვიმა. ახლა, კარგა ხნის მერე, გოგომ  
 უკვე იცის, რომ ამ წვიმას არაფერი  
 ესაქმება არც იმ ბიჭის მღელვარე თუ  
 ბრაზიან მოლოდინთან, არც გოგოს  
 ვნებასთან, რომელიც საბოლოოდ  
 ძლიერი ეგონა და ახლა მშვიდად  
 არჩევდა ლობიოს. წვიმა აუცილე-  
 ბლად უნდა მოსულიყო, გინდ ამ გო-  
 გო-ბიჭს ერთმანეთი ერთხელაც არ  
 ენახათ თვალით. წვიმის მოსვლა ცაში  
 იყო გადაწყვეტილი, რადგან ამ წვიმით  
 უნდა დამთავრებულიყო ზაფხული,  
 რომელიც ისედაც ცხელი იყო და ლა-  
 მის სული ამოხანდა გვალვისგან ვადა-  
 მხმარ სოფელს. მაგრამ ის, რაც ჩვენს  
 დაუკითხავად ხდება, ხშირად მიზეზია  
 იმისა, ჩვენვე რომ ვაკეთებთ. ამ წვი-  
 მამ ხელი ჰკრა ელისოს, პირველი წვე-  
 თებითვე მოაღბო მისი გაქვავებული  
 გული (ესეც სადღაც წაკითხული სი-  
 ტყეებია) და შეაცოდა ბიჭი, რომელიც  
 ახლა სოფლის ბოლოში იდგა და რო-  
 მელსაც დიდი, ბებერი კაკლის ქვეშაც  
 კი ასველებდა წვიმა.

— ამ წვიმაში დგას და მელოდება...  
 შინ წასვლა რა სათქმელია, შინ რა  
 წაიყვანდა, აკი თქვა, მე კი დაგიცილი  
 და დანარჩენი შენ იციო. ამით ყველა-  
 ფერი ითქვა: ისიც, რომ ბიჭი აუცი-  
 ლებლად მივიღოდა, ისიც, რომ წვიმა  
 ვერ შეაკრთობდა და ისიც, რომ დილა-  
 მდეც რომ მდგარიყო, მინც არ მოი-  
 ცვლიდა იქიდან ფეხსა. გოგოს კი თავი  
 გამარჯვებული ეგონა და ეს სულელი  
 მარტო იმას ფიქრობდა, კარგი ვქენი  
 რომ თავისი არ გავატანინე და პირვე-  
 ლივე ხელის დაქნევავე იქით არ წავე-  
 დი, საითაც მიბრძანაო.

უკვე კარგად წვიმდა და წვიმა ყვე-  
 ლაფერს ამბობდა, იმასაც, რომ ბიჭი

სიტყვას არ გასტეხდა, იმასაც, რომ გოგო, თუ მართლა გულწრფელად უყვარს, მორჩილი უნდა იყოს ბიჭისა და იმასაც, რომ ეს უბრალო ამბავი არ ღირდა ამდენ ფიქრად და ტანჯვად: ბიჭმა თქვა, აუცილებლად დაგელოდებიო და გოგოც აუცილებლად უნდა მისუ-ლიყო.

ახლა იმ ბიჭს აწვიმს. ის ბიჭი ცივ-ღება, ცახცახებს, ბრაზობს, ივინება...

რაც უნდა ისა თქვას, ელისო ყვე-ლაფრის ღირსია, ოღონდ იქიდან ფეხი არ მოიცვალოს.

და არც მოიცვლის! ეს ისევე მართა-ლია, როგორც ის, რომ ეს ოხერი წვი-მა ოდესმე აუცილებლად გადაიღებს.

გოგო გარბოდა წვიმაში და, საბე-დნიეროდ, მთელ სოფელში ძეხორცი-ელი არ იყო, რომ რამეს მიმხვდარი-ყო. წვიმაში ვინ აღარ გარბის, რაკი წვიმაა, უნდა გაიქცე კიდევ. ესეც არ იყოს, ვისა აქვს ახლა იმისი დარდი, ვინ დარბის ამ ბნელ ღამეს წვიმაში და ვინ არა! გოგო გარბოდა და მარტო იმასლა ფიქრობდა, როგორმე, ეს გრძელი გზა, სოფლიდან იმ წყეულ კაკლამდე (რალა-ის ადგილი აირჩია?) მალე მოეთავე-ბინა... რა გრძელი გზა ყოფილა, რა გაუთავებელი! და კვლავ გარბოდა, კვლავ უსველებდა წვიმა სახეს და კვლავ მიჰყვებოდა ჯერაც გამოუცნო-ბი სულელური სიხარული თუ შეუ-ცნობელი შიში. და როცა სოფლის ბო-ლო სახლიც უკან დარჩა, როცა ტრი-ალ მინდორზე მარტოა იყო, მინ-დვრის ბოლოში კი ბნელს შერეოდა დაბურული კაკალი, ელისო ცოტა ხანს გაჩერდა, სული მოითქვა, თმოდან წვიმა ჩამოიწურა, სახეზე ხელი ჩამო-ისვა და ფოთხილად მიიხედ-მოიხედა...

ირგვლივ ღამის მეტი არაფერი იყო. გოგომ მაინც თვალები დახუჭა და კაკლისკენ, ნელა, ტაბათი წავიდა.

კაკლის ქვეშ არავინ იდგა.

— წასულა!.. არ დაუცადა... სიტ-ყვის კაცი არ ყოფილა. წვიმამ შეაში-ნა, წვიმამ გააქცია...

ან იქნებ სულაც არ მოსულა? იქნებ

გუშინ რაც უთხრა, დღეს აღარც კი ახსოვდა? ვანა ცოტასთვის უთქვამს მსგავსი რამ? ამ წვიმაში ცოტა დაუწყებდა ლოდინს?


მაგრამ ყველაფერი, რაც გაიფიქრა ელისომ ერთ წამში გაიფიქრა. მაშინ, იმ წვიმიან ღამეში, იმ პირველ ღამეს, როცა გოგო ჯერ ისევ ბედნიერი იყო, როცა ბედნიერება ჯერ მხოლოდ დაწყებუ-ლიყო, იმ ბიჭს დიდხანს ვერ გაამტყუ-ნებდა, იმაზე აუტს ვერ იტყოდა. წვი-მისაგან შეშინებული და გაქცეული, ან სულაც ორპირი და ქვეყნიერების ფე-ხებზე დამკიდავი ბიჭი გოგოს ფიქრმა კი არ გაამტყუნა, თვითონ გოგოზე დაიწყო აუგის თქმა, წვიმისაგან სვე-ლი, აცახცახებული, კაკლის ტანს რომ ეხუტებოდა და აღარ იცოდა, რა ექნა, შინ მიბრუნებულიყო, მასზე განრი-სხებული ბიჭის ძებნა დაეწყო თუ სა-მუდამოდ აქ დარჩენილიყო და თვით-გვემითა და წამებით აქ გამოესყიდა თავისი ცოდვა.

რად უნდა მოეცადა? ადამიანურად მითხრა, მოგიცდიო და ალბათ იცადა კიდევაც. მთელი სიცოცხლე აქ ხომ არ იდგებოდა? თავს ხომ არ გაიციებდა? მეც რა ვაინაზე, რა თავბატიყი დავი-დე? აკი ვუთხარი ჩემს წყეულ თავს მიყვარს-მეთქი. თუ მიყვარს, რალს მივედ-მოვედები, რალა შორიდან ვე-თამაშები? თუ მიყვარს, იმისი პატი-ოსნებაც უნდა დაიჯერო! მე კი არ დავიჯერე... ყველაფერი ჩემი ბრალია, ყველაფერი ახია ჩემზე!

აწვიმდა და თავით ფეხამდე გალუ-მბულს ამ წვიმაში მაინც შეიძლოა ქვე-ყნის დასასრულამდე სიარული. წვიმა ხელს არ უშლიდა ფიქრში. უშლიდა კი არა, თითქოს სწორედ იმას ჩასწუ-რჩულებდა, აჰა, მე და შენ მარტო და-ვრჩით. მე არავის არაფერს ვეტყვი. მე ხმის ამომღებელი არა ვარ, წამო-მყე, ერთად ვიაროთ ამ ცისქვეშეთში და რაზედაც გინდა, იმაზე იფიქრო. გოგოს თვითგვემას წვიმა მხოლოდ

**თამაზ ზიზილური**  
ზვიდი ხმისა და ტორელასათვის





ლოცავდა და ის ნეტარებაც, რასაც იმ ბიჭის გამო განცდილი ტანჯვა ანიჭებდა წვიმიან ღამეში, ერთითად იზრდებოდა. ალბათ ბედნიერება ის არიო, — ფიქრობდა გოგო, — მიდიოდე, გაწვიმდეს, სულ მარტო იყო და იმაზე ფიქრობდე, ვინც ალბათ, თავადაც შენზე ფიქრობსო. ამის გაფიქრებაზე კი ის კითხვა გადაუდგა გზაზე, რომელიც იქვე, ბუჩქებთან ჩასაფრებულყო: ფიქრობს კი? და ამ კითხვამ გატანჯა გოგო, ამ კითხვამ ჩაუშხამა წვიმასთან ერთად გავლილი გზის საამო ნეტარება, გამოაფხიზლა და წვიმაც უკვე მხოლოდ წვიმად გადაიქცა: ასველებდა, სახეზე წურწურით ჩამოსდიოდა; სიარულს უშლიდა. მთელ სხეულზე ცივი ქრუანტელი უვლიდა. მაშინ მოესმა ლობის გადაღმიდან ვილაცის ხმა და იმ ხმამაც უფრო გამოაფხიზლა, უთხრა რომ ამქვეყნად მართლა მარტო კი არ იყო, სოფლის გზაზე მიდიოდა, სოფელს კი აქეთ-იქით ათასი თვალი ჰქონდა და ათასი ყური.

ხმა დედაბრისა იყო:

— რომელი ხარ?

გოგომ ხმა არ გასცა.

დედაბერმა თავისთვის ჩაილაპარაკა:

— გიჟია, ვილაცა!

— გამოიცნო, — გაიფიქრა გოგომ.

— გიჟი ვარ, მაშ რა?

წვიმა კი ისევ არ წყდებოდა.

„გიჟია ვილაცა, — ეს იყო ბირველი სიტყვა სოფლისა, მას მერე. რის მერე? რისა და „იმის გამოცხადების“ მერე...

ქიშკარი ფრთხილად შეაღო.

აივანზე აიპარა და ოთახში შევიდა.

ლოგინში ჩაწვა. თავზე საბანი წაიხურა და ტირილი დაიწყო.

გვერდითა ოთახიდან საწოლის კრიალი მოისმა.

— მოხვედი, გოგო?

ელისომ ხმა არ გასცა.

— მიწას დაგაყრი, იცოდე!

ელისომ რადიო ჩართო.

ერთბაშად შემოიჭრა ვიოლინოს ხმა — ნეტა არ აწრიბინებდე... ამას აივანზე ამოსული მამის ხაბი ჯების ხმა მოჰყვა.

გოგომ რადიო გამორთო.

— ისევ მთვრალია... — ჩაილაპარაკა დედამ.

— რა იქნება, რომ დავიძინო და აღარ გავიღვიძო? — გაიფიქრა გოგომ.

— უბედური ქალი ვარ, ლოთი ქმრის პატრონი... — ჩიოდა დედა, — მარტო ესაა აქ კარგი, მაშინვე დაიძინებს... გეყურება, გოგო!

— რა იყო?

— თუ გინდა, აწრიბინე, მე რას მიშლი...

ოთახში ცხელოდა.

გარეთ აქა-იქ ეცემოდნენ წვიმის წვეთები.

— რა გაათენებს, — გაიფიქრა გოგომ და საბანი გადაიხდა.



მაინც გათენდა!

რო მოკვდენ, ამ საღამოს კლუბში არ წავალო, — თავის თავს უთხრა გოგომ.

მაინც წავიდა!

თავს არწმუნებდა, კლუბში მარტო იმიტომ მივდივარ, რომ ამ ფილმის უნახაობა არ შემიძლიაო, ყველაფერზე ვიტყოდი უარს, მაგრამ ამაზე ვერაო. მერე რა, რომ ის ბიჭი ყოველ საღამოს კი არა, დღისითაც კლუბის წინ იდგა... იმის შიშით კინოში ვეღარ წასულა? ისე შევა და გამოვა (გამოსვლისას უკვე ღამე იქნება და შეიძლება შოფერიც მოვიდეს. თუ მოვა, ელისო მოურიდებლად ეტყვის, გამაცილეო, და ეს ისე უბრალოდ მოხდება, როგორც ბევრჯერ მომხდარა), ზედაც არ შეხედავს. ამისთანები მოუთმენია? ბოლოს და ბოლოს, რაო? ჯერ არ დაბადებულა იმისი სადარი? ელისომ იცოდა, რომ ამ ფილმს უნახავს არ გაუშვებდა (სხვა დროსაც უნახავს,

სადაც კი საშუალება მისცემია), მაგრამ, თქმა არ უნდა, დღეს კლუბში მარტო ფილმისთვის არ მიდიოდა. დღეს ფილმს დაჰკარგოდა ის ძალა, რაც ადრე ჰქონდა. უფრო სხვა რამ გამსდარიყო მთავარი: „ის ბიჭი“ სწორედ კლუბის წინ იდგა, როგორც ბევრჯერ მდგარა და წუთით გოგომ ისიც გაიფიქრა, მოდი, უკან გავბრუნდები, დავიფიქრებ ყველაფერს და სულ გავეცლები აქაურობას, სანამ ეს ქალაქიდან ჩამოსული ბიჭი აქა დგას ფეხმოუცვლელად და გარშემო მთელი სოფლის ბიჭები ეხვევიანო. როცა ბიჭებს ჩაუარა, ისიც კი მოეჩვენა, რომ ამ ყურებამდე გაცილებულმა ბიჭებმა თავიდან ბოლომდე ყველაფერი იცოდნენ, ისიც, რაც წუხელ, წვიმიან ღამეში არ ჩანდა და ისიც, რასაც ტალახიან გზაზე გაქვეული გოგო ფიქრობდა. გულში ვერაფერს გაივლებ, ამით რომ არ იცოდნენ... მაგრამ კლუბთან მისულმა ისე აიღო ბილეთი, ისე შევიდა შიგნით და სადღაც კუთხეში მიიყუჭა, რომ „იმ ბიჭისთვის“ მართლა ზედაც არ შეუხედავს და იმასაც არ გამოუყოლებია თვალს. კარგადაც ქნა! ჰქვიანია და იმიტომ... აბა მართლა ამოდენა ბიჭების ყბაში ხო არ ჩაადგებდა? რაკი ყოჩივით შუაში უდგათ, ვანა მართლა მაგათი ტოლია, ჩათავდება ზაფხული და თავის გზაზე წავა. ეს ბიჭებიც დაავიწყდება, ეს სოფელიც და ალბათ ყველაფერი, რაც კი ამ ზაფხულს ნახა და გაიგონა.

დარბაზის პირველ რიგში გიჟი გუგულა იჯდა და გარშემო უკვე ბიჭები ეხვევინენ. ჭერ პატარა ბიჭები ერთობოდნენ, სწორედ ისინი, კარიდან კი არა, ღია ფანჯრიდან რომ გადმოსხდნენ ნელ-ნელა და წინა რიგები გაავსეს. მერე გუგულას დიდი ბიჭებიც შემოუსხდნენ და, კაცმა რომ თქვას, არც წვრილშვილის პატრონები დაიჭერდნენ თავს შორს, კინო ალბათ იმათაც დაავიწყდებოდათ (ეს კარგად იცოდა ელისომ), თითქოს მარტო იმის სანახავად მოსულიყვნენ, რას იზამდა გუგუ-

ლა, როგორ დაიჭერდა თავს, რას დაიმუჯღებდა ფილმის ყველაზე უფრო „სატირელ ადგილებში“ და ბოლოს, რა დროს მოერეოდა ის წყვეტილი ძილი, რა დროს დაუხუტავდა თვალს, რათა იქვე, დარბაზის პირველ რიგში, ან სულაც იატაკზე, არხეინად გაგორებულიყო და ხვრინვა ამოეშვა, ვიდრე ბიჭები ისევ ჯოხს არ შეუჩიჩხინებდნენ, ფეხზე არ წამოაგდებდნენ და ყველაფერი თავიდან არ დაიწყებოდა.

ვილაც იტალიელი ფედერიკო ფელინი, რომლისაც სხვა არაფერი იცოდა ელისომ, თავის ფილმს „ამარკორდს“ უჩვენებდა რომიდან ძლიერ შორს, სოფლის პატარა კლუბში.

„ეს ფილმი იმათ არაფერს ეტყვის,“ — გაიფიქრა გოგომ და მარტო ყოფნა, ან ამ ფილმთან განმარტოება მოუხდა.

ეკრანზე პროვინციული ქალაქის ცხოვრება მდორედ მიდიოდა. ერთი ბეწო ვნებები, ყოველდღიური წვრილმანები ღრღნიდნენ პატარა ადამიანთა გულებს. პატარა ბიჭის თვალწინ თითქოს წარსული ცოცხლდებოდა. სამყაროს პირისპირ მდგარი ადამიანი ცხოვრების შეცნობას ცდილობდა. ცხოვრება კი თავისი წარსულით და დღევანდელი დღით, თავისი მომავლით, ნისლში გახვევებულ ხარს ჰგავდა. ლანდი ამ ვეება ხარისა იკითხებოდა. და არც იკითხებოდა. ყოველდღიური წვრილმანების მიღმა რაღაც შეუცნობელი და მარადიული, რაღაც მომხიბვლელი და დამთრგუნველი, რაღაც სასაცილო და ნაღვლიანი იგულისხმებოდა. მაგრამ ეს ნაღველი თუ შეუცნობელი სიღრმე ცხოვრებისა ეკრანს გადმოღმმა არა და არ გადმოდიოდა. სასაცილო კი თვითონ დარბაზში იჯდა:

გიჟი გუგულა!  
იჯდა და ბიჭების გადაგდებულ ვაშლსა ლოღნიდა.

— ეს ფილმი ამათთვის არ არი.  
ელისოს ყურებთან „სწორედ ის“ ჩურჩულებდა.

თამაზ ზივილიური

ზვიდი ხმისა და ტორილასათვის


ჩურჩულის აზრი ელისოზე ადრე ამ სოფლის — მუზეუმის გამგემ რაჟდენა ხარატიშვილმა გაიგო, წინა რიგიდან მობრუნდა, მელოტ თავზე ხელი გადასვა და „იმ ბიქს“ გამგმირავად გადმოხედა.

ბიქმა გაიუმდა და ფრთხილად მიიხედ-მოიხედა.

ბიქმა არ იცოდა, რომ რაჟდენა ხარატიშვილის მუზეუმი მთელ იმ მხარეში იყო ცნობილი. ერთხელ ტელევიზორშიც აჩვენეს და მუზეუმის დირექტორსა და დამაარსებელს ინტერვიუც ჩამოართვეს. მაგრამ ხარატიშვილი მუდამ მაძიებელი და მოუსვენარი ბუნების კაცი იყო და რუღუნებით კრფდა ყველაფერს, რაც კი სოფლის წარსულს ეხებოდა, „რამეთუ საკუთარ ოჯახზე მეტად უყვარდა თავისი შექმნილი მუზეუმი“... ასე ითქვა თუ დაიწერა სადღაც. საუბედუროდ, რაჟდენა ხარატიშვილს ოჯახი არ ჰქონდა, ერთი მოხუცი დედა ჰყავდა და მართლა მთელ დროს მუზეუმში ატარებდა. მაგრამ რაჟდენა ხარატიშვილი სხვებზე უკეთ გრძნობდა, რომ ანტიკური და გვიანფეოდალურ განყოფილებებთან შედარებით სოფლის ახლოწარსულის განყოფილება ღარიბად გამოიყურებოდა. ანტიკურში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნის ამფორა და ჯამიც კი ჰქონდა, გვიანფეოდალურში — ხმალი, რომელიც ივარაუდებოდა, რომ მეფე ერეკლეს გაუტყდა, საუკუნის დასაწყისიდან კი თითქმის არაფერი, გარდა ერთი ოქმისა, რომლის ძალითაც მღვდელ ქრისტესია ძულიაშვილს საყდარში წირვა ეკრძალებოდა. კაცმა რომ თქვას (მაგრამ ამაზე რაჟდენა ხარატიშვილი სხვას კი არა, საკუთარ თავსაც არ გამოუტყდებოდა), ამ სოფელს დიდი საბრძოლო წარსული არც ეტყობოდა. ეტყობოდა კი არა, მუზეუმის დამაარსებელს ყველაფერი მართლაც დაწვრილებით ჰქონდა შესწავლილი: რევოლუცია მოხდა და მეფე ტახტიდან ჩამოაგდესო, ამ სოფელში ზუსტად სამი დღის დაგვი-

ანებით გაეგოთ და ისიც ერთ ებრაელ მეწვრილმანეს ამოეტანა ქალაქიდან. მარტო მაშინლა, მეფის ტახტიდან ჩამოგდების ამბავი რომ გაეგოთ, ერთე-ორე კაცი სოფლის მოედანზე გამოვარდნილა და, თოფების ბათქაბუთქით, თავად ჩოლოყაშვილის სახლი იერიშით აუღია. თავადი მარტოხელა ბერბიჭა იყო და წინა დამით ამ ათივესთან ექეიფა. ახლა, ლოგინში გახვეულს, თავი უსკდებოდა და ნაქეიფრები რომ დილაადრიანად მიუცვივდნენ, ასე ჰგონებია, ნაბახუსევზე გამოსვლა უნდათო და კვენით უთქვამს, „ეგე, შკაფშია არაყი და ჩაიცეხლეთო“. მაგრამ არყისთვის ვიღას ეცალა! აჯანყებულებმა თავადის ქონების ხელში ჩაგდება და ხალხისთვის გადაცემა მოითხოვეს! თავადს კი ერთი გიტარის მეტი არაფერი ებადა. ეს მშვენივრად იცოდნენ აჯანყებულებმა, მაგრამ სახლი მიინც სახელდახელოდ მოჩხრიკეს, არაყი დალიეს, გიტარა წაიღეს და თვალს მიეფარნენ. მერე კარგა ხანს ისმოდა სოფლის ეკლესიიდან ზარების რეკვა, ვიდრე აჯანყებულებმა ზარიც არ ჩამოხსნეს სამრეკლოდან და მიწაზე არ დასცეს, როგორც სიმბოლო ყოველივე ძველისა და სამუდამოდ დასამზობისა. შუადღისას აჯანყებულებმა მარაში კაცი აფრინეს, თავადი ჩოლოყაშვილი განიარაღებული გვყავს, მისი ქონება კი ხალხის საკუთრება გახდაო. თან იმ კაცს, მახარობლად ვინც ვაგზავნეს, შეკითხვაც დააბარეს, ხალხის მტრებს რა ვუყოთ, დავიჭიროთ თუ არაო. ამ შეკითხვას რომ ვზავნიდნენ, „ხალხის მტერი,“ კაცმა რომ თქვას, უკვე დაქერილიც ჰყავდათ. ეს ისევ თავადი ჩოლოყაშვილი იყო, რომელიც გონს მაშინ მოეგო, როცა თავის ტკივილმა გადაუარა და სიმღერის ხასიათზე მოდგა.

თავადმა შარვალი ჩაიცვა და გიტარის საძებნელად წავიდა. ვლაცამ უთხრა, შენი გიტარა სოფლის კანცელარიაში წაიღესო და თავადიც კანცელარიისკენ წალასლასდა. კანცელარიის კარს დიდი კლიტე ეღო, იქვე, მელნით



სახელდახელოდ - ეწერა: „გაუმარჯოს რევოლუციას!“ მაგრამ ჩოლოყაშვილი ფანჯრიდან ადვილად გადაძვრა და სა-  
 ნუკვარი გიტარა ხელში ჩაიგდო. მას შემდეგ, ის გიტარა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო. ჩოლოყაშვილი ხალხის ქონების მითვისებისათვის და-  
 იპირეს, მაგრამ მოასწრო და გიტარა, ეტყობა, ვილაცას გადასცა, ეტყობა კი არა, ეს ყოველივე ხარატიშვილის კვლევით დადასტურდა: ჩოლოყაშვი-  
 ლმა გიტარა ჯანდიერებს გაუგზავნა, ჯანდიერებმა ანდრონიკაშვილებს აჩუ-  
 ქეს, ანდრონიკაშვილებმა — ვაჩანაძე-  
 ებს... მერე კვალი ქრება... სად არ ეძე-  
 ბეს, ვის არ მიაღწენენ, ამ საქმეში პიო-  
 ნერებიც კი ჩაებნენ, მაგრამ გიტარა გაქრა. რაჟღენა ხარატიშვილის ღრმა  
 რწმენით, გიტარა ვილაც „ახალმა თავა-  
 დმა“ (ეს ხარატიშვილის სიტყვებია) ჩაიგდო ხელში და ან დაამტვრია, (რა ენა-  
 დღელებოდა), ან არ აჩენს, საგულდაგუ-  
 ლოდ უფრთხილდება, რათა წლების მერე სიძველით მოიწონოს თავი. იმ  
 „ახალ თავადს“ არაფრად უღირს, რომ მუზეუმის გამგე რაჟღენა ხარატიშვი-  
 ლი, რომელმაც სახელი სწორედ ამ მუზეუმის შექმნით გაითქვა, რომელ-  
 ზეც ამდენს წერენ და ლაპარაკობენ, იმ გიტარის ხსენებაზე ახლაც ცრემლს  
 ვერ იკავებს, რამეთუ სჯერა, რომ სწო-  
 რედ ის გიტარა მისცემს დასრულე-  
 ბულ, მემორიალურ სახეს მთელ იმ მხარეში ცნობილ მუზეუმს, რომელიც სწორედ ჩოლოყაშვილის სახელშია გა-  
 ხსნილი.

— ვირი მაინც ვირია, — უცებ ხმა-  
 მალა ჩაილაპარაკა რაჟღენა ხარატი-  
 შვილმა.

შეშინებული ბიჭი აქეთ-იქით იყუ-  
 რებოდა. მაგრამ ეტყობოდა, რაჟღენა ხარატიშვილი, ამ სოფლის ერთი ძველი ინტელიგენტი, ხმამალლა ლაპარაკს უკვე მისჩვეოდა, სოფლისთვის პირში ამაზე უარესიც მიუხლია და ახლა სო-  
 ფელიც, დიდ პატივს კი სცემდა, მა-  
 გრამ თავის გულში ინტელიგენტად კი არა, უკვე ყბედად თვლიდა.

... ცნობილი კახა ქალაქის ყველაზე ღირსეულ მოქალაქედ ითვლებოდა თვით ქალაქის მერიც კი დიდ თვლიდა თუ ამ ქალთან გაბმული რომანის პერსონაჟი გახდებოდა. მიდიოდა კახა და თავისი მყვირალა სხეულით თითქოს მთელი ქვეყანა თან მოჰქონდა... დარბაზი გაგიჟდა, გუგულა ღმუ-  
 ოდა, ეკრანი რა სახსენებელი იყო, მთელი დარბაზი გუგულას ეძახდა, ადგილზე, გუგულა, ხელი სტაცე, შენდა დარ-  
 ჩი, ვერა ხედავ, მთელი ქვეყანა მაგ ერთ ქალს დასდევსო. გუგულა დამო-  
 ცხვებული ღმუროდა. და ვერ გადა-  
 ეწყვიტა, მართლა ავარდნილიყო და ხელი ეტაცა ამ ქალისთვის თუ კარგად გაეხსენებინა, რომ ეს ყოველივე მხო-  
 ლოდ სურათი იყო და მის წინ მართლა ქალები კი არა, ლანდები თრთოდნენ.  
 გოგოს ყურს „იმ ბიჭის“ ცხელი სუ-  
 ნთქვა სწვავდა.

დარბაზში ჩამოცხა და ხალხი აყაყა-  
 ნდა, დავიხრჩვით, მეორე ფანჯარაც გაა-  
 ლეთ, მაშ უბილეთო ბალებების გული-  
 სთვის, გარეთ რო ჟივცივებენ და კლუ-  
 ბის კრამიტებს ქვებს უშენენ, ჩვენც უნდა ამოგვხოცოთ? ხო იცით, ბოლოს გარეთ არ დარჩებიან და მაინც შემო-  
 ვლენო.

მეორე ფანჯარაც გააღეს. ფანჯრის გაღებისთანავე ოციოდე ბიჭი კიდევ გადმოძვრა დარბაზში და ხალხს კვლავ დაავიწყდა პროვინციუ-  
 ლი ქალაქი, რომლის ფეშენებელურ ოტელში ვილაც აღმოსავლელი „სო-  
 ვდაგარი“ ჩამომხდარიყო და „საგა-  
 სტროლოდ“ ჩადრში გახვეული დედა-  
 კაცებიც ჩამოეყვანა.

„რა დესანტებივით გადმოსხდნენ...“  
 აქრიაშულდა ხალხი.

მაგრამ „დესანტების გადმოსხმა“ იმასთან რა სახსენებელი იყო, რაც ახ-  
 ლა უნდა მომხდარიყო: ღია სარკმე-  
 ლთან უცებ რალაც ქშენა მოისმა. ჯერ ხელები გამოჩნდა, მერე — კოლმეუ-

**თაბაჯ ბიგილური**  
 შვილი ხმისა და ბოროლასათვის

რნეობის ვეტფერშალმა სერგო ჩუგუ-  
აშვილმა ამოყო თავი, ფანჯრის რაფაზე  
გადმოობლდა და დარბაზს დამპყრო-  
ბლის თვალთ გადამოხედა. ვეტფერშა-  
ლი აშუქარად მთვრალი იყო და ამან და-  
რბაზი უფრო ღიდად გაამხიარულა.

— ეს საიდანაღ მოგვევლინა, ეს მი-  
წადასაყრელი!

— ნუ გეშინია, სერგო, არავინა გხე-  
დავს, გადმოდი!

სერგო ჩუგუაშვილს პირში ენა არა  
ჰქონდა და საიდანაც მოგვარდნილმა  
თავმჯდომარემ თქვა, ეს უკვე არაფერს  
არა ჰვავსო.

ხალხმა სერგოს დაუჭირა მხარი: რა  
მოხდა, ერთხელ შეცდეს მუშუაქი, ვე-  
რა ხედავ, პირში ენა არა აქვსო...  
ახალგაზრდობა გაიხსენა, თავის ღღეში  
კინოში კარებიდან არ შემოსულაო...  
აბაზი დაზოგა, განა ცოტააო?! ეგრე  
რო არ ექნა, როგორ წამოდგამდა იმ  
რვათახიან სახლს და როგორ დაიყუ-  
ნებდა „ჟიგულსო“? მარტო ვირების  
სიციხის გაზომვა უშველიდაო?

სერგო ჩუგუაშვილი ვერც მიხვდა,  
მის გამო რა ვნაისი ატყდა, იქვე მჩვა-  
რივით ჩაიკეცა და ალბათ ეგრევე ჩაე-  
ძინებოდა, თავმჯდომარეს ის მაგიური  
სიტყვები რომ არ ეთქვა, რასაც მერე  
ყველაფერი მოჰყვა: თავმჯდომარე ვეტ-  
ფერშალ სერგო ჩუგუაშვილს რაღაცით  
დაემუქრა... ამ მუქარამ ჩუგუაშვილი  
ერთბაშად, ზამბარასავით წამოაგდო,  
თითქოს მთვრალი არცა ყოფილაო და  
დარბაზიდან ისე გაისროლა, ხვალ მა-  
რთლა გაჰკირდებოდა დამტკიცება, ეს  
კაცი, ფანჯრიდან რომ გადმოძვრა, მა-  
რთლა ვეტფერშალი სერგო ჩუგუაშვი-  
ლი იყო თუ მოლანდებო. კაცმა რომ  
თქვას, ჰკვიან თავმჯდომარეს ეს მაში-  
ნვე უნდა ექნა, ვიღრე ვეტფერშალი  
საბოლოოდ მოიჭირდა თავს, სოფელს  
კი საგონებელში ჩააგდებდა, ნეტა რა  
უთხრა ისეთი, რითი დაემუქრა, რომ  
ჩუგუაშვილი ერთბაშად გამოფხიზლ-  
დაო. მაგრამ მართლა რა უთხრა, ღღე-  
საც არავინ იცის... ან ცოდნა რა საჭი-

როა? რაღაც ხომ უნდა დარჩენს მის-  
ტიკური ჩვენს ფხიზელ დროში...

ბენდიერი ოჯახი გასეირნებდას აწყობი-  
ბდა ქალაქგარეთ. მამა, დედა, შვილი...  
და დედისძმა, ცოტა შექანებული, ქა-  
ლაქის ფსიქიატრიული საავადმყოფო-  
დან გამოყვანილი. გარშემო იდილიუ-  
რი სიმშვიდე სუფევდა: ლამაზი ველ-  
მინდვრები, გადაფოთილი ხეები. ჩი-  
ტების ჰიკიკიკი. ბენდიერებისათვის მე-  
ტი რა უნდა კაცს? მაგრამ ბენდიერება  
ეკრანზეც ხანმოკლე აღმოჩნდა: შეშ-  
ლილი დედისძმა ხეზე ავარდა და ჩა-  
მოსვლა აღარ უნდოდა. რას არ ეუბ-  
ნებოდნენ, როგორ არ ეხვეწებოდნენ,  
მაგრამ ფეხს არ იცვლიდა... დარბაზი  
ისევ გუგულას ეძახდა, ისევ გუგულას-  
კენ მიდიოდა ყველა გზა, ეგე, ბიჭო,  
ძმაკაცი იქაცა გყოლია, ელოდე, მი-  
გიპატიეებო.

გუგულას დასცხა და ხალათი გადა-  
იძრო. თვითონ გუგულა რას მიხვდებ-  
ოდა, ბიჭებმა დაარწმუნეს, გცხელიო,  
და იმანაც თავისი დათხვრილი და და-  
ხეული ხალათი „ორქესტრაში“ გადაი-  
სროლა, სადაც ერთი დამტვრეული  
პიანინო იდგა, და საზეიმო საღა-  
მოებზე ვაჟთა გუნდი „მრავალკამი-  
ერს“ მღეროდა ხოლმე, მეთექვსე-  
ლი სულიკო ნანობაშვილი კი ლექსს  
კითხულობდა.

გუგულას ბიჭები აქეზებდნენ, ვერა  
ხედავ, იწვეები სიციხით, შარვალიც გა-  
იხადეო. გუგულა ყოყმანობდა, ვაითუ  
მართლა დაუკრეფავში გადავიდევ და  
ბიჭებს არწმუნებდა, გიყი არა ვარო.  
ბიჭები ეთანხმებოდნენ, გიყისა რა გი-  
გავს, ერთი რომ წამოგვისვა ხელი,  
მთელ დარბაზს თევზებივით დაალაგე-  
ბო და გუგულაც ამღვრეული თვალე-  
ბით გადმოსცქეროდა დარბაზს.

ეკრანზე ისევ ის ხე იდგა და ხეზე  
ასულ გიყს ეხვეწებოდნენ, ჩამოდი, ჩა-  
მოდი, ნუ ჩავგავსხამე ეს კვირალდე. გვი-  
თხარი მაინც, რა ვინდაო.

ერთბაშად ხეზე ასულმა გიყმა ბლა-  
ვილი დაიწყო:

— ქალი მინდა!

და აქ მოხდა, რაც მოხდა...

— ქალი მინდა! — დაიბღვლა გუგულამ.

დანარჩენი ყველაფერი თვალის დახმამებაში დატრიალდა: გუგულამ შარვალი ჩაიხადა!

ბიჭებმა ბოლომდე ჩახდა არც კი დააცადეს, შარვალი იქვე, „საორკესტრო ჯიხურში“ გადაუგდეს.

ხალხი გადაირია! ხალხის წინაშე იმგვარი გუგულა წამოიმართა, როგორაც დედამ შობა! ჭერ მორიდებით ილიმებოდა, მერე ერთი მიიხედ-მოიხედა, და რაკი დარწმუნდა, ისეთი არაფერია, რაც სხვა გიყვებოდა არ გაუკეთებიათო, ცეკვა დაიწყო. ქალები თვალებზე ხელებს იფარებდნენ. ბიჭები გუგულას აქეზებდნენ, მიდი, შენებურად გაუსვი, ნურაფრისა გერიდება, აქ არა ვართო? „ქალი მინდა!“ — ყვიროდა გუგულა. ხალხი ყაყანებდა: დაიწვი, გუგულ, კარგი შენა ხარ, ეს რა სიცილით დაგვბოცე!

— ნეტა რად გინდა ეგ ბარძაყის სიმსხო მკლავები, თუ ცოტა ჭკუაც არ გეჩნება!

— ერთი ეგ მომცა ვენახში, ორ დღეში არ გავათხზინებდი?

— მაშ, მაგ ჭკუაზეა, განა მართლა გიყია, დღეში სამ თუმანსა თხოულობს!

— რა სახედარივით ყროყინებ, გუგულ, შენ რა დაგაცხრობს?

— განა პატარაა ხარ, ბიჭო, ეგე, ვირსა გეგხარ!

— „ქალი მინდა!“ — ყიოდნენ ბიჭები, ვიდრე ისევ რაჟდენა ხარატიშვილი არ წამოდგა და ხმამაღლა არ მოითხოვა, დარბაზში სინათლე აანთეთო! დარბაზში სინათლე აანთეთო? — ამან უფრო გააგიჟა ხალხი — ანთონ კი არა, ჩააქრონ, გუგულა გიყია, მაგრამ ყველაფერი კაცისა აქვს და შეიძლება უფრო მეტიცო! „ვირები ხართ, ნამდვილი ვირები!“ — კიოდა თმაგაშლილი რაჟდენა ხარატიშვილი და წინა რიგებისკენ მიიკვლევდა გზას, რათა თავადვე ჩასულიყო იმ მტკრით

ამოვსებულ „ორქესტრაში“ თუ რაღაც ჯანდაბაში, მოექებნა ის გადაგდებული შარვალი და ძალით ჩაეცმია ამ რეული დევისათვის. მაგრამ აღარ დაუცადეს, როგორც გადაადგეს, ისევე გადმოადგეს ბიჭებმა გუგულას შარვალი და გიჟმაც ისე მშვიდად გაყოფებები, თითქოს თავისი „გამოსვლა“ მოამთავრა, სცენიდან კულისებში გამოვიდა, ახლა სადმე ჩამოჯდება და დაისვენებსო.

დარბაზი მიყუჩდა.

— გუგულა რომ ენახა, ფელინი აუცილებლად გადაიღებდა.

ამას ისევ „ის ბიჭი“ ჩურჩულებდა; რომლის მხურვალეზაც გოგოს ყურს სწვავდა.

რაჟდენა ხარატიშვილმა გამგირავად გადმოხედა. ეს გადმოხედვა ნიშნავდა: „თქვენა გაკლიათო“ და ბიჭი გაჩუმდა.

ეკრანი და დარბაზი ერთმანეთს ცვლიდნენ, მაგრამ ელისოს აღარაფერი ესმოდა. მის ყურებთან ისევ ის ცხელი სუნთქვა ისმოდა და გოგო მზად იყო ახლავე ამდგარიყო, ახლავე გასცლოდა აქაურობას. ვერა, ვერ ადგებოდა, ყველაფერი ისევ ამას დაბრალდა, ამ „შეთხულ ცხოვრებას“, ამ თოვლს, რომელიც სადაცაა წამოვიდოდა ზღაპრული სილამაზით და მთელ იმ პროვინციულ ქალაქსაც, თავისი ოტელით, თავისი ჭკვიანებით და გიჟებით, ცერცეტებით და დარბაისლებით, ზღაპრულ სამოსელში გახვევდა. ელისოს ახლა სწორედ ის თოვლი სჭირდებოდა, ის ნამდვილი და მაინც უჩვეულო თოვლი, რომელიც ამქვეყნად იშვავათად მოდის და თუ მოვა, უკვალოდ არ ჩაივლის. მცირე ხნით მაინც რაღაცას შეცვლის, ადამიანთა ხსოვნაში მარადიულ კვალს გაავლებს. თავის კეთილსაქმეს ისე ჩუმი შრიალით გააკეთებს, ვერც კი იტყვი, რა გააკეთა. ვერ იტყვი და მაინც ვერასოდეს დაივიწყებ...

დარბაზში კი მთავარი ისევ გუგულ-

თაბაგ ზიზილუარი

ზვიდი ხმისა და ბორბოლასათვის

ლაა, როგორ დატოვებს გუგულა აქაურობას, ამაყად და მეფური ღირსებით თუ იმგვარად, ბიჭები რომ ჩასჩურჩულებდნენ, არიგებდნენ და ასწავლიდნენ. იმ ნასწავლიდან გუგულას ღიღი თავში და ვიწრო გონებაში მხოლოდ ერთი რამ ჩარჩა: ახლა უნდა გაიბოტოს კლუბის კართან და წინ გავლილ გოგოებს სათითაოდ უჩქმითოს. თუ ეს არა ქნა, ამ დარბაზის თვალში დღევანდელ საღამოს მთელი პეწი დაეკარგება და ისიც კი არაფერად გამოჩნდება, როგორ გაიღო შუა ფილმზე ფანჯარა და როგორ გადმობობდა კოლმეურნეობის ვეტფერშალი სერგო ჩუგუაშვილი.

— ეს ფილმი თითქოს ამ თოვლისთვისაა დადგმული.

— ხო, ალბათ.

ისევ ეს ჩურჩული, ეს ცხელი სუნთქვა... ღმერთო, რამდენი რამე ეცოდინება...

და გოგო გონზე მოსვლას ვერ ასწრებს, ის მთავარი ისმის, რაც ალბათ უნდა თქმულიყო და რასაც, თვითონ ელისოც ვერ იტყვის რატომ, მთელი საღამო ელოდა ბიჭისგან:

— შენ კი მალოდინე...

ელისოს თავზარი დაეცა.

— იმ თავსხმაში...

ელისოს აღარ შეეძლო ამ ჩურჩულის ატანა და იმ წუთში მიხვდა, რომ „გუგულას სცენა“ ახლა მხოლოდ მხსნელად მოეცლინებოდა. გუგულა იდგა, ყურებამდე გახეული პირიდან დორბლი სდიოდა და თავის ბანჯგვილიან თითებს გოგოებისკენ იწვდიდა.

— თქვენ რაღას უდგებართ აქ! — დატუქსა გუგულას ირგვლივ თავმოყრილი ყმაწვილები სკოლის დირექტორმა, რომელიც დარბაზში ინკოგნიტოდ ყოფილა და ახლა სასწავლო ნაწილის გამგეს და ფრანგულის მასწავლებელს უმტყიცებდა, ნეტავ რატომ მეტს არ აკეთებენ, ყოველ საღამოს თუ ასეთი ფილმები ვაჩვენეთ... სასწავლო ნაწილის გამგე სინანულით აქნევდა თავს, რაც იმას ნიშნავდა, რა დროს მოვესწარიოთ. ფრანგულის მასწავლებელი

აშკარად არ ეთანხმებოდა, მაგრამ ნმას არ იღებდა. თუმცა დირექტორისაოფიცის ფრანგულის მასწავლებლის დამოღობი ჩაღის ფასადაც არ ღირდა. დირექტორს უკვე ჰქონდა თავისი აზრი და ეს „ვანათლებაშიც“ არაერთხელ უთქვამს. სწორედ ამ მასწავლებელმა შემოიტანა პირველად სკოლაში საყურეები და ბრილიანტის ბეჭედი, მოკლე კაბა და შეღებილი თვალ-წარბი. მაგრამ გინდა თქვი, გინდა არა, დროება დირექტორისათვის უიმედოდ შეცვლილიყო და რესპუბლიკური პრესაც უკვე სკოლის სახელმძღვანელო ვეტერანს, გოგუცა მაცაბერძეს კი არა, ამ შეღებილ ფრანგულის მასწავლებელს აქებდა, რაკი ინება და ქალაქიდან სოფელში წამოვიდა და რაკი მისი მეათეკლასელები ერთმანეთს „მუსიე ავთოს“ და „მადმუაზელ მაცვალას“ ეძახიან.

გუგულა მარტო დარჩა, დირექტორს გაუღიმა, ფრანგულის მასწავლებელს თვალი ჩაუკრა და დაიღრიალა:

— ქალი მინდა!

გარეთ ნათელი ღამე იდგა.

სოფელს გუშინდელი წვიმა აღარ ახსოვდა...

მთვარე კარგა ხანია ამოსულიყო.

— მე რა? მე, თუ გინდა, ამაღამაც იქ ვიქნები... და სანამ არ მოხვალ, ფეხს არ მოვიცვლი.

ელისომ დაიჭრა ბიჭის ნათქვამი.

ბედნიერი იყო.

ამ ბედნიერებისაგან გაიღიმა და ამ ბედნიერებით შეშინებულმა მიიხედ-მოიხედა.

სოფლის კლუბის ეზო იცლებოდა.

გოგოს უფრო შეეშინდა. ვიღაცას თვალი შეასწრო და თითქოს საცაა თავს დაესხმიანო, დაიძახა:

— ავთო!

ეს შოფერი ავთო იყო.

— გადავრჩი, — გაიფიქრა ელისომ.

ელისო ვერ მიხვდა, როდის აედევნა „ის ბიჭი“, სახლთანვე ელოდა თუ მერე, შემთხვევით მოჰკრა თვალი და იფიქრა, რა მენაღვლება, მაინც საქმე არა-

ფერი მაქვს და ავედვენებო. ამის ცოდნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ სახლთან ელოდა, საგანგებოდ მისთვის მდგარა, თუ სადღაც გზიდან აედევნა, გინდ ყოფილა, გინდ არა, ერჩივნა ახლავე უკან გაბრუნებულიყო... ბიჭი ჭიუტად მოსდევდა შორიასლოს და არც უკან გაბრუნებას აპირებდა, არც იმ მანძილის შემცირებას, გოგოსა და ბიჭს რომ ერთმანეთისაგან ყოფდა და სოფელს თვალს უხვევდა. სოფელიც მალე მორჩა და მინდორზე გავიდნენ. მინდორს ქვემოთ უკვე ვენახები იწყებოდა და ბიჭმაც, როგორც კი თავი მარტოდ დაიგულა, ფეხს აუჩქარა. გოგომ იცოდა, რომ ეს მოჩვენებითი სიმარტოვე იყო, როგორც სახლებს, ისე ვენახებსაც ასი თვალი ჰქონდათ და ამ შუადღეს მთელი სოფელი შინ კი არ იჭდა, სწორედ ვენახებში იყო გაკრეფილი. „რა იცის, მაგას ჰგონია, ამ ორღობებში რამე დიმალებს...“

როგორც კი ბიჭი წამოეწია, ჩურჩულით უთხრა, თავი დამანებე, ან გამასწარი, ან ჩამორჩი, იცოდე, მთელი სოფელი, ამ წუთში, ამ ბარდებიდან ჩვენ გვიყურებსო. ბიჭმა დაუჭერა და გზა განაგრძო. ათასში ერთხელ მოხედავდა, გოგომ სადმე არ გადაუხვიოსო და ისევ დაჭერებული განაგრძობდა გზას. ვერ გადაუხვევდა! გოგო მარტო იმაზე ფიქრობდა, რა ლამაზად მიდისო და არ უნდოდა ეს გზა ოდესმე გასრულებულიყო. ბიჭი კი სწორედ გზის გამო ბრაზობდა, ოღროჩოღრო, მტვრიანი ორღობის გამო, რომლის აქეთ-იქით ვენახების მეტი მართლაც არაფერი იყო და რომელსაც დასასრული აღარ უჩანდა. ბიჭი ამ წუთში მგელს ჰგავდა და ტყე უნდოდა, სადაც არაფინ იქნებოდა, სადაც უცხო თვალი ვეღარ შეგიშინებდა ამ ფრთხილ გოგოს და მერე... მერე არ იცოდა, რა მოხდებოდა, მერე ყველაფერი თავისი გზით უნდა წასულიყო, ამ გოგოსა და ბიჭის დაუკითხავად, როგორც თავად ტყეს სუბრდა, დაბურულსა და უცხო თვალი-სთვის შეუღწეველს.

წარაფებთან ისევ დაუცადა გოგოს. გოგომ ისევ შიშით მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ეს აღარ იყო წელანდელი მინდორის ბოლოში თუ ვენახების თე-  
ში რომ ეტყობოდა. ეს სხვა შიში იყო, უფრო იოლი და ბიჭმაც გაბედა:

— სადღა მიხვალ?

— გაჩუმდი...

— აქეთ, ბუჩქებში გადავიდეთ...

გოგომ ისევ მიიხედ-მოიხედა.

არაფინ ჩანდა.

მარტო გადღმა, ფერღობზე, ბებერი ცოლ-ქმარი ლობიოს კრეფდა.

გადმოღმა — იმ ბებრების შვილი-შვილი შურდულით დასდევდა ჩიტებს.

ბიჭი ცახცახებდა:

— წამო...

გოგომ თავი გააქნია და იქვე, ლობეზე გადავიდა.

ძეძვების იქით დაგიცილი...

ბიჭს უკან აღარ მიუხედავს, ძეძვიანისკენ გადაუხვია და დაჭერებული ნაბიჯებით წავიდა.

გოგო გაჩერდა და თვალი გააყოლა.

— თუ მეც იქით წაველ, გავგიჟებულვარ და ეგ არი...

ბიჭი უკან არც კი იხედებოდა, კვლავ დაჭერებული მიდიოდა, თავისი მშვიდი, გალავნილი ნაბიჯით.

— აბა თუ ერთი მაინც მოიხედოს.

მაგრამ ბიჭს არც მაშინ მოუხედავს, როცა ძეძვნარებს შეერია.

გოგო ქვაზე დაჯდა და ტირილი მოეჩია.

სატირალი რაღააო, წამოხტა, ცრემლები მოიწმინდა, თმებზე ხელი გადაისვა, თითქოს საარკეში იხედებო, თავი მოიკოპწია და ძეძვიანისკენ წავიდა.

გამარჯვებული ბიჭი ბალახზე გულაღმა იწვა, ცას შესცქეროდა და იცინოდა.

— ვიცოდე, მოხვიდოდი.

— რა იცოდე? ახლავე უკან გაგბრუნდები...

თამაზ ზიზილური  
ზვიდი ხმისა და ბოროლასათვის



გოგო მოტრიალდა და მართლა გამობრუნება დააპირა.

ბიჭი წამოხტა და ხელი სტაცა.

მაშინ აკოცა პირველად. მაშინ დაბნელდა გარშემო.

ბებრები ღღეს პირველად ჩამოვიდნენ ვენახში. ბერიკაცმა მთელი ზაფხული წელის ტკივილში გაატარა და შვილი და რძალი არ უშვებდნენ, ღმერთმა დაიფაროს, რამე რომ მოგივიდეს, სოფელში თავი მოგვეჭრება, იტყვიან, კაცი ვენახში მოკლესო. ბოლოს, აგვისტოს მიწურვილში, ფერიცვალობის მერე მოიხედა და დედაბერი შვილებსა და შვილიშვილებს ეუბნებოდა, ეგე, რო აღარაფერი გწამთ, აკი ვამბობდი, ფერიცვალობისთვის მოიხედავსო... ახლა აღარ მეშინია, მემრის ამდრომდე არა უჭირს რა, ახლა ვენახშიც წავიყვან და ტყეშიცო.

ბებრები ვენახში დილაადრიან წამოვიდნენ, სახლში ჩხუბი ატყდა, რა ამბავია, ჭერ გათენდეს, მზე ამოვიდეს, ნეტა სად გეჩქარებათ, რაც გასაკეთებელი იყო, გავაკეთეთ, ყურძნის მწიფობასღა ველოდებითო. წუხელ ალბათ მთელი ღამე არა გძინებიათ, რაკი იქ იყავით წასასვლელგბო. რას ამბობთ, როგორ არ გვეძინა, დავიჭერო, კაცის ხვრინვა არ გესმოდათო, — თავს იმართლებდა დედაბერი და თან კალათაში საგზალს აწყობდა: პურსა და ყველს, ნიორსა და ხახვს... პამიდვრები იქ იქნებაო... მერე ერთი ბოთლი ღვინოც ჩადგა, იქნებ კაცმა ინატროს და ერთბაშად გამოეუჩნენ, გაეხარდებო. ღვინოს დედაბერი საგულდაგულოდ მალავდა, უნდოდა კაცის გაბრწყინებული თვალები ენახა, როცა ყველსა და პამიდორს ერთმანეთს მიატანდა და ინატრებდა, ახლა ერთი ჭიქა საფერავი მომეცაო... აი, სწორედ მაშინ წამოდგებოდა დედაბერი, ვითომც არაფერიო, კალათასთან მივიდოდა და არხეინად დაიწყებდა. ძებნას; თან ხმამაღლა იტყოდა, მე კი არ წამომიღია და რა ვიცი,


ღვინო ეშმაკია, იქნებ თავისით ჩაჯდაო... მერე გამოჩნდებოდა კალათში თავისით ჩამჯდარი ბოთლი და დედაბერიც დიდის ამბით მოხსნილი სიხუნდის ფუჩიჩს, უთუოდ სიმინდის ფუჩიჩს, რადგან სხვები, ის რალაც დარღუბალები, თავიანთ სუნსა და გემოს აძლევდნენ ღვინოს. კაცს კი, ვინც მთელი თავისი ცხოვრება ამ ვენახში გაატარა, რად უნდა დაეღია შელახული ღვინო, რომელსაც რალაც დარღუბალის გემო ექნებოდა. ეს ყოველივე მერე მოხდებდა, შუადღისას, ჭერ კი ისევ დილაა, მზე ჭერ ისე ვერ აცხუნებს, როგორც ფერიცვალობის დღეებში ეკადრება და დედაბერი კაცის გასაგონად ამბობს: ავე, რო ამბობდნენ, თქვენი გასაკეთებელი რალა დარჩაო... არ დარჩენილა? ეს ლობიო საცაა ჩაიშლება... ეს პამიდვრებიც ეგრე უნდა იყოს მოფენილი? ვაჰს როგორ უნდა მიუდგნენ რთველში! ან რაკი ყურძენი თვალში შევიდა, ეს შალაფა ეგრე უნდა იყოს მოდებული? კაცი ამბობს, არ ვიცი, რა ფართიფურთები არიან, ვითომ გათოხნეს, ბელტი გადააბრუნეს და ბალახმა მეორე მხრიდან ამოყო თავიო. ეს მზეც რო აღარ აცხუნებს, რა უკუდმართი დროა, ზაფხული ზაფხულს არა ჰგავს და ზამთარი ზამთარსო. დედაბერი შეშინდა, ვაითუ შესცივდა და სიცხეს ველარა გრძნობს, თორემ ამ მზემ მეტი რალა უნდა დაუცხუნოსო, და კაცსა სთხოვა, აქეთ, მზეში გამოდი, მზეში იმუშავე, უფრო მოგიხდებოა.

პატარა შვილიშვილი რა ხანია გაქრა, ქლაქიდან საზაფხულოდ ჩამოყვანილი ათიოდე წლის ყმაწვილი. ყმაწვილს ტანზე მარტო მოკლე შარვალი ეცვა, შიშველი ფეხები სანდლებში წაეყო და, უკვე ხევგალმა გასულიყო, შურდულით დასდევდა ჩიტებს.

— მოკვალ! — ეძახდა გაღმიდან.

— ეგრე გაღმოდ, ბიჭო, ტყემ გატყუება იცის! — ეძახდა ბერიკაცი.

ბერიკაცი კარგა ხანს დადიოდა ვენახში. ნეტა რას ეძებს, რა უნდაო, გა-



იფიქრა დედაბერმა და ჯერ შორიდან დაუწყაო თვალთვალი, მერე თქვა, რა ჩემი საქმეა, რაც უნდა ის აკეთოსო. ბერიკაცი მაინც დაჟინებით ეძებდა, ბოლოს ერთგან დაიხარა და მოწყვიტა. გასიხედა, წელში გაიმართა.

გახარებული მოდიოდა. დედაცაი იდგა და იმ სიხარულით უბრწყინავდა თვალები, რაც ბერიკაცს ძალზე უყვარდა და, რაც დრო რომ გადიოდა, უფრო და უფრო ათასში ერთხელ თუ გამოკრთებოდა.

— აი, ძლივს გიბოვნე... ჯერ ისევ მჟავა... ეს არ იქნება მჟავე...

ბერიკაცმა დედაბერს დიდის ამბით გაუწოდა ყურძნის მტევანი.

— რად მინდოდა, — თქვა დედაბერმა და მტევანი კრძალვით ჩამოართვა. მაგრამ როგორ არ უნდოდა...

დედაბერს შეეძლო ეს მტევანი, ასე ნაზად სჭეროდა ხელში, ცისკენ აწვდილი და მისთვის ეცქირა, მაგრამ ვითომც არაფერიო, მტევანი ლობიოს ჭიგოზე ჩამოჰკიდა და შორიდან კიდევ ერთხელ შეავლო თვალი.

— შენ მოგიტანე, — თქვა კაცმა

— აქ რო ეკიდება, ჩემი არ იქნება? დედაბერმა მტევანი ჩამოიღო და და მარცვალი მოწყვიტა.

— აბა შენც გასინჯე.

კაცმა კუფხალი გამოართვა და პირში ჩაიღო.

— შარშან ამ დროს უფრო ტკბილი იყო...

— ხო, შარშან უფრო ტკბილი იყო...

დედაბერი შეშინდა, არაფერი ეწყინოსო და ხელაღვე დაამატა:

— არც ახლაა ურიგო...

ბებრები ისხდნენ და ყურძნის ჭამდნენ.

ყმაწვილი გადაღმა დარბოდა ძეძვებში და ყიოდა:

— მოკაალ!

— ტყუის, — ამბობდა პაპა.

— იქნებ მართლა მოკლა, — ესარჩლე-ბოდა ბებია.

— აქეთ ვადმო, აბა, მივდივართ!

მაგრამ ყმაწვილმა იცოდა, სანამ მზე


არ ჩავიდოდა, პაპა და ბებო ვენახიდან ფეხს არ მოიცივლიდნენ და შურლულისათვის ახალ კენჭებს აგროვებდნენ. მზე უკვე საშუაღლეოზე იდგა. ისევე იყო შორს იყო, მიმჭრალი ჟივილი თუ აღწევდა აქამდე და ისიც ხანდახან. გარშემო, ტყისპირამდე, სულ ვენახები მოდებულყო. ვენახების ბოლოს ძეძვიანი იწყებოდა, ძეძვიანს იქით — ტყე. ვენახებს სამიჯნე ატემები და ლელვები ყოფდნენ. აქა-იქ კაკლებიც იდგა, ბებერი, დაკოვრებული კაკლები. სიო არ იძვროდა და ყველაფერს ზაფხულის მიწურვილის მომთენთავი შუაღლე დაუფლებოდა. სიჩუმეში მხოლოდ თხის ხმა ისმოდა, თითქოს შუა ტყეში ვიღაცა ფრთხილად ფაჩუნობდა.

- 
- დაიცა, თავი დამანებე!
- ვილა დავგინახავ?
- ის ბიჭი, ბებრების შვილიშვილი.
- შიგნით შევიდეთ, ბარდებში.
- ნუ მეჭიდები, ხელი მეტყინა.
- კარგი, მე წავალ და შენ დარჩი.
- ხო, მოვდივარ...

- 
- არ მოგშივდა, კაცო?
- ბერიკაცი კვლავ ლობიოს კრეფდა.
- არ მოგშივდა-მეთქი?

დედაბერს იმ წუთის დადგომა ეჩქარებოდა, ღვინოს რომ გამოუჩნდა მონატრებულ კაცსა და კალათა ლედვის უკან წაიღო, იქ გახსნა, იქიდან ამოღა ყველაფერი, რაც დილაბნელში საგულდაგულოდ ჩააწყაო. მერე შვილიშვილს ეძახდნენ: არ გესმის, რო გეძახით, მაგ ძეძვებში არაფერმა გიკბინოს, მოდი, არ მოგშივდა მაინცო?! არ მოხვალ, ყველაფერს ჩვენ შევჭამთ და მშიერს დაგარჩენთო! მაგრამ ბაღმა იცოდა, რომ შინ წასვლისა და მარტო დატოვებისა არ იყოს, ესეც ტყუილი მუქარა იქნებოდა, მისთვის საგანგებო.

თამაზ ხიზილური  
 შვილი ხმისა და ბორჯოლასათვის



ბოდ შენახულ წილს ბებრები ხელს არ ახლებდნენ და ვენახისკენ წამოსვლას არცა ფიქრობდა. ბალლი ახლა შაშვს მისდევდა. შაშვი აწვალებდა და ბუჩქიდან ბუჩქზე სწორედ იმ დროს გადა-რბოდა, როცა ბალლი ფიქრობდა, აჰა, მოვიხელთე და ვესვრიო. მაგრამ ამოდ ესროდა... შაშვი კვლავ ხელიდან უს-ხლტებოდა და ბალლმა კარგა გვარიან მანძილზე სდია.

გაბრაზდა, დაჯდა და გულამოსკვნი-ლი ღწაოდა.

შორიდან პაპა იძახდა:  
— რა გატირებს, ბალლო!  
— არაფერი!

ბებრები მშვიდდებოდნენ: ბალლი სხვა არავისზე, მარტო თავის თავზე იყო გაბრაზებული და თვითონვე გა-ჩუმდებოდა.

პაპა დინჯად შეექცეოდა შოთსა და ყველს, ბებო სულმოუთქმელად ელო-და, აჰა, ან ახლა მოინატრებს ღვინოს, ან ახლავ, მაგრამ ბერიკაცი არ ჩქარო-ბდა, თითქოს დედაბრის ოინს მიხვე-დრილიყო და თავადვე აწვალებდა, აბა ერთი რას იზამს, თუ სულ არ ვახსენებ იმ ღვინოსო.

მაინც შეეცოდა დედაკაცი, შოთი გვერდზე გადადო და ხელი დოქისკენ წაიღო.

— აქ რა ღვინოს ჩამიდგამდი!

დედაბერმა ლოდინის ტვირთი ერთ-ბაშად ჩამოიხსნა, დიდის ამბით წელში გაიმართა და ლედვისაკენ წავიდა, სწო-რედ ისე, როგორადაც დილას წარმო-იდგინა და ბუჩქიდანაც თავის ფიქრში მთელ დღეს ხატავდა: მე კი არ წამო-ვიღე და, რა ვიცი, ღვინო ეშნაკია, იქ-ნებ თავისით ჩაჯდაო...

ბერიკაცი იცინოდა.

დედაკაცსაც სიცილით მოჰქონდა ერთი ბოთლი საფერავი, სიმინდის ფუჩეჩით დახურული.

— ესეც ღვინოო.

ბერიკაცმა ერთი ჰიქა დალია.

ერთი ჰიქა დედაკაცმაც მოსვა, ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით, თითქოს ვერ უბედავსო.

ფუჩეჩი ისევ დაახურეს და ბოთლი მიწაზე მიაწვინეს.

— გრილათ იყოს, ერთი ჰიქა მივსაც-დავალევირთო.

— სულ გაგიყდება.

— გაგიყდეს, ხო უნდა მიეჩვიოს? სიჩუმე ჩამოღება. ბებრებმა მზეს გა-ხედეს.

— აღარ ჩადის?

— რა გეჩქარება?

— განა მეჩქარება, ჩემთვის ვიკითხე.

— ხო არ დაიღალე?

— რა დამლლიდა...

ვენახზე წიწკანების გუნდმა გადაიფ-რინა და მაყვლიანებისაკენ გადავარდა.

— ხელი გამიშვი...

— დამიმტკიცე, რო გიყვარვარ.

— ოლონდ აქ არა...

— ნუ გააჭირე საქმე!

— არ წახვიდე, გეხვეწები!

— კარგი, როგორც გინდა.

— მაპატიე... მიყვარხარ.

— მაშინ დამიმტკიცე... დამიმტკი-ცე...

— ღმერთო, რა ღონიერი ხარ.

— დამიმტკიცე...

ძქძქებს გადაღმა ყმაწვილმა ჩაირბი-ნა.

— მოვკლავ... მაგისი.

გოგო გულაღმა იწვა, გახვეებული და ცას მიჩერებული.

— რა თქვი?

— მოვკლავ და ხრამში გადავადგებ!

გოგო გოცდა და თავზე გადმოხო-ბილ ბიქს თვალეში ახედა.

ბიქი ღრმად სუნთქავდა და გოგოს გაბოროტებული თვალებით დასცქე-როდა.

— ხელი გამიშვი... თავი დამანებე...

— ხო იცი, არ დაგანებებ.

— დავიღალე...

— სწორედ ეხლა ხარ კარგი... და-ლილილი...

— ღმერთო!

გოგომ თვალეები დახუჭა.

ბებოც აპყვათ, მე რაღა ვარო, და ახლა სამივენი იცინოდნენ.

ბოლოს ისევ პაპამ გაიხედა ქედის წვერისკენ:

— აღარ ჩადის?

ბალმა დასალიერს გახედა.

— ეპა! — დაიძახა და გახევედა.

ყმაწვილს არასოდეს ენახა მზის ჩაღვლა.

ზორს, ძალიან შორს, ზედ ქედის წვერზე იდო მზის ბურთი და თითქოს ბედს დანებებული, გაფითრებული, მშვიდად იწვოდა. მზეს ძალა გამოლოვოდა და ბებრების პატარა შვილიშვილს ახლა შეეძლო დიდი ხნის წადილი აესრულებინა — მზისთვის თვალი გაესწორებინა. ერთი წამით იდო მზე ქედის წვერზე და გახარებულმა ყმაწვილმა შეასწრო თვალი. მერე მზე ნელ-ნელა გვერდზე გადაიხარა და ქედის იქით ჩაცურება დაიწყო. ჯერ ციციქნა ნატეხი მოაკლდა, მერე განახევრდა, მერე და მერე სულ დაიკლო და ბოლოს, გახარებულმა ბალმა იმ უკანასკნელ სხივსა შეასწრო თვალი, ქედის წვერს რომ მოსწყდა და გადაიკარგა. ყმაწვილის სახეზე ჩრდილმა გადაიარბინა. ერთხანს ისევ წითლად ვარვარებდა ქედის თავი, მერე თითქოს დაღვევლდა, ჩაინავლა და ვენახებზე ბინდი ჩამოღვა. ნიავემა ჩამოიარა ორლობე, გადაიარა ვენახები და ქვევით, ძეძვიანებში გადავიდა.

— აპა! რისი გეშინოდა?

აქოშინებულმა ბიჭმა გოგოს თითქოს ხელი ჰკრაო. ბალახში ჩაემხო.

ელისო გულადმა იწვა თვალდახუჭული და ბიჭის ქლოშინს უსმენდა.

ცოტა ხნის მერე ბიჭმა გაიგონა:

— ბედნიერი ვარ...

როცა გოგომ თვალი გაახილა, ბიჭი უკვე შარვალში უყრიდა ფეხებს და იცინოდა.

თამაზ ზივილური

შვიდი ხმისა და ბორჯოლასათვის

ბებრები ლობიოს არჩევდნენ.

ქაქუცაანთ ელომ ამოიარა, ბებრებს მიესალმა და გზა განაგრძო.

— ბერიკაცმა თვალი გააყოლა.

— რატომ არაფერი მიაწოდე?

დედაბერმა გაიცინა:

— არ იცი, მაგისი ამბავი, გამაძღარი იქნება...

დედაბრის სიცილზე ბერიკაცმაც გაიცინა.

— ეგრე, ვენახებს ამოპყვება, ერთგან ატამს შეაწვდის ხელსა, მეორეგან ლელვსა, მესამეგან კაკალს და სანამ შინ ავა, ვახშამიც აღარ უნდა. გზაზე რაც კი შეხვდება, აუღებელს არ დაარჩენს, ყველაფერი შინ უნდა წაიღოს.

ბერიკაცი ისევ იცინოდა:

— როგორ ერევა ეს გამხდარი დედაკაცი?

მერე ბერიკაცი შვილიშვილს ეძახდა, აბა, ახლა მაინც გადმოდი, მართლა არ მოგშვივდა, ბიჭო, შენც ქაქუცაანთ ელო ხო არა ხარ, სხვის ლელვს შეაწოდო ხელიო.

დედაბერი ხითხითებდა, ჩუმად ილაპარაკე, კაცო, ჯერ აქვე სადმე იქნება, არ გაგიგოსო.

— გამიგოს, თორემ სირცხვილით პირი დაეწვებაო, — ისევ იცინოდა ბერიკაცი.

მზე მართლა ჩადიოდა. კაცი კი ისევ და ისევ კითხულობდა:

— აბა, გაიხედე, არ ჩადის მზე?

— ჯერ არა, ჯერ დიდი გზა დარჩა...

შვილიშვილი მოვარდა, პირდაპირ ტაბლას ეცა, შოთი მოტეხა და ჰამა დაიწყო.

პაპა იცინოდა:

— ნანადირევი რა უყავ?

ბალდი ილუქმებოდა.

— ღვინოს ხომ არ მიირთმევე?

— არ მინდა.

— დიაცა, ჩამოვიდეს მამაშენი... მოვახსენებ ყველაფერს.

ბალმა იცოდა, რომ პაპა კარგის მეტს არაფერს მოახსენებდა და პაპა და შვილიშვილი ერთად იცინოდნენ.

—რა გაცინებს?

— რა ვიცი...

ელისო შეძრწუნდა: ბიჭი ძალზე იოლად იცინოდა.

— იქით მაინც მიიხედე, ნუ მიყურობ...

ბიჭი ზურგშექცევით ჩამოჯდა და ბურანში წასული გოგო ახლა მხოლოდ მის ზურგს ხედავდა, რომელიც მზეზე ბრინჯაოსფერად ლაპლაპებდა.

ელისო მისწვდა და ზურგზე ხელი გადაუსვა.

ბიჭმა მოიხედა და გოგოს ხელი მოშორა.

გოგო აცხცახდა:

— კარგი, როგორც შენ გინდა...

მიიხედ-მოიხედა, შეეშინდა, და ბახს მიეხუტა.

— ბედნიერი ვარ...

ბიჭმა ისევ გაიცინა.

მერე ძეძვიდან პერანგი ჩამოიღო და გოგოს გადმოუგდო.

— აბა, ჩაიცვი...

იმ წუთში ელისომ უკვე იცოდა, რომ ბედნიერი არ იყო, რომ ყველაფერი ერთბაშად დამსხვრა, ყველაფერი გაშიშვლდა, როგორც გოგოს სხეული, როცა ბიჭმა სამოსელი გადაუხსნა და ძეძვებისკენ მოისროლა. იმ წუთში ჩამოხედა. მაგრამ ყველაფერი მაინც შუადღის მზის გულზე მომხდარა. როცა გოგომ თვალი გაახილა, მის წინ თავის ოცნებაში მრავალჯერ დახატული და გალამაზებული „ის ბიჭი“ კი არა, სულ სხვა ვიღაცა იცინოდა. გოგო მიხვდა, რომ საკუთარი სხეული ვიღაცას დაანება. ის ვიღაცა ახლა რაღაც ულახათო, საქციელწამხდარი ღიმილით დასცქეროდა და ლაჯებს შარვალში უყრიდა. მერე ეგრევე უცხო ღიმილით შეაქცია ზურგი, ბალახში ჩაჯდა და პაპიროსი გააბოლა.

იმ წუთში გოგოს მართლა აღარ შეეძლო იმ თვალბში შეხედვა, რომლებშიც მხოლოდ საძრახისი ცნობისწადილიდა მოჩანდა.

— ახლა სადღა გავიქცე... — ბალახებში ჩაემხო და ატირდა.

ბიჭს თითქოს არაფერი ესმოდა, პა-

პიროსს აბოლებდა და გოგოსკენ არ იხედებოდა. როცა მოიხედა, გოგომ მის თვალბში ახლა შიშის დანახა. ელისოს ერთბაშად შეეხრზა ეს ღიმილიც და ეს შიშიც.

ისევ თვალები დასუტა. ისევ ჩამობნელდა და ბიჭის ხმა სიბნელეში ჩაესმა:

— ახლა როდისღა?

— აღარასოდეს.

— შენ თვითონ დამიწყებ ძებნას.

— არ დავიწყებ... ვითომ არაფერი ყოფილა...

ბიჭი ისევ იცინოდა:

— კარგი, არაფერი ყოფილა.

გოგო მიხვდა, რომ ყველაფერი დამთავრდა. სულში სიცარიელე იდგა და მაინც ისე, რომ თავადაც არ უწყყოდა, რას ამბობდა, თქვა:

— ბედნიერი ვარ...

ბიჭმა ისევ გაიცინა.

არა, ეს მართლა აღარ იყო ის ბიჭი, რომელსაც ამქვეყნად რა აღარ მიაწერა. იმ ბიჭისა მხოლოდ სხეული ჰქონდა და ისიც ასე მოყირპებული და დაკოცნილი. შეუტნობი და იღუშალი აღარაფერი დარჩენილიყო. ყველაფერი უბრალოდ და ჩვეულებრივად ხდებოდა.

ბიჭმა კოპები შეიკრა:

— ჯერ შენ ვედი.

გოგო იღვა და არ იცოდა ახლა რა ექნა, საით წასულიყო.

ბიჭმა ზურგი შეაქცია.

— აბა, კარგად იყავი.

— კარგად იყავი.

— ახლა როდისღა-მეთქი?

— აკი გითხარი, აღარ-მეთქი...

— მალე წადი, თორემ ის ბებრები იყურებიან.

— რატო წელან არ გეშინოდა მაგათი?

— აბა, კარგად იყავი!

ბიჭმა ძეძვებში გადაალაჯა.

გოგოს სახეზე ღვარად ჩამოსდიოდა ოფლი.

— ერთი წუთით დაიცა! თუ მარტო იმიტომ მოხველ, რომ...

— ვერ გავიგე...

— ჩემთვის რო დაგეცინა, ან მართო ეს გაგეკეთებინა... იცოდე, მოკლავ...

ბიჭმა მოიხედა და გაიცინა:

— ვერ გამიმეტებ!

ეს იყო და ძეძვიანებს შეერია.

ნეტა რამე მქონდეს, მართლა ვე-სროლია, — გაიფიქრა გოგომ და დაუძახა:

— გეყურება ჩემი?

— ხო!

— მშიშარა ყოფილხარ...

ბიჭს ხმა არ გაუტია.

— მე რომელი მკვლეელი მნახე...

ელისო დაჟდა ბალახზე. ბიჭი მია-ლაჭებდა ძეძვიანში და გოგოს ძე-ძვების ლაწალუწი ესმოდა.

და ყველაფერი ცხადი გახდა. ბიჭს არაფერი უთქვამს, გოგოს ქხოლოდ თავისივე სამოსელი გადმოუგდო, ში-შველი სხეული დაიფარეო, მერე ძეძ-ვიანებში გაუჩინარდა და ალერსის სუნი დაუტოვა, მაგრამ გოგო მაინც გრძობდა, რომ ყველაფერი ამით დამთავრდა და წინ აღარაფერი იყო. მოსახდენი მოხდა... გადავიკარგები და ზედა აღარ შევხედავო, — გაი-ფიქრა ელისომ, მაგრამ მაშინვე მიხ-ვდა, რომ სანამ ის ბიჭი აქაურობაში ეგულებოდა, ვერსად ვერ გადაიკარ-გებოდა. ახლავე, ამ წუთშივე რომ უკან მობრუნებულიყო ხელახლა ნდო-მამორეული, გოგო კვლავ დაივიწყებ-და თავის ნაფიქრალს და უაზროდ და უსიქოდ დანებდებოდა. მერე კი კვლავ ვეღარ და ვეღარ დაივიწყებდა ბიჭის გაფიცებულ ტუჩებს, ღონიერ მკლავებს და მაღალ კისერს, რომელსაც თვალდაბრუნებული, ბრმასავით, თავდა-ვიწყებით კოცნიდა... ეს იყო და ეს, ბიჭისგან სხვა აღარაფერი დარჩენი-ლიყო.

ელისო წამოდგა და ბარბაცით ჩა-იარა ბილიკი. ღელეში ჩავიდა და ცოდვები ჩამოიბანა. მერე ბილიკს აუყვა და ვენახებისკენ გადაუხვია. იცოდა, თუ ახლავე ვინმე ხმის გამ-ცემი არ გამოჩნდებოდა, ეს ბილიკი

საღმე, ჯანდაბაში წაიყვანდა, ოღონდ იმ დაწყვეტილი სოფლისკენ



— გამარჯობა... სტუმარი ხეთისაა... ელისოს წინ ღობე იყო. ღობის გა-დაღმა ბერიკაცი და დედაბერი იდგნენ.

— დალილი ჩანხარ, გადმოდი, და-ისვენე...

ელისო ღობეზე გადავიდა და კუნ-ძზე ჩამოჯდა.

ბინდებოდა, დედაკაცი დარჩენილ სანოვანებს კალათაში ალაგებდა.

— გეშეება, მე თავმცვდარი!

დედაბერმა ელისოს ყველი და პუ-რი მოაწოდა.

— არა მშოა...

ბერიკაცმა გაუცინა:

— მაშინ ერთი ჭიქა დაგვიღიე.

ჭიქაში საფერავი დაუსხა და მოაწო-და.

ელისო შეშინდა. ვაითუ ეს იყო უკა-ნასკნელი ჭიქა ღვინო, რომელსაც სო-ფელი თავისი ხელით აწვდიდა.

ეს ჭიქა სიკვდილმისჯილის საბო-ლოო ნეტარებას ჰგავდა.

ჭიქა გამოართვა და სულმოუთქმე-ლად დაცალა.

ბერიკაცი გამხიარულდა.

— გაამოს.

დედაბერიც გამხიარულდა და კაცს გამოსძახა:

— დამაცა, პამიდორი მაინც მივაწო-დო, კაცო!

ბერიკაცმა ჭიქა მეორედაც გაავსო.

— იქნება მეორესაც გაუბედოს?

ელისომ ის ჭიქაც ჩამოართვა.

ვიდრე დაღევდა, გაირინდა.

—რა უბრალო ყოფილა ბედნიერება.

ის ჭიქაც დალია. ახლა ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით სვამდა და ფიქრო-ბდა, რომ წლების მერე, თუ ამათი ხნისა მოიყრებოდა, თვითონ აღარასო-დეს ეყოლებოდა ამგვარი საკუთარი ბერიკაცი და მასთან ერთად ვერც ჭიქა

თაბაჯ ზივილური

ფიქრი ხმისა და ბოროლასათვის

ღვინოს მიაწვდიდა საკუთარ ვენახთან ჩავლილ, ძეძვიანიდან გამოვარდნილ ვინმე გოგოს.

ელისო დედაბრის ხმამ გამოაფხიზლა:

— მოგიკვდეს ჩემი თავი, ვინ გაწყვიტინა, შვილო...

მობრუნდა, მადლობაც არ უთქვამს, ბებრებს ზურგი შეაქცია და წავიდა.

ვენახს რომ გადმოსცდა, ბერიკაცის ხმა გაიგო.

— გაუშვი წავიდეს, ღვინომ ზოგჯერ ეგრეც იცის.

სახლში დღემილი იდგა. გუშინ ეგონა, ამ წუთიდან თუ არა, ხვალიდან მაინც ქვეყანა დაიქცევაო. არა, ქვეყანა არ დაქცეულა, ეზოში კაკანებდა დედალი, შარაზე ბურღლუნით მოდიოდა ლიტალა და თვითონაც არ იცოდა ვის აგინებდა. დედა ბოსტნიდან იძახდა, იქნებ წამოდგე მაგ დასაწვავი ლოგინიდან და შემეშველო, ვერა ხედავ, პამიდვრები იმდენია, თითქოს ხელიც არ უხლათო.

ელისო იწვა და ჭერს მისჩერებოდა. გაიზმორა, ფანჯარა ჭურღულად გამოალო და გარეთ გაიხედა.

ქვეყანა მართლა არ დაქცეულა, ყველაფერი ძველებურად ჩანდა.

ტანზე კაბა გადაიცვა და სარკესთან მივიდა. დალილაგებულ ყელკისერს თვალი დაამტერა და სხვა კაბა მოძებნა, უფრო ბნელი და გულდაბურული. კარი გამოალო და აივანზე იმგვარი სიფრთხილით გადააბიჯა, თითქოს უცნობ პლანეტაზე გადადიოდა და ჭერ სინჯავდა, ფეხქვეშ მიწა ხომ არ გამომეცლებათ. „მიწა“ მყარი იჩვენა და უფრო შვეებით ამოისუნთქა. მაინც ყველაფერი ახლა იწყებოდა. უცხო ცთომილი ჭერ ისევ იდუმალებით მოცული ჩანდა და არავინ იცოდა, ამ ერთი-ორი ნაბიჯის იქით რა ელოდა, რას უმზადებდა ცთომილი. გოგო კი, რაც უნდა მომხდარიყო, ყველაფრისათვის მზად

იყო. მამ რად გაატარა მთელი ღამე ღვიძილში, რად გაათენა თეთრად და მთრგუნველ ფიქრებში, თუ ყველაფრისთვის მზად არ იქნებოდა და ყველაზე გამოსული თუ ამ უცნობ ცთომილზე ფეხდადგმული, ერთხელაც არ ეტყოდა თავის თავს: რისა უნდა გეშინოდეს?

ამ სიტყვებმა უფრო მეტად გაამხნევა, კიბე ჩაიარა, ბოსტნის ლობეს მიადგა და დედას დაუძახა: ეგ პამიდორი მომაწოდე, ეგ არა, მაგის გვერდით რომ არი, მომცრო და ოდნავ შემრეშილო. მაგრამ პამიდორი კი არა, საკუთარი თავის გამოცდა სურდა, აბა თუ შევძლებ და დედაჩემს თვალს გავუსწორებო... შესძლო! თვალის გასწორება კი არა და, სიტყვის თქმაც შესძლო, პამიდორი სთხოვა, მომცრო და ოდნავ შემრეშილი... რა ადვილი ყოფილა ყველაფერი! გოგო გათამამდა, თან საკინძეს იმაგრებდა, ყელი და გულ-მკერდი არ გამომიჩნდესო, თან დედას შესცქეროდა.

დედა გოგოსკენ არც კი იხედებოდა, პამიდვრებს არჩევდა, ყუთებში ალაგებდა, და იმაზელა ფიქრობდა, ხვალ დილითაც წამიყვანს შოფერი ქალაქში თუ მოსწყინდება ამდენი კატათავგაობა და მეტყვის, თავი დამანებეთ შენცა და შენმა ქალმაც, წუხელის სხვაზე დავინიშნეო. ნუ გეშინია, წაგიყვანს, — გულში ჩურჩულებდა გოგო და წყლისკენ მიდიოდა. დედა შორს იყო. ელისომ მაინც შიშით მიიხედა. გაბედა, საკინძე შეიხსნა და ყელ-კისერი ჩამოიბანა. მიხვდა, იმ ნაცნობ სუნს, რაც ბიჭის ალერსმა დაუტოვა, ამიერიდან ვერარა წყალი ვერ ჩამოიბანდა. მარტო ალერსი, მეტი არაფერი, — გაიფიქრა ელისომ და ამისიც მაღლობელი დარჩა. — კაცმა რომ თქვას, მეტის ღირსი არც ვიყავი, რაცა ვთხოვე ჩემი სამიწე თვალგებით, ის დამიტოვა, მეტი რა ექნაო. და ახლა, ამ წუთში, ისე მწვავედ მოუნდა ყველაფრის დავიწყება, ეგვე ალერსთან ერთი წამით მინდობა, რომ საკუთარი თავისა შეეშინდა, შარაზე არ

გავვარდე და ხმამაღლა არ დავიწყო ყვირილი, ხომ არავის დაგინახავთ ის ბიჭი, ახლავე მონახეთ და აქ მომგვარეთო.

ყვირილით არა, მაგრამ შარაზე მაინც გავიდა. იმედი ჰქონდა, აქვე სადმე იდგება, როგორც გუშინ მდგარა და ვენახისკენ წასულს შორიასხლოს ამედევენბაო. შარაზე ჰკვანება არავინ იდგა და გოგოს კიდევაც გაეხარდა, კიდევ ეწყინა. მარტო მე ვფიქრობ ამდენსო, — გაიფიქრა, — ის კი ჯერ არც კი ამდგარა, ლოგინზე გამოტილი ან არხეინად ფშვინავს, ან ალბათ იღიმებაო. ეძინა თუ ფეხზე იყო, გოგოს მაინც იმისი დანახვა უნდოდა და სოფლის შარას ისე დაადგა, სხვა არაფერზე უფიქრია. ელისოს გადაავიწყდა, რომ ცთომილი, რომელსაც მცირე ხნის წინ ფეხი ფრთხილად დააბიჯა, ჯერ ისევ შეუცნობელი იყო და მართლა ძნელად იტყოდი, ორიოდ ნაბიჯს იჭიო რა ელოდა.

ელისო კლუბისკენ წავიდა, სწორედ იქ, სადაც მუდამ ეგულებოდა ბიჭი. იქაც გაოცდა: კლუბთან ჯერ არავინ იდგა და, ცხადია, ის ბიჭიც არ ჩანდა. თუ ის ჯერ მართლა არ გამოსულა, სხვები მაინც სად არიანო, — გაიფიქრა. — იქნებ ეს უკაცრიელობა სხვა არაფერია, თუ არა ჩემს ჩასაქოლად მოწყობილი შეთქმულებაო. იქნებ სოფელი სახლებში იმიტომ შეყუჟულა, რომ რაც გუშინ ძეძვიანში საკუთარი თვალთ დანახა, თანაც ერთი თვალით კი არა, ათასი თვალით, ახლა გულდინჯად აწონ-დაწონოს, მოხდენილი სახელი დაარქვას და... მერე თვითონ იცის სოფელმა: ან თვალს დახუჭავს და იტყვის, არაფერიც არ მომხდარა, თვალმა მოგვატყუაო (ამისი კი ელისოს ყველაზე ნაკლებად სჯერა), ან ნანახს თუ მომხდარს ათჯერ უფრო გააზვიადებს და სწორედ ამ შარაზე გამოიტანს, რომელზედაც ახლა მარტოკა მიდის გოგო.

ელისო შინ ბრუნდებოდა და თავის თავს კიდევ ერთხელ (ახლა კი უკანასკნელად) აჯერებდა, არაფერიც არ მომხდარა, ქვეყანა მართლა არ დაქცე-

ულა, ყველაფერი დღესაც იმგვარადვეა როგორაც გუშინ და გუშინწინ იყო. დღესაც ამოვიდა მზე და საღამოზე ჩავაო. ეს ჩვენ, გოგოებმა ვიცით გავზვიადება, თითქოს ქვეყანას ჩვენს მეტი დარდი არა ჰქონდეს და მარტო იმაზე ფიქრობდეს, რა უნდოდა გუშინ ამ გოგოს ძეძვიანებში, თანაც მარტოკა კი არა, „იმ ბიჭთან“ ერთადო.

მიდიოდა შინისკენ და ტვირთი თითქოს უფრო და უფრო მსუბუქდებოდა, ტვირთთან ერთად კი — სურვილი ბიჭთან ხელახალი, უწყინარი და სხვათათვის გაუგებარი შეხვედრისა. საღამოზე ვნახავ, საღამოზე ხო უსიკვდილოდ კლუბთან იდგებაო, — თქვა და ჭიშკარი შეალო.

დედა აღარსად ჩანდა, ალბათ შოფრის მოსაძებნად და დასაბეგებლად წავიდა... გოგოს ესეც ეამა, დედის თვალს რომ მოერიდა და საამო ფიქრის მოლოდინში თავის ოთახში შევარდა. სამოსელი ერთბაშად შემოიძარცვა, წამით სარკეში შეავლო თვალი ლურჯი ლაქებით მოფენილ სხეულს და თავის თავისა შეეშინდა: ამ ლაქებმა რაღაც სიამაყე მოჰგვარა... ეს „იმ ბიჭის“ გავლებული ხნული იყო...

გოგო ლოგინში გაეხვია.

— ახლა მე ვიცი...

ამ მუქარაში თვალი ნელ-ნელა მილულა, წუხანდელ უძინარს ძილმა მაინც აჯობა.

რაღაცამ ხელი ჰკრა. გული ისევ დაუშვიძინდა. ეგონა, დილააო, დილანდელივით კაკანება დედალი და ეზოდან ხმა არ ისმოდა. სარკმლიდან გადაიხედა. ჩრდილები დაგრძელებულიყვნენ. მზე უკვე დასავლეთით გადახრილიყო. მცირე შვება, რომელიც ძილში დაუფლებოდა და ორიოდ საათით ყველაფერი დაევიწყებინა, ისევ დაძაბულმა მოლოდინმა შეცვალა. ვეება ლოდი ისევ დააწვა მხრებზე და ლოგინიდან ტანი ძლივს ააღებინა. სარკესთან მივი-

თამაზ ზვილური

ზვილური ხმისა და ზოროლოსათვის



და და თავი დიდ ხანს ათვალეირა. ნაკვალევი ძეძვიანის ცოდვისა ცოტა მიმქრალიყო, სხეული დაშოშინებულიყო და ახლა ისიც მომხდარის დავიწყებას ცდილობდა. აივანზე გამოვიდა. პირზე ცივი წყალი შეისხა. მცირე ხნით თითქოს სხვად იქცა... არა, ის ლოდი მხრებზე რომ აწვა, ოღნავადაც არ შესუბუქებულა.

ისევ ჭიშკარი გამოიხურა და ისევ შარაზე გავიდა. ჯერ იფიქრა, მოდი, ციალას შევუვლი და, ჯანდაბას, ყველაფერს ვეტყვი, იქნებ მართლა გამხელილი დარდი შუაზეა გაყოფილიო, მაგრამ ამისი გაფიქრებისაც კი შეეშინდა. ციალა დაქალი იყო, როგორ არა, ყველაფერში ენდობოდა, მაგრამ დარდა ისე მძიმედ აწვა, ცოდვა იმოდენა იყო, რომ მეგობარსაც ვერ გაუმხვლდა. ვაითუ, იმან უფრო ვერ გაივოს, მე შენ გეტყვი და, ერთხელ მაინც უკოცნია ვინმესთვის და რამე ესმის ამქვეყნისაო, — გაიციხა ციალა. აქეთ-იქით იყურებოდა. იმასლა შიშობდა, მართლა სადმე არ შემხვდეს და მართლა ყველაფერი არ ვუთხრაო. ციალა კი არსად ჩანდა. შარაზე უკვე საღამო ხანის ჩრდილები ეფინა და ელისომ იფიქრა, ახლა კი იქ იქნება, სადაც მუდამ იდგა ხოლმე, სადაც პირველად მოვკარი თვალიო. ამის გაფიქრება იყო და ერთხელაც სცადა, ახლა ნამდვილად უკანასკნელად, შინისკენ მიბრუნებულიყო და მართლა სულ დავიწყებინა ის დაწყვეტილი ორიოდე საათი, „იმ ბიჭთან“ ერთად ძეძვიანში რომ გაატარა.

ვერ მიბრუნდა!

კლუბთან ბიჭები იდგნენ.

ელისო შეჩერდა და ბიჭებს შორიდან გახედა.

გაოცდა... „ის ბიჭი“, რომელიც დღე და ღამ აქ იდგა, აღარსად ჩანდა.

გულზე მოეშვა. იფიქრა, ახლა კი მართლა გავბრუნდები უკან, ეტყობა, ყველაფერი მართლა დამთავრდა და გზის გაგრძელება აღარა ღირსო, მაგრამ უკან გაბრუნების ნაცვლად გზა გააგრძელა.

ბიჭები გუგულას აწვალებდნენ. გუ-

გულა შუა შარაზე, მტვერში გორავბდა და ღმუოდა, სპილო ვარო, აბა თუ სპილო ხარ, ხორთუმიდან წყალი გამოუშვიო, — აქეზებდნენ და გუგულაც, გაღმობული და ბედნიერი, შარვალს გულმოდგინედ ისველებდა. შარაზე მიჰქროდნენ ავტობუსები. ავტობუსებიდან დაღლილი მგზავრები და ბედნიერი ტურისტები იცქირებოდნენ. გუგულა ხელს უქნევდა მგზავრებს და თავადაც ბედნიერი იყო. უჩვეულო მართლა არაფერი ხდებოდა. უჩვეულო მარტო ის იყო, რომ „ის ბიჭი“ არსად ჩანდა. ელისო ვერა და ვერ გაიგებდა ცამ ჩაყლაბა თუ მიწამ, ვერავის შეეკითხებოდა, შეკითხვა რას მიქვია, იმ ადგილისკენაც კი ვერ გაიხედავდა თამამად, სადაც „ის ბიჭი“ ეგულებოდა. გუგულა ღმუოდა და მიყურეთ, ვეფხვი ვარო, გაიძახოდა. თუ ვეფხვი ხარ, მიდი, ის გოგოები დაჰამეო, — აქეზებდნენ ბიჭები და გზაზე მიმავალი გოგოებისკენ დენდნენ. გუგულა გარბოდა, გოგოებს კაბებზე ეჭიდებოდა, ვეფხვი ვარო, ირწმუნებოდა, მაგრამ გოგოებისთვის მაინც გუგულა იყო და მეტი არაფერი, გუგულასი კი არავის ეშინოდა.

მაშინ გუგულა მობრუნდა და ელისოსკენ წამოვიდა.

ელისომ გაუღიმა.

გუგულა ამ ღიმილმა მოათვინიერა და გზა მისცა.

იმ წუთში მოისმა ზურგს უკან ვილაცის ფრთხილი ხმა:

— ბედნიერი ვარ...

ერთბაშად ჩამოხნელდა და ამ ბნელში ელისომ ფეხი ვედარ გადადგა.

— ბედნიერი ვარ...

არა, არაფერიც არ მოსჩვენებია! ყველაფერი ცხადი იყო! ვილაცის იღუმალი ხმა ძეძვიანში ჩურჩულით ნათქვამ სიტყვებს იმავე ჩურჩულით და იღუმალი ხმით იმეორებდა.

ელისო არ მიბრუნებულა, ძალა მოიკრიბა და ნაბიჯი გადადგა. უკვე სულ ერთი იყო, ვისგან მოდიოდა ეს ხმა, ვისი პირით ითქმოდა, ფარნაოზისი თუ ჯიმშიტასი. სიტყვა უკვე დაფანტული-

ყოფი, თოფი გასროლილი ჩანდა და ახლა აზრი აღარ ჰქონდა, რომელი მხრიდან წამოვიდოდა ეს საფანტი.

იმ „ერთი ბიჭის“ პირით მთელი სოფელი ხითხითებდა:

— ბედნიერი ვარ...

არა, ელისომ არც მიიხედა, არც არაფერი თქვა. იმ ორი სიტყვის მთქმელმა იფიქრა, თოფი მიზანში კარგად ვერ მოვახვედრეთო, ძუნძულით წამოვიდა, ქუჩა გადმოჰკრა და გოგოს გზა გადაუღობა.

ელისომ თვალი გაახილა.

მის წინ წიქარაანთ ჯიმშიტა იდგა ოფლში გახვითქული და ილიმებოდა:

— ბედნიერი ვარ...

ელისომ სილა გააწნა.

მერე რა მოხდა, აღარ ახსოვს...

როცა გონს მოეგო, საკუთარ ჭიშკართან იდგა. შევიდეთ თუ არ შევიდეთო, გაიფიქრა და მაშინვე მიხვდა, რომ აქ დაყოვნება არ შეიძლებოდა, ეს საკუთარი სახლის ჭიშკარი იყო და თუ აქაც არ შეესვლებოდა, მაშინ ქვეყნიერების კარი საბოლოოდ გადაკეტილი ყოფილა. გოგო იდგა ჭიშკართან და, ღმერთო, ასე ეგონა, გარშემო ყველა სახლის კარ-ფანჯარა გაიღო, მთელი სოფელი, დიდინ-პატარიანად, გარეთ გამოიფინა და მხოლოდ იმ სიტყვებს იმეორებდა შარაზე რომ წამოსძახეს. ამ ათასობით ხმაში ვერც კაცს გაარჩევდი და ვერც ქალს, ვერც მოხუცს და ვერც ბაღს. ეს ერთი ხმა იყო და სხვა არაფერი მოეთხოვებოდა, გარდა იმისა, რომ სხვა ყველასაგან არავინ გამოორჩეულიყო, დროზე ადრე არავინ ჩაჩუმებულყო.

გაკვირვებულმა გოგომ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა. არავისი ჭიშკარი არ იღებოდა. მთელი სოფლის ფანჯრები თითქოს ერთიანად დაგმანულიყო. ხმები კი მაინც ისმოდა. ამ ქაოტურ, ერთმანეთში აზელილ ხმებში თანდათანობით იკვეთებოდა სიტყვები, ჩნდებოდნენ სახეები, გალიმებული და მაინც მკაცრი სახეები. აი, სკოლის დირექტორი, „აქი გაფრთხილებდით“, — ამბობს

დირექტორი, „მუზეუმში ერთხელაც არ შემოსულა“, — თავს აქნევს რაჟდენა ხარატიშვილი. „ეგე, მარტო ზემოთ გიკვირთ ხოლმე“, — ხითხითებს ფერშალი სერგო ჩუგუაშვილი. „ქალაქლებზე ლაპარაკობთ და სოფლებები უარენსი არიან...“ — ეს ფრანგულის მასწავლებელია. „კიდევ კარგი, მამაშენი მთვრალია და ჯერ არაფერი იცის“, — ეს დედაა, „გაბზარული კოკა რალათ მინდა!“ — ეს, რალა თქმა უნდა, შოფერი და თვით გუგულაც, ყველას დასანახად ზურგს აქცევს, რათა ამ ყოველად უპოვებელ ქვეყნიერებაზე სამუდამოდ იზვიმოს უმანკობამ.

სიტყვები ისევ ერთმანეთში ირევიან, ნაცვლად სიტყვებისა, გაბმული ზუზუნის ისმის და ეს ზუზუნი საოცრად ჰგავს ღირიყორის მომლოდინე ორკესტრის ხმაურს: ყველა თავის ინსტრუმენტს აწყობს. ერთმანეთს არავინ უსმენს. აქა-იქ გაილეკებს მელოდიის ნაგლეჯი და ისევ წყდება. ქაოსი ღირიყორს ელის, რათა ერთი ხელის მოქნევით ყველაფერი დალაგდეს და სათქმელი პირდაპირ ითქვას. ღირიყორი გამოდის! ღმერთო ჩემო, გუგულა! თეთრი პერანგით, შავი ფრაკით და შავი ბაბთით... ამგვარ გუგულასაც არ დაინდობენ, ვილაცა თავში წამოჰკრავს და ღირიყორის პულტიდან გადააგდებს. გუგულა ბლავის... მაინც არაფერი, ელისოს სულაც არ ეშინია ამ ორკესტრიდან წამოსული ხმებისა და მარტო ერთი რამელა აფიქრებს: ამ ხმებში იმათი ხმაც ხომ არ ურევია, იმ ბებრებისა, გუშინ საღამოს ძეძვიანის მერე ჭიქა ღვინო რომ მოაწოდეს. გოგომ ეს უნდა გაიგოს. ამას ახლა უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამაზე ჰკიდია ყველაფერი, ისიც კი, შეადებს თუ არა იმ ჭიშკარს, თავის საკუთარ ჭიშკარს.

არა, ის ხმები მართლა არ ისმის...

ელისოს ხელმა ნელა შეაღო ჭიშკარი. დედა ეზოში იდგა.

— რა მთვრალივით დადიხარ, გოგო...

თამაზ ზივილური

შვიდი ხმისა და ტოროლასათვის

— არაფერი იცის, — გაიფიქრა გოგომ.

შინ შევიდა. ტანტზე მიწვა და ელოდა როდის ამოვიდოდა დედა, ნეტავი უკვე ყველაფერი იცოდეს, ამოვიდეს და მომკლასო, — გაიფიქრა. ამაში მაინცდამაინც მოულოდნელს ვერაფერს ხედავდა. თუ ეს მოხდებოდა, კარგად იცოდა, სოფელი გოგოსაც გულწრფელად შეიცოდებდა და გულში არც დედას გაამტყუნებდა. ქვეყანას თავისი კანონები ჰქონდა და ეს კანონი ითხოვდა, სოფლის შემარცხვენილი გოგოს ან სადმე გადამაღვას, ვიდრე სხვა, ახალი ვინმე არ შეარცხვენდა სოფელს და ძველი არ დაავიწყდებოდა, ან სასაცილოდ აგდებას. მაგრამ დედა თუ შეიღს შოკლავდა, ეს უფრო დიდი ამბავი იქნებოდა. ამაზე ათ წელიწადს მაინც ილაპარაკებდა სოფელი. ოღონდ მთლიანად ვერც ეს სიკვდილი გამოისყიდდა იმ ცოდვას, რისი პატივაც ადათში არ ეწერა. გოგოს ცალ-ცალკე ყველა შეიცოდებდა, ერთად კი სოფელი დაუნდობელი იყო. სოფლის შარაზე აბორგებული ამბავი ნელ-ნელა იმიტომ იზრდებოდა და იბერებოდა, რომ ბოლოს ერთ დიდ გრგვინვად დაძრულიყო და ელისოს თავზე დასტეხოდა. ეს იქნებოდა სოფლისათვის ნეტარი დღე, როცა სოფელს ყველა თავისი ცოდვა დაავიწყდებოდა: ქურდი აღარ იქნებოდა ქურდი. ყაჩაღს აღარ ეთქმოდა ყაჩაღობა, ფლიდი აღარ იფლიდებდა, ჭორიკანა ჭორს კი არა, მართალსა იტყოდა, ძუნწს დაავიწყდებოდა ძუნწობა. ხარბი გულუხვი გახდებოდა. ყველა ერთმანეთს დაუთვგობრდებოდა. ყველა ერთმანეთი შეუყვარდებოდა... მარტო ეს ერთი ელისოღა გამოჩნდებოდა საძრახისი, ეს ელისო, ვიღაც ქალაქიდან ჩამოსულ ბიჭს რომ ძეძვიანებში თავისივე ნებით, თვალდახუჭული დაუწვა. ეს რომ არა, სოფელ-ქვეყანა უმწიკვლო იქნებოდა! და დედაც, თუ მართლა თავს დაკარგავს და გოგოს მოკლავს, ამას მხოლოდ სოფელ-ქვეყნის დასანახად გააკეთებს, ყველაზე

უფრო სოფელ-ქვეყნისა შეეშინდება.

— წავიდა, გაქრა! — ესეც „იმ ბიჭზე“ იფიქრა გოგომ და ამ ეტყობოდა გაქრობაშიც რაღაც მისტიკურს ხედავდა, როგორც მისტიკურს ჰგავდა ბიჭის მოვლინება, ერთბაშად, ხმის ამოუღებლად, შორიდანვე რომ მონუსხა და ახლოს მერედა მოვიდა, წინდაწინვე მოზეიმე და საკუთარ ძალაში დაჯერებული. ელისომ არ იცოდა, რომ ბიჭის გაქრობაში მისტიკური არაფერიც არ იყო. ყველაფერი უბრალოდ მოხდა. ბიჭს შეეშინდა და წავიდა! წავიდა, როცა მამიდან ურჩია, ვისთანაც ბიჭი ზაფხულის გასატარებლად ჩამოსულიყო, წადი, გაერიდე აქუთობას, სოფლის ყბაში არ ჩამაგდოო. არც ის იცოდა, რომ ყველაფერი მაინც იმ შიშის გამო მოხდა, ბიჭს ის შიში ერთბაშად მოერია. გოგოსთან სხვა დროსაც ყოფილა, მაგრამ ასე უწვალებლად, ასე საკუთარი ნებით, და თანაც ასეთ უბიწო გოგოს ბიჭი პირველად გადაეყარა და ამან შეაშინა. სიყვარული კი მართლა არ ჰქონდა. ბიჭმა ის თამაში დაიწყო, რაც მრავალჯერ უთამაშია და არც კი უფიქრია, რომ ყველაფერი ასე თავისთავად, ძალდაუტანებლად და ბრიყვულად დასრულდებოდა.

ყველაფერი კი მართლა ამ ორმა სიტყვამ ქნა, გოგომ საკუთარი სინდისის დასამშვიდებლად ზეცას რომ უთხრა, ბიჭმა კი სოფლის შარაზე ამყად გამოიტანა.

— ბედნიერი ვარ...

ეს რომ არა, გოგო ხმის ამომღები არ იყო, ტკივილს, რომელიც ბიჭმა მიაყენა, დედამიწის ზურგზე ვერასოდეს ვერავინ გაიგებდა. ამ ტკივილს სამარეში ჩაიტანდა და მთელი ცხოვრება იცხოვრებდა ვალმოხდილივით, რომელმაც თავისი წილი სიყვარულიც გამოსცადა, გულისტკენაც და მარტოხელობის სევდაც. გოგომ მთავარი არ იცოდა. მთავარი ის მზაკვრული ფიქრი იყო, რამაც „ის ბიჭი“ გააგიჟა: რა აზრი ჰქონდა იმ ძეძვიანში მომხდარ ამბავს, თუ სოფლის შარაზე ერთი-ორი ვინმე მაინც

არ გაიგებდა და ამბის გმირიც ამაყად არ გადახედავდა თავის სამწყსოს.

ღედა ისევ გარეთ იყო და გოგო ფიქრობდა:

— მოდი ყველაფერს ვეტყვი, ბარემ მომკალი-მეთქი.

შეეცოდა ღედა. ცოტა ხანსაც იყოს ბედნიერიო, — გაიფიქრა და ტირილი დაიწყო.

— ნეტავი რას იზამს, როცა გაიგებს. გოგომ იცოდა, თუ ღედა გაიგებდა, იმ წუთში ღედაც სოფელი გახდებოდა. სოფელი რომ არა, ღედა მივიდოდა (ამაში გოგო ღრმად იყო დაჭერებულნი), თავზე ხელს გადაუსვამდა და როგორც უწმინდურისგან მოწუხულს, ან დიდი ხნის მერე შინ დაბრუნებულ შვიტომილს, ყველაფერს უსიტყვოდ აბატებდა. რისხვა, გოგოს რომ დაატყდებოდა, აქ, საკუთარ სახლში კი არა, სხვაგან, სადღაც აბორგებულა და თანაც იმგვარად, რომ თითს ვერავის დაადებდი, ვისგან და რისგან მოდიოდა. ეს რისხვა ყველასი იყო, ყველას ერთად ეკუთვნოდა, ცალ-ცალკე კი — არავის. ახლა, ცალ-ცალკე, ეს ვეება სოფელი რომ სადღაც უდაბნოში ჩამოერიგებინათ, ერთმანეთისგან დაშორებული, სოფელი რომ ერთმანეთის მოშიში არა ყოფილიყო, გოგოს შეეძლო მშვიდად, კარდაკარ ჩამოეველო, როგორც მიაღმა გულში იმ ბებრებს, და თითო ჭიქა საფერავს ყველა გულწრფელად მოაწვდიდა. გოგო დაჯდებოდა და რაც უნდა წვრილად მოეთხრო თავისი ამბავი, რაც კი „იმ ბიჭის“ ნახვის პირველი დღიდან ღღემდე გადახდა, ყველა თანაგრძნობას ეტყოდა, მამაშვილობას თუ ღედაშვილობას, დამძობას თუ მოკეთობას გამოუცხადებდა, თბილ კერას და თავშესაფარს მისცემდა. საშიში ის იყო, რასაც სოფელ-ქვეყანა ერქვა, ცალ-ცალკე კი ყველა ადამიანი იყო და გოგოს ადამიანის კალთაში თავის ჩადებას და ხმამაღლა ტირილს ამ წუთში არაფერი ერჩივნა.

— წავალ, გადავიკარგები, — გაიფიქრა გოგომ და წამოხტა.

უმწეოდ მიიხედ-მოიხედა და კარგად უკარგავიც არსად ჩანდა.

მაშინ გაახსენდა ის მხსნელი სიტყვა: ჩალაური! ცა განათდა და ამ ცისკიდეზე, ზემოთ, სულ ზემოთ, გამოჩნდა ოდესღაც გადავიწყებული, მაგრამ მაინც ოცნებად ქცეული ჩალაური, იქაური ნათლიღედა, ხელედამსკდარი და სახედაღარული ოსანა ძალო, ხუთ წელიწადში ერთხელ რომ ესტუმრებოდა ხოლმე აქაურობას და გოგოს მაინც არ ავიწყლებოდა.

— სად არი ოსანა ძალო? რა ხანია აღარსადა ჩანს...

ჩალაურის სიხარული ისევ ბურუსში გაეხვია.

— იქნებ აღარც არი ოსანა ძალო...

ჩალაური! ქვეყნის დასალიერზე გადაკარგული ჩალაური! თითქოს ჩალაურს იქით აღარაფერია. სამყარო იქა მთავრდება და მერე იწყება ის მარადიულობა, საითკენაც მუდამ ვისწრაფვით... ჩალაური თუ გადამარჩენსო, — ფიქრობდა ელისო და თავადაც არ იცოდა რატომ და როგორ, რაღაცას ეძებდა, რაღაცას ჰყრიდა პატარა ჩანთაში, ჩერდებოდა, უსმენდა, აქეთ-იქით იყურებოდა, არავინ დამინახოსო და ისევ ეძებდა რაღაცას. ღედაჩემიც გადარჩება, მამაჩემიც... მთელი სოფელი გადარჩება! რა სისულელეა! თითქოს ერთი წასვლით ან ჩალაურის გახსენებით მართლა ყველაფერი მთავრდებოდეს. თითქოს ჩალაური მართლა ქვეყნიერების დასასრული იყოს. წახვალ და ამ წასვლით ყველაფერი იწყება. წასვლა უკვე ამბავია. სოფელ-ქვეყანას კი ახლა სწორედ ამბავი სჭირდება. ერთი ამბავი უკვე მოხდა! მეორე ამბავი ახლა იწყება...

ყური მიუტდო.

არაფერი ისმოდა.

— მგონი იძინებენ...

თაბაჯი ბივილირი

ზვიედი ხმისა და ბორბოლასათვის



მერე კარს მიაწვა და ფრთხილად გამოალო.

- საღ მიხვალ, გოგო!
- გაჩერდა, ჩანთა გადაავლო.
- არსად... ცილასთან გადავალ!
- თავში ქვა იხალე!

ჩანთა ისევ აიღო და გარეთ გამოვიდა.

სოფლის შარაზე აღარავინ ჩანდა. სოფელი სახლებში ჩაბუდებულიყო.

ალბათ ჩემზე ლაპარაკობენ.

ცას ახედა და წვიმა ინატრა. ხეირიანად არც იცოდა, რად უნდოდა წვიმა. მაგრამ წვიმა არ მოდიოდა. არ იცოდა, საით წასულიყო, რა გზას დასდგომოდა. უცხო გზაზე გამოსვლა, ისიც დამით, როცა ცაზე ვარსკვლავები კი ენთებიან, მაგრამ არც ერთ ვარსკვლავს არ შეუძლია გზა მიგასწავლოს, მხოლოდ მოთხრობაში თუ ლეგენდაში ყოფილა ადვილი. გოგოს კი გზაზე მხოლოდ მიუსაფრობა და სიცარიელე მიაცილებდა. ცისქვეშეთში შემწე აღარავინა ჰყავდა. წვიმა რად უნდოდა ამ ღამეს? სოფლის დაცარიელებულ შარაზე ამ გოგოს მეტი ისედაც არავინ იყო. სახლებში შუქი ენთო, მაგრამ არსაიდან ხმა არ გამოდიოდა. არც ძაღლები ყუფდნენ, არც მანქანები ჩანდნენ. მარტო ეს გოგო იდგა გზაზე და არ იცოდა, საით წაიყვანდა ეს გზა, ან ის ჩალაური საით იყო, თითქოსდა მხსნელად გაჩენილი ჩალაური.

— მშვიდობით...

შეკრთა, შეეშინდა, ჩემი ხმა ხომ არავინ გაიგო.

არავის არაფერი გაუგია და გზა განაგრძო. ცოტა რომ გაიარა, ტირილი მოესმა.

შუა გზაზე გუგულა იჯდა და ბალღით ღწოდა.

- რა გატირებს, ბიჭო!
- კინოში არ შემიშვეს...
- ნუ გეშინია... კინო უშენოდ ვერ გაძლებს.

გუგულამ ცრემლები მოიწმინდა და ერთბაშად გამხიარულდა.

ელ.სომ გზა განაგრძო.

გუგულა ირგვლივ წრეს აბრტყამდა და ბლაოდა:

- ქალი მინდა!
- ქალი მინდა!
- გოგო გაჩერდა.
- გაჩუმდი.

გუგულა გაჩუმდა.

— ვერა ხედავ, სოფელსა სძინავს.

გუგულამ ორღობეში გადაუხვია.

- ეგ შენი ორღობე არ არი, ბიჭო...
- ხო, ჩემი არ არი...

გუგულა ისევ გაჩერდა, მიიხედა, და იღმუვლა და გზა განაგრძო.

ერთ პატარა სოფელში ცხოვრება ჩაეკვდა.

სოფლის შარაზე დარჩენილმა ვიღაც გოგომ თავის სიცოცხლეში პირველად გაიფიქრა, საით წავიდე, რა გზას დავადგეო.

იდგა გზაზე და სიცარიელე, რომლითაც მთელი მისი სხეული და სული ავსილიყო, იმდენად მიძიმე იყო, არსაით აღარ უშვებდა. მას შეეძლო ამგვარად მდგარიყო აქ, ამ სოფლის შარაზე, როგორც გაქვავებული და უსიტყვო მოჩრილებით მოესმინა ყველაფერი, რასაც აქეთ-იქიდან გადმოსძახებდნენ, სახიდან არ ჩამოეწმინდა არც ერთი გუნდა ტალახი, რომელსაც ესროდნენ. არაფერშიც არა ვტყუივარო, — ფიქრობდა, მაგრამ თვითგვემის სურვილი იმდენად დიდი იყო, იმანაც კი გაუეღვა, მოდი დაეუცდი კინოდან ბიჭ-ბუჭების გამოსვლას და ერთხელაც გავიგებ იმ ორ სიტყვას, მე რომ ვთქვი ძეძვიანებში, ანლა კი მთელი სოფლის გასართობი და სათრეველი გამხდარაო: — ბედნიერი ვარ...

ესა თქვა და დაიყვარა:

— იქნებ, ესეც ბედნიერებაა?! აქ რო ვდგავარ, მარტოკა და არ ვიცი, საით წავიდე! იქნება მარტო მე ვარ ბედნიერი მთელ ამ ცისქვეშეთში?! ვინ რა იცის? იცის კი ვინმემ რაიმე?!

საიდანღაც გადმომსკდარი მანქანა ზედ ელისოს გვერდით გაქვავდა.

შოფერმა კარი გამოალო:

— ეგე, ეგ გინდოდა! ეხლა წადი და იარე!

კარი მთელი სოფლის გასაგონად მიიჯახუნა და გავარდა.

დიდ ხანს მიდიოდა ღმუილითა და გნიასით.

ბოლოს შორს, ძალიან შორს ისევ შეჩერდა, ნელა მობრუნდა და პირდაპირ წამოვიდა.

მძლავრი ფარების შუქი ელისოს სახეზე შემოასკდა.

მანქანა გოგოს წინ უაზროდ თუხთუხებდა. მერე ჩაქრა. შარაზე სიბნელე ჩამოწვა და ამ ბნელში ეგრე, პირისპირ იდგნენ ვეება რუხი მანქანა და ტანმოჩილი გოგო.

სიჩუმეში კარი ღრჭიალით გაიღო და მანქანიდან შოფერი გამოვიდა.

— ჩაქეკი!

გოგო ჩაჭდა.

მანქანის კაბინაში არყის მძაფრი სუნი იდგა.

მერე გიყებივით მიჰქროდნენ.

— სად წაგიყვანო?

— საითაც გინდა...

— არავეინ გითხრა, საით წადიო?

— ჩალაურში...

— ეს ჩალაური სადღაა?

— არ ვიცი...

გზაზე ბარბაცით მიდიოდა კაცი.

— ბიძაჩემო, ჩალაური საით არი?

— ვერ გავიგე...

— ჩალაური საით არი-მეთქი?..

— არ ვიცი... არც კი გამიგია...

ჭიშკართან გამოსული დედაბერი ვილაკას ელოდებოდა.

— ჩალაური საით არი, ბებო?

— არ ვიცი, არ გამიგია, შვილო...

გაგიყებულ მანქანას ლაწალუწი გაჰქონდა. გოგოს არაფრისა აღარ ეშინოდა. გაგიყებული, გზაზე ღმუილით გავარდნილი მანქანა სწორედ ის იყო, რის უკეთესსაც ვერც კი ინატრებდა.

ბიჰს მიანც უთხრა:

— გაგიყდი?

— არაფერიც არ გავგიყდი!

ერთმანეთს შეხედეს.

გოგო გაოცდა. თითქოს პირველად დაინახა ეს ბიჰი. ბიჰს თვალებიდან ცრემლები სდიოდა. ბიჰმა გოგოს თვა-

ლი აარიდა. შუქფარებით განათებულ გზას გახედა და ბლავილი დაიწყო: "რა ლამაზი ხაარ, თუ შეთო..."

გზა. ხევი. ბოგირი.

წყვილია. აღმართი. დაღმართი. შიში. სიხარული. მანქანის ღრჭიალი. აბღავლებული ბიჰი. ნეტა რაღას მღერის? ნეტა რა ამღერებს... წყარო. სულის მოთქმა. ისევ სიბნელე და ბნელს მიცემული გზა.

როცა ჩაწყნარდნენ, უკვე ტყეში იყვნენ.

— შენ აქ დაიძინე, მე ზევით ავალ... შოფერი იდგა და კარის მოხურვას არ ჩქარობდა.

გოგო თვალს არ ამორებდა.

— რა იყო?

— არაფერი...

კარი მიიხურა. აეთო ძარაზე აბობლდა.

ელისომ სარკმელი გააღო.

— არ შეგცივდეს...

— რა შემაციებს.

ათო გულაღმა გადაწვა ფიცარზე. ხის კენწეროებს შორის მოქცეულ ცის პატარა ნაგლეჯზე ვარსკვლავები ენთო.

— მანდ რადიოა, თუ გინდა...

ცოტა ხნის მერე რადიოს ხრიალი მოისმა: რომელიღაც სადგური გაუგებარ ნიშნებს იძლეოდა. ვილაც კაცი კენესოდა და თავის თარსაც აკვნესებდა. ბიჰმა თვალები მილულა, იმ გაბმულ კენესას სადღაც უდაბნოში გადაჰყავდა, აქლემების ქარავენებით გზაგაკვალულ, ცხელ და უსასრულო უდაბნოში. არასოდეს ყოფილა უდაბნოში, მაგრამ ამ მუსიკის თუ სიმღერის ენით ისე აშკარად ისახებოდა ყველაფერი, რომ ბიჰს შეუმცდარად შეეძლო ეთქვა: ეს უდაბნოა, წუხელ უდაბნოში ვიყავიო.

უდაბნოში ხეტიალი შეწყდა. ახლა კაცის ხმა გაისმა. ფრანგულად მღერო-

თამაზ ზიზილური

შვიდი ხმისა და ტოპოლასათვის


და და ბიჭს დაუსრულებლად შეეძლო ამ სიმღერის მოსმენა, თუმცა ისიც არ იცოდა, კაცი რა ენაზე მღეროდა, ან რას ამბობდა. მერე სახელი გაიგონა. იმ ერთმა სახელმა ყველაფერი გასაგები გახადა: იზაბელ, იზაბელ, იზაბელ! ალბათ უყვარს ის იზაბელა, — გაიფიქრა ბიჭმა, — ზედ არ ეტყობა? რალაცას ეხვეწება... გოგო კი ალბათ უარს ეუბნება. ეგრე არ უნდა ეხვეწო... წელანდელი თავისი ცრემლები გაახსენდა და მაინც თავი გაიმართლა: მე ხო არაფერი მითქვამს! ხო არ შევხვეწნივარ? არც წელან და არც სხვა დროს... კაცმა ხვეწნას თავი დაანება (ალბათ არაფერი გამოუვიდა) და თავი გაიმხნევა. აღარ უყვარს, მორჩა და გათავდა!..

ვილაცამ ლაპარაკი გააბა და გოგომ ისევ სხვა სადგურს დაუწყო ძებნა. ვილაცა ჩურჩულებდა. ალბათ იცის, რომ შუალამეა და ეშინია ძილი არ დაგვიფრთხოს... ძილი კი არა, ის არ გინდა... მერე ვილაცა გაცოფებული მღეროდა, მღეროდა კი არა, ჩხუბობდა, რალაცას ამტიციებდა, რალაცა უნდოდა... ლაწირაკი ჩანს, ვიცი ეგეთები. ისიც ეგეთი იყო! თითონაც ვერ გეტყვიან, რა უნდათ. ამის გაფიქრებაზე შოფერი გოგოზე გაბრაზდა: მე ხო ვიცი, რომ არაფერი მესმის, მაგრამ ნეტა მაცოდინა, რა მოსწონს ამ ბიჭის ყეფაში! „იზაბელა“ კიდე მესმის, ის მაინც სხვა იყო, ხელებოდი მაინც, რაზე ჩიოდა, უყვარდა და იმიტომ ჩიოდა! იმ ბიჭსაც ჩაუწყვიტა გოგომ ხმა. ფიქარზე გულალმა გაშოტილ შოფერს გაეხარდა: ეტყობა, ამათაც არ მოეწონა. ან რა იყო მოსაწონი? განა ტელევიზორში ერთხელ გვინახავს? თმა გოგოსავით ექნება გაწეწილი, თვითონ გამხდარი იქნება, გახრიკინებული, თეთრი ხალათი კიბამდე ექნება ჩახსნილი, შარვალი კი წვრილ კანკებზე შემოკრული. ნეტა რად მოსწონთ ეგეთი ბიჭები...

ელისომ რადიო გამორთო და ტყეში სიჩუმე ჩამოდგა. შოფერმა თავი მოიმძინარა, მაგრამ ვიწრო სარკმლიდან ცხადად ხედავდა, როგორ მიდო გოგომ

თავი სახურავზე და მიყუნიდა: ნეტა რაზე ფიქრობს? ბიჭი ერთბაშად წამოვარდა: ალბათ იმაზე! ამის გაფიქრებაზე შოფერმა თავისი თავი დაიხრია. თვალა, ამ ორპირი გოგოს ნებას დამყოლ ქალაქუნად, გზაზე რომ გიჟივით მოაქროლებს მანქანას და კარგად ვერც გაიგებ, ტირის თუ მღერის. აკი ყველაფერი მორჩა! მოსახდენი მოხდა! აკი უთხრა თავის თავს, იქ, სასადილოში, როცა ძმაკაცებმა სოფლის შარაზე ყურმოკრული დიდის მორიდებით და სამძიმრით გაუმხილეს, რომ ამის სახელს აღარ ახსენებდა და ხვალვე დაჰყვებოდა მამიდას ნებას, სადღაც, ახმეტაში, გოგო რომ ჰყავდა ძმისწულის საბედლოდ ამორჩეული. დავილაღე, მართლა და მართლა!..

გოგომ ისევ ჩართო რადიო. ვილაცამ ნაცნობ პანგზე დაიწყო სიმღერა. სპარსი მღეროდა, მაგრამ ბიჭი ფიქრით თავის ნაცნობ სამწვადეში ვადავიდა, სწორედ იქ, სადაც დღესაც იყო და სადაც ეს დამამცირებელი ამბავი უთხრეს. იმ სამწვადეში დილაობით ხაშსაც აკეთებდნენ, შუადღის მერე კი ხინკალს. იქ პატარა „ორკესტრიც“ უკრავდა: დოლი, გარმონი და კლარნეტი. მომღერალი ქარუმა კი სწორედ ამგვარ სიმღერებს აკვნესებდა, წელში კინტოსავით იგრიხებოდა, მოქეიფებებს თავს აწონებდა... იმ სამწვადეში კვირაში ერთხელ რადიოდნენ, არც მეტი და არც ნაკლები, და მთელი კვირა თითქოს სამზადისი იყო ამ დღისა, როცა „თავიანთ სამწვადეში“ წავიდოდნენ ძმაბიჭები (რა თქმა უნდა, შოფრები) და სადღეგრძელოსაც იმგვარს იტყოდნენ, ქარუმას პანგებს რომ შეჰფეროდა. სამწვადეში ზოგჯერ თვალეგაბარწყინებული, შარვლებში გამოკრული გოგოებიც შემოდოდნენ და მათ დანახვაზე შოფერი მუდამ ამ გოგოს წარმოიდგენდა, ახლა რომ კაბინაში ზის და ვილაც სპარსს უსმენს. მაგრამ იქ, სადაც „ქარუმას ორკესტრი“ უკრავდა, სოფლელი გოგო ვერ შევიდოდა, და თუ შევიდოდა, ან ძმა გალახავდა, ან სატრფო შეუთვლიდა სამუ-



დამო უარს. თუ ოდესმე, იმ ქალაქელი გოგოებივით ეს გოგოც (ახლა რომ ზის კაბინაში) შემოვიდოდა, ბიჭი მაგიდიდან ადგებოდა და უფლებამოსილის ტონით ეტყოდა, აქ რა დაგრჩენია, აქ რა შენი ადგილიაო. ეს გოგო, თქმა არ უნდა, არ შეეპუებოდა (ამაშიც ღრმად იყო დარწმუნებული შოფერი ავთო) და გადმოსძახებდა: გოგოებს კი არ გვინდა ხინკალიო?! ამ დროს ბიჭი მოლბებოდა და დაიჩურჩულებდა: სადმე აქეთ, მოფარებულში დასხედით (რა თქმა უნდა, ისინი სამნი იქნებოდნენ და სამივენი გოგოები) და მე ვიცი, რა გამოვიგზავნოთ და როგორაო. იქვე თევზების რეცხვაში გართულ სქელ ნაღის დაუძახებდა, ყურში რაც საჭირო იყო, იმას ჩასჩურჩულებდა, თუმნიანებს წინასწარ ჩაუტყუნავდა ჭიბეში და ნაღიაც ნასიამოვნები ეტყოდა: მე ვიცი და მაგათაო. მერე წავიდოდა და წავიდოდა „იმ სუფრისკენ“ კოხტად დანაოკებულ ხინკლები, ზედ ერთი ბოთლი საფერავით (მეტი რად უნდოდათ, საქეიფოდ ხომ არ იყვნენ შემოსულები). ქალაქელი გოგოები კი ჩხუბს დაიწყებდნენ, აკი არა გქონდათ ხინკალიო, მაინც რად გეჭაგრებით სოფლელებს ეს ქალაქელები, არ ვიციითო. მერე იმათაც დაამშვიდებდნენ, ნუ გეშინიათ, რა გაჩხუბებთ, არც თქვენ დაიჩაგრებითო და ცოტა ხანში იმ ქალაქელი გოგოებისკენაც წავიდოდა კოხტა-კოხტა, მთელ-მთელი ხინკლები, ზედ მწყადიც მიჰყვებოდა... ეს საიდანაო, როგორაო? მწვალი ჩვენ არ დაგვიკვეთიაო?.. როგორ და იმ სუფრიდანაო... და ქალაქელებიც გაულიმებდნენ ფეხზე წამომდგარ გაღიმებულ შოფერებს, რომლებიც, სწორედ ამ წუთში, მათ სადღეგრძელოს ამბობდნენ. იქნებოდა ღიმილი, ალერსი, არაფერი ქვეყნიერებაზე, — ბედნიერებისა და სიყვარულის მეტი!.. ბიჭები ერთმანეთს გადაუჩურჩულებდნენ, ქალაქელი გოგოები კი, ახლა უკვე გულმომბალნი, ხმამაღლა იტყოდნენ, რომ სოფელი მაინც სოფელია და დღემდე შეინარჩუნა ის გულითადობა,

რაც ჩვენში ასე მოსწონთ უცხოელებსო.  
 ბლოს დადგებოდა განშორებულში (და ამას იქ, მოფარებულში მაინც დარი „ჩვენი“ გოგოებიც უნდა შესწრებოდნენ). ყველაზე ნეტარი წუთები კი მაშინ იქნებოდა, როცა ქალაქელ გოგოებს ჩუმად, მაგრამ მაინც დიდის ამბით გამოუტყულებდნენ, თქვენი ფული უკვე გადახდილია, ნუ სწუხდებითო, ამაზე უკვე იზრუნესო... ვინ გადაიხადაო, ვინ იზრუნაო? აიმ შოფერმა, ბიჭებში რომ ზის და სადღეგრძელოებს ამბობსო (ამ დროს შოფრები მხოლოდ თავისი საქმით უნდა ყოფილიყვნენ გართულნი, მაგრამ ცალი თვალი მაინც იქით სჭეროდათ)... აი იმ სიმპათიურმაო? სწორედ იმანო... გოგოები (ქალაქელები) ერთხელაც გადმოხედავდნენ და მაღლობის ნიშნად თავებს დაუქნევდნენ. ბიჭებიც წამოდგებოდნენ, თავებს დახრიდნენ და კიქებს ასწევდნენ. და ვიღრე გოგოები (ქალაქელები) სამწვადიდან არ გაიკრიფებოდნენ, ეგრე გაშეშებულები დარჩებოდნენ. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი...

სპარსი სიმღერას ამთავრებდა.  
 სამწვადეში დაწყებული უკანასკნელი მელოდია მიყურდა. სადღაც, ისპანში, ვილაცეები აყაყანდნენ. ვილაცეებმა ტაში დასცხეს. ალბათ მომღერალი (შავგვრემანი, გამხდარი ბიჭი იქნებოდა) თავს დაბლა ხრიდა და მაღლობას იხდიდა. თარის დამკვრელი კი ახალი სიმღერისათვის ემზადებოდა.

გოგომ რადიო ისევ გამორთო.  
 — დავიღალე მართლა და მართლა! შოფერი გადმოხტა და ტყეს მისცა თავი.

გოგოს არაფერი გაუგია.  
 რადიოში სიმფონიურ მუსიკას გადმოსცემდნენ. ბეგრჯერ ჰქონდა ეს მუსიკა მოსმენილი და სახელიც იცოდა მისი: ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონია.

**თამაზ ზიზილუარი**  
 შვიდი ხმისა და ბოროლასათვის





საქართველოს  
წიგნების კავშირი

ნაზი, მსუბუქი, გამჭვირვალე ბგერებით დაწყებული, მერე თანდათანობით რისხვად გადაიქცეოდა. მაგრამ რადიო ისევ გამორთო. ყველაფერი, რაც ოდესმე სიხარულს ანიჭებდა, ამ საღამოს უადგილო და ზედმეტი ეჩვენებოდა.

მანქანის კარი ერთბაშად გაიღო!

ღია კართან აქლოშინებული, გატანჯული შოფერი იდგა.

გოგოს შეეშინდა.

— რა იყო?

ღია კარიდან ღვინის თუ არყის სუნში არეული ცხელი ოხშივარი შემოვარდა.

— რა იყო-მეთქი!

— არაფერი...

— ალი, დაიძინე...

— ხო... კარგი... დავიძინებ...

გოგომ კარი ფრთხილად მიხურა.

ბიჭი მანქანაზე აბობლდა.

— თუ შეგეშინდეს, დამიძახე.

— კარგი, დავიძახებ...

ელისომ ისევ ჩართო რადიო. შოფერს ამ წუთში სძაგდა ის რადიო და ხელთ რომ ჰქონოდა, დაამხვრევდა. გოგო მთელი არსებით იმ „ვილაცის“ დაკვრას უსმენდა და ამ ბიჭზე სულაც არა ფიქრობდა.

კაცმა რომ თქვას, რატომ არ შეიძლება ამისი მოსმენაო, — გაიფიქრა შოფერმა. აბა ყური დაუგდე, თითქოს გელაპარაკებო. ნეტა რას მეუბნებო, დაძახული უსმენდა, მაგრამ მუსიკა მუსიკად რჩებოდა და ბიჭს სიტყვით არაფერს ეუბნებოდა. ბიჭი მარტო რაღაც უთქმელ და აუხსნელ სიმღვიდეს გრძნობდა. თითქოს ყველაფერი ავიწყდებოდა. თითქოს ვილაცა ალერსით უსვამდა თავზე ხელს და რაღაც სანეტაროს ჩასჩურჩულებდა. თავისკენ უხმობდა. ყველაფერს უადვილებდა. ბიჭს შეეშინდა, კიდევ არაფერი ჩავიდინო და გოგოს ხმამაღლა გასძახა:

— ეგ რაღას უკრავს?

— შოპენის ბალადა.

— შოპენი ვილაა?

— იყო ერთი...

— სიმღერას იგონებდა?

— ხო...

ის შოპენი ალბათ ბედნიერი იყო. გაიფიქრა ბიჭმა.

გოგომ რადიო ისევ გამორთო.

ისევ ჩამოდგა სიჩუმე და ბიჭს შეეშინდა ამ სიჩუმისა:

— დაიძინე?

— არა...

— არც მე მეძინება...

— არ შეგცივდეს...

გათენებისას ორივეს ჩაეძინა.

შოფერი აქლემზე იჯდა და უდაბნოში მიდიოდა.

ელისო რთველში იყო.

— ძიაკაცო! შენ ხო არ იცი, ჩალაური საით არი?

— გაგონებით კი გამიგია, იქით არა ვყოფილვარ.

— შენ ხო არ იცი, ძმაკაც?

— მე რა ვიცი!

— ბებო, შენ გეცოდინება, საით არი ეს დაწყველილი ჩალაური?!

— როგორ არ ვიცი?

— მაშ დაჯექ, ბებო, აი, ზემოთ აფოფხდი...

— მანქანას ჩალაურში რა უნდა, შვილო, ჩალაურში ფეხით უნდა ახვიდე...

ვიწრო ბილიკის მეტი არაფერი მიდის. დედაბერმა გოგოსა და ბიჭს ერთხელაც გამოხედა და ტყის ბილიკს შეერია.

მანქანა თუხთუხებდა. შოფერს კარის სახელური ჩაებლუჯა.

გოგო თვალს არ აშორებდა.

— აბა, კარგად იყავი.

შოფერმა ხმა არ ვასცა.

— ესეც ჩალაურის ბილიკი... საშიში რალაა? არაფერი გამიჭირდება.

შოფერმა სარკმელზე ჩამოდო თავი.

— თუ რამე იყოს...

გოგომ გაიცინა.

— რა უნდა იყოს?

— მიანიც მე გამაგებინე.

— ხო, კარგი...  
ერთბაშად ბიჭმა ყვირილი დაიწყო  
და მანქანიდან გადმოხტა.

— ხო, ეგრე გინდოდა და ეგრე მოხ-  
და!

მანქანას წიხლი ამოჰკრა, კაბინაში  
შევიარდა და კარი მიიჯახუნა.

მანქანა ბარბაცით შეტრიალდა, გო-  
გოს ზურგი შეაქცია, ცოტა ხანს ისევ  
გაჩერდა, მერე ერთბაშად მოსწყდა  
ადგილს.

ელისო მანქანას აედევნა.

— კარგად დამიგდე ყური!

— ხო, მითხარი!

— თუ როდისმე ვინმემ გითხრას,  
ცული ბიჭი ხარო, ან ცილი რამე დაგ-  
წამოს...

— ვინ უნდა მითხრას?!

— რა ვიცი...

— კარგი, ხო!

— უთხარი... მე როგორი ბიჭი ვარ,  
წაიღო და იმასა ჰკითხეთ-თქო!

— ვისზე ვუთხრა?

— ჩემზე უთხარი!

— კარგი არა, ის არ გინდა...

— აბა, ერთიც დაიმახსოვრე!..

— მითხარი!

— იცოდე, ხვალვე ქალი შეირთე!

— ვერა, ვერ დაგპირდები!

— დამპირდი-მეთქი, იცოდე!

— ვერა! ვერა!

შოფერმა ისევ გამოაღო კარი, მთე-  
ლი ტანით გადმოიხარა. ხელში მხოლოდ  
საქელა ეჭირა:

— იმას კი დედას ვუტყობ!

კარი მიიჯახუნა და მანქანა მტვრის  
ბულში გაეხვია.

სიჩუმე ჩამოდგა. გოგო სრულიად  
მარტო დარჩა. მიიხედ-მოიხედა, თავი-  
სი ბოხჩა აიღო და გაჩერდა.

ჩალაურისკენ ალბათ ეს ბილიკი მი-  
დის.

ის დედაბერი ალბათ ჩალაურში მი-  
დიოდა...

ამის მერე რაღა უნდა მომხდარიყო,  
რომ სათქმელად ღირდესო, — წერს  
შეთხზული ამბის ავტორი, — მით უფ-  
რო, მკითხველმა უთქმელადაც იცის:

გოგო, რომელსაც ელისო ჰქვია, მდინა-  
რის პირას, მახაურის გვერდით ლოდზე  
უნდა ჩამოჯდეს და თავისი კუთვნილი  
ადგილი დაიკავოს იმ სურათზე, — შე-  
თხზული ამბის ავტორმა მდინარის პი-  
რას, ნაწვიმარ ჭალაში რომ ნახა. ამ სუ-  
რათზე, როცა იგი დასრულებულ სახეს  
მიიღებს და „მდინარის პირას გაკრულ  
სურათად“ იქცევა, შვიდნი უნდა იყვნენ.  
ამას სურათის კომპოზიცია მოითხოვს  
და თავად ცხოვრებისაგან შეთხზული  
ათასგვარი გარემოება, რომელთა ძა-  
ლით, სწორედ აქ, სწორედ მოკლე დრო-  
ში, შვიდი ადამიანი უნდა შეხვდეს ერთ-  
მანეთს, შვიდთაგან შემდგარი „თემი“  
გახდეს და გზას დაადგეს, როგორც  
გზას დაადგება ხოლმე შემოდგომის და-  
მდეგს თბილი ქვეყნისკენ მიმავალი  
ფრინველთა გუნდი. ყველაზე ადრე ამ  
შვიდთაგან აბრია მახაური მოვიდა და  
თავისი კუთვნილი ადგილი დიდ ლოდზე  
ხმის ამოუღებლად დაიკავა. ახლა მეო-  
რეც! გამოჩნდა, ტყის ბილიკებიდან გა-  
მოსული ეს გოგო, რომელსაც ელისო  
ჰქვია და ჩუმად თქვა:

— გამარჯობა, ძიავ...

მახაურმა არ იცოდა, რომ გოგო მა-  
რტო თავისმა ბედმა კი არ მოიყვანა აქ,  
მარტო ყოფნისა შეეშინდა და ადამიან-  
თან ყოფნა მოუნდა.

მდინარისპირა ჭალაში, ბერიკაცმა და  
გოგომ კიდევ ორიოდ სიტყვა უთხრეს  
ერთმანეთს, რომელთაც ამ ამბისათვის  
შეიძლება არც ჰქონდეს რაიმე მნიშვნე-  
ლობა, მით უფრო, რომ ბერიკაცის და  
გოგოს მარტო ყოფნა დიდხანს არ გა-  
გრძელებულა.

რალაც ხმა მოისმა.

მიიხედეს და თავზე ვილაც დედაკაცი  
წამოსდგომოდათ.

დედაკაცს რუხად მზირალი, დაღარუ-  
ლი სახე ჰქონდა.

— გამარჯობათ!

მახაურმა და ელისომ თავი უხმოდ  
დაუქნიეს.

თამაზ ზივილიანი

შვიდი ხმისა და ბოროლასათვის

რუხად მზირალი, დაღარული დედა-  
კაცი მაშინვე შეშინებულ დედაკაცად  
იქცა: მიბრუნდა, მიიხედ-მოიხედა, ამაო  
გარდა ხომ არავენი მიყურებდნო და ტყი-  
სკენ წავიდა.

ტყიდან ხარები გამოიყვანა, ორი ხა-  
რი — ნიშა და წაბლა, იქვე, მდინარის  
პირას ბალახზე მიუშვა და ბერიკაცისა  
და გოგოს ახლოს, ქვაზე ჩამოჯდა.

— აქეთ კაცებს ხო არ აუვლიათ?

— არავის აუვლია, — თქვა ბერიკა-  
ცმა.

დედაკაცმა ნიშა ხარს ზურგზე გადა-  
კიდებული ჭრელი ხურჩინი მოხსნა.

„მდინარის პირას გაკრულ სურათზე“  
უკვე სამნი არიან: აბრია მახაურა, გო-  
გო, რომელსაც ელისო ჰქვინ და ნიშა-  
რების პატრონი, გარსოს დედა, რომელი  
ლიც რუხად მზირალი ჩანდა, შიშით ავ-  
სილი ქალი კი გამოდგა.

დედაკაცი ჩურჩულებს:

— ჩალაურში ხო არ მიდიხართ?

ბერიკაცი თავს უქნევს.

გოგოს უხარია:

— მეც ჩალაურში მივდივარ.

— ყველანი ჩალაურში მივდენი-  
ლვართ, — ჩურჩულებს დედაკაცი და  
თავის ხარებს გასცქერის.

## თავი მესამე

### შიში

დედაკაცი სახლიდან ჩუმად გამოვი-  
და, მამლის პირველმა ყვირილმა გამოი-  
ყვანა. ასეც ჰქონდა განზრახული — მა-  
მლები რომ პირველად იყვილებდნენ,  
მაშინ დეადგები გზასო. „დეადგებითო“  
არ უთქვამს, რადგან, სამნი რომ იქნე-  
ბოდნენ, ამაში საკუთარ თავსაც კი ვერ  
უტყუებოდა, სწორედ სამნი — თვითონ  
და მისი ორი ხარი, ნიშა და წაბლა. ში-  
ში, აქამდე, ასე დიდხანს რომ აწამებდა  
და მარწუხივით უქერდა, თითქოს გამ-  
სუბუქდა და დედაკაცმა ერთი ხანობა  
ისიც კი გაიფიქრა, შიში სამუდამოდ გა-  
ქრაო. მთელი არსებით მიეცა თავგადა-  
სავლის იღუმალ დინებას, რომელიც  
ფიქრში თავიდან ბოლომდე ბევრჯერ  
გამოიარა, მაგრამ ნამდვილად კი ახლა  
იწყებოდა, სწორედ ახლა, მამლის პი-  
რველი ყვირისას. შიშს ისიც უმსუბუ-  
ქებდა, რომ საბოლოოდ გადაწყვიტა,  
მთელი ქვიციერების წინაშე ვარ მა-  
რთალი, ვინც გამამტყუნებს, ჯერ დამა-  
ჯეროს, რომ მტყუანი ვარ, მერე თუნდაც  
ცეცხლზე დამწვას, აღარაფრისა შემე-  
შინდებო. დედაკაცი თავის ორ ხარს,  
რომლებიც სახლიდან შუალამისას, მა-  
მლის პირველი ყვირის დროს უნდა  
გაეყვანა, საკუთარ თავს, საკუთარ  
ოჯახს ჰპარავდა.

უხარებოდ ამ ქალს ერთი დღეც არ  
უტყუებოდა. მას მერე, რაც ქმარი დაკა-  
რდა, ხარები ვახდნენ მისი მარჩენალ-  
ნიც და მფარველნიც. წინათ სხვა  
ხარები ჰყავდა — ორივენი წაბლა  
ხარები. ისინი დაბერდნენ, ამ დედაკა-  
ცზე ადრე დაბერდნენ და დედაკაცს  
ახლა სხვა ხარები ჰყავს — ნიშა და წა-  
ბლა. ხარები სხვა დროსაც მოუბარი-  
დიდი ხნის წინათ, ის პირველი ხარები  
მოიპარა, როცა ხარის ყოლა დანაშაუ-  
ლადაც კი ითვლებოდა. მაგრამ დედაკა-  
ცი ხარის ყოლაში დანაშაულს ვერ ხე-  
დავდა და მაშინაც, როგორც ახლა, შუა-  
დამისას მიიყვანა თავისი ორივე წაბლა  
და მთაში, დედისძმას, მწყემსებთან გაა-  
ტანა. მწყემსებმა შეუნახეს ის ორი ხა-  
რი მთელ ზაფხულს. ზამთრისპირს კი.  
როცა დედაკაცმა იფიქრა, მალე თოვლს  
ჩამოჰყრის და ჩემი ხარებიც ალბათ  
დააიწყდათო, ისევე ჩამოურეკეს. მას  
მერე ოცი წელიწადი გავიდა. მაშინ ის  
ხარები დედაკაცს, ანუ, როგორც სოფე-  
ლი ეძახის, „გარსოს დედას“, თავისი  
ერთადერთი შვილის — გარსევანის ქა-  
ლაქში შესანახად და სარჩენად სჭირდ-  
ებოდა. გარსოს დედამ იცოდა, თუ ხა-  
რებს ჩამოართმევდნენ, ამაზე უარესი  
აღარაფერი მოხდებოდა. ის ხარები ინა-



ხავდა მთელ ოჯახს, თუ ოჯახი ეთქმოდა მაშინ ამ ორმოცდაათს მიღწეულ ქალს და მის ერთადერთ შვილს გარსევანს, რომელიც ქალაქში სწავლობდა და დედაკაცისთვის გაუგებარ ლექსებს თხზავდა. ამ ხარებს ჩამოჰქონდათ სათიბებრიდან თევზი, ეს ხარები ხნავდნენ მიწას, რომელზედაც დედაკაცს სარჩო მოჰყავდა, მიდიოდნენ წისქვილში და მიჰქონდათ საფქვევი, ეზიდებოდნენ შეშას და სათონე ფიჩხს. უამხარებოდ ოჯახი აღარ იქნებოდა ოჯახი... როცა ამას მიხვდა, სწორედ მაშინ გადაწყვიტა გარსოს დედამ, რაც უნდა მიყონ, ცოცხალი თავით ამ ხარებს არავის დავანებებო.

**არც დაანება!**

და ახლაც, როცა მას შემდეგ მართლა წლები გავიდა და ხარებიც უკვე ისინი კი არა, სხვა ხარები არიან, დედაკაცი ისევ იმ პირველ ქურდობას და იმ პირველ გაპარვას იგონებს. აკი მართალი არ ვიყავიო? მაშინაც ეგრე დამდევენენ, თითქოს მთელი ქვეყნის ბედი ჩემ ორ ხარზე ეკიდა, მაგრამ მართლები ისინი კი არა, მე გამოვდექიო. ახლა, ხარები რათა გყავსო, — აღარ ამბობენ, მაგრამ ახლა სხვა რამ მომხდარა, ხარები სხვაფრთვ დასჭირვებიან. იარეს, იარეს და, რაღა თქმა უნდა, ისევ გარსოს დედანს მოადგნენ, თუ გვიშველის, ისევ მაგისი ხარები გვიშველისო, მაგრამ რაკი დედაკაცმა იცის, რომ მსგავსად მაშინდელისა, დღესაც თვითონ არის მართალი, ახლაც შუალამისას, მამლების პირველ ყვირილზე გამოიყვანა თავისი ორი ხარი — ნიშა და წაბლა, რათა სადღაც, ჩალაურის გზას გაუყენოს, სადაც თავისი მოგვარე და ჩალაურს გათხოვილი ცოქალა ეგულება, ის ცოქალა, წინათ წელიწადში ერთხელ მაინც რომ ესტუმრებოდათ ხოლმე, ბოლოს კი სულ დაიკარგა და ქალმა იმისი აღარც ასავალი იცის, აღარც დასავალი. ხო, ახლა თავისი მარჩენალი ხარები ჩალაურში უნდა გადაიყვანოს, რომლის არსებობაც ძლივს გაახსენდა და ხეირიანად არც იცის, ისევ არის თუ არა ის უცნობი ჩალაური,

ისევ უდგას თუ არა სული ჩალაურს გათხოვილ ცოქალას.

წასვლამდე გარსოს დედა ელაპარაკებოდა, იმდენს ელაპარაკებოდა, რომ შერცხვა კიდეც, რა ენად გავიკრიფეო, ამტკიცებდა იმას, რასაც თითქოს მტკიცება არც სჭირდებოდა, მაგრამ ქვეყანას თითქოს პირი შეეკრა, ქვეყანა დაყრუბულიყო და არავის აღარ უნდოდა დედაკაცის სიტყვის შესმენა. ყველამ უნდა ჩაგვებაროსო, უთხრეს, მაგრამ გარსოს დედა „ყველა“ არ იყო. ეს ხარები მისთვის მარტო ხარები არ იყვნენ, „ყველას ხარები“ კი შეიძლება მართლა მარტო „ხარებად“ ჩათვლილიყვნენ. გარსოს დედა ისევ შეჩვეოდა ამათ, რომ წართმევა სახლის დანგრევას, საყვავის მოშლას, მიწიდან მოშორებას, აყრას და გადასახლებას ნიშნავდა. სადაური „ყველა“ იყო გარსოს დედა, რატომ არ უნდოდა იმ „ყველას“ გაეგო, რომ რაღა ხარები წაგირთმევეა და რაღა წყალზე არ მიგიშვია, რაღა მზე დაგიბნელები, რაღა ცის ნამი დაგიშვრია, რაღა წარღვნით წაგიღვეკია მისი პატარა სახლკარი.

ისინი კი ცივი და ავი თვალებით იყურებოდნენ, ერთნაირი თვალებით, ერთნაირად ჩაცმულნი და ერთნაირად მზირალნი, დედაკაცს მუდამ ეშიონოდა ამ განურჩეველი, უფერო და უსისხლო თვალებისა და ბოლოს შიშის ზიზღიც დაემატა, როცა დედაკაცმა გადაწყვიტა, ცოცხალი თავით ამ ხარებს არავის დავანებებ, ამაზე უარესი რაღა უნდა მოხდესო.

მაშინ, წლების წინ, როცა უკანასკნელი იმედიც კი გადაუწყდა, სწორედ ის იარალი მოძებნა, რასაც სხვასთან კი არა, საკუთარ თავთანაც არ აჩენდა: ომში დაკარგული ქმრის სახელი! ამ სახელით ის მხოლოდ თავისთვის ცხოვრობდა, ამ სახელს შვილთანაც კი ათასში ერთხელ ახსენებდა, მით უფრო — სხვას არასდროს მისდგომია კარზე, არა-

**თამაზ გიგიშვილი**  
შვიდი ხმისა და ბოროლასათვის

ფერი მოუთხოვია, არაგვისთვის გაუხსენებია წასული და შინმოუსვლელი ქმარი. გარსოს დედას ეგონა, რომ ქმარი თავისთავად იგულისხმებოდა, რომ მართლ ამ უცხოდ მოსულმა კაცებმა კი არა, მთელმა ქვეყნიერებამ იცოდა, რომ ამ დედაკაცის ქმარი ომში წავიდა და აღარ დაბრუნებულა! ეს უნდა სცოდნოდათ მაშ რა? კაცი იყო, კაცი წავიდა და აღარ დაბრუნებულა! ამაზე დიდი რა უნდა მომხდარიყო? თუ კაცი მიდის და აღარ დაბრუნდება, მთელმა ქვეყნიერებამ უნდა გაიგოს. ის კი არა, იმაზეც მაღლობელს იყვნენ, რომ იმ კაცის ქვრივი არ ადგა, ფეხშიშველამ და თმა-გაწეწილმა, სოფელ-სოფელ არ ჩამოიარა და ყვირილით არ აიკლო ქვეყნიერება, — კაცი წამართვეს, ჩემი ერთადერთი კაცი, რომელიც ღმერთმა მე მარჯუნა და აღარ დამიბრუნეს, ეგრე, მართლად გავატარე წუთისოფელიო.

არა, გარსოს დედა მაშინ არ წასულა და ქვეყნიერება არ მოუვლია. თუ არა ცხოვრების ჰაბან-წყვეტა, საკუთარ ღობესაც არ გადმოსცდებოდა, თავის ჭირ-ვარამთან განმარტობული გაღევდა წუთისოფელს და იმ კაცის ხსოვნაც მისი ვერცხლის ქამარ-ხანჯალივით ექნებოდა გადამალული, მხოლოდ თავისთვის, სხვათა თვალის დაუნახავად. მაშინ სწორედ ის გადამალული ვერცხლის ქამარ-ხანჯალი მოძებნა, ხელში აიღო და მუქარით წავიდა სოფლისკენ... არა, ქამარ-ხანჯალი მართლა არა სტერიო. გარსოს დედას თავისი ქმრის სახელი მიჰქონდა... ეგრეც მივიდა, თითქოს იარაღში ჩამჯდარი და გულმიცემული, ეგრევე შეაღო კარი, ჭიქურ და მოურდებლად, მაგრამ სწორედ იმ კართან უმტყუნა გამბედაობამ, თითქოს იმ კართან აპყარესო იარაღი, კედელს მიეკრა, შავი თავშალი ჩამოიხსნა, შუბლზე ღვარად ჩამოსული ოფლი ჩამოიწმინდა, ერთი ხანობა ეგრე იდგა, თმაგაწეწილი და იმ კაცს შესცქეროდა, რომელმაც სხვა კაცები მოიყვანა, სხვა კაცებმა კიდევ სხვა კაცები და ერთხმად უთხრეს: ხარები უნდა ჩავგაბაროო, ის კა-

ცი მაშინაც ცივი თვალებით გადმოსცქეროდა და დედაკაცმა ღმერთს შესთხოვა, ის ორიოდ სიტყვეს მდინეში თქმეინე, რის თქმასაც უნდა ჩამდინეთ, მე დღეა ვაპირებო.

— შენი ტოლი იყო... ამხანაგები იყავით...

— ვიზე მეუბნები? — იკითხა მაშინ იმ კაცმა.

— ჩემ ქმარზე, სხვაზე ვისზე გეტყვი? ამისი თქმისა მაინც შერცხვა გარსოს დედას და მაშინვე უკან გამობრუნდა. მაინც მოხდა მოსახდენი! მაინც შეავედრა ქმრის სახელი ვიღაცას, მაინც ამოიღო ის გადამალული ხანჯალი, მაგრამ ვერც ვერავინ შეაშინა, ვერც ნამუსში ჩააგდო, ვერც გული აუჩვილა... კაცმა რომ თქვას, ამისი იმედი არცა ქონდა, არც შეშინება უნდოდა ვინმესი, არც გულის აჩვილება. ყველაფერი თავისთავად მოხდა, ეს უნდა ვუთხრაო, — გაიფიქრა, ამისი უთქმელობა არ იქნებო, ეს რომ არ ვუთხრა, ქვეყნიერება დაიქცევა, მდინარე აღმა წავა, მზე აღარ ამოვა, მყინვარები ძირს ჩამოვლენ, შვავი დაფარავს ჩემს ბალ-ბოსტანსო...

მერე გაიგო, რომ ის კაცი ყვიროდა, ხო, ჩემი ტოლი იყო, ვიცნობდი, მიცნობდა, სოფელი დიდია, ამხანაგები არა ვყოფილვართო. ეს ამხანაგი მაინც საიდან მოიტანაო, ამხანაგიც რო ყოფილიყო, ვითომ რაო, საქვეყნო საქმეს ხო არ ვუღალატებო? განა მართლ მე ვარ, ჩემ ზევით სხვაა, იმის ზევით კიდევ სხვა და ეგრე მიდის ალბათ კიბე-კიბეო. ეს რა კუდიანი დედაკაცი ყოფილა, ამხანაგობა მაინც საიდან მოიტანაო? ბობოქრობდა, დარბოდა, ხან ვის ეძახდა, ხან ვის...

ხო, დიდი ხნის წინათ იმ სიტყვებით მივიდა იმ პატარა ოთახში გარსოს დედა, — შენი ტოლი იყო, ამხანაგები იყავითო...

მას შემდეგ დიდი ხანი ვასულა, ამქვეყნად რა არ მომხდარა, რა არ შეცვლილა. ქმარი აღარ დაბრუნდა. შვილი გაიზარდა და ისწავლა (იმ ხარებით ისწავლა) ახლა სხვა ხარები ჰყავს გარ-

სოს დედას და მინც თითქოს ქვეყნიერებაზე არაფერი შეცვლილა. ისევ ის ოთახი, ისევ ის კაცი (არა, ის კაცი არა, სხვა, და მინც იმისი მსგავსი) დამჯდარა და ხარებს მოითხოვს. თითქოს გარსო! დედის ხარები თუ არა, ქვეყნიერება დაიქცევა. მხოლოდ სიტყვები შეცვლილა. გარსოს დედას ახლა სხვა სიტყვები აწუხებს. რადგან ამ ოთახში მართლა ის კაცი კი არა, სხვა კაცი ზის, მაგრამ იმ კაცს მართლა გაჭრილი ვაშლივით ჰგავს, სულაც იმისი შვილია თუ რაღაცა და გარსოს დედაც დღესაც იმას ამბობს, რაც ამ კაცს შეპფერის და ამ კაცს ეკადრება:

- შენ და ჩემი გარსო ტოლები ხართ...
- მერე რაო, — კითხულობს ეს კაცი.
- მერე არაფერი...

მეორე დღეს ისევ მოიხურა თავშალი და ისევ გადაიარა უმზრახხად მთელი გზა. ეგრევე უმზრახხად მივიდა და ფრთხილად შეაღო კარი. გუშინდელი შიში გამჭკრალიყო. გუშინ კარგად არც იცოდა, რას იზამდა, გაბედავდა თუ არა იმ სიტყვების თქმას, რაც უკვე თქვა, დღეს ყველაფერი კარგად იცოდა, ისიც, რისთვის მოვიდა და ისიც, რას იტყოდა. აღარც ოფლი ჩამოსდიოდა შუბლზე და აღარც თავშალი მოუხსნია. იქვე, კართან გაჩერდა, იმავე ადგილზე, სადაც გუშინ იდგა, იმავე თვლებით მზარალი, იმავე კედელზე მიყრდნობილი, როგორც განმეორება წინა დღისა და კაცმაც მისი მოსვლა აჩრდილის გამოცხადებასავით მიიღო. ფეხზე წამოდგა, შიშამკვარე თვლებით გამოიხედა და დაუცადა, რას იტყოდა დედაკაცი. ამ შიშმა დედაკაცს სიხარული მოჰგვარა. სათნო დედაკაცი მეგონა, ჯადოქარი ყოფილაო, — გაიფიქრა კაცმა და ლამის შეევედრა, ვიცი, რისი თქმაც გინდა, ბარემ თქვი და გაათავეო. დედაკაცი კი ჯერ მის თვალზე ფიქრობდა და თითქოს არაფრის თქმას არ აპირებდა. ძლივს არ გაუხდა სხვა ფერის თვლებიო, — და თავდაც თვალს არ აშორებდა. მინც შეეცოდა კაცი, მაგრამ მინც ის უთხრა, რას საქმელადაც დღეს მოვიდა:

— შენ და ჩემი გარსო ტოლები ხართ...  
მეტის თქმას არც აპირებდა...  
— ხო, ტოლები ხართ, ამხანაგებო!

— რა ჩემი ამხანაგი ის იყო? — გაბრაზდა კაცი.

დედაკაცმა კარგა ხანს უყურა და უკან გამობრუნდა.

გარეთ გამოსულმა გაიგო, როგორ დაეშვა კაცი სკამზე.

დედაკაცმა მიიხედ-მოიხედა და იქვე მჯდარ დარაჯს უთხრა:

— ხო, ამხანაგები იყვნენ.  
დარაჯმა ხმა არ გასცა.

კიშკართან სხვა კაცი იდგა და დედაკაცმა იმ კაცსაც ჩურჩულით უთხრა:

— ამხანაგები იყვნენ...

ამ ხარებს ცოცხალი თავით არავის დავანებებო, — თქვა გარსოს დედამ. მაგრამ რას იზამდა, როგორ არ დანებებდა, ჯერ არ იცოდა. მაშინ არ იცოდა. მერე გაახსენდა, მერე იპოვა ის ჩალაური და სწორედ ქვეყნიერების იმ შორეულ კიდედ წარმოიდგინა, რომლის იქითაც აღარაფერი იყო. სიტყვა „ჩალაური“ მის გონებაში ერთბაშად დარქა და იმ წუთში დედაკაცმა თავის თავს უთხრა, გადავჩრიო!

„იმ კაცის“ სანახავად დედაკაცი მესამე დღესაც წავიდა. კაცი დაბალი იყო, ჩოფურა, თავი მხრებში ჰქონდა ჩაჭყუნული და თვლების ნაცვლად შუბლს ქვემოდან ორი ჭრელი წერტილი უძრავად იმზირებოდა. სანამ შინიდან გამოვიდოდა, არ უფიქრია „იმ კაცის“ სანახავად ისევ წავალო. დედაკაცს არ აკლდა სათნოება და ყველაფერი თავისთვისად, დედაკაცის ნება-სურვილის გარეთ ხდებოდა. მის საქციელს რაღაც სხვა ძალა მართავდა. ის ძალა თითქოს ციდან მოდიოდა. ციდან ყველაფერი კარგად ჩანდა, — მთელი დემიწა და მიწაზე მავალი დედაკაცი. ეს დედაკაცი გამოდის სახლიდან (ასე მოჩანს ზემოდან), გადაივლის ეზოს და კი-

თამაზ ზიზილური  
ზვიადი ხმისა და ბოროლასათვის

შკართან წამით გაჩერდება. მიიხედ-მოიხედავს. ორღობეში არავინ ჩანს. დედაკაცმა ჯერ არ იცის, ვის ეძებს და მაინც ისევ ორღობეს გასცქერის. ერთი დღესაც ვნახავ, — გაიფიქრებს და, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, იქვე გაჩერდება: განა ისეთს რას ვეტყვი? მართო სიტყვას ვეტყვი და გამოვბრუნდები... ამისი გაფიქრებაა და ორღობეში ჩქარი ნაბიჯით დაეშვება. მიდის, აქეთ-იქით არ იხედება. მეზობლას დედაბერი თვალს გააყოლებს („გამარჯობა მაინც ეთქვა“), მაგრამ არ დაუძახებს. „სხვა დროსაც ყოფილა, სხვა დროსაც კი არა, ბევრჯერ ყოფილა, — ჩაუვლია, თავიც არ აულია, გამარჯობაც არ უთქვამს... დღერთმა სიკეთე მისცეს, ზოგჯერ თითქოს ამ ქვეყანაზე არ არი...“

დედაკაცი ორღობის ბოლოს ჩერდება და მცირე ხანს გზაზე გაქროლილ მანქანებს გასცქერის. მანქანების გარდა, გზაზე ჰაჰანება არა ჩანს. ცაში ძვრა აქვთებს ირაოს. მზე აცხუნებს. მოშორებით მდინარე ხმაურობს. ქედის თავზე ღრუბლები უძრავად წვანან.

ვიცი, რომ არ უნდა მივდიოდე და მაინც მივდივარ, რა ძალა მეწევა თავისით? სულ ერთი არ არი, რას იფიქრებს ის კაცი ჩემზეო? — ფიქრობს. მაინც მიდის.

„იმ კაცმა“ გარსოს დედა შორიდან დაინახა. კაცი სწორედ კანტორის წინ, ჰიშკართან იდგა და დედაკაცის მოსვლას აღარ ელოდა. კაცი ჩქარი ნაბიჯით გადაჭრის ეზოს, გადაალაჯებს ღობეზე, კადავ ორღობეში, მიიხედ-მოიხედავს და გარბის... ორღობის ზემოთ თავის თავზე ბრაზი მოუვა, რად უნდა გავრბოდეო და ნაბიჯს შეანელებს, მაგრამ მისი ნაბიჯიც სირბილს უფრო ჰგავს, ვიდრე სიარულს. მიდიან, მაგრამ ერთმანეთს ვერა ხედავენ. კაცი აღმა მიდის, დედაკაცი — დაღმა.

დედაკაცი კანტორის ჰიშკარს მიადგება. სწორედ იქ შეჩერდება, სადაც წუთის წინ „ის კაცი“ იდგა. მიიხედ-მოიხედავს და ვერავის ამჩნევს. ეზოს აივლის, კანტორის კარზე აკაჟუნებს. პა-

სუხს არავინ იძლევა. ისევ აკაჟუნებს, ისევ არავინ იძლევა პასუხს და დედაკაცი კარს ფრთხილად მიაწვება. არაა მანდ ვინმე? არავინ არი! კარი ჰიშკარში იჭრება და დედაკაცი კანტორის გრილ ოთახში შედის. სწორედ იქ ჩერდება, სადაც გუშინ და გუშინწინ იდგა, იმგვარადვე ფერმიხილი და აკანკალებული, შავ თავშალს მოიხსნის, ოფლს შეიმშრალებს და ქურდივით აქეთ-იქით იხედება.

სკამზე არავინა ზის.

ქალი დაძაბული ელოდება ვიღაცას... შორიდან ფეხის ხმა ისმის. დედაკაცი უსმენს და ვერ გაურჩევია, ერთი კაცი მოდის, ორი თუ სამი. ახლა კი დამიჯერენ, — ფიქრობს და ელოდება. ფეხის ხმა მიწყდება. მერე ისევ იწყება, უფრო შორს და უფრო ყრუდ... დედაკაცი მოტრიალდება, კარს ფრთხილად გამოაღებს და გარეთ გამოდის.

კართან ისევ გუშინდელი დარაჯი დგას.

დედაკაცი მის წინ ჩერდება, თავს ჩაღუნავს და მორჩილებით ჩურჩულებს:

— იმას ვეძებდი...

— ვიცი, — ამბობს დარაჯი.

დედაკაცი კიბეზე ჩამოდის.

— საღ მიღიხარ?

— საღმე ვიპოვნი...

„ის კაცი“, სოფლის თავში დგას და კანტორისკენ იყურება. სწორედ აივანი ეფარება თვალს და კაცი ბრაზობს... დაინახა როგორ შევიდა დედაკაცი ეზოში და კარგა ხანს აღარ გამოსულა. კაცი ფიქრობს, დედაკაცი კანტორაში დარჩაო.

— ალბათ მელოდება... იდგეს და მელოდოს!

კაცმა არ იცის, რა მოხდა, დედაკაცი მართლა იქ დარჩა და ისევ ელოდება თუ თავის გზას დაადგა.

დარაჯი ფიქრობს. რა უნდა, რას დედის ეს დედაკაცი, ერთი შორიახლოს გავეყვები, ვნახავ, საით წავა და ყველაფერს უფროსს მოვახსენებო... კანტორის ეზოს გამოიხურავს და დედაკაცს შორიახლო აედევნება.

შარაზე კვლავ მიჰქრია მანქანები, მაგრამ ძებორციელი არავინა ჩანს. ცაზე ისევ ირაოს აკეთებს ძერა. მზე უფრო აცხუნებს და დარაჯიც, თავის გუმანში დასარწმუნებლად, ფეხს აუჩქარებს... მიდის დედააკაცი. მიჰყვება დარაჯი. მანძილი უფრო და უფრო მოკლდება და დარაჯს ცხადად ესმის ქაის ფეხის ხმა. დაეწევი, გავუსწრებ, თუ რამე მითხრა, ხო კარგი, თუ არა და, მართლა რაღაცა ამბავია... — ფიქრობს დარაჯი. დაეწია. გაუსწრო. მოხედა კიდევ, მაგრამ დედააკაცის ცივ თვალებს თითქოს არაფერი დაუნახავთ.

ახლა წინ დარაჯი მიდის, შორიახლოს დედააკაცი მიჰყვება. დარაჯი ორიოდ ნაბიჯს გაივლის და უკან მოიხედავს, იქნებ რამე მითხრასო. მერე ისევ გაივლის და ისევ უკან იხედება, მაგრამ დედააკაცი ხმას არ იღებს, არაფრის დანახვა არ უნდა. დარაჯი უფრო და უფრო ვარდება რაღაცის გაგების წადილში და წყაროსთან გადაუხვევს, დედააკაცი წყაროსთან მაინც შეჩერდება, სულს მოითქვამს და სახეს ჩამოიბანსო. დარაჯი წყალს სვამს, წელში გაიშართება და ელოდება. დედააკაცი ვერც დარაჯს ხედავს, ვერც წყაროს. გზას განაგრძობს.

მზე უფრო აცხუნებს. ძერა უფრო და უფრო დაბლა ეშვება, ქედის თავზე გაწოლილ ღრუბლებსაც თითქოს აღმური ასდით. დედააკაცი უკან არ იყურება, გზის მოსახვევში, ბულდოზერის ჩრდილში გულაღმა გაშოტილ შოფერთან მიდის. შოფერს სძინავს, მსხვარი ქიანჭველები პირდაპირ ყურებში უძვრებიან, კელები ცხვირ-პირზე დაჰბუჟიან, მაგრამ მაინც პირდაღებული ხვრინავს. დედააკაცი დაიხრება, ხელზე ეკიდება. გარვიძება უნდა. შოფერი ისევ ხვრინავს და დედააკაცი უფრო მეტის ძალით ეჭიდება, რაღაცას ჩასძახის, რაღაცას ეხვეწება. შოფერი წამოჯდება, თვალებს იფშვენტს და დედააკაცს გაშტერებული შესცქერის. დედააკაცი შოფერს რაღაცას ეკითხება. შოფერი პასუხობს. დედააკაცი თავს უქნევს და ხევისკენ ჩაუხვევს. შოფერი თვალს გა-

აყოლებს და ის არი, ისევ უნდა განაგრძოს ხვრინვა, რომ ახლა დარაჯი წამოადგება თავზე:

— რა გითხრა?

— რა ვიცი, რაღაცა მკითხა.

„წადი შენი...“ — ფიქრობს დარაჯი და დედააკაცს მისდევს.

შოფერს სახეზე უფრო დიდი გაცოცხლება ეხატება: ჯერ საკუთარ ხელ-ფეხს დასცქერის, მერე ხევისკენ დაშვებულ დედააკაცისკენ და მის კვალზე წასულ დარაჯისკენ იყურება. თავი საზმარში ჰგონია, მცირე ხანს ისევ იმის გაგებას ცდილობს, მაინც რა მკითხა ან ერთმა, ან მეორემ, ან ის მეორე რათ გაბრაზდაო... ბოლოს ყველაფერს ფეხებზე იკიდებს და ძილს განაგრძობს.

დედააკაცი მდინარისკენ მიდის.

დარაჯი შორიახლოს მიჰყვება და ფიქრობს: ალბათ ეგრე, მოკლეზე გადასტრისო.

დედააკაცი მდინარეში შედის. მდინარე მხოლოდ მუხლებამდე სწვდება. შუა მდინარეში ჩერდება და წყალს ჩასცქერის. ისევ გამოფხოვდება, მდინარეს გატოპავს და თაღს კაბას ჩამოიბერტყავს. მიიხედ-მოიხედავს და კვლავ გზას განაგრძობს. არ იცის რო მივდევ, — ფიქრობს დარაჯი და თავადაც მდინარესთან მიდის, ყოყმანობს, გავტობო თუ არაო. მაინც დაეზარება, რაც არ უნდა იყოს, მდინარეა, გავცივდებიო, და ახლა მდინარეს თავქვე მიჰყვებიან: იქით ნაპირზე დედააკაცი, აქით ნაპირზე — დარაჯი.

ცხელ ქვიშაზე ხელიკები დაძვრებიან. ფეხს აუჩქარა. რაღა სიარულია, გარბის და ეგ არი. სადა მაქ მაგისი თავი, — ბრაზობს დარაჯი. შუბლს მოიჩრდილიავს და მდინარის გაღალმა დედააკაცის შავ აჩრდილს აკვირდება: დედააკაცი ვიღაცას ელაპარაკება. პავლე იქნება, მეველე, — ხმამალა ამბობს დარაჯი და თვითონაც ქვევით ეშვება.

დედააკაცი მეველეს გაშორდება და

თამაზ ზიგილური

შვილი ხმისა და ბოროლასათვის



ისევ ჩაღმა მიჰყვება მდინარეს.

ღარაჯიც ჩქარობს. მდინარეს ჩაჰყვება, მეველეს გასწვრივ, დიდ ლოდზე შედგება და გასძახის:

— პავლე!

პავლეს არაფერი ესმის.

— პავლე! არ გეყურება, კაცი?!

პავლე თვალს მოჰკრავს და მდინარისაკენ წამოვა, თან ბუზღუნებს, ნეტა რა უნდაო. გამოღმა მდგარი რაღაცას ეძახის. პავლეს არ ეყურება და გამოღმა მდგარი ანიშნებს, ცოტა ახლოს მოდი, ახლოს კი არა, იკადრე და მდინარეზე გადმოდი, სიტყვა მაქ სთქმელიო. პავლე ხელს ჩაიჭნევს, უარს ვერ იტყვის, ეგრევე, თავის წინდიან-ქალამნიანად, მდინარეში შემოდის, შუა წყალში ჩერდება და იქიდან გამოსძახის:

— რა იყო?

— რა მინდაო? რა გკითხა?

— აქეთ ხო არავის ჩაუვლიაო!

— ვის ეძებდა, არ გითხრა?

— რა ვიცი, ხო არა ვკითხავდი?

ახლა პავლე ბრაზობს, ან იმ დედაკაცმა რა მკითხა, ან ეს კაცი რას მეკითხება, რა გზას დასდგომიან, ვის ეძებენო. ხელს ჩაიჭნევს, მდინარეს ისევ გატოპავს და გაღმა გადის.

„ის კაცი“ ისევ ორღობეში დგას და დედაკაცზე კი არა, საკუთარ თავზე ბრაზობს. მაინც რად უნდა გავრბოდე, რისი უნდა მეშინოდეს, მთელი ქვეყანა თუ არა, ეს ერთი სოფელი მაინც ჩემია და ქურდივით შორიდან რად უნდა გავცქეროდე ჩემს საბრძანებელსო. თუ ის ქალი კანტორაში შევიდა, დავიჯერო, ამდენი ხანი იქა დგას და მელოდებაო? თუ უკვე გამოვიდა და შინისაკენ წავიდა, რატომ თვალი ვერ მოვკარიო? კაცი დგას და რაღაც ძალა ხელ-ფეხს უბორკავს. ვერც წინ წასულა, ვერც უკან გამობრუნებულა. რაც იქნება, იქნება, სოფელს მოვივლი და კანტორისკენ მერე გადავუხვევო, — თავის თავს ეუბნება და მაინც კანტორისკენ გარბის. კაცი გაბრაზებული და გაცეცხლებულია, — თავის თავზეც, იმ დედაკაცზეც და მთელ ქვეყნიერება-

ზეც. გზაზე რომ ვინმე შეხვდეს, მთელ ჯავრს იმ ვინმეზე ამოიყრის, მაგრამ ჰაჰანება არავინა ჩანს. არც კანტორის წინ დგას ვინმე და კაცი ვერც ხედავს, უხარია, თუ სწყინს. ღარაჯი მაინც უნდა ყოფილიყო... — ფიქრობს და ღარაჯზე ბრაზობს. მაგრამ ეს ჩვეულებრივი გაბრაზებაა და იმ ყოვლად გაუგებარ და აუხსნელ შიშთან ახლოსაც ვერ მოვა.

„ის კაცი“ ცოტა ხანს კანტორის აივანზე დგას და სოფელს გასცქერის. სოფელი სადღაც გაკრეფილა. სათიბებში არიან, — ხმამაღლა ამბობს კაცი და აივანზე მიდი-მოდის. ფეხქვეშ აივანი ჭრიალებს და აივანი იმ გემს ჰგავს, ზღვაში რომ ტორტმანებს. ეს ამ კაცის გემია, მისი გემი ჭრიალებს და ჭრიალი ყურში რაღაც საამოდ ისმის, ამშვიდებს, ყველაფერი ისევ ძალზე უბრალო, ჩვეულებრივი და ადვილად გასაგები ხდება: კაცი დადის აივანზე და აივანიც ისე ჭრიალებს, როგორც შარშან, შარშანწინ, იმის წინ ჭრიალებდა.

კაცი თვალთ კვლავ ღარაჯს ეძებს. ღარაჯი არ ჩანს და კაცი, თითქოს სხვის სახლ-კარს მიადგაო, ალაღბედად იძახის:

— ჰეი!

გარშემო სიჩუმეა.

— რომელი ხარ მანდა?

კაცი ოთახში შედის და სკამზე ჯდება. მშვიდდება. შინ წასვლა და ცოლ-შვილში მოლხენა უნდა.

ბედნიერება ხანმოკლეა და ვილაყის ფეხის ხმა ისმის.

ალბათ ღარაჯი იქნება — თავს იტყუებს კაცი.

ის ვილაყა კარს მოადგება და კაცს მისი სუნთქვა ესმის.

კარი ნელა იღება.

კაცი თვალს ახელს.

ისევ ის დედაკაცი, ის, გარსოს დედა!

კაცი ხმის ამოუღებლად შესცქერის და მის თვალებში დედაკაცი ვეღარც განურჩევლობას ხედავს, ვეღარც მრისხანებას, ვეღარც შიშს. კაცის თვალები აღარაფერს ამბობენ და აღარც ქალი

ამბობს არაფერს, იმის გარდა, რაც აუცილებლად უნდა ეთქვას:

— რათ მითხარი, ჩემი ამხანაგი არ იყო?

მერე გამოდის და თავის გზაზე წავა. ეს ყოველივე ცხადად ჩანდა ზეციდან...

„ამალამ, მამლები რომ პირველად იყვილებენ“, — ფიქრობდა დედაკაცი. მამლებმა უკვე პირველად იყვილეს.

ეზოში ქურდულად გამოსულს თავზე ვარსკვლავები დასცქეროდნენ. დედაკაცმა კარგად იცოდა მათი გზა-კვალი და ხშირად, ძილგატეხილს და ეზოში დიდ ლოდზე ჩამოქდარს, მათთან ერთად გადაუვლია მთელ ამოდენა ჩაშვებულ ცაზე, აღმოსავლეთიდან დასავლეთით; უნახავს, როგორ ენთებოდნენ და ქრებოდნენ წვრილ-წვრილი ვარსკვლავები, იცოდა ის ადგილიც, სადაც გახელილი თვალივით გამოანათებდა ცისკრის ვარსკვლავი. მაგრამ ახლა, ამოდენა ვარსკვლავების ხილვისას, გარსოს დედას მხოლოდ ხელ-ფეხი შეეხორკა, მის ქურდობას თუ შიშს თითქოს მოწმე ჰყავდა, ცაზე გადმოშობილი. ამ მოწმეთა თვალწინ უნდა დაწყებულყო ამბავი საკუთარი ხარების ქურდობისა, მათი ანთებულ თვალი უნდა გაჰყოლოდა მთელ გზაზე, ვიდრე რიჟრაჟი დადგებოდა, ვიდრე მთელ დღეს ტყეში მიმალული გაატარებდა... მერე კი, როცა კვლავ დაღამდებოდა, როცა ნელ-ნელა ისევ გამოკრთებოდნენ ის ნაცნობი ვარსკვლავები, ერთმანეთს მოუხმობდნენ: მოდიოთ, დინახეთ, აგერ ის, გზაზე რომ მიდის თავისი ორი ხარით, გუშანდამინდელი დედაკაცია, ქურდულად გამოსული და სადღაც მიმავალიო.

ყველას თავისი ვარსკვლავი აქვსო, — ამბობენ, და თუ იმ კაცსაც აქვს თავისი ვარსკვლავი, ვინც ხარების ჩამორთმევა დაუპირა, ალბათ იმ კაცსაც ექნება, ვისიც ამ კაცს ეშინია. ალბათ ისინიც უყურებენ და მთელ ქვეყანას


მოჰფენენ გარსოს დედის ამბავს, რომელსაც საკუთარი ხარები მოუპარეს და სადღაც გადაკარგულში სივრცის გზაზე გაუყენებია. მაშ მალე მოტეხი ქვეყანა გზას დაადგება და აედევნება ამ დედაკაცს და მის ხარებს... ამისი გაფიქრება იყო და, დედაკაცმა ისევ ცას ახედა: ვარსკვლავები კეთილად უცქერდნენ. ეს მისი საკუთარი ვარსკვლავები იყო. უცხო არავინ ერია.

გარსოს დედა ბოსელში შევიდა. ოთხი შავი თვალი მაშინვე შემოეფეთა. თვლები ეკითხებოდნენ, რა მოხდა ამ შუალამისას, რამ გაგადვიძაო. დედაკაცმა ხარებს ზურგზე გადაუსვა ხელი. ხარებმა დაიზმუველეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყველაფრისათვის მზად იყვნენ. ეს ხარები თუნდაც ქვეყნის დასალიერში გაჰყვებოდნენ ამ ქალს, რომელსაც თავისი ბრტყელი, უხეში ხელებით დიდი მოფერება შეეძლო. ხარები აიკიდებდნენ ყველაზე უძიძი-მეს ტვირთს და მუხლს არ ჩახრბოდნენ, ვიდრე ეს ქალი კვლავ თავისი ბრტყელი, უხეში ხელებით არ მოეფერებოდათ და ამით არ ეტყოდათ, ეს დიდი მოგზაურობა დასრულდა, ახლა ტვირთი მოვიხსნათ და სამივემ დავისვენოთო. ასე იყო მუდამ, დღისით თუ ღამით, და ამგვარ ნდობას ერთმანეთის მიმართ არც ხარები და არც დედაკაცი არ ღალატობდნენ. მათ ერთმანეთთან უსიტყვოდ შეეძლოთ ალერსიც, საუბარიც და გაბუტვაც... დიახ, გაბუტვაც, თუ ოდესმე ქვეყანა დაიქცეოდა და დედაკაცი იმაზე მეტ მისაგებელს მიაგებდა ერთ მათგანს, ვიდრე მეორეს ეკუთვნოდა, მაშინ იწყებოდა ექვიანობა. მტანჯველ ფიქრებში ჩაძირვა, გულის გატეხა, მაგრამ, საბედნიეროდ, სულ მალე ყველაფერი ისევ კეთილად მთავრდებოდა. ჩამოდგებოდა საამო სიმშვიდე და მთელი სამყარო ამ სიმშვიდით ისაზღვრებოდა. ამ სიმშვიდის კიდესთან თავდებოდა საზღვარი. იმის იქით თითქოს აღარაფერი იყო. ის „აღათაგან ზიზილური“  
ზვიდი ხმისა და ბორილასათვის

რაფერი“ ოდნავადაც ვერ არღვევდა დიად თანხმობას სამი სულიერისა — ორი ხარის და ერთი ქალისა.

ამ ხარებს სახელიც თვითონ შეურჩია გარსოს დედამ, ჭერ კიდევ მაშინ, სულ ნორჩები რომ მოიყვანა სახლში. ღმერთო, რა თვალები ჰქონდათ მაშინ, რა უმწიკვლოდ მზიარალი... ასეთი თვალები, ღმერთო შეგვცოდე და, ქალს მხოლოდ ეკლესიის ფრესკებზე ენახა — მიმნდობი, იღუმალი, ფიქრში ჩაძირული და თანაც სუფთა, გამჟღავნებულე თვალები. ხარებს ჭერ სახელები არ ერქვათ და ქალი იმაზე ფიქრობდა, რომ სახელიც როგორმე შესაფერისი მოექმბნა. მაგრამ თურმე დიდი ფიქრი არცა სჭირდებოდა, სახელს ყველაფერს თავად ბუნება არქმევს და ისე უბრალოდ, თითქოს სიტყვას აღარცა აქვს მნიშვნელობა. კაცმა ჩამოიარა ორღობეში, მეზობელმა, ჯიბომ და ერთზე უთხრა: „ამ ხარს, გარსოს დედაც, რა სულ ბოსლისკენ მიუწევს გული, აღარ მოსწყინდა ცოხნა?“ და დედაკაცმა იმ ხარს თავის გულში ბოსელა დაარქვა. „ეს უფრო ლალი იქნება, აბა კარგად დააკვირი“, — თქვა კაცმა და დედაკაცმაც მეორესაც იქვე დაარქვა სახელი — ლალა! ამიერიდან ბოსელა და ლალა, რაკი სახელებიც ერქვათ, ამ ოჯახის წევრები გახდნენ. სახელმა თითქოს უფრო მყარად დაამკვიდრა აქაურობაში, და ამ ქალის ცხოვრებაშიც, მათი არსებობის უფლება. ეს ეზო-კარი უკვე მათიც იყო და ამ ეზო-კარის წარმოდგენა ბოსელასა და ლალას გარეშე აღარ შეიძლებოდა. ყველაზე ხშირად მათი სახელები ისმოდა და აქაურობის მკვიდრთ ეს ამბავი მაინცდამაინც არ გახარებიათ. ეს არ ითქმოდა ქათმებზე, რომელთათვისაც სულ ერთი იყო, იქნებოდნენ თუ არა ეს თვალეზობრილი ბოსელა და ლალა მათ გვერდით. ქათმები თავის საქმეს განაგრძობდნენ და თითქოს არც არავინ მოსულაო, ერთგულად ქეჩავდნენ ეზოში მოფენილ ჩალაბულას. ძროხაც დარბაისლური სიღინჯით შეხვდა ახალი ბი-

ნადრების მოსვლას. კარგად იცოდა, რომ ვინც უნდა მოსულიყო, მის ადგილს ვერავინ დაიჭერდა, მის ფეხებს ვერავინ დააკლდებოდა, მისი ხარებს ერთი გადახედა და თავისი საქმე განაგრძო, თავის ჭრელ ხბოს დაუწყო ლოკვა. მამალმა და ძაღლმა კი ყველაფერი გულთან მიიტანეს, მათ შეურთდა კატაც და აქამდე რომ ერთმანეთს ჰამდნენ, ამ ორი აყლაცუდას მოსვლამ მათი პატარა თემი უცებ შეამჭიდროვა და გააერთიანა. მამალი სწორედ იქ ყიოდა, სადაც ბოსელა და ლალა იცოხნებოდნენ, კატა ბოსლიდან ფეხს აღარ იცვლიდა, შემომხედეთ, ყველაფერი თქვენი არ გეგნოთ, სადაც მინდა, იქ ვიქნებიო, ძაღლი კი დაუფარავად დასდევდა ახალ ბინადრებს და ეზოდან გადასულებს ისეთი ყეფით აცილებდა, თითქოს ზეიმობდა, წავიდნენ და ალბათ აღარ დაბრუნდებიანო. ბოსელა და ლალა კი ისევ ბრუნდებოდნენ და ძაღლიც ისევ ყეფდა, კატაც ისევ ხტოდა ბოსლის კავებზე და მამალიც ისევ ყიოდა მათ თავთან. როცა ამ დაუფარავი წყენით არაფერი გამოვიდა, სამივენი თავ-თავიანთ ფიქრში ჩაიძირნენ, ვიდრე არ მიხვდნენ, რომ ამ ორი აყლაცუდას მოსვლამ პატარა ეზოს ცხოვრება უფრო გადაასხვავებდა, ეზოს დიდი დიასახლისი უფრო ალერსიანი გახდა. მაშინ შერცხვათ ძველ მკვიდრებს და ისე, რომ ერთმანეთს არც გაუხმხილეს, ჩუმად ჩამოაგდეს სიმშვიდე. ჭერ კატა მივიდა და ბოსელას პატარა რქაზე დასკუპდა. მერე მამალმა დაიწყო ბალახის წიწკნა ზედ ბოსელას ფეხებთან, ბოლოს კი ძაღლმა იკადრა და ლალას ჩლიქებს რაც კი შეეძლო ნაზად მოეფერა. და, რა თქმა უნდა, ბოსელამ და ლალამაც შეიფერეს დიდსულოვანი ზავი, ყველაფერი სამუდამოდ დაივიწყეს და ამ პატარა ეზოშიც სამუდამო მშვიდობა ჩამოდგა. ამიერიდან ყველანი ერთად იყვნენ და „ერთად ძოვდნენ“: ბოსელა, ლალა, მამალი, ძროხა, ხბო, ძაღლი, კატა და ქათმების მთელი ლაშქარი. ამიერიდან ეს



ეზო ყველასი იყო. წვრილმანი წყენაკი, რაც ყველა დიდ ოჯახში ხდება, სათქმელადაც არა ღირდა.

ბოსელა უფრო გულჩვილი და ექვიანი იყო. ეს მხოლოდ გარსოს დედამ იცოდა და სხვა არავინ. ბოსელას ეგონა, რომ ქალი ვერაფერს ხვდებოდა, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ბოსელა განმარტოვდებოდა და ლაღას გაეცლებოდა, ქალმა უტყუვრად იცოდა, რომ რაღაც მოხდა, რომ ბოსელას თვალებში იდგა ნაღველი წუთისოფლის ამოვებაზე. მაშინ ქალი ურჩევდა ყველაზე უფრო ქორფა ბალახს, ეფერებოდა ყველაზე უფრო ნაზი მოფერებით, ეუნებოდა უცხოდ მოსასმენ საამო სიტყვებს და ბოსელაც მზად იყო მღელვარების ცრემლი გადმოეღვარა, პატეება ეთხოვა, ეთქვა, რომ რეგენია, რომ რაღა არ ეჩვენება, რომ ბოროტი გული აქვს და საკუთარი თავისთვის ვერაფერი უშველია... მაგრამ თქმა აღარ იყო საჭირო. ყველაფერი ისედაც ცხადი ხდებოდა და ბოსელაც, თათქოს არაფერი, კვლავ ლაღას გვერდით დგებოდა უღელში, ერთგულად ეწეოდა ჰაპანს და ამ უბრალო ბედნიერებით, ერთგულების ბედნიერებით მთვრალს, ზეზეულად ეყვინთებოდა. სათნოებისა და ერთგულების ამგვარი ზეიმის დროს ყველაფერი უფრო ამალღებული ხდებოდა, პაერი — უფრო გამჭვირვალე, მამლის ყვილი — უფრო მჭახე, ძაღლის ყეფა — უფრო აუცილებელი, კატის კავიდან კავზე ხტუნვა კი — უფრო სიცილის მომგვრელი.

ლაღა მართლა ლაღა იყო, წვრილმანების არად ჩამგდები, თავისუფალი, ეზოს ამო ფუსფუსიდან განრადებული და ყველაფრისთვის მზადმყოფი. ლაღა იდგა ეზოს ბოლოში და მთებს გასცქეროდა. სილაღე კი უფრო მაშინ ეძალტებოდა, როცა ქალი ზურგზე ხელს დაარტყამდა და ტყის გზას გაუყენებდა. მაშინ აღარ არსებობდა აღარც ბოსელას ჭიბირი და ოჩნობა, აღარც მამლისა და ძაღლის ცნობისწადილით საე-

სე მზერა, აღარც კატის უაზრო კნავილი და აღარც სიმძიმე იმ უღლისა, რაც ტყის გზაზე უნდა ეზიდა. ყველაფერი თითქოს პატარავდებოდა იმ სიღიადის წინაშე, რაც ლაღას თვალწინ იშლებოდა და რასაც ქალი მთას ეძახდა. ნეტავ რა დარჩენია იმ მთაშიო, — ფიქრობდნენ ეზოს მკვიდრნი და ყველაფერს იმით ხსნიდნენ, რომ რაკი ქვეყნად ვართ და პირში სული გვიდგას, ერთი რაღაც მიინც უნდა გვიყვარდეს. — გინდ მთა, გინდ ხე, გინდ ლოდიო... ამ ხარს კი, რომელსაც ქალი ლაღას ეძახდა, მთა უყვარდა.

რა თქმა უნდა, ეს სიყვარული, ეს ექვიანობა, ეს მთაც და თავის კარმიდამოში ატეხილი ფუსფუსიც მხოლოდ ქალის წარმოსახვის ნაყოფი იყო. ქალმა მთელი თავისი ცხოვრება სიმართლევში გაატარა და რომ არა ამგვარი სანუკვარი ფიქრები, რომელშიც ათასგვარი ტყუილი თუ მართალი ითხზებოდა, გაძნელებოდა ეს მარტოობა, ისედაც ძნელი და ერთი ქალისთვის აუტანელი. ეზოს მკვიდრნი ქალმა თავის ფიქრში აქცია ნამდვილ მკვიდრებად. ეზოს ცხოვრება ქალის ფიქრებში ითხზებოდა, ზაფხულის ცხელ დღეებში თუ ზამთრის გრძელ ღამეებში. ეს თვითონ ქალის ცხოვრებაც იყო, დაუსაბამო ფიქრში გაწეილი და გატანჯული ცხოვრება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ იმით ადვილდებოდა, რომ ბოსელა იბუტებოდა და შემორიგება იყო საჭირო, ლაღას მთები უყვარდა, ძაღლი, კატა და მამალი კი შეთქმულებებს აწყობდნენ, რომელიც აუცილებლად საყოველთაო სიმშვიდითა და თანხობით უნდა დასრულებულიყო. ეს იყო მთელი ცხოვრება: პატარა ეზო-კარი და მისი ბინადარნი.. და, რაღა თქმა უნდა, ის, შორეულ ქალაქში წასული გარსევანი, რომლისთვისაც ცოცხლობდა აქაურობა და რომელსაც ეძღვნებოდა ყველაფერი. იმ უფრო დი-

**თაბაჯ ბიგილური**  
 შვიდი ხმისა და ბოროლასათვის

ადზე, უფრო შორეულზე და ენით უთქმელზე კი, რასაც ომში წასული ქმრის ხსოვნა ერქვა, ეს სახლ-კარი დუმდა, ამ დიადი დუმილის წინაშე ყველა თავის ვალს იხდიდა.

წელიწადში რამდენჯერმე, მთელი ოჯახი აიყრებოდა და მთავი მიდიოდა. მარტო ერთხელ, და ისიც პირველ წასვლაზე, დაარჩინეს ძალი შინ. საცა სამართალი იყო, შინ დარჩენა კატაზე და მამალზე უფრო ძალს ეკუთვნოდა, მაგრამ იწყინა და თავის თავს უთხრა: ამაზე დიდი უბედურება რაღა უნდა მოხდეს, მეტი დაცინვა რაღა იქნებაო... ლობიდან გაძვრა, კატისა და მამლის დაცინვა არაფრად ჩააგდო და ორღობეში გასულებს იმგვარად წამოეწია, თითქოს უცდიდნენ და აჰა, ისიც მოვიდა, ახლა კი ყველანი ერთად წავლენო... ასეც მოხდა: იმ დღიდან ძალმა თავისი ადგილი იკოდა. წინ ხარები მიდიოდნენ — ბოსელა და ლაღა. ხარებს — ძროხა და ხბო მიჰყვებოდნენ, მერე ქვრივი მიდიოდა, ბოლოს კი — ძალი... იყო რაღაც ტრიუმფალური ამგვარ „გადასახლებაში“ და ამას თითქოს სოფელიც გრძნობდა, ეზო-ეზო გამოეფინებოდა და დაიძახებდა: „დაიძარი ბეჭაურებო?!“ და ეს „ბეჭაურებიც“ ერთგვარი სიამაყით ავსებდა ოჯახის დედას, რადგან ამქვეყნად ბეჭაურებიც ყოფილან, და ბეჭაურები დაძრულან.

ეზოს დარაჯად მხოლოდ მამალი რჩებოდა თავისი სამწყსოთი და კატა. ეს მოვალეობა კი, ქალის ფიქრში, მამალსაც და კატასაც მხოლოდ სიამაყით ავსებდა. იმ დღეს ისინი იყვნენ გამგებელნი მთელი სახლ-კარისა, საღამო ხანს ისინი უნდა შეხვედროდნენ შინ დაბრუნებულებს და მაშინღა უნდა დაეყვილა მამალს, ვალმოხდილსა და ამაყად თავაწეულს, კატას კი კრუტუნით მოესურვილებინა ყველა. დაბრუნებულთა შორის კი მარტო ძალი შემოდებოდა ეზოში ამაყად თავაწეული, რადგან ყოველი დღე მთავი წასვლისა ძალისთვის ტანჯვის დღე იყო,

ემინოდა, ვაითუ ისევ არ წამიყვინონ, ვაითუ შინ დამარჩინონ და კატისა და მამლის სასაცილო გამხადდონ, რადგან სიყვარული ერთი იყო მაგვრამე უყვავის თავს დიხაც რომ ვერ გაუტოლებდა ვერც სულელ კატას და ვერც გაფხორილ მამალს. მე მაინც სხვა ვარო, — ფიქრობდა ძალი და ეს გამორჩეულობა ყოველთვის მართლდებოდა.

გარსოს დედის კარ-მიდამო შორიდან იდილიური ჩანდა.

ხო, მამლებმა უკვე იყივეს. ცა ვარსკვლავებითაა მოჭედული. დედაკაცი თავის ხარებთან დგას და საცაა დაიძრებიან. ბოსელას ეძინება და ბოსლისკენ მიიწევს; ლაღა ხვდება, რომ რაღაც შორეული და იდუმალი მოგზაურობა იწყება და ელის იმ სანეტარო წამს, როცა დედაკაცის ხელი ეტყვის, აბა დავიძრათო... მაგრამ ვიდრე დაიძრებოდნენ, დედაკაცის გონებაში ერთხელაც უნდა ჩაიარონ ქალობის დღეებმა, რომელთა დავიწყებაც, აგერ უკვე მრავალი წელი გავიდა, ვერა და ვერ შეძლო, მით უმეტეს ამ ცისქვეშეთში, ამ ვარსკვლავების თვალწინ, რომელთაც ყველა წვრილმანი ქალის ცხოვრებისა კარგად იცოდნენ. ფიქრში ჩაძირულს თუ ზეცის შორეთში ასულს, ზოგჯერ ისიც კი ეგონა, რომ უკლებლივ ყველაფერს, ავსაც და კარვსაც, ეს ვარსკვლავები განაგებდნენ. სწორედ ეს ვარსკვლავები იყვნენ, რომელთა თვალშიც ქალი რაღაცას წარმოადგენდა, ან რომელნიც ამოდენა სამყაროში მის არსებობას ხედავდნენ. ფიქრს გაყოლილ ქალს შეეძლო დაეჩოქა და მადლობა ეთქვა ამ მირიად ვარსკვლავთა მიმართ. მაგრამ ეს მხოლოდ ფიქრში ხდებოდა. ქალს არასოდეს დაუჩოქია და ამ ვარსკვლავებსაც იგი ხელაპყრობილი არასოდეს უნახავთ. უცხო თვალისთვის ქალი მხოლოდ აქ, დღემიწაზე ცხოვრობდა, უყვარდა ქალა-

ქში წასული თავისი გარსევანი, ათასში ერთხელ გაიხსენებდა ომში დაკარგულ ქმარს, უფლიდა ძროხას, ჰყავდა ხარები, ეზოში დაუდიოდა ქათმები. ყიოდა მამალი. ყველა გადასახადს პატიოსნად იხდიდა. გამოდიოდა ბეგარაზე... ამ სოფლის მეკომურთა დავთარში ქალის ოჯახი ოცდამეცამეტედ ითვლებოდა.

ამ ქალის მთელი ცხოვრება ორიოდ მოგონება იყო. ქალს ჰყოფნიდა ეს მოგონებები. მის ხსოვნაში ყოველი ეპიზოდი სიდიადით იმოსებოდა, მათ გვერდით სხვა ყველაფერი იჩრდილებოდა და ცხოვრებაც ცოტა უფრო ადვილი ხდებოდა.

ბიჭი, რომელიც მერე ქალის ქმარი გახდა, ღამის ბიჭი იყო. ასე შეარქვა თვითონ ქალმა მაშინ, როცა ქალი კი არა, გოგო იყო. მხოლოდ ღამით დასდევდა გოგოს და ღამით უბედავდა იმ ერთი-ორი სიტყვის თქმას, რაც ქალის ხსოვნაში სამუდამოდ ჩარჩა და რომელთა დახმარებითაც აცოცხლებდა მერე იმ სიტყვებთან დაკავშირებულ ამბებს.

ახსოვს ზამთრის ბნელი ღამეები, როცა სოფლის პატარა კლუბში, კუთხეში მიყუყულო, ეკრანზე მოფარფატე ლანდებს უტკერდა, ლანდები ერთმანეთს ებრძოდნენ, მისდევდნენ, ჩხუბობდნენ, დავობდნენ. ერთმანეთი უყვარდათ ან სძულდათ, მაგრამ ეკრანზე დატრიალებული ცხოვრება მუდამ უღამამო და უინტერესო ჩანდა, თუ გოგოს უკან, სწორედ ერთი რიგის უკან, ის ბიჭიც არ იჯდა. ის კი მუდამ იჯდა, თუ ქვეყნიერება არ დაიქცეოდა და სადმე არ წავიღოდა. მერე ეკრანული „სხვა ცხოვრება“ მთავრდებოდა და იწყებოდა საკუთარი ცხოვრება, საკუთარ გზაზე გასვლა და დევნა. გოგო შინისკენ მარტო მიდიოდა და, გულმოცემული, ვინ უნდა შემაშინოსო, თავის ფიქრებთან ერთად მიჰყვებოდა ღამეს. ის კი, ის ერთადერთი, ვისაც გოგოს შეშინების უფლება ჰქონდა, შორიახლოს

მისდევდა, შორიდან ისმოდა მისი ფეხის ხმა და გოგოც, თანახმად იმ სოფლის ადათისა, გულში იმუქრებოდა, ეტყობოდა მითხარი რამე, მერე მე ვიცეო... უთქვამს, აკი არც არაფერი გაუბედავს. მარტო ერთხელ, როცა გოგომ ეშმაკობა სცადა („ამაზე ახლაც მეცინება“) და ბიჭს კინოდან გამოსვლისას საგანგებოდ დაემალა, მაშინ არაფერი და, მეორე ღამეს კი გაიგო ბიჭის ძახილი. ბიჭი არ ჩანდა, გარშემო უმთვარო ღამე იყო და ღამეში მხოლოდ მისი ხმა ისმოდა:

— მიწაში რომ ჩაძვრე, მაინც ციპოვნი.

გოგომ კარგად იცოდა, რომ ეგრე იქნებოდა, სადაც უნდა დამალულიყო, იმ პირქუშ და მაინც კეთილ ბიჭს ვერსად დაემალებოდა, რადგან თვითონვე არ სურდა დამალვა, რადგან იცოდა: თავისი ამაყი მუქარით ბიჭი ცამდე მართალი იყო.

ბიჭის ძმა — ტუხო ბექაური პირველი დლიდანვე წავიდა ომში და ეს წასვლა გოგომ ღამით გაიგო. რალა ღამით, შუაღამე იყო. მთელ სოფელს ეძინა და როცა გოგოს თავზე დედა დაადგა და უთხრა, ადექი, ბექაურების ბიჭი გეძახისო, გოგოს ოჯახში ყველა მიხვდა, რომ რალაც განსაკუთრებული მოხდა, თორემ ოჯახში მოსვლას, დაძახებას და გოგოს გარეთ გაყვანას ერეკლე ბექაური შუაღამისას კი არა, შუადღისასაც ვერ გაბედავდა. ვერ გაბედავდა თუ არ იკადრებდა? ხო, არ იკადრებდა! თავმოყვარე იყო, ამაყი, ზედმეტ ერთ სიტყვას არ იტყოდა. მისი შავი წარბების ქვემოდან მუდამ დაფიქრებული და, ჰოი ღმერთო, პატიოსანი თვალები იმზირებოდნენ. ამ თვალებს ქალი დაუფიქრებლად ენდობოდა და იმ შუაღამისასაც, ერეკლე ბექაურს რომ ეთქვა, ახლავე ჩაიცივი და ცხრა მთას იქით წამომყეო, მართლა ჩაიცვამდა და წაჰყვებოდა.

ბიჭი ეზოში იდგა და მთვარის შუ-

თაბავა ზივილური

შვიდი ხმისა და ბოროლასათვის

ქზე მისი თვალები ნაკვერჩხლებივით ვარვარებდნენ.

იმ თვალებს ქალი სიკვდილამდე ვერ დაივიწყებს და ვერც იმ სიტყვებს, ბიჭმა რომ ჩუმად თქვა:

— ტუხო წაიყვანეს.

გოგომ არ იცოდა, რა ეთქვა. არც ის იცოდა, რომ ერეკლე ბეჭაურის წარმოდგენაში მძის წასვლა სულ სხვაგვარად უნდა მომხდარიყო: შუალამისას კი არა, დღისით, რადგან ძმების თვალში ომში წასვლა რაღაც დიდ შინაარსს იძენდა.

ბიჭმა თავისი ვალი მოიხადა, დილამდეც არ დაიცადა. როგორც კი ძმა ომში წაიყვანეს, წამოვიდა და შუალამისას ამ გოგოს უთხრა. ამით ყველაფერი იყო ნათქვამი და ომში ბიჭის წასვლამ ვერ დაჩრდილა ის ბედნიერება, რაც შუალამისას ერეკლე ბეჭაურის მოსვლამ გოგოს მიანიჭა.

მეორედაც ლამით მოვიდა ბიჭი. გოგომ არ იცოდა, რომ იმ მოსვლას წინ უძღოდა მტანჯველი ფიქრები და თერთად გათეული ლამეები; როცა სიბნელეში ტახტზე წამოხილი ბიჭი მხოლოდ წასულ ძმაზე ფიქრობდა და მძაფრი წინათგრძნობით შეპყრობილი ელოდა იმ დღეს, აუცილებლად რომ რაღაცა უნდა მომხდარიყო.

მომხდარა კიდევ!

ტუხო ბეჭაურის დაღუპვის ამბავი მოსულა...

ერეკლე ბეჭაურმა ხეირიანად ვერც კი გაიგო, რა უთხრეს, რაღაცა კი აუხსნეს, მაგრამ ეს „რაღაცა“ კარგა ხანს მაინც აუხსნელი დარჩა და ბიჭის გონებაში მძის სიკვდილს ვერა და ვერ დაუკავშირდა; ვერ გაიგო, ასე ორიოდ თვეში, როგორ მოასწრო ტუხომ იმსიშორე გზის გავლა და მაინცდამაინც სიკვდილი, ან იმდენი ბიჭებიდან, ომში რომ წავიდნენ, რაღა ტუხო მოკვდა, რაღა მისთვის გამოხტა ერთადერთი ბრძელთა, რაღა მართლ მძის ამბავზე მოვიდა საბჭოში ქალადმი და რაღა მართლ ერეკლე დაიბარეს იმის სათქმელად, იცოდე, დაბრუნების იმედი აღარა გქონდეთ... .

ეს გაგრძელდა ორიოდ დღეს. ვიდრე თვარამეტი წლის ერეკლე ბეჭაურის გონება ერთბაშად არ განათქმინდა — არ მიხვდა, რომ ის, რაც საბჭოში მოვიდა — მოკბულად უთხრეს, მწარე სინამდვილე გამოდგა: ამ ბიჭის ძმა, ტუხო ბეჭაური, აღარ იყო... ეს მოხდა ნოემბრის ნისლიან ღამეს და იმ ღამესაც ბიჭი, ისე რომ არც კი დაფიქრებულა, სოფლის ორღობეს გაუყვა და გოგოს კარზე მივიდა. ხო, ჩემ კარზე დაიძახა, — იხსენებდა მუდამ გარსოს დედა, ამ ბიჭის ქვრივი — ისევ იქ მოვიდა, თვალესაც კარგად ვხედავდი. იმ ნისლიან ღამეში ვხედავდი, ოღონდ ეს თვალეები ეხლა სულ სხვაგვარად ელავდნენ. შეგვემინდებოდა, და აკი შემეშინდა კიდევ.

— სულ ერთია, მოვკლავ! — თქვა მაშინ ერეკლე ბეჭაურმა და ქალიც შეუმცდარად მიხვდა, ვის მოკვლას აპირებდა ამ ნისლიან ღამით მის კარზე მოსული გაბოროტებული ბიჭი.

მაშინ გოგომ ის სიტყვები უთხრა, რასაც ბიჭი ერთი წუთითაც ვერ წარმოიდგენდა და რამაც მის გაბოროტებულ გულში ბედნიერების მბუქუტავი სანთელი აანთო:

— ხვალე გადმოვალ და თქვენსა ვიქნები...

ქორწილი არ გამართულა. ქორწილმა ბიჭის და გოგოს ფიქრში ჩაიარა მხოლოდ: ფიქრში ცხადად ისმოდა დოლისა და გარმონის ხმა, მაყრიონის ქრიაშული და თამადის სიტყვა. ვიღაცა იძახდა, ვიღაცა უხმობდათ და სადღეგრძელოს ეუბნებოდით. ვიღაცა მოითხოვდა, ერთმანეთს აკოცეთო. დაიწინდების მონაღვთისა — ამბობდა მღვდელი. სურვილით ირთავთო ერთმანეთს? — კითხულობდა სოფლის საბჭოს მდივანი და დავთარში მათ გვარებს გულმოდგინედ წერდა: ბეჭაური ერეკლე... კობაიძე ძილა... „ქმრის გვარს ატარებ თუ საკუთარს დაიტოვებ?“ „ქმრისას ვატარებ“. მღვდელი კი თავისას არ იშლიდა და განაგრძობდა: დაიწინდების მონაღვთისა... მხევალსა ზედა... თამადა კი ისევ გაიძახოდა, გადაკოცნეთო, მათ კი ამდენ

ხალხში, ამდენ მომსვლელსა და წამსვლელში, ამ ყაყანში და ღრიანცელში, არა და არ შეეძლოთ ერთმანეთის გადაკონცა. მართლა, ტუხოს სად არი? ტუხოს მიხედვით, სიმთვრალეში ჩხუბი იცის, თვითონ არავის აუხიროდება, მაგრამ პატარა რამესაც არ შეარჩენს...

გოგო შინ ღამით წამოიყვანა. საქორწინო მაყრიონის ქრიაშულიც თითქოს იქ, ქალის სახლში დარჩა და თვითონაც სრულიად მარტო დარჩნენ. უკვე ბინდია და არავინ ჩანს. ასე ჰგონიათ მთელი სოფელი სადღაც გაქრეფილა. ახლა მათია სოფელიც და ქვეყანაც! და ვიდრე სახლისკენ გადაუხვევდნენ, ძილა კობაიძე და ერეკლე ბეჭაური ორლობეს გადავივლიან და დიდ მინდორზე გადაიან. ტრიალ მინდორზე ყველაფერი ბინდში ჩაძირულა. მარტო ერთი ბეწო ეკლესია ქათქათებს თეთრად და ბიჭი და გოგო უსიტყვოდ მიდიან მისკენ. ჩამონგრეულ კართან ჩერდებიან. ბიჭი ნაბიჯს გადადგამს და სიბნელეს შეერევა: „მოდი, ნუ გეშინია...“ გოგო გაუბედავად მიიწევეს სიბნელისაკენ. უკვე ღამეა (იმგვარი ღამე, როგორც ეს ღამე, უმთვარო, მარტო ვარსკვლავიანი) და ღამეში თეთრად გაქათქათებულ ეკლესიის ბნელი კარიდან ისმის ჩურჩული: „დაიწინდების მონა ღვთისა... მხეველსა ზედა...“

ამგვარი იყო ჯვრისწერა ამ ბრტყელხელება, სახედაღარული, ავად მზირალი ქალისა, რომელიც მაშინ მართლა ქალი კი არა, გოგო იყო და მზერაც სათნო ჰქონდა, როგორც გოგოს შეჭფერის. ამგვარი იყო ის ღამე, — უმთვარო და ვარსკვლავებით მოჭედილი, რომელიც საოცრად ჰგავდა სხვა ღამეებს, წლების მანძილზე ქალის თვალწინ რომ ჩაუვლიათ, მაგრამ აღარ იყო არც თეთრად გამომკრთალი ეკლესია, არც ბიჭი და არც ჩურჩული: დაიწინდების მონა ღვთისა... მხეველსა ზედა... იმ ღამის გახსენებაზე ქალის სულში მუდამ აუხსნელი ნათელი იღვრებოდა, მაგრამ ქალმა არ იცოდა, რა იყო ეს ნათელი, რა ერქვა, საიდან აშუქებდა...

ქმრის სახლში გოგოს დედამთილ-მამამთილი დახვდა, ჩუმი და უთქმელი ბაბუნა და თაყა. გოგო ეგრე უთქმელად გაატარებს მათთან ორიოდ წელს ეგრე უთქმელადვე წავლენ ისინი ამ ქვეყნიდან, როცა მეორე შვილის ამბავსაც გაიგებენ, თითქოს გაიპარნენო, თითქოს ერთ ღამეს გაქრნენ და აღარ გამოჩნილან, და თან ჩაიტანეს ამქვეყნის მადლობაცა და სამღუარავიცო. ამიერიდან ბეჭაურების სახლში საბოლოოდ ჩამოღებდა სიჩუმე. ოციოდე წლის რძალი ბეჭაურებისა მარტო დარჩება. ამ მარტოობის ტვირთით უნდა გალიოს ამ ქალმა თავისი წუთისოფელი, იმ მცირე მოგონებით, რაც ქმრის აჩრდილმა დაუტოვა და იმ მცირე ოცნებით, რასაც შვილის შორეული ოჯახი ათასში ერთხელ გაიმეტებს. ჯერ კი გოგო მაინც ბედნიერია. გვერდით ქმარი ჰყავს — ოციოდე წლის ერეკლე ბეჭაური, ჯანსაღი ბიჭი, რომლის თვალებიდან გოგოსთვის მუდამ შუქი მოდის, სადღაც, სიღრმეში კი დაუოკებელი რისხვა თუ გაბოროტება ჩაგუბებულა. გოგოა ეშინია იმ მრისხანე თვალებისა და ღმერთს ეხვეწება, რომ ამ ბიჭმა ყველაფერი დაივიწყოს. სასწაულს დაელოდოს და თუ ძმა შინ კეთილად მაინც დაბრუნდა, თვითონაც დახვდეს და ოჯახიც კეთილად დაახვედროს. მაგრამ ის სიტყვები, ძმის სიკვდილის მერე თავის თავს რომ უთხრა, ერეკლე ბეჭაურს „ჯვრისწერამ“ ვერ დააიწევა. ოჯახში მარტოობა დაირღვა, გოგოს სათნოებამ კედლებიც კი გაათბო, მარტო იმ ორ სიტყვას ვერ დააკლო ვერაფერი. „ჯვრისწერის მღელვარებამ“ უკვე ჩაიარა, საბჭოშიც მხარზე ხელი დააკლეს, გამბედაობა შეუქქეს და უარით გამოეხტუმრეს. მაგრამ ერეკლე ბეჭაურს ვერც შექება ეუბნებოდა რამეს, ვერც აღერსი და თანაგრძნობა. ძმის მკვლეელი ფანდათან უფრო ცოცხალ სახეს იღებდა და „იმათების“ მთელი ლაშქარი კი არა, „ერთი

თამაზ ზიზილური

შვიდი ხმისა და ბოროლასათვის



ვილაცა“ ხდებოდა, თითქოს ამას წინათ აქვე, შარაზე შეხვედროდეს და ახლა კი, თავისი დანაშაულით დამფრთხალი, სადღაც გადაკარგულიყოს. „იციოდე, მოგკლავ...“ იმუქრებოდა ერეკლე ბექაური. ის „ვილაცა“ კი უდრეკად უცქერდა, ერეკლეს ენა კარგად ესმოდა, ხვდებოდა, რომ სიკვდილი არ ასცდებოდა, შიშის გამყლანება კი მაინც არ უნდოდა... მაგრამ, როგორც კი ერეკლე ხანჯალს იშიშვლებდა (ის დღეები სულ ხანჯლით დადიოდა), სადღაც ქრებოდა. ბიჭმა კვლავ არ იცოდა, რა იყო ომი და ის „ვილაცა“ მის უმწურო სურვილზე სიცილით კვდებოდა. სასაცილო იყო ბიჭის სურვილიც და ბიჭის ხანჯალიც. სურვილი იმიტომ, რომ ამ უკიდევანო ომში, ბიჭი ვილაც არარსებულს ეძებდა, ომში, სადაც ყველანი დამნაშავენი იყვნენ, ყველანი ამ ბიჭის ძმის მკვლელები, მაგრამ მკვლელი მაინც არსადა ჩანდა; ხანჯალი იმიტომ, რომ ამ ხანჯლით იმ „ვილაცას“ დიდი და სისხლში მოთხვრილი ომი კი არა, სოფლის კლუბის პატარა სცენა უხატებოდა, სადაც ლამბის მკრთალ შუქზე გამოსული ბიჭი მოსისხარს ეძებდა და ამ მკრთალ შუქზე ხანჯალიც იმგვარ უწყინარ ნათელს ასხივებდა, რომ ყოველმა მაყურებელმა იცოდა: ის, ვინც სცენაზე ამ ხანჯლით განიგმირებოდა, ცოტა ხნის მერე, ნახშირით დახატულ უღვაშებს ჩამოიბანდა და კვლავ ერთი უწყინარი ბიჭი გახდებოდა. იმ ვილაცას, რომელსაც ბიჭის თვალში სახეც ქონდა და სულიც, სახელიც ერქვა და გვარსაც ატარებდა, ამ ბიჭის ხანჯლისა არა და არ ეშინოდა.

ბიჭი კი ჭიუტად განაგრძობდა ძებნას. ამ ძებნას იგი თავისი ორღობიდან სოფლის შარაზე უნდა გაეყვანა, ვიდრე ეს შარა სხვა, უფრო დიდ შარაგზას არ შეუერთდებოდა, მერე უფრო დიდ და ვიდრე ბოლოს არ მიადგებოდა იმ ვეშაპს, რომელსაც ომი ერქვა.

იმ დღიდან ბიჭმა სხვა ყველაფერი დაივიწყა. გოგოს მისგან მხოლოდ ის ორი სიტყვა ესმოდა: „სულ ერთია,


მოგკლავ“. ამ ორი სიტყვით ცხოვრობდა და ამ ორი სიტყვით ეძებდა იმ გზას, რომელსაც სადღაც ძმის მკვლელის საძებნელად უნდა წაეყვანა.

ასე გავიდა ზამთარი. დაღმა გაზაფხული და გაზაფხულიც მტანჯველ მოლოდინში გაილია. ის იყო ერეკლემ ცოლს გაუშხილა, ახლა კი აღარაფერს ვიკითხავ, აღარავის ვეტყვი, გზას დავადგები და მერე ყველაფერი ბედმა იცისო, რომ საბჭოში დაიბარეს და როდის წახვალო, — ჰკითხეს...

არავინ იცის ამქვეყნად უკიდევანო ომის გზაზე მართლა იპოვა თუ არა ბიჭმა ის, ვინც აუცილებლად უნდა მოეკლა, თუ სურდა, რომ სულის სიმშვიდე ღირსებოდა, და თუ იპოვა, მოკვარა კი სულის სიმშვიდე ამ სიკვდილმა? თუ ამ სიკვდილმა ახლა სხვა, უფრო დიდი სატანჯველი მოუტანა, კაცის სისხლში ხელის გასვრის სატანჯველი, მოუშუშებელი და მარადიული... არა, ეს არავინ იცოდა. ეს არ იცოდა ამ ქალმაც კი, რომელიც ამ წუთში, შუალამის ცის ქვეშ, თავის ხარებთან ერთად რაღაც ჭერ არგაგონილ მოგზაურობას იწყებს — საკუთარ თავს ხარებს ჰპარავს, და რომელმაც წელთა მანძილზე იმდენი იფიქრა თავის კაცზე თუ ბიჭზე, იმდენი რამ წარმოიდგინა და აწონ-დაწონა თავის ფიქრში, რომ გასაკვირი აღარ არის, ესეც იცოდეს.

ძილა ბექაურს, ერეკლე ბექაურისაგან, ომში რომ თავისი ძმის მკვლელის მოსაკლავად წავიდა, ეს სახლ-კარი, ქმრის გვარი და ერთი ბიჭი დარჩა, რომლის არსებობაც მამამ ალბათ ვერა და ვერ გაიგო და რომელსაც ქალის მამამ გარსევანი დაარქვა. ასე რქმევია ვილაცას იმათ გვარში და მთელი გვარი იმ გარსევანით ამაყობდა. აუხლათ კიდევ, ძილა ბექაურის გარსევანიც ცნობილი კაცია და მთელი სოფელი ამ ქალს ახლა გარსოს დედას ეძახის.

იმ დღიდან თუ იმ დღიდან, როცა




პირველად გადმოაბიჯა ამ სახლის ზღურბლზე, ქალისთვის სახლი და მისი პატრონი ერთსახე გახდა. სახლი ცოცხალი იყო, ყველაფერი ესმოდა და ყველაფერს სწორედ მისი პატრონის თვლით ხედავდა. წლები ისე გავიდა, გარსოს დედას ეს სახლი ერთი ღამითაც არ გამოუკეტია. სად არ ყოფილა, მაგრამ დღის ბოლოს მაინც დაადგებოდა იმ გზას, რომელიც ამ სახლამდე მოიყვანდა.

ამ შუალამისას, როცა სწორედ ამ სახლის წინ გამოსულა და თავის უცნაურ გზას უნდა დაადგეს, ქალი იხსენებს იმ ღამეს, როცა ყველაზე ცხადად შეიგრძნო, რომ სახლი ცოცხალი იყო და ამის შეგრძნებამ ერთი წუთით ისიც კი აფიქრებინა, რომ ამქვეყნად უბედურება არ არსებობდა. როგორ შეიძლებოდა თავი უბედურად ეგრძნო, როცა არსებობდა სახლი, სადაც ოდესღაც მის ქმარს ეცხოვრა და ყველაფერი მისი მოგონების სითბოთი სუნთქავდა. მაგრამ ქალმა ეს თავისთვისაც კი გაუგებარი რამ მხოლოდ ერთხელ გაიფიქრა, იმ ღამეს, რომელსაც ახლა, თავის ხარებთან ერთად, ცისქვეშეთში გამოსული იხსენებს.

იმ ღამემ ღრიანცელსა და სიმღერაში გაიარა. ამ ქალის დისწულის, ოც წლის ვეფხოს ქორწილი იყო გაღმა სოფელში და წაუსვლელობა არ იქნებოდა. ქალს არ უყვარდა ქორწილებში სიარული. სხვისი ბედნიერება სიხარულთან ერთად სევდასაც ჰგვრიდა. ეს იყო სუფთა, შურისაგან განძარცული სევდა, რომელსაც მხოლოდ ფერი ჰქონდა რუხი და მხიარულ ფერთა ფონზე უფრო ჩამუქებული მოჩანდა. ქორწილს სწორედ მხიარული ფერი ედო. და რაკი ქალს თვალთმაქცურად რაიმეს დამალვა არ შეეძლო და არც ამის საპირობებს ხედავდა, მხიარულებას ისე გაურბოდა, როგორც სხვათათვის განკუთვნილს, რომლის ახლოს ტრიალის უფლებაც თვითონ არ ჰქონდა. ქალი ფიქრობდა, რომ საკუთარი სევდით მხოლოდ თავად იყო მდიდარი და აკი

ვთქვით, ბედნიერიც. ეს სხვებს ეგონათ, რომ ჩუმი და განაპირებული სახლურ უფრო უმძაფრებდა სევდას, რამე სახლის კედლები მუდამ ერთსა და იმავეს ჩასჩინებდნენ, გარეთ გასვლა და გულის გადაყოლება კი ერთბაშად შეცვლიდა ყველაფერს; თუ ერთბაშად არა, ცოტა ხნით მაინც დააფიქრებდა იმას, რაც უცხოთათვის იყო დასაფიქრებელი, თორემ ქალი კი ვერადა ვერ დაიფიქრებდა. არ უყვარდა ხალხმრავლობა და არც ქორწილი უყვარდა! ქორწილის ჭრელა-ჭრულა ფერები, ერთმანეთში არეული სიმღერა და სიცილი, სიტყვა და მუსიკა, საქმელი და სასმელი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, უთავბოლო, წაღმა-უკულმა დატრიალებული დღე, ვერა და ვერ თავსდებაოდ ერთფეროვან დღეთა მდინარეაში, სადაც ქალს არაფრის შეცვლა და გადაადგილება არ სურდა, სადაც ყველაფერი ერთხელ და სამუდამოდ იყო დაკანონებული: ფერიც, ხმაც, სიტყვაც და ღიმილიც. მაგრამ იმ ქორწილში წასვლის წინ ქალს ერთი ნუგეში ჰქონდა: საქმე! საქმე მართლაც დიდი ნუგეში იყო... ამ წელთა მანძილზე, რაც ქალი მარტო დარჩა, ყველაზე დიდი სიკეთე მხოლოდ საქმისგან ახსოვდა. როგორც არ უნდა ყოფილიყო ეს საქმე, ლოდიც რომ ეზიდა მთაზე და ხელმეორედ დაეგორებინა, მაინც საქმე იყო, რომელიც ქალს ყველაფერს ცოტა ხნით მაინც ავიწყებდა და ათქმევინებდა, რომ ამ წუთში სხვა, უფრო დიდი საფიქრალი არ არსებობდა, ვიდრე ამ ლოდის მთაზე უსა და ხელმეორედ დაგორება იყო. სიხარულით მოელოდა, როცა თოვლს ჩამოყრიდა და გზის გადათოვლაზე დაუძახებდნენ, როცა თიბვა იწყებოდა და მთელი სოფელი თივის დასაბუღულვებლად მთაში იდებდა ბინას. წინა დღესაც, როცა დამ და სიძემ შემოუთვალეს, აბა, ქორწილა უშენოდ ჩაგვშხამდება, შენ იცი, ეს ერთი

თამაზ ზივილიანი  
 შვილი ხმისა და ბოროლასათვის




დღე ჩვენთვის გადაინახე და ნუ გვი-  
ლალატებო, იცოდა, წაუსვლელობა მა-  
რთლა არ იქნებოდა, მაგრამ საქორწი-  
ლოდ კი არა, იქაც საქმეზე უნდა წა-  
სულიყო. წავიდა და სხვას არაფერი  
დაანება: პურებიც თვითონ დააცხო,  
ჭურჭელიც თვითონ დარეცხა, კერძიც  
თვითონ მოხარშა, სამწვადეებიც თვი-  
თონ გადაარჩია და დაჭრა. ამ გარჯაში  
კი დღე ისე გაილია, როცა საღამო ხანს,  
ცეცხლის პირას, ოფლში გაღვარულს,  
თოფის ხმა და მყარიონის ყვირთა შე-  
მოესმა, გაუკვირდა კიდეც, წელში გაი-  
მართა და თავის თავს ჰკითხა, ნეტა ვი-  
ნა ყვირის, ან თოფს რაზე ისვრიანო-  
მაშინვე მიხვდა, თოფს რაზე ისროდ-  
ნენ და ისევე ცეცხლს მიუტრიალდა, ისევე  
გავარჯვარებულ ნაღვერდლებში ჩაღვა-  
რა ჩამოდენილი ოფლი და როცა მიიხედ-  
მოიხვდა, დაინახა, რომ სამზადიდან ერ-  
თიანად ყველანი გაკრეფილიყვნენ, რა-  
თა ნეფე-პატარძლისათვის შეეველოთ  
თვალი, თავად კი მარტო დარჩენილიყო.

— მოდი, მეცა ვნახავ ნეფე-პატარძა-  
ლსო, — გაიფიქრა და გარეთ გასასვ-  
ლელად გაემზადა. შავი მოსახვევი გა-  
ისწორა, ჭალარა თმა დაიფარა, წინსა-  
ფარი მოიხსნა, კაბაზე ხელი ჩამოისვა  
და ასე, წელში გამართული, სამზადი-  
დან გავიდა. ჩრდილს შეეფარა და სა-  
ზეიმოდ გაბრწყინებულ სუფრას გახე-  
და: ნეფე იჯდა ყელმოღერილი და ზე-  
მოდან თავის დედოფალს დასცქეროდა  
("კარგი გოგოა, მაგრამ ვეფხოს მეტი  
ეკუთვნოდა"). თამადა კეთილად შებე-  
რებას უსწრებდა და დედოფალს და  
ორივენი თავს ხრიდნენ ("ოგორ შე-  
ფერეს!"). და ის იყო, თავი ვაღი-  
ხდილად ჩათვალა, ის იყო უკან გამობრუ-  
ნებას და ისევე სამზადში შესვლას აპი-  
რებდა, რომ ჯერ დის ქმარი ამოუდგა  
გვერდით, მერე საკუთარი და: ღმერთ-  
მა შენც მოგასწოროს შენი ბიჭის ქორ-  
წილსო... ვინდა თუ არა, წინ გამოდი,  
რას იმალები, დაჯექ სუფრასთან და  
მოილხინე, რაღა დისწული და რაღა  
შვილიო. რაღა დისწული და რაღა შვი-  
ლი, მაგრამ ქალს სუფრასთან დაჯდო-

მა მაინც არ შეეძლო, დის ქმარს ალერ-  
სით მხარზე დაჰკრა ხელის და შეეხვე-  
სამზადში დაბრუნდა.

ალარაფერი გაუგია, ვინ რას ამბობ-  
და, ვინ როდის მღეროდა, ვინ როდის  
ცეკვავდა... არც ის გაუგია, რაზე მო-  
უვიდათ ჩხუბი გოგოსა და ბიჭის მყა-  
რიონს და ქორწილის ეჯიბმაც რა ოს-  
ტატურად ჩაახშო ჩხუბი. ყველაფერი  
მერე გაიგო, როცა ჩხუბიც უკვე ჩამ-  
ქრალი იყო და მეზობლებიც ეჯიბის  
ჰკუხასა და მიხვედრილობას აქებდნენ,  
თუმცა ყველამ თავიდანვე იცოდა, რომ  
ქორწილი უჩხუბრად არ ჩაივლიდა და  
მართლა უჩხუბრად რომ ჩაველო,  
ქორწილიც აღარ იქნებოდა. ქალი უს-  
მენდა მეზობლებს, ბიჭს რომ აქებდნენ  
და დედოფალსაც უქებდნენ, ჩუმ-ჩუმად  
კი მაინც ამბობდნენ, ბიჭს მეტი ეკუთვ-  
ნოდა. ესეც ადათი იყო, ასე უნდა  
ეთქვათ, ბიჭი უფრო მოხდენილიად უნ-  
და გამოეჩინათ, რადგან ბიჭი იყო სა-  
კუთარი, გოგო კი — სხვა მხრიდან მო-  
სული... ბოლოს კი ყველაფერი მაინც  
კეთილად დასრულდებოდა, თუ ორიოდ  
თვეში გოგოც თავს გამოიჩინდა, ყვე-  
ლას თავს შეაყვარებდა და ხუმრობით  
თუ მართლა, ახლა ბიჭს ეტყოდნენ, შენ  
რა ღირსი იყავი ამისი, ეს რა გოგო  
მოგიყვანიაო. ხო, ქორწილს თავისი წე-  
სი და ადათი ჰქონდა, დაწერილი თუ  
დაუწერილი და ყველაფერი ამ წესით  
და ადათით მიდიოდა.

ქალი მაშინდა შეშფოთდა, როცა გა-  
რეთ გამოვიდა და დაინახა, რომ კარგა  
დიდი ღამე წამოსულიყო და ცაზე სწო-  
რედ ის ვარსკვლავი კრთოდა, რომელიც  
თავის სახლ-კარში შუალამის დადგომას  
ამცნობდა ხოლმე. ამ ვარსკვლავის და-  
ნახავამ შეაშფოთა, თავშალს ხელი წა-  
მოავლო და ის იყო, შეუთმჩნევლად აპი-  
რებდა ეზოდან გამოსვლას, რომ ჯერ  
დის ხმა წამოეფიქა, მერე სიძისა: აბა,  
რას აკეთებ, ამ შუალამისას რა გზას  
დასდგომიხარ, განა ვინ უტხოსთანა ხარ,  
რომ ერთი ღამე არ დარჩე და ჩვენთან  
ერთად არ გაიხარო, დილაზე შეგიკაზ-  
მავთ ცხენს და ჩვენი ფეხით გადაგიყ-



ვანთ, რა დროს წასვლაა, ვინმემ რო გაიგოს, რას იტყვისო. იქიდან ახლა დის მული გამოვიდა, ქალს წინ გადაუდგა, შენი თავი თუ არ წიციოდება, შენი ბიჭი მაინც შეიცოდე, აბა ნახე, რა ყოფაშია, თურმე ვერა გვცნობიაო. დენო ხომ არ დააღვივინესო? თუ დალია, აქ დარჩესო, ბიჭს არ წავიყვან, ჩემი წაუსვლელობა კი არ იქნება, განა რა არი, დილაზე მაინც ადრე ვარ გასასვლელი, ხარ-ძროხა მისახედა, მენახირე ამოვივლის და იმისთანა უკულმართია, ერთი არ იფიქრებს, შინ არა ყოფილა და გავიყოლო. რალა დილაზე წავსულვარ და რალა ახლაო. როგორც შენ გინდა, მაგრამ ბიჭის გამომშვები მაინც არა ვართ, ძლივს გაიხარა, ცოდაო. ბიჭზე არაფერს გეუბნებით, მე უნდა წავიდე, ჩემი წაუსვლელობა არ იქნებაო... იქით ძროხა, იქით ხარები, თორემ განა რა მოხდა ისეთი, ჩემი დის სახლში რა ძნელი იქნება დამის გათვავაო... ამ მოთქმა-მოთქმაზე ახლა თავად სიძე გამოვიდა, მორთული და გაბადრული სიძე: საით მიდიხარ, დეიდ, („კარგი ბიჭია, ენაცვალოს დეიდა“), ხო იცი, ჩემი ოფოფების ამბავი, ახლა შენ რო სადმე წახვიდე, აემ ჩემ დედოფალს მარტო დავარჩენ და პირველ ღამეს ცრემლებით გავათენებინებო... ვითომ რათაო, შეილოო, ამ დროს განა არ მივილიაო, შენ რა იცი, პატარა რო იყავი, გაჭირვება სად აღარ მატარებდაო. ამ დროს სათიბიდანაც ჩამოვსულვარ და ქალებიდანაც დავდგომივარ გზასაო... არა და არ ვაგიშვებო, — სიძე ამბობდა, — ჩვენც გამოგყვებით, ნეფე-პატარძალი, თუ არ დაგიშლია და მაინც წახვიდაო... ამ ლაპარაკში ახლა სხვებიც წამოვიდნენ, სხვებიც მოადგნენ ჭიშკარს და ქალი მობრუნდა, არ უყვარდა ქვეყნის ყბაში ჩავარდნა, საკუთარი თავის საქვეყნოდ გამოტანა... კარგო, დავრჩებო, ოღონდ თქვენ იყავით კარგად და ეს ერთი ღამე გინდ იქითა ყოფილა, გინდ აქეთ, მაინც რალა დარჩა, საცა ცისკრის ვარსკვლავი ამოვა და გათქნებაც შორს აღარ არიო.

მობრუნდა, შალი ისევ მოიხადა, ისევე სამზადში შევიდა და ჭურჭელს დაუწყო რეცხვა.

მეჭორწილენი უკვე განახევრებულყვენ. ბებრები დიდი ხანია შინ წასულიყვენ. წვრილფეხობასაც დასძინებოდა. მარტო ქაბუკებილა ილხენდნენ და, დოლსა და გარმონთან ერთად, ხმაჩახლეჩილნი მღეროდნენ. თამადა, აღარაინ იცის, მერამდენედ უსურვებდა ტკბილად შებერებას ნეფე-დედოფალს, ლოცვდა მათ მშობლებს, ახლობლებს და მეზობლებს, აქებდა ხელისმომკიდებებს, სიკეთეს უსურვებდა მაყრებს. და მაინც ყველაფერი ძილისა და თვლემისაკენ მიდიოდა, შუალამე თენთავდა ყველა სხეულს, ამეჩხრებდა სუფრას, დამდგარიყო დრო, როცა სტუმარი და მასპინძელი დასასრულზედა ფიქრობდა, კეთილ დასასრულზე, როცა ნაწყენი და დამდღურებული არაინ წავიდოდა.

გარსოს დედა ყველას გაეცალა და ის იყო, იფიქრა, ძლივს გავერიდე ამოდენა ხალხსა და ჯამაათს, ძლივს ისევ ვიპოვე ჩემი წილი მარტობაო, რომ ზურგს უკან ძმის ხმა მოესმა:

— აბა, წამო, დაინახე!..

ეს სამი სიტყვა რალაც ახალს და ჯერაც უნახავს აუწყებდა, თანაც იმგვარს, ამ ქალის ცხოვრებისათვის დიდი აზრი და მნიშვნელობა რომ ჰქონდა.

ქალი ეზოსკენ წავიდა. კვლავ აფრიალდნენ ათასგვარი ხმები, კვლავ აენტო ჩირალდნებით გაბრწყინებული ეზო მრავალ ფერებად და ამ ფერთა და ხმათა ფრიალში ძილა ბექაქრმა საკუთარი შვილი დაინახა, ყველასაგან გამოკვეთილი, მრავალ სახეთა და სხეულთა შორის ცალკე გამოყოფილი გარსევანი.

ბიჭი ცეკვავდა!

არც ბავშვი, არც ყრმა, — უკვე ბიჭი. დასრულებული და კაცობისკენ მიდრეკილი...

და იმ წუთში, ერთადერთი, რისი გა-

თამაზ ზივილური  
შვიდი ხმისა და ბოროლასათვის

ფიქრებაც ქალმა მოასწრო, გაოცება იყო:

— როდის გაიზარდა?!

ბიჭი ერთბაშად გაზრდილყო. ერთბაშად გამჭრალყო ბავშვი, რომელსაც აქამდე დედა სასოებით სულს უბერავდა, არ ჩაქრეს და არ დავიღუბოო. ამდენი ხალხის წინაშე როკავდა შეღერებულები, აღზნებულები, თვალანთებულები, ოფლმოდენილი, რალაცით ბედნიერი და რალაცით უცხო. „დამთვრალა“... ამ ფიქრმა დედას სიხარულიც მოჰგვარა და შეშფოთებაც. როდის დათვრა, როდის დალია, ან რამდენი დალია, რატომ დედამ ვერ შენიშნა როგორ აიღო პირველი ჭიქა, როგორ მიიტანა ტუჩებთან, რა თქვა, რა სიტყვები მოარგო იმ ჭიქას და იმ წუთში როგორი იყო ყველაფერი, რაც ქალმა ჩამოთვალა, უკვე მომხდარიყო და მათი ხელახლა მოხდენა, რათა ქალს თავად ენახა, აღარ შეიძლებოდა. სამაგიეროდ დედა თათქოს პირველად ხედავდა ბიჭის ლოყებზე აწლილ შავ ბუსუსს, რომელსაც თავად ბიჭი ალბათ წვევს ეძახდა, საულვამე ღინღლს, რომელიც ოფლის წვერილ მძივებს დაეფარათ, ბიჭურ, ვნებიან თვლებს, რომლებშიც რალაც სხვაგვარი შუქი იდგა, ადრე რომ ქალს არასოდეს შეუნიშნავს და ამაზე ქალმა კვლავ ის სიტყვები უთხრა საკუთარ თავს:

— როდის გაიზარდა?!

პირველი გაოცება დაცხრა და ახლა სხვა სახეები წამოტივტივდნენ, თანდათან გამოიკვეთნენ მედლოე და მეგარმონე, ტაშის დამკვრელნი და მოყიფიენნი, მთვრალეები და ფხიზლები, ერთბაშად რომ აქვებდნენ მარტომდარტო აცეკვებულ ბიჭს და ახლა ჭიუტად იმასაც მოითხოვდნენ, რომ კომპოზიციად სურათისა ბარემ დასრულებულიყო, ბარემ აერჩია გოგოც, რომელიც ცეკვის დროს ისევე აუცილებელია, როგორც რიტმი დოლისა და მუსიკისა. მაგრამ აღზნებულ ბიჭს ჯერ არაფერი ესმოდა. თავისი საკუთარი ბედნიერებით იყო მთვრალი და მეტი აღარაფერი სურდა. ჯამათი კი რისი ჯამათი იქ-

ნებოდა, თუ სურათის შუაგულში მოცული გმირისაგან ის არ მოეთხოვა, რასაც დიდი ხნის დადგენილი წესი და ადათი ითხოვდა. და ბიჭის სხეულსაც თითქოს ერთბაშად იგრძნო ეს უკმარობა, ერთბაშად მიიხედა-მოიხედა და თვალთ დაუწყყო ძებნა იმას, ვისი გამოწვევაც შეიძლო, ვისი გამოწვევაც აუცილებელი გამხდარიყო. მაგრამ რაგინდ ერთბაშადაც უნდა მომხდარიყო ყველაფერი, დედა თავის გონებაში მაინც მოასწრებდა იმის გაფიქრებას, რაც არ შეიძლებოდა არ ეფიქრა: ნეტავ ვის ამოირჩევს? და ბიჭმაც ის იყო ამოირჩია! ქალს გაეღიმა. კარგი გოგო იყო, სხვა არაფერი ეთქმოდა, მაგრამ რალა მაინცდამაინც ეს და არა სხვა, ამაზე ლამაზებიც და ამაზე მოხდენილებიც ხომ დგანან აქ და ამაზე ულამაზონიც ბლომად არიან? იქნებ თვალთ არც ეძებდა და ძებნა მხოლოდ დედამ შეთხზა? იქნებ, ბუნებით არცთუ თამამა ბიჭმა, ღვინისგან წაქვებულმა, ამდენ ხალხში გადმოხტომა და ცეკვა რაკი დაიწყო, თავდაპირველადვე ისიც იცოდა, ვის გაიწვევდა, ვის დაუქრავდა თავს, როცა ამისი დრო თავისთავად დადგებოდა? მოდიოდა კითხვები, მოდიოდა ვარაუდები და ეს ყველაფერი ისე სწრაფად ენაცვლებოდა ერთმანეთს, რომ დროის უმოკლეს გაელვებაშიც ეტეოდა. გარსევანი, ანუ გარსო, უკვე კაცი იყო და ამიერიდან დედის ვალად ისღა დარჩა, როგორც კაცს შეჰფერის, ისე მოქცეოდა.

იმ წუთში გარსოს დედას ის შიში გაეფანტა, რაც მუდამ სტანჯავდა და რაც აფიქრებინებდა, რომ თავისი მორიდებით ბიჭი მუდამ ჩრდილში დარჩებოდა. ამ აღზნებულმა, ოფლმოდენილმა და ალესილმა ბიჭმა ერთ წუთში დაამსხვრია ის სურათი, რომელიც დედას თითქოს ჩარჩოში ჩასმული ეკიდა მუდამ ტახტის თავთან. ეს „სურათი“ კარგა ხნის წინ დაიხატა და ქალის ხსოვნიდან ვერა და ვერ წაიშალა. მაშინ, კაკლის ქვეშ, უზომი თამაშობდნენ მეზობლის ბაღლები და მათ შორის ეს



პატარა ბიჭიც, რომელიც დღეიდან აღარ არის პატარა. ქალი შინ შევიდა, დიდი ხანალით თხილი გამოიტანა, ბალებს შუა ეზოში, ბალახზე დაუდგა და დაუძახა, შეეჭეცითო. ბალები გოჭებევით გამოენთნენ, დააცხრნენ ხახლს და მთელი თხილი, ერთ წამში, ჯგლეთითა და ჭყვიტინით დაიტაცეს. დარჩა ერთადერთი თხილი, რომელიც რაღაც განგებით თუ თავაზიანობის დაუწერელი ადართით, აუცილებლად უნდა დარჩენილიყო! მაშინ წამოდგა ყველასგან გამოცალკევებული, ნაღვლიანი ყმაწვილი, ამ ქალის შვილი გარსევანი, სწორედ ეს ბიჭი, ახლა უკვე ბიჭს კი არა, კაცს რომ ჰგავს, და საზეიმოდ ჩამოვარდნილ სიჩუმეში ბარბაცით მივიდა ხახალთან, ფრთხილად მიიხედ-მოიხედა, გაბედა, ხელი იმ ერთი, დარჩენილი თხილისაკენ გაიწოდა და ხმადაბლა, თავის თავს უთხრა: „ეს კიდევ მე...“ თხილი აიღო, თავისთვის გაილიმა და დედას შეხედა. იმ წუთში ქალი მიხვდა, რომ გავიდოდა წლები და ეს სურათი აღარასოდეს დაავიწყდებოდა. რომ ამ სამი სიტყვით ერთხელ და სამუდამოდ დაკანონდა და გამოიკვეთა შვილის ხასიათი; ეს ბაღლი ბიჭი დადგებოდა, ბიჭი კაცად იქცეოდა, ის კაცი კი ბერიკაცად და მთელ ამ გზაზე, რომელსაც ბოლოს წუთისოფელი დაერქმეოდა, მუდამ განზე დარჩებოდა, სხვათა სულწასულობით შეძრწუნებული და გაცოცხლებული, მუდამ სხვებს დააცილიდა ხახალში ჩაყრილი თხილის დატაცებას და თუ ბოლოს ერთი ჭიანი თხილი მაინც დარჩებოდა, თავის თავს ჩუმად ეტყოდა: „ეს კიდევ მე...“ ამის გაფიქრებაზე და ამ სიტყვების გაგონებაზე (ეს სიტყვები კი ქალს ხშირად ჩაესმოდა), გარსოს დედის მუდამ ყვირილი უნდოდა, ყვირილი მთელი ქვეყნის გასაგონად, მაგრამ არაოდეს უყვირია, რადგან უკვე ბევრის მნახველმა და ვადამტანმა, კარგად უწყობდა: ქვეყნიერებისთვის ეს ამბავი, მართლაცდა მხოლოდ ერთი ხახალი თხილის ფასი იქნებოდა, არც მეტი, არ ნაკლები.

ახლა კი დამდგარიყო დიადი წუთი (მატყუარა და ღვინით გათამამებული წუთი), როცა ბიჭი აღარ ჰგავდა სუკედიან პატარა ბავშვს, რომელსაც ხელში უკანასკნელი თხილი აეღო და საკუთარ სითამამეზე თავადვე ელიმებოდა. მაგრამ როგორც ყოველ დიად წუთს, თურმე ამ წუთსაც თავისი დასასრული ჰქონდა: დედისა და შვილის თვალები ერთმანეთს შეხვდნენ და თუმცა დედის თვალებში სიამაყის, მოწონებისა და გამხნეების მეტს ვერაფერს წაიკითხავდა, ბიჭმა ერთბაშად ჩამოყარა გაშლილი ხელები, თავი ჩაღუნა, მორიდებით მიტრიალდა და ხალხს შეერია.

ის დრო იყო და ნეფე-დედოფალიც წამოდგა. ის წუთი დამდგარიყო, როცა ნეფე, მთელი სუფრის დასანახად და გასაგონად, ტოვებდა სუფრას და პატარაალიც მიჰყავდა. ამ წუთს ელოდნენ ახალგაზრდები, ამ წუთისთვის შემოენახათ მოთმინებაც და სიფხიზლაც, საგანგებოდ გამზადებული ხუმრობაც და შეთხზული შაირიც. ნეფეს მიჰყავდა პატარაალი! ნეფე ბედნიერი იყო! ნეფეს სახეზე ალმური ასლიოდა! პატარაალი კი იმას ფიქრობდა, ნეტა მიწა გამისკვდეს და თან ჩამიტანოსო. გარმონი იკლავებოდა, დოლი გულზე ხელს იბრაგუნებდა. მაყრები ყიფინით აცილებდნენ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულებს... და იმ წუთს, როცა ქალმა იფიქრა, რომ მისთვის მართლა აღარავის ეცალა, ჩუმად ვადაიარა ეზო, გავიდა ჭიშკარში და უმთვარო ღამეს შეერია.

ყიფინა ნელ-ნელა შორს დარჩა. დოლისა და გარმონის ხმა მიწყდა. საქორწილო ჩირალდნები ბურუსში გაეხვივნენ და ქალმა შევებით ამოისუნთქა. ახლა ხელს ველარავინ შეუშლიდა. გზაზე ველარავინ გამოეკიდებოდა, რადგან იმან, ვინც შეიძლება გამოჰკიდებოდა, კარგად იცოდა: ველარა ძალა ქალს უკან ველარ მიაბრუნებდა.

— რაზე დავრჩებოდი...

თამაზ ზივილიანი  
 შვიდი ხმისა და ბოროლასათვის

როგორც კი ღამეში გაუჩინარდა, მარტო დარჩა და თავის ჩვეულებრივ ყოფას დაუბრუნდა, დანაშაულის მთელი სიმძიმე დაატყდა თავზე. ეგონა სწორედ ამაღამ უნდა მომხდარიყო, რაც ამდენი ხნის მანძილზე არ მომხდარა. ქალმა კი სწორედ ამაღამ დატოვა სახლი, სწორედ ამაღამ გამოიკეტა მისი კარი. რა უნდა მომხდარიყო, თვითონაც არ იცოდა. სასწაულს არ ელოდა და კარგად იცოდა, რომ ამდენი წლის მერე ომიდან აღარ ბრუნდებიან. და თუ თავის გულში ღრმად ჩაიხედავდა, ისიც იცოდა, რომ მისი დაბრუნების იმედი მაშინაც კი არ ჰქონია, როცა ერეკლე ბექაურს ეკლესიაში შეჰყვავდა და ერთხელ და სამუდამოდ მასთან „დაიწინადა“. იმგვარად წასულები, როგორც ერეკლე წავიდა, უკან აღარ ბრუნდებიან! ერეკლე ბექაურს ვილაციისთვის უნდა შეეკლა თავი და აღბათ შეაკლა კიდევც, რადგან იმ „ვილაცას“ ცხადად ხედავდა და იმგვარი ჭინით ეძებდა, პოვნითაც აუცილებლად იპოვიდა.

რა უცნაურადაც წავიდა, იქნებ იმგვარადვე დაბრუნდესო, — გამოკრთა ქალის გონებაში და ამის გაფიქრებაზე ფეხს უფრო აუჩქარა. თუ დაბრუნება იქნებოდა, ასე უცნაური და ყოვლად გაუგებარი, სწორედ ამაღამ უნდა დაბრუნებულყო, ამ ერთი ღამით დაცლილ და გამოკეტულ სახლში, რათა საყვედური ეთქვა:

— მოველ და არ დამხვდით...

ეთქვა! ქალი პატივებს შესთხოვდა, როგორც სთხოვენ იმ კაცს, წლების წინათ კი არა, დილას რომ გავიდა სახლიდან და საღამოთი ისევ დაბრუნდა. ეტყოდნა, რომ ქორწილი ქორწილია და შეუღამემდე ხალხი არ დაიშალა, შეუღამემდე არ გაუშვეს ნეფე-პატარძალი მოსასვენებლად... ამის მერე კი წუთითაც აღარ დარჩენილა. ერთი ენახა, როგორ ცეკვავდა ბიჭი...


— მე კი ყველაზე უფრო იმისი ნახვა მიწოდდა.

ეტყვის კაცი და მოიღრუბლება. და, რა თქმა უნდა, მართალიც იქნება. მა-

შინ ქალი ერთხელაც სთხოვს პატივებს, არაყს გადმოუდგამს, ცეცხლს შეანთებს, ვახშამს გაუმზადებს, უფრო მეტად ასიაშოვნის, მარტო უფრო მეტად ასიაშოვნის, მარტო უფრო მეტად ასიაშოვნის... შეჰბედავს — ახლა წავალ, და ვიდრე შენ ივანშემებ, ბიჭსაც ჩამოვიყვანო. კაცი კი არ გაუშვებს და შეიძლება მართალიც იყოს. ეტყვის, რომ ეძინება, რომ რაც წავიდა, თვალი ხეირიანად არ მოუხუჭავს, რომ ამოდენა გზა გამოიარა და მარტო იმაზე ფიქრობდა, როგორ მოადგებოდა თავის სახლ-კარს, როგორ შეავლებდა თვალს საკუთარ ცოლ-შვილს, მერე კი მიეგდებოდა ტახტზე, დაივიწყებდა ყველაფერს და თავისუფლად დაიძინებდა... ვინ იცის, ახლა სწორედ ტახტზეა მიწოლილი და ღრმა ძილში წასული.

ამის გაფიქრება იყო და ქალი გაუწყრა საკუთარ თავს: ამგვარი რამ კარგა ხანია არ უფიქრია. დაბრუნების იმედი სამუდამოდ მოიკვეთა. ამგვარ იმედს დედაკაცური იმედი უწოდა, მარტო დედაკაცობის უფლება კი კარგა ხანია აღარ ჰქონდა. კაცის დანატოვარ ოჯახში, ქალიც უნდა ყოფილიყო და კაციც. დავიღალე და ეს ფიქრიც დაღლის ბრალიაო, — თქვა, — ან იმ ვარსკვლავებისა, ყოველთვის რომ ისეთ რამეს გაფიქრებინებენ, რაც თავიარა მზის შუქზე გულშიაც არ გაივლებო, და ახლა იმ ვარსკვლავებს შეხედა მომდურავი თვალით, ზემოდან რომ უძრავად უმზერდნენ.

სოფლის ბოლოში ძალღი გამოეკიდა და ქალს გაეხარა, მარტო აღარა ვარო. ერთი ხანობა, ვიდრე ეს სულელი ძალღი გზაზე მოჰყვებოდა, ქალს შეეძლო მხოლოდ ამ ძალღზე ეფიქრა, ეტყობა, ამასაც მოსწყინდა მარტო ყოფნა, ან ძილი გაუკრთა და ვიცი, შარამდე ჩამაცილებსო. ძალღი მართლა შორიასხლოს მოსდევდა და მართლა შარამდე ჩაცილებას აპირებდა, თან ისე იყევებოდა, თითქოს ქალს მთელი სოფელი გაეძარცვა და ეს ნაძარცვი შინ მიჰქონდა. ქალი მიბრუნდა და გაჩერდა. ძალღიც გაჩერდა და ყველა შეწყ-



ვიტა, როგორც კი ქალი გზას დაადგა, ისევ აპყვია, ისევ განაგრძო ყეფა და ვიდრე საურმე გზა არ ჩამოთავდა და დიდ შარას არ შეერია, აღარ შეუწყვეტია. აქ კი დამთავრდა მისი სამფლობელო, მიწაზე დაჯდა, ერთხელაც დაიწკმუტუნა და ხმა აღარ ამოუღია.

— კარგათ იყავი, — უთხრა ქალმა.

ლამე კი მიდიოდა და ქალმა იფიქრა, უნდა ვიჩქარო, ცისკრის ვარსკვლავის ამოსვლას შინ უნდა მივასწროო. ცას ახედა და თავის თავს უთხრა, აღარასოდეს, ერთი ღამითაც აღარ მივატოვებ სახლ-კარსო.

ეზოში შევიდა, იქვე სახლის კიბეზე ჩამოჯდა და თვალეზი დახუჭა.

როცა თვალი გაახილა, თავისი ძაღლი ხელებს უღოკავდა.

ქალი ძაღლს მიეფერა, მუხლებში ძლივს გაიშალა და ლასლასით წავიდა შინისკენ. კარი ფრთხილად შეაღო. თითქოს ეშინოდა ძილი არავისთვის დაეფრთხო. იქვე შეჩერდა და ტახტისაკენ გაიხედა. რალაცის ძებნა დაიწყო. თვითონაც არ იცოდა, რას ეძებდა. განჩინა გააღო. კარადა გააფრიალა. წალოს მიადგა და ლოგინი აწეწა დაწეწა. ტახტქვეშაც შეიხედა. აფრიალებულ კარში ძაღლი იდგა და შემოსცქეროდა. კატა ფეხებში ებლანდებოდა. განჩინაც დახურა და კარადაც. წალოში ლოგინი ისევ გაასწორა. კატას ფეხი გაპკრა, ნუ მედებო და გარეთ გავიდა. აივანზე იდგა და სიბნელეს ვასცქეროდა... აივნის კიბე ჩაიარა. ბაკში შევიდა და ხარებს ხელი გადაუსვა. ბაკიდან გამოვიდა და ბოსლის კარი შეაღო. სიბნელეში ხელი მოაფათურა და ხბო იპოვა. მოტრიალდა და კარი ისევ მოიხურა. ძაღლი ბოსლის კართან იდგა, ენა ვადმოვგდო და თვალს არ აშორებდა. ქალს მოეჩვენა, რომ დილასაქეთი კი არა, მთელი წელი გასულიყო, რაც აქაურობა მიეტოვებინა და გამოეკეტა. ახლა დაბრუნებულიყო და მისი დაბრუნების ხმა მთელ სახლში დარბეულიყო, მთელ სახლს რალაც ჩურჩული მოსდებოდა.

ამ ჩურჩულში მარტო იმას თუ გარჩევდი, რომ ქალი დაბრუნდა, ენა და ხენ და ბოლოს და ბოლოს დაბრუნდა. საქათმეში მამალმა დაიყვილა.

აწეწილი სამყარო ისევ დალაგდა და თავისი პირვანდელი სახე მიიღო.

ცისკრის ვარსკვლავი უკვე ამობრძანებულყო.

— გათენდა და ეგ არი, — მშვილდა თქვა ქალმა.

გარსოს დედას თავისი შვილი იმგვარად ჰყავდა წარმოდგენილი, როგორადაც ბიჭის მამა ახსოვდა — ჭირკვიით ჩამოსხმული, ღონიერი და უბრალო.

ბიჭი მაინც სხვა იყო და მამას კი არა, უცხო ქვეყნიდან მოსულს ჰგავდა.


გარსოს დედას ეს უცხოობა აკრთობდა. თითქოს სადმე მტერი ჰყავდა და ერთ მშვენიერ დღეს ის უხილავი მტერი ეტყოდა: ეყოფა, გაიზარდა, ახლა წავიყვან და მე ვიციო. ქალს ამისი წარმოდგენისაც კი ეშინოდა. ბიჭი შინ უნდა ყოფილიყო, ამ კარმიდამოდან ფეხი არ უნდა გაედგა. აქ უნდა ეცხოვრა დედის გვერდით და დედის თვალწინ. ის კი არა, ქალს თავის გულში კარგად რომ ჩაეხედა „ის გოგოც“ არ უყვარდა, ვინც ოდესღაც ბიჭს უნდა შეჰყვარებოდა და იმის მოსვლას ისე ელოდა, როგორც აუცილებელ უბედურებას, რის წინაშეც მართლა ვერაფერს გახდებოდა. ქალი შიშით ელოდა იმ დღეს, როცა „ის“ გამოჩნდებოდა და ახლა იმის ფიქრში იყო, მართლა „ის“ იქნებოდა თუ არა, იგრძნობდა მის მიმართ იმ სითბოს, რაც აუცილებლად უნდა ეგრძნო, თუ საქუდამოდ „სხვად“ დარჩებოდა.

ბიჭს წიგნი უყვარდა. წიგნი თანდათან შემოიჭრა მათ ცხოვრებაში და, როგორც წიგნს შეჰფეროდა, იმგვარი კვიანური დაჟინებით, რომ ქალი ერთბაშად მიხვდა: ოჯახში კიდევ ერთი წევრი შემოსულიყო. იმ დღიდან ქალი

თამაზ ზივილი

ზვილი ხმისა და ბოროლასათვის





ბიჭს მხოლოდ ამგვარად ხედავდა: მა-  
ლალს და გამხდარს, საულვაშზე ღინ-  
ლშერეულს, შუბლთან შეყრილი წარ-  
ბებით და ბოჩოლას თვინიერი თვალე-  
ბით, ხელში კი — განუყრელი წიგნით.  
ამ წიგნში იმგვარი რამეები ეწერა, რის  
მოსმენასაც ქალი მუდამ მღელვარე-  
ბით ელოდა. შიში ბიჭის უცხო დქე-  
ვისა კი უფრო და უფრო უმძაფრდებ-  
ოდა და ის ვილაც, ვინც ერთ დღეს  
მოვიდოდა და ეტყოდა, გეყოფა, გაი-  
ზარდა, ახლა მე უნდა წაიყვიანო, უ-  
ფრო ნამდვილი და ხელშესახები  
ხდებოდა. იმ ვილაცს გარსოს დედა  
ისე ცხადად ხედავდა, რომ ერთ დღეს  
მართლა რომ მოსულიყო, მაშინვე იც-  
ნობდა.

ის ვილაცა ერთ დღეს ჩამოვიდა, ვი-  
ლაცა კი არა, თეატრი! სოფლის ძველ  
კლუბში წარმოდგენა იმართებოდა... ქა-  
ლი დიდი ხანია აღარ ყოფილიყო წარ-  
მოდგენაზე და როცა მთელი სოფელი  
კლუბში გაიკრიფა, თავის თავს უთხ-  
რა, მოდი, რაც იქნება, იქნება, მეც წა-  
ვალ, ერთი მეცა ვნახო, ვიცი მერე  
მთელი სოფელი ამაზე ილაპარაკებს და  
მეც ვიცოდე, რაზე ლაპარაკებენო...  
მერე დიდ ხანს ნანობდა, რომ წავიდა...  
მორიდებით შევიდა კლუბში და იმდენ  
ხალხში სადღაც ბოლოში, კუთხეში მი-  
იყუტა. თავდაპირველად გაჩირადნებ-  
ულმა სცენამ გააოცა! საიდან მოვი-  
და ამოდენა შუქიო!.. ყველაფერს რა-  
ღაც საიდუმლო ნათელი ეფინა და ყვი-  
თელ-წითლად აკრელებული ფარღაც  
თითქოს რაღაც საიდუმლოს გამხელას  
აპირებდა. ხალხი ყაყანებდა. ფარღის  
უკან ვილაცები ფაციფუცობდნენ. ყვე-  
ლანი რაღაცის დაწყებას ელოდნენ.  
ქალი კი თვალთ თავის ბიჭს ეძებდა,  
დავინახო სადა ზის, ვიცი, აქ იქნება,  
ყველაზე ადრე ის მოვიდოდაო.

ბიჭი არ ჩანდა.

უცებ ვილაცის უხილავმა ხელმა ჭრე-  
ლა-ჭრულა ფარდა შეარხია და შუაზე  
გადახსნა. ის ამოდლებული ადგილი.  
რომელსაც სცენა ერქვა, ერთბაშად  
აკაშკაშდა.

სცენაზე კაცი იდგა. თავზე დაგლე-  
ჯილი ფეტრის ქუდი ეხურა, ფეხებზეც  
დაგლეჯილი ფეხსაცმელი ეცვო, ტრინეც  
დაკონკილი შარვალ-ხალათი ემოსა და  
მანც ილიმებოდა. ქუდი მოიხადა, დარ-  
ბაზს თვალი ჩაუკრა, თავი დაუქნია,  
დაკონკილ სამოსზე და დაგლეჯილ  
ფეხსაცმელზე დაიხედა და მხიარულად  
თქვა:

— ნუ მიაქცევთ ყურადღებას... მე  
მანც დიდი ადამიანი ვარ! მე თეატრი  
ვარ...

მერე ვილაც გამხდარი ქალი და ჭა-  
ბუქი შემოვიდნენ. წუხდნენ, ოხრავდ-  
ნენ. ჭაბუქი ილიმებოდა, ქალი ცრემ-  
ლებს ღვრიდა. დაკონკილი კაცი წარა-  
მარა შემორბოდა, რაღაცას იტყოდა და  
ხალხს აცინებდა. გამხდარ ქალს მგონი  
ჭაბუქი შეუყვარდა. მაგრამ ქალი ამ  
დაკონკილ კაცსაც უყვარდა. და როცა  
ის ქალი და ჭაბუქი ერთმანეთს კოც-  
ნიდნენ, დაკონკილი კაცი ცხარე ცრემ-  
ლით ტიროდა, იმოდენა ცრემლები ჩა-  
მოსდიოდა ლაბალებით, ისეთი ნამდვი-  
ლი ცრემლები, რომ ხალხი ცოდვით  
იწვოდა, ვიდრე დაკონკილი კაცი ერთ-  
ბაშად კვლავ არ გადაიხარხარებდა,  
ცრემლებს არ მოიშორებდა, ზანზალა-  
კებს არ აახმაურებდა და ხმამაღლა არ  
იტყოდა:

— ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ეს  
თეატრია.

ყველაზე მეტად გარსოს დედა იმან  
შეაშინა, რაც დასაბრული გამოდგა და  
რაზეც ხალხი ჯერ ხმამაღლა იცინო-  
და. მერე კი დიდხანს უკრავდა ტაშს.  
ის ჭაბუქი, გამხდარ ქალს რომ თავი  
შეაყვარა, ფლიდი ყოფილა, ქალს ულა-  
ლატა, გააუბედურა და გაქცევა დააპი-  
რა. მაშინ დაიძრო დამბაჩა დაკონკილ-  
მა კაცმა და გაქცეულს ესროლა. და-  
კონკილმა კაცმა შური იძია! ჯერ ისევ  
უხვი ცრემლი დაღვარა, მერე ქალს  
მუხლებში ჩაუვარდა და პატიება სთხო-  
ვა, ბოლოს კი ისევ გაიცინა (ხო, ახლა  
ნაღვლიანად გაიცინა), ხალხს შესჩივ-  
ლა, სისხლს მანც ვერ გადავურჩი,  
ჩემი ბედნიერება სისხლით მოვიპო-

ვეო და დამბაჩა ახლა თვითონ დაიხალა.

დიდი ხნის მერე გარსოს დედა იგონებდა, მე სულელმა ყველაფერი დავიჭერე, ყველაფერი მართალი მეგონა და ის დაკონკილი კაცი რომ წაიქცა, კინალამ წამოვხტი, კინალამ სცენაა თუ რაღაც ჯანდაბა, იქ ავევარდი და დავიძახე, ხალხო, მიშველეთო! და ალბათ ავარდებოდა კიდევ, ის დაკონკილი მკვდარი ისევ რომ არ წამომხტარიყო, ხალხის წინ ხარხარი არ დაეწყო, ზანზალაკები კვლავ არ აეჭლარუნებინა და არ ეთქვა:

— ჩემს წინაშე სიკვდილიც უძლურია. მე თეატრი ვარ...

გარსოს დედა თეატრიდან შეშინებულნი გამოვიდა. ბიჭი ეძება და ვერსად იპოვა. იმგვარი ეჭვი ჰქონდა, თითქოს ის ჯადოსანი კაცი, სიკვდილმაც რომ ვერაფერი დააკლო, ბიჭს სტაცებდა ხელს და სადღაც წაიყვანდა. სწორედ მაშინ უთხრა რაღაც გუმანმა, რომ იმას, ვინც ოდესმე მოვა და შენ ბიჭს წაიყვანს, თუ ნამდვილი სახე ექნება, სწორედ ამგვარი ექნებაო. ჭერ გოგო-ბიჭებს ჰკითხა, ჩემი ბიჭი ხომ არ გინახავთ. არ გინახავსო, უთხრეს და ახლა ქალებს ჩამოუყარა, სად იჯდა, თვალი ხომ არ მოგიკრავთო. ქალებსაც არსად მოუტრავთ თვალი და ამან უფრო შეაშინა. მერე ისევ კლუბის კართან მივიდა და ხალხში შეერია. მსახიობებს უკვე გამოეცვალათ ტანსაცმელი და გარეთ გამოდიოდნენ. ეზოში მანქანა უტყდით. ვილაც კაცები მანქანაში დაკეცილ ფარდებს და ყუთებს დებდნენ. მსახიობები ილიმებოდნენ, ხალხს თავს უქნევდნენ და ემშვიდობებოდნენ, აი, ის გამხდარი ქალი, აი, ის ჰაბუკი, ქალი ვინც მოატყუა. ეს დაბალი, კეთილი კაცი ვილა? ეს ის კაცი! — დაიძახა ვილაცამ. რომელი კაცი? ვერ იცანით, ჯამბაზი, ცხარე ცრემლით რომ ტირიდა, რო მოკვდა და ისევ გაცოცხლდა, ღოჯები რომ უჩანდა და დაგლეჯილი შარვალი ეცვა! მერე რა იქნა ღოჯები? ან ის მელოტი თავი რა იქნა და ორიოდეღე-

რად ამოჩრილი წითელი თმა? ან ის თვალთმაქცური ღიმილი რა იქნა? ან ის წივანა, სასაცილო ხმა? მოდი, მოდი, ბაისელი კაცი! მოდი და თქვე, ჯამბაზიაო, მოდი და თქვი, ეს ის კაცია, წედან რომ მთელ სოფელს სიცილით ხოცავდაო! სასწაულია, მაშ რა არი? ბიჭი რა იქნა? ახლავე უნდა მოძებნოს გარსოს დედამ ბიჭი, სანამ ცოდვა დატრიალდება, სანამ ეს დარბაისელი კაცი თუ მართლა ჯამბაზი იმასაც მონუსხავდეს და იტყოდეს:

— ეყოფა, გაიზარდა, ახლა უნდა წავიყვანო...

გარსოს დედამ ხალხი მისწი-მოსწია, მანქანისაკენ წასულ მსახიობებს თავი აარიდა და დაცარიელებულ კლუბში შევიდა. კლუბში მარტო ბიჭი იჯდა. აღარსად ჩანდა არც ის ჩირაღდნები, აღარც წითელ-ყვითლად მოხატული ფარდა. ჩაბნელებულ სცენაზე ვილაცა აბრაახუნებდა, ბიჭი კი გაშტერებული მისჩერებოდა სცენას...

გარსოს დედა მიხვდა, რომ ამ საღამოს რაღაც მოხდა, რომ ის ღოჯებიანი კაცი, მიწებებული ყვითელი წარბებითა და ორიოდეღე თმით, თვალთმაქცური სიდარბაისლით რომ გავიდა აქედან, სამუდამოდ აქ დარჩა, ამ კედლებში და ბიჭის გონებაში; რომ ერთ მშვენიერ დღეს, ის დაკონკილი კაცი ისევ მობრუნდებოდა, ბიჭს ხელს მოჰკიდებდა, თან გაიყოლებდა და ღიმილით იტყოდა:

— რას იზამ, მე თეატრი ვარ...

ბიჭმა მოიხედა და დამანაშავესაგვით გაიღიმა.

— წამო, ყველანი წავიდნენ.

ბიჭი მორჩილად ადგა და დარბაზიდან გამოვიდა.

— სად იყავი, სად იჯექი?

გარსოს დედამ არ იცოდა, რომ ბიჭი იქ იყო, სადაც ყველაფერი ხდებოდა. როგორც კი თეატრი ჩამოვიდა, როგორც კი მანქანა გაჩერდა და უსთე-

თამაზ ზივილური

შვილი ხმისა და ბროლოლასათვის



ქული ჩამოიკვა და ქული ისე შეეზარდა მის თავს, რომ ყველაფერი დაფარა. კაცი თვალის დახამხამებაში გამელოტდა, დაღარულ შუბლზე და კრიალა თავზე ორიოდ დერი წითელი თმაღა უფრიალებდა... ბოლოს სქელი შავი ფანქარი აიღო და ჯერ წარბები გაიმსხვილა, მერე ზემო და ქვემო ქუთუთოებზე თითო პატარა, შავი ხაზი ჩამოსვა, ბიქს სარკიდან გამოხედა, ყურებამდე გაიცინა, რაღაც მხიარული ხმა გამოსცა და ერთბაშად შემობრუნდა. ბიქსის წინ დარბისელი კაცის ნაცვლად მხიარული ჯამბაზი იდგა.

კაცი იცინოდა და თვალის ქუთუთოებზე ჩამოსმულ ხაზზე თითს იდებდა, — ეს ცრემლია.

ბიქიც იცინოდა.

— მე თეატრი ვარ, შენ რა ხარ?

ბიქი ისევ იცინოდა:

— არ ვიცი...

— ვიცი, რაცა ხარ... წვიმა!

— ხო, წვიმა ვარ...

— წვიმა, ქუბილი და მთვარი... — ხარხარებდა კაცი.

ვიღაცამ ზარი დარეკა.

— ფარდა! — დაიძახა კაცმა.

ბიქმა თოკი მოქაჩა და ფარდა გადაიხსნა.

ფარდის წინ მდგარმა ორმა პროექტორმა ერთბაშად შემოაშუქა დაკონკილ კაცს.

კაცმა თავის სამოსზე დაიხედა, დარბაზს გადახედა, თავი დაუქნია, გესალმებითო, თვალი ჩაუკრა და თქვა:

— ნუ მიაქცევთ ყურადღებას... მე მაინც დიდი ადამიანი ვარ... მე თეატრი ვარ!

ბიქის თვალწინ მთელი საღამო „სხვა ცხოვრება“ ითხზებოდა. თხზვის მონაწილე თვითონაც იყო. მისი ხელით გადაიხსნა თვით ფარდა ამ „სხვა ცხოვრებისა“, მისი ხელით მოდიოდა წვიმა და აწვიმდა თავზე უიმედო შეყვარებულებს. ბიქის ხელით ქუხდა და ეგვე შეყვარებულებს ამცნობდა, რომ მათ

ოცნებას ასრულება არ ეწერა. ბიქის ხელით ამოვიდა მთვარი, რომელმაც ამ დაკონკილ ჯამბაზთან ერთად დარბისელებდურად დამთავრებული შეყვარებულები. ბოლოს კი, როცა ჯამბაზი კვლავ წამოხტა, ზანზალაკები ააქლარუნა და ახარხარებელი დარბაზის წინ გაცოცხლდა, როცა გაისმა მისი უკანასკნელი, მხიარული სიტყვები, ჩემს წინაშე სიკვდილიც უძღურია, მე თეატრი ვარო, — ბიქის ხელით დაიხურა წითელ-ყვითლად მოხატული ფარდა. ეს სხვა ცხოვრება არაფრით ჰგავდა ნამდვილ ცხოვრებას და მაინც ნამდვილი იყო, ოღონდ ნამდვილ ცხოვრებაზე უფრო ძღუმალი და ათასი ფიქრის აღმძვრელი. აქ ყველაფერი გამოუტყნობი შუქით იმოსებოდა, უფრო მეტი იგულისხმებოდა, ვიდრე ამ ფარდებში გათამაშებული ამბავი. ამბავი ფარდებს მიღმა გადადიოდა. გადადიოდა კი არა, ფარდებს მიღმა იწყებოდა, იქიდან მოდიოდა და შემდეგ კვლავ იქ გრძელდებოდა. აქ მხოლოდ ერთი პატარა ნაწყვეტი გათამაშდა იმისა, რისი მოლოდინიც ბიქს ჰქონდა და ბიქი მიხვდა, რომ ამიერიდან მხოლოდ ამ მოლოდინით იცხოვრებდა. ბიქმა არ იცოდა, რა ერქვა ამ მოლოდინს, ან იმ ძალას, რამაც ასე მონუსხა და ერთ საღამოს გათამაშებული წარმოდგენით თვალწინ ვრცელი და უსაზღვრო სამყარო გადაუშალა. ბიქი ამაზე ვერაფერს ვერცხვოდა, როგორც ვერაფერი უბასუხა ჯამბაზს, წარმოდგენის დამთავრების მერე მასთან რომ მიიჭრა და უთხრა:

— მოგეწონა? მთელი საღამო შენ გიყურებდი...

ბიქი დაიბნა, არ იცოდა, რატომ უნდა ეცქირა ამ ჯადოსან კაცს მთელი საღამო მისთვის.

კაცი ისევ იცინოდა:

— მე თუ რამე დამეჭვრება, ოდესმე შენც ჩვენთან მოხვალ...

ბიქს გაეხარა.

კაციც სიხარულით უცქერდა:

— რას იზამ, ამგვარია თეატრი...

გამოჯანჯანის ლექსი

ამ მყუდრო დილით, როდესაც  
წყლის მოსატანად წავედი,  
რალაც ვალობა მომეგმა  
მსგავსი ჩინური პწყარედის.

ანუ ოცნების ფრინველი  
ნოემ კილოზნით გაუშვა?

სადმე თუ გატყდა ყინული  
და ზამთარს ბზარი გაუჩნდა?

რალაცა ხდება, ცხადია,  
რალაცა კიდეც მოხდება,  
და ჭით ამოსულ ბადიას  
ბალახის ყლორტი მოჰყვება.

ისევ დაკარგული ბიძების გამო

მე ჟარისკაცის ფარაჯა მაგონებს ქვეყნის ამბავს, —  
ჩინურ კედლამდე მიადწევს, რასაც ფიქრები ლამბავს.

ვიგონებ ტრამალს, მდინარეს, ჟგლეტას და ქერჩის სრუტეს,  
მიდის პოლკი და მძინარეს თავი ბალიშზე უდევს.

ტყვია კი დაჰქრის უგზოოდ, და ვის მოხვდება ტყვია  
არავინ იცის... უცოლო კაცს ბედნიერი ჰქვია!

რამსიშორეა მანძილი და რანაირად დიდი,  
ჟუმიდან მოკიდებული, რაიც ქერჩამდე მიდის...

აი, შენ ზურგზე რა გაწევს, როცა ლამეა ბნელი,  
როცა უზიხარ მაგიდას და ძილს ამოვლ ელი.

მართლაცდა დიდი რამეა, (თუ დაფიქრდები კარგად),  
უმავალითო ქვეყანა ზურგზე გეკიდოს ბარგად;

როგორი ღონე გპირდება, (თუ დაფიქრდები კარგად),  
როცა არავინ არ გიცავს, — ციცქნა ქალაქის გარდა,

შენ იყურები სარკმლიდან ახლა  
და ფანჯატურის მონაკვეთს ხედავ,  
მაგრამ არ იცი, რა ხდება მაღლა,  
რა ხდება დაბლა, მინდორსა ზედა.

მაგრამ შენ იცი, მას იქით რაა,  
რადგან კაცი ხარ და ვახლავს ფიქრი,  
იცი, ტყის მიღმა, რომ ლურჯი ზღვაა,  
იცი, ვერ სჯაბნის საფიქრალს ტიხრი.

შენ ხედავ ნაწილს ამ ეზო-კარის,  
ნაწყვეტს ღობისას, ცაცხვის ნახევარს,  
სხვა კი თვალისთვის უჩინო არის,  
სხვას ველარაფერს ხედავ აქედან.

ბედნიერი ხარ, ვიტყოდი, რარიც,  
ავრძელებს მზერას ფიქრი ფარული,  
და განა ციცქნა ეს ეზო-კარი,  
ეს სამყაროა შენი მამული!



როცა პატარა ვიყავი ბავშვი  
და აღარაფრის არ მქონდა შიში,  
მე ვკითხულობდი უაილდს მაშინ  
და მაცინებდა ნათქვამი მისი:

„თუ კაცი ვინმე ჩათქვრდა წამით  
და მოეწყინა ანაზღად პირი, —

გაუმსხვილდება თანდათან თავს  
დაუგრძელდება თანდათან ცნობა

დღეს ვაკვირდები ნაცნობებს ჩემსას,  
კი არ ვიციანი, არამედ ვტირი:  
როგორც ჰქონდა, ისეთი შერჩა  
სუყველა მათგანს თავიც და ცხვირიც.

იმ უხსენებელს, რომელიც დაგესლავს სულიერს, კაცსა თუ  
საქონელს, დედამიწა თავის წიაღში არ მიიღებს.  
(ბახუაჩემის შეგონებიდან)

ეს შემოდგომის გველი არი, ბამბუკის ტყეში  
გასისინდება, გაბრწყინდება ჩამავალ მზეში.

სინოტივეა და სიცივე, ის ეძებს სითბოს,  
გამხმარ ფოთლებში გაეხვევა ჩუმად და ფიქრობს.

დაეძებს ბინას, რომ მიიღოს წიაღმა კვლავაც,  
მაგრამ არ წყალობს დედამიწა ეშმას და ნავარს.

დაგმანულია მისთვის ყველა კარი და ხვრელი,  
ბუნება განსჯის: ცოდვილია გველებშიც გველი!

„ღვინოს ინებებს ჩემი ბატონი,  
თუ მოვადულო ჩაი?“  
ფუსფუსებს სახლში კობტა ხათუნი,  
ჩითით წაუკრავს თავი.

ხოლო ბატონი მკაცრი კაცია,  
კუშტად შეიკრავს წარბებს,

„არაყი მინდა!“ — იტყვის ნაწყენი  
და სევდის მიზეზს არკვევს.

თუმც სამიზეზო, (რაც მთავარია),  
არაფერი აქვს მასთან,  
ვინც სანუგეშოდ თავს აფარია,  
როგორც ღვთისმშობლის კალთა.

ხომ ასე დიდიხანია  
ვერ გინახულეთ დები,  
და მაინც მჭერა ძალიან, —  
ჩემი შექებით კვდებით.

ამბობთ, რომ არა მცალია,  
არა ვარ მსგავსი სხვების,  
ვისა ჰყავს მსგავსი ძამია, —  
ჩემი შექებით კვდებით.

ამბობთ, ქალაქის ბრაღია,  
ლოცულობთ, ადრე წვებით,

სიზმრებში, — ვაგიხარია,  
სიზმრებში — ხშირად ვხვდებით.

სიზმრებში, — რაც მართალია,  
სიზმრებში, — ხშირად წყრებით,  
სახალხოდ, — არა მცალია, —  
ჩემი შექებით კვდებით.

ჟამი მიდის და ჩქარია,  
წლებს ენაცვლება წლები,  
მიტოცხლევ, მზეო მარიაჲ,  
ჩემი მოზარე დები!



(პათეტური)

სხვა რა ღონეა, ჩემო ლევან მალაზონია,  
კვლავ უნდა დავფრეთ;

ახლა ყველგან თოვს, ყველგან თოვლია  
ლიხს იქით-აქეთ...

გვი თამადაობს, და ჰგავს რაღაც პრეისტორიულს  
სერობა ჩვენი;

გარეთ ღამეა, და გვიხარია  
ფრუტუნის ცხენის...

— ჯაჰეს არ კადრულობს — არაყზე თქვა  
თეკლე ბებიამ...

რაც კარგები ვართ, ჩვენა ვართ და —  
ქართველები ვართ!

ცივი ფოთოლი, რადგან უკან მოჰყვება კვირტი,  
მეც წავალ მალე, შეილო ჩემო, და წლების იქით,  
შენც რომ მოგყვება კვირტი შენი, შენც წახვალ ჩუმიად,  
რადგან ადგილი უკეთესი ეკუთვნის სტუმარს.

ცივი ფოთოლი...

### კახელი გლეხიკაცი

ერთხელ ქალაქში მოხვდა წყალობა,  
ჯიკავ-ჯიკავით გაიარა ვეება ქუჩა,  
შევიდა ღვინის მალაზიაში,  
აილო ბოთლი, თავი მოსტეხა,  
მოიყუდა, ღვინო გასინჯა  
და უსიამოდ გადააპურჭყა,  
— აფსუს! — თქვა ცივად, და გავიდა მალაზიიდან.

თუმცა ჩვეულად უფრთხის გვალვას და უღვთო სეტყვას,  
კაცს არ სმენია მიწის ძვირი წყალობას ეთქვას.

წყალს არ გაურევს ის ღვინოში, როგორც წესია,  
და შემოდგომით ჩანს კორტოხზე, ვით ეკლესია —

ვენახი, ფოთლებშემხმარი და შესული ფერში,  
კახელი გლეხის სალოცავი, ხატი და ნერჩი!

## ზაპირის ღრუბლიანი დღე

მოთხრობა

ზარი დარეკეს.

საკონსტრუქტორო ბიუროს ვეება შენობა ფუტკრის უშველებელ სკასავით აზუზუნდა, ყველა კარი თითქმის ერთდროულად განიხვნა და თანამშრომლები ისე უცებ გამოცვივდნენ დერეფანში, თითქოს ჩაცმულ-დახურულნი დირეებზე იდგნენ და სასტარტო ნიშანს-ლა ელოდნენო.

ხალხის ნაკადი მღვრიე ტალღად დაიძრა გასასვლელიდან, იქ ერთხანს მორევივით შეგუბდა, დატრიალდა, აბორგდა, აშფოთდა, გადალახა გასასვლელის მბრუნავი ჭებირი, ქუჩა გადასერა, მეტროს ჩასასვლელს მიაწყდა და, თითქოს მიწამ პირი უყუო, გვირაბის ხახაში ჩაინთქა.

ნატოც ამ ნაკადს გაჰყვა, გაჰყვა კი არა, მშფოთვარე დინებამ გაიყოლია, ეს-კალატორზე შეაგდო, მატარებლის ვაგონში შექექყა, დათეთქვა, აბზრიალა, აბურთავა, მერე გარეთ გამოისროლა და ტროტუარის კედეს მიაწყვიტა. ძლივს მოითავისკეუა მოჩოლფოტებულნი ტანსაცმელი, აწყვეტაზე მიმდგარი ღილები ღილიკლოებში შეაყუჟა, ერთი დარეტიანებულებით გააქან-გამოაქნია თავი და თითქმის ბარბაცით დაადგა გზას.

გარეთ ისევ ჟინქლავდა, შემოდგომასავით თბილად და სევდიანად კი არა, ზამთრულად — ცივად და გულის გამაწვრილებლად. დეკემბრის მოკლე

დღეს უკვე აეკეცა მჭრქალი, მტრედისფერი კალთები და მუქ-ლურჯ ბინდად ჩამდგარიყო გაძარცული ხეების მეჩხერ ტოტებში. სველ ასფალტზე შრი-ალით მიმოდიოდნენ ფერადი ავტომანქანები და, ირგვლივ ტალახის შხეფებს ისროდნენ.

საათს დახედა. ჯერ მხოლოდ ექვსია და უკვე ბნელაო, — გაიფიქრა. გაახსენდა, ბაზარში რომ იყო გასასვლელი და გუნება დაუშძიმდა. ერთი სული ჰქონდა, შინ დროზე მისულიყო და მთელი დღე უპატრონოდ მიტოვებულნი ბავშვებისათვის მიეხედა.

ბაზრამდე ფეხით დაადგა კარგა გრძელ გზას, რადგან გადატვირთულ ტრანსპორტში ვერაფრით შეიღწია. აფუსფუსებულ გამვლელებში ძლივს მიიკვლევდა გზას. მოჩქარენი აქეთ-იქიდან ეჯახებოდნენ, გუბებში დაუდევრად ატყაპუნებდნენ უხეშფეხსაცმლიან ფეხებს.

სული შეეხუთა, ნაბიჯი ააჩქარა, ხალგათ ადგილზე მოუნდა გასვლა და სოფელი გაახსენდა, ბავშვობისა და ქალწულობის თბილი და ტკბილი სავანე, ზამთრობით თოვლით დაზვინულ სახურავებზე უცხო ფრინველებით რომ სხდებოდნენ გამკვარტლული ყელყელა საკვამურები, დიდი, ყოვლის-მომცველი ღუმელი რომ ღებოდა თეთრ საფარქვეშ განაბულ მინდვრებში, მზე წვრილად დაფშნილ ვერცხლს



რომ აბნევედა მშრალ, ხორხოშა თოვლზე. შუადღისას საბძლის ყურესთან ჰრელი ბოჩოლა უყუჩდებოდა მომთენთავ მყულროს. ბროლის ჰალებივით კიაფობდენ კრამიტებიდან დაშვებული ყინულის ლოლუები. კრიალა ლაქვარდს უცებ წამობარული შავი ფიჭვივით გადაუვლიდა სათონედან ამოვარდნილი ლეგა კვამლი, ატაკუნდებოდა ხმელი ფიჩხი, წითელ ალს აიტაცებდა გასათობად მოსული შეცივებული ნიავი, მერე შრიალით გაფრინდებოდა, კარიკარ ჩამოატარებდა ცხელი პურის სურნელს. ცა ლურჯი იყო, ძალიან ლურჯი, მარტო აქა-იქ შერჩენოდა ღრუბლის თეთრი ქულები, გეგონებოდა, ონავარ ბიჭებს ახალი, ფუშფუშა თოვლის ფომფლო გუნდები აუყრიათო ზევით.

აქ კი, რამდენი ხანია, ცა თვალთ არ უნახავს. ზამთრის მძიმე ღრუბელი დასწოლია პირქუშ თავანს, მრუმე ნისლად გადმობურვია მოსაწყენად ერთფეროვან მაღალ სახლებს. გაუთავებლად ჟინჯლავს და ჟინჯლავს. ბლანტი ლაფი ჰყაპუნობს ოკრობოკრო ასფალტზე.

უცებ სევდა შემოაწვა, რადგან საოცრად ერთნაირი იყო ყოველი დღე. თითქოს ნისლიან ზღვაზე მიცურავდა უკომპასოდ, გაურკვეველი მიმართულებით, და ყველაზე საშინელი მაინც ის იყო, რომ არცკი აინტერესებდა, საით მიდიოდა. არ ელოდა, არ ელტვოდა ნაპირს, რადგან იქ ახალი არაფერი ეგულებოდა. ზოგჯერ აქა-იქ მაინც გაკრთებოდა მკრთალი ნათელი, მაგრამ ისე უნიათო და უღიმღამო, რომ სულამდე ვერც კი აღწევდა, მხოლოდ წამით გაიფარფატებდა მოუხელოთებელ, ბუნდოვან საამო შეგრძნებად და უშალ მიიკარგებოდა გულის გამაწვრილებელ, თავმომბებზრებელ ყოველდღიურობაში.

დილასისხამიდან გვიან ღამემდე გაუთავებელ ოჯახურ საქმეში ჩაფლული სულ იმის მონატრული იყო, რამდენიმე წუთი მაინც გამოენახა წიგნის სა-

კითხავად ან მუსიკის ძველი სიყვარულის გასახსენებლად, მაგრამ დადგებოდა თუ არა ასეთი წუთი, სულში ისეთ მომქანცველ სიცარიელეს გრძობდა, კითხვისა და მუსიკისა კი არა, ფიჭრის თავიც აღარა ჰქონდა. რალაც ძალა ისევ საოჯახო საქმისკენ ეწეოდა, საგორავ გამოცლილი ბორბალივით მიქანებდა საღაც, დაჯდომასა და დასვენებას არ ანებებდა. მუდამ ეგონა, რალაც რჩებოდა გასაკეთებელი, დასამთავრებელი. თითქოს რალაცას აშავებდა, თითქოს ახლობლებს პარავდა ამ თავისუფალ წუთებს. ბევრჯერ სერიოზულად შეეშინდა, რობოტად ხომ არ ვიქეციო, ერთხელ მანქანასავით მომმართეს წინასწარ შემუშავებული პროგრამით და სხვა საქმისათვის აღარ ვვარგვიარო. „რობოტი ვარ, მაშ რა ჯანდაბაა, ყოველდღე ერთსა და იმავე საქმეს ვაკეთებ და უკვე ჩვეულებად მექცა ასეთი მოქმედება!“, — გაიფიქრა და უსიამოვნოდ გაახსენდა, რომ ამ დილასაც, როგორც ყოველთვის, ჯერ კიდევ ძილ-ღვიძილში იგრძნო შიშველ მხრებზე თბილი სიმძიმე. ვიდრე მთლიანად გამოეხიზლდებოდა, მანამდე მიხვდა, რომ ქმრის ხელი იყო, ცხელი, ნაცნობი და ახლობელი. ქმრის სუნთქვამ და ლოგინის შეჩვეულმა სუნმა საამო ჟრუანტელი მოჰგვარა. მაგრამ იმავე წუთში გაახსენდა, რომ რძეზე აღრიანად იყო წასასვლელი, თორემ მერე ველარ მიუსწრებდა. ძალისძალიად გადაიძრო საბანი და ზანტად წამოიწია.

მოთენთილ სხეულში საშინელ სიცარიელეს გრძნობდა და უნებლიე დანაშაულის შეგნება აწამებდა. ეს გრძნობა გარეთაც გაჰყვა. გულდამძიმებულმა ჩაიარა გაყინული, ჯერ ისევ ბინდბუნდში მთვლემარე ქუჩა და რძის რიგში ჩადგა. გარკვევით არაფერზე ფიქრობდა. იდგა ერთიანად გაყინულ-გათოზილი და თვალში მტკივნეული სიცხადით ხვდებოდა მაღალიის უნდილად მოკიაფე, ასოებჩამტვრეული რეკლამები, გარეთ გამოტანილი დახლი,

დახლზე სათამაშო იალქნიანი ნავებივით დაწყობილი, ფერადი წარწერებით აკრელებული რძის სამკუთხა პარკები, არაენის დაბალი ქილები და მაწვნის გაბერილი ბოთლები, შალით შეფუთონილი და პალტოზე თეთრხალათწამოსხმული გამყიდველი, წამდაუწუმ რომ იორთქლებდა ლურჯ-წითლად აკრელებულ ვეება ხელებს, გრძელი რიგი და საუბრის შეუცვლელი თემა:

— უთენია თუ არა მოხვედი, ურძე-ოდ დარჩები!

— რას იზამ, ბატონო, აღარაფერი ყოფნის ამოდენა ქალაქს!

— რა ეყოფა, თქვენი ჭირიმე, მთელი ახლომახლო სოფლები აქ ყიდულობენ რძე-მაწონს!

— არც შორეულ სოფლებში იკლავენ თავს ძროხების წველით!

— რატომ მოიკლავენ, მალაზიაში არ სჯობია მზამზარეულის ყიდვა?

— მე რომ მკითხო, სოფლის მალაზიაში საერთოდ არ გავაჰკანებდი რძის ნაწარმს.

— სხვათა შორის, არც ხორცსა და ქათამს! ფეხის გასვრა აღარავის ნებავეს, ასფალტზე დადიან. ციდან ხომ არ ჩამოციკვია დოვლათი?!

— ახლა ყველას კულტურული ცხოვრება უნდა. ვერც გაამტყუნებ!

— კულტურულ ცხოვრებას არავინ უშლით. შეიძლება ძროხაც მოწველო და კულტურულადაც იცხოვრო. გლეხი გლეხობას მადლს რომ დაკარგავს, მაშინ წახდება ქვეყნის საქმე!

ნატოს საშინლად მობეზრდა ეს ძალზე ნაცნობი ყბადაღებული საუბარი, ყური აარიდა და ყინვისაგან გაბუჟებული ფეხები ერთ ადგილზე აატყაპუნა.

ძლივს მოუწია რიგმა. რძის პარკები გახევებული ხელებით ჩააწყო ჩანთაში და ქშენით ამოათავა ქუჩის აღმართი.

ქმარი უკვე ამდგარიყო, სამზარეულოს მაგიდაზე დაჭრილი პური, ძეხვი და ცარიელი თეფშები გაეწყო, თვითონ გაჭურასთან იდგა და მომცრო ჯამში

კვერცხს თქვეფდა. ცეცხლზე ჩაიდნის თუხთუხებდა.

ქალს შეეცოდა ქმარი, ისევე შეეცოდა ლამის იტრია.

— ადგენენ? — იკითხა გაბზარული ხმით, ჩანთა დაბალ კარადაზე შემოდგა და ყინვისაგან ატკრევილ სახეზე ხელი დაისვა.

— შენც არ მომიკვდე, ლოგინიდან ვერ დავძარი ვერც ერთი!

— შუალამემდე ტელევიზორს რომ უსხედან, ეგ იმის ბრალია! — პალტო გაიხანდა და ბავშვების გასაღვიძებლად გაცმართა. როგორც იქნა, წამოყარა ლოგინიდან. ვიდრე საწოლებს გააწორებდა და ოთახს მიალაგებდა, ქმარმა ბავშვები ასაუზმა და თვითონაც დანაყრდა, თან გამუდმებით ეჩიჩინებოდა შვილებს, ჩანთები მოამზადეთ, წიგნი ან რვეული არ დაგარჩეთო.

დრო უღმობლად მიჰქროდა. ნატომ საუზმეც ვერ მოასწრო. შინიდან ერთად გამოვიდნენ. ჩანთამოკიდებული ბავშვები სკოლისკენ გაიქცნენ, ქმარი ავტობუსს გაჰყვა, თვითონ კი მეტროში ჩავიდა. მთელი გზა მტკიცეული ფიქრი ღრღნიდა, ნეტავ ვადასასვლელზე როგორ გადავლენ ან შინ როგორ დაბრუნდებიანო.

საკონსტრუქტორო ბიუროს შესასვლელთან ნამდვილი წყვეთა იყო. ყველას ეჩქარებოდა ტაბელის ვადაბრუნება. ნატოს ხან აქედან ეჯახებოდნენ, ხან იქიდან. ამ ზედახორაში შექვეყვა საშინლად შეურაცხყოფდა, ამიტომ ყველას გზას უთმობდა. ძლივს დააღწია თავი ამ ორომტრიალს და სულმოუთქმელად აირბინა კიბე. ორი წუთით მაინც დაავგინადა.

უფროსი ინჟინერი მანევიჩი დაბღვერილი იჯდა და თავის საათს დაჰყურებდა, დროდადრო მას ამოხედავდა და დაჟინებით აცქერდებოდა, იმ ორი წუთის დაგვიანებისათვის ელოდა პასუხს. თანამშრომლები უკვე თავიანთ

ნათილა მნაზვილი  
ზამთრის ღრუბლიანი დღე

ადგილებზე ისხდნენ და სამუშაოდ ემზადებოდნენ.

ნატოს მოსვენებას უკარგავდა მანევიჩის მზერა, მაგრამ მაინც არ უბასუხა. უკრიდან ვითომდა მშვიდად ამოალაგა საჭირო ნივთები და მაშინვე მუშაობას შეუდგა. მანევიჩმა უყურა, უყურა და ბოლოს სინანულით გადააქნია თავი, აქაო და, რა ველაპარაკო შენისთანა უღისციპლინო თანამშრომელსო.

ნატოს ბრაზი მოეძალა, მაგრამ უმალ მოთოკა თავი, რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა და ხაზვა განაგრძო.

დაიწყო ჩვეულებრივი სამუშაო დღე: რიცხვები, ციფრები, ნახაზები, განყოფილებიდან განყოფილებაში, სართულიდან სართულზე სირბილი ფეხით თუ ლიფტით, საამშენებლო ორგანიზაციებში რეკვა, დალა და ქანცის გაწყვეტა.

ნატო შეუსვენებლად მუშაობდა, თან გამუდმებით გრძობდა, რომ მანევიჩის ყალბი პოზა მეტისმეტად აღიზიანებდა. უფროსი ინჟინერი ვინ იცის, მერამდენედ ათეთრებდა რალაც გამოუსადეგარ ოქმს, საქმიანი გამომეტყველებით დასჩერებოდა ქალაღებს, მაღულად კი თანამშრომლებს უთვალთვალებდა ზედამხედველის ქურდული მზერით. ხანდახან დაღლილი კაცივით გადააწვებოდა სკამის საზურგეს, თავს უკან გადასწევდა და ბალნიანი, კოტიტა თითებით ათამაშებდა ასანთის კოლოფს ან რალაც მარში გამოჰყავდა მაგიდაზე, თან წინ წამოწეული დანაოჭებული ტუჩებით უხმოდ უსტვენდა იმავე მელოდიას. თუ ვინმე ნახაზს თვალს მოაცილებდა და ფიქრი სხვაგან გაექცეოდა, მანევიჩი უმალ შეამჩნევდა და მოგონილი თავაზიანობით დააბრუნებდა სააქაოს:

— თქვენ რალაც ფიქრმა გაგიტაცათ, ძვირფასო, უგულისყუროდ კი საქმე არ კეთდება!

ფიქრში წასულ თანამშრომელს მაშინვე ტკივილით ემანჭებოდა პირისახე. ასეთ წუთებში ნატოს ყველა და

ყველაფერი სძულდა. ეჩვენებოდა, რომ მის სულში ვიღაც აფათურებდა ხაოიან ხელებს. საკუთარ თვალში თითქოს უზომოდ პატარა ვიღაც და ასანთის ცარიელი კოლოფები ეჩვენებოდა მანევიჩის საცეცებივით მოძრავ თითებში.

მერე დამთავრდა ეს დღეც, სხვა დღეების ასლი და ტყუპისცალი.

„რამე მაინც მოხდებოდეს, თუნდაც ცუდი, ეს გაუძღოსი ერთფეროვნება რომ დაირღვეს!“ — გაუელვა უცებ ფიქრში და შეძრწუნდა. სულის სიღრმეში შეუცნობელი შიში ჩაუსახლდა. ღმერთო, მამატიეო, — წაჩურჩულა, მოზრდილ გუბებს ფეხი აარიდა, ბაზრისკენ გადაუხვია და გადმოხურულში შევიდა.

დაცარიელებულ დახლებზე გაზეთის ნახევები და ბოსტნეულის ნარჩენილა ეყარა. აქა-იქ სიცივისაგან გაულურჯებული მემწვანილეები იდგნენ, ილიეებში ჯვარედინად ხელებჩაწყობილნი, და უნდილად ეპატიებოდნენ დაგვიანებულ მუშტარს.

ნატომ ერთი კონა ქინძი აიღო, ხელში შეატრიალ-შემოატრიალა და, რა ღირსო, — იკითხა.

— მანეთი! — მაშინვე მიახალა გამყიდველმა.

— ეს ორი ღერი ბალაზი?

— ასი გრამია, ქალო, რა ორი ღერი!


— ნამუხი აღარა გაქვთ! — გაწყრა ნატო.

ერთი მსუქანი კაცი მოვიდა, ჭუჭყიან სასწორზე სამმანეთიანი დააგლო და უხმოდ აიღო სამი კონა მწვანილი.

— აი მუშტარი! — ნიშნი მოუგო ნატოს მემწვანილემ, — მყიდველს მაშინვე ეტყობა. შენ თუ არ გინდა, ტყუილად ნუ მევაჭრები!

ქალმა ზიზლით გადახედა ჯერ მას, მერე იმ მსუქან კაცს, განიერი შარგლის ფართხუნით რომ ჩაიარა დახლებს შუა და გზადაგზა წამოკრიფა, რაც ხელში მოხვდა.

„ასე თუ ვიყიდე, ჩვენი ხელფასი



მარტო მწვანის არ ეყოფა!“ — გაიფიქრა და ისევ სოფელი მოაგონდა, დედის მოვლილ-ნასათუთები ბოსტანი, მწვანედ გალანგებულნი, პიტნის, კამისა და ახლად მოწყვეტილი პამიდვრის სურნელით გაჟღენთილი, ღობეებზე გადმოკიდებული თავებერა გოგრები და რეპანით, ოხრახუშითა და პრასით ნაირფრად აჭრელებული კვლები, კვლებს შუა ხვლიკივით გაცოცებული ხორკლიანი კიტრი და მზისკენ მიძალეებული შაბიანისფერი კომბოსტოები, ბოსტნის კუთხეში მიყუყუული ვერცხლისფერი ფშატი, მიწაზე წვრილი, მოგრძო ფოთლების ჩუქურთმებით რომ ქსოვდა თავის ჩრდილს.

გული სიამით აევსო, გზა გადაჭრა, მაღაზიისკენ გადაუხვია. ისევ უნიათოდ ყინულავდა. არც წვიმა იყო, არც თოვლი. თითქოს საცერში გაცრილი თოვლჭყაპი სველი მტვერივით ედებოდა ტანსაცმელსა და პირისახეზე.

მაღაზიაში ნახერხისა და ნესტის მძიმე სუნი იდგა. ვიტრინებთან უმეტესად სამსახურიდან გამოსული ხალხი ტრიალებდა.

ნატომ თვალი გადაავლო იქაურობას და რაკი სათავისო სხვა ვერაფერი დაიგულა, დახლიდან ათი კვერცხი აიღო, ფრთხილად ჩააწყო ქაღალდის პარკში, სალაროსთან მივიდა და პირგახსნილი პარკი და ფულიც მოლარეს გაუწოდა:

— აი, შეხედეთ, ათი კვერცხი ავიღე! მაგრამ მოლარე ისე გატაცებით ექაჩანებოდა ვიღაც ქალს, რომ ვერაფერი გააგონა.

— ქალბატონო, ფული აიღეთ! — უფრო ხმა მაღლა, მაგრამ ყურადღება ვერც ახლა მიიპყრო. მესამედაც დაუძახა. მოლარეს იმ ქალთან ლაპარაკი მაინც არ შეუწყვეტია, აქეთ მოუხედავად წაგლიჯა ფული ხელიდან, უჯრაში ჩაუძახა და ხურდა დაუბრუნა.

ნატომ სწრაფად გადათვალა და ისევ მიუბრუნდა:

— ქალბატონო!

მოლარემ არც ახლა მოიხედა. ხელების ქნევითა და სახის მანკვით ლაპარაკობდა. წარბები ზევით-ქვევით უხტოდა. ტუჩები გვერდზე ექცეოდა და გახშირებული სუნთქვისაგან ვეება მკერდი უთამთამებდა.

— ქალბატონო! — ნატომ მკლავზე წაატანა ხელი, — თქვენ გეუბნებით! მოლარემ უცებ მოიხედა, თვალები რისხვით შემოუბლატუნა და დაჰკვივლა:

— რა გინდა, ქალო, რას გადამეკიდე! ხურდა ხომ დაგიბრუნე?!

— უკაცრავად! — ბავშვივით დაიბნა ნატო. — თქვენ ფული გადმომაყოფეთ. ეს მანეთი ზედმეტია!

— თქვენს გადამკიდეს ან ამდენი ჭკუა როგორ შემრჩა. მთელი დღე ლამის ტენი გამიხვრიტოთ! — ფული ნერვულად გამოგლიჯა, ჯიბეში ჩაიჩურთა და ისევ თავის მოსაუბრეს მიუბრუნდა.

ნატოს ბრაზი შემოენთო:

— მეგონა მაღლობელი დამჩჩებოდი!

— როგორ არა, ერთი მანეთის გულისათვის მოსამსახურედაც წამოგყვებოდი! — დასცინა მოლარემ.

— ღმერთო ჩემო, რამ გაათავხედა ასე! — წყენით ჩაილაპარაკა ნატომ.

— თავხედი და ოხერი შენ თვითონა ხარ! — გააფთრდა მოლარე.

— მოქალაქევ, ხელს ნუ უშლით მუშაობაში! — მკაცრად თქვა ზურგიდან ვილაცამ.

შემობრუნდა. მის წინ საშუალო ტანის გამხდარი კაცი იდგა, თმაჯაგარა, ფერმკრთალი და მოღუშული. ილიაში ძალზე დიდი ჩანთა ამოეჩარა. თვლები მოუსვენრად გაუბრბოდა აქეთ-იქით. თხელ, მჭიდროდ მოკუმულ ტუჩებზე განუსკვლი მრისხანების ჩრდილი ეფინა. და ნატოს მოეჩვენა, რომ სიძულვილი და ბოღმა, რომელიც ამ კაცს შავნით ველარ დასტეოდა, ამ გაბერილი ჩანთით მიჰქონდა სადღაც.

ნათელა მნახვილი  
ზამთრის ღრუბლიანი დღე

ტირალი მოერია. იმ კაცს მხარი ისე აუქცია, როგორც კეთროვანს და გარეთ გამოვიდა.

ბინდი თანდათან მუქდებოდა. თითქმის ჩამობნელდა. სველ ასფალტზე ყვითელი ნათურების ბღღვრიალა ანარეკლი დაიბნა. ხეების გაძარცვულ ტოტებზე ხმელი ფოთლებივით აიხუნძლნენ გათოშილი ბელურები.

ისევ ეტირებოდა. მერე თავს გაუწყყარა, — რა სულელი ვარ, ამ თავხედებზე რა მამბრაზებსო, მაგრამ გულს მაინც ვერ მოერია. ეს მოქამული გუნება შინაც შეჰყვა.

ბავშვებმა პალტოს გახდა კი აცალეს და მერე სიხარულით მისცივიდნენ. ბიჭი კისერზე ჩამოეკიდა, გოგონა ზურგზე მიეტმასნა და მკლავზე ხელი მოუთათუნა. ნატოს მთელ სხეულში საამო სითბო ჩაეღვარა.

ქმარი ოთახის კართან შეეგება, ძალიან დაილაღო? — ჩურჩულით ჰკითხა და შუბლზე აკოცა, მერე მოწაფე-სავით გაუჩერდა წინ, ხელები ჩამოუშვა და პათეტიკურად დაიწყო:

— ძვირფასო დედო, ჩვენ უკვე ვისადილეო და გაკვეთილებიც დავამზადეთ. მე ახლა მშვენივრად ვიცი, რამდენი შენაკადი აქვს მდინარე ნილოსს, რას წარმოადგენს მენდელევეის ელემენტთა სისტემა და როდის შეიქმნა კიევის სამთავრო. აღარაფერს ვამბობ ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიაზე, რომელიც, სხვათა შორის, ჩემი კვლევის საგანია და რომელზედაც ცოტა რამ აღრეც მქონდა გავიხილი. ახლა შენ გითმობ ასპარეზს, რამეთუ, დიდი ცდისა და მონდომების მიუხედავად, ფიზიკასა და გეომეტრიას ვერაფერი გავუგე! — გაიცინა და მშვენიერი კბილები გამოაჩინა, მერე უხერხულად მიმოიხედა და ბავშვური მოკრძალებით დაუმატა:

— ახლა ჩემს საქმეს მივხედავ, თორემ ძალზე ბევრი დრო დავკარგე. ამათთან ერთად ვსწავლობ გაკვეთილებს. სხვა რა გზაა?! სახელმძღვანელოები

ისეა შედგენილი, მაგათ კი არა მცოდნის მესმის!

თავისი სამუშაო ოთახსკენ წავიდა, ვიდრე კარს მოხუტავდა. კარსკენ კიდე მოაბრუნა ხშირი ქალარით დამშვენებული თავი:

— აღარ დამიძახოთ! ხვალ ჩვენთან დისერტაციის დაცვაა, ოპონენტი ვარ და რაღაც საკითხები მაქვს დასაზუსტებელი!


კარი მიიხურა, მაგრამ მაშინვე ისევ გამოაღო, დიდი სათვალის მინებში არეკლილი ორი ციმციმა შუქი გამოანათა და ძალიან თბილად თქვა:

— არა, მთლად ასეც არაა საქმე, თუ დაგპირდე, დამიძახე, მოგეხმარები.

ნატოს ტბილი ტკვილით შეეკუმშა გული და რაღაცნაირი სიყვარულიანი თანაგრძნობით შეეცოდა ქმარი, ასე უღვთოდ რომ იხარჯებოდა ყოველდღიურ საზრუნავზე და სამეცნიერო მუშაობისათვის ეგზომ საჭირო და აუცილებელ დროს მორიდებით, მორცხვად ითხოვდა ოჯახისაგან. თვითონ ნატო ვერც ამას ახერხებდა, რადგან ოჯახში საქმე არ ილეოდა, დრო კი თვალსა და ხელს შუა უქრებოდა.

ბინა მირეულ-მორეული იყო, ხვალის სადილი — გასაკეთებელი, წვრილმანი თეთრეული — ამოსარეცი. მაშინვე საშინაოდ გამოეწყო, რომ საქმეს შესდგომოდა და ახლალა გაახსენდა, რომ დღეს ხემსი არ ენახა. გაზჭურაზე შემოდგმულ ქვებს თავი ახადა, ფსკერზე დარჩენილი თუ საგანგებოდ მისთვის გადანახული ცოტა კერძი თეფშზე დაისხა, პურს თხელი ნაჭერი ჩამათალა და ზეზეულად დაიწყო ჭამა. გამშრალ ყელში ლუკმა ძლივს გადასდიოდა, თან იმაზე ფიქრობდა, ხვალისთვის სადილად რა გაეკეთებინა.

თეფში გარეცხა, ბიქს დაუძახა, გეომეტრიისა და ფიზიკის გაკვეთილები აუხსნა და თავის საქმეს შეუდგა. აბაზანაში ონკანი მოუშვა და სარეცხი ჩაალბო. წყლის ჩხრიალზე ფიქრში ისევ გააცოცხლდა სოფელი: შემოდგომის პირი. მსუყე სითბოთი გათანგული მიყუჩებუ-



ლი გარემო, დაქაშებული ღუნღულა მზე იქლენთება გაცრიატებულ ჩრდილებში. მუქ-მწვანე ფოთლებში ვარსკვლავებით კიაფობენ ქარვისფერი კომშები. დახუნძლულ ვაზებში ვნებიანად განაბულან წითლად დამკრახული მტევნები. ბებერი კაკლის ჩრდილში წამოგორებული ძუძუებდაბერილი ნეზვი ღრუტუნ-ღრუტუნით მოუხმობს პატარა, ფითქინა გოკებს, აბა, ჰე, ჰამის ღროა და საჩქაროდ მომაშურეთო. გოკები ქოთქოთითა და ფართხაფურთხით გამოენთებოიან დედისკენ, ნიშანდობლივ ითითოებენ დაჩემებულ ძუძუებს, ქშენითა და ნეტარი ფშრუქულით ეწაფებიან გემრიელ საზრდოს, სიამით აქიცინებენ სპირალივით დაკლაქნილ, პატარა კუდეებს და ბრტყელი დინგებიდან წურწურით გადმოსდით ნამეტი რძე. სათონესთან მიბმული ნიშა ძროხა სველი ღრუნჩით ნაზად ელოლიავენა თეთრი ლაქებით მოხატულ ბოჩოლას, გულმოდგინედ ჩამოსდევს შუბლიდან კუდის წვერამდე, ხაოიანი ენით ულოკავს სალუქ ბალანს, დედობრივი მზრუნველობით ბანს და ალამაზებს. პატარა რუში იხვის ყვითელი ჭუჭულები ჭყუმპალაობენ, როგორც ბავშვები სათამაშოებს, ისე დასდევენ წყალში ჩაცვინილ ბრტყელ, კიდებშეწითლებულ ფოთლებს. იქვე მურია დაყუნცულა, ბომბორა კუდით იგერიებს აბეზარ ბუზებს, თან დაფეთებულ მზერას არ აცილებს პაწაწინა ტალღებზე მონანავე ამ ოქროსფერ საოცრებებს.

მერე მოდის სალამო მწიფე ქლიავისფერი ბინდით, მუქი იისფერი ზეცით, აღმოსავლეთის კიდებზე არშიად რომ მოვლებია მთების იქით მიმალული მზის მქრქალი ვარაყი. ყრიამულით ივსება შარავზა და ეზო-ყურე. მარნებში ირეცება ქვევრები და საწნახლები. გლეხის ღონიერი მარჯვენა ღვის ცოცხს რომ შემოპკრავს და შემოუტყლაშუნებს, ქვევრი ისე ახარხარდება, გეგონება, შიგ ეშმა დაბუდებულაო. დირბულას ფერს მოიბარავს პირდაღე-

ბული ნავიცა და გასარეცხად მიშვებულ ი წყალიც.

სალამოს ნელა წამოეპარება დამქრუნული სავესე მთვარე თეთრად გააწმენდა მიმყუდროებულ გარემოს. ქვეყანას ისეთი ნათელი დაადგება, გეგონება, ღმერთმა გადმოიხედაო თავისი დიდებული საბრძანებლობიდან. ძეძვის გამხმარლობეს ხან აქ, ხან იქ ციციანათელების ცეცხლი წაეკიდება. აჭრიჭინდებიან აქამდე ბალახში გატრუნული კუტკალიები, თავგზას აგინებვენ, როგორც უნდა ეცადო, ვერ გაიგებ, ხმა საიდან მოდის. შიგადაშიგ უენო სალამურს ჩაპებრავს სევდიანი ჭოტი და ცხელი მზის მოლოდინს მთელი ღამე იზვიებენ ფრინველები.

ასეთი სოფელი დაეზმანა ახლაც, როგორც ყოველთვის, როცა ძალიან ილღებოდა და სული უცარიელდებოდა. ეს იქნებ არც იყო სოფელი, იქნებ თავი-ო ოცნების ქვეყანას ხელავდა, იმ სამყაროს, სადაც ადამიანს არა ნთქავს ცხოვრების თავბრუდამხვევი რიტმი, სადაც მინდგრის ბალახის სურნელით თვრები და სადაც სახლობს მყუდროების ღმერთი, რომელიც ყველაფერს სიმშვიდის უნაზეს სამოსელში ახვევს. იქ ყოველდღიური საზრუნავიც საოცრად გემსუბუქება, იქ გარჯაც საამოა და დალღაც. თითქოს სალღაც ქრება სხეული და რჩება მარტოოდენ სული, რომელსაც ყოფის ტვირთი ვეღარ ამძიმებს. იქ ღლეც გრძელია და ღამეც, მიმწუნხრიცა და ბინდიც. სასოებით სავესე მზერას წალმის კოცონს რომ მიაპყრობ, მოლურჯო ალი მოცეკვავე ფერიასავით რომ გაიკლაქნება, ჰაერი სიცოცხლის დვრიტით რომ გაიქლინთება, უცებ იგრძნობ, რომ ფრთები შეგესხა და ულამაზეს ოცნებებს მსუბუქად აყვები ვარსკვლავებით დაჭორფლილი ზეცისაკენ. აი, მაშინ გინდ იკითხე და გინდ მუსიკით დატკბი, გინდ მთელი

ნათელა ონაზილი  
ზამთრის ღრუბლიანი დღე

ხმით იმღერე და გინდ მდუმარედ გაუყურდი ამ ტკბილ იღუმალეებს!

აქ კი, აქ სულის მოსათქმელი წუთიც არ არის. თითქოს უახრო, უშინაარსო საგნების რკინის პალოზე ხარ მიბმული და ამოდ ელტვი თავის ამგებას.

რალაც ხმაურმა გამოარკვია ფიჭვებიდან. მიხვდა, ბავშვებმა ოთახში ტელევიზორი ჩართეს. ყურში მკვეთრად მოხვდა დიქტორის მონოტონური ხმაც და რომელიღაც ნაცნობი მელოდიაც. მერე ვილაცის ჩამტკბარი სიტყვები შემოესმა:

— აი, თქვენ, წარმოების მოწინავე ხართ, სამი შვილის დედა, დიდი ოჯახის პატრონი. იქნებ გაუზიაროთ ჩვენს ქალებს, როგორ ასწრებთ ამდენ საქმეს!

ნატომ ყურები ცქვიტა. ეს მართლაც სინტერესოა, იქნებ საიდუმლო რამ გავგვიზილოსო, — გაიფიქრა, სველი ხელები წინსაფრის კალთაზე შეიწმინდა, ოთახის კართან მივიდა და მიაყურადა.

ეკრანზე მრგვალ მაგიდას ქალები უხსნდნენ. ერთი უთუოდ, კორესპონდენტი იყო, ისე ლმობიერად და შემწყნარებლურად იღიმებოდა. მის გვერდით ის წარმოების მოწინავე იჯდა და და თავაღერილი, დაძაბული მისჩერებოდა მისკენ მიმართულ ტელეკამერას. კორესპონდენტის პასუხად მან ხმა მეტისმეტად გაინაზა და კეკლუცად დაიწყო:

— მე სიამოვნებით გავუზიარებ ჩვენს ქალებს, როგორ ვასწრებ ამდენ საქმეს! — მერე სხაპასუხობით მიაყარა, ალბათ, ძლივს გაზეპირებული სათქმელი:

— მთელი დღე დაზვასთან ვმუშაობ. ერთდროულად ვემსახურები ოცდამათხ დაზვას. გეგმას დიდი ვადაპარბებით ვასრულებ. შინ რომ მივდივარ, სრულიადაც არ ვგრძნობ დაღლილობას. დრო რაციონალურად მაქვს განაწილებული. ბავშვებსაც ვუვლი, ოჯახის საქმესაც ვაკეთებ. თავისუფალ

დროს კინოსა, და თეატრში დავდივარ, არც კულტურულ ცხოვრებას ვაკლდები. ვარ მომღერალთა თეატრში ანსამბლის წევრი. ვკითხულობ მხატვრულ და პოლიტიკურ ლიტერატურას...

წარმოების მოწინავე კიდევ რალაცას ამბობდა, მაგრამ ნატომ ყურებზე ხელები აიფარა, კარს მოშორდა და ისევ სააბაზანოში შევიდა. ალბათ, მარტო მე ვარ ასეთი უნიათო და უნდილიო, — გაიფიქრა და ვეღარც გაიხსენა, უკანასკნელად როდის იყო კინოსა თუ თეატრში. ახალი ფილმისა თუ სპექტაკლის ნახვას ტელევიზორით თუ ახერხებდა. ნაჩქარევად ჩამოჯდებოდა სკამის კიდებზე ან სავარძლის სახელურზე, ეკრანს უყურებდა, თან კვერცხს თქვეფდა ან მწვანილს არჩევდა და ფიჭვი სამზარეულოში მოთუხთუხე ქვაბისკენ გაუბრუნდა. ასე იყო თუ ისე, ალლოთი იქმნიდა წარმოდგენას, სულს კი მხატვრული ქმნილების მთლიანად აღქმის სიამოვნება სწყუროდა. არც წვეულებებზე დადიოდა. სად იყო საამისო დრო! მარტო პანაშვიდებს არ აკლდებოდა, მეორე დღისათვის ყველა საქმე რომ მოესწრო. ბოლო დროს გოცებით ამჩნევდა, რომ პანაშვიდებზე მარტო ჭირისუფლებისათვის თანაგრძნობის გამოცხადების სურვილს არ მიჰყავდა. რატომღაც ყველა მიცვალებულს ტიროდა ჩუმად, მარტო ცრემლით და ამ ცრემლში რალაცნაირ შეუცნობელ შეგებას გრძნობდა.

ერთადერთი ბედნიერება ქმარ-შვილთან ყოფნა იყო, მაგრამ ზოგჯერ ძრწოლით ფიქრობდა იმაზეც, რომ სულის სიღრმეში მაინც რჩებოდა ერთი მტკივნეულად ცარიელი ადგილი, რომელიც პირადს, მარტო მისთვის განკუთვნილ უნდა შეეგოს. ამ პირადისათვის კი ნამდვილად არ რჩებოდა არც ერთი წუთი.

გვიან, ძალიან გვიან მოათავა საქმე. შუღლამე გადასული იყო. ბავშვებს დიდი ხანია, ტკბილად ეძინათ. ხელ-

პირი დაიბანა, კარი ჩაკეტა, ერთხელ კიდევ მოათვალიერა დალაგებულ-დაჯარალებული ბინა, მიძინარე შვილებს დახედა, მოესიყვარულა, ფრთხილად აკოცა ორივეს და მთქნარებით გაემართა საწოლი ოთახისაკენ, სადაც ქმარი უკვე იწვა, მაგრამ არ ეძინა, საღამური ნათურის შუქზე რალაცას კითხულობდა.

„რაღა დროს კითხვაა, დასძინებოდა მაინც!“ — გაიფიქრა და დაღლილობისაგან დაბუყებული მუხლები ძლივს მიიტანა საწოლამდე. ქანცვაწყვეტილსა და ძალაგამოლეულს თავი საშინლად უბრუნოდა. საწოლზე ჩამოჯდა, აკანკალებული ხელებით დაიწყო ტანზე გახედა, თან ძლივს ერეოდა მოძალებულ მთქნარებას.

— მოგეხმარები! — ჩურჩულით უთხრა ქმარმა და წამოიწია.

— არა, არა, მე თვითონ გავიხდი! — იმდენი განწირულება და უსასოო ვედრება იყო მის ხმაში, რომ ქმარი უნებურად ისევ მიწვა ბალიშზე.

ქალმა საბანი რომ წაიხურა, ქმარმა კიდევ ერთხელ სცადა მისი გამოყვანა ძილის ბურანიდან:

— ნატო, არ გინდა, ახლა თვრამეტი წლისა იყო?

ქალს უცებ მეხვივით დაატყდა ქმრის სიტყვები და ერთი წუთით მართლაც გამოფხიზლდა.

— თვრამეტისა? — იკითხა შეშფოთებული ხმით.

— ჰო, თვრამეტისა! — ტკბილად თქვა ქმარმა და რბილ თმაზე ნაზად გადაუსვა დიდი, ღონიერი ხელი.

ქალს გააყრყოლა.. წარმოიდგინა, რომ მართლაც თვრამეტი წლისა იყო და ცხოვრების დღემდე განვლილი მან-

ძილი, მთელი თავისი მოსაწყენი ერთფეროვნებით, ხელახლა ჰქონდა გასავლელი. შერძწუნდა. მოეჩვენა, რომ ეკალბარდებით ჩახერგილ ბილიკზე მიდიოდა ფეხშიშველი და ტანშიშველი.

წინ ნისლით დაბურული ვეება მთა იდგა. მთის მწვერვალზე მკვდრის მზისფერი ასოებით ეწერა: „ორმოცდახუთი“. — ეს იყო ახალგაზრდობისა და ხანდაზმულობის საბედისწერო საზღვარი. ეკლიანი ბილიკი მთის გადაღმა, ქვემოთაც ეშვებოდა. იმ ბილიკს იქით კი უცხო სამყარო იყო, ატლასითა და აბრეშუმით მოფენილი, ისე რბილი, ტკბილი და სანეტარო, როგორც წალმის კოცონთან ჯდომა და ფიქრისათვის თავის მიშვება. ოღონდ იქამდე მიედწია როგორმე!...

მიდიოდა წვალებით. მთელ სხეულში ეკლები ესობოდა, მაგრამ კი არ სტკიოდა, უბრალოდ, ძალა ელეოდა, იფიტებოდა, იშრიტებოდა, ზეზეულად ხმებოდა. ქანცვაწყვეტილი მიიკვლევდა გზას, ქმარი კი ამ დროს ქვემოდან ეძახოდა:

„უკან დაბრუნდი, არ გინდა, თვრამეტი წლისა რომ იყო?!“

სულმოუთქმელად აიარა აღმართი, ავიდა მწვერვალზე, იქ, სადაც მკვდრის მზისფერი ასოებით ეწერა: „ორმოცდახუთი“, შიშით გადაიხედა გადაღმა და ამ მრუმე ნისლში გასავლელი გზა გავლილზე უფრო მოკლე რომ მოეჩვენა, უცებ საოცარი შვება იგრძნო. ხელ-ფეხი მოუდუნდა, სხეული აუმჩატდა, ქუთუთოებზე საამო სიმძიმედ დააწვა ძილი და მსუბუქე უსასრულობაში გაიტაცა.

იმ ღამით ძალიან, ძალიან ლამაზი სოფელი ესიზმრა...





ხე ქალაქში

მშვენიერია ხეები ტყეში,  
ლიანებით და ლელიანებით  
ძირდაბურთული და მდუმარენი,  
ათასწლოვანი დიდი ხეები...

და სულ სხვა არის ხე ქალაქში!

დგას იგი როგორც ჩუმი ოცნება  
ცისკენ მზირალი,  
თანთანაზე დაფენილი ასფალტის ქეჩა  
უფარავს ფესვებს,  
ყულფივით ადგას მრგვალი ორმო.

დგას და შეჰყურებს მუნჯ მლოცველივით  
ლაჟვარდის ნაფლეთს, მზეს და სინათლეს.  
შეაცოცდება ზოგჯერ კედლებს ვით უსინათლო  
და სადაც იგრძნობს ღია სივრცეს,  
უვნებელ არეს —  
იქ შეჰყოფს რტოებს.

მიუალერსებს აივნებს, სარკმლებს,  
გაგიღიმებს, მოგეფერება,  
მერე კი უცებ ფოთლების პეშვს  
გამოგიწვდის მოკრძალებულად  
და გთხოვს წყალს ისე როგორც ბავშვი  
ნანატრ ტკბილეულს...

ნიკო სამადაშვილს

შენაც დაგირღვევია ჩვეულებრივი  
პოეტური ტრაფარეტი ჩვენი დღეების:  
სიცოცხლეში სიცოცხლისა და  
სიკვდილის შემდეგ სრული გაჭრობის.  
შენც მოცინარე ლურჯი ცისთვის გიოცნებია,  
იისფერი წვიმებით ყოფილხარ სოველი  
და გაგიტობია ლაჟვარდისთვალისანი მზეებით  
სულის სამოსი.  
შენ, სიცოცხლეში უჩინარი,

სიკვდილის შემდეგ ამოხვედი ბნელ საფლავიდან,  
შენი მტრედწიგნით ჩემს ბინაში შემოანათე.  
„სამყაროს იქით მიმავალ მგზავრებს“,  
„ქაოსებს იქით გაშვერილ ხელებს“,  
გადაყოლილი ალალი კაცი  
ზიხარ შენივე საფლავის ქვაზე;  
სიკვილ-სიციოცხლეს, დროის ჩხრიალს  
და გზადმიმავალ მგზავრებს უღიმი.



## შენი ღიმილი

სალამო უამს  
დასავლეთის მხარეს  
გაყინული თეთრი ღრუბელი რომ გაიხსნება  
და ცის ლურჯი სარკე რომ გამოჩნდება,  
უღრმესად ლურჯი,  
იმას ჰგავს შენი ღიმილი.

— მაინც ვის უნდა ჰგავდეს პოეტი? —  
სხვათაშორის ჰკითხა სტუმრებს  
პოეზიაზე უთავბოლო ლაპარაკით გაბეზრებულმა  
პოეტმა ერთხელ მოძმის ოჯახში.

„პოეტი?! — მეზღვაურს უნდა ჰგავდეს!“  
„პოეტი?! — მოთხილამურეს უნდა ჰგავდეს!“

პოეტი მთამსვლელს უნდა ჰგავდეს,  
მწვერვალების ამაყ დამპყრობელს!“

„არა! მშრომელ კაცს უნდა ჰგავდეს,  
მხენელსა და მთესველს და სხვას არავის!“

„პოეტი სამყაროს უნდა ჰგავდეს,  
სამყაროს უნდა ჰგავდეს პოეტი!“

ჩამოთვალეს და გაჩუმდა ყველა.

„პოეტი უნდა ჰგავდეს მზევეს... მზეს... მზეს!  
აი პოეტი!“ — სთქვა ბავშვმა და  
ქაღალდზე ფანქრით დახატული  
უზარმაზარი ბარჩხალა მზე  
ასწია ზევით.

წუხელ დიდი კაცი მყავდა სტუმრად;  
დიდი წიგნების დამწერი კაცი,  
კარგი ლექსების დამწერი კაცი,  
საქვეყნოდ ცნობილი კაცი...

ჩემი სახლისკენ ხელჩაქიდებული გამორბოდა  
ქალიშვილი და ჭაბუკი,  
დედა და შვილი სიხარულით მოიჩქაროდა,  
მონხუცი თუ ახალგაზრდა მზერას მონათებდა, —  
გეგონებოდა მართო თვალეზი მოდიოდნენ...  
ყველა მოკეთე და მეზობელი  
ჩემი სახლისკენ მოიწევდა,  
დასეირნობდა სახეებზე წრფელი ღიმილი.

აჩქარებული, გახარებული  
მეც დავდიოდი ჩემსავ ეზოში.

ბოლოს ასეთი ფუსფუსი მომწვდა  
განცალკევებით თავმოყრილი და  
ჩემსკენ შეფარვით მომზირალი  
მეზობლებისგან:  
— ესეც რაიმედ უღირთ ვითომ,  
რატომ იკადრა სტუმრობა მასთან  
დიდმა მწერალმა? —

წუხელ ტკბილ-მწარე სიზმარი მქონდა.

ქართლის ველებზე მზე დადის ჩუმად,  
ერთად მწიფდება ვაზი და ვაშლი.  
ქართლის ველებზე ცა იღვენთება  
და დამბანგველი ნაყოფი წოთლავს.  
მოკრამიტული სახლების თავზე  
ცეცხლის ენები ცეკვავენ თითქოს,  
ძველთუძველესი სახურავების  
ნაშთი გაკაწრავს მზერას წამიერ.  
პირველმოსახლე იბერიელი  
კუშტად გადადის თვალსაწიერზე.  
სიხარულსა და ტკივილებს შორის  
ვიღვიძებ ჩემი დღე და მოსწრება.



მე დღესაც შენსკენ მოვიჩქაროდი  
 და მაინც... მაინც დამაგვიანდა;  
 მოვედი არა როგორც უფულთან  
 და არა როგორც ადამიანთან, —  
 მოვედი შენთან, როგორც სინათლის  
 უნაპირო და უძირო ზღვასთან  
 და გხედავ ტაძრის ხმასავით კეთილს  
 და შემოდგომის ცასავით მართალს.  
 დღეები ტანჯვის თუ სიხარულის  
 თუნდაც ამ ერთი წუთისთვის ღირდა...  
 ხან მიცინოდი სიზმრის ნისლიდან,  
 ხან — მონატრებად ქცეული დღიდან.  
 ამ მონატრებით ბრწყინავდა გული,  
 ვით ეკლესიის გუმბათზე თოვლი,  
 და იღუმალის გზა მოკლდებოდა  
 სიხარულსა და ვარსკვლავებს შორის.

ისე ლამაზად ღლინებს ფიქრი,  
 თითქოს შვიდივე ცა აქვს მოვლილი;  
 ღრუბელი მწვანე ქედების იქით  
 მზეს მისწოლია გვერდზე ლომივით.

რატომ არა ვართ  
 ყოველთვის ერთად?  
 განა ისეთი ხანგრძლივია  
 ჩვენი სიცოცხლე,  
 რომ ერთმანეთი მივატოვოთ —  
 თუნდაც დროებით?  
 რატომ არა ვართ  
 ყოველთვის ერთად?  
 ვის გავეჭეცით, რას გავეჭეცით  
 იმ სამოთხიდან, სადაც ბავშვებმა  
 ბევრჯერ ვიხილეთ  
 ერთმანეთის თვალებში სივრცე  
 ულამაზესი ცისარტყელებით  
 და ვარსკვლავებით განათებული...

ნეტავ იცოდე, როგორ ვჩქარობდი  
 და მაინც... მაინც დამაგვიანდა  
 და განა, როგორც ზღაპრის კოცონთან,  
 ან კერპად ქცეულ ადამიანთან, —  
 მოვსულვარ შენთან, როგორც სინათლის  
 აუმღვრეველ და უძირო ზღვასთან  
 და უნდა გითხრა კვლავ ერთი სიტყვა,  
 რომელიც გაცვდა და აღარც გაცვდა:  
 — მიყვარხარ!.. მხოლოდ ამ სიყვარულით  
 ამალღებული ცაა მფარველი,  
 ამ სიყვარულის იმედით დგანან  
 მთებზე — კოშკები, ველზე — კარგები;  
 ამ სიყვარულით გამთბარ სივრცეში  
 სხვაა მზისა და ზარების ფეთქება,  
 ეს სიყვარული თუ იღლეგრძელბს,  
 აღარ იქცევა ქვეყანა ფერფლად!


ბრწყინავს კლდეების ლეგა ქერეჭი,  
 მდინარეს მიაქვს სიცილი ხეთა...  
 და, როგორც ბავშვი დედის ხელგბში,  
 ხატის მიწაზე ბილიკი ფეთქავს.

ხშირად სიცოცხლის ნახევარი  
 (თუ უფრო მეტიც!)  
 რად გადის ასე —  
 სხვაგანა ვართ, სხვაგან ვიძინებთ,  
 სხვას ვეფერებით და ვუფრთხილდებით  
 და ამ დროს ვიღაც  
 დღენიადაგ ჩვენთვის მლოცველი  
 უჩვენოდ ადის აღმართებზე  
 ტვირთით მოხრილი...

ქვეყნად პირველი განშორების  
 დღე რომელია,  
 სად არის ახლა,  
 დავიწყების რომელ მხარეში  
 დგას მოწყენილი...  
 თუ იცის ნეტავ,

რომ ქვეყანაზე მისი მსგავსი  
ბევრზე ბევრია  
და განშორება აღარ უკვირთ ადამიანებს?

რად მიესაჯა ადამიანს  
სიშორით ტანჯვა,  
როცა ამდენი სინათლეა



ამ ხეს ჯიბეში —  
შავ ფულუროში  
უწყვია საკუთარი,  
ყვითელი ფოთლები...

თუ რომელიმე გიჟმაჟი ქარი  
ცით გამთბარ ფოთლებს  
ამოაცლის და გაიტაცებს,  
ხე შეირხევა სიხარულისგან  
და სხვა ფოთლებსაც,  
კენწეროზე შემორჩენილებს,  
თან დაადევნებს,  
როგორც სიტყვებს სამადლობელს...

ამ ხის მახლობლად  
რომ ჩაიაროს,  
რა სასაცილო გამოჩნდება მილიონერი!

ახლა რომ ვინმე დაგვაკვირდეს,  
ალბათ, იფიქრებს:  
„ასეთი კარგა და საოცარი  
რა დაინახეს, რას უმზერენ  
ნეტავ სივრცეში?“..

ჩვენ კი ჰაერში ერთმანეთის  
ფიქრებს ვუცინით  
და, უფრო მეტიც: ახლა ჰაერში  
ჩვენ ერთმანეთის სახეებს ვხედავთ,  
რომლებიც თითქოს

დედამიწას ეუბნებიან:  
„არც გაქვავდები,  
არც დაიმსხვრევი  
და არც ყინულით დაიფარები,  
სანამ შენს ბაღებს  
სიყვარულის ცა აშრიალებს  
და მონატრების მხარეებში  
ჰორიზონტები  
თავდავიწყების სიმღერების უუქით  
ნათდება“...

ოკეანეზე,  
მზიან ნისლში,  
მიცურავს გემი —  
თითქოს კუნძულმა

აიღგა ფეხი  
და აყვავებულ  
ნაპირისკენ მიემართება  
მშვიდობის ღმერთის  
სახესავით გაბრწყინებული...



...მაგრამ ბავშვობა  
რომ დაგვიბრუნდეს,  
ეს ზომ იგივე იქნება, ძმაო,  
შუალამისას მზე ამოვიდეს,  
ან — ვარსკვლავები მერცხლებად იქცნენ  
და ჩვენს ბაღებში  
ღვთაებრივი ხმით იგალობონ,  
ან — შემოდგომის ყანას ცეცხლმა  
გადაუაროს  
და, კი არ დაწვას,  
ყვავილებად დარჩეს ყანაში...

მე საქართველოს  
რუკას შევკუთრებ,  
ბებერი კედლის ლიმილივით  
რომ მოჩანს ბინდში...

ძალზე შორიდან  
ნაღვლიანი სიმღერა ისმის...

რა შეედრება ამ ძველისძველ,  
ღვთაებრივ ტკივილს:  
ვით დაჭრილი მზე,  
გულში ფეთქავს შენი წარსული.

კაცმა ჯერ კენწეროს ახედა  
(„საკმაოდ მაღალია, იმდენ შეშას  
დაჰყრის,  
მთელ ზამთარს გვეყოფა“...),  
მერე ხავსიან, დაშაშრულ ქერქს  
პირქუშად, ნაღვლიანად დააკვირდა  
და ცული შემოჰკრა...  
პირველი ნაფოტი ტყის ცრემლივით

გაგორდა შარშანდელი ფოთლების  
შვავში  
და ცულის თეთრი ნაკვალევი  
ტყის ნათელ ბინდში  
ბრწყინავდა, თანდათან იზრდებოდა —  
თითქოს ხარბარებდა  
ხე საშეშედ გამეტებული,  
თითქოს დასცინოდა კაცთაგანის  
უმაღურობას...

## გურამ ნემსიწვერიძე

# ფოლადის გაბიბი

მოთხრობა

შაბათ დილით უცნაური სიწმარე ვნახე:

ჩემი ოთახის კედელზე წინაპართა სურათი შავ ლაქებს დაეფარა. „რა ეშველება?“ — გავიფიქრე და უკვე გაღვიძებულმა, ძრწოლვით მოვარიდე თვალი. მერე ფანჯარას მივაღიე და გამოვადე. გულს ეამო მოულოდნელი სანახაობა: „ჩვენს ელვში პურის მაღაზია გაეხსნათ. პურის გასაბიბი იყო იმხანად, იღვა ხალხი და მოთმინებით ელოდა თავის რიგს. მაღაზიისკენ მიმავალ გზაზე ფოლადისფერი მსუბუქი მანქანა გამოჩნდა. არასასიამოვნოდ გაიღრჭიალა მუხბრუკებმა, მანქანიდან მოდურად ჩაცმული მამაკაცი გადმოვიდა და ჭიქურ გემართა დახლისკენ. ხალხი შეჩოჩქოლდა, რაღაც ზმუილისმაგვარი გამოსცა და დადუმდა. ამ დროს, პირველი სართულის აივნიდან ძაღლის ყუფა მომესმა. ჩვენს სახლში ძაღლი არ მეგულებოდა და გაციებით ჩავხედე. დიდ, უავისფერწინკლებიან შავ ძაღლს თათები მოაჭირზე შემოეწყყო და რიგს გაუფაციებოთ მიშტერებოდა. „ალბათ მოვიდა“, — გავიფიქრე და მეც რიგს გავხედე. მანქანის მფლობელმა თეთრ ქაღალდში შეხვეული პური ილღიაში ამოიჩარა და წავიდა. ძაღლმა ორჭერ მკვეთრად შებყუფა, მერე კი ღრენაზე გადავიდა. ხალხი აუაყანდა, აზრიალდა, მაგრამ უმად მიუყრდა.

კვლავ მოადგა რიგს მანქანა, ამჟამად შვინდისფერი. ახლა უფრო ხნიერმა მამაკაცმა მიხურა ავტომობილის კარი. ურუ გმინვისმაგვარი ზმუილი გამოსცა რიგმა, მამაკაცი პურის გამყიდველს მიუახლოვდა.

... გაბმულმა ყუფამ წაიღო უერთახმენა. ძაღლი აივნიდან გადაეშვა და მგლური ძუნძულით გემართა რიგისკენ. გონს მოსვლა ვერაფერ მოახსროს, ისე მივარდა შვინდისფერი მანქანის პატრონს, პიქაის კალთაზე სწვდა და მძლავრად მოქარა. შეშინებული მამაკაცი დაბყუდა ძაღლის ნებას და მალე გრძალად გაბიბული რიგის ბოლოში აღმოჩნდა. თიქმის სათნახებვარი

დარაჯობდა ძაღლის ფხიზელი თვალი რიგის დამრღვევს, სიამოვნებით მოჰყვა კულის ქიციანს. როცა მამაკაცს რიგმა მოუწია. მობრუნდა, ნელი ნაბიჯით გამოემართა აივნიდან, თათები მოაჭირზე შემოაწყო და გაიტრუნა.

საშინლად გამოფუტდა გუნება. რა ვნა, რა ვაკეთო-მეთქი, გავიფიქრე და, ზედად, პურის მაღაზიის გვერდით აბრა შევნიშნე. „არაუი“ — ეწერა ოქროსფერი ასოებით. კიბზე დამდურულივით დაევიფი და ღია კარში გამოუცდელი სივრცის ჩვეული შიშით შევდგი ფეხი. ფირფიტაზე ჩაწერილი ხმა ავსებდა ოთახს, ვეღარ ეტეოდა, ხმაურით იჭრებოდა გარეთ და ეთერში იფანტებოდა.

— მიირთვით შვინდის არაუი, ალისფერი, სურნელოვანი... თაფლის... პურის... პურის... პურის... ალბათ ფირფიტა გატეხილი იყო, ნემსიწვერი ვინ ვეღარ მიიწვიდა.

გამყიდველს ფული მივაწოდე, ხურდას არცვი დავლოდებოვარ, შინ შევტრიალდი და არაყიანი ბოთლი მოვიყუდე...

გამოღვიძებულს თავი მიბრუნდა. გამოუძინებელი ვყავი, არყის სუნსა და გემოს აშკარად ვგრძნობდი. ქარი ღმუილითა და სტენით ებნებოდა ფანჯრებს, გულის წამღებად ზრიალებდა ჩარჩოში უხეიროდ ჩამაგრებული მინა. ყველას ეძინა, იმ წყუელი სიწმარის ბრალი თუ იყო, თორემ, ალბათ არც მე გამეღვიძებოდა. საწოლიდან წამოვიწიე და მძინარე ბიჭები შევათვალეირე: — კახის საჩვენებელი თითი ტუჩის კუთხესთან მიედო და ძალიან ჰგავდა ღრმად ჩაფიქრებულს. პაატა ოდნავ იღიმებოდა, ხოლო მანუჩარის ისე კუსტად შეიყარა წარბები, იფიქრებდით, ვიდაცას ეშუქრებაო.

კახის საწოლისკენ გადავიხარე და სკამიდან სქელი, ღურჭყლიანი რვეული ავიღე. ამ რვე-

ულში კახი რაღაც ჩანაწერებს აკეთებდა ლო-  
თებზე, მაგრამ არ გვაკითხებდა, როცა დავამ-  
თავრებ, მაშინო, — ამ სიტყვებით გვიშორებ-  
და თავიდან. გამეხარდა შემთხვევა რომ მომი-  
ცა და რვეული გადავწაღე.

ლოთების ნაირსახეობანი და ზენე-ჩვეულები-  
ნი: ლოთები ექვს ჭაფუღად უნდა დაიყოს.

პირველი ჭაფუღი უმეტესად ხეიბრებისაგან  
შედგება. ისინი დღისით მათხოვრობენ მატა-  
რებლებში, ხიდისა და გვირაბების მისაღვამებ-  
თან ან ხალხმრავალ ადგილებში. უჭირავთ ჩვი-  
ლი ბავშვები და გამვლელებს მავდერებელი  
თვალებით შეშუპებენ. რელიგიური დღესას-  
წაულის დღეებში კი სხასფლაოებს მოედებიან.  
ხალამოებით, პირველი ჭაფუღის ლოთები სვამენ  
არაყს, ხოლო ფულის უქმარობის შემთხვევა-  
ში, — ლუღს. თუ დღე უღებლო გამოდგა, ლო-  
თები სხასადილოებს შეესვენან, მოქუთევებს საყ-  
ვარელ ადამიანს შეუქებენ. რომელიმე ნახაიმო-  
ნები სუფრის წევრი ღოსთს „სხვა ტიქით“, ღვი-  
ნოს მიაწვდის. ლოთი კი აქებს და ადღერტპე-  
ლებს. სუფრის წევრებს ეს ალაღებთ და უვსე-  
ბენ მეორე ტიქას. ღოსთს „სახვარელი ადამიანი“  
ცამდე აპყავს. შემდეგ სუფრის რომელიმე  
წევრს მობეზრდება ყოველივე ეს და ღოსთს  
ეშაქებისკენ აგზავნის.

პირველი ჭაფუღის ლოთებს მაწანწალებდაც  
მოიხსენიებენ ხოლმე, დასაძინებელი ადგილი  
მათთვის განურჩეველია.

უსიამო სიწმირთ გატანჭულს, ისევ ჩამო-  
ნებოდა. ხმაურმა გამოშალვია. ოთხში ბიჭები  
ფუსფუსებდნენ. მარჯაფა კარგა ხნის უნახავი  
მყავდა. მეჭავრება, როცა ადამიანს მეტსახელით  
მიმართავენ. რამდენჯერმე ვკითხე, — ნამდვილი  
სახელი რა გქვია-მეთქი, — უბრალოდ, მარჯა-  
ფა დამიძახეო, — ხელი ჩაიქნია. რაღა მეთქმო-  
და.

— ამდენ ხანს ხად დაიკარგე? — ცარიელი  
ასანთის კოლოფი ვესროლე მარჯაფას.

— ეჰ, თემური, გასვიდა გული დარდიო.

— დარდი ვუქაცობაა, კარგია.

— ვუქაცობა ასე ადვილია? — გაიოცა მარ-  
ჯაფამ.

— დღეს სხვა დროა, მთავარია, ცუდი არა-  
ფერი ჩაიდინო, კარგის გაკეთებას ვუქაცობსა-  
გან არავინ მოითხოვს.

მინდოდა, მარჯაფასთვის ვუქაცობაზე კიდევ  
რაღაც მეთქვა, მაგრამ საჭიროდ აღარ ჩავთვა-  
ლე. ფანჯარასთან მივიდი, დამიანტერესა, ისეთი  
რა სჭირდა მინას, რომ გამულდებით ზრიალებ-  
და. დავრწმუნდი, ვერაფერს მოვუხერხებდი და  
ქუჩაში დავიწვიე უპრება.

ქარმა მიფინებით იცის ქროლა ჩვენს ქალაქ-  
ში. ღმუის და აშრობს ირგვლივ ყველაფერს.

ასე მგონია, ამ დროს ადამიანებიც გამოშრულ-  
ნი არიან. მეჭავრება ქარი, მის ხმაში თარუ-  
ლი მუქარა იგრძნობა. მეც მეშინია, ვითუ  
გაგიფდეს და მინაგრ-მონაგრის უგვიდაფრე-  
მე შენ გეტყვი, გიჟს პასუხი მოეთხოვება. მაგი-  
ური ძალა კი აქვს, წყუელს. ალბათ უმეტესად ხსე-  
ვარს ქარის დროს ფანჯარასთან დგომა.

ქარმა ამოიხუნთქა, წამით შეისვენა და მო-  
პირდაპირე სახლის მარცხენა კუთხიდან ვარ-  
დისფერი კახის კალთა გამოაფრიალა. ჭრთ თერთ  
მუხლებს მოვკარი თვალი, შემდეგ შებურცულ  
მკერდზე წაბლისფერი წაბლისფერი თმის აბურ-  
დულმა, ნაცნობმა ტალღამ შემაკრო.

— ელისო! — ვიკინე ქვედა ტუჩზე და ცვა-  
დე, სწრაფი მოძრაობით ჩამომეფარებინა ფანჯ-  
რისათვის გახუნებული, გაურკვეველი ფერის  
ფარდა. ხელი ამივიდა, ვერ მოვასწარი. ელისოს  
ფართო თვალები წამიერად მოკეძო ფანჯარას.

საწოლზე ჩამოვკეცი, უსიამო ლოდინს მიყენ-  
დე. ამბოურცული მკერდის და წაბლისფერი  
წვირთების მაცდუნებელი ძალა დაქაფდა  
იყო, რაღაც სხვა, ჩემთვის უფრო ძლიერმა  
გრძნობამ ამიყვანა ხელში და მბრძანებლად გა-  
მისხდა.

— მათხოვე შენი ფეხსაცმლები, — ვუთხარი  
კახს.

— სათევზაოდ მიდიხარ?

— რაო?

— ჩემი ფეხსაცმლები ნავის მაგივრად გამო-  
გაღებო.

— სწორედ მასეთები მჭირდება!

კარგე აუჩქარებელი კაკუნი გაისმა, — მარ-  
ჯაფამ გამოაღო.

— თემური აქაა? — ინფინერმა შემომაყო თა-  
ვი: — ვიღაც გოგო გელოდება, ისეთი, რომ...

კახის ფეხსაცმლები ჩავიციე და ფლატუნით  
ჩავუყუცი კიბის საფეხურებს.

შენობის კუთხეში ელისო მიყუყულიყო. ქარი  
მაინც აღწევდა სიმუღროვებით. ნიშნის მოგებით  
გაიელვებდნენ დროდადრო თეთრი მუხლები-  
ხარხად მილაურსმეს აბრწყინებული თვალები  
გამვლელმა ბიჭებმა. სიამაყე ვიგრძენი, წამიერი,  
მოუხელთებელი.

— მოვიდი! — სიცილით მოთხრა ელისომ და  
მარცხენა ხელით კახის კალთა დაქაჩა.

ვარდისფერი ქვეცინი და თხელი, ძვირფასი  
ქსოვილის თეთრ-სვითერი იცვა, ტანზე ვაწ-  
როდ შემოტანსილი. მკერდზე ოდნავ გადა-  
ცრცილიყო ქსოვილი, თითქოს უჭირდა აფეთ-  
ქებული მკერდის მალვა და შეკაება.

„სიცოცხლე!“ — გავიფიქრე და სიამით გა-  
მეფრეოლა.

— წავიდეთ, რა, თემური? — ისევ გაიციან  
ელისომ.

გურამ ნემსიწვიარძი  
ფოლადის ბაბირი



— სად, ელისო?

— ხალხზე.

ნაბიჯი ოდნავ წაუდგო წინ, ფეხსაცმელებში ფეხი ავათამაშე. შეძამჩნია, შეყოვნება აღარ შეიძლება.

— ფეხსაცმელები არა მჭებს, ელისო, არ შემიძლია... არაფერი უთქვამს, შეტრიალდა და ნელი, უსიციოცხლო ნაბიჯით გამოშორდა. ისეთი გრძნობა დამეფულა, თითქოს რვაფეხა დამებლავა გულზე და ღრმად ჩამოსო საწარღლი საცეტები.

ძლივს შევლახლახდი ოთახში, ფეხსაცმელები კუთხეში მივყარე და საწოლზე ჩამოვჯექი.

— რა გააკეთე? — მომიახლოვდა მანუჩარი. უპასუროდ მივიჩინე.

— ემა! — გულდაწყვეტით ჩაქინა ხელი.

— მზადია, ბიჭებო! — კახმ ბიჭები შეავსო, არყის მძაფრი სუნით გაივსო ოთახი.

პირველი ჭიქა უხმოდ დავლიეთ. ასეთ რამეს „ეპილოგს“ ვეძახით ჩვენი ოთახის ბიჭები.

— ხსოვნა იყოს! — ჩაილაპარაკა მარქაფამ ჭიქის დაღვინის შემდეგ.

— რა? — გაოცებით შევხედე.

— ეს ერთი კვირაა არ გამოვჩინებვარ და არ გაგკვირებიათ?

— გარდაცვლილი იყავი? — სერიოზულად შევიკითხა მანუჩარი.

— ბიძა მომიკვდა! — ამოიხორა მარქაფამ.

— როგორ? — ვკითხე იმ გაოცებით, ახეთი უსიამო ამბავი რომ იწვევს ხოლმე.

— როგორ და... — მარქაფა ცოტა ხნით შეყოვნდა, ალბათ ფიქრობდა, ვთქვა თუ არაო, შემდეგ მაინც თქმა ამჯობინა:

— როგორ და, არსენა ხომ ჩვენი მხრიდან იყო...

— რომელი არსენა? — დანტერინდა პაატა.

— ამწუთში მარაბდელი მყავს მხედველობაში, თორემ, ჭორჩიაშვილიც ჩვენებური იყო.

— დასაკეცხნი ხალხი გყალიათ, შემდეგ?

— არსენა რომ ჩვენებური იყო, ხომ ვთქვი? — კითხვის თვალით, გაღმოგვებდა მარქაფამ.

— კი, თქვი და არც შეგდავებიავართ, მაგრამ რა კავშირი აქვს არსენა მარაბდელს ბიძაშენის გარდაცვალებასთან? — ხელემი გაშალა კახიძე.

— რა და, ჩვენს სოფელში წარმოადგენა გამართეს, „არსენას“ დგამდნენ, საერთოდ, „არსენა“ ჩვენთან ყოველ წელს იდგმებოდა და მთავარ როლს უტყველდა ბიძაჩემი თამაშობდა, — მარქაფამ ამოიხვეწა და ჭიქას გაუსწორა თვალი.

— დალიე და გააგრძელე! — ჭიქა მიუჩინა კახიძე.

— ხსოვნა იყოს! — თქვა, გადაეჭრა და შეწყვეტლი თხრობა განაგრძო: — ის, ვინც ხოლო მოქმედებაში არსენას კლავს, ყოველთვის ხანადიროს თოფს ხმარობდა, ცარიელ ვაზნას დებ-

და ხოლმე. ამ ერთი კვირის წინ კი იმას, ვინც არსენას კლავს ბოლო მოქმედებაში, წარმოადგენის წინ არაყი დაუღვავა, ნასვამზე შეშლია და თოფში „ტუპანი“ ჩაუღვავა, ზედ „ტუპანზე“ დააგდო ხალა და მართლა ბოლი აღინა-საბრძოლო პირობა ჩემს.

— ოჰ... — ხელები გაასავსავა მანუჩარმა და გაფითრდა.

— იხე კარგად გაითამაშა ბიძაჩემმა არსენას სიკვდილის სცენა, რომ ხალხი ნახევარ საათს ტაშს უტარავდა. შემდეგ ფარდა ოდნავ გაიწია, ტაში ოვაციაში გადაიწარდა, ხალხს ეგონა, ბიძაჩემი მაღლობის მოსახდელად გამოდინდა, მაგრამ სცენიდან გამოვინჩნებულე „კუპატნელი“ გამოვიდა, „ეს რა მომივიდაო!“ — დაიბლაჯლა და თავში ხელები წაიშინა.

გულწინს გამომიძებელთან ვიყავი, — განაგრძობდა ცრემლმორიული მარქაფა, — საქმე როგორ იქნება-მეთქი, ვკითხე. დიდხანს ფიქრობდა, მეგონა, ჩემს შეკითხვაზე იმტკივნეულა თავს, ბოლოს მითხრა: — ნეტავი მეც იქ ვყოფილიყავი, ახეთ რამეს კაცი იშვიათად ნახავსო.

— კი მაგრამ, კაცი რომ დაიღუპა, იმაზე რა პასუხს გამცემთ-მეთქი, — თვალები დავუბრიალე.

— დიდი ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს და აქედან დამეკარგე, ჩემის ქვეშ მოყოლილ კატახვით თვალებს ნუ შიქარავო, — დამიყვირა — ალბათ „კუპატნელიმ“ მოასწრო შეცერვა.

— ხსოვნა იყოს! — ვთქვი და ფეხზე წამოვდექი.

— ხსოვნა იყოს! — გაიმეორა მარქაფამ და დალია. ოთახის კარი მოულოდნელად გაიღო.

— ოჰ, ხელები სიამოვნებით გაშალა ოთახში შემოსულმა გენადიმე.

— ჯარიმა მაგას! — ორი ჭიქა შეავსო პაატამ, — მარქაფას ბიძა დაეღუპა, ხსოვნისა შეხვი!

— ზეციური მეუღლეა ბქონებოდეს! — გენადიმე თავი უკან გადასწია და არაყი ჭიქაზე ტურნითკარებლად გადაიხსა ხახაში.

— ამ ჭიქით ჩვენს წინაპრებს გაუმარჯოს! — ჭიქა ასწია პაატამ, — და იცით, რატომ? — შვილსაც სწირავდნენ, თავხაც სწირავდნენ, სულხაც სწირავდნენ.

— შეიცვალა ხალხი, ახლა ადამიანები ქარხანაში სამუშაოდაც აღარ იმეტებენ შვილს! — წყენა დაეტყო პაატას.

უხერხული სინჯიმე ჩამოვარდა.

— ბიჭებო, იცით, რა? — რაღაც იაზრა მარქაფამ: — ძალიან გიხვეწებით, ნუ გამაწბილიათ, ხვალ ხომ ისვენებთ, არა? — კუმისის ტახის პირას შევცით იმ საწყლის შესანდობარი. ვე... მე...

ცუდ დღეში ბქონდა ნერვები მარქაფას.



საღამოთი შუქი აღრე ჩავაქრეთ.  
სახმელმა მოგვალა, მოგვეწავა, ლოგანი მოგვანატრა. პაატა ჭანმარტელი იყო, რამდენიმე წუთიც კმაროდა, რომ ჩვილის ძილით მისძინებოდა.

საძაგელი თვისება მაქვს. შემძლია საათობით ვიწვე გუნძრევლა და ვიფიქრო. სწორედ ამან შეადგინა კახი და მანუჩარი. ღამის თორმეტს გადაცილებული იყო, როცა მანუჩარი საწოლზე წამოჭდა.

- კახი! — დაიჩურჩულა და ჩაახველა.
- მო! — კახის საწოლმა ოღნავ გაიქრიალა.
- რადღა უცნაური ხარ, კახი.
- ამისათვის გამაღვიძე?
- ხანდახან გამჩნევ, ხაკუთარი თავიც გეჭაბურება, ჩვენც, ხალხიც.
- შენ რაღაც უბედურება გპირს, კახი! — ოღნავ ხმას აუწია მანუჩარმა.
- სუ, ჩუმად, ხომ ხედავ, ხდინავთ!
- რა გპირს ახეთი, მითხარი, ბიჭო, — ვმა აუკანკალდა მანუჩარს.

- კიბო!
- კიბო?
- მო, სწორედ იმიტომ ვცვამ არაყს და, საერთოდ, არყის მსმელთაგან უმრავლესობა კიბოთია დაავადებული, დანარჩენები კი, ისე, უნდათ და სვამენ. არაყი კიბოს განვითარებას დროებით აფერხებს, შევებას ჰგვრის ავადმყოფს... ბოლო მაინც დაღუპვა და სიკვდილი.

ეეჰ, — მთელი ხმით ამოიოხრა მანუჩარმა.  
— რა მოხდა? — ვიკოთე „ნამძინარევი“ ხმით.

— კიბლი ამტკივდა!  
— ნიორი დაღვიძე, — ვუთხარი და შეშფოთებული კედლისკენ გადავტრიალდი. ძილმა ერთბაშად დამრია ხელი. გამოცდილებით ვიცოდი, ნერვების აშლა ძილს უფრთხობს ადამიანს, ზედმეტი ნერვული დაძაბულობა კი ძილს ანღიმებს. ჩამძინა თუ არა, უმალ შესტუმრა მეორე საშუარო:

კახის სიტყვებით შეშფოთებული, უკიდვანო ბაღირის პირას ვიდექი. ვივება ონკანიდან შხამი იღვრებოდა ბაღირისკენ მიმავალ ხევეში. იქვე, ალვისხეზე მიჭაჭვული წაბლისფერთმიანი ქაბუკი აწყვებდას ლამობდა, ონკანისკენ ეჭირათვლი, ალბათ გადაკეტვას თუ ეშურებოდა. მე დავკეტავ-მეთქი, — ვავიფიქრე და წავიწიე, მაგრამ მუხლებამდე შემომდგომოდა ჩემდა შეუჩინევლად მუქშავი ბლანტი ფისი. რაღას ვიზამდი, მშველელი ვინატრე და, ღმერთო ჩემო, მშველელის ნაცვლად განგებამ ყვავი გამომიგვანა.

— გიპირს? — დაიჩახვლა და იქვე დასკუბდა. არ ჩაიძირა ის უპატრონო. ალბათ ფრთები რომ ჰქონდა, იმიტომ.

— რამდენი წლის ხარ? — ბანზე ავუგადა კიბოხა.

— შენზე კარგი ბიჭები რომ ცხოვრობდნენ ამ ქვეყანაზე, მაშინ დავიბადე.

— აუ, სამასამდე უოფილხარ.  
— არა, სამას წლამდე კილყავი ძლიებს, მე ყვავი ვარ.

— ორივე ერთი ობერი არაა?  
— კი, თქვენთვის ყველაფერი ერთია.  
— კარგი, თუგინდ ორასის იყო, — რას აკეთებდი ამდენ ხანს?

— ვხვამდი, ვვამდი, შთამომავლობას ვვრდილი.

— მეტი არაფერი?  
— კიდევ, რა?  
— აუსუს, ვის აქვს მომადლებული ორასი წლის სიცოცხლე..

— თქვენ რასღა აკეთებთ?  
— ვაზროვნებთ!  
— კი არ აზროვნებთ, ერთმანეთს ატყულებთ, რომ უკეთესად სვათ, ჭამოთ და უზრუნველყოთ შთამომავლობა.

— მშვენიერებაა ჩვენი ცხოვრების მთავარი მიზანი.

— მშვენიერებას რას ეძახით? ყუმბარას რომ ნგრევის ძალას მოუმატებთ?

— ფუჰ, რეგვინი მიღი, აბა და, იმღერე.  
— ყვა, ყვა, ყვა..

— შენ ხაარ ვინახი... — რომელი უფრო კარგი?

— ურძინს ჭამა.

— უჰ, შე მარტო მუცლისთვის გაჩენილი და არარობის მომხაზურევი! — შევეყირე და გულში განვიზარაბე, ედღეში წამეღლო ხელი. იგრძნო, აფრთხილდა და მიუწვდომზე დაიწყო ნავარდი. მართლა ექვებოთ ბოლო საფრთხის მოახლოებაზე წყულებს.


— აგწვა ბოლო? — ბრაზით შევძახე.

— მოაზროვნებო! კოსმოსში ახვედით, მთვარეზე დასხედით, ოკენის ფეკრზე სეირნობთ და ნუთუ ვეღარ გრძნობთ, რაც, გპირთ? — ე მაგ ონკანს მიხედეთ. როგორ მე ვიცო, მთვარეზე კი არა, იმას იქით წასასვლელდაც ვაგინდებთ საქმე.

— უშენოლაც მივხედავთ, რაჯულდაწყველილო! — თქვენ არაფრის მიხედვაც არ შეგიძლიათ, ხანამ იმას არ შეიჩვევით, რასაც ფიქრობთ, ის ილაპარაკოთ... ყვა, ყვა, ყვა..

დამეშვიდობა სატანის მოციქული.  
გამოღვიძებული კარადა გამოვადე, არაყი მოვიძიე. ძნელი ამბავია, რას არ იტყვის ლოთის ენა და გრძნობაარეულს რა არ დაესიზმრება.

გურამ ნემსიწვირიძე  
ფოლადის ბაბირი



ხორაგით ხავსე ზურგანთა არავის დავითომო მარქაფამ, სტუმრები ხართ და არ შეიძლებაო. ხუთიოდე კილომეტრი მაინც გავიარეთ კუმისის ტბის მიმართულებით. რომელიღაც ხეს ეძებდა მარქაფა. — ერთხელ იმ ხის ძირას დავლიეთ მე და ბიძაჩემმა და სულის მოხახხენებლად სწორედ ის ადგილი გამოადგებაო, — დაიხინა.

— შეიძლება ცოტა ახლოს დალიეთ და აღარ გახსოვს? — ნიადაგი მოხინჯა დალილიმა მანუ-ჩარმა.

— რა დამავიწყებს!

ზოლოს, როგორც იქნა, შეჩერდა, და უმწიოდ ააცეცა თვალები.

— რა მოხდა? — დანტერესდა კახი.

— მოუტრიათ! — მხრები ჩამოყარა მარქაფამ. შორიახლოს მართლაც ჩანდა მოჭრილი ხის ნაშრონი.

— რა ვქნათ? — დაიბნა გენადი.

— აღარც ხე, აღარც ბიძაჩემი! — თვალები აუწყულიანდა მარქაფას.

— ძირში ამონახეთქი აქვს, აი, დააკვირდი, კიდევ გაიზრდება! — მიახელა მანუჩარმა.

მარქაფა ნაშროსიკენ წავიდა და უხმოდ მიეყუდა. არყის ბოთლები და სანოვაგე დავალაგეთ, გენადიმ ჭიქები შეავსო.

— ბიჭებო! — ჩუმად თქვა მარქაფამ, — მგონი ვეჭვებოდი კიდევ, ხშირად მიბრუნდებოდა, ნუ სვამო, მაგრამ მე ისე მიყვარდა, რომ... უცხად განვიმსჯვალეთ იმ რილით და პატვისიცემით, ახლობელდაკარგული ადამიანების მიმართ რომ განიცდიან.

— ახლობლები და ერის მოყვარე უცოცხლოს დიდხანს გარდაცვლილს, — ჭიქა ასწია კახიმ.

— უცოცხლოს! — გავიმეორეთ და ზოლომდე დავცალეთ.

— გვეყოფა, აქ დათრობა არ შეიძლება, სხვაგან გადავიდეთ, თქვა კახიმ და ჭიქები აიღო.

შვილის ხის ძირას მოვხანეთ ადგილი. ხახხასა მინდორი იყო, ძლივსშესამჩნევად მოკურდულავე, აქა-იქ გაშლილიყო შავგულა წითელი ყუაჩოები, კორდებზე უხვად მოჩანდა ქამახოკოს ქუდები. საღე... უფრო თანადი გაიტანა, ვიღას ახსოვდა ხივდილი და თამბაკი.

მზე კარგა მანძილით იყო გადასული დასავლეთით, როცა წამოვიშალეთ და გევი მუხათისკენ ავიდეთ. ცხვარი შეშფენოდა გზისპირა ფერდობს. ნელა, ბალახის ძოვით მიიწვედნენ წინ. კონტრუსობდნენ და ნებვირობდნენ ბატკნები. ჭერ ადგილზე შეტებოდნენ, შემდეგ გაქანდებოდნენ და დედებს ურტყამდნენ თავს ჭიქანში. გულუბრყვილოებმა არ იცოდნენ თავისი ფასი. მე არასოდეს მიჭამია ბატკნის ხორცი და სულ სხვა თვალით ვუყურებ ნებიერას.

ბესო ხმის ამოუღებლად ჩამოგვიკლდა და ცხვრის ფარას მიუახლოვდა. ყურადღება არ მიგვიქცევია, ვერც კი წარმოვადგენდით თუ რა-

იმე ავი განზრახვა ედო გულში. უცხად ოთხზე დადგა, ფოცხვერისებური სიფრთხილედ შექცა. რა ბატკანს, მიძებარივით გააქცევს, ნაწილად სწრაფი ნახტომით სწვდა უკანა ფეხებში.

— თქვენი დედა!.. — მოისმა მაღლობიდან და წამოვიდა ჭვების წვიმა. ბესომ ბატკანს ხელი უშვა და ჩვენკენ წამოიქცა. გაცეცხლებულ მწვემს არც უფიქრია ერთმანეთისაგან გაერჩია მტყუანი და მართალი. სათამაშოების მალაჩაში ნაყიდი დასაქოქი ქათმებივით ადგილზე ვებოდით, რომ როგორმე აგვეცილებინა ბრმად ნახროლი ჭვები.

— მიშველეთ! — იყვირა კახიმ და მინდორზე გაგორდა. მწვემმა იფიქრა, საქმარბიიოო და თავი დაგვანებდა.

კახის შემოვლებით.

— ყოჩად, კარგად მოიფიქრეთ! — შევიქვე კახი.

— აუშო! — დაკრიჭა კბილები.

— მართლა მოგარტყა?

— არა, გამეზუმრა! — კახიმ შარვლის ტოტი აიწია და მარცხენა ფეხზე გადაუდღეფილი ადგილი გვანახა.

— რა ვქნათ? — უმწიოდ შეიშმუშუნა მხრები ბესომ.

— იმის ვფეცოვობაც არ გეყო, იქით გაქცეულიყოფი, რას შემოგვეკიდლეთ? — შეუწყრა პაპა, — წამოიკიდე ახლა და ატარე სამანქანე გჭამდე.

ბესო ბედს დამორჩილდა და კენხით შეუყვავა აღმაროს.

— შეჩერდი! — დაამუხრუჭა ბესო კახიმ. ეგერ ვირია და იქნებ დაიჭირო, — შენ ხომ კარგად იცი ვირების ენა.

— შეიძლება მარქაფა იცნობს, — გაეხარდა ბესოს.

— პირველად ვხედავ! — იუარა მარქაფამ.

— ეგებ იმან გიცნოს, სხვა რომ არაფერი, ერთი რაიონიდან ხართ.

მარქაფამ ნორჩი ბალახი მოგლიჯა და ვირისკენ წავიდა. იცნო ვირმა, თავი ასწია და ისეთი ყროყინით წამოვიდა მარქაფასკენ, ვიფიქრე, ერთმანეთს გადაკოცნიან-ამეთქი.

— შექექი! — რბილი მიპატივა კახი მარქაფამ, თითქმის „გაზ-24“-ის სალონის კარი გაეღოს. კახის მივეშველეთ, ვირზე მარჯვედ შევსვით. გენადიმ რაღაც მარშინებური წამოიწყო და სიმღერით მივეყვით ამხედრებულ კახის.

ხერზე გაშუალო სიმაღლის წვეგრმოშვებულნი მამაკაცი დადმოდგა. ჭერ გაირინდა ჩვენი დემონსტრაციის დანახვაზე, შემდეგ ჩამიშხლა და ერთხანს დაეინებით გვიყურა.

— შეჩერდი! — შეჭკვილა და თავგამეტებით დაეშვა ჩვენკენ. ვირი შეჩერდა.

— რას შვებო? — შეუღრინა უცნობმა კახის.

— ვირზე ვზოვარ! — მიუგო მშვიდად.

— ვა, რა უფლებით? — გაცეცა უცნობი.



— ხალხი ვაჟამთ და შევქეი.

— ჩამოდი ძირს! — ანერვიულდა ვირის პატრონი.

კახის ვირიდან ჩამოხტომაში მივეშველეთ. პატრონი ვირს მოახტა. ამ დროს მოულოდნელი რამ მოხდა, — მარქაფა უქნიდან წამოიპარა და საიდანღაც შემონახული ქინძისთავით უჩხვლიტა ვირს. ალბათ ესპანური კორიღის გულშემატკივრებსაც გააოცებდა ეს სანახაობა, — ვირისა და მისი პატრონის უროყინ-ღრიალმა კუშისის მინდვრები გააყრუა. როცა ბექობზე გადადიოდნენ, პატრონმა კარგა მანძილით გაასწრო თავის ვირს.

კახი ბესოს ზურგით შეთავალიერა, ცოლვა ეხ ნაძირალაო, — ჩაქვინა ხელი და ისე გამართულად გაიარა, რომ გაოცებისაგან თვალები დავკუბდით.

მუხათში შევედით თუ არა, მარქაფამ შინაურულად იგრძნო თავი. ეს თუნუხა, ეხ გეურქაძია, ეს არტაშას მამა, — გვაცნობდა გზად გავლედებს.

— შენი სოფელი რომელია? — კახის მობეზრდა ამდენი გაცნობ-გამოცნობა.

— ეი, სხვა დრო იყოს, ხომ ავიდოდით, — აი, ისაა ჰოუბანი, სულ იქეთა. მარცხნივ, გორაზე სამი სახლი რომ დგას, შუათანა ჩემია.

— კარგი სოფელი ჩანს! — მოიწონა პაატამ.

— სულ ქართველები ვცხოვრობთ.

— მართლა? — გაიოცა კახიმ.

— მარქაფ, აი შენი სახლის წინ რომ რაღაც მაღალი ხე ჩანს, ალვისხეა? — კითხვით თუ ალვის ხეა, ამ დალოცვილ მიწაზე, ეზოში რა უნდა-მეთქი, ვფიქრობდი.

— არა, თემურ, ბექექურია, — მიპასუხა მარქაფამ, — პაპჩემი მოსისხლეს ემაღებოდა დასავლეთში და რომ ჩამოვიდა, ნერგი ჩამოიტანა თურმე. მას აქეთ დგას და ნაყოფს არ იძლევა, ელოს კი ჩრდილავს.

— მოჭერით და იხმარეთ შეშად!

— კი მოჭერიდი, მაგრამ უცნაური კაცია მამაჩემი. მშობლებმა დარგო და როგორ მოვჭრაო, გაიძახის. არ გვიანდა ვაწყენინოთ. ამას წინათ შევაჩინეთ, სკოლა გამოსვლია ფეხებითან. სკოლა რომ ხეს მიეძალბა, ისედაც დაღუპულია.

— ჩახხედით! — მოგვაძახა კახიმ, — ვერც კი შევაჩინეთ საუბარში გართულებმა, როდის შეაჩერა შავი „წიმი“.

— სამი ცალი მანეთი.

— ცხრა ცალი მომეცი.

მძლოლმა თავმოხდილ ტომარაში აგვათურა ერთხანს ხელი, შემდეგ ჩახლუჭულუ მძლოლური ტარანი ამოიღო და თვლას შეუღდა.

— არ გადმოგიყვებს, არ დაიღუპა; ისე, უნდა გჩივდეს კაცმა, რა აქვს ამას სამი მანეთის?

— ქართველმა ეგეთ რამეს როგორ იკადრებს? — გაიკრიჭა „მეთევზე“.

— უჰ შენი ქართველობაც... — მოუჭი მოუღერა კახიმ.

უხიტყვოდ გავცეცალა, არ სწყენია, გუზულივით ბზეი ჩანდა „მეთევზე“.

არყისგან გათანგულ სხეულს ეამა ცივი ღუდო. თითო კათხა სულმოუთქმელად დავცდეთ.

— მოდი, ლიზა დეიდა, მერეე ქერზე კახები ბითრთამდე გაავსებ და რასაც იტყვი, გადაამხდელი ვართ, — დაედოქა გამუდმებულს პაატა.

— არა, შვილო, თუ გინდა, უფასოდ დალიეთ ხელს კი ვერ გავიფუჭებ.

ჩვენს მაგიდას უწომოდ მთვრალი უცნობი მოუახლოვდა. დოინჯე შემოირტყა და ზუსტად ისე დაიკლაქნა, დამდგარი წყლის ზედაპირზე კენჭის ჩაგდებისას ჩრდილი რომ დაიკლაქნება ხოლმე.

— იცით, მე ვინა ვარ? — გულზე მიიღო ხელი უცნობმა.

— მთვრალი კაცი! — შეეპასუხა მანუჩარი.

— კაცი კი არა, ადამიანი. იცით, რა არ ჩამიდინია, და რა არ მომიხდინია? — ხუთ ფრონტზე ვიბრძოდი. ქერ იყო და, ფინეთი, — ფინელები ველიტი, მერე იყო და, ხალხინ-გოლი, — იაპონელები ველიტი, მერე პოლონეთში გერმანელები ველიტი, მერე მივუტრიალდი იაპონიას...

— ალბათ ლიტენანტი გყავდა დვთსინიერი და იმან შეგაჩერა თუ არა მოსპობდი მსოფლიოს! — შენონა კახიმ.

— შევღებერ ტყვედ ჩავვარდი — დაისლოცინა მთელი იქეთურ-აქეთურობის გამუდმებმა.

— შენ რა, ყოველი შეტაკებისას მალდა ჭიმავე ხელბებს? — გაიოცა პაატამ.

— კიდევ ვიბრძოდე რომელიღაც ომში! — მოუბლზე მიიღო ხელი, ალბათ გახსენებას თუ მოხდა.

— დალიე! — მივაწოდე ღლუდის კათხა.


— ვა, ხად ვიბრძოდი? — ვერაფრით ვერ განხსენა.

— ყოველ შემთხვევაში, დიდგორში ნაომარს არ ჰგავნარ, მოდი ერთ არაყს გიყვითო და დაგვტოვე! — ცერად გახედა მარქაფამ.

— არ მიყვითო, ახალგაზრდების არაფერი მჭერა, ძალიან გაუფუჭდით.

— ლიზა დეიდა, შეუხვიე ერთი არაყი — ფული მიაწოდა მარქაფამ.

გურამ ნემსიწვერიძე ფოლადის ბაბირი



უცნობმა ქალაქში შეხვეული არყის ბოთლი სპაჯის ჯიბეში ჩაიჭურთა და პაეროვანი კონცა გამოგვიგზავნა.

●  
 ლუდის ბარიდან გამოვედით თუ არა, გენადი და მარქაფა დაგვიცოდნენ.

—წავიდეთ, ბიჭებო, სახლში, რა? ძალიან დავიღალე, — გვთხოვა მანუჩარმა.

შეგვდედ და უსიამო გრძნობამ გული გამოიკენწლა, მანუჩარს სახე გაფითრებოდა. დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რომ ბაიძედ სუნთქვდა, ღრმა ნაფაზებით ეწეოდა სივარტს. კინაღამ ვკითხე, ცუდად ხომ არ ხარ-მითქი, მაგრამ გამახსენდა, ამ შეკითხვას სიგვიმედ მიმსუავდა. არავის აძლევდა უფლებას თუნდაც ოდნავი მზრუნველობით მოაყრობოდა. არა და, ყველამ ვიცოდით, რომ მანუჩარს რაღაც აწუხებდა. ისე, უბრალოდ კი არა, სულს უღრღინედა და უდაგავდა საცოდავ ბიჭს.

ოთახში შესულები საწოლზე წამოვწვივით და სიგარეტი გავაბოლეთ. მწერა მანუჩარისკენ გაჰყარე. გულაღმა იწვა, თვალები მოეხუჭა, შუბლზე ძლიერ შესამჩნევად უბრწყინავდა ოფლის წინწყლები.

—თემურ, დედა გყავს? — მოულოდნელად შემეკითხა მანუჩარი.

—მყავს! — ვუპასუხე და გაოცება არ შევიმჩინე, მანუჩარმა იცოდა, რომ მშობლები ცოცხალი მყავდა.

- მამა?
- კი, მანუჩარი!
- რას აკეთებენ?
- ამწუთში?
- ნუ მაიმუნობ, ამ წუთში კი არა საერთოდ.
- შრომობენ.
- ჰო... ჯანმრთელებიც იქნებიან, ომის დროს გივირლათ?

—გვწვიოდა.

—ცუდია ყველანიერი ომი. ადამიანი რამდენდაც დიდია, იმდენად პატარაა. — იცი? — მეღმერთი მწამს.

მანუჩარის არეულმა ლაპარაკმა შემაშინა და ცუადე საუბრის თემა შემეცვალა.

— მანუჩარი! — მშობლების სხენებაზე სოფელი გამახსენდა და ერთი ამბავი.

- რა?
- ჩვენი მიწობლის კატამ ბავშვი გადაარჩინა სიკვდილს.
- როგორ?
- გველს უნდა დავებინა და კატამ წაახრჩო გველი.

- როგორი გველი იყო, შხამიანი?
- არ ვიცი.
- ბიჭო, აბა საიდან იცი, რომ ბავშვი დაიღუპებოდა?
- ამაზე არ მიფიქრია.

— უნდა გეფიქრა, ისე, თუ კატა არ მოკლეს, ის ბავშვი უბედურებას გადაეყრება, ცუდადაა დადლილი ადამიანის ცხოვრებაში. კატის ჩარევა ბესოს სიცილმა მიიპყრო ჩემი კუთხიდან. რაღაც ფურცელი ეჭირა ხელში, კიფხულობდა და დროდადრო ხარხარებდა. არასოდეს დამინახავს ბესოს რაიმე წაეკითხოს და ამან უფრო გამაჰვიკოვა.

— რას იღრიებენ? — ბაღში ესროლა კახიმ.

— მინდოდა თქვენთვის წამეკითხებინა და გადაამვიწყდა. სოფელში რომ ვიყავი, ბიძაჩემის დღიურიდან ამოვხეი ეს ფურცელი, კინაღამ დავიბრჩვი სიცილით.

— ბიძაშენი ვინაა? — ვკითხე ბესოს.

— მწყემსია, ხევსურეთში ცხოვრობდა, შემდეგ კახეთში გადმოსახლდა, — განმამარტა ბესომ, — დღიურს წერს.

— წაიკითხე, ჩვენც გავაკვირე, — სთხოვა კახიმ.

— ხომ სასაცილოა, არა? — გადმოგვხედა ბესომ, როცა კითხვა დამითავრა.

— მე მანდ სასაცილო ვერაფერი ვნახე, ეგ ფურცლები წაიღე და ისევ იმ ადგილზე ჩააწეე, საიდანაც ამოხეი, — მაკარად გააფრთხილა კახიმ.

— მეც ასე ვაპირებდი — შეცბა ბესო.

— წითელ კუთხეში ჩავალ და მალე მოგბრუნდები, — გვითხრა კახიმ და წამოდგა.

მწყემსის დღიურმა კახის ჩანაწერები გამახსენა და მისი ვახვლისთანავე გადავწვი, ავიღე და გადავშალე. სწრაფად მოვხანე ის ადგილი სადაც კითხვა შევწყვიტე და განვაგრძე:

„ლოთების პირველი ოთხი ჭგუფი შეიძლება ერთ ოჯახად გაერთიანდეს, თუმცა მეოთხე ჭგუფში შეიმჩნევა თვალშისაცემი ცვლილებები. აქ უმეტესად ხელოსნები არიან, მათ შორის არცთუ იშვიათად მოიპოვება ჩიჭირი და კარგი სპეციალისტი. უმრავლესობას ხელფასი უკლებლივ მიაქვს ოჯახში და სახმელს სხვა შემოსავლის ბარჯზე ეძლელობს. მეტ წილს სისუფთავისამდე ავადმყოფური მიდრეკილება აქვს...“

ფეხის ხმა მომესმა, შემრცხვა და რვეთით თავის ადგილზე დავდე, თავზე საბანი წაეფარე და მოულოდნელად დამებადა კითხვა — „რატომ წერს ამას კახი? ან რატომ წერდა დღიურებს ის მწყემსი?“ — ძალიან საკვირველია.

— მანუჩარი, გინახავს? — ვკითხე, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, არ ეძინა.

- არა, თემურ, რა გინდა?
- შენი აზრით, რატომ წერს ბესოს ბიძა დღიურებს?

— აწუხებს კაცს რაღაც, თემურ, გულში არ ეტევა და უბრალოდ ქალაქში გადააქვს.

— კარი წიხლის უბეში დარტყმით გაიღო. საწოლიდან წამოვცვივდით და თვალებგაბრწყინებულ კახის მივაშტერდით.

— მომილოცავს, ბიჭებო! — ნონა მსოფლიო ჩემპიონია!

მე და კახი ჩვენი საცხოვრებლის სადარბაზო შესასვლელთან შევხვდით ერთმანეთს.

— პური გვაქვს? — მკითხა კახიმ და ჩიხვიში ფული მოიძია.

— არ ვიცი.

— ამით პური იყიდე, მე გასტრონომში შევივლი; — ფული მომცა და წავიდა.

ოთახში შესულს ტანსაცმით შემხვდნენ. მარჯაჟა, ბესო და მანუჩარი მაგიდას მისხდამოდნენ და არყის ბოთლებს თვალით ზომავდნენ.

— რა იცოდი, პური რომ არ გვქონდა? გულთმისანი ხარ, — შემაქო მარჯაჟამ.

— კახიმ შემახსენა და ფულიც მომცა, მე კაპიცი არ მქონდა ჩიხვიში.

— ხომ იცი, სადაც ვინახავთ, რატომ არ აიღე?

— იწყინა მანუჩარმა.

— დამავიწყდა.

— გამოიღეთ! — მოისმა კახის ხმა.

ორივე ხელი დაკავებული ჰქონდა კახის. ღვიინის ბოთლები და შეხვეული ძეხვი ჩამოვართვით, მაგიდაზე დავაღაგეთ.

— არაყი მოაშორეთ აქედან! — თქვა კახიმ და ძეხვის დაჭრა დაიწყო.

ჭიჭები შევავსეთ.

— გაუმარჯოს! — ასწია ჭიჭა მარჯაჟამ.

— გაუმარჯოს!

— ერთს დავამატებდი, — თქვა მანუჩარმა, — ძალიან, ძალიან დიდხანს მაგარად ჰხურებოდეს ჩემპიონის გვირგვინი, და თუ მოხდიან, მისსავე გარდაიღოს მოეხადოს.

— სასწაულები არ ხდება! ეჭვით გადაიქინა თავი კახიმ. ბოლო სადღეგრძელოს ვსვამდით, ჩაუტკობავდ დატოვებული კარი ინჟინერმა რომ შემოაღო.

— ნონა ადღეგრძელებ! — ჭიჭა მიაწოდა პაატამ.

— ვადღეგრძელებ.

— რამდენი მუშა გვაქვს? — დაღრეკით შეეკითხა მანუჩარო.

— იქნება ოცამდე, რა იყო, რო?

— იმათი ნაშუშეკრის ნახევარი ხომ შენია, ფული რატომ გიჭირს?

— ჩემი საიდანაა, უფროსი არა მყავს?

— ჰო, კარგი, ხარჯი-მარჯი და მესამედი ზომ გრჩება?

— მრჩება, მაგრამ ფული ბევრია საჭირო, უიმისოდ ბედნიერება ძნელი წარმოხადგენია.

— რა არის ბედნიერება? — წამოენთო კახი.

— ბედნიერება? ახლავე აგობსნი, დავუშვათ, რომ მე მყავს ხუთი წლის ბავშვი და შენ ექვსის, თუ გინდ ხუთის, არა აქვს ამს მნიშვნელობა. გავვიხდა ორთავეს ავად ერთნაირი სე-

ნით და შევლით ერთი და იგივე წამალი, რო შენიც ვაღამყიდველებში ღირს ორასი მანეთი. შენ, სანამ ფულს ისესხებ, სანამ მანქანას დაბეჭერ, მე გამოვადებ საწერი მაგიდას და ამოვიღებ ოთხას მანეთს, ისე, ყოველი შემთხვევისათვის, რა იცი, კაცნი ვართ, შეიძლება დამპირდეს. დავჭკავე ჩემს „ვოლგას“ და წამალი ნახევარ საათში ადგოლზე იქნება. ჩემი პატარა განიყურება, — აი, ესაა ბედნიერება.

— შენ ახლა კახის შვილი მოუკალი — შეუტია ინჟინერს მანუჩარმა.

— რა ჩემი ბრალია, კახის წამლის საყიდელი ფული არ ჰქონდა და ეგაა თავი და ბოლო.

— საიდან ექნებოდა, უჭრიდან რომ ოთხასი მანეთი ამოიღე, ორასი ხომ კახისგან გქონდა მოპარული. ისე, განათლებაში ძალიან გემჩნევა კალიგულასა და პიტაგორის გავლენა.

— ჰო, მართლა, პიტაგორის შვილები ჰყავდა? — მოულოდნელად შემეკითხა კახი.

— არა მგონია.

— გებელსს?

— კი.

— ახლა სად არიან?

— გებელსის ცოლმა დახოცა.

— ეს რაღაზე დატოვა? — მიმითითა ინჟინერზე.

— ალბათ მამამისს ჰგავდა ყველაზე მეტად და ვერ გაიმეტა.

— ფაშისტიც გამხადეთ? — გაფითრდა ინჟინერი.

— უჰ, ნაძირალავი! — კახის მოქნეული მუშტი მძლავრად აფეთქდა ინჟინერის ყბაზე.

გულის ჭიბისკენ წაიღო ხელი ინჟინერმა. „ფულიანი ხალხი ატარებს იარაღს“, — გამოიღვა ფიქრმა და გონამოცლილი გავქანდი, აცდა მიზანს მოქნეული მუშტი, იატაკზე გავიშხალანთ. წამოდგომისას შევამჩნიე იატაკთან თითქმის ჰორიზონტალურად გასწორებული მანუჩარი როგორ შეეჭახა ინჟინერს სახეში თავით.

— ეყოფა! — შუაში ჩადგა პაატა, მაგრამ აღარავინ აპირებდა ჩხუბის გავრძელებას. საწოლზე ჩამომჯდარ მანუჩარს ორივე ხელი გულთან მიედო და მძიმედ სუნთქავდა. კახი გამოლონჩებული დაჰყურებდა უკრის ფრთასავით მოილევაზე პისტოლეტს.

ინჟინერი ამაოდ აფათურებდა ხელს ცარიელ ჭიხვიში.

ღილით გამომეღვია თუ არა, წამოდგომა ვცადე, მაგრამ წელის აუტანელმა ტკივილმა საწოლს მიმაკრა.

— რა მომივიდა? — ხმამაღლა შევეკითხე ჩემს თავს.

მეორამ ნიშნისწერის

ფოლადის ბაზირი



— ინჟინერს ხელი რომ ააქვინე, სკამზე წე-  
ლით დაეცა — მიიხრა მანუჩარმა.

— ვაიმე! — ამოვიკვინე და მეორე ცდაც  
უნუგეშოდ დავამთავრე.

— შეძლებ სამუშაოზე წამოსვლას? — მკითხა  
პაატამ და საწოლიდან წამოხტა. ჩაცმას შეუ-  
ღდა.

— რა დროს მუშაობაა! — დვადრქიალი  
კბილები.

— აგერ პური, ეს ნიორი და ესეც წყალი.  
— სკამზე დალაგა კახიმ. ბიჭები გავიდნენ.

გულთან ხელები დავიკრიბე და ფიჭვი და-  
ვიწყე. გავხსენე გულშიდელი საღამო, ინჟინე-  
რი, პაატა, კახი, მანუჩარი. საწარღმა უფუნებო-  
ბამ და უსასოობამ შემიპყრო, რომელმაც  
შეშხი გადამიწარდა, თავზე ხაზანი გადავიფა-  
რე და მწარედ, ბალღურად ავკვითინდი. ოდ-  
ნავ გულს მომეფონა თუ არა, კვლავ ინჟინერი  
გამახსენდა. „დღემიწაზე უკვლავური ცვალებ-  
ბადა. მარტო სამშობლოსა და აღამიანის  
მცენება რჩება ხელუხლებელი, მაგრამ შენ ამ-  
ას რას გაიგებ, მე შენი...“

ძალიან ბევრი მძინებია.

ხმაურით შემოიჭრნენ ბიჭები ოთახში.

— აბა, სცადე წამოდგომა! — ხელი წამავ-  
ლო პაატამ, — ხომ არ ჩაისველე, შენ არ  
მოუკვდი შენს დედას, — დაამატა ხიცოლით.

— ნუ მაიმუნობ! — შევუღრინე და საწო-  
ლიდან ფეხები გადმოვიტანე. პაატა წელზე  
მომეტიდა და წამოვდევით.

— მოდი, დაჭექი! — სკამი მომიწია კახიმ.

მივიღე და ფრთხილად ვცადე სკამზე ჩამო-  
ჭდომა.

— ვაიმე!

— რა მოხდა? — შემომხედა კახიმ.

— ვერ ვჭდები!

— კიდევ სცადე.

— ვცადე, ვერ ვჭდები!

— დალიე და ეგებ დაჭდე!

— მესამე სასმისი დავცადეთ და მანუჩარი  
გაოცდა.

— მართლა ვერ ვჭდები?

— ვერა!

— რა გეშველება?

— რა ვიცი, ისედაც რამდენიმე დღე გავა-  
ცდინე და უკანასკნელად ვარ გაფრთხილ-  
ებული.

— წავივანოთ ექიმთან! — ფეხზე წამოდგა  
კახი.

— გვიანია!

— აჭვე, პოლიკლინიკაში მორიგე ექიმი  
იქნება.

— ვიცი მანდ ვინცაა, წედან ქუჩაში რომ  
მივდიოდი, მაშინ შეხვდა, პოლიკლინიკაში  
მიდოდა. ლაზლანდარაა, უკვლავურს კბილის  
ხარკეუბ იხდის. მოვითმინოთ ხვალამდე და

წავივანოთ, კარგი ექიმების მეტი რაა,  
თქვა მანუჩარმა.

— ილაზლანდარას! ამას ბიულეტენს ხედა-  
დებია, მეტი კი არაფერი. შეეძლება მანუჩარი და პაატა  
ამომიღენენ და ქუჩაში გავედით.

— შენ მაგრად დაწვეი იმ ამბავს, რომ ვერ  
ჭდები, თორემ ისე არაფერი გამოვა! — მა-  
რიგებდა პაატა.

ბიჭები დერეფანში სკამებზე ჩამოსხდნენ,  
მე გაიჭრებით მივუახლოვდი და შევადე ექი-  
მის კაბინეტის კარი.

— შეიძლება? ვკითხე მოკრძალებით.

— მობრძანდით! — მიიხრა, მაგრამ თავი  
არ აუწვია, წერით იყო გართული. საერთოდ,  
მგონია, ვინც კი რამეს წერს, უველას გენიო-  
სური აზრი გადააქვს ქალღმღე. არ გაეფუ-  
ტოს-მეთქი, — ვიფიქრე და, როცა უკვლავ  
ის დიდი აზრი, მხოლოდ მაშინ მივუახლოვდი.

— რა გნებავთ? — გადმოხედა სათვალის  
ჭემოდან.

— რალაც ვერ ვარ, ექიმო, კარგად და...

— დაბრძანდით!

— ვერ ვჭდები!

— ვინაა? — მკითხა გაოცებით მედღას.

— ავადმყოფი უნდა იყოს.

— რა, რა მინდა?

— ვერ ვჭდებიო, ამბობს, ალბათ ძირმაგარა  
აწუხებს, — გამოთქვა ვარაუდი მედღამ.

— მართლა? — მკითხა ექიმმა და თვალები  
სინარულით გაუბრწყინდა, ალბათ იფიქრა,  
თვითონ სირცხვილით ვერ ამბობს და მე მა-  
ინც მივაგენიო.

— არა, ექიმო, არაა მართალი.

— ვაჰ, გასაკვირია, დაბრძანდით, დაბრძან-  
დით, ალბათ უკვლავურსი გავერკვივით.

— ვერ ვჭდები.

— გააჭირა საქმე თავისი დაქლომით.

ერთი პირი ვიფიქრე, ვეტყუო, რომ ინჟინერს  
მუშტი დავაცოლიე და სკამზე დავციე-მეთქი,  
მაგრამ ისეთი ვინმე ჩანდა, რომ პირდაპირ  
მომახსილდა, — ხულიგნების პოლიკლინიკა  
ცალკეა და იქ მიბრძანდით.

— ის მდგომარეობა ხომ არ იქნება? —  
გადახედა მედღას.

— შეიძლება.


— რომელი, ექიმო? — ვკითხე და შავიდას  
ოდნავ ჩამოვეყრდენე.

— რომელი და, ერთი პაციენტი მოგვადგა  
ამას წინათ, თურმე ნიძლავზე ძალიან გრძელი  
გაყინული თევზი გადაეყლაპა და ვერ იხრე-  
ბოდა, მაგრამ შინაგანმა ტემპერატურამ თევ-  
ზი გააღბო და ბოლოს მოიხარა.

უკვე ვნანობდი, ბიჭებს რომ დავუჭერე.

— რა ვქნათ? — ჩავეტიე მაინც რალაც  
მიღეს.

— შენი ამბავი მიეჭვება, უნდა გაჭკრათ და  
გაიერკვივა უკვლავური.



— გამოირკვიოს თერაპევტი.

— არ გამოვა, — ამოიხსრა ექიმმა. ქირურგიამ ახგონი გაუყეთა თერაპიას. ჩვენ გულ-ხელდაკრებილები ხომ არ ვიქნებით, სანამ თერაპია წამოგვეწვივა.

— გამაშუქეთ რენტგენზე! — ვიფიქრე, რადგან გართობაა, გართობა იყოს-მეთქი.

— ძნელია, ძმაო, რენტგენის ნღობა. ერთხელ, ერთი ავადმყოფი გავაშუქეთ და სამი ჰორკმელი უჩვენა (რენტგენმა) ავდემით და ერთი ამოვაქვრით. ისევ გავაშუქეთ და ერთადერთი თირკმელი აღმოჩნდა სურათზე. ვაკვირებდისაგან რეტინენივით დადიოლით. შემდეგ გამოირკვა, რომ თურმე პენსიის საქმეზე სიმულაციონობდა და გაშუქების წინ უში კატლერტი გადაეყუდა.

— კი მაგრამ, ვინც რამეს გადაუყუდავს, ყველას თქვენ მკურნალობთ?

— კი, ვჭრით და ვარკვევთ. თევზი რომ გადაეყუდა, ისიც გავჭვრით, ვიფიქრეთ, თევზი ფხიანი არ იყოს, არ დაიღუპოს კაციო, მაგრამ, სახედნიეროდ, უფხო გამოდგა.

ექიმი ადგა და მეორე ოთახში გავიდა.

— ბრყვი, — ვთქვი და ღმომლით გავაყულიე თვალი.

— რეგვინი! — შემომხედა მელდამ რისხვით ანთებული თვალებით.

— შე მარტო ბრყვი მეგონა.

— რაო, რა მინდაო? — ჰქითხა მელდას შემობრუნებულმა ექიმმა.

— ბრყვიო, ასე თქვა, პატივცემულო ექიმო.

— ჩემზე? — შეხარბაცდა და ორივე ხელი გულთან მიიღო.

— არა, თქვენ როგორ გაკადრებდათ, — შეერთა მელდა.

— რეგვინი! — ჩაილაპარაკა ექიმმა და თავი სახუთებში ჩარგო.

— კოლეგები ხართ? — ჩუმად ვკითხე მელდას.

— ის ექიმი, შე კი — მელდა.

— კიდევ კარგი, მელდა რომ ხარ, ჩემი და რომ იყო, როგორ აგატანდი.

— თუ რწმენა არა გაქვთ თანამედროვე მედიცინის, მიბრძანდით, არ გაკვებთ! — თავი წამოსწია ექიმმა.

უცხად პატარა უმწეო ბავშვი წარმომიღდა თვალწინ. ფეხს რომ ებრძვის, ძირს ეცემა და ღლით მშობლებზე არ ცდილობენ წამოყენებას, საამისოდ არც ძალა გააჩნიათ და არც სურვილი.

— შენა ხარ თანამედროვე მედიცინა? — ვუყვირე მთელი ხმით.

— ვის უყვირო შენ? — წამოხტა ექიმი. — ვთქვით, აგტკივდა მუცელი, ყური ან კუჭი, მოგტყდა ხელი, ფეხი ან კისერი, გაგჩინდა

კიბო, ხარკომა ან განგრენა, — ვისთან უნდა მიხვიდე, თუ არა ჩემთან?

— ვინც კარგია და კარგად ფლობს თავის პროფესიას, ყველა საჭიროა: ექიმები, შეთერაპეტი, მძღოლიც! — წაიწვიე ექიმისკენ.

— ჰი, შოფერი! — აიბზუა ცხვირი, თითქოს ბენზინის სუნმა შეაწუხაო.

— ვთქვით და, დაგვევით სახლ-კარი და მოგინდათ ახლის ასაშენებლად მასხლის მოტანა. გარდაგვეცალათ ახლობლები, კეთილის მსურველები და მოგინდათ მათთან წასვლა, გარდაცვალებით შორეულში სტუმრად მყოფი და მოისურვეს თქვენი ჩამოსვენება, — ვის უნდა მიმართოთ, თუ არა მძღოლს?

— ვაიმე, დედა! — დაიკვნესა მელდამ და სახერე ცხვირსახოცი აიფარა.

— მომაშორეთ, თუ არა, დავკლავ! — იყვირა ექიმმა და გარეთ გავარდა, ვიგრძენი, თავში როგორ გადატრიალდა ის რაღაც, ზოგიერთები „შარკის“ რომ ეძახიან. დანაშაული ჩემდა უნებურად მოხდა, — მაგიდიდან სურა ავიღე და იატაკზე დავანარცხე. მოქნეული წიხლი მაგიდის ფეხს მივარტყი, ფეხმოტეხილი მაგიდა გვერდით გადაიბრცია. რაღაც სასწაულთ დანბრა მოვახერხე, ძირს დაგდებულ ქირურგის დანას ხელი წამოვაყვინე და მაგიდის საფარს რამდენჯერმე ჩავარტყი. მელდამ შეპკივლა და დერეფანში გავარდა. შემდეგ კარის ყრუ ჯახუნიც მომესმა. „მილიცია ქუჩას მეორე მხარესა“, — გამოიღვა გონებაში.

ოთახში შემოჭრილი ბიჭები კარგა ხანს მაწყურარებდნენ, მაგრამ გვიანდა იყო. მელდა ჩვევებას აძღვედა ორ მილიციელს.

—...უმოწყალოდ დაახებთა იატაკზე. შემდეგ მოტება ცალი კიდური. ესეც არ იკმარა, დანა დაპრო და რამდენჯერმე დაუშოგავად ჩაარტყა, — დამთავრა მელდამ და ატრიადა. — ვაი, ვაი, ვაი! — სინანულით შემომხედა სერჟანტმა.

— სამოე მენშეე, პიტნაღაცატ ლიტ! — ამოიხსრა რიგითმა.

— შეიძლება მოვწიო? — ვთხოვე სერჟანტს.

— მერე მოსწიე!

— მთავარი არ მითქვამს, — სლუკუნით განაგრძობდა მელდა. — ჩვენს ექიმს სახლ-კარი გადაუწვა, ნათხავები ამოუხოცა და შემდეგ თითონაც მოკლა, — ამოუჭდა გული. — რასტრე! — ხელი ჩაიჭრა სერჟანტმა.


— რა მიწნით მოხვედი პოლიკლინიკაში? — თვალები დაქარა რიგითმა.

— ვერ ვქვლები!

— არა უშავს, ჩვენ დაგხვამთ! — მითბრებს

ბურბამ ნემსიწმირიძე ფოლადის ბაბირი





და ენერგიულად ჩამკვიდრს დაძარღვული ხე-  
ლები.

— არ მაგატოვებთ, ნუ გეშინიათ — იყვირებს  
ბიჭებმა და, მიუხედავად მილიციელების მუ-  
ქარისა, უკან გამოყვანენ.

— შედი! — გამოიღრს უფროსის კაბინეტის  
კარი.

ოთახში შევედი და „ეს არ იქნება-მეთქი“,  
— გავიფიქრე, მაგიდას შუახანს კარგა ვადა-  
ცილებული მამაკაცი უჯდა. ღია ცისფერ  
თვალეში სიკეთის ნაპერწკლები უღელავდა და  
შარავანდელივით ეფინებოდა მის მაღალ, ტუ-  
ხილი ხაზებით დაფარულ შუბლს.

— რა ქნა? — გაკვირვებით შეხედა მილი-  
ციელებს.

— არაფერიც არ უქნიათ — კარში თავი შე-  
მოსკუთ მანუჩარმა.

— შერე დაგისახებ, ჭერ გაჩუმდი და იყავი  
მანდი — გასძახა უფროსმა მანუჩარმა.

— რა და, — სცადა სერუანტმა განმარტება,  
მაგრამ სლოკინი აუვარდა...

— შენ მაინც მითხარი, ლუტიძე! — მიუბ-  
რუნდა რიგითს.

— ყველაფერი მართალია, უფროსო, რაც  
მამედოვმა მოგახსენათ.

— მამედოვი მარტო ახლოკინებდა.

— რა, უფროსო, და, პოლიკლინიკაში შე-  
სულა და რაღა არ ჩაუდენია, — ლუტიძე  
გაჩუმდა, ალბათ იფიქრა, ამდენი საზარლო-  
ბის მოსმენით, უფროსი გაგიფრთხილა.

— მაინც რა, აღარ იტყვი? — წარბი აუთა-  
მაშდა უფროსს.

— რა და, ყური მოუგლეჩია, ფეხი მო-  
უტეხია, დანა ჩაურტყამს...

— ვისთვის? — სკამიდან წამოიწია და შე-  
შფოთებით შემომხედა უფროსმა. ჩემს დამ-  
შვიდებულ დიმილს რომ წააწყდა, აშკარად  
დაიბნა.

— არ ვიცი, ვისთვის! — უპასუხა რიგითმა.

— ჰმ, ჰმ, ჰმ, — უვარგისი „სტარტერით“  
სცადა ამუშავება მამედოვმა, მაგრამ არაფერი  
გამოუვიდა.

— შემდეგ? — იკითხა დაბნეულმა უფროს-  
მა.

— ექიმისათვის სახლ-კარი გადაუწვავს, ახ-  
ლობლები დაუბოცნია, შემდეგ ისიც მოუყ-  
ლავს. ჰმ, მმმ... — სლოკინი აუვარდა ლუტი-  
ძეს.

— ექიმის სახლ-კარს და ახლობლებს პო-  
ლიკლინიკაში რა უნდოდა, ანდა ნახეთ, რომ  
ექიმი მკვდარია? — მიუახლოვდა მამედოვს.

— არ მინ... ჰმ, ჰმ... — ახლოკინდა მამე-  
დოვი.

— აღარ უშვებთ? — თავი შემოსკუთ კახიმ.

— ნუ გეშინიათ! — გასძახა მილიციის  
უფროსმა, თუ გინდათ, შემოდით!

ბიჭები უფროსის მაგიდის გასწვრივ გაშე-  
რივდნენ.

— თქვენ ვინ გიობრათ ეგ კნავენი ცნო-  
ბისმოყვარობით მიანჩრათ რიგითს.

— მ... მ...მედღამ.

— გაიქცე და აქ მოიყვანე!

— უფროსმა დახედითო გვითხრა და კაბი-  
ნეტში ბოლოს ცემა დაიწყო. ლუტიძე და  
მედღა მამედოვი მოვიდნენ.

— სადაა ექიმი? — ჩიქურ მკითხა მედღას  
უფროსმა.

— სახლში წავიდა, ახლა დავრეკე და ვეღარ  
მოვა, ცოტა ნახვაში იყო და, მამაკითხე... —  
მედღას თავი ჩალუნა.

— რა გაბაბო? — ყურები ცქვიტა ძველმა  
ჩიკისტმა.

— დაუძინია და ვეღარ მოვა!

— ჯანდაბაში წაახლდა! — ამ კაცს უჩივით  
რამეს?

— არაფერია, მაგიდას მანამდე ჰქონდა ფეხი  
მოტეხილი, საფარი კი ძველი იყო და, მამა-  
კითხე... — ფერდაკარგული მედღა ნებართვას  
დაელოდა, და კაბინეტიდან გაქრა.

— მამედოვს, იღვევ დაამბატო? — უფროსი  
მილიციელებს მიუბრუნდა.

— ცოტა... მმ...

— ეე... ერთი მმ.. ჰქეპა! — დაისლოკინა  
ლუტიძემ.

— დამეკარგეთ აქედან! — უსამოდ გაიზ-  
რილა უფროსის ხმაზე ფანჯრის მინებმა.

მილიციელებმა ქულთან მიიტანეს გაშლილი  
ხელები და უფროს-უმცროსობის მიხედვით  
გავიდნენ.

— რა გქვია? — მოტრიალდა ჩემკენ უფ-  
როსი.

— თემური.

— რა გინდოდა, თემურ, პოლიკლინიკაში?

— სკამზე დავეცი, წელი გტკივა და იქნებ  
ბიულეტენი გამიხსნას-მეთქი.

მილიციის უფროსი ერთხანს ქალაღწე  
წერდა რაღაცას, შემდეგ ის ქალაღი დაკეცა  
და გამოიწყოდა.

— ხვალ ცენტრალურ პოლიკლინიკაში მი-  
იტანე, თემურ, ეს წერილი, ექიმის გვარი გა-  
რედან აწერია, ბიულეტენისაც გაგვიხსნის და  
წამალსაც გამოგვიწერს. ვინ იცის, სიფრთხილეა  
საჭირო, მიხედვით უნდა.

— კარგად ბრძანდებოდეთ! — აღელვებუ-  
ლმა გავუწოდე ხელი.

— მოიცა, მოიცა, შენც ნახვაში ხარ? — ჩა-  
მაჩერდა თვალეზში.

— დაახ!

დაქდა და ერთხანს უძრავად გარინდებული  
იყო.

— წადით, ბიჭებო, და იცით, რა? შეცვა-  
ლეთ სმა სხვა რამეთი, შეიძლება ცოტა რამ  
შეიძლება ბევრიც, მაგრამ ის გრძნობა მაინც



აღარ გატანაჯავთ, ალბათ შევძლებდით, რომ გვეცადაო. მოო? — ეს ყველას გვკითხვა გა-  
ნურჩვევლა. შემდეგ ცოტა დაფიქრდა და დას-  
ძინა: — როგორც კი შემოხვედით, მაშინვე გი-  
ცანით, ორმოცი წელია ამ საქმეს ვემსახურე-  
ბი, ვისწავლე ადამიანების ცნობა.

სალამომდე სადგურზე რომ უსაქმურად ეგდებო?  
— ხომ გითხარით, ვერ გამიგებთ-მეთქი. კა-  
ცი ასეთ რამეს იოლად ვერ ჩაწვდები, ხელჩა-  
ნებას გაუმარჯოს და მეწვეა გული, წყაფუ მისი  
დამაყოლებინეთ.

●  
ოთახში მარჯაუა დაგვხვდა.  
— რა უქენით? — დაინტერესდა ჩემი ბედით,  
როცა დანახა გაბირვებით ვადგამდი ფეხს.  
— პატიმრობიდან დავისხენით! — მიახარა  
პაატამ.

— მეც დავწერე რაღაც — მანუჩარმა პი-  
ჯაის ჯიბისკენ წაიღო ხელი. — წავიკითხო?  
წამიერად დავიჭირე მანუჩარის უცნაური გა-  
მომხედვა, ლაჩრული შიში ვიგრძენი. ათასობით  
ნემსმა მიჩხვლიტა ფეხისგულეებში, უნდა მეყვი-  
რა, არ გინდა, ნუ წაიკითხავ, შემდეგ იყოს-  
მეთქი, მაგრამ ხმაუ ვერ ამოვიღე.

— ყოფილიყო ცოტა ხანს, კაცი იქ ბევრ რა-  
მეს ისწავლის.  
— როგორც შენ თვითონ თქვი ერთხელ,  
მთელი თქვენი სოფელი ციხეში ყოფილა გაზ-  
რდილი და გავსილხართ პროფესორებით და  
ეგაა — ცვაღე მარჯაუა გამემწარებინა, მაგ-  
რამ ჩემმა სიტყვებმა დიდი გავლენა ვერ მოახ-  
დინა.

— რაღაც ძალიან სწრაფად იზრდება მწერ-  
ლების რიცხვი! — ჩაიცინა პაატამ. მეც გავი-  
ცინე, — რამ შემაშინა, ისეთი რა უნდა წაი-  
კითხოს-მეთქი, თავი დავიშვდივდი.  
მანუჩარმა კითხვა დაიწყო:

ანდერძი

მე, მანუჩარ ჩიქოვანმა, დავწერე ეს ანდერ-  
ძი, რასაც ვადასტურებ ქვემოთ ხელის მოწე-  
რით. მიჩვენი ამისა ის არის, რომ კაცმა არ  
იცის, რა მოელის. სულჯუბებით შემოგვეხვ-  
ნენ „იოლგა“, „მოსკვიჩი“, „მეტალურგია“, „ქი-  
მია“, „კამილი და ბოლი“.

— არაუი მოვიტანე! — თქვა და პიჯაის ჯი-  
ბიდან ნახევარლიტრისანი ამოიღო.  
საწოლზე წამოვწექი. მანუჩარმა თავიქვეშ თა-  
ვისი ბალიში ამოიღო, სკამები საწოლთან ახ-  
ლოს მოსწია და ზედ მარჯაუას მოტანილი არ-  
ყის ბოთლი დადგა. ბიჭებმა კახის საწოლი  
გამოსწიეს და ზედ ჩამოსდნენ.

რადგან უძრავი ქონება საერთოდ არ გამაჩ-  
ნია, ჩამოვთვლი მოძრავს: თანხა, რომლის ოდე-  
ნობაც წინასწარ არ შემიძლია განვსაზღვრო,  
სავარცხელი, ღირებული 30 კაპოკად (აკლია  
სამი კბილი), ტელევიზორის რომელიღაც ნა-  
თურა (საღლაც ვიპოვე), ორივე მხრიდან წვერ-  
წათილი ფანჯარი, ერთი ცხვირსახოცი, წიგ-  
ნი „ქართული ერის ისტორია“... ეს ავლადი-  
დება, ჩემი ანდერძის მხედვეთ, უნდა განა-  
წილდეს შემდეგნაირად:

— ჩვენი რამდენიმე ჭიქა უკვე დავლიეთ,  
უნდა წამოგვეწიო! — ჭიქა შეუვსო მარჯაუას  
პაატამ.

თანხა — კახის.

— აჰ, დღეს სამუშაო მაქვს, არ შემიძლია! —  
გვერდზე მისწია ჭიქა მარჯაუას.

სავარცხელი — პაატას.

— დღისით არ მოგიკლავს თავი მუშაობით  
და ამ ღამით რა ჭირი გეტაკა? — გაოცდა მა-  
ნუჩარო.

ნათურა — მარჯაუას.

— ვწერ, რა!  
— პირველად მესმის, რომ წერა-კითხვა იცი,  
რას წერ?

ფანჯარი — ბესოს.

— რაც ხელში მომხვდება: ლექსს, მოთხრო-  
ბას, შაირებს.  
— მარჯაუ, პრობლემებს აგნებ თუ იგო-  
ნებ? — ვერ ისვენებდა მანუჩარო.

ცხვირსახოცი — თემურს.

— პრობლემების მეტი რაა. მაგალითად, ამ  
ერთი თვის წინათ სადგურის წინ ვიჭექი და  
იცი, რა შევნიშნე? — მთელი დღის განმავ-  
ლობაში თბილისიდან ბაქოს მიმართულებით  
გაივდა ხე-ტყით დატვირთული სამი შემადგენ-  
ლობა, ხოლო ბაქოდან თბილისის მიმართულე-  
ბით ოთხი შემადგენლობა ჩამოვიდა ისეთივე  
ხე-ტყით დატვირთული. ხომ შეიძლებოდა, რომ  
ბაქოდან ბ.რ.ო ერთი შემადგენლობა გამოეგ-  
ზავნათ და ამით მორჩენილიყო ყველაფერი,  
პრობლემაა, აბა რა არი?

წიგნს უნდა გამოუჩნდეს პატრონი.  
ანდერძის შედგენის დროს ვიმყოფები სრუ-  
ლილად ნორმალურ მდგომარეობაში, დაწერილია  
ჩემი ხელით და ვაწერ ხელს:

— მართლა პრობლემაა! — ჩაფიქრდა კახი.  
— მთა არა? — გაეხარა მანუჩარს.  
— მაშ რა ჯანდაბაა, ამხელა კაცი დილიდან

მანუჩარ ჩიქოვანი.

— არასასიამოვნო ხუმრობაა! — მწყურალად  
შეხედა კახი.

ერთმანეთს შეეჩახნენ არყის ჭიქები.

●  
მილიციის უფროსს იცნობ? — მკითხა ექიმ-  
მა და ყურადღებით განაგრძო დაშვებული  
ადგილის სინჯვა.

ბურბან ნემსიწვირძე  
ფოლადის ბაზირი

— დიახს

— კარგი კაცია, პატიოსანი — რაზე დაცივი?

— სკამზე, პატივცემულო.

— გვარიანად დაუფილხარ, ხუთი დღე შემოდლია დაგასვენო, წამალი აუცილებლად უნდა იხმარო.

— ისე, ტკივილს ვეღარ ვგრძნობ, დაჯდომასაც აღარ მიშლის.

— თავისუფალი ბრძანდებით! — რეცეპტი გამომიწოდა.

ქუჩაში გამოვდი და ელდა მეცა. თითქოს გაძარცვული ადამიანები მიმოლიოდნენ — არც აზრი, არც სმენა, არც ფიქრი. ავტობუსმა ჩამიქროლა გვერდით. მოტორი არ ჰქონდა იმ ეშმაკადქცეულს. დღის შუქი ენთო ბოძებზე, არავითარი ენერჯია არ კვებავდა ნათურებს, ისე, თავისით ენთო. „უველაფერი სულ ერთია-მეთქი“, — გავიფიქრე და ვცადე მომეგონებინა საერთოდ, თუ რამეს ჰქონდა აზრი ან გემო. შოკოლადი მომაგონდა, მაგრამ ვერაფრით ვერ გავიხსენე, რა ფერისა იყო, ან, საერთოდ, გემო ჰქონდა თუ არა. მივაბიჯებდი და აშკარად ვგრძნობდი, მეც იმ ხეებს, ადამიანებს, ავტობუსს და ნათურებს ვგავდი ძალიან. ავტობუსის გაჩერებას მივუახლოვდი, მაგრამ არ შევჩერებულვარ, სულ ერთია, ფეხით წავალ თუ ავტობუსით-მეთქი, გავიფიქრე, წამიერად სიროფიანი წულის დაღვევა გადავწყვიტე, რომ დამეთრგუნა, როგორმე დამქვლია ეს თანაბარი და გამანადგურებელი რიტმი, მაგრამ უმალ ვიგრძენი, რომ სულ ერთი იყო დავლევდი თუ არა.

ჩემს პირდაპირ ქალ-ვაჟი მოდიოდა. გოგონა ოდნავ შესამჩნევად ეკვროდა კუნთებიან შავტუხა ბიჭს. ძალა და სინაზე შეკრულიყო, მძლავრად შედუღაბებოდა ერთმანეთს, ელვასავით კვესავდა დროდადრო ქალის თვალები და ხარბად ეალერსებოდა ბიჭის ანთებულ, აღტყინებულ სახეს.

— ერთმანეთი გიყვართ, ხომ? — მოუფიქრებლად გადავუღღებე წინ ქალ-ვაჟს.

აღმათ დიდი ბედნიერება მეწრთა სახეზე, ჩემი არაბუნებრივი საკციელი შეურაცხყოფად რომ არ მიიღეს.

— აბა, რა! — შემომცინა ბიჭმა.

გოგონამ ერთხელ კიდევ გაიხარა ბიჭის ნათქვამით.

— ბინა გაქვთ?

— გვექნება, მთავარი სიყვარული და ჭანჩროთელობა.

— ჰა, ჰა... — გადაიკისკისა ქალიშვილმა.

— მეცა მუავს შეუვარებულში! — ვუთხარა ბიჭს.

— ასეთია? — მხარზე მიყრა თავისი რჩეული.

— არა, ასეთი ვერაა, მაგრამ ძალიან კარგია. მინდოდა მეთქვა, თქვენ ბედნიერების სად-

დებრძელო ხომ არ შეგვესვა-მეთქი, მაგრამ უმალ ვიგრძენი, ეს უველაფერს გააფუჭებდა და დავეშვიდობე. სწორად მოვტიქეცი, კმაყოფილები დამცოდნენ. უკან არ მიმოსვდას მხარამ ვგრძნობდი, თვალი რომ გამომაყოფეს და უხერხულად მივაბიჯებდი. ჭიხურთან მივედი, ორი ჰიჟა წყალი სულმოუთქმელად დავლიე და ავტობუსის გაჩერებისაკენ სწრაფი ნაბიჯით წავიდი.

ელისო არ მელოდა. თვლები გაუბრწყინდა და ოდნავ წამოწითლდა სახეზე, თანამშრომლებისა თუ მოტორიდა.

— სად დაიქარგე? — ნაზად მომიჭირა ხელზე ნატიფი თითები.

— სადმე წავიდე, ელისო!

— ქრება გვაქვს, თემურ, რამდენიმე წუთში დამწყება აღბათ. სულ მალე დამთავრდება და წავიდე. მოდი, შენც დაესწარი, კარგი?

— თუ სხვა გზა არაა, რას ვივამთ.

— ჰო, არ შეიძლება, ამგვარი ღონისძიების გაცდენაზე დიდი ამბავი ატყდება ხოლმე.

დიდ დარბაზში შევედი მე და ელისო. უკანა ადგილები დავიკავეთ. უხმოვად დავუწუთ თვალიერება სამზადისს. შუახნის ქალი მაგიდას საფუნს უცვლიდა, ვიდაც ჰიჟას რეცხავდა მოხსენებლისათვის. ცოტა ხანიც და, ფიქრებში გავერთე, არ მომიხსენია როგორ აირჩიეს თავმჯდომარე, მღივანი და პრეზიდენტი, მხოლოდ შუა კრებისას კენჭისყრას მივაქციე ყურადღება, — თავმჯდომარემ პირველად ის კანდიდატურა დასახელა, თვითონ რომ აინტერესებდა და, რთელი ხარო მომხრეო, — დარბაზს გადახედა.

უველამ უკლებლივ ასწია ხელი.

— ელისომ გაკვირვებით შემომხედა.

— შენ რატომღა ასწიე? — მკითხა და გაიღიმა.

— მიჩქარება და იმიტომ, სხვებსაც ეჩქარებთ და მხოლოდ იმისათვის სწევენ ხელს. თავმჯდომარეს რომ პირველად მეორე კანდიდატურისთვის ეყარა კენჭი, მაშინაც უველა ასწევდა ხელს.

— სსუ, არავინ გაიგონოს...

— ესე იგი, ერთსულოვნად გავიდა, არა? — თავმჯდომარემ ერთხელ კიდევ გადახედა დარბაზს, — ჩაწერე ოქმშიო, — მიუთითა მღივანს, თავი ხომ არავის შეუკავებიაო, — სხვათა შორის მაინც იკითხა და ქალღლების გროვა გადაშალა.

ჩემდა მოულოდნელად, თავმჯდომარემ ელისო ასხენა — ახალგაზრდობის სახელით ილაპარაკებსო.

დარბაზი გაიტრუნა, ისე წარმატაცად გამოიყურებოდა ტრიბუნაზე მდგარი ელისო.

„ამაღამ უნდა ვაკოცო!“, — გავიფიქრე და დარბაზი ნიშნის მოგებით შევათვალიერე.

კრების დახურვას ერთხელეოდან გამოეხმა-  
ურა ხალხი.

— ელისო, როგორ ანათებს ის ნათურა! —  
ვუთხარი ელისოს და ბოძზე მიმაგრებული ნა-  
თურა დავანახე.

— რა სულელი ხარ, თემურ! რატომ არ  
გამორჩები, დღისით ნეტავ რად უნდოდით?

— დავწარათ, ელისო! ის კრების თემქლო-  
მარე როგორი კაცია?

— საძაგელი!

— სხვები?

— იმაზე უარესნი...

— მე შენი მეშინია, ელისო! — შევაჩერე  
და შევათვალღირე. ჩემს წინ გაძარცვული, სი-  
ღამაშის და გრძნობის მოკლებული მურთხი  
გოგო იდგა. — წადი, ელისო, ჩქარა წადი, —  
ოდნავ ვუბოძებე ხელი.

— გაგეული, თემურ!

— ჰო, ელისო, ვატყობ ჩემ თავს, სიგიჟის  
აშკარა ნიშნები მაქვს.

— ვაიმე! — ელისომ სახეზე აიფარა ხელი.  
ჩქარი ნაბიჯით გავცილდი. აღმათ ბევრს იტი-  
რებდა დაშხამული საბრალო გოგო.

●  
ოთახში შევედი თუ არა, საწოლზე მივე-  
დგი. ვცადე რაიმე სასიამოვნო მომეგონებინა  
და დაუსრულებლად მეფიქრა იმ სასიამოვნოზე,  
— არაფერი გამომივიდა, ვერაფერიც ვერ მო-  
ვიგონე.

...ჩამძინებია.

ძლივძლივობით გავახილე თვალი კარის ხმა-  
ურზე. თავზე მარქაფა მადგა. ცოტა ხანს მი-  
ვაჩერდი და თვალი მოვიფუნებდი, ახლა უფრო  
დაკვირვებით შევათვალღირე. არა, არ მეჩვენე-  
ბოდა, სახე ცრემლისა და ოფლისაგან გალუმ-  
პკოდა, თვალები დასწითლებოდა, გული მკერდს  
უბღელქდა. გველნაკბენივით წამოვტხი ფეხზე.

— რა მარქაფ!

— წამოდი!

მივხვდი, რომ აღარ უნდა შევკითხოდი, ვე-  
რაფერი ვერ მოვუცილე სიგარეტს, ხელები მი-  
კანკალებდა.

...აღმათ თუ ვიგრძენი რალაც...

პაატა საავადმყოფოს შესასვლელთან კიბის  
სახეურზე იქდა და თავი მუხლებში ჩაერგო.

— ექიმის მისაღებში! — მითხრა დერეფანში  
შესულს მარქაფამ და კედელს მიეყუდა ფერ-  
დაკარგული.

წამით შევჩერდი მისაღებთან, მაგრამ ისიც  
ვიცილები, რომ მაინც უნდა შევსულიყავი, სხვა-  
გვარად შეუძლებელი იყო. სახელური ერთბა-  
შად, დაუფიქრებლად მოვწიე.

...სევდიანი ღმილი შეჰყინვოდა სახეზე მა-  
ნურარს. აცახცახებული თითები შევეყუავე სქელ,  
წახლისფერ თმაში და გულზე მივბუსებე.

— გამოიყვანეთ, ცოდვას! — მარქაფს ხმა  
იყო, ექიმს ეხვეწებოდა.

— არა, საჭიროა, უნდა იყოს...  
ოთახში შემოვიდა, ნაზად გადასვლა თქვა.  
ხელი და მძიმედ ამოიოხრა. რიგრიგობით ვი-  
ღებდი მანურარის ჭიბებიდან ფულს, სავა-  
რცხელს, ფანქარს, თან ჩუმად ვკოცნიდი თმა-  
ზე, ფრთხილად ვაკილებდი ცრემლის წვეთებს  
გაყინული სახიდან.

გაოცებული იყო ექიმი.

— აი, ვუთხარი და ოთხად გაკეცილი ქაღა-  
ლდი მივაწოდე. წაიკითხა ერთხელ, მეორედაც.

— იტირე, იტირე... — მომეფერა ექიმი.

— იცი, რა ვუყავი დავკარგეთ? სიკვდილის  
მასხრად აღდება ათასში ერთს თუ შეუძლია  
მხოლოდ.

სახეზე ავიფარე მანურარის ცხვირსახოცი და  
ხარბად შევიხუნტე მისი სურნელი.

ფეხაკრებით შემოვიდნენ მარქაფა და პაა-  
ტა. გულში ჩამეკრა პაატა, — ბიჭო, რა ვქნა-  
თო. — მხოლოდ ესა მოახერხა ეთქვა. მარ-  
ქაფა სახეთმალთან მიდგომულ სკამს მიუახლოვ-  
და, ნათურას ხელი სათუთად გადაუსვა და პი-  
ჯაკის მარცხენა ჭიბეში ჩაიღო. — აიღე! —  
გაუწოდა სავარცხელი პაატას.

ნაბიჯების ხმა სწრაფად ახლოვდებოდა. მღუ-  
მარედ მივხიდე კარისაკენ, სხივანარკლი  
ტბის ზედაპირივით უღელავდა თვალები კახის.

— შემოდი! — ჩურჩულით უთხრა მარ-  
ქაფამ კარში შეჩერებულს.

— არა!

— აი, ფული! — გაუწოდა პაატამ.

— გენადის მიეცი! — თქვა კახიმ და  
სწრაფი ნაბიჯით მოშორდა ბედერულ ოთახს.

— რა ვქნა, მარქაფ? — უაზროდ გავიმე-  
ორე პაატას ნათქვამი.

— მე ლევანი მქვია...

●  
გამაღებული სისწრაფით ამოვავეთ საფლა-  
ვი. დღესაც არ შემძლია ახსნა, რის გვეშინოდა  
ახე ძალიან.

— სულ ეგ იყო, ბიჭო? — თქვა კახიმ და  
საფლავს ჩაეხუტა. უცნაური სიცივე ვიგრძენი,  
ძვლისმმტკრველი. გულგამყინავი. მხრებმოცა-  
ხცახე პაატას წამოყენება ვცადე და იქვე და-  
ვიმხე, უღებდ, ჩემდა უნებურად ავღრიალდი.  
ერთხანს ვკვირვებდით ერთმანეთზე მიკ-  
რულები, ცრემლით ინამებოდა გაუხარელი ბი-  
ჭის საფლავი.

თავი წამოწვიე. გაოცებული მოგჩერებოდა  
ორმოციოდ წლის ანგელოზი. შავი მანდილი  
გადასწოდა და შუბლზე ოდნავ ჩამოშლილი  
ქალარა ზეციურ იერს აძლევდა მის ისედაც

გურამ ნემსიწვარიძე  
ფოლადის ხამბირი

ღვთისაგან ნაკურთხ პირისაგან. თვალბეჭედი უცნაური, აუწერელი სიბოლო ედგა.

— ვინ არის ეს უბედური? — გაღაღლილი, ოღნავ ჩახლენილი ხმით შეგვეკითხა.

— სახავეშო სახლში გაჯრდილი, უთვისტომო ქართველი ბიჭი — უპასუხა კახიმ და დაიმორცხვა.

ქალი მიეშვია, მხრები ჩამოყარა, არაფრის-მთქმელი გაუხდა თვალები და საფლავისაკენ წამოხარბაცდა.

პაატა მიეშვებოდა.

— შენ მოგიკვიდო, ცრემლის ნატრულო საცოდავო ბიჭო! ვაი, შვილო, რა ხდება ეს ამ ქვეყანაზე...

გრძელ წამწამებს შალიშაღ წყდებოდა მდღურად ცრემლი.

— მანუჩარასაც ერგო დედის ცრემლი, — გადმომიხურჩულა პაატამ.

— თქვენ გაიხარეთ, შვილებო! — დაგვლოცა ლამაზმა ქალმა, გულთან ხელი მიიღო და დაგვტოვა.

— რა დავაწეროთ საფლავზე? — იკითხა ლევანმა და თვალი მოარიდა საფლავს.

— ისტორია დააწერს. ჩვენ ხომ ვიცით და ისე ვის აინტერესებს უთვისტომო ბიჭი. ქართველ დედას, კი, წიდანაც გული ვატკინეთ, რა საჭიროა. დაიმახსოვრეთ 1966 წელი, ამ წელს დაიღუპა ესოდენ საჭირო კაცი, რომელსაც შთების გადაბრუნება შეეძლო, მაგრამ ენევიც არ გადაუბრუნებია. არ დაიმახსოვრებთ? — სულ ერთია, ისტორიას არაფერი დაავიწყდება, დედას ვიტყვით — კახიმ ბექობისაკენ გაიშვირა ხელი. თვალი გავაუღლე და გავვოცდი. იმ ბექობზე არაფერიც არ იყო, გაძარცვული, დაჩაივებული ბუჩქნარის გარდა.

კახი გავვეცალა, უკან მოუხედავად გაიარა სასაფლაო და ქალაქისკენ დაეშვა.

უცნაურად გადაეკიდა კახი ისტორიას. მანუჩარის დაკარგვამ ძალიან აურია გონება.

ახალთახალი მოღისფერი „მოსკვიჩი“ სწრაფი სვლით მიუახლოვდა სასაფლაოს და შესასვლელ კართან მკვეთრად დაამუხრუჭა. უხმოდ გადმოვიდით მანქანიდან და ზურგჩანთა მოკიდებულ ლევანს მივეყვით. მივდიოდით და მალულად ვათვალისწინებდი განხვეწებულთა მარადიულ სამოყფელს. საოცარია პირდაპირ, უცნო ქვეყანაში ჩასულ ტურისტებს რატომ არ მოეხურებოთ ხოლმე თვალი მაინც შეავლონ სასაფლაოს. ვერც ერთი ენაგატლკილი გოდი იმდენს ვერ გაამბობს ამა თუ იმ ერის სულიერი თუ მატერიალური საგანძურის შესახებ, რამდენსაც სასაფლაო. ყველა სამარე ნათლად დაღლებს, თუ რას წარმოადგენდა განსვენებული, რა სწამა, რით სულდაგმულობდა.

ლევანმა ზურგჩანთას თავი მოხსნა, სახმელ-

საქმელი ამოვალაგეთ, მივუსხედით და გულადით, ვინ დაარღვევდა სამარისებურ სიჩუმეს.

თიხის ქამებში დასხმულმა კახურმა ღვიწმინდამ რატომღაც მანუჩარის უკვდავსავე დასაფლავებლობოს ფიქრზე დაგვხიზნა, სისულელეა ყველაფერი-მთქმი. მართლაცდა უკვდავებს ხომ ცოცხლები ვქმნით და ცოცხალ კაცს ხანდახან ისიც მოეპარინება, უკვდავ მოკვდავად აქცეოს, ჰოდა, მორჩა შენი უღვადავება.

— თქვით რამეს! — ვედრებით შემოგვხედდა ლევანმა.

— რა უნდა ვთქვათ? — მხრები აიწურა კახიმ და სამარეს თვალი მოარიდა.

— მეცოდება! — დაიჩურჩულა პაატამ და ცრემლების მოწმენდა ვეღარ მოახწრო, თიხის ქამზე აკაფდა წყველი ცრემლი.

— ყველა ცოდვია! — თქვა ბესომ და ირგვლივ მიმოიხედა. რიგრიგობით, დაცვალით რქაწილით სავსე ქამები.

— სულიერი ყველა ცოდვია, განსაკუთრებით კი ქალის ნაშობი, მაგრამ მაინც მეტ-ნაკლებად. ერთ ხანს კახი დაუნებით მიჩერდა ბესოს და შემდეგ განაგრძო: — მე მახსენდება ორი შემთხვევა, ორთავე შემთხვევაში სიცოცხლის მშვენიერება იყო შექმნილი, მაგრამ შემქმნთა პოზიციები და მსოფლმხედველობა ერთობ განსხვავდებოდა, პირველი შემთხვევის დროს სოფელში ვიყავი. ხალამო ხანი იყო, ზემოდან დავცქეროდით აუვაგებულნი ნუშისა და ატმების ბღანარს. ჰორიზონტზე ათასფრად აფერადებული ღრუბლის ნაფლეთები ნელი სვლით მიიწვიდა წინ. ახლად მოფრენილი მერცხლები მოწვევებით ეშვებოდნენ მივივებამსხვრეული ჩანჩქერის ახლოს. გვერდით თანასოფლელი მეგობარი მედგა. ყურში ძალზე თანის ხმით ჩამჩურჩულა, — ადამიანი იმქვეყნიდან არ უნდა მიდიოდეს.

მეორე შემთხვევას კი ვასულ ზამთარს შევსწარ. ნაკერცხალზე აშშინებული მწვადის პირველი ნაჭერი შექამა ჩემმა ნაცნობმა და დაასვენა: — ამის რჭულიც არ იყოს, კაცი როგორ უნდა კვდებოდეს! ანე რომ მანუჩარა უფრო ცოდვია, იმ პირველს ჰგავდა.

კახიმ სიგარეტს მოუკიდა.

ისევ დაეცალა სავსე სახმისები. პაატამ მძიმედ ამოიხრა.

— მთავარი მაინც სულ სხვაა, — წყნარა ხმით დაიწყო მან — საქმე ისაა, რომ ამ წუთისოფელში ნამდვილმა ადამიანმა სხვათა შორის და უსაქმოდ არ უნდა შემოიაროს, ყველას თავისი ღვიძლი საკეთიბელი საქმე უნდა გააჩნდეს და როცა მორჩება ამ საქმეს, ანდა წილთა მისიზავდ აიძულელებს გაღაღოს საქმე, მაშინ მისი სიკვდილი შეიძლება განვიცოდოთ როგორც მხოლოდ და მხოლოდ ბიოლოგიური მოვლენა, უბრალო ფერთა ცვალებადობა. მანუჩარს კი თავის წილი ხნული არ გაუტანია



ამიტომ, რომ ასე ძლიერ მეცოდება საბრალო... და ჩვენც, ჩვენც საბრალონი ვიქნებით, თუ ცვალებ ვერ დავტოვებთ, ბიჭებო, თუ ვერ გავაქეთებთ ჩვენს დეილ საქმეს.

მწყურვალავით დავიწყებ სახეს სახმისს.  
— თუ წესიერად ვუმსახურებით ხალხს, მაშინ ჩვენი საქმეც დიდებულად იქნება გაკეთებული, — შენიშნა ბესომ და სახმისს მოიყუდა.

კახიმ წყრომით შეხედა ბესოს.  
— ბესო, იცი რა? ყალბი ხარ, საზიზღრობამდე მისული ყალბი. სიყალბეა კაცთა მოდგმის გადაგვარების მთავარი მიზეზი. ალბათ იცი, რომ ყველა ქვეყანაში სპობენ ჭერ ყალბ ფულს, შემდეგ მის მომჭრელსაც. ასე რომ დასახვრეტი ხარო შენც და შენი მომჭრელიც.

— სიტყვა ვერ გითქვამს — ჩაიბუზღუნა ბესომ.

— შენც იტყვი შენს სათქმელს მე მჭერა ამის და თუ რომელიმე ჩვენთაგანი სულმდაბლობას გამოიჩენს, ალბათ მოუწყვეს შენი კაბინეტის მისაღებში ყურყურტი. ბოლოს ალბათ მოწყალეებასავით გადმოგვიგდებს ორიოდ სიტყვას შენი ლაშაში მდივანი; უფროსი თავისუფალი ბრძანდებაო.

კახის მარცხენა უღვაში აუთამაშდა.  
— რას ეტრჩით? მხრები შეიშუშუნა გენალიმ, რაც უნდა იყოს, ძმაცაცია.

— კაცს, მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ ჩემს ბინაში ცხოვრობდეს, ვერ ვეტყვი ძმაცაცობას, — არ დათმო კახიმ.

— მეგობრის სამარტეხ საღვოდ ამოვედი? — იკითხა პაატამ და ყველას ცივი წყალი გადაგვავლო.

სამარტეხა შორის გამავალ გზაწვრილზე ახალგაზრდები გამოჩნდნენ. ალბათ ოცამდე იქნებოდა თხოთმეტ-თექვსმეტე წლის გოგონები. გოგონები მიდიოდნენ საფლავებთან, კითხულობდნენ წარწერას და შემდეგ ერთმანეთს ურუბი რაღაცას ჩასწორებულბდნენ. თვალის მოვარიდებ, მაგრამ ჩემს ურუბთანმენას უკვე წვდებოდა მათი ერთამული.

— რანაირი ხარ, იცი, ეკა?  
— იცოდ, ზმას აღარ გავცემ. — ხმამაღლმა კისკისმა დააფრთხო საფლავის გაღვანზე შემომჭდარი ტორილა. გოცებით ავხედე ახორხოცებულ ახალგაზრდებს. ერთ-ერთმა ლურჯპერანგინამა ამხმას ორივე ხელი პირთან რუპორივით მიიტანა და მთელი ხმით ბოღვლა:

— პატრეცემული დათო მასწავლებელიოო...  
— დათო მასწავლებელიოოო... — აპყვნენ სხვებიც.

— რა ხდება? — ვიკითხე და დაბნეულად მიმოვიხედე.

— ახლავე გავარკვევ, — თქვა კახიმ და ახალგაზრდებისკენ წავიდა, ჩვენც მივეყვით და შეუმჩნევლად წავადექით თავზე.

— ვის ეძახით? — კახის დაასწრო შეკითხვა პაატამ.

— რა შენი საქმეა? — ამხანაგებს განმარტებდა ახმანი.

— ვის ეძახით-მთქიო... — ისეთი ხმით უყვირა კახიმ, რომ ახალგაზრდას ნირი ეცვალა და სხვებს გადახედა.

— ჩვენი კლასის დამრიგებელი გარდაიცვალა ამ ერთი თვის წინათ, ახლა საფლავის სანახავად ამოვედი, რომ თაიგულები დავგიყურო, ვერ მივაგენით და...

— ვერ მივაგენით და ეძახით? — კახიმ ქვედა ტურჩე დაიჭირა კბილები

— დიას!  
— რას გასწავლიდათ?  
— ისტორიას!  
— შემდეგ რაო, ვერ გააგონეთ?  
— ააა? — ჩიხში მოექცნენ ახალგაზრდები.

— სამწუხაროდ, ვერც გააგონებთ. ეს თაიგული მომიტოვდა და დატოვეთ სასაფლაო! — თვალეები დაუბრიალა კახიმ, ხოლო პაატა სწრაფი ნაბიჯით მივიდა და უხეშად წააგლიჯა ხელიდან თაიგული ლამაზ გოგონას, შემდეგ ხელი მძლავრად მოიჭინა და თაიგული შორს მოისროლა. ახალგაზრდები შეტრიალდნენ და უხმოდ გაცვილდნენ.

— თურმე მართლ სხვისი სიკვდილის მახსრად აგდებდა სცოდნათ, — ჩაიცინა კახიმ და პაატას გადახედა, — ის თაიგული?

— არა უშავს, საღვაც ხომ დაეცა და რა მნიშვნელობა აქვს.


სუფრას მივუბრუნდით, სახმისები შევავსეთ, ყველანი შეთანხმებულბებით ატირდით და თვალის მანუჩარის საფლავს გავუშტერეთ.

— ბიჭებო იციო რა? — თქვა კახიმ, — ბოღვით, გზა ამებნა და შემთხვევით შემოვიარე, მაპატიეთ წავალ უკუ გზით. აი, მანუჩარსაც ხომ შეეშალა გზა, მაგრამ...

— ზედმეტბში ნუ გადადიხარ, კახი, — შევეპასუხე და მწყრალად შევხედე. მოლოდინელად, ისე როგორც ჩვენს ქალაქში იცის, წამოუბერა დასავლეთის ნიავმა და რუხ-მოწითალო ფერის მკერვი მასაში გაახვია მთელი სასაფლაო. ადგილიდან არ დავძრულვართ არც ერთი, მაგრამ ნიავი ქარში გადაიზარდა, სახეში გვაყრიდა მიწიდან ახვეტილ ქალაქის ნაგლეჯებსა და ყვავილებს. ისე და ისე იშლავდა ქარმა და ავის მომასწავებლად მოიქუფტა ზეცა. წამიც და, კოკისპირულ წვიმასა და გრივლის შეერთებული რისხვა დაგვატყდა თავს. ღვიწო მანუჩარის ფერხითი დავღვარეთ და ერთმანეთზე მიკრულბები ერთხანს გავირინდეთ.

— წავედიო! — თქვა ბესომ და პირველი წამოდგა. ბესოს გენალიმ ჩასტიდა ხელი და სრულ

ბურამ ნემსიწვირნიძე  
ფოლადის ბაბირი



წარღვაში წაგვიძღვენე წინ. უცხად დალანდა პაატამ, რომ დასავლეთის მხრიდან ახალგაზრდული საფლავები იყო ჩამწკრივებული. პაატამ ჭერზე ჩამოქადა ხელი, სული მოთქვა და მთელი ხმით იყვირა: — ფრთხილად გენადი, წინ, წინ გაიხედე, შე ღმერთადალო!

გენადა იყო, თვალბზე ხელაფარებულმა გენადიმ უკვე გადადგა ცალი ფეხი ახლად გაჭრილი მაშარისაკენ, მხოლოდ ესდა მოასწრო, რომ ბესოსათვის ეტაცა ხელი. მე მათ უალზე დამდგარ თმებს შევასწარი თვალი. ისე ამაზრუნედი იყო უველაფერი ეს, რომ წესიერად აღარც კი მახსოვს, შემდეგ რა მოხდა. ძალზე ბუნდოვნად მახსენდება წითელ თიხაში ამოგანგლული გენადი და ბესიკი.

იმ დღით პირველად გავიგე, რა იყო თავის ტკივილი. ძილგამფრთხაღმა თვალის მოხუტუვაც ვერ მოვახერხე. საკუთარი სისუსტისაგან ნერვიოზული ძლივს წამოვდებოდი საწოლდან, მაგდასთან მივდიდი, ცალი ხელით მის კიდეს ჩამოვუყრდენე და ბორჯომის ბოთლი ბროლის ქიქაში ჩამოვაპირქვავე. უანმობრუნებული თითქმის დავენარცხე საწოლზე და იმ წამსვე უტკივლესმა ზმანებამ ჩამქიდა ხელი: მოლდურჯო ნაძვარში ხახახა მდღეოზე ვინქი და ხარბად ვისუნთქავდი ველური მარწყვის თაბბრუდამხვევ სურნელმებას. ნაძვის ტოტეში მიმალული მგალობელი ქართულ საგალობლებს უსტვენდენ. მოულოდნელად თითქმის მიწაზე დაშვებული ნაძვის ტოტები შეირხა და იქედან საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი ელისო გაივლიდა. ზეწამოვიტერ გიჟურად და გულში ჩავიკარი. ვკოცნიდი თმაზე, ყელზე და თან ნეტარებით ვუსმენდი მის ქალღურ სუნთქვას და მინახებულ, ვნებიან ჩურჩულს: — იცი, შე გოგო, როგორ მიუყარხარ?

უცხად ჩვენს შორის შვიი და ხუთეში მას მძლავრი დარტყმით შემოიჭრა, ერთმანეთს გაგვარიდა. უშმაღ ვიცანი ბაბუაჩემის მარჯვენა ხელი. შიშით ავხედე და ელდა მეცა. ზღაპრული გველემსაისებურ ცეცხლს აფრქვევდა თვალბიდან ბაბუაჩემი. შემდეგ ის ბრძოლებში დაცხრილული და შრომაში დაკურებული მარჯვენა მძლავრად სწვდა ელისოს ნახ, კოცინისაგან ავარღისფერებულ ყელს, ნაძვარის დახრილი ტოტეში თითქოს აცხცხდნენო ბაბუაჩემის მჭეკარე ხმაზე:

— განვედ კაცისგან, სატანავ!  
გამოლიქებამ განმარიდა ტბილ-მწარე სიზმარს. ისე, ძალიან მორწმუნე კაცი კი იყო სულმნათი ბაბუაჩემი.

ყრულ გაიხმაურა მანუჩარის საწოლმა. მივიხედე და კვლავ გული ჩამწყდა. თითქმის სამი თვე გავიდა და ვერაფრით ვერ შევეჩვიე, რომ ლევანმა შეცვალა მანუჩარი.  
— როგორ მომენატრა! — ამოიხრა ლევანმა.

... არაფერი უოფილა, თურმე, განსტენბულის მონატრებაზე საწარელი დაიჭრეს უფრო განცდა.

— ალაპ, ილ ალაპ! — დაალო ხმაზე თქვა კახიმი და სივარტეს მოუკიდა.

საოცარი ზნე დასჩემდა კახის. იქდა დაფქრებით, თვლები ერთ წერტილზე ჰქონდა მიშტერებული, მოულოდნელად შეირხეოდა და... ალაპ, ილ ალაპ, — წამოიძახებდა.

მგონი პაატაც შეჩვია ამ უცნაურობას.

— ალაპ, ილ ალაპ, — გაიმეორა პაატამაც და ქართული ერის ისტორია გადაშალა.

ბესო და მისი ბიძაშვილი შემოვიდნენ ოთახში არ მესიამოვნა ბესოს ბიძაშვილის დანახვა. პოზიორის მოტრფივალე იყო ერთობ. პოზიორი კაცი და მამალი ინდაური, ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ისედაც არეული ვინმე ჩანდა. საღდაც, შორს იყო ერთხანს სამუშაოდ წასული, რომ ჩამოვიდა, ვალი და ვენერიული დაავადება ჩამოიტანა. თუმცა, მის სახარგებლოდ უნდა ითქვას, რწმენა არ დაუყარავს, — კიდეც უნდა წავიდე, მაგის ასე და ისეო, — ხშირად ამბობდა.

ბესომ დაკეცილი გაჭეტი მაგიდაზე დააგდო.

— წაიკითხეთ, იტალიაში უმუშევარი ხალხი გაფიცულა!

— ეგ შარავლი პატრონს აღარ უნდა დაუბრუნო? — სიტყვა ბანზე აუფლო კახიმ.

— მარტუა, ასე მოიხრა, აღარ მინდაო.

— ასეც ვიცოდი! — ხელი ჩაიჭინა ლევანმა.

— ჩემთან უნდა წავიყვანო სამუშაოდ! — კახის საწოლს მიუახლოვდა ბესოს ბიძაშვილი.

— ჰო! — გადმოუგდო პაატამ.

— არა, ნაღდად გაკეთდება ფულიო.

— ჰო.

იმის დედა ავტირე, მანქანებს ჩამოვიტანთ.

— ჰო.

— ხვალსათვის უნდა ავიღო ბილეთი.

მთელი ამ სიტყვა-პასუხის განმავლობაში, პაატას წინისათვის თვალი არ მოუშორებია, კითხულობდა.

— რა ბილეთი? — წინგი გვერდზე გადადო პაატამ.

— სამგზავრო.

— გიჟი! — ჩაიბზულუნა, კედლისკენ გადატრიალდა და კითხვა განაგრძო.

— მე გადავწყვიტე, მივიღივარი! — პაატას გამხნეება სცადა ბესომ.

— მართლა? — მკვირცხლად წამოხტა კახი.

— გადაწყვეტილია.

— თემურ, ლევან, პაატა! ფული... — რიგრიგობით მოგვადგა კახი.

ჭიბები დავიცარიელებთ.

— არ მოგერილოს, ბილეთის ფულია, აიღე გაუწოდა ბესოს პაატამ.

— ასე უნდა ძმაცოცხობა! — მოიწონა ჩვენი მოქმედება ბესოს ბიძაშვილმა.



მთელი ორი კვირით გადაიკარგა საღვაც კახი. მადლობა ღმერთს, დღეს გამოჩნდა. უბრალოდ მოგვესალმა, მაგიდასთან სკამი მიიღვა და დაჯდა. სიგარეტს მოუკიდა, თავი უკან გადასწია და პერს შეაბოლა. წვერგაუპარსავს უფრო მეტად ეტყობოდა სიგამბრე, დალლისა და ტკივილის მტკნარ დანას ამოკითხავდა კაცი მის თვალბეჭდში.

— როგორ ხარ? — გვკითხა და უაზროდ გაიღიმა.

— რას ვიზამთ, სად გადაიკარგე? — შეეპასუხა ლევანი.

— არ ვიცი, მაინც, როგორ ხარ?

— კახი, იცი, რა გადავწყვიტეთ? — ლევანი მიუახლოვდა და მის საპირისპიროდ ჩამოქდა.

— უკვე გადაწყვიტეთ უჩემოდ, არა?

— არა, კახი, შენთან ერთად, — ალბათ სმას გავანებებთ თავს.

კახიმ სახეზე აიფარა ხელი. მისმა ხარხარმა გავსო ოთახი, შემდეგ სუნთქვა შეეკრა და დიღბანს ახველებდა მოგულუღი ხმით.

— შემდეგ? შემდეგ რა გავაკეთოთ? — გვკითხა და კვლავ ხველა აუჯარდა.

— შემდეგ? — ლევანი დაიბნა.

— იცით, რა, ბიჭებო! — მაგიდას დაარტყა ხელი კახიმ. წელან კიბეზე ამოვიდოდი და საშინლად შემშურდა საფეხურების. სახელურის ავაყოლე ხელი და, ახლა სახელურისაც შემშურდა. უსულს საგნებს თავისი ვალი და დანიშნულება აქვთ. ვალი მეცა მაქვს. ჩემი ერის შვილს რომ ვალი არ ჰქონდეს, შეუძლებელია, მაგრამ დანიშნულების სარზე ვის გაუსტუმრებია ასეთი ვალი. მას რომ თავი გავანებო, რა იქნება ჩემი დანიშნულება: თუმცა რას ვფიქროსოფოსობ, შე ალბათ ყველაფერს გავანებებ თავს!...

ვიგრძენი, რომ რაღაც უნდა მეთქვა, საჭირო რაღაც, კაცს რომ გამოაფხიზლებდა, ისეთი.

— კახი, მომისმინე, — ყელი გამოვიწიე და მულდართ შევხედე.

— რაო, თემურ, რა გინდა? — უნდლილად ჩაიქინა ხელი.

— რა, კახი, და, კაცი გაამწარეს და, იცი, როგორ? რა მაგრად და რა საზარლად, ლაფში ამოსვარეს, წიხლით გადათელეს, კბილის საღრქვად გაიხადეს მისი ვაჟკაცობა, ყვევის ჩხა-ვილიც არ დაარქვენს მის გლობას. ადგა და სიმწრისაგან გრძნობაწართმულმა, ქვა-ბერგიან ლანქერს მისცა თავი. როცა მოახულიერეს, შეამჩნია, თავს ახოვანი ვაჟკაცი ადგა.

„ვინ გასწირა ჩემთვის სიცოცხლე?“ — ჰკითხა ახოვანს.

„იუჟენ და დისკენე“, — მიეფერა ვაჟკაცი და ზედ ანგელოზური ღმილი დააფრქვია.

...მის შემდეგ იწამა ადამიანი და აპატია ყველას ყველაფერი.

კახი ჩაიფქრა, სიგარეტი ზედიზედ მოჭაჩა

და ერთხანს დაუინებით, ყურადღებით მომაჩერდა.

— უფრო ჰკვიანი მეგონე, თემურ, რა რიგება მისი საქმეა, ვისაც კაცისათვის მეტი არაფერი ემეტება. თანაც, არ შეიძლება კაცს ჰკუა დაარიგო, ზემოქმედება კი, ღმერთმა მოგცეს, მაგრამ ზემოქმედება რთული და ხანგრძლივი პროცესია და ამას ერიდებიან უპკუო ქულისდამრიგებლები. ისე, მაინც საინტერესოა, როგორ დამთავრდა შენი ზღაპარი. იმ შენს ანგელოზის ქურქში გახვეულ ახოვან ვაჟკაცს ზედგომი ორგანოები ხომ არ შეუწუხებია, მეღალი მომეციეთ წყალწაღებულთა გადარჩენისთვისო?

— კახი, დაგლუპავს ასეთი აზროვნება! — ვეღარ მოითმინა ლევანმა.

— რას იზამ, ცხოვრებამ მასწავლა. ჩემმა მეზობელმა ძმაკაცი დაიყოლია სოფელში, შეეხვეწა, აღიღებულ წყალში გადაეშვი, გადაგარჩენ და მედალს რომ მომცემენ, აგაშენებო, დაჰპირდა.

— ე, ბიჭო, ცუტრავა არ ვიცი და არ დამლუპოო, — დაეკვდა ის უბედური.

— ნაჯახივით ვცურავო! — უთხრა და დაიყოლია. ვერ გადაარჩინა და დაღუპა კაცი. კარგა ხანს თავჩაქინდრული დადიოდა, ყველას ეცოღებოდა, — როგორ განიცდის ეს უბედურიო, — ამბობდნენ. შემდეგ, როგორც იქნა, სიმთვრალეში ამოღერდა, — ის მეღალი რომ მიმიღო, ჩემს ბელს ძალდი არ დაჰყუდოო.

— ბოროტებამ რომ სულ ოდნავადაც გადააჭარბოს სიკეთეს, დაინგრევა ქვეყანას გაჩუმელი, კახი! — ხმას აუწია ლევანმა.

— ო, ეს უკვე აზროვნებაა. იაზროვნეთ, იაზროვნეთ. აზროვნება აუცილებლად თქვენვე დაგარჩებათ, შემდეგ გათქვიფეთ ის აზროვნება აზროვნებაში და რაღაცას მიიღებთ, მხოლოდ რას მიიღებთ, ეგ არ ვიცი.

კახიმ ხელი ჩაიქნია, სკამიდან მოსლოდნელად წამოხტა და ოთახი სწრაფი ნაბიჯით დატოვა.

რამდენიმე წამის შემდეგ კვლავ შემოაღო კარი, არ შემოსულა, თავი შემოჰყო მხოლოდ.

— გადააჭარბოს ბოროტებამ სიკეთეს! — მოგვაძახა და ნაბიჯების ხმაზე მიხვდით, რომ მართლა წავიდა.

— არ გავყუეთ? სულ შეშალა მანუჩარის დაღუპვამ, არაფერს გადაეყაროს... — ლევანმა ფეხსაცმელებში გაჰყო ფეხი.

— არ შეიძლება! — პაატამ მარჯვენა ხელი რამდენჯერმე მარაოსავით გააქნია და წიგნი გადაშალა.

ის იყო კახის ნაბიჯების ხმა მიწყდა, რომ იწინერმა შემოაღო კარი, გადამთვრალიო, რომ იტყვიან, ისე იყო.

— მცემებ, ხომ? — ორივე ხელი გულთან მიიღო, — დიდად გჰაღლობთ.





— არაფერს, რა სამაღლობელია, კიდევ თუ დაგვირდეს, არ მოგერიდოს, — გაუღიმა ლევანმა.

— ძალიან მეწყინა, დედას გეფიცებით, და, სიერით, თუ ყველანი არ მიყვარდით, აღამიანი არ ვყოფი. თქვენ ცული გლონივართ და ფიქრობთ, რომ უვარგისი ვიყავი ყოველთვის, მაგრამ ჭკობით, აბა, ჩემს ნათესავებს, თურმე შექმას მიპირებდნენ, აკვანში ისეთი საყვარელი და ბუნჩულა ვყოფილვარ.

— შენი აკვანი სადაა ახლა? — ვკითხე ინჟინერს და ისე უზრდელად დავამთქნარე, სხვას რომ ასე გაეკეთებინა, ალბათ მის გამზრდელს შევუკურთხებდი.

— ბაზალეთისა ტბის ძირას... — წაიღიღინა ლევანმა.

— ბაზალეთის ტბის ძირას კაცის აკვანია, მე არამზადა ვარ.

— არამზადობა რომ იყისრე, ეგ შენი ათასმეერთე კონტრდატყვია, გიცნობთ, გიცნობთ, — თითი დაუქნია ლევანმა.



ბრტყელ ქვაზე ჩამოვკეით. კახიმ ჯიბის დანა ამოიღო და მარჯვედ ამობრახნა ბოთლის საცობი. შენდის არაუი ათისფრად აკიაფდა ბროლის ჭიქაში. არაფერი უთქვამს, უხმოდ დალია და სავზე ჭიქა გადმომაწოდა. გადავკარი და ჭიქა ბოთლს ჩამოვამხე. სიგარეტს მოვუკიდე. კახიმ ფშატის ბეებს გაუსწორა თვალი, ზედ ჩიტბატონების გუნდი იქდა, ჭიქით ატბობდნენ სმენას. უტბად, ჭიქით შეწყდა, ჩიტბატონები ტოტებში გაინახნენ.

— ნახე, ნახე, — ხელი წამკრა კახიმ. მიმინომ ფრთები შემოიკეცა და ელვისებური სისწრაფით დაეშვა ფშატებისაკენ. ვერაფერი დაწინა და ზედ ფშატების ძირთან დაიწყო რიალი. ბურქნარში მიმალული ვეება შავი კატა გამოხტა და მოულოდნელად მიმინოსკენ შეკრა კამარა. დროზე უშველა თავს მიმინომ. იგრძნეს ჩიტბატონებმა, რომ ვაის გაყრილნი, ვუის შეეყრებოდნენ. ერთმანეთში აირივნენ, იმის მაგივრად, რომ მაღლა აფრინდიყვენენ, დაბლა მიწაზე ეშვებოდნენ პაიკრებით. წაშში გადასახლა ერთი ვერაგმა, მეორე, მესამე, მეოთხე... დაუღერადალ ულაპაყდა მსუნჯავი.

უტბად კატა შედგა და წინა თათები უმწეოდ დაუშვა მიწაზე. შევამჩნიე, როგორ გამოებრა ყელი და გადმოკარკლა თვალები. კვლავ სცადა უკანა ფეხებზე დადგომა და გულაღმა გაიშოტა. ჭერ შერში გაასავსავა თათები, შემდეგ კი უღონოდ გაუსვა მიწაზე...

გადავვა მუცელს საბრალე ფისო, ყელში გეჩხრა ჩიტბატონა. დანარჩენებმა იგრძნეს მტარვალის აღსასრული და ჭიქით აიჭრნენ შერში.

— ნახე? — ხმადალა ვკითხე კახის.

— ვნახე, თემურ, ვნახე, — თქვა და არაფერს სავზე ჭიქა შამხნარისაკენ მისწრაფდა. გული სიამით შემიტკადა.



სიგარეტი ხელიდან გაუვარდა ღრმად ჩაფიქრებულ ლევანს.

— ლევან, ბევრს ფიქრობს — შენიშნა პაატამ.

— ვიყენებ ამ უღლებას, რაო, რას იწერება ბესო?

— ცოლი შევირთეო.

— ყოჩად-თქო, ასე მისწერე ჩემს მაგივრად. კარზე მოურიღებელი, დაფინებული კაქუნი გაისმა. სწრაფად მივიღე და გამოვადე.

— შეიძლება? — შემოსასვლელთან კახი იდგა. თითქმის მკერდამდე სწვდებოდა მოშვებული წვერი. წელზე სავზე სავაზენ შემოერტყა, უხერხულად მოეგდო მხარზე ორღულუიანი „ზაფერი“.

— ექმ! — ლევანი და პაატა პირდაღებულნი დადგნენ შუა ოთახში.

— სად იყარგები, ბიჭო? — ალბათ ნათქვამი მარტო მე გავიგონე და კახის მოვხვებე.

— გიუვარვარ, თემურ, არა? ეგ რა წიგნია? პაატას საწოლთან მივიდა, გადაშლილი წიგნი აიღო და ერთხანს კითხულობდა, შემდეგ დახურა და ძველ ადგილზე სიფრთხილით დადო.

— ილიანაში უძვერებიათ ვახტანგისათვის ისარი. სწორედ მოქცეულან, ვენაცვალე იმათ მოფიქრებაში, პირდაპირ ვინ რას დააკლებდა! — თქვა და შუბლზე აკოცა პაატას.

— ნუ გეშინია, დაიბადება დავითი — ხელი მოხვია პაატამ და, დაჭეკო, სკამისკენ უბიძგა.

— ემ, ჩემო პაატა, მოკვდება დავითიც, მოკვდება თამარი, მოკვდება გიორგი, მოკვდება ილ...

— ამ! — ერთხმად ვიუვირეთ და ტურზე ავაფარეთ ხელი გრძნობარეულ კახის.

— კახი, ეგ აღარ თქვა შეროდე. იცი, ეს რას ნიშნავს? — მხრებში ჩავვიდე ხელი შევანჯღრიე.


კახის ყბა მოეღრცია და ქვედა ტურნი ოღნავ ჩამოუვარდა.

— საცოდავებო! — ცრემლი დაეცა კახის წვერზე. თავი ჩაღუნა და ერთხანს ძლივშესამჩნევად უცაცხაებდა მხრები, შემდეგ წამოსწია თავი და ნამტიარლვეი თვალბით სათითაოდ შეგვათვალავდა.

— საცოდავებო, რად გინდათ ყოველივე ამის ცოდნა და განცდა, ზღვაში წვეთი ხართ, თანდათან ნაღგურდებით ზედისწერათთან. სამყაროსთან ჭიდილობა. ისე მოკვდებით, საყუთარი დედ-მამაც ამას იტყვის, — სულელი იყო და სულელურად წავიდა ამქვეყნიდან.

— არა, — წიგნი გულში ჩაიხუტა პაატამ, — არა, კახი, მერე რა ვუთხრათ ამ წიგნში მოქცეულ აღამიანებს.

ხმადალა გაიციანა კახიმ. გაშტერებული მიჯნერბოლით და აღარ ვიცოდით. რა გვეთქვა.



კახი ელვის სისწრაფით გავარდა ოთახიდან. ერთხანს გაოგნებული ვიყავით და ერთმანეთს შევეყურებდით.

— ჩქარაა — გონს მოსულმა ლევანმა კარი გამოაღო.

მოვედეთ ქუჩებს გვიან ღამემდე. ამაღ და-ვეფრით, კახის კვალსაც კი ვერხად მივაგენით.

რამდენიმე მსუბუქი ავტომობილი კეტავდა ტუჩისკენ ჩამავალ გზას. ერთმანეთში ირეოდნენ მილიციენტები, რიგრიგობით უგდებდნენ ყურს ტუჩის მცველის ჩვენებას.

— ვაი, შვილო, ეს რა ვნახე! — გულში ირ-ტუქამდა ხელს ტუჩის მცველი.

— მაინც, არაფერი უთქვამს სიკვდილის წინ?

— დაუნებითი ცუბთებოდა მილიციის კაპიტანი.

— მანუჩარი ჩემი ერი იყო და ვერ მივტო-ვეო, ვაი, შვილო, შენ მოგვივდი, ეს რა ვნახე,

— თავი გადაიქნია ტუჩის მცველმა.

— ვილაცას გლოვობდა ალბათ, წვერი აქვს მოშვებული — კაპიტანმა რაღაც ჩაიწერა უბის წიგნაკში.

— მივივშვი, რა! — ტირილით შევედრა კაპიტანს პაატა.

— გარეთ ბიჭებო, თავის დრო აქვს ყველა-ფერს, არ შემიძლია, ვინ იცის, რა მოხდა, ხე-ბიცი კი საეჭვოდ მერჩვენება ამწუთში.

საკაცე სასწრაფო დახმარების მანქანაში შეა-გორეს. კარი მიხურეს და ის-ის იყო ავტომო-ბილი ადგილიდან უნდა დაძრულიყო, რომ ერთ-ბაშად მოსწყდა ადგილიდან ლევანი, კარის სა-ხელურს ეჭგრა და გამეტებით მოსწია. გონს მოსული მილიციენტები მისცვივდნენ ლევანს, ხელები გაუკავეს, კბილებით განაგრძობდა ბრძოლას, რაღაცას ღმუღად გაუგებრად და უკვე დაძრული ავტომანქანისკენ მიიწევდა.

— ბიჭებო, არაა იოლი ამბავი, მაგრამ, ხომ იც-ით, სიმშვილდა ახლა მთავარი, მაინც არაფერი შეგიძლიათ მოთხროთ? თქვენზე უკეთ ვის ეცო-ლინება! — მილიციის კაპიტანმა უბის წიგნაკი მოიმარჯვა.

— აი, აქ წერია ყველაფერი — პაატამ პი-ჩაკის ჩიბიდან შუაზე გადაკეცილი ლურჯქდიანი რკელი ამოიღო.

— კაპიტანმა ყურადღებით გადაფურცლა, შემ-დეგ გარკანს დახედა და ხმამაღლა, დამარ-ცვლით წაიკითხა: „...ლო-თი-ბი...“

— ახლავე გადავეცემ მილიციის უფროსს, — დახსინა და ირგვლივ მიმოიხედა.

— აქაა? — ვკითხე გაოცებით.

— ჰო, აი, ისაა, სამოქალაქო ტანსაცმელი რომ აცვია, ხომ არაფერი გაქვს სათქმელი?

— არა, არაფერი, ის სადღაა?

— ვინ ის, ბიჭო?

— წინათ რომ იყო უფროსი.

— ჰოო, ის ერთი თვეა დავასაფლავეთ. ხომ იცო, რა დროა, ინფარქტი და...

ლევანი ბილწი, უშვერი სიტყვებით იგინებო-და. რატომღაც სიტყვაც არ დაძრულა მის და-ბრუნებაზე. ყველამ ისე დარტყა იქაურმა თი-თქოს ემალებიანო ვილაცას.

— ნამეტანს შვრება, ასე არ შეიძლება ბუზლუნა სათვალთანა მოქალაქემ ლევანის მი-სამართით.

არავინ იცოდა, რატომ დაიღუპა ან რად უღირდა ჩვენს მიწას წვერმოშვებული ბიჭი.

ერთი კვირის შემდეგ დაუწია ტემპერატურამ ლევანს. არ გაჭრა მედიცინის ღის მუდარამ: — ან რიგრიგობით დაიძინებ, ანდა მე შეგცვლით, ერთი ღამე მაინც დაისვენებო, — გვიჩიჩინე-ბდა. როგორც იქნა, დაუბრუნდა ცნობიერება, ერთხანს დაუნებითი გვეყურა, შემდეგ მზერა წყლით სავსე ჭიქაზე გადაიტანა, მივუხვდი, მო-ვასმევიანი.

— მართლა? — გვიტოხა მისუსტებული ხმით.

— რაო, ლევან, რა მართლა? — უშუბლზე დააღო ხელი პაატამ.

— ჰო, არაფერი, მესიზმრა, ვითომ კაცი დაი-ღუპა, დასწყველოს ღმერთმა, როგორ გავიტა-ნჯე ძილში.

გაოგნებული, შიშით სავსე თვალებით მივა-ჩერდით ერთმანეთს მე და პაატა. ვერაფერი შეგვაშინა, ნეტარებით დახუტა თვალები და მალე გავისმა მისი თანხარი, მშვიდით სუნთქვა.

რამაშს ვიგრძენი, რომ საშიშროებამ გაიარა, თითქოს ტყვია ჩამეღვარაო სხეულში, ერთბა-შად მოვდუნდი და თავისუფალ საწოლზე წამო-ვწვიე, თვალი მოვსუბეე. ჭერ შავი ყურძენი, არა-ყი და ყვითული ყაყაჩოები აირია ერთმანეთში, იქქმა ზეცამ და წამოვიდა კოკისპირული ტა-ლახნარევი მღვრიე წვიმა. შემდეგ ნელნელაო-ბით ეს ყველაფერი გაქრა და შეენიშნე, შამბ-ნარიან აღმართზე მიმავალ პაატას ხელში ვეე-ბა წიგნი ეჭირა. მაღიმილ ეცემოდა, სუნთქვა ეკვროდა, დამსკდარი ხელისგულებიდან ღვარად მოსდიოდა ალისფერი სისხლი. გვერდით ამო-ვუღევი მე და ლევანი, ბასრი მახვილით მარღად ვკაფავდით გაუფალ შამბნარს. დამთავრდა შამ-ბნარი და ჩვენს წინ უფალი ქარაფი აღმართა.

— რა ვქნათ? — სასოწარკვეთით შევხედეთ ერთმანეთს.

უცხად ჩვენს ფერხით ნათელი აკიაფდა. მაღლა ჩავხედეთ სამივემ. ქარაფის თავზე შევ პიჭაკში ანცმული, თუთრ პერანაზე ბანტგანას-კვული, მოკლენწვერიანი მამაკაცი იღგა. მაღალ, თუთრ შუბლს მშვენიებას მატებდა სიკეთითა და სიბრძნით სავსე თაფლისფერი თვალები. ხელი აქინა წვერსანამა და ჩვეყენ ხალხური ფო-ლადით ნაქსოვი ბაგირი გაღმოსიროდა.

— წავედით! — თქვა პაატამ და გულში ჩა-იკრა ვეება წიგნი. ჩიტბატონების გუნდმა გადა-გვიქროლა, ჭიქიკით გაეკრა ლაფარღს

## რევაზ ასაევი

(ცნობილ ოს პოეტს რევაზ ასაევს დაბადების 60 წელი შეუსრულდა. „ცისკრის“ რედაქცია მრავალათასიან მკითხველთან ერთად ულოცავს პოეტს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს).

### ლოცვა ოსეთზე

შენ, ჩემო ორთავ თვალის სინათლევე,  
ჩემო სუნთქვევ და ჩემო მშვენიებავე;  
შენა ხარ ქვეყნად რასაც ვინატრებ,  
ერთად — დარდიც და ბედნიერებაც...

ჯერაც უმღერალ სიმღერად, ლექსად  
მთებით, ველებით ამ გულში ცხოვრობ,  
ყველაზე ძვირფას სიმღერას ჩემსას  
მე შენ მოგიძღვნი ერთადერთს  
მხოლოდ.

შენა ხარ ჩემი ყველა ოცნება,  
შენით ვსუნთქავ და შენით ვივსებო,  
რომ გაგახარო, ჩემო ოსეთო,  
რა გაგაკეთო, მითხარ, ისეთი...

ერთურთზე მჯობნი ვნახე ქვეყნები, —  
კაცთა თვალის და გულის მპყრობელი,  
უკეთესს ვერსად გადავეყარე,  
რადგან შენა ხარ დედა მშობელი.

თარგმნა ბაბათიარ არაბუღმა

### ღებენდარული ნუშის ხე


სევასტოპოლი და საპუნ გორა!  
ზღვა ახლა წყნარი და მოლიცილიცე...  
ღმერთო, რამდენი ცეცხლი და ბრძოლა  
გამოიარა ამ ზღვამ და მიწამ.  
აღწეროს იგი, არ ძალუძს ენას,  
თუმცა არც ვცდილობ, ვიგონებ  
მხოლოდ, —

ტყვიების წვიმას,  
ბომბების სტვენას  
და ჯოჯოხეთურ სიკვდილის ქოროს.  
სევასტოპოლი და მალახოვის  
ყურღანი... როკავს სიკვდილი ქარში...  
მალალო ღმერთო,  
შენ უწყი მხოლოდ

როგორ გადარჩა ნუშის ხე მაშინ?  
ტოტებდამწვარი და დამსხვრეული  
დგას იგი, თითქოს ღმერთს ევედრება:  
„ღმერთო მალალო, ძალა მძლეველი  
გარდმოავლინე შურისძიებად!“  
ეხ, ნუშის ხეო,  
ღმერთმა კი არა

იმ ჯარისკაცმა გიშველა მაშინ  
ვინც მამაცურად გამოიარა.  
ცეცხლის დელგამაში,  
ტყვიების ქარში.  
მაგრამ რა არის ის შავი ლაქა  
ყაყაჩოებს რომ აჩნიათ ახლაც.

მტრის შავი სისხლის წვეთები არი,  
ვერ ჩამორეცხავს წვიმა და ქარი.  
ხოლო ლამაზი ამ ნუშის ხეზე  
ხე არ მინახავს,

რომ მქონდეს ნება  
მე მივაბნევი ნამეხარ მკერდზე  
სევასტოპოლის დაცვისთვის, —  
მე და  **საქართველოს  
წიგნწერეთა  
კავშირთა**

თარგმნა ელდარ ამრძეშვიძე

## წ ა რ ო

ახალგაზრდა პოეტს იაკობ ხოზიევს

ზურმუხტში ცურავს თერგის პირები, —  
მთები რომ გასდევს მხარბეჭიანი,  
ყვავილთა ჭვრეტით გადაირევი,  
მოგუნსხავთ ხშირთა ტყეთა შრიალი...

იქ, კლდით გადმომსკდარ წყაროს,  
მოვერცხლილს  
ტრფობა თუ წვავდა მწვანე მდელთა  
ესალმებოდა კორდებს ყოველთვის,  
ყვავილებში რომ მოიმღეროდა.

დაქანცულ მგზავრებს, მუდამ ფხიზელი  
თვისკენ უხმობდა ზოლმე ბინული:  
— სალამი! მოდი, ჩამოისვენე,  
შემსვი, ცივი ვარ, როგორც ყინული.

...და ეს, რა ქენი, თერგო აშარო? —  
წყაროს ხომ შენსკენ მოუხაროდა? —  
ისე ვით დანთქე და გადაშალე,  
თავს ველარ აღწევს შენთა ხაროდან.

შავი კლდის ქიმი ავად აჟღერდა,  
ბუნებამ დაჰკრა გლოვის ნალარა,  
ცა გაქუხს...ტირის... ხოლო ჩანჩქერმა  
ტინს დააწეწა წვერი ჭალარა.

იმ ქალიშვილმაც, ვინც დიდილობით  
წყაროს ელტვოდა მხარზე სურითა  
ჩამოიშალა დალალ-კავეები,  
ველარ იშორებს ვარამს გულიდან...

ნუთუ კამკამა წყარო ამოშრა  
და ყოველივე ამით დამთავრდა?..  
არა! — მან სიბი სხვაგან ამოჰრა  
და კვლავ ჩქერებდალ ამოთავთავდა.

მორბის, რაკრაკებს, ყოველ ცისმარე  
მნათობს უგალობს წკრიალ-წკრიალით  
და მჯერა, მისი ხმები ცინცხალი  
სიცოცხლესავით უკვდავი არი.

თარგმნა ამირან ასანშიძე






# თენგიზ ჩხაიძე

## „სიხსლა ორბის“

ეროვნულ ხასიათზე მსჯელობისას ერთნი იდეოლოგიისაგან იხრებიან. ენის, ისტორიის, წინე-ჩვეულების, მწერლობისა თუ ხელოვნების სფეროში იმგვარი მასალის მოძიებას ესწრაფვიან, უმთავრესად დადებით ნიშან-თვისებათა წარმოსაჩენად რომ გამოადგებათ. ამის გამო მათ მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს წოგჯერ წერელობის დადი აზის. თუ, ვთქვათ, ქუჩაში მიმავალი მოხუცი ქალი უცხოელს გზის ვაგენბაში დახმარა, თან აღერსიანად, შვილოო, მიმართა, ასეთი ფაქტი იქცევა საგანგებო მსჯელობის საგნად, ფრიალ ფართო განზოგადების საფუძვლად, ერის სათნოების დამადასტურებელ ნიშნად. ამგვარ გაუბრალოებულ დასკვნას, ელემენტარული ადამიანური ქცევის მიხედვით გამოტანილს, არამარტო ზედაპირულობის, ერთგვარი გულუბრყვილობის ელფერიც დაჰკრავს. მეორენი ამჟობინებენ მწვარე სიმართლის თქმას. ეროვნული ხასიათის განჩხრეკისას უპირველესად ცუდი, მანკიერი თვისებების გამომწეურებას ისახევენ მიზნად. თუ მიუეჭრებლად მსჯელობენ და დეარძლი არ ალაპარაკებთ, ბევრ საგულისხმოდ, ანგარიშგანსწევ მოსაზრებას გაგვიზიარებენ ხოლმე. ბოლოს თავს მოუყრიან მათ მიერ აღწესხულ ყველა უარყოფით თვისებას, ჩამოთვლიან თანმიმდევრობით და კატეგორიულ იმპერატრისაც მოაყოლებენ: თუ გვსურს, წალმა ვიპაროთ, ესა და ეს მავნე თვისება უნდა მოვიშოროთ, უყუვაგდოთო. ამრიგად, მათი აზრთა წყობა გარკვეული ცალმხრიობის ნიშნით არის აღბეჭდილი, რადგან საბოლოოდ ე. წ. „ეთიკური რაციონალიზმის“ ფარგლებშია მოქცეული. აზრთა ამგვარი წყობა ჭერ კიდევ სოკრატესგან იღებს დასაბამს. ძველ ბერძენ ფილოსოფოსს მიაჩნდა, რომ ადამიანის მიერ ჩადენილი ბოროტების წყარო უმცირებდა, არცოდნა ვახლდათ. თუ ადამიანი შეიცნობდა სიკეთესა და ბოროტებას, გონების ძალის კარნახით პირველის გზას გაჰყვებოდა, მეორეს კი უარყოფდა. ფი-

ლოსოფიური ანთროპოლოგიის (აგრეთვე გენეტიკის) დღევანდელი დონის პირობაზე ხსენებული თვალსაზრისი — რა მართავს ადამიანის ქცევასა და მოქმედებას — ცოტა არ იყოს, მეტიხმეტად მარტივი და სწორხაზოვანი ჩანს. ამით სულაც არ გვინდა იმისი თქმა, თითქოს ეს თვალსაზრისი გაუფასურებულად უნდა ჩავთვალოთ. პირიქით. საკუთარი თავის შეცნობა ინდივიდუალური ძალისხმევა, მიმართული პირველული სრულქმნისაკენ, პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა ძალზე მნიშვნელოვანი, აუცილებელი პირობაა საზოგადოების წინსვლისა. ოღონდ ეს პირობა საქმარისი როდია ეროვნული ხასიათის ზეობისათვის. ესეც არ იყოს, ეროვნული ხასიათი როდია წარმოდგენს ცალკეულ ინდივიდუუმთა წინეობრივი რაობის მექანიკურ ნაერთს; ეს ცნება უფრო ღრმა აზრს შეიცავს, უფრო მეტს ნიშნავს და ისევე არ დაიყვანება უბრალო მექანიკურ ნაერთზე, როგორც თავად ერის ცნება არ დაიყვანება ცალკეულ ერისშვილთა ართმეტიკულ ჯამზე.

ეროვნულ სული (სული, არსებითად, ფსიქიკის ტოლფარდი ცნებაა) ფრიალ რთული ფენომენია, ერთობ ძნელია მისი არსის წვდომა, მით უფრო, რომ ეს ფენომენი არ წარმოგვიდგება ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ რაობად, უცვლელ, სტატიკურ რაიმედ. იგი უპირატესად თავისი თავის დადგინების, ქმედების, აქტივობის უნარში მფლავნდება. მისი განსჯისას წინასწარ მომარჯვებული უნდა გვქონდეს გარკვეული საზომი, სწორი მეთოდოლოგიური პრინციპი. როცა გვსურს, ეროვნული ხასიათის ესა თუ ის კარგი ან, პირუკუ, ცუდი თვისება გამოვყოთ, ჩვეულებრივ, ისტორიულ ფაქტსა თუ ისტორიულ პიროვნებაზე (ან კიდევ ლიტერატურულ პერსონაჟზე) მივუთითებთ ხოლმე. უმთავრეს საბუთად ეს მიგვაჩნია. არადა, მხოლოდ ამ გზის მიყოლით ქვეშაობების დადგენა ძალზე გაჭირდებოდა, რადგან ერთი, რაიმე ცუდი თვისების დამადასტურებელი, ფაქ-



ტის გასაბათილებლად ყოველთვის შეიძლება მოიძებნოს მეორე, საპირისპირო მნიშვნელობის მქონე ფაქტი. ვინც, ვთქვათ, ორგულობას, ურთიერთგაუტანლობას ჩვენს ეროვნულ ნიშან-თვისებად მიიჩნევს და საამისო საბუთად შესაფერის ისტორიულ მაგალითს მოიხმობს, მას იმგვარივე საფუძვლიანობით დაუპირისპირებთ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც ჩვენი ეროვნული თვისება ერთგულბა, ურთიერთგატანა და მაგალითსაც იქვე დავასახელებთ. მაგრამ, რაგინდ უურადსაღებო, საგულისხმებოც უნდა იყოს ამგვარი მაგალითების წარმოჩენა და შეპირისპირება, ეს, ასე ვთქვათ, რიცხობრივ-სტატისტიკური მეთოდო საბოლოოდ ფონს ვერ გაგვიყვანს. ეროვნული სულის კუმარბიტი რაობის შესაცნობად, უწინარეს ყოვლისა, ისტორიული განვითარების ის ტეპი უნდა გამოვარჩიოთ, როცა ამ სულს მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობები ექმნება, თავისი თავი ბუნებრივად, თავისუფლად გამოავლინოს, ეროვნული ენერჯის დაფარული შესაძლებლობანი გააცხადოს; როცა იგი არ არის დაწეწილი შინაგანი გათიშულობით და არც გარეგან ძალმომარობას შეურყვნია და დაუმსახინჯებია. ამგვარი ხანა ჩვენი ისტორიული წარსულისა, უწინარეს, რუსთაველის ხანა, ხოლო მხატვრული ნიმუში, უკვლავი სრულყოფილად რომ გამოხატავს ქართულ სულს — რუსთაველის პოემა.

მაგრამ ისეთი დრო, როცა ეროვნულ სულს მომეტებულად ხელსაყრელი პირობები ექმნება გაფორქნისათვის, მზამზარებულად როდ ეძლევა ერს. ამგვარი პირობების ძიების, მათკენ სწრაფვისა და მათი დამკვიდრების უნარში ცნაურდება ეროვნული გონი (გონს ვხმარობთ რუსული „ДУХ“-ის შესატყვისად, რაიც, არცხბითად, გულისხმობს ფსიქოეური მოქმედების უშაღლეს ფორმას, ცნობიერებას). ეროვნული გონის აქტივობა აუღიბებს ცხოვრების იმ ფორმებს, თავის ტიფარს რომ ასვამს ეროვნულ ხასიათს, ფორმა აქ ძლიერ შემოქმედებს ახდენს შინაარსზე, ერთიანად განმსჭვალავს მას. ამიტომ, თუ რომელიმე ისტორიულ პიროვნებას დროის კონტექსტს მოვწყვეტთ და ისე განვიხილავთ ეროვნული ხასიათის საილუსტრაციო, ცალმხრივი სურათი დავგუხატება უნებურად. ავიღოთ, მაგალითად, ორი ისტორიული პიროვნება — ცოტნე და ზურაბ ერისთავი. მოპირისპიერე წყვილია, ანტიპოდური ხასიათები. სოციალური თვალსაზრისით ორივე დიდგვაროვან ფეოდალთა წარმომადგენელია, მოძალადური თვალსაზრისით კი — ორი პოლარული საწყისის განმანახიერებელი. სადღა დროისმხიერი ტვიფარი, მათს ხასიათებში აღბეჭდილი? აქ თითქმის წმინდა სახით გამოვლენილა ჩვენი ხასიათი, ჩვენი ზნეობრივი რაობის ორგვარი არქეტაიპი, კარგისა და ცუდის ორი მარადი პირველსახე. ასე განვიხილავენ კიდევ ამ მოპირისპიერე წყვილს.

მაგრამ, თუ დავუკვირდებით, დროისმხიერ აღნაბეჭდაც შეგნიშნავთ. ცოტნე მთლიან და დამოუკიდებელი საქართველოს ზნეობრივი მემკვიდრეა, ნაყოფი — ეროვნული ერთანობის შეგნებისა. ამ შეგნებას, რამდენიმე საუკუნეში განმავლობაში რომ მტკიცდებოდა ეროვნული სახელმწიფოს შექმნისდა კვლობაზე, მისსობას ჭერ კიდევ არ გამოსცლოდა ნიადაგი. დავითის თანაირის ეპოქებში განმკვიდრებული ხასიკეთო ტრადიცია ჭერ ისევ იჩენდა თავს ინერციით. ეს რწმენა ცოტნეს რაინდული მტკიცის შთამავლინებელი, ამით ოდნავადაც არ მცირდება მისი ბუნების ინდივიდულობა და განსაკუთრებულობა, პირადი ღირსება. ოდნედ ისიც უთუოდ გასათვალისწინებელი გახლავთ, რომ პოლიტიკური მრწამსი აქ ზნეობრივი მეობის მასაზრდობელი წყაროა ბევრწილად.

ზურაბ ერისთავი სულ სხვაგვარი — დაშლილი, დანაწევრებული საქართველოს შეილია. ეროვნული მთლიანობის, ქვეყნის კეთილდღეობის შეგნება მისთვის უკვე უცხოა. უფრო მეტიც. ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალია ქართლისა და სულდაც არ ეგზნიცება მეფის ხელისუფლების გაძლიერება, მტკიცე, ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა. მის ამ განქრძობას მეთადრე პოხიერ ნიადაგს უქმნის ქართლში უკვე საბოლოოდ დამკვიდრებული ე. წ. „სათავადობის“ ხსტიემა. ზურაბი მეფის უბრალო მოხელე კი არ არის, არაგვის ერისთავობა თანამდებობად, სახელოდ კი არ აქვს ნაწყლობები, როგორც წინათ ხდებოდა ხოლმე, შთამომავლობის უფლებით აქვს მინიჭებული. (ამ შემთხვევაში არცხბითი მნიშვნელობა არა აქვს, მემკვიდრეობის უფლება უფროს ძმას რომ წაართვა.) არაგვის საერისთავო მისი სრული საბატონო გახლავთ, თავისი ფსიქიკით იგი ტიპურ ფეოდალს განახახიერებს, პირადი კეთილდღეობა საქვეყნოსას რომ ურჩენია. მართალია, მასაც გაუწევია მამულისათვის სამსახური თავისი ხმლით, მასაც არგუნა ისტორიამ ორი ტბილსახსოვარი დრო, ორი ციხეროვანი ეამი: მარტყოფი და მარაბდა. მაგრამ, გავისენური, რა მკვიდრეტყველება, რაოდენი გულის ცეცხლი შეიქმნა საჭირო, რომ მისი მამულიშვილური გრძნობა გაედვივიზინათ. თავდათავი ესაა: ჭეროვანი საზღაური აღუთქვეს უზომო პატივიმოყვარეობის დანაკმაყოფილად და საბოლოოდ აშან გაქრა. შეპირდნენ, ლელა ბატონიშვილს მომგვრდნენ ცოლად (ლუარსაც მეფის და, აბას პირველის ცოლყოფილი, შემდგომ კახეთის მმართველის ფეიქარ-ხანის ცოლი).

ამგვარად გამოიყურება კონკრეტული დროისა და გარემოს მიერ დაღდასმული სახე ზვიადი ქართველი ფეოდალისა და რაკი შენი-

თენგიზ ჩხაიძე  
„სინაღლი ორბის“

შნავენ, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში განიცხვავთან ერთად უნებლიე სინანულიც გამოხატვის ამ ვაჟაკის დაღუპვის გამო (იგი სიმამრმა, თეიმურაზ პირველმა მოკლევინი დალატით), ამის მიზეზი ალბათ, ისიც არის, რომ თავი უსახელოდ წააგო მან, ვინც სხვაგვარ დროსა და პირობებში აღზრდილი, შესაძლოა, კაი უმად მომკვდარიყო.

ქართულ სულს ზურაბ ერისთავის დროსაც მკვაც თავისი მსახიერებელი ისტორიული პიროვნება. ოღონდ ეს პიროვნება სხვა ფენის წარმომადგენელია, სახელდობრ, აზნაურთა წოდებისა. საქართველოს გაერთიანება, სამეფო ხელისუფლების განმტკიცება, ქვეყნის უმშრომლობის უზრუნველყოფა — ანეთა მისი პოლიტიკური მიზანი. იგი გამოხატავს იმ სოციალურ ფენათა ინტერესებს, რომელთა ბუნებრივი მისწრაფებაა კუთხურობისა და დაქსაქსულობის მოსპობა, ეროვნული მთლიანობის მიღწევა, სამეურნეო ცხოვრების აღორძინება. საქართველოს უამს ეს პიროვნება სამშობლოს, სწირავს ყველაფერს, რაც აბადია, ოჯახს, პირად კეთილდღეობას. სწირავს უყოყმანოდ და უანგაროდ (მიკრებელი ადვილად მიგვიხვდება, ვინ იგულისხმება აქ).

საშინაო და საგარეო ცხოვრების პირობების მიხედვით განსხვავებულ ეპოქებში ეროვნული ხასიათიც სხვადასხვაგვარია. რა აქვს საერთო, ვთქვათ, გურამიშვილის ხანის ქართველს რუსთაველის ხანის ქართველთან? ძალზე ცოტა რამ ან თითქმის აღარაფერი. ქართული სული, „ვეფხისტყაოსანში“ განფენილი და იგივე სული, „ქართლის კირში“ გამოხატული, წინობრივი სამყარო, ამ ორ პოემაში წარმოსახული, ამაღლებლისა და დაცემის კონტრასტულ სურათებს გადავივლით. ძალზე საგულისხმოა, რომ ქვეყნის წახდენის მიზეზად გურამიშვილი გარემო მტრის მოძალბებზე უფრო მეტად შინა აშლილობას, ურთიერთმტრობას მიიჩნევს. („რაც მოვახსენე, მოგვგვარა ჩვენ ერთმანეთის ბრძოლაში, ქართლი ოსმალომ დაიპყრო, კახეთი ლეკთა მოღამა“).


მაშ, სადა უნდა ვეძოთ ეროვნული ხასიათის ქემშარტი ნიშნი ამგვარ დროებაში, როცა ეს ხასიათი დეფორმირებული და დამახინჯებულია? ცვაიგის ნათქვამისა არ იყოს, ერის სული შარაზე როდი ძვეს რიგის ქვახავით; იგი, ეს სული, უნდა გამოვჩხრიკოთ ხოლმე დაძმანებში. ქართველი სული ხსენებულ დროს, უწინარესად, თვით გურამიშვილის შემოქმედებასა და მისსავე პიროვნებაში ცხადდება.

ერის ღირსეული შვილი გაბედულად გმობს, რაც დასაგმობია, არ ერიდება მწარე სიმართლის თქმას, თუმცა იცის, პირშიმთქმელობა პირადად მას ხეირს არ დააყრის. მგოსანი, თავისი ერის ავ-კარგის პირუთვნელ მსაჭულად რომ გვევლინება, არამარტო გვისურათებს

იშვიათი ძნელბედობის ხანას, რაც ჩვენს ხალხს მე-18 საუკუნის მეორე მეოთხედში დაუდგა, იმ შემზარავი ეროვნული ტრაგიდიის მიზეზებსაც აშკარად მიუთითებს.

როცა ერთი ერის შვილი, გურამიშვილი, ცეცხლში ანთია, ეს იმას ნიშნავს, აქა-იქც, თუნდაც ზოგიერთის გულში, კიდევ ღვივის ნაპერწკალი. იმ ნაპერწკლებს სათუთად შეგროვება უნდა, რომ ალი აინთოს. თუ „დავითიანიში“ გამოყვანილ ისტორიულ პირობებში თვალთახედვით გავსინჯავთ, ვახტანგ მეექვსეზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ვისი რუდუნებაც ქვეყნისთვის თვალსაჩინო ნაღვანით დასტურდება, განა თვით კახთა ბატონის, კოსტანტინე ერეკლეს ძის, საქციელი პატრიოტულ განზრახვას არ გვიმღვანავს? მას შემდეგაც, რაც შამ-თამაში ქართლს უწყალობებს ვახტანგისაგან ჩამორთმეულს, იგი, კახეთის მმართველი, არამოუბრ არ ეცდებოდა ტახტს ქართლის მეფეს, პირაქით, მასთან მეგობრულ დამოკიდებულებას ესწრაფვის. მართალია, ნიკო ბერძენიშვილი წერს, ამირიდანო (ე. ი. მას შემდეგ, რაც ირანის შამა ქართლი ვახტანგ ჩამოართვეს და კოსტანტინე გადასცა) კოსტანტინე ქართლიდან ვახტანგის გადღენას და ქვეყნის საკუთრად დაქერას ცდილობდაო, მაგრამ იმ თავებში „დავითიანისა“, რომლებსაც ეწოდება „ჩრევა კახის ბატონისა“ და „წინის მიწერა კახის ბატონისაგან ქართველთა ბატონთან: მეგობრობის თხოვნა“, გურამიშვილი დამაჭერებლად გვიჩვენებს, რა მამულიშვილურ შეგნებას ავლენს კახეთის ბატონი კოსტანტინე, როგორ ძლევს იგი ეგოისტურ ინტერესს და ქვეყნის ბედ-ილაზე დაფიქრებული, ძმთა შორის შვილობის, ერთობის მსუსურენ, ამჯობინებს, შამის განკარგულება შეუსრულებელი დატოვოს, ქართლის მეფისადმი მიცემული ძმობის ფიცი კი არ გატეხოს. მაგრამ ისე დაწინებულა ამ დროს გარემომყოფთა შეგნება, ისერივად დაბნელებით მღვიან-ვეზირებს გონება, ისე მოწამლულია უნდობლობით საზოგადოებრივი ატმოსფერო, რომ კეთილი განზრახვა საბოლოოდ უბოროტეს ნაყოფს გამოიღებს. ვარემოცვლილი მოახირობენ, უწინარეს უყოვლისა, ვახტანგის ძმის, იესეს, ხიმიანკლობისა და ვერაგობის წყალობით, სამკვდრო-სასიცოცხლოდ წააქიდონ ერთუთოს ქართლისა და კახეთის მეფენი. ამ ურთიერთმტრობას, ერთიერთმანეთზე გარემუ მტრის მისისიანებას ძალზე სავალალო შედეგი მოჰყვა. ქართლ-კახეთის ენით უთქმელი უბედურება დაატყდა თავს, ლეკებისა და თურქების სათარეო მოედნად იქცევა წლების მანძილზე.

ყველა ეროვნული თვისების გასარკვევად ერთი, უნივერსალურად მიჩნეული, საზომი არ გამოდგება. ამა თუ იმ ეროვნული თვისების დადგენისას შესატყვისი კრიტერიუმები უნდა



მოვიშველიოთ. ჩვენ მტყწილად უშიშარ, გამბედავ ხალხად ვთვლიან როგორც შინაური, ისე უცხოელი ავტორები. მაგრამ ზოგჯერ საპირისპირო თვალსაზრისიც გამოითქმის. ცალკეული მაგალითის მოხმობა, თუნდაც ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდზე მითითება ამ შემთხვევაში ჭეშმარიტებას ვერ დაგვადგენინებს. საქირთა, ისტორიის მთელ მანძილზე გავადევნოთ ერს თვლი, გავითვალისწინოთ, რა ბრძოლისა და თავგანწირვის ფასად შეძლო ენის, მიწა-წყლის, მეომბის შენარჩუნება და ისე გამოვცინოთ დასკვნა. ამისდა კვალობაზე უნდა განვხაყოთ, რაოდენ გულადი, გამძლე და ბედთან შეურიგებელია იგი.

მიზანშეწონილად მივიჩნით, როგონული ხასიათის რკვევასთან დაკავშირებული ზოგჯერითი მოსაზრება წინასწარ გამოგვეთქვა, ვიდრე უშუალოდ შევცებოდეთ ამ დიდად მნიშვნელოვანი საკითხისადმი მიძღვნილ წიგნს.

ჭერ უფრანაშია „ციხკარმა“ დასტამბა, ზოლო შემდგომ „საბჭოთა საქართველოში“ გამოსცა (1982 წ.) გურამ ასათიანის თხზულება „სათავეებთან“. პროლოგებილოგიაანი ეს თხზულება ორი კაიისაგან შედგება. პირველ კარს ეწოდება „დალამიანის იდეალი ქართულ მწერლობასა და ხალხურ შემოქმედებაში“, მეორე — „ქართული სულის ესთეტიკური ბუნებისათვის“. აქ, „ჩანართად“ წოდებულ მონაცვეთში, ავტორი საგანგებოდ აშუქებს „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართული კლასიკური პოეტიკის საკითხებს. წიგნს აქვს მეორე ნაწილიც — „ქართული პოეტური აზროვნების ევოლუცია XIX საუკუნეში“. აქ განხილულია XIX საუკუნის ქართველ პოეტთა შემოქმედება, ნაჩვენებია უკუყენა ქართული სულისა მათს პოეზიაში. ამრიგად, ამარტო პირველი ნაწილი — საკუთრივ „სათავეებთან“ — მთლიანად წიგნიც ერთიან პრობლემატკას ეფუძნება. „სათავეებს“ ჭვესათაურად აქვს „რამდენიმე ცდა ქართული ხასიათისა და ესთეტიკური ბუნების გასარკვევად“. სინამდვილეში წიგნი ამეტებს ავტორის თავდაპირველ მიზანდასახულობას, „რამდენიმე ცდა“ კი არა, ქართული ხასიათისა და ესთეტიკური ბუნების საფუძვლიან, ფრად მნიშვნელოვან გამოკლევად გვევლინება. გურამ ასათიანი წარმოაჩენს ჩვენი ეროვნული ხასიათის არაერთ საყურადღებო ნიშან-თვისებას, იკვლევს ამ ხასიათის მიმართებას დასავლური და აღმოსავლური კულტურის ტრადიციებთან, ეძიებს თავისებურებას ქართული ხასიათისას, თვითმყოფობას მისას. თავის შეხედულებათა ნათელსაყოფად იგი იშველიებს მითოსურ სახეებსა და ლიტერატურულ პერსონაჟებს, ისტორიულ პირებს; შესაპირისპიროდ ერთმანეთს უწყველიდებს მათ ანდა ცალკე განიხილავს ზოგ მათგანს. მაგრამ ავტორი უბრალო კონგლომერატს კი არ გვთავაზობს ამ თვისებებისას, იმას ესწრაფვის, მთლიანობად მოიაროს და ჩვენც ასევე წარმო-

გვიდგინოს ქართული ხასიათი. იგი მიაყვლევს მთავარ ნიშანს ქართველი კაცის ესთეტიკური ბუნებისას, პოულობს ხაზრისს მწერლობის კუთხით დანახული ჩვენი ისტორიული უფროსი გამქოლ აზრს, რაიც ლატიმოტვად განდევს წიგნს, ჩვენ კი ვცხემარტება უკეთ შევიცნოთ ჩვენივე სულიერი ცხოვრების რაობა.

ქართული ხასიათის კვლევისას ერთ-ერთ ამოსავალ წყაროდ ავტორი იყენებს ვახუშტი ბატონიშვილს, ვისაც უწოდებს ქართველ სწავლულთაგან პირველ სისტემატიზატორს საქართველოს წენთა და ჩვეულებათა. ვახუშტის შემდგომ ჩვენი ეროვნული კულტურის არა ერთი და ორი მოღვაწე შეტხებია ქართულ ხასიათს, გამოუთქვამს თავისი შეხედულება ამ საკითხზე. ერულიცოცა, ცოდნა როგორც მოზოლიური, ისე რუსული და ევროპული ლიტერატურისა, ანალიტიკური ნიჭი, ფაქიში დაკვირვების უნარი, ფართო თვალსაწიერი საშუალებას აძლევს გურამ ასათიანის გადაამუშავოს დიდძალი მასალა, საკმაოდ ღრმად ჩასწვდეს საკვლევი საგანს, მისთვის ჩვეული ესეისტური სტილით, შინაურულ-გულითადი საუბრის ტონით ვაღმოგვეცეს ნააზრევი და თავადვე მოგვევლინოს არამარტო მკვლევრად ხსენებულ სფეროში, არამედ, ვარკვეული აზრით, სისტემატიზატორადაც. ნათქვამი, ბუნებრივია, იმას არ ნიშნავს, თითქოს ავტორს უოველმხრივ მოეცვას საკვლევი სფერო. ამგვარი მოთხოვნის წაყენება, ალბათ, გამართლებულიც არ იქნებოდა, თუ გავითვალისწინებთ, რაოდენ რთულია მრავალმხრივია ეს თემა, რა ზღვა მასალაა შესასწავლი და გონების ცხრილში გასატარებელი.

გურამ ასათიანის წიგნის მკითხველი ამჩნევს, რაივც ცდილობს ავტორი აირიდოს ეროვნული ხასიათის იდეალიზაციისკენ გადაზრა, და თუმცა თეორიული თვალსაზრისით ამ მხრივ სწორად საზღვრავს კვლევის მიმართულებას, რაკილა თავიდანვე მიუთითებს ქართული ხასიათის ორბუნებოვნობაზე და შინაგან დრამატიზმზე, როგორც ამ ხასიათის განვითარების ერთ-ერთ მთავარ პირობაზე, ზოგადი სურათი მანაც, ცოტა არ იყოს, ცალმხრივი გამოულის. იგი ერთიდა მწკვე მსჭელობას, ზედმეტიად ფორმულის ეროვნულ ხასიათის ნაკლოვანებათა გამოაშკარავებისას. მართალია, ერთგან აცხადებს, ერის სასიკეთოდ ზოგჯერ საქირთა მკვანე შეძახილიო, მაგრამ შემდგომ თავადვე გულახდილად ამბობს, ქართული ხასიათის „საბედისწერო სისუსტეები“ მკითხველის სამსჯავროზე არ გამოშტანიო. ამ მხრივ იგი, მართლაც, მომეტებულ დელეკატობას იჩენს. ეს, შესაძლოა, ნაწილობრივ აიხსნებოდეს მისი სისთვის თავისებურებითაც, რადგან სტილი მისი ამხელს პიროვნებას, რომელსაც სურს, ადამიანის ან ამა თუ იმ მოვლ-

თენაიშო ჩხბიში  
„სიხალე ორბის“




ნის განსჯისას უფროდ გამგებნი იყოს, ვიდრე მსჯავრდებელი. სასურველი იყო აგრეთვე, თავისი ნააზრევნი ავტორის უფრო მეტად დაცვა-წინააღმდეგობა დღევანდელობასთან, ამ თვალსაზრისით გამოეყენებინა თანადროული ქართული მწერლობის მონაპოვარი. გვხვდება ზოგიერთი სადავო ან არადაამაჯრებელი მოსაზრებაც, რომელთაც ქვემოთ შევხვებით. არადა, ასე რომ არ იყოს, ყველაფერში რომ ვითანხმებოდეთ ავტორს, წიგნი ნაკლებ საინტერესო იქნებოდა. არც საფიქრალს აღუძრავდა აგრეთვე კაცს და არც სურვილს მასზე მსჯელობისას.

გურამ ასათიანი განიხილავს ბერძნულ პანთეონს, გამოყოფს აპოლონსა და დიონისეს, ახსიანობებს ამ ორ საწყისს, ახდენს დიონისურის საწყისის შეპირისპირებას პრომეთეულთან და დაასვენის, ქართული სულის ემბლემად ტიტანი პრომეთე გამოდგებაო (იგივე ჩვენებური „იავ-კასის ქედზე მიჭაჭულო“ ამირანი თუ მისი მონათესავე). მართლაც, ეს სახე ყველაზე მრავლისმომცველად გამოხატავს ქართული ხასიათის ძირეულ თვისებებს. პრომეთე მეამბოხე ღვთებაა (უფრო სწორად, ღმერთოფილი), ამხედრებული — უსამართლობის (წევის) წინააღმდეგ. იგი მიწისშვილია თანამდგომია, ჭირთამთენი, ბედნიერებისათვის მებრძოლი, ადამიანის სასიკეთოდ ზეციურ ცეცხლს რომ იტაცებს და დედამიწაზე ჩამოაყვს. წიგნის ის პასაჟები, ღვთებათა შორის ამ ყველაზე ადამიანურ ღვთაებას რომ ეძღვნება, უთუოდ მიმზიდველია, ხოლო იქ გაშლილი მსჯელობა, დახასიათება პრომეთეული საწყისისა — სახეებით და მატერებელი. იმ ეპითეტთაგან, რასაც ავტორი ხმარობს ამ ამაჟი, უდრეკი, ჭირში გაუტყბელი ტიტანის მიმართ, და იმ კონტექსტში, რა კონტექსტშიაც ეს ეპითეტებია ნამხარი, განსაკუთრებით გულისხმობდა უდერს სიტყვა „გულჩვილი“. ეს სიტყვა მართითებს პრომეთეული ბუნების ერთ ღირსსაცნობ თავისებურებაზე. თუ გავიხსენებთ ლესინგის ფსიქოლოგიურ დაკვირვებას, რომლის თანახმადაც მომეროსის პოემაში ტროელ გმირს არ შეუძლია გულჩვილობა გამოამუშავოს, ცრემლი დაღვაროს, თუნდაც ეტირებოდეს, ბერძენთა გმირს კი შეუძლია საამისო უფლება მისცეს თავის თავს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამით ხაზი გახსმის ბერძენის უპირატესობას ტროელის მიმართ, რადგან ბერძენს ძალეშს აძევს წინდა ადამიანურ გრძნობას და მაინც კვლავინდებურადვე ძალმოსილი დარჩეს, ხარბაროსს კი მსგავს შემთხვევაში ნება უღწევდება, სისუსტე შეეპარება ხოლმე, თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ ცხადია უნდა იყოს, რომ გულჩვილობა გვიდასტურებს მაღალი რანგის სულიერ წყობას ისეთი ძლიერი, მაგრამ იმავ დროს ერთობ ტანჯული არსებისას, როგორც პრომეთეა.

რამდენადაც პრომეთე ძლიერი არსების კულტს განასახიერებს, საგულისხმოა კიდევ ერ-

თი რამ. ძალა აქ მიმართულია სიკეთის ქმნისაკენ. პრომეთეს ამოქმედებს კაცთმოყვარეობა, ხოლო ძირი ამ კაცთმოყვარეობისა თანაგრძნობა, სწორედ ეს თანაგრძნობა, რასაც გურამ ასათიანი ქართული კაცის „ადამიანობად“ ნიშნად მიიჩნევს. ამრიგად, ეს გაგება პრომეთეული საწყისისა უპირისპირდება დასავლურ ფილოსოფიაში ფეხმოკიდებულ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც სიცოცხლე განისაზღვრება ნებად აძლავლებობა, სწრაფვად სხვებზე ბატონობისაკენ. ამ სწრაფვის გზაზე კი უპირველესი ხელის შემშლელი თანაგრძნობაა, რისგანაც უნდა გათავისუფლდეს სიცოცხლე. ამ კონცეფციის თანახმად, თანაგრძნობა სუსტია, უძლურია, ანუ პირველ თუ ქვეშაირად ქრისტიანთა მორალური კოდექსის ერთი უმთავრესი მცნებაა, იმათი მცნებაა, ვისაც სათავისოდ ხელსაყრელად უნდა ამგვარი წინააღმდეგობა ნორმა, თუმცა გულში კი უშროსაგების გრძნობას უღლიავებდა ფარულად. სხვა რომ არა იყოს რა, საბუთად მოტანა ქრისტიან მორწმუნეთა სისუსტისა საეჭვოს ხდის ხსენებული კონცეფციის სი. მართლეს, რამეთუ ძნელია დასტო უწოდო იმ-თ, ვინც თავისი რწმუნის დასაცავად ჭკარზე გაკრას ან ცეცხლში დაწვას არ უშინდებოდა. მით უფრო ნაკლებ დამაჯრებლად გამოიყურება ეს კონცეფცია პრომეთის მითოსური სახის ფონზე, რამდენადაც მითოსური სახე ანაქტიუბია, რაშიც ადამიანის ბუნების პირველსაწყისი, მისი არსება ცნაურდება. პრომეთეს წინააღმდეგ იერს განსაზღვრავს ადამიანთა, მიწის შვილთა უანგარო სიყვარული. ეს უანგარობა ერთ საყურადღებო შტრიხსაც შეატებს მის წინააღმდეგ პორტრეტს: სხვა ღვთებათაგან იგი იმითაც გამოირჩევა, რომ სიკეთის ქმნის წილ არ ითხოვს თავჯანსიყმას, არც მსხვერპლშეწირვას, არცთუ რაიმე ძველს.

მაგრამ რაგინდ მრავალმხრივი და მნიშვნელოვანიც უნდა იყოს პრომეთეული საწყისის გაგება, უნივერსალური მნიშვნელობისა, ცხადია, ვერ იქნება და არც არის, ვერ სწვდება თანამედროვე ადამიანის ესთეტიკური ბუნების ყველა მხარეს, უპასუხოდ ტოვებს ზოგ არსებით მოთხოვნილებას. ეს ზღვარდებულობა ამ გაგებისა მითშიც ამოიკიბება. მითის მიხედვით, უმწეო ადამიანს პრომეთე ასწავლა ხელოსნობა, დამწერლობა, შესძინა აუცილებელი ასტრონომიული ცოდნა, ანუ მოუპოვა ის, რაც ბუნების ძალეშთან ბრძოლისას არსებობის შესანარჩუნებლად და მოდგმის გასაგრძელებლად სჭირდებოდა. იგი საუფშველდამდებია ყოველივე იმისა, რითაც ადამიანი აღწევს ბუნებაზე ბატონობას, მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, და რასაც, თანამედროვე ტერმინოლოგიას თუ მოვიშველიებთ, შეესატყვისება ცნება ტექნიკური პროგრესისა, ხოლო, თუ უფრო განვსჯავდებით ცნებებს და თანაც პრობოთად ვამოწავთ ცი-



ვილიზაციასა და კულტურას, მიესადაგება ცნება ცვილილიზაცია. მითის მიხედვით ჩანს, რომ პრომეთე აღარ ერევა მის მიერვე შექმნილ ადამიანთა ურთიერთობაში (კლდეზეა მიჯაჭვული), არ ახდენს გავლენას მათს ზნეობაზე. ასე რომ, სიავითა და ბიჭირებობით შეპყრობილი მიწის-შვილი ზევსი წარღვას მოუყვდენს. მოხუც ცოლ-ქმარს, დეკალიონსა და პირას, მოხუცდებოთ, ხელახლა ააღორძინონ სიცოცხლე დედამიწაზე. ოლიმპოს სასახლის სარკმლიდან მაცქერალი ზევსი ხედავდა ქვეყნად სიცოცხლის კვლავ აღორძინებას, ხედავდა იმასაც, რომ მიწის-შვილთ დავიწყებოდათ სასქელი და უკეთესნი როდი შექმნილიყვნენ, მაგრამ წარღვნა აღარ დაუტეხია მათთვის თავს.

ამრიგად, პრომეთეს მიხია შემოიფარგლა უმთავრესად ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების, მოთხოვნილებათა დაქმავიფილებისათვის საჭირო პირობების შექმნით, ხოლო სულიერ-ზნეობრივი განვითარების მხარეს თითქმის არ შექმნებოდა კულტუროლოგიური თვალსაზრისით კი სწორედ ეს მხარეა საინტერესო. კულტურის ცნება, ცხადია, არ გულისხმობს უბრალოდ სწავლა-განათლების მიღებას. იგი გულისხმობს განათლებასა და ცოდნასთან ზიარების წყალობით ზნეობის გავრცელებას, ვაკეთილშობილებას, სულიერ ამაღლებას, ჰუმანისტური საწყისის გაძლიერებას. მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად იგი ნიშნავს (უნდა ნიშნავდეს) ცხოვრების სისტემისთვის მიღებას, სიცოცხლის ხალისს, ესთეტიკურ შეგრძნებას სამყაროსი. იმავე კულტუროლოგიური თვალსაზრისით, სწორედ აქ იჩენს თავს თანამედროვე ადამიანის შეტირება. ამ სულიერი შეტირების გამოსახატვად გამოიყენება სიტყვა „გაუცხოება“, სიტყვა, რომელმაც, სხვათა შორის, ლამის დაკარგოს შინაარსი სიმძაფრე და ლამის გაუვასურდეს წარაპარა და უადგილოდ ხმარებისაგან. სამ ფაქტორს აქვს განმსაზღვრელი მნიშვნელობა ადამიანის შინაბუნების პარამონულობისთვის: მიმართებას ბუნებასთან, სხვა ადამიანებთან, ანუ საზოგადოებასთან, და საკუთარ თავთან. დაკარგვა კავშირისა ბუნებასთან, მიწასთან, გამოთიშვა სხვა ადამიანებთან ერთობისაგან, მათთან გამაგრირებელი ინტერესებისაგან, იწვევს გაუცხოების სულიერ მდგომარეობას, რასაც მოჰყვება გაუცხოების უკიდურესი ფორმა — „ეთიოგაუცხოება“, როცა ადამიანი შორდება საკუთარსავე თავს, სწყდება თავისი ბუნების პირველქმნილ კარებას. ამრიგად, მიწასთან სისტემორციული კავშირი ადამიანის დრმა შინაგანი მოთხოვნილებაა. ხოლო ამ მოთხოვნილებას დიონისური საწყისის ესთეტიკური მსოფლგაგება უპასუხებს, რადენადაც თრობისა და ლხენის ეს ღვთაება იმავე დროს ბუნებას პირველდასაბამთან ზიარებას განასახიერებს. თანამედროვე ადამიანისთვის, უპირატ-

ესად ურბანიზებულ გარემოში რომ ცხოვრობს, ეს საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. მტკარე უურადლების ღირსია იგი ქართველი კაცისათვის, რომლისთვისაც კავშირი მიწასთან ნიშნავს კავშირს და და-მნიშვნავს, ხოლო სიტყვები „ხარება“ და „სიცოცხლე“, როგორც ცნობილია, შვიცავს იდენტურ შინაარსს, რაც ცნაურდება იმ ფაქტით, რომ მცენარის გაზრდას ქართველი უწოდებს გახარებას, რითაც სიცოცხლეს ხარებასთან აიგივებს.

აქ განვითარებული მსჯელობის ფონზე ფრიად საუურადებოდ მიგვაჩნია ის ამბავი, რომ გურამ ასათიანი პარალელს ავლებს დიონისესა და მინდიას შორის, მინდიასი, ვინც აგრეთვე „ბუნების წიაღთან ადავდას კავშირს“ და ადენიშნავს ამ ორი, მტკარე მნიშვნელოვანი მითოლოგიური სახის, გარკვეულ ერთიანობას. ამ თანაზიარობაზე მითითებდა თამაზ ჩხენკელიც „ტრაგიულ ნიღბებსი“. ხოლო ტრაგიკოს მინდიასი, იმ ადამიანისა, ვინც ვერ შეინარჩუნა ბუნებასთან ადგილილი კავშირი, ამ სიტუციებით გადმოსცემდა: „ბუნებას, სამყაროს პირველდასაბამს, ღვთაებრივ წიაღს მოწყვეტილი ადამიანი თავს იკლავს; და ეს ბუნებრივი დასასრულია, რაკი ბუნებისა და ღმერთის სავსებასთან ზიარებულისათვის მასთან თანაზიარობის დაკარგვა თავისთავად უღრის ხიკვილს“.

სათანადო დაკვირვებათა და ანალიზის საფუძველზე, ვაუას მიერ ფშაურ პოეზიაზე გამოთქმული თვალსაზრისი გთავისუფლებს, გურამ ასათიანი სხე აუალიბებს თავისი წიგნის ერთ უმთავრეს დებულებას, გამოხატველს ქართველი კაცის ესთეტიკური ბუნების ფუნდამენტური თვისებისა: „სულის და ხორცის ურთიერთლტოლვა, მათი შეთანხმება, შეყვარება, შერწყმა, ფუნდამენტური თვისებაა ქართველი ხალხის ესთეტიკური ბუნებისა“, ამ ზოგად დებულებას, გურამ ასათიანის აზრით, სპეციფიკურად ქართული ხასიათისთვის მისადაგებულსა ხდის სიტყვა „უკიდურესი“, ის საგულისხმოს სიტყვა, რასაც ვაუა იყენებს, როცა თავის შეხედულებას გამოთქვამს ფშაურ პოეზიაზე და ამბობს: „ფშაურს პოეზიაში შეერთებულნი უკიდურესი იდეალიზმი უკიდურესი რეალიზმი“. (სიტყვები „იდეალიზმი“ და „რეალიზმი“ ვაუასთვის უპირატესად ესთეტიკური ცნებებია). თავისი ძირითადი დებულებისგან წიგნის ავტორს გამოჰყავს ის ძალზე საგულისხმო დაცკნა, რომ, ერთდროულად ურთიერთსწრაფვა და ურთიერთობრძოლა კოლარული საწყისებისა „ეს არის ქართული ხასიათის შინაგანი დრამატისის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი“.

ჩვენი აზრით, გურამ ასათიანის ძირითადი დებულება თავისი დასკვნითურთ ოპტიმალური ვარიანტა დასმული საკითხის შესაძლო განმა-

თენგიზ ჩხიბრაძე  
„სიხალე ორბნი“

რტებათა შორის. იგი გვესახება არამარტო მთავარ გასაღებად ქართული ხასიათის უაღრესად მრავალფეროვან გამოყვანებაში შეცნობისთვის, არამედ ჩვენი ეროვნული თვითდამკვიდრების საზღვრის განსაზღვრელადაც, იმ გამკოლ აზრად წიგნისა, რაზედაც შემოთ მივუთითებდით.

ეს უმაღლესი იდეალი, ანუ შერწყმა „სული-სა“ და „ხორცისა“, იგივე ზეციურისა და მიწიერისა, იდეალურისა და რეალურისა, გურამ ასათიანის შეხედულებით, განხორციელდა რუსთაველის პოემაში და შემდგომ კვლავ იქნა მიღწეული ვაჟაშვილის შემოქმედებაში. სახელმწიფო, ვაჟაშვილმა ნაქვემოთ: „შვილსა უკუნოვანი ინტერვალის შემდეგ, მან ახალ დროში, ახალი სულისკვეთებით, პოეტური აზროვნების ევოლუციის ახალ საფეხურზე კვლავ მიიღწია რუსთაველური, რენესანსული პარონის აღორძინებას“.

„ვეფხისტყაოსანში“ რომ უმაღლესი, უნივერსალური სინთეზია მიღწეული იდეალურისა და რეალურისა და ამით ხორცშესხმულია რენესანსული ესთეტიკური იდეალი, ეს სრულიად უდავოა. მეტიც, რუსთაველმა შეძლო ის, რაც, შავლაშვილმა ვერ შეძლო, ვერ მოახერხა იტალიურმა რენესანსმა. „რუსთაველის შემოქმედებაში“ შ. ნუცუბიძე წერს, რომ შუასაუკუნეობრივი ასკეტიზმის იდეოლოგიამ კვალი დააჩნია პეტარაკას, აგრეთვე ბოლო პერიოდის ბოკაჩოს ქმნილებებს და „სამუდამოდ გადაუტრეღი დატოვა წინააღმდეგობა სხეულსა და სულს შორის, ზეციურ და მიწიერ ვენერათა შორის“. შემდგომ, პეტარაკას განეკუთვნება, იგი უფრო აკონკრეტდება, განავრცობს თავის თვალსაზრისს და იტალიური რენესანსის მიერ დუალიზმის პრობლემის გადაუტრეღობის მიზეზსაც მიითვლებს: „პეტარაკას სონეტებმა ვერ გადაკრა ამქვეყნიურისა და ზეციურის სინთეზის პრობლემა. ამ ხარვეზის იდეოლოგიური შევსება ვერც „ქვეყნის სიძულვილის შესახებ“ განაზრებებში მოხერხდა და პეტარაკას დისკუსიამ ავგუსტინესთან ვერაფერი მისცა იტალიური რენესანსის მომდერად. ფლორენციის აკადემიის მოღვაწეები ამაოდ სწავლობდნენ დაბეჭი-თებით პლატონის დიალოგს „ნადიმს“. მარსილიო ფიჩინოდან ბიკო დელა მირანდოლმდე მიმავალი გზა არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც ზეციურ ვენერას მიწიერთან დაახლოვებდა. კრიტიკოსო ლანდინოს კომენტარიები დანტეს „ღვთაებრივ კომედიაზე“ მხოლოდ ისტორიულ-აკადემიური ცდა იყო და ლანდინოს შემოქმედებაში იტალიური რენესანსის პოეზია გზაგამოფზე რჩებოდა. არცერთ მათგანს არ ჰქონდა სილამაზის პლატონური იდეის არეოპაგითული გაგება, რაც საშუალებას მისცემდა მათ ხილი გაედოთ ზეციურსა და ამქვეყნიურს შორის“.

გურამ ასათიანის მტკიცების თანახმად, დუალიზმის პრობლემის გადაჭრა ახალი დროის ქართულ მწერლობაში, აღდგენა რუსთაველური,

რენესანსული პარონისა მოხდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. რა ზომით გადაჭრა ამ, უკეთ რომ ვთქვათ, შეიძლება ითქვას, რომელიც დუალიზმის პრობლემა ვაჟაშვილის შემოქმედებაში ამის თაობაზე ქვემოთ ვიტყვით უკიდურესად უყვას. მანამდე ეს საჭიროა იმის ცოდნა, ძირითადად მაინც რა გზა ვაწვდომ განვითარებისა ზეციურისა და ამქვეყნიურის ურთიერთმიმართების ესთეტიკურ-ფილოსოფიურმა აზრმა რუსთაველიდან ვაჟაშვილამდე.

ფილოსოფიურ-ესთეტიკური აზრის ნორმატური განვითარება, როგორც ცნობილია, ბოლომდე ძნელდობდათა გამო ჩვენში წყდებოდა XIII საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე XVII საუკუნემდე, რაცა იგი კვლავ იჩენს თავს ე. წ. „აღორძინების“ ხანის მხატვრულ ქმნილებებში. გურამ ასათიანი რუსთაველის პოეტის განხილვის შემდგომ პირდაპირ გადადის ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების განხილვაზე, ამიტომ ზემოაღნიშნულ საკითხზე პასუხი არ გაუცია. მაგრამ აღრინდელ მის წიგნში — „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ („ნიკადალური, 1975 წ.) ვხვდებით ჩვენთვის საინტერესო შეხედულებას ხსენებულ საკითხზე. აქ, კერძოდ, ავტორი წერს: „ეს ორი პოეტური ნაეკი (კლასიკური და რომანტიკული, „წარმართული“ და „ქრისტიანული“) შემდგომი საუკუნეების მანძილზე (ე. ი. რუსთაველის შემდგომ, — თ. ჩ.) თანდათან განიჭტვება ერთმანეთისაგან და კვლავ შეურიგებელ წინააღმდეგობას ქმნის.“

თემურაზ პირველის, არჩილისა და ვახტანგ მეექვსის შემოქმედებაში, რომელნიც ძირითადად რუსთაველის პოეტური სამყაროს გავლენის ქვეშ არიან მოქცეულნი, უკიდურეს წერტილამდე მისული რომანტიკული იდეალიზმი (თემურაზის „ჩივილი სოფლისადმი“ და „წამება ქეთევან დედოფლისა“, სიყვარულის მისტიკური კონცეფცია ვახტანგთან კიდევ თანაარსებობს ხორციელ სიამეთა თვისებურ კულტანს (თემურაზის „მაჯანა“, ვახტანგის „საღმუნად გულისა“).

ასევე წინააღმდეგობრივია აქ თანარსებობა ერთის მხრივ „სოფლისაგან“ ზიზღით განდგომის, ხოლო მეორეს მხრივ პრაქტიკული მოქმედების აუცილებლობის მოტივებისა. ამ მხრივ სანიმუშოა არჩილის აღსარება: „სოფელს ვაგინებ, მაგრამ მიყვარს და ვერ ვებნებია“ („ლექსნი ასღათისი“).

მაგრამ ეს ორი მოტივი აქ აშკარად ეკლექტიკურ მთლიანობას ქმნის და სწორედ ამით განსხვავდება სამყაროს პარმონიული განცდის იმ ორგანულ თვისებისაგან, რაც „ვეფხისტყაოსნის“ მთელი მხატვრული შინაარსის განსაზღვრელია.

შემდგომ ხანებში ქართული კლასიკური პოეტური მსოფლგაგების შინაგანი რღვევის პრო-

ცემოა კიდევ უფრო ინტენსიური ფორმა მი-  
ცემა და საბოლოოდ გურამიშვილისა და ბე-  
სიკის (განსაკუთრებით მისი მიმდევრების) ლი-  
რიკაში ორი დიამეტრულად საწინააღმდეგო  
პოეტური მსოფლმხედველობის სახით გამოვ-  
ლინდა“.

ამრიგად, გურამ ასათიანის თვალსაზრისის  
მიხედვით, „აღორძინების“ ხანის პოეტთაგან  
იწყება ქართული კლასიკური პოეტური მსოფ-  
ლმხედველობის, ანუ „ვ. ბ.“-ში („ვეფხისტყაოსანში“) **ესთეტიკური თვალსაზრისით მიღწეული პარამონი-  
ისი, იგივე „სულისა“ და „სხეულის“ ერთიანობის  
რღვევის პროცესი და შემდგომ ეს პროცესი უფ-  
რო ღრმავდება. მართალია, თეიმურაზისა და არ-  
ჩილის შემოქმედებაში თანაარსებობს ამჟვენიუ-  
რისა და იმჟვენიურის მოტივები, მაგრამ ეს  
მთლიანობა ფორმალური, „შეკარად ეკლექტი-  
კური მთლიანობა“.**

ღარიღვა თუ არა „ვეფხისტყაოსანში“ გამოვ-  
ლენილი ორგანული მთლიანობა ესთეტიკურ-  
ფილოსოფიური აზრის მონიშნისა, ამის თაო-  
ბაზე თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ-  
ესთეტიკურ ნაწარვეში გვხვდება განსხვავებუ-  
ლი შეხედულება. საუცხოო ვრცელ წერილ-  
ში — „მთლიან საქართველოს მესიკეზე“ —  
რევეს თვარამე აშუქებს ქართული კულტურის  
ისტორიის ზოგიერთ კარდინალურ საკითხს,  
საგანგებოდ განიხილავს საკითხს იდეალურისა  
და მატერიალურის, ანუ, ძველი ქართული ტერ-  
მინოლოგიით, „სოფლისოფლისა“ და „სოფლის“  
ურთიერთმიმართებისას, ბოლოს კი დაასკვნის:  
„არ ერთხელ გამოლიანდა გათიშული სამყა-  
რო მის (ე. ი. ქართული მწერლობის — თ. რ.)  
წიაღში, მერმე აღარ დარღვეულა ეს პარამონი-  
ული მთლიანობა, რადგან მთლიანობის მყარ  
ფილოსოფიურ ხაზს მისდევდა. ხოლო ამან  
სამყაროს პარამონიულად აღქმის იმდენად მძლავ-  
რი ტრადიცია შექმნა ქართულ მწერლობაში,  
მისი დარღვევა უკვე შეუძლებელი იყო (მო-  
ვიგონოთ, როგორ ძალდაუტანებლად ახერხებს  
დავით გურამიშვილი უღრმესი ქრისტიანულ-  
ნეოპლატონური მისტიციზმისა და „ქაცვია  
მწყემსის“ პერსონაჟთა ერთიანის შერწყმას,  
მოვიგონოთ, „მაგრამ რადგანაც კაცნი გვექიან,  
შვილინი სოფლისა“ ან „ბუნება მზრტანებელია,  
იგივე მონა თვისა...“).

როგორც ვხედავთ, გამოთქმულია ორი ურ-  
თიერთსაპირისპირო თვალსაზრისი.

გურამ ასათიანის თვალსაზრისის მიხედვით  
ისე ჩანს, რომ სამყაროს პარამონიული განც-  
დის მთლიანობის რღვევა მხოლოდ და მხო-  
ლოდ რეგრესულ მოვლენად უნდა ჩავთვალოთ.  
რალა თქმა უნდა, რუსთაველის მონიშნთან  
შედარებით თეიმურაზ-არჩილისეული „ეკლექ-  
ტიკური“ მონიშნი აშკარად დაბალი გვარობის  
მთლიანობაა. მაგრამ ეს საკითხი ასე უზრა-  
ლოდ და მარტივად არ წყდება. მთლიანობის

რღვევა ზოგჯერ წარმოაჩენს საგულისმხირო  
თავიებურებას, უკეთ რომ ვთქვათ, „რაციო-  
ნალურ მარცვალს“. ეს რაციონალური მარცვა-  
ლი ამ შემთხვევაში უფრო საცნაური ხდება  
რ. თვარაძის შემოხსენებული წერილის წყა-  
ლობით.

„სოფლის“ სიძულვილის ის მოტივი, თეი-  
მურაზისა და არჩილის პოეზიაში რომ ეღერს,  
არსებითად განსხვავდება სოფლის მოძაგების  
იმ გაბატონებული ტენდენციისაგან, რაც გან-  
საზღვრავდა ესთეტიკურ-ფილოსოფიურ აზრს  
ქართულ მწერლობაში რუსთაველამდე და რი-  
სი დაძლევის პროცესიც საბოლოოდ, სრულ-  
ყოფილი სახით, „ვეფხისტყაოსანში“ დავირ-  
გვინდა. სოფლის მოძაგების ადრინდელ, რუს-  
თაველამდე ტენდენციას აპირობებდა შუასა-  
უკუნეობრივი ასკეტიზმის მოძღვრება, რომ-  
ლის თანახმადაც სხეული უკვე თავისთავად  
მავნე საწყისია, ბოროტება სუბსტანციური თვი-  
სებაა მატერიისა, ხოლო, ამისდა კვლამაზე,  
ამჟვენიური არსებობა არის დაბალი ფორმა  
არსებობისა, მოკლებული ნამდვილ ღირებუ-  
ლებას, და თუ რამე ფასი ენიჭება, მხოლოდ  
იმდენად, რამდენადაც, თვითგვემის გზით, შე-  
მამხადებელი საფუძვრია წეცაში სასუფეველის  
დასამკვლადრებლად. რაც შეეხება „აღორძინე-  
ბის“ ხანის პოეტთა შემოქმედებას, აქ გამოვ-  
ლენილი სოფლის სიძულვილის მიზეზი სულ  
სხვაგანაა საძიებელი. თეიმურაზს ან არჩილს,  
რომელნიც, თუმცა სასულიერო მოტივებითაც  
საზრდობენ, უპირატესად საერო მწერლო-  
ბის წარმომადგენელნი არიან, სულაც არ მიჩ-  
ნიათ, ამჟვენიური, სხეულებრივი არსებობა  
ბოროტულია საწყისი იყოს, ქვეშარტი ღირ-  
ებულებად არ გააჩნდეს. მთელი მათი სამღუ-  
რავი, სოფლის მიმართ გამოთქმული, მეტადრე  
თეიმურაზისა, იმ ძირითად აზრს გამოხატავს,  
რომ ბედი არ აცლის ადამიანს, დიდხანს იხა-  
როს, მღვევე უმუხთლებს ხოლმე. მართალია,  
ამ მოტივი იხმის ჩივილი საერთოდ სიცოცხ-  
ლის მსწრაფლწარმავლობის გამოც, იმის გამო,  
რომ ტახტი, პატივი, ამჟვენიური სიკეთენი  
არ შერჩებდა, ყველაფერს სიკვდილი მოუღებს  
ბოლოს, მაგრამ გაყიდვებით უფრო მძაფრად  
იხმის ჩივილი, ბედის უკუღმართობით გამო-  
წვეული. აქ უთოოდ გასათვალისწინებელია ის  
გავლენა, რაც ორივე პოეტის შემოქმედებამზე  
იქონია მათმა ბიოგრაფიამ, პირადმა გამოცდი-  
ლებამ, ეკლანი ცხოვრების გზამ. „სოფლის  
სამღურავის“ ავტორისთვის „წეცა“ არამეტო  
„მყარია“, ხოლო ღმერთის ავტორიტეტი —  
„შურაყველი, ქრისტი თითქმის, ერთადერთი  
ნუგეშისმცემელია სვედამწარბული მეფე-პოე-  
ტისათვის, რომლისთვისაც ხარწმუნოების დაც-

თენგივე ჩხაძემ  
„სინახლე ობრძი“

ვა იმავე დროს მეობის, ღირსებისა და ეროვნული თვითყოფადის შენარჩუნებასაც იწინააღმდეგებდა; მატხოვარსა და ღვთისშეშობების მიმართაც იგი ვედრებით, სატანჯევით არ მეღვავა, შველას თქვენგან ველიო. ეს კია: მთავან ნუგეშისცემის მოიმედეს თავისი აღმართური ცოდვებაც ასხენდება და მონანიების საქორებას გრწნობს. იმის შიშით, ვანკითხვის უამს მკაცრი სახელი არ შემხვდესო, ცოტა არ იყოს, კრთომით მიაპყრობს ზეცას თვალს, განსხვავებით რუსთაველის გმირებისაგან, რომელთათვისაც „ზეციური მოღელი“ სრულყოფის უმაღლეს ფორმას განასახიერებდა, იძლეოდა მარადიულ ნათელში აღფრენის საწებარო იმედს.

თემურაზისა და არჩილის სამღურავს სოფლისადმი ძირითადად წარმოქმნის მოთხოვნა, შინაგანი პრეტენზია, აკმაროს მათ ბედმა სიმწარე, მისცეს ცხოვრებით ტკბობის საშუალება. მასხადაძემ, წარმოქმნის ის, რასაც ძირისძირში უღვეს სიყვარული იმავე სოფლისა, რომელსაც ისინი აძაგებენ („სოფელს ვაგენო, მაგარამე მიყვარს და ვერ ვებსნებია“. არჩილი). სწორედ ეს სიყვარული სოფლისა, ლტოლვა ამქვეყნიური არსებობისადმი, მისი თავისთავადი ღირებულების დაფასება არის ის „რაციონალური მარცვალი“, რაც მათ იმეკვიდრევენს დღეი წინაპრისაგან. რუსთაველის ერთი უმთავრესი დამსახურება ის იყო, რომ უფლებები აღუდგინა „მიწას“, ამქვეყნიურ სინამდვილეს; ასე ვთქვათ, ავტონომია მოუპოვა მას. „რუსთაველის პოეტური სამყაროს გავლენის ქვეშ მოქცეულმა“ მგოსნებმა შეინარჩუნეს ეს ავტონომია. შემდგომ „ქაცვია მწუქების“ ავტორმა მალაქმატარული ფორმით განამტკიცა და გააღრმავა იგი. საუყურადღებოა, რომ მისი პოეტური ნააზრევი გამდიდრებულია განმანათლებლობის იდეის ელემენტებითაც, რაც მოწმობს ყურადღების გამახვილებას ამქვეყნიური ცხოვრების საქირბორტო საკითხთა მიმართ.

საკითხის ისტორიის ნათელსაყოფად საქირთა გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი რამეც. რუსთაველის გმირთა მთავარი მამოძრავებელი ძალა ბედნიერებისაყენ მისწრაფება. ბედნიერება ისინი ამქვეყნად აღწევენ. (ამითაც განსხვავდება, სხვათა შორის, „ვ. ტ.“ ნიშამის „ლეილი და მჯანუნისაგან“, იმ პოემისაგან, რომლის გმირებსაც იმქვეყნადლა აუსრულდებათ ოცნება და რომელსაც ხშირად შეუპირისპირებენ ხოლმე „ვ. ტ.“-ს ტიპოლოგიური თვალსაზრისით). რუსთაველილოგიურ ლიტერატურაში გამოთქმული აზრის თანახმად, რუსთაველმა განახორციელა დევნი „ზეციური სასუფევლის ამქვეყნად დამკვიდრებისა“, ის დევნი, რაც წარწერილი იყო რენესანსის დროსაზე. „ვეფხისტყაოსანში“ წარმოსახული „ზეციური მოღელი“, როგორც სრულყოფის უმაღ-

ლესი საფებური, ქმნიდა მსგავსა სრულყოფის ამქვეყნადაც ნიღწევის საფუძველს. ამეკადრებულა ხიდი „ყასა“ და „მიწეს“ შორის, ესპობოდა მათ შორის არსებულთა გავლენაზე წინააღმდეგობა. რუსთაველის შემდგომ სასუკუნეთა მანძილზე აღარ მომხდარა მის მიერ ხორცშესხმული ამ იდეის განვითარება, შინაარსობრივი ევოლუცია დროის ახალ მოთხოვნათა კვალობაზე, რადგან ქართული კულტურა დიდხანს მოკლებული იყო ბუნებრივი განვითარების საშუალებას ისტორიული ქარტახების გამო.

ევროპაში გვიანი რეფორმაციის ხანს გაცხადებდა რელიგიურ სამოსელში გახვეული იდეა „ზეციური სამეფოს დედამიწაზე დამკვიდრებისა“. ეს იდეა ევროპული თეორიული აზროვნების წიაღში იქნეს სოციალურობის ელფრეს, იგებდა სოციალური შინაარსით, ვიდრე ბოლოს გამოკვეთილ სოციალურ კონცეფციად ჩამოყალიბდებოდა.

აზრთა დღეილის იმ ეპოქაში, როცა „კანდილის“ სეკატევის ავტორი დასციინის ლაბინიის თეორიას, ე. წ. „თეოლიციის“ იდეას, რომლის მიხედვითაც ღმერთის მიერ შექმნილი სამყარო საუეტესოა ყველა შესაძლო სამყაროს შორის, ხოლო ცოტა უფრო მოგვიანებით ღმერთს მიაპყრობს იგი, ლისაბონში მომხდარი მიწისძვრის გამო, ღვთის სამართლიანობაში თუ მისი კეთილი ბუნების არსში, ჩვენში დავით გურამიშვილისათვის კვლავინდებურად შეუღახავია უფლის პრესტიჟი; ქრისტიანულ ღმერთს მიაპყრობს იგი, როგორც პოეტი, მსასრებელ მწერას; ღვთის რწმენა მისი ნუგეში და მთავარი მორალური საყრდენი იმ ბოზოქარ ზღვაში, რასაც ცხოვრებას უწოდებენ და რომლის ტალღები ნაფოტივით დაათამაშებენ სამშობლოდან ვატყებულ, მრავალქირგამოვილი მგოსანს. მაგრამ სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ გავითვალისწინებთ იმ კულტურულ ტრადიციას და ისტორიულ გარემოებას, რაც შეაპირებდა დგურამიშვილის სულიერ ფორმირებას.

ბართაშვილის თვალში „ზეცას“ უკვე აღარ გაჩნდა ადრინდელი ძალა და მნიშვნელობა, ცას შორეული ტრფიალების საგნად აღიქვამს, იმ საუფლოდ, სადამიხვას ფიქრით, გონებით ვეღარ მოუღწევია. და თუმცა „უპოვე ტაძარის“ ავტორის ლექსთა ერთ ნაწილს ახლავს ნაწი რელიგიური გრძნობისათვის ნიშნული მელანქოლია, ახლავს ბიბლიური ინტონაცია, მისი ფიქრი უკვე უპირატესად თავს დასტრიალებს ამქვეყნიური ცხოვრების პრობლემებს, პარონული ხვედრის საკითხს. იგი ახალი დროის შვილია, ახალი სულიერი მოთხოვნილებების მქონე, ახალი იდეებით შთაგონებული. უმთავრესი მისი მისწრაფება „ბედის სამძღვრის“ გადალახვაა. „მერანში“ გამოხატუ-

ლი უსაზღვრო ღტოლვა ბარათაშვილის მხედ-  
რისა ბედის საზღვრის მიღმა ნაგულელები აღქ-  
მული მხარისაკენ გულისხმობს არა მხოლოდ  
ეროვნულ ან სოციალურ თავისუფლებას, არა-  
მედ თავისუფლებას ფართო, ფილოსოფიური  
მნიშვნელობით. მთავარი აქ ისაა, რომ ეს და-  
უყოყმელი სწრაფვა მაღალი მიზნისაკენ რეა-  
ლურ სამყაროში ხდება, საბოლოო მიზანთან  
მიახლოების შესაძლებლობა რეალურ სამყარო-  
შივეა ნაგულისხმევი.

„მერანისა“ და „ბელი ქართლისას“ ავტორის  
იდეა, სულისკვეთება აძლევს გეზს, ერთგვარ  
დღეობად იღებდა თერგდალეულთა გონებრივსა  
თუ პრაქტიკულ საქმიანობას. ილია ჭავჭავაძის  
შემოქმედებაში გარკვეულ ეროვნულ და სო-  
ციალურ პროგრამად გარდაიხსნა, დაკონკრეტ-  
და, გაღრმავდა და განვითარდა აზრთა ის მდი-  
ნარება, რაც ბარათაშვილის პოეზიაში, რომან-  
ტიზმის პოეტის კვალობაზე, რამდენადმე ახს-  
ტრაქტული სახით იყო გამოხატული. ხოლო  
„ჩარდლის“ ავტორის იდეები კვებავს ვჟახს  
მსოფლმხედველობას.

ვჟა-ფშაველას შემოქმედებაში რომ ბუნე-  
ბასთან ადამიანის შერწყმის, პარმონიული  
მთლიანობის გრძნობა გამოხატული, თანაც  
იშვიათი სიღრმითა და სისრულით, ამას ბევრი  
მტკიცება არ უნდა, მაგრამ მართოდენ ეს  
პირობა როდი კმარა იმ უნივერსალური მთლია-  
ნობისათვის, რასაც რუსთველისებური სინ-  
თეზის ცნება ნიშნავს. „ვეფხისტყაოსანში“ გა-  
მოხატული სინთეზი აკმაყოფილებს ყველა ძი-  
რითად მოთხოვნას: გამოლიანებულია „ზეთა-  
სოფელი“ და „სოფელი“, რაც პირობადებს  
ამსოფლადვე ბედნიერების მიღწევის შესაძლე-  
ბლობას, ანუ სიკეთისა და მშვენიერების იდეა-  
ლის რეალურად განხორციელებას; სიკეთე  
იმარჯვებს ბოროტებაზე, რითაც ვლინდება არა  
მხოლოდ ადამიანთა შორის მოქმედი ეთიკური  
საწყისი, არამედ უფრო ზოგადი წესი, კანონი  
ყოფიერებისა. ყოფიერების ეს ზოგადი კანო-  
ნი, იგივე კეთილი ღვთაებრივი ნება სრულ-  
ყოფილად გაცხადდება პოემის გმირთა ბუნე-  
ბაშიც. ავთანდილი, ისევე როგორც ტარიელი,  
თავის არსებაში აერთიანებს პარმონიულ დამო-  
კიდებულებას გარესამყაროსთან, ერთგულებას  
ეთიკური იდეალისადმი, რისი შეხებითაც სუ-  
ლიერი სრულყოფის დონემდე მალდდება, და-  
ბოლოს, პარმონიულ რუსთველისებურებს საზო-  
გადოებასთან, რომლის წიაღში ახორციელებს  
საიმდროოდ უმაღლესი სამართლიანობის პრინ-  
ციპებს („შიგან მათა საბრძანისთა თხა და  
მგელი ერთად სძოდვის“).

საიმოსოდ, რომ ვჟახს შესაძლებლობა ჰქო-  
ნოდა, თავის პიროვნულ „მე“-ში და, შესატყ-  
ვისად, მატერულ შემოქმედებაშიც მიიღწია  
იდეალურისა და რეალურის პარმონიული მთლი-  
ანობისათვის, ორი ძირითადი წინაპირობა სქი-

რდებოდა. ჭერ ერთი, გადაჭრილი უნდა ყო-  
ფილიყო ეროვნული პრობლემა, ანუ ის პრობ-  
ლემა, რაც, გასაგებია მიზეზის გამო, არ მდგა-  
რა რუსთველისა და მის გმირთა მხარეში  
უამისოდ პარმონიული მთლიანობის განცდას  
ლაპარაკი, ცხადია, შედეგები იქნებოდა. გადა-  
ჭრილი უნდა ყოფილიყო აგრეთვე საიმდროოდ  
სოციალური პრობლემა. ბარათაშვილს, რომან-  
ტიკული მიმართულების წარმომადგენელს, ჭერ  
კიდევ შეეძლო გულწრფელად ერწმუნა, რომ  
ლიბრეოული გმირის მეშვეობით გამოხატული  
მისი წმინდა სულიერებრივი ღტოლვა თავი-  
სუფლებიანაკენ იყო საკუთარი თავისა და იმავ-  
დროს ადამიანთა კრებულის გამოსწინის უმთავ-  
რესი საწინდარი. ვჟა კი რეალიზმის მხატვრულ-  
ესთეტიკური პრინციპების ბატონობის ხანაში  
წეოდა შემოქმედებით მოღვაწეობას, თავადაც  
რეალისტად გახლდათ და საკითხის გადაწყვე-  
ტას ოდენ სუბიექტური წარმოდგენის სფერო-  
ში ვეღარ დასჭერდებოდა, კემარტად გადაწყ-  
ვეტად ვეღარ მიიჩნევდა. მოწინავე აზრი, საიმ-  
დროოდ რეალისტურ მწერლობაში თავიერილი,  
პიროვნების განთავისუფლების მთავარ პირო-  
ბად საზოგადოების განთავისუფლებას სახავდა.  
იქნებ ვჟა ვერ ამჩნევდა ან არ ამჩნევდა იმ-  
დროინდელ საზოგადოებაში არსებულ წინააღ-  
მდეგობას? ვჟა ფშაველას ესთეტიკური მრწა-  
ლის მიხედვით „გონებას“, „წესიერებას“ გა-  
ნასახიერებს ბუნება, სამყარო, მისი წესი და  
რიგი, მისი კანონი. ბუნების კანონი იმავ-  
დროს გონიერული საწყისის გამოხატულება-  
ცაა. იქნებ ამგვარი გონიერული საწყისის შე-  
საფერისად მიაჩნდა მისი თანადროული საზო-  
გადოებრივი ურთიერთობა ან სწორად არ ეს-  
მოდა საზოგადოებრივი წინააღმდეგობის არ-  
სი? არა, რასაკვირველია. პუბლიცისტურ წე-  
რილში „რა არის თავისუფლება“ დიდი მგო-  
სანი ნათლად გამოთქვამს თავის შეხედულებას  
ამ საკითხზე: „ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, სა-  
დაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი  
განხვავება აქვს დადებული, საცა ყველას გა-  
ნურჩველად წოდებისა და გვარის შრომობისა,  
არ ეძლევა საშუალება პატროსანი შრომით მო-  
იპოვოს პური არსობისა, საცა შრომა ღირსე-  
ულად არ ფასდება, საცა არ არის თანასწორად  
განწილებული ცოდნა, ჭონება“.

ეგებ ვჟახს მხოლოდ ფაქტის კონსტატაცია  
აკმაყოფილებდა და პრობლემის გადაწყვეტის  
პერსპექტივას ვერ ჰკრებდა? მოვიტანთ კიდევ  
ერთ ნაწყვეტს მეორე წერილიდან — „რას  
ჰქვან თავისუფლება?“

„ბედნიერებაწართმეული ნაწილი საზოგადო-  
ებისა (კლასი) ებრძვის მეორეს, რომელმაც მი-  
სი ბედნიერება მიითვისა, \*მისი თავისუფლება

და ქონება. მჩაგვრენი დღევანდლამდინ თავი. სუფლად იქცეოდნენ: ფული, მიწა, ფაბრიკები, ქარხნები, სახლები იმათ ხელშია. ეს სულ მოტყუილებით, მტარვალობით, სხვისთვის თავისუფლების ჩამორთმევით მოიპოვეს. დღეს დაჩაგრულმა ნაწილმა იგრძნო ეს უსამართლობა, აახილა თვალები, გაიღვიძა მის გულში დაძინებული თავისუფლების სიყვარულმა, დღეს იგი ამბობს: დამიბრუნეთ წართმეული ბედნიერება!

თავისუფლება, მტარვალთაგან (უმცირესობა) ხალხისათვის (უმრავლესობა) წართმეული, ბედნიერებაა“.

თავისუფლების (იმავე ბედნიერების) პრობლემის გადაწყვეტლად ვერ გამოიხატებოდა იდეალურისა და რეალურის გარკვეული მთლიანობა მხატვრულ ლიტერატურაში. ამ პრობლემის გადაწყვეტა ვაუასაგან, ისევე როგორც ილიასგან, შედგომ თაობებს ეანდერძა.

ამგვარია „სულხის“ და „სხეულის“ სინთეზის თავისებურება ვაუა-ფშველას შემოქმედებაში.

ვაუა — „ხალხურშობილი“ მგოსანი — ჩვეულებრივ, მთის პატრიარქალური ყოფის ფონზე შლიდა თავისი პოემების მოქმედებას. მისი იდეალური გმირები (მინდა, აულდა, ჭოყულა), თუმცა, სოციალურ სინამდვილისთანავე შეჭახებისას ან ტრაგიკულ მარცხს განიცდიან იდეალურ მისწრაფებათა განუხორციელებლობის გამო, ან წინობრივად იმარჯვებენ და ჰუმანისტური პრინციპებისათვის ბრძოლის მაგალითს იძლევიან.

რუსთაველი ქმნიდა იმ ეპოქაში, როცა მისი წარმომშობი სოციალური სიტუმა განვითარების წინააღმდეგ იყო, ვაუა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იმავე სიტუმის აღსაფარების უამს, მერყევე, გარდაამავალ ხანაში. ამ გარემოებას უთუოდ უნდა მოეხდინა წევგავლენა და მოახდინა კიდევ, რაც გამოვლინდა „იდეალურისა“ და „მატერიალურის“ სინთეზის თავისებურებით დღი მგოსნის შემოქმედებაში.

„სათავეებში“, კერძოდ, მეორე კარის ძირითად ნაწილში, რომელსაც ეწოდება „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული კლასიკური პოეტია“, გურამ ასათიანი იკვლევს საკითხს რუსთაველის პოემის მიმართებისა დასავლურ და აღმოსავლურ კულტურებთან, გამოთქვამს თავისთავად მართებულ თვალსაზრისს (უკვე ტრადიციულად ქცეულს), რომ „ვ. ტ.“, ქრისტიანული კულტურის ნაყოფი, ნაზიარებაა აღმოსავლურ სულიერ დასავლურ, წარმოადგენს დასავლურ-აღმოსავლურ კულტურათა თავისებურ, უნიკალურ შერწყმას. სახელდობრ როგორ ესახება ავტორს ეს შერწყმა, ამას გვაძეცნობს შემდეგი დასკვნა: „რუსთაველის ესთეტიკურ სამყაროში გადაჭარვებულბოლო ხელვინების განვითარების სამივე პეგელისეუ-

ლი სახეობა — სიმბოლური (ძველი აღმოსავლური), კლასიკური და რომანტიკული ფორმები“. ხაზგასმულია, რომ „ვ. ტ.“ში ერთდროულად მოიპოვება „ხელვინების“ თითოეული ამ ფორმისათვის ნიშნდარბოვნი“ თითქმის ყველი ელემენტი და, ამავე დროს, არც ერთი მათგანი არ გამოირჩევა იმდენად, რომ მას დომინანტური მნიშვნელობა ჰქონდეს“.

რაკილა გურამ ასათიანის მსჯელობა ხელვინების ფორმების პეგელისეულ კლასიფიკაციას ემყარება, დანისის საფუძვლიანი კითხვა, რამდენად შეესაბამება ავტორისეული დასკვნა ამ კლასიფიკაციის სქემას?

თავიდანვე გარკვევით უნდა ითქვას, რომ გერმანული ფილოსოფოსის მიერ „ესთეტიკაში“ შემოღებული კლასიფიკაცია უბრალოდ დაყოფა კი არ არის ხელვინების ფორმებისა, სამივე ძირითადი სახეობა ხელვინების განვითარების განსაზღვრულ ეტაპებს ასახავს, ხოლო ეს ეტაპები კაცობრიული ცნობიერების ევოლუციის სხვადასხვა დონეს წარმოადგენს. მთელი სიღრმე პეგელისეული თეორიის მეთოდოლოგიური პრინციპის მნიშვნელობისა აქ ის არის, რომ თავის თვალსაზრისს ამა თუ იმ ფორმის შესახებ პეგელი ასახულებს არა მხოლოდ პოეტის, არამედ — და უწინარეს — მსოფლმხედველობის დონეზე. მისი ესთეტიკური თეორიის მიხედვით პრინციპულად შეუძლებელია არამცთუ სამივე სახეობის, ორი ფორმის ურთიერთშერწყმაც. შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული, ისევე მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის მქონე ელემენტის თანაარსებობა. პეგელი წერს: „კლასიკური ხერხი გამოსახვისა თავისი არსებითი გაგებით აღარ შეიძლება იყოს სიმბოლური ამ სხეულის ზუსტი მნიშვნელობით, თუმცა წვდითი სიმბოლური ელემენტი აქა-იქ კიდევ ასრულებს მასში მეორეხარისხოვან როლს“<sup>1</sup>.

თუ კლასიკური ფორმა ხელვინებისა არსებითად ვეღარ იქნება სიმბოლური (ძველად მსავლური), მით უფრო შეუძლებელია იყოს იგი უფრო მაღალი, ანუ რომანტიკული სახეობა. (რომანტიკულის ეს პეგელისეული გაგება არ უნდა ავტორით თანადროულ ლიტერატურისმცოდნეობის ტერმინში, იმ ლიტერატურულ მიმდინარეობაში, მე-18 საუკუნის მიწურულს რომ წარმოიშვა დასავლეთ ევროპაში და გაბატონდა მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში).

თუ ეს ასეა, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სამყარო ეკლექტიკური ნაწივი ყოფილა და არა გარანული მთლიანობა.

მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ არ გვიდასტურებს ხელვინების სამივე ფორმის ერთიანობას. პეგელის მიხედვით, უპირველესი და არსებითი

<sup>1</sup> Гегель — «Эстетика», т. II. «Искусство», 1969, гл. 144.

ნიშანი, ხელოვნების ერთ სახეობას რომ განსხვავებს მეორისაგან, მსოფლმხედველობრივი საფუძველია. რაკი იგი რელიგიურ ეპოქებს განიხილავს, მსოფლმხედველობრივ საფუძველად რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებანი თუ წარმოდგენება ნაგულისხმევი. რუსთაველის პოემა კლასიკურისაგან უკვე იმ არსებითი ნიშნით გამოირჩევა, რომ ამოსავალი წყარო მისი ავტორის მსოფლმხედველობისა ქრისტიანული მოძღვრების, ქრისტიანული კულტურაა. მისი ღმერთი ერთარსება სამპიროვანი ქრისტიანული ღმერთია. ეს საკითხი რუსთაველოლოგიის განვითარების დღევანდელი დონის კვალობაზე ნადავრო ადარ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც არ იწვევს დავას, რომ რუსთაველი მკაცრი მონოთეისტია. ხოლო კლასიკურ, ბერძნულ ხელოვნებას საფუძველად პოლითეისტური შეხედულება უდევს. აქ დამატებით ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქრისტიანული მრწამსი შეიცავდა ღვთაების განაცემის იდეას, რაც ცნობიერების განვითარების წინა (კლასიკური) დონესთან შედარებით ზრდიდა ამ მოძღვრების აღმართვით, ჰუმანურ შინაარსს. ამ თავისებურების მნიშვნელობის უკეთ გასაგებად უნდა გავიხსენოთ, რომ, მაგალითად, ისლამური მოძღვრების მიხედვით მუჰამედი თავად ი არ არის ღმერთი, მხოლოდ ნაცვლია ალაჰისა ამქვეყნად, მოციქულია მისი.

რაც აქ ითქვა იმ ერთ-ერთ არსებით ნიშანზე, რითაც „ვ. ტ.“ გამოირჩევა კლასიკური ფორმისაგან, მით უფრო მეტი უფლებით შეგვიძლია გავიმეოროთ სიმბოლური, ძველადმოსავლური ფორმის მიმართ, რადგან, თუ კლასიკურ მსოფლგაგებას ანთროპომორფული ღვთაებანი შეესატყვისებოდნენ, ძველადმოსავლური ხელოვნება ისეთ რელიგიურ წარმოდგენებს ემყარებოდა, რასაც ვეგეტაციური და ზოომორფული ღვთაებანი შეეფერებოდნენ.

მაგრამ „ვ. ტ.“-ს მართკ ეს ერთი არსებითი ნიშანი როდი განსხვავებს კლასიკური დროის ქმნილებისაგან.

ბეველი ამბობს: კლასიკურ ხელოვნებაში „აღმართი ინდივიდუალობა ჭერ კიდეც არ ასულა შინაგანი განცდის მწვერვალამდე, სადაც სუბიექტი თავის თავშივე პოვნებს გადაწყვეტილებას, როგორ იმოქმედოს. ის, რასაც სინდის ვუწოდებთ ჩვენიველი ვაგებთ, აქ ჭერ კიდეც არ არის. მართალია, ბერძენთა ხელოვნებისეული აღამართი ხშირად საკუთარი ვენების, კარგისა ან ცუდის, კარნახით მოქმედებს, მაგრამ წყარო ჰუმანიტი პათოსისა, რამაც უნდა აღძრას იგი და კიდევაც აღძრავს, ღმერთებია; ამათი შინაარსი და მოქმედობა შეადგენს ამგვარი პათოსის საყვრელთა ხასიათს. გმირები ან უშუალოდ არიან ალვისონი ამ პათოსით, ან არადა რჩევას ეციობებიან მისანს, როდესაც ცხადივ არ მოვედინებიან

ხოლომ ღმერთები, იმისათვის, რათა უბრალოდ მათ გარკვეული ქმედების აღსრულება“.

მართლაც, კლასიკური გმირის მოქმედებას არამცთუ ღმერთები განაგებენ, ამ გმირების თავისუფლება არამცთუ მათ მტკიცედ საზღვრული, მთელი ცხოვრება გმირისა ბედისწერის კანონს ემორჩილება. ანტიკური გმირების, აგამემნონისა ან ოიდიპოსის ბედი, წინასწარვე, დადებამდეა განსაზღვრული, წინაარის ცოდვა შამამოვალზეც გაღმოდის და ტრაგიკულ ხვედრს განუშვადებს მას.

თუ ამ თვალსაზრისით განვხილოთ „ვეფხისტყაოსანი“, კიდევ ერთი არსებითი სხვაობა შეიქმნება საჩინო.

პოემის საკვანძო კონფლიქტს ქმნის ნესტანის გადაწყვეტილება, რასაც მოსდევს გმირთა ხანგრძლივი ოდისეა და რამაც ვლინდება გმირი ქალის არა მარტო შემართება, დამცვას თავისი არსებითი აღმართი უფლებანი, კერძოდ, სიყვარულისა და ბედნიერებისა, არამედ ნების თავისუფლებაც ახალი, რენესანსული გაგებით. ძალას ამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებისათვის, რაც დაკავშირებულია დიდ ზნეობრივ პასუხისმგებლობასთან, ნესტანი პოულობს მხოლოდ თავის თავში. იგი მთლიანად საკუთარ თავზე იღებს მორალურ პასუხისმგებლობას და მას შემდეგაც კი, როცა უკვე მრავალჭირანაბი, უნუფემო ყოფაშია ჩაჯარდნილი, ოდნავადაც არ გამოთქვამს სინანულს, მხოლოდ ბედს უჩივის და სოფლის სიმშობილეს“ სდებს ბრალს. რუსთაველის გმირები ახერხებენ გადალახონ ბედის საზღვარი, თავადვე გამოსქედონ საკუთარი ბედ-ილაბი, მიადწინონ სიკეთის გამარჯვებას ზეოროტებაზე.

გურამ ასათიანის თვალსაზრისის თანახმად, „ვ. ტ.“-ში სიმბოლური, ძველადმოსავლური ფორმის თანაარსებობას მოწმობს პოემაში გამოყენებული აღმოსავლური წარმომავლობის სიმბოლიკა. პირველ ყოვლისა, იგი მიუთითებს „ი. წ. ახტრალურ ალაზე, რომელიც მთელ პოემას გასდევს“.

მაგრამ რას გვიდასტურებს ასტრალური სიმბოლიკა? ავთანდილის ცნობილ მიმართებებში მზე მიჩნეულია ღვთაებად კი არა, მხოლოდ „ხატად ღმერთისა“. რუსთაველი რომ „ასტრალურ პლანში“ უხედებს რელიგიურ-მითოსურ წარმოდგენებს იზიარებდეს, მაშინ მზე გაღმერთებული სახით უნდა წარმოედგინა. თანაც მზე კი არ უნდა დაესახა მთავარ ღვთაებად, არამედ მთვარე, რადგან ჩვენი შორეული წინაპრების წარმოდგენით მთვარე იყო მთავარი ღვთაება. ხოლო რაკი ეს ასე არ არის

1 დასახელებული ნაშრომი, ტ. II, გვ. 170.

თენგიზ ჩხაიძე  
„სინახლე ორბის“



და არც გურამ ასათიანი ცდლობს „ვ. ტ.“-ის სიმბოლიკის ამდაგვარად გააზრებას, რაკი ისიც თვლის, რომ სიმბოლოები პოემის ფორმისმიერ ელემენტებს შეადგენს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ვ. ტ.-ში“ სიმბოლიკა პოეტის დონეზე გამოყენებული. შვე და შთავრა, ისე როგორც სხვა ატრიბუტები, აქ უპირატესად ტროპის სახეობანია: შედარება ან მეტაფორა. მართოდენ პოეტის ელემენტების გამოყენება კი — თავშევი ვთქვით — არ იძლევა საკმარის პირობას საიხოსად, ხელოვნების ორი ფორმის (მით უმეტეს სამის) ურთიერთშერწყმა თუ თანაარებობა ვამტკიცოთ.

„ვ. ტ.“-ში არის, რა თქმა უნდა, კლასიკური ხელოვნების ზოგიერთი ელემენტი, მაგალითად, სიმამაცის კულტი, ოღონდ — საგრძნობლად ტრანსფორმირებული. ვიმამაცე აქ შეიცვალა არა მხოლოდ სიუჟეტისადმი ვასალური მსახურების გაგებას, რაც ნიშანდობლივია შუა საუკუნეების სარაინდო რომანისათვის, არამედ უფრო მეტად მსახურებას იდეალური სიუჟეტის კულტისადმი. „ვ. ტ.“ ანტიკურ პოეზია ერთეულად იმითაც, რომ, მიუხედავად ამბავთა სიმრავლისა, მისი კომპოზიცია საკრად მწყობრია, საშაროს აღქმა აქ მარმონიულია. ოღონდ კომპოზიციის ამ სიმწყობრეში, აკადემიის ნ. კონრადის შენიშვნით, ცნაურდება ის რაციონალიზმი, რაც ახასიათებდა რენესანსის მოდერნიზმს და ამ ეპოქის აზროვნების სტილს.

იმ აზრის დასადასტურებლად, რომ რუსთაველის პოემა ჰეგელის ესთეტიკური თეორიის მიხედვით განკუთვნიება ხელოვნების რომანტიკულ ფორმას და ამით არის შეპირობებული მისი მხატვრული საშუაროს პარმონიული მთლიანობა, შეიძლება კიდევ მოგვეტანა ზოგიერთი საბუთი, მაგრამ, ვფიქრობთ, შემოთქმულიც სავარსია.

„ვ. ტ.“-ზე მსჯელობასთან დაკავშირებით უნდა მივუთითოთ ორიოდ უნებლიე უზუსტობაზე, წიგნში რომ გვხვდება.


109-ე გვერდზე, კონტექსტისა და მოხმობილი ციტატის მიხედვით, ნაგლისხმევია პოემის ის ეპიზოდი, სადაც ნეტანის და ტარიელი თათბირობენ ზვარაზმელი სასიძოს მოკვლის თაობაზე. ნათქვამია, რომ ეს იყო მიჯნურთა პირველი შეხვედრისას. პოემის მიხედვით ნეტანი და ტარიელი ამ ეპიზოდში მესამედ ხვდებიან ერთმანეთს პირისპირ, წინა ორი შეხვედრა ჭერ კიდე ტარიელის ხატეთს გალაშქრებაშიდ მოხდა, ისიც სათვალავში თუ არ ჩავაგდებათ უფრო აღინიშნულ ეპიზოდს, სადაც ნეტანის ხილვისას ტარიელი დაიბნელება.

115-ე გვერდზე წერია, გულანშაროდან წამოსული ავთანდილი ხატრფოსთან შესაურელად მიეშურებოდაო. სინამდვილეში, გულანშაროდან, ე. ი. ფატმანისგან წამოსული ავთანდილი იქპარის თინათინთან კი არა, ტარიელთან შე-

სახვედრად, რათა ახაროს ნეტანის პოემის ამბავი და გადასცეს მიჯნურის წერილი.

ქართული ხასიათის მრავალმხრივობა და პოლუსურ საწყისთა უკეთ წარმოსახვად გურამ ასათიანი კარგად იყენებს შიოთოსურ, ლიტერატურულ თუ ისტორიულ პირთა შეპირობების ხერგს. მისეულ პერსონაჟს რიგს უთუოდ უნდა შეემატოს, სურათი რომ უფრო სრული შეიქნეს, კიდევ ერთი წყვილი. ეს არის ქართული რაინდული ბუნების განმასახიერებელი — ავთანდილი, ხლო მეორეს მხრივ, თადლითისა და ავანტიურისტის კლასიკური ტიპი — ევაკი ევაპანტირადე. ამ ორი ლიტერატურული გმირის შეპირობება საჭიროა ქართული ხასიათის თავისებურების უკეთ გამოსახვლენად. აქ არ არის საშუალება, ვცვლად განვიხილოთ ეს ანტიპოდური წყვილი. შევეცადებით, მოკლედ ვთქვათ სათქმელი.

ავთანდილის ზნეობრივ-პრაქტიკული გმირობის ფასი რომ გავივით, კარგად უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი, არსებითად, ხელს იღებს საკუთარ ბედნიერებაზე, რათა სხვისი ბედის საქმერად გემართოს ფათერკიან გზაზე. ეს ისეთი „უგუნური“ განზარაზვა გარემოცვითა თვალში, რომ როსტევან მეფისთვისაც კი, „მადლი, უხვი, კრათული“ როსტევანისთვისაც გაუგებარია. როცა ქრთამით მოსუილული ვეზირი ბოლოს და ბოლოს გაბედავს და ავთანდილს სამოციქულოდ მიეგზავნება მეფესთან, გააფთრებული როსტევანი, ავთანდილის განზარაზვის შემტუბი, სკამს შემოსტურცნის და უკანვე გამოაგდება ვეზირს. ერთადერთი თინათინია, ვინც უუყუმაოდ მოუწონებს თავის მიჯნურს გადაწყვეტილებას („შენ არ-გატეხა კარგი გჯირს ზენარისა, ფიცისა“). ავთანდილის მოქმედებას როდ განსაზღვრავს მართოდენ რაინდული ღირსების გრძნობა, არ გატეხოს მმადნაფიცისადმი მიცემული სიტყვა, არ დაარღვიოს რაინდული ეტიკეტი. თავის გადაწყვეტილებაში იგი უფრო ღრმა აზრს ხედავს. სიუჟარული აღგვამალებსო, რომ ამბობს, აქ ის, როგორც მკვლევარნი მიუთითებენ, პავლე მოციქულის სიტყვებს ემყარება, ამოსავად წყაროდ ქრისტიანული მოძღვრება აქვს. მაგრამ მოყვანის სიუჟარულის მცნება იგი ამდიდრებს, ახალი შინარსით ავსებს. ქრისტიანული მრწამსით, მოყვანის სიუჟარულის უმადლესი დადასტურება ის იყო, რისთვისაც მაცხოვარი ეწამა. მაცხოვრის თავშეწირვის საკრალური აქტი ნიშნავდა ადამიანის პირველოცვის გამოსუილვას, სხვათა სულის განწმენლვას თუ ხსნას. ეს იყო უპირატესად სუბიექტური ცნობიერების, რწმენის სფეროში განხორციელებული ზრუნვა სხვათათვის. ავთანდილის სრული მზადყოფნა თავგანწირვისათვის — მისი გადაწყვეტილება კი სწორედ თავგანწირვას უდრის — მიზნად ისახავს მოყვანის ქმედითი სიყ-



ვარდლის გამოვლენას, სიამისოდ ზრუნვას, რომ თანამომემ აქ, „მიწაზევე“, დაიმკვიდროს ბედნიერება. ეს გზა წინგობრივი სრულყოფის გზადაც არის დასახული. როსტკევან მეფისათვის განკუთვნილ „ანდერძში“ ავთანდილი არამცთუ პატივს მიატოვებს თავის საქციელს, გარკვეული აზრით, ახალ წინგობრივ ნორმადაც ამკვიდრებს და, პირველ ყოვლისა, ცდილობს თვით როსტკევანს არწმუნებინოს ამ ნორმის მაღალი ეთიკური ღირებულება. მთელი ის პათოსი რომ შევიგრძნოთ, რა პათოსითაც „ანდერძი“ დაწერილი, ავთანდილი უნდა წარმოვიდგინოთ არა ბრტყელების მშვიდ პოეზიაში, ბრტყელებისა, მწამწარეული აზრის მარგალიტებს რომ აფრქვევს, არამედ ექსტრაზით შეპურებული, აღტყინებული, შინაგანად მოპაექრე, როსტკევანსაც რომ არწმუნებს თავისი საქციელის სიმართლეში და ქვეშევსდნულად თითქოს თავის თავსაც განუმტკიცებს ამ სიმართლის რწმენას, რადგან, რაც უნდა იყოს, ავტო იოლად როდი ეთმობოდა სატრფო, საშობლო, დაღმინებული ცხოვრება, პათოვი და დიდება.

ავთანდილის კრედა: ზრუნვა მოძმის ბედნიერებისათვის საკუთარი ბედნიერების საწინააღმდეგო. უფრო მოკლედაც ითქმის: აბედნიერე — იბედნიერეს ამ კრედას იგი სიტყვივითაც და საქმიანაც ადასტურებს.

კვაჭი კვაჭანტირაძე სრული ანტიპოლია ავთანდილისა. წმინდა გარეგნული ნიშნებით ემსგავსება კიდეც: თვალტანადა, მოხერხებული, ლალი, გასაპირში ნირსმუცუკლილი. შეიძლება სიყოლიდევ გამოიჩინოს („დემირ-თეფეს გმირი“). მაგრამ ამ გარეგნული ფორმის შინაგანი ისე განსხვავდება ავთანდილისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან. კვაჭი კვაჭანტირაძის დევიზია: „ცხოვრება ბრძოლა. რასაც წაგლეჯ — შენია, რას არა — აკარგულია“. უპირველეს ყოვლისა — პირადი სიამოვნება, ფუფუნება, დროსტარება, ქალი. რადგან ყოველივე ამას ფული სჭირდება, კვაჭის მთელი უნარი, მოხერხება, ენერჯია, საზრიანობა აქეთენაა წარმართული. არ არის ისეთი საშუალება, რის გამოყენებასაც ამ მიზნით მოერიდოს, თუნდაც დიდი სახელმწიფოებრივი დანაშაულის ჩადენა მოუზღდეს (უფარგისი საომარი იარაღის შესყიდვა ამერიკაში), თუნდაც წვრილმანი ბაცავობა იყოს (ბზის კოვზის ამბავი). არც ისეთი მორალური ნორმა არსებობს, სიღმისის უქნეწნულად არ გადალახოს, გულარხეინად არ დადგეს „ქეთილის და ბორკის მიღმა“. სწორედ ნიცშესული „ბავშვის“ გულბრწყვილობით, სიხალისითა და თამაშ-თამაშით სჩადის რავინდარა აკვაცურ საქმეს, რავინდარა სიმდაბლეს. ოღონდ სულერთი როდია მისთვის, ხალხში რა სახელი ექნება, თაღლითისა თუ კეთილისმყოფლისა. საქველმოქმედოდ თანხას რომ გაიღებს, ამას იმისთვის აკეთებს, გაწეობმა მაშინვე ქება-


დიდება შეახანს საქვეყნოდ, რა არის საზოგადოების თვალში მაზანდა აქნისო. როცა დამშეულ თბილისში პურის საგულატირებულ მოითბობს, თან მხას გაავრცელებულ ლაქში, კვაჭი კვაჭანტირაძე რომ არა, თბილისელები შიმშილით ამოწყვდებოდნენო. იგი გარეგნული ბრწყინვალეების მოყვარულია. კვაჭანტირაძე კი არ არის, პრინცი კვაჭანტირაძეა. ესაა „გაარისტოკრატიული“ მდაბიო. თუმცა ერთადერთი არისტოკრატიული მანერა, ალბათ, ისა აქვს, რომ ლაშაზი ქალის ყადრი იცის და გულის საწადელის ასახრულებლად ფული არ ეშვება.

კვაჭი კვაჭანტირაძე გაცილებით უფრო რთული მხატვრული სახეა, ვიდრე თაღლითის ის ტიპი, ცოტა უფრო მოგვიანებით იღვდა და პეტროვმა რომ შექმნის იმის საბჭოურ მწერლობაში. „დიდი კომბინატორი“, ოსტაპ ბენდერი, მამა აბრამის ბატკნად გამოიყურება კვაჭთან შედარებით. იგი ერთნინადად ხასიათის მქონე, მარტივი პრინციპის მიმდევარი. ფულის წასართმევად, ჩვეულებრივ, „მდიდარ იდიოი-დულუს“ უნდა მიავნოს. ასე ვთქვათ, ექსპროპრიატორის ექსპროპრიაციას ახდენს. კვაჭმა ამ მხრივ ვარჩევა არ იცის.

ერთმა ლიტერატორმა კვაჭი კვაჭანტირაძე ჩიტირეკიად მოხსენია.

ეს არ არის სწორი. კვაჭანტირაძის ქარაფშტობა უწყინარი, უვნებელი რამ თვისება როდია. კვაჭანტირაძეობა უფრო საშიშია, ვიდრე თათქარბეობა, რაიც ისე ვერ იქცევა ხუნად, თუ სოციალური მუქთახრობის ნიადაგი არ შეიქმნა. კვაჭანტირაძე დაბალი ფენებიდან იკვალავს გზას, ენერჯიულობა და ხერხიანობა მოსდგამს. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო იმით, რომ არაფერს, ან თითქმის არაფერს თესავს, მომკით კი უხვად იმკის, მარტოოდენ ამითაც გამხრწნელ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაზე. საგულისხმირია: ქართველი რომ ვინმეზე იტყვის, კვაჭი კაციაო, ჩვეულებრივ, იმგვარი კილოთი იტყვის, გინდაც შეექვს, გინდაც ეთქვას, ყოჩაღი, შნონიანი კაცი არისო. ნურც ის დავაჯიწყდება, რომ კვაჭი მარტოდენ აქტიური ქველბის კაცი როდია, მას საკუთარი „იდეოლოგია“ აქვს. აი, როგორ გამოგვეცემს თავის ცხოვრებისეულ ფილოსოფიას: „ამქვეყნად ზოგი უნაგირით იბადება, ზოგი კი დეზებით და მათრახით. მე დეზი და მათრახი მიჩვენია, დეე სხვებმა უნაგირი ატარონ. ასე უთქვამს თურმე ვოლტერს“. შესაფერისი აქვს ლატკაც: „პოლიტიკა ძლიერ წააგავს ძროხას. ზოგნი მას ამოვებენ, ზოგნი კი სწველიან. ჭკვიანი კაცი არც სისხლს გიემეტებს და არც ოფლს დაღვრის ძროხის დევ-

თენგიზ ჩხაიძე  
„სიხალე ორბი“



ნაში. დღე გიუბნება სიღონ მას და აძოვონ, ჩვენ კი მისი კარაქით გავსუქდეთ. ხოლო ძროხის მოწველას ბევრი არაფერი უნდა: დოჟუყავე, გოჟუცინე, გეიშინაურე. აი, ეს არის ერთადერთი ტეკვიანი პოლიტიკა. ნურც ძროხის ფერს იკითხავთ: თუნდ შვეი იყოს, თუნდ თეთრი, თუნდ წითელი. ნურც გაბრახებ, თვარა დაგწიხლავს და აღარ მოგაწველებს“.

ამგვარი ტაქტიკისაგან მომდინარეობს კვაკის დემოგოგობა და შენიღბვის უნარი. არაფრად უღირს, დროისა და გარემოების შესაფერიხად, დღეს ერთი ილაპარაკოს, ხვალ — სულ სხვა. ოდენსიკენ გემით მიმავალი, როცა თავისიანებთან ერთად ქეიფობს და სადღეგრძელს ამბობს, ხობტას ასხამს „ტურფა საქართველოს“, ბუნებით რაინდ ქართველებს, სულ ცოტა ხნის წინ კი უცხო ტომის დაამიანთა წინაშე საქართველოს გინებით იქაქებოდა, რა არის მათი გული მოეგო და როგორმე გაშინაურებოდა.

კვაკი კვაკანტირაძის სამშობლო იქ არის, სადაც კარგად და ლაღად ეცხოვრება. სიმბოლური აზრის მქონეა, რომ მიხეილ ჭავჭავაძემ თავის გმირს უცხოეთს გადახვეწა და, ილიასეულ თათქარობისა არ იყოს, უშვილძირობა, უნაყოფობა არგუნა.


კვაკი კვაკანტირაძისაგან, ერთი შეხედვით. აშკარად განსხვავდება თანადროულ ჩვენს მწერლობაში შექმნილი მეჩამურეს ლიტერატურული ტიპი. ისიც იმავე პერიოდს განეკუთვნება, XX საუკუნის დამდეგს, მაგრამ, როგორც მხატვრული სახე, თავისი მნიშვნელობით სცილდება, ცხადია, განსაზღვრული ისტორიული პერიოდის ვიწრო ქრონოლოგიურ ფარგლებს. მეჩამურეს პრინციპია: „არცაყი არცაყე ნაკლები არაა“ ეს თითქმის თანასწორობის ლოზუნგია და უნდა განსხვავებულ კვაკისგან, რომელიც კასტური იერარქიის მომხრე დევდვინება. სინამდვილეში, მეჩამურესებურად გაგებული სხენებული ლოზუნგი ნიშნავს გამათანაბრებლობის მოთხოვნას და არა თანასწორობის იდეას. მეჩამურეს წყაიდა, ახლად, დაუყოვნებლივ, გაუ... აგი სხვებს, განურჩევლად ავტორიტეტისა, სულ ერთია, ვინც უნდა იღებს ამ ავტორიტეტის მიღს თუნდაც თვით ერის მამა, ილია ჭავჭავაძე იყოს. გავთანაბრდეს მატერიალურადაც, მორალურადაც, უფლებრივადაც. ასე ესმის მას ახალი დროის მიერ წამოყენებული სამართლიანობის პრინციპი. სინამდვილეში კი, პირად სარგებლობისაგან გამორდებული, ისიც ისევე თამამად და უქენწელად გადალახავს „კეთილისა და ბოროტის“ მიჯნას, როგორც ამას კვაკი კვაკანტირაძე იქმოდა. განსხვავება, არსებითად, ის არის, რომ ბინძურ საქმეს მაღალი პრინციპის დროშას ამოფარებულნი სჩადის.

„სათავებობს“ პირველ კარში გურამ ასათი-

ანი აუალიბებს ამგვარ დებულებას: „გონებისა და ცოდნის, როგორც ანტიკურად ანტიკურ მემკვიდრეობისა და ანტიკურ მემკვიდრეობის განხილვის პოზიციის ბარათაშვილის სახელთან არის დაკავშირებული“. შემდგომ, უკვე უშუალოდ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი თავში, თანმიმდევრულად ავითარებს ამ დებულებას, მაგრამ, როცა ბოლოს „მერანის“ ანალიზს ახდენს, დასკვნის, თავის ამ შედეგში პოეტმა გონებისა და რწმენის შეერთება შეძლო. „მერანში“ გამოხატული სულიკვეთისა რომ გონებისა და რწმენის ერთიანობას ააშკარავებს; ეს, რა თქმა უნდა, სწორია. ოღონდ აქ აღიძვრის კითხვა: როგორ მოხდა, რომ პოეტმა, რომლის შემოქმედება გონების უარყოფის ნიშნით წარმართა, თავის დამავგირგვინებულ ქმნილებაში, გონების რეაბილიტაცია მოახერხა და რწმენასთან მისი შეერთება შეძლო?

გონების ანტიკვეთედ გაგება, ავტორის აზრით, განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს პოეტის შემოქმედებითი გზის ორი ისეთი ნიშანსვეტის მიხედვით, როგორიცაა, ერთი მხრივ, 1882 წლის შეთქმულების მარცხის მხატვრული ათვისების ფაქტი (პოემა „ბელი ქართლისა“), ხოლო, მეორე მხრივ, ლექსი „სულ ბოროტო“, გურამ ასათიანის შეხედულებით, ამ ლექსში ბოროტ საწყისად გონებაა წარმოდგენილი, „სული ბოროტი“ იგივე გონებაა. რადენად მართებულია ამგვარი თვალსაზრისი?

„წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“ ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ შეეხო ლექსს „სული ბოროტი“. მისივე შეხედულებით, ეს „სული ბოროტი“ იგივე „ხმა იღუმალია“. ილიას აქ მხედველობაში აქვს ამავე სათაურის მქონე ბარათაშვილის ადრინდელი ლექსი (1886 წ.), რომელშიც საწყისი სახით დამუშავებულია „სული ბოროტი“ მოტივი. მაშინ პოეტმა არ იცოდა, ანგელოზისა იყო ის ხმა თუ მაცთუნებელი ეშმაკისა. მაგრამ სულიერი ბიოგრაფიის იმ ეტაპზე, რასაც შეესატყვისებოდა ლექსი „სული ბოროტი“ (1848 წ.), უკვე გაიხსნა საიდუმლო, გაირკვა, რომ ის „ხმა იღუმალი“ იყო არა მფარველი ანგელოზისა, არამედ ეშმაკისა, „ბოროტი სულისა“. ბედმა, რაც თავისუფლებას უქალდა ამსოფელად, უმტყუნა პოეტს, არ შეუძლარა დანაპირები. ამგვარ სულიერ ყოფას მოჰყვა ის თავგანწირული სულიკვეთება, ის გიჟური ლტოლვა „ბედის სამძღვრის“ გადასალახავად, რაც გამოხატულია „მერანში“. ასეთია ილიას თვალსაზრისი. „მერანში“ რომ ერთი წლით აღრეა დაწერილი, ვიდრე „სული ბოროტი“, ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, რადგან მხატვრული ქმნილების შექმნის თარიღი ყოველთვის ქრონოლოგიური სიზუსტით როდი ასახავს შემოქმედის სულიერი ბიოგრაფიის ამა თუ იმ ეტაპს. ეს „იდუმალი ხმა“ იგივე „შინაგანი ხმა“, ბარათაშვილი რომ მო-



ისხენიებს გრ. ორბელიანისათვის გაგზავნილ ცნობილ წერილში, სადაც ამბობს, მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკუთესოს ზვედრისაკენ და სადაც „სული ბორბოც“ არის მოყვანილი, ლექსი, რომელიც წარმოადგენდა წერილში გამოქვეყნებულ სულიერ განწყობილებათა ერთგვარ პოეტურ გარდაქმას.

ილიასელი თვალსაზრისით, რაიც დასაბუთებულ თვალსაზრისად მიგვანია, აშკარაა, „ბოროტი სულის“ გაიგივება გონებასთან საფუძველსაა მოკლებული.


რადღე დიდი ზეგავლენა მოახდინა 1882 წლის შეთქმულების მარცხმა „ბელი ქართლისა“ ავტორის მსოფლმხედველობასა და მთელ მის შემოქმედებაზე, ამის შესახებ სიტყვის გაგრძელებას ზედმეტად ვთვლით. გურამ ასათიანის აზრით, შეთქმულების მარცხის მხატვრულ-ესთეტიკურ გაცნობიერებას პოეტის მიერ ის თავისებურება ახლდა, რომ ეს ფაქტი მიჩნეულიქნა დადასტურებდა გონიერების, გონიერული საქმიანობის კრახისა საერთოდ. გურამ ასათიანი, მართალია, პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ მისი მსჯელობის მიხედვით ცნაურდება, თავისთავად იხადება აზრი იმ მნიშვნელობათა ანალოგიურობისა, რაც ჩვენში ბარათაშვილისათვის ჰქონდა 1882 წლის შეთქმულების მარცხს, ხოლო დასავლეთეუროპულ რომანტიკოსთათვის — საფრანგეთის დიდი რევოლუციის პრიციპითა დამარცხებას. მაგრამ სხვაობა ამ ორ მოვლენას შორის არსებითაა: საფრანგეთის რევოლუციამ პრაქტიკულად ნათელყო, მთელ დასავლეთ ევროპას დაანახვა, რამდენად შეესაბამებოდა ახალი სინამდვილე განმანათლებელთა მიერ აღთქმულ „გონების სამეფოს“. რაც შეეხება 1882 წლის შეთქმულებას (ალარაფერი რომ ვთქვათ ამ ორი მოვლენის შინაარსობრივ ურთიერთშესატყვისობაზე), ის ძირშივე აღკვეთს, მანძილ, ვიდრე „აქტი გონების“ განხორციელების შესაძლებლობა ან შეუძლებლობა დამტკიცდებოდა. მაგრამ წიგნის ავტორი უფრო შორს მიდის. მისი აზრით, ეროვნული ტრაგედიის ამ ფაქტში ბარათაშვილისთვის ცხადდებოდა უფრო ზოგადი, უნივერსალური კანონი ყოფიერებისა, ცხადდებოდა ამ კანონის არაგონიერულობა. ვფიქრობთ, ეს თვალსაზრისი ვერ არის მაინცდამაინც დამაჩრებელი. ასეთი ფილოსოფიური განვითარება ხსენებული ფაქტისა, მისთვის უნივერსალური მნიშვნელობის მინიჭება ნამაღდადვი ჩანს. ბარათაშვილის, ამ უდიდესი რომანტიკოსი პოეტის, შემოქმედებაში რომ წუთისოფლით უკმაყოფილების, ამოცების მოტივი მძაფრად ვერის, ეს ცხადია. მანვე ღრმად, ფილოსოფიურ დონეზე დასვა ცხოვრების ღირებულების საკითხი. მაგრამ ცხოვრების მიღება-არმიღების განსჯისას მისი მიღების საჭიროება აღიარა („ფიქრნი მტკვრის პირას“). თუ ვცნობთ, რომ ბარათაშვილი სწვდა სამყაროს

ობიექტურ კერძობას, უგუნურად მიიჩნია იგი, რის გამოც დაუპირისპირდა გონებას, უარყო მისი ძალა და მნიშვნელობა, მაშინვე სწვდა ვცნობ, რომ მისი ცნობიერება, უკმაყოფირობა, ნაღისმის გზით წარმართულა და სინამდვილის შეცნობის კრიტიკიუმად სუბიექტური კერძობების მიგნება დაუსახავს.

მაცნე როგორ ახერხებს პოეტი, ვინც აქამდე გონებას ანტისიკედიურად მიიჩნევდა, გონებისა და რწმენის შერთებას „მერანში“ და, წიგნის ავტორის თქმით, „ადამიანის მომავალი გამარჯვებისა და ზეიმის განვერტებას“?

პოეტის ეპოქას სჭირდებოდა წინათგანობის, მისთვის ნათელხილვის, თავდაუწყებელი რწმენის გენია და ამ მისიის შესრულება ხელაწილად ბარათაშვილსო, წერს გურამ ასათიანი, რა შინაარსს უნდა შეიცავდეს ეს „მისნური ნათელხილვა“, ამაზე ცოტა უფრო გარკვეულ წარმოდგენას გვიძნის ის ადგილი წიგნის ბოლო, ვთას შემოქმედების განხილვისადმი მიძღვნილი, თავისა, სადაც ერთიმეორეს შეპირისპირებულია ვეუა-ფშვევლას ესთეტიკური კრედილ და ბარათაშვილის რომანტიკული მსოფლგაგება. აქ, კერძოდ, ნათქვამია: „ბარათაშვილი ხსნას ადამიანის სულის ამბოხში ხედავს, „ბედის სამძღვრის“ გადალახვას ისახავს უმაღლეს მიწნად, რადგან ყოფიერების კანონი უგუნური კანონია, ხოლო პარმონია, როგორც იდეალი, მხოლოდ ტრანსცენდენტურ სამყაროში სუფევს“. აქედან ის აზრი უნდა გამოვიტანოთ, რომ „მერანში“ გამოხატული სწრაფვა იდეალური სინამდვილისაკენ ნიშნავს სწრაფვას ტრანსცენდენტური სამყაროსაკენ. მაგრამ ტრანსცენდენტური სამყაროს განიხილვით წვდომა, როგორც ცნობილია, შეუძლებლად არის მიჩნეული. ეგების, აქ იგულისხმება მისტიკური ხილვა „სამუღამო მხარისა“ და მისკენ ლტოლვა. მაგრამ ამგვარ კავშირს თუ ზიარებას რეალურ სივრცეში ფიზიკური გადაადგილება, ხოლო ბარათაშვილის მერანი რომ რეალურ გარემოში მიქრის, თანაც შუასკენელი და არ მიემართება ზესკენლისაკენ, ამის უარყოფა შეუძლებელია. ამგვარ წინააღმდეგობაში გვაქცევს აზრობა ეს ხვეული, თუ ამ ხვეულს ბოლომდე გავყვებით, ისიც უნდა ვთქვათ, რომ „მისნური ნათელხილვა“ მარმონიული სამყაროელ პირველდასახამისა, საცა გონების მიერ შეცნობილი კანონი ყოფიერებისა უგუნურად მიგვანია, შეიძლება ემყარებოდეს საკუთრივ რწმენას, გონება კი, როგორც პრინციპულად ხელის შემშლელი, უარყოფილ უნდა იქნეს. არადა, გურამ ასათიანის მართებული შეხედულებით, „მერანში“ გონებისა და რწმენის ერთიანობა შეღავნ-

თენგიზ ჩხიძემ  
„სიხლი“ (იბრის)



დებდა. ამრიგად, აქაც კვლავ მოურჩიებელ წინააღმდეგობას ვაწყდებით.

ამ წინააღმდეგობების თავს დავადწევთ, „მერანსა“ და „სულო ბაროტოს“ შორის ხილის გაღვინას შევძლებთ, თუ დავესხნებით უმარტივებულ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც ბარათაშვილი გონების ძალმოსილებაში დაექვდა, ცოდნათან ერთად ანტიიესიეთელ დასახა იგი და მის უარყოფამდე მივიდა. „მერანს“ ლიბერალური გმირი მიიღტვის იდეალური თავისუფლების სამყაროსაკენ, იმ თავისუფლებისა, რასაც ბედი ამსოფლად ჰპირდებოდა პოეტს და, რასთანაც მიახლება, როგორც სანუჯვარ კაცობრიულ მიზანთან, ამსოფლადვე მიახნია შესაძლებლად.

ბარათაშვილი იყო სოლომონ დოდაშვილის, განმანათლებლობის იდეებით შთაგონებული ამ შესანიშნავი მოღვაწის, ნამოწფარის; სიუმაწვილისას თავისი მასწავლებლის კეთილნაყოფიერი გავლენა განიცადა და, რაც ერთხელ ცხოვლად დააჩნდა პოეტის სულს, არ წარხოცილა საბოლოოდ, არ გამქარა უკვალოდ. მიუხედავად იმისა, რომანტიზმის ესთეტიკა დაუპირისპირდა განმანათლებლურს და უარყო იგი, ეს უარყოფა არ უნდა გავიგოთ უადრესი აზრით. ასევე გრძნობის კულტის გაბატონება რომანტიკულ მიმდინარეობაში არ მომხდარა ყველგან და თანაბრად გონების უარყოფის ბარჯზე. მით უფრო ჩვენში. ამგვარი დაპირისპირებისა და უარყოფის აბსოლუტური მნიშვნელობით გაგება, ხელოვნური სქემის კონსტრუირება შეიძლება შეცდომათა წყარო შეიქნეს.

ილია ქავჭავაძე წერდა: „ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულთათქმას, ჩვენს ჭკუაგონებას დიდი ვანი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზარედ გაუხადა და კაცობრიული წყურვილის მოხაყლავ წყაროს ქართველიც დააწაფა“.

ბარათაშვილის სულის უსაზღვრო ღტოლვა, რომანტიზმისეული ესთეტიკის შესაფერისად, აბსტრაქტული სახით წარმოდგენილი მაღალი მიზნისკენ ღტოლვაა. ილიამ და მისმა თაბამ რელიეზმის პრინციპთა შესატყვისად გარდაქმნეს და ახალი ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად განავითარეს წინამორბედისგან მიღებული იდეური მემკვიდრეობა. ილიას „აჩრდილში“ თავისუფალი ადამიანის იდეალი უკვე გარკვევით, არსებითი ნიშნების მიხედვით არის წარმოსახული და მითითებულია მისკენ მიმავალი გზაც. მებწოლად ურადლებას მიატყვევენ პოემის XIII თავს, სადაც „შრომის ახსნის“ იდეა გატარებული. ილიას შეხედულების თანახმად, შრომის განთავისუფლება სასუალებია, წინაპირობა, მიზანი კი თავისუფალი ადამიანის აღზრდაა. ამ ახალი, ზნეობრივად სრულყოფი-


ლი ადამიანის იდეალი პოემის მომდევნო, XIV თავში, ასეა წარმოდგენილი:

სხვის ძირს არ დასწევ, თვით აღზადდები, არც ვის ემონვი და არც იზრნებ.

ამრიგად, შრომის განთავისუფლების პრობლემის გადაჭრა ქმნის შესაძლებლობას, გადაიჭრას პრობლემა ადამიანის ზნეობრივი სრულყოფილებისა, რაც განუყოფელია პიროვნების თავისუფლების თანამედროვე გაგებისაგან. „აჩრდილში“ გამოყვანილი „უფალი“ და „მონა“ ზოგადი მოდელია დაპირისპირებულთა თუ შეპირისპირებულთა წყვილისა, რომლის პირველსახედ, არქეტიპულ წყვილად ილიას შემოქმედებაშივე შეგვიძლია მივიჩნიოთ გაბროსა და დათიკოს შეპირისპირებული სახეები, სადაც გაბრო დათიკოს ძალმომრეობისა და უსამართლობის ტრაგიკულ მსხვერპლად გვევლინება („გლახის ნაამბობის“ პირველი ვარიანტი შესრულებულია 1859 წ.). ილიას ღრმავაროვანი კონცეფციის მიხედვით, „უფლისა“ და „მონის“ გათიშულობა, დაპირისპირებულობა თავის თავში შეიცავს ერთნული თვალსაზრისით ისეთ იდეალურს შვენიერად პრობლემას, როგორცაა „ჩატეხილი ხილის“ პრობლემა. ხილის გამოთლიანების დონე და ხარისხი იმავე დროს მაჩვენებელია ერის ნამდვილი ძალმოსილების, შინაგანი სიჭანსაღისა და ზნეობრივ-ესიქოლოგიური ერთიანობისა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის იგივე პრობლემა „სულიის“ და „სხეულის“, იდეალური და მატერიალური საწყისების ურთიერთგამსკვალვის, გაერთიანებისა, რისკენაც ღტოლვა, გურამ ასათიანის მიერ „სათავეებში“ გამოთქმული სრულიად მართებული შეხედულების თანახმად, ქართული ხასიათის, მისი ესთეტიკური ბუნების ფუნდამენტური თვისებაა.

ილია ქავჭავაძის შემდგომ ძირითადი ცვლილებები მოხდა ჩვენს ეროვნულ და საზოგადოებრივ უფაში. გადაიჭრა „შრომის ახსნის“ პრობლემა, ხოლო ახალი ადამიანის ზნეობრივი აღზრდის, პიროვნების ეთიკური სრულყოფის საკითხი, ცხადია, დღესდღეობითაც ერთობ აქტუალური მნიშვნელობის მქონეა. ჩვენც ამ პრობლემის საკუთრივ მორალურ-ესიქოლოგიური მხარე გვინტერესებს, თანაც თანამედროვე ქართული მწერლობის თვალთახედვით დაწახული.

საპიროა წინასწარ შევინშოთ: თუმცა ჩვენში ზნეობრივი პროგრესისათვის სუბიექტურ ფაქტორს, პიროვნების მორალური პასუხისმგებლობის შეგნებას გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე წინათ ჰქონდა, გაუმართლებელი შეცდომა, მარქსისტული მოძღვრების ძირითად ჭეშმარიტებთა არცოდნის ან გაუთვალისწინებლობის ბრალდ იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, თითქმის ობიექტური ფაქტორის მოქმედებას მთლიანად დაეკარგოს ძალა და



არავითარი მნიშვნელობა აღარ შერჩენოდეს. ეს ფაქტორი, თუ ჩვენს საბჭოურ ფილოსოფიურ პერიოდიკაში ამჟამად დამკვიდრებულ დამოკიპას ვიხმართ, არის ჭერ კიდეც არსებული საზოგადოებრივი განსხვავება ადამიანებს შორის. ამ განსხვავებებს, როგორც კარგადაა ცნობილი სპეციალური ლიტერატურიდან, რამდენიმე ასპექტი აქვს. ჩვენ აქ შემოვიფარგლებით მხოლოდ ერთი ნაირსახეობის, ექრძოდ, თანამდებობრივი განსხვავების განხილვით, ისიც ერთი ნაწარმოების, სახელდობრ, ლ. მრელაშვილის „უბახის“ მიხედვით.

ამ დიდტანიან რომანს, რომელშიც მშ-იანი წლების ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის ფართო რეალისტური სურათია დახატული, საფუძვლიან ანალოზზე დამყარებული რამდენიმე საყურადღებო წერტილი მიეძღვნა, მაგრამ მისი მხატვრულ-შემცენებითი ღირებულება ჭერ კიდეც არ არის სათანადოდ დაფასებული. რომანში გამოყვანილია კახეთის ერთ-ერთი სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკო ბალიაშვილი, რომელიც უარყოფითი ხელშეწყობის ტიპს განასახიერებს. კოლმეურნეობის თავმჯდომარის, რომანის მიხედვით, თუ სათვალავში არ ჩავადგებთ შავლეგოს, უმთავრესად უპირისპირდება ორი პერსონაჟი — რევავ ბრიგადირი და საბედას ვაჟი, სოლიკო. ორივე უდანაშაულო მსვერპლი ხდება ბალიაშვილსა. ერთი მათგანი, ბრიგადირი რევავში, ტრაგიკული სიკვდილით ამთავრებს სიცოცხლეს, მეორე კი — სოლიკო, თუმცა განაგრძობს ფიციურ არსებობას, ხვედრი მისი ბევრად უკეთესი როლია. დაპირისპირება ამ ორ პერსონაჟთან გვიხსნის ნიკო ბალიაშვილის ხსიათის არსს. აქ საქმროა შეწინააღმდეგობა ბალიაშვილი უსიცოცხლო სქემად კი არ გამოიყურება რომანში, ცოცხალ ადამიანად წარმოვიდგება, რომელიც მოკლებული როლია ამა თუ იმ დადებით თვისებას, მუშაობის გარკვეულ უნარსა და გამოცდილებას. არც ის ითქმის, მოწადინებული არ იყო, კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგში ეგულებოდეს. მაგრამ იგი გვევლინება ორი კურდღლის მდგომარეობაში და აქ ძვეს კიდეც მისი გაორების სათავე. ერთის მხრივ, კოლმეურნეობის უყურებს როგორც საყუთარი კეთილდღეობის, პირადი შემოსავლის წყაროს, ხლო იმავ დროს ცდილობს, საქმეც რიგზე იყოს დაუქუებული და შედეგაც კარგი ჰქონდეს. სწორედ ეს გაორებული მდგომარეობა, იმისი ნდომა, შეუთავსებელი რომ შეუთავსოს ერთიმეორეს, ქმნის კონფლიქტურ სიტუაციას ზემოხსენებულ პერსონაჟებთან. რევავ ბრიგადირს საქმის ფორმალური კი არა, არსებითი მხარე ანტიერებს, ჭეშმარიტად წესრიგისა და ჭეშმარიტი წარმატებებისათვის ზრუნავს, ამიტომ ვერ ურიგდება ნიკო ბალიაშვილის ხელმძღვანელობის თვითნებურ, მანკიერ

სტილს. ბალიაშვილი ერთხანს ცდილობს, მოხიცილა დათმობინოს თავის ბრიგადირს, რაკი ამას ვერ მოახერხებს, ძალმომრეობას გზას დაადგება, რასაც შედეგად მოჰყვება ბრიგადირის დათრგუნვა და დაღუპვა.

ცოტა უფრო სხვაგვარია სოლიკოსთან დაპირისპირება, თუმცა ძირისძირა მიზნეა აქაც იგივეა. კოლმეურნეობაში შექმნილი ვითარების გამოსობით, იმის გამო, რომ, რაც უფრო მეტად ეხსნება გზა უწესრიგობას, მით უფრო ეცემა შრომის ფასი, სოლიკო გადაწყვეტს, წავიდეს მშობლიური სოფლიდან, ისწავლოს და ბედს ეწიოს. სწორედ აქედან იწყება მისი დევნა-შევიწროება. ბალიაშვილს თუ მუშახელი შემოეფანტა, წვერები განეთესა, საქმე ჩაუშალა და გრგმა ვეღარ შეასრულა, ვინაა გაჩერებს დიდხანს, „სკამსაც“ დაკარგავს და სკამთან ერთად საზოგადოებრივ მდგომარეობასაც. ამიტომ სოლიკოს მიმართ იგი მკაცრი და დაუნდობელია. ოღონდ უღმობლობას რომ იჩენს, თან დარწმუნებულია კიდეც, ასე სამართლიანობისათვის, კოლმეურნეობის საერთობისათვის იქცევა. სიმკაცრე ორგვარია: ერთი გულისხმობს დამნაშავის უშედავათო დასჯას ჭეშმარიტი სამართლიანობის დასაცავად, მეორე — უდანაშაულო დამნაშავესთან ანგარიშის გასწორებას ყალბი, ფორმალურად გაგებული სამართლიანობისათვის. პირველი სახის სიმკაცრე არ ეწინააღმდეგება ჭუმანიშვის გაგებას; მეტიც, აქტიური ჭუმანიშვის ცნების ნაწილია. საფუძვლად კაცთმოყვარეობა, საერთო ინტერესებისათვის ზრუნვა უდევს. მეორეგვარი სიმკაცრე კი სისასტიკეა, უსულგულობა, ხშირად აშკარა მერკანტილურ ანგარიშობაზე დამყარებული. რაც უფრო ლოიალური, ღმობიერია ნიკო ბალიაშვილი იმათ მიმართ, ვინც მსვეტრობას უწყის სასაღილოს ან ექრძო ვაჭრობის მიზნით გახსნილ ღვინის სარდაფს და ვისგანაც ხეირი აქვს, მით უფრო დაუნდობელია იმ ადამიანისადმი, რომლის მთელი დანაშაული ის არის, რომ თავმჯდომარის მიერვე კოლმეურნეობაში შექმნილი პირობების გამო გული უცრუვდება და ცდილობს, სხვაგან ეწიოს თავის გზას. რაც ერთგან შესცოდა ბალიაშვილი, აშკარა ლოიალობით, ე. ი. კანონის დარღვევით, მეორეგან უნდა გამოისყიდოს, აინაწლაროს მომეტებული სისასტიკით. სამაგიეროდ, როცა ტრიბუნაზე ასვლის საშუალება მიეცემა, ამ თავის თვისებას აქტივში ჩაიწერს. საჭაროდ ასე განაცხადებს: მკაცრი ზომების გატარება მოგვიხდა, გვიმძიმდა, განა არა, მაგრამ, ამა, რა გვექნა, ხალხის ინტერესებს ხომ არ ედალატებოდაო. ნიკო ბალიაშვილი ცდილობს წმინდა ადმინისტრაციული საშუალებით ებრძოდოს იმ შედეგის სავალალო გამოვლი-

თენგიზ ჩხაიძე  
„სიხალი ობრნი“



ნებას, რის მითავარ მიწეზსაც თვითონვე ქმნის უკანონო მოქმედებითა და მუშაობის მანკიერი მეთოდით. ამიტომ მის ბრალის წარმატება არ მოხდევს, მხოლოდ სიძულვილსა და გაბოროტებას აღვივებს მისგან დევნილ-შევიწროებულთა გულში. ეს სიძულვილი, ეს გაბოროტება იმა შემაფრდებდა სოლიკოს, რომ სტიქიური შურისგების გრძობით ატანალი ბოლოს აღგება და ავტომანქანას დაუწვავს თავის გამაუბედურებელს.


რომანის უდავო ღირსებაა, რომ ბალიაშვილის დამარცხება შავლეგოსთან ბრძოლაში ნაჩვენებია მხატვრული დამაჯერებლობით, მოტივირებულია ფსიქოლოგიურად. აქ არ ვლინდება გულუბრყვილო ოპტიმიზმი, არც ფორმალური ან შაბლონური გამოხავალი გზა მოწმუნული, ვთქვათ, ისეთი, როცა ერთ ხელმძღვანელს მეორე შეცვლის ხოლმე და საქმეც ამით მთავრდება. რომანში ერთმეორეს ებრძვის ცხოვრების ორგვარი პრინციპი და საბოლოოდ იმარჯვებს ხალი, გავივრული საწყისი. უპირველესი საშუალებაა, რითაც შავლეგო ახერხებს, გარდატეხა მოახდინოს მშობლიური სოფლის საზოგადოებრივ ყოფაში, როცა სათავეში ჩაუდგება კოლმეურნეობას, ის არის, რომ შრომას უბრუნებს დეკარგულ ფასს. სოფლისათვის საჭიროა თქვახს, რომ შრომის ფასი განისაზღვრება რამდენიმე ძირითადი ფაქტორით. ზოგადი და უმთავრესი ფაქტორი ესაა ფულის ერთეულის მსუიდეკლობითი უნარიანობის ღირსე, მისი ტენდენცია კლებიხა თუ მატებისა. მეორე ფაქტორია შრომის ნაყოფიერების გაღიღება, ამ გზით მეტი დოვლათის შექმნა, ამის კვალობაზე მეტი საზღაურის მიღება. შავლეგოც ამ საშუალებით აღწევს სასიკეთო ცვლილებას. ამ მიზნით იგი ამკვიდრებს მიწათსარგებლობისა და შრომის ანაზღაურების წინანდელზე უფრო სრულყოფილ წესს, ამკვიდრებს სოციალისტურ პრინციპთა დაურღვევლად. საგულისხმოა, რომ ეს წესი ზოგიერთი ნიშნით წაავგვს შემდგომ აგრე გახმაურებულ „აბაშურ ექსპერიმენტს“, რაც ფართო საზოგადოებისათვის უპირატესად ცნობილი შეიქნა კ. ლორთქიფანიძის მხატვრული ნარკვევის წყალობით. შავლეგო ებრძვის, სამოქმედო ახარებს უსულუღავს იმით, ვინც ხხვადსხვაგვარი უკანონო გზით იხეველებდა ჭიბებს და თავისუფლად დაპარპაშობდა. ამითაც ებრძება თანასოფელითა თვალში მანანდა კეთილსინდისიერ შრომას.

შავლეგოს გამარჯვება სათანადოდ მოტივირებულია რომ არის, ამას ისიც მოწმობს, რომ ეს გამარჯვება შემთხვევით ან ნაუცბათევეად კი არ ხდება, გარკვეულ შინაგან კანონზომიერებას ემორჩილება. ბრძოლა ნიკო ბალიაშვილსა და შავლეგოს შორის კარგა ხანს გრძელდება და ბედის სასწორი ამ უკანასკნელისკენ მას

შემდეგადა გადაიხრება, როცა ბალიაშვილი მოქმედების გზე საბოლოოდ გაკოტრდება, სოფელი მისი ხელმძღვანელობით რჩენე მოქმედება, როცა კოლმეურნეობის შექმნა დაწყდება, როცა კაცობა ყველასთვის აშკარა შეიქნება. სოფლები ერთხანს ვერ უწევდენენ წინანდელგობას თავმჯდომარეს. ბალიაშვილი რომ სამაგალითოდ სჯიდა იმას, ვინც მის ნება-სურვილს არ დაემორჩილებოდა, ამას, რა თქმა უნდა, სხვათათვის ჭკუის სასწავლებლადაც იქმოდა. უმრავლესობა ვერ ბედავდა ხმის ამოღებას, გრუების გზას არჩევდა. არადა, საზოგადოებრივი ყოფის რღვევის პროცესი სულ უფრო ღრმავდებოდა. ამგვარ ვითარებაში სოფლად ფეხს იკიდებს მანე ჩვეულებები (ქურდობა, ბაცაცობა, ახალგაზრდობის ყალბაანდობა, უსაქმრობა, გარე-გარე თვლის ჭერა საშოვარზე წასასვლელად და სხვა). მაგრამ იგვე ვითარება ბადებს საპირისპირო განწყობასაც, ბადებს სურვილს, თავი დააღწიონ კრიზისულ მდგომარეობას. სწორედ სოფელითა მხარდაჭერა, გაღვიძებული სურვილი უკეთესობისაკენ ღტოვლისა შევლის შავლეგოს, საბოლოოდ სძლიოს ბალიაშვილს. ასეთია ამ გამარჯვების ლოგიკა.

რომანის გმირი არ არის გაიდელურებული. დაწლებული როდია ზოგიერთი სუსტი მხარისაგან. ოღონდ ერთ რამეს კი ვერ წავართმევთ: ქეშმარიტი პატრიოტის ტიპია, თავს არ იზოგავს მშობლიური სოფლის აღორძინებისათვის. მას კარგად ესმის: სამშობლო მარტო აღენ მიწა და უსულულო საგნები როდია; უწინარეს ყოვლისა, ხალხია, იმ მიწაზე რომ მკვიდრობს. ამიტომ იბრძვის ასე თავგამოდებით თანასოფელითა მატრიარლური და სულიერი აღმავლობისათვის. მისი დევნიზა პოეტის თქმა: როგორც ჩვენ ვართ, ისეთია ჩვენი სამშობლო.

ქართველი კაცის ბუნების უპირატეს მიდრეკილებას შავლეგოს მსგავსი შემმართებელი პიროვნებანი გამოხატავენ, მაგრამ გაუმართლებელი და ნაადრევი ექნებოდა, ბალიაშვილის უაღიანი ანგარიზში აღარ ჩაგვედრო. ის სენი, რასაც თავის გარშემო ბალიაშვილისნაირი აღმანი ავრცელებს, არც ვიწრო ლოკალური მნიშვნელობის მქონეა, არც გულმინდელი ან გულმინდელი ჩვენი სენია. იგი უფრო ძველია. ნათქვამის დასტურად მოვიტანო ერთ აღგილს კ. კანანელიწ წიგნიდან „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები“, რომელიც 1925 წელს გამოიცა. შორსა ვართ იმ აზრისაგან, აუთმინდელი დრო მამუნიდელი შევუდაროთ ანდა მის შემდეგ მთხზარი თვალსაჩინო პროგრესი არ დავინახოთ, ოღონდ დეკარგა თუ არა უკვე ძალია იმ სიტუებმა, ქვემოთ რომ მოვიტანო, ამის განსჯა მკითხველისათვის მივივინდვია. კ. კანანელი წერდა: „დიდ კულტურულ დაწინებულებათა მუშაობა საქართველოში თავისებურად



მიმდინარეობს: ვინც პირველად ჩაუდგება სა-  
თავეში დაწესებულებას და მოკვალათება შიგ,  
ის თავის გარშემო მძაბიჭური პრინციპის მი-  
ხედვით აგრძელებს თავის წრეს და ამრიგად  
იქმნება კასტა, რომელიც დაწესებულებას უუ-  
რებს თავის პირადი კეთილდღეობის ინტერე-  
სით: მას ეშინია, დაწესებულებაში არ შემოე-  
პაროს ისეთი ვინმე, რომელიც მასზე უფრო  
ღირსია პატივისცემისა, რომელსაც მეტის გა-  
კეთება შეუძლია; საქართველოში ასეთ ფსიქო-  
ლოგიას დიდი და გრძელი წარსული აქვს, მაგ-  
რამ ამის მიღება შეუძლებელია.“

ჩვენი ზოგს, ცოტა არ იყოს, ცალხმრივად  
და მარტივად ესმის სიტყვა „პატრიოტიზმი“ მი-  
წველობა. ყოველ მამულიშვილს რომ ენის,  
საკუთარი მიწა-წყლისა და ეროვნული ვინაო-  
ბის დაცვა მოეთხოვება, ეს ანბანური ჭეშმა-  
რიტებაა. ოღონდ მამულიშვილობა, ამასთან  
ერთად, თანამემამულეთან დამოკიდებულება-  
შიც ვლინდება, პირველ ყოვლისა, ცოცხალ  
დამაინებთან დამოკიდებულებაში, იმითმ  
რომ, პოეტის ნათქვამისა არ იყოს, გარდაც-  
ვლილთან მეგობრობა იოლია. მამულიშვილობა  
ან ნამდვილი გაგებით საკუთარი ეგოცენტრიზ-  
მის მოთოკვას ნიშნავს. უთუოდ ნაგულისხმია  
პატრიოტის ცნების გაგებისათვის ის მაგალი-  
თი, პლუტარქესგან რომ მოაქვს რუსოს („ემი-  
ლი“). ლაკედემონელი პედიტეტი ცხადდება,  
რათა მიიღონ სამასთა საბჭოში. უარს ეტყვიან.  
იგი ბრუნდება შინ გახარებულა: სპარტაში მო-  
ინახა სამასი კაცი — ჩემი მეგობარი.

პატრიოტი ის კი არ არის, ვინც იტყვის: სა-  
ქართველო — ეს მე ვარ. პატრიოტი იმას ჰქვია,  
ვისაც შეუძლია თქვას: ჩერ საქართველო —  
მეც მე.

ერთი უმთავრესი მიზეზი, რამაც შეაძლები-  
ნა ქართველს კაცს, გაქმლო ათასგვარი ჰირი-  
სათვის ისტორიის გრძელ და ავბედით გზაზე,  
ფერფლისაგან აღედგინა ნასოფლარები თუ ნა-  
ქალაქები, კვლავ გაიჩინა ჩამქრალი კე-  
რა, გახლდით მიწის სიყვარული, მასთან სიახ-  
ლოვე. იავრქმისას, საქალაქო ცხოვრების მოშ-  
ლისას, მიწას შეებოწნებოდა ხოლმე ჩვენი  
წინაპარი, იქ შეაფარებდა თავს, მის წიაღში  
პოვებდა ვანს; მიწა ემშობლებოდა. გოლიათ  
ანთოლის დარად, დედა-მინისთვის ხელის შე-  
ხება ენერგიით ადავსებდა. და ვიდრე მშობელ  
მიწას (გეა) არ მოწყდება იგი, ვერა რომელი  
პერაკველ ვერ დასკანის. დედაბუნებასთან კავ-  
შირი მარტოოდენ ფოიკური სიჯანაღისა და  
მხნეობის წყარო როლია, წნეობრივი და ეს-  
თეტიკური აღზრდის საშუალებაცაა. აკაკის  
ღრსსახსოვარი სიტყვები, თუ რამ კარგია ჩემ-  
ში, იმის წყალობითაა, სოფლად რომ ვიზრდე-  
ბოდიო, მხოლოდ პირად გამოცდილებას რო-  
დი გამოხატავს, უფრო ზოგადი, პედაგოგიურ  
აზრის ჭეშმარიტებასაც ადასტურებს.

თანამედროვე ინდუსტრიულ ხანაში სოფ-  
ლის მკვიდრობა ბუნებრივ ღტობვას ქალაქ-  
ური ყოფის სიკეთისაკენ ნელ-ნელა გადასვლა  
გარკვეული უკუწარავის ტენდენციის დედა-  
ლაქის მცხოვრების და სურვილისა თუ მისწრა-  
ფებას, ცალი ფეხი მიწაზე ედგას, ხელისუფ-  
ლების მწრუნელობისა და ხელშეწყობის მე-  
ხებით სასიკეთო პირი უჩანს. იმედი უნდა ვი-  
ქნითო, ეს პროცესი უფრო მეტად გაძლიერ-  
დება.

დღევანდელ ადამიანს, რასაკვირველია, ვე-  
ლარ დაკმაყოფილებს კეთილმოუწყობელი სო-  
ფელი, მოკლებული კულტურული ცხოვრების  
პირობებს. საფლასა და ქალაქის ურთიერთდა-  
ახლოებამ, მთ შორის არსებობის განსხვავების  
მოსაზრისაკენ მიმართულმა სახელმწიფოურმა  
ღონისძიებებმა, ცხადია, მიწასთან კავშირის  
განმტკიცებასაც უნდა შეუწყოს ხელი. მეო-  
რეს მხრივ, ქალაქის გადაჭარბებულმა ექსპან-  
სიამ სოფელს არ უნდა დაუტაროს თავისთავა-  
დი სახე. იქ, სადაც კაცს შეუძლია, მიწის ნა-  
ყოფი მოიწიოს, საქონელი მოაშენოს, ალბათ,  
უმჯობესია, ამ საქმეს მისდევდეს, ვიდრე,  
ვთქვათ, სამრეწველო პროდუქციას ამზადებდეს.

არ ვაპირებ ამ საკითხის გამოძიებას, არც  
რამე დასკვნის გამოტანას, მხოლოდ გვინდა,  
მკითხველს შედარებისათვის შევთავაზოთ მკი-  
რედი ჩანახატი, ისიც უბრალოდ მგზავრის  
თვალით აღქმული. შედარებისათვის შორს არ  
წავალთ. ავიღოთ აგერ ბალტიისპირეთი. თქვენ  
მიღინხართ ავტომანქანით კაუნასიდან ტრაკა-  
საკენ. გზად მართლაც რომ თვალს გტაცებთ  
სანახები, ხელშეუხებელი ბუნების სილამაზე.  
ტყეები. კარომები. პატარ-პატარა ტბები. მდე-  
ლოები. ხასხასა სიმწვანე. მდელოზე მოჩანს  
ნაპატიავები ჭრელ-ჭრელი ძროხები. ზედ გზის  
პირას, სქელ მოლურჯო ჭკვიის ყანაში, ნებივ-  
რად თამაშობს დედალ-მამალი ბოხვერა კურ-  
დელნი. დაცუქლებიან და ერთ წამს შემოგა-  
ჩერდებიან. მერმე კვლავ განაგრძობენ ლაღო-  
ბას. ახლა ავიღოთ იმიერსაქართველოს პეიზაჟი.  
დილა. მატარებელი მიქრის ზღვისპირეთის დაბ-  
ლობაზე. არე: არანაკვეთ მშენიერი, მრავალ-  
ფეროვნებით კიდევ უფრო მრავალფეროვანი  
და მიმოიღველი. ხოლო არსად — ველზე მო-  
ბალახე ნახირი. არსად — ცხენი. გზის პირ-  
პირ წვიფიშველი ქალი წნელით ხელში მიდე-  
ნის მქლი, ზანტად მიმავალ ძროხას. გზის გა-  
დაღმა თვალში გეცემა დამახინჯებულ-დასახიჩ-  
რებული მიწა. იქვე: კბილედლარქენილი მი-  
წახაპია და თავადერილი ამწე.

ამ „იმპრესიონისტულ“ შთაბეჭდილებას, რა-  
ღა თქმა უნდა, განზოგადების პრეტენზია ვერ

თენგიზ ჩხაიძე  
„სინახლე ორბის“





ექნება. ოღონდ „ინდუსტრიული“ და „აგარ-  
რულის“ სწორ, გონივრულ თანაფარდობას  
რომ განსაკუთრებულად მნიშვნელოვან აქვს. ისიც  
ჩვენისთანა მცირემიწიან რესპუბლიკისათვის,  
აღბათ, სადავო არ უნდა იყოს.

მიწის პატრონობა ერთიანი სიწმინდისათვის  
წარუვასაც ნიშნავს, იმ სიწმინდისათვის, უმთა  
სიკეთისას მომხდურმა არაერთხელ რომ შეამდ-  
ვრია. იმ მომხდურმა ისიც იცოდა, სად შე-  
იღება იგი. შემთხვევითი არ არის, რომ, პირ-  
ველ ყოვლისა, დედაქალაქის კარიბჭესთან  
მობჭენილი ქვემო ქართლის წყაროსთვისადი შე-  
იღება.

ერთმა ჩვენმა ლიტერატორმა შენიშნა, ყო-  
ველი კაცი ოჯახის სისუფთავისათვის უნდა  
წარუვადეს, სახლი სასტუმროს არ უნდა და-  
ამსვავსო. მეტისმეტი სტუმართმოყვარეობა  
სიბრძნველ ჩათვლება მასპინძელს, სტუმარიც  
დაინახავს ამას და თავის სახეროდ გამოიყე-  
ნებსო.

ჩვენს მიწა-წყალზე კერას ვუწიარებთ სხვა  
ერთა შედლებსაც, თანაცხოვრების ხანგრძლივი  
ტრადიცია გვაქვს. ამ ტრადიციას უნდა ვუფრ-  
თილიდებოდეთ და ვუცრთობილებით კვიცი-  
ოღონდ ამგვარი ვითარება ერთიორად აღვი-  
დებდს პასუხისმგებლობის გრძნობასაც შინაური  
წესრიგის გამო. თუ თავად არ მოვეპყარით ჭე-  
როვანი პატივით საკუთარ ბინას, სხვა, კაცმა  
რომ თქვას, რაღა უნდა მოვთხოვოთ.

თავის დროზე გაზეთი „საქართველო“ წერდა:  
„ძველია გადმოცემა: ქართველი ძლიერია უფს-  
კრულის პირას მიყენებული. მანამდე იგი  
თითქმის სუსტია და მოვალეობა: ხელის მოქნე-  
ვა იჭვარავი აქვს და ნება ძალზე მიწლებუ-  
ლი. ხოლო, როცა პირდა უფსკრულს მიადგე-  
ბა, საცა მხოლოდ საშინელი გადაჩეხაა მო-  
სალოდნელი, მაშინ იგი, ვით შმაგი ვეფხი საფ-  
რთხეს წინაშე, იკუმშება სასტიკი ძალ-მოკრე-  
ბით და უტეხი ძლიერად მიწებით აღვიარებს  
მახვილს. ამას მოწმობს მრავალტეხილი საქართ-  
ველოს ისტორიისა, ამას აცხადებს მრავალი  
ფაქტი ქართველის სიცოცხლისა. დაჭრილი  
ქართველი დაჭრილი ვეფხის ნახტომით თვით-  
ნებობს. ასეთია ჩვენი ეროვნული ტემპერა-  
მენტო.“

ხელსაყრელი ვითარებისას ჩვენს ბუნებაში  
შეღარებთ ადვილად იჩენს ხოლმე თავს მიღ-  
რეკილება კირილე მიმინოშვილისებური სილა-  
ღისა და უღარდელიობისადმი. გვეძლება სი-  
ბარიტული ცხოვრების ცდუნება. ეს ნაკლი  
ხელს გვოშლის, ეროვნული ენერგია სრულად  
წარუმართოთ შემოქმედებითი გენიის გამოვლე-  
ვისაკენ, იმ შესაძლებლობის შესიმამლურად  
გამოყენებისაკენ, რაიც მატერიალურ და სუ-  
ლიერ ფასეულობათა შესაქმნელად გაგვანია.  
თანაც გვიკინებებს, გვიწვირდნანებს ხასიათს.  
ერთი შეხედვით, ეს კინობა თითქმის განსხვავ-

დება სხვათა ხასიათის წერილმანობისაგან. არ-  
სებითად კი განსხვავება მოჩვენებითია. მავა-  
ლითად, ჩვენებური მეჩამურე, მკვლევარნი,  
ასე მსჯელობს: „თუ „იმას“ უკნა, რაიმე მის  
არ უნდა მქონდეს“. და ეძებს გზას თუ ზერელს,  
რათა გაუთანაბრდეს „იმას“ ან, შეძლებისდა-  
გვარად, „აღმებოს“ კიდევ. სხვა კი  
ამბობს: „თუ მე არ მაქვს, იმას რატომ უნდა  
ქონდეს“. და ამ პოზიციის შესაფერისად  
მოქმედებს, რათა გათანაბროს ის მეორე. ორი-  
ვე ეს თვისება ერთიმეორეზე უარესია. ერთი  
ააშკარავებს შურს, მეორე — სიხარბესა და  
წამხედურობას.

ბევრწილად ამავე ნაკლს ამხელს ჩვენი ჰი-  
პერტროფიული სწრაფვა „ფსევდოობისადმი“ —  
ფსევდომეცნიერობისადმი, ფსევდოოპოტობისა-  
დმი... ჭირ კიდევ ამ ოცდახუთი წლის წინათ  
კონსტანტინე გამსახურდია ბრძნულ გაფრთხი-  
ლებას იძლეოდა, როცა საქაროდ ამბობდა:  
„თუ ჩვენმა ხელისუფლებამ ენერგიული ზო-  
მები არ მიიღო, გუთნები, დაჯგობი, სეკატო-  
რები, წერაქვები და ბარები მოხუცება და  
ქალებს შერჩებათ ხელში. დაიკლება სოფელი,  
ნამდვილი საფუძველი ჩვენი რესპუბლიკისა.  
ახალგაზრდობა არ ინდომებს ქარხნებსა და სა-  
ხელისწოდებში მუშაობას. ყველა ფილოსოფო-  
სობას, ლექტორობას და პოეტობას მოეციდე-  
ბა. ეს ამბავი დიდ საფრთხეს უქაღის ჩვენს  
ერს.“

ახალგაზრდას სწორი პროფესიული ორიენ-  
ტაცია რომ ქონდეს, მართებულად რომ ეს-  
მოდეს ცხოვრების ღირებულების საკითხი, სა-  
ამისოდ ცოდნის კერას ცოდნის შესაძენად უნ-  
და ეტანებოდეს. ცოდნის დაუფლება კი იმი-  
ტომ უნდა იზიდავდეს, შემდგომ შრომაში  
გამოადგეს. ეს მიზიდულობის ძალა მაშინ აქვს  
ცოდნას მის თვალში, თუ იგი დარწმუნებუ-  
ლია, შრომას ჭეროვანი ფასი აქვსო. მაგრამ  
ახალგაზრდობის წენობრივ-სულიერი ფორმი-  
რება დიდი, ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია,  
რაც საგანგებო მსჯელობის საგანი გახლავთ.

ათიანი წლების ბოლოს ჩვენში ითქვა: „ამ  
საუკუნეში საქართველო ან სრულიად მოის-  
პობა, ან და აუვადება მსოფლიურად. მოსა-  
ლოდნელი უფრო მეორეა.“

თუ ოციან წლებში კიდევ სააქტროდ იყო  
გამხდარი, ჰქონდა თუ არა საქართველოს ის-  
ტორიას მსოფლიო გამართლება, ქართულ  
კულტურას — საკაცობრიო მნიშვნელობა, ნი-  
ვამად საკითხის ასე დასმაც კი გაუმართლებე-  
ლი იქნებოდა. დღესდღეობით ბრმისათვისაც  
კი ნათელია, რაოდენ ალორძინდა ქართული  
კულტურა და მეცნიერება. ნიშნადობლივია,  
რომ ისეთი სერიოზული მოაზროვნის თვალში,  
როგორც გურამ ასათიანი, შორეული ნახ-  
მევიც კი აღარ იმის იმდროინდელი პოლემი-  
კისა. გურამ ასათიანის წიგნს მსჭვალავს რწმენა

ჩვენი ეროვნული ძალმოსილებისა, მუდმივი განახლების უნარის და თავისთავადობისა. ქართული სულის თავისებურება, მისი ღრმა რწმენით, ის არის, რომ ძალუმს, უხვად გასცემდეს და უხვადვე მიიღებდეს, თანაც ისე, არამცთუ კარგავდეს თვითმყოფობას, უფრო მდიდარი და ძლიერი ხდებოდეს. მისი წიგნის პროლოგს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს გალაკტიონის სიტყვები, მშობელი ქვეყნისადმი მიმართული:

შენი სიბერე —

სიხალე ორბის...

ეს სიტყვები დიდი პოეტისა, რომლის შემოქმედება თავად წარმოადგენს ნიმუშს მსოფლიო კულტურული მონაპოვრის გათავისების და იმავ დროს ეროვნული თავისთავადობის გამოსატყულებისა, თითქოს უმჩინე რეგრენად გასდევს მთელ წიგნს.

გურამ ასათიანის „სათავებთან“ მრავალ ფიქრსა თუ კითხვას აღმძრავს მკითხველს. ამ წიგნის რამდენადმე ამომწურავი შეფასება, იქ დასმული ყველა პრობლემის საფუძვლიანი განხილვა ერთი და ორი წერილით შეუძლებელია. ავტორი გვანდის ღრმა გაგებას ქართული კაცის ესთეტიური ბუნებისას, წარმოაჩენს ბევრ ნიშანდობლივ თვისებას ჩვენი ეროვნული ხასიათისას, გამოთქვამს არაერთ საგულისხმოდ მოსაზრებას, და მაშინაც, როცა შეამათების სურვილს ბადებს, გვიზიდავს განსწავლულულობით, განსჯის სიღრმით, აზროვნების კულტურით. უპირველესი გრძნობა, რაც მკითხველს აღძვრის ამ ჰქვიანური წიგნის წაკითხვისას, არის მაღლიერების გრძნობა ავტორისადმი.

...რაოდენ სინანულის მომგვრელია, რომ ახე უდროოდ შეწყდა აზროვნება და გულის

ფეთქვა ადამიანისა, ვის სიტყვასაც ესოდენ განსაკუთრებული ფასი, განსაკუთრებული წონა ჰქონდა, ადამიანისა, ვინც სამართლიანად იყო მიჩნეული თანადროული ქართული კრიტიკული აზროვნების ერთ-ერთ ბურჯად. მართლაც რომ ძნელი წარმოსადგენია თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესი გურამ ასათიანის გარეშე. ის ჰერეტად ამ პროცესის ანალიტიკოსის თვლით, იშვიათი ალღოთი ამჩნევდა ყოველ ლიტერატურულ სიახლეს; თანამოსაგრედ, თანამებრძოლად ედგა გვერდით ახალი გზის გამკვალავთ. უცილობელია, თან წაიყოლებდა არაერთ საინტერესო აზრს, ჩანაფიქრს, რისი ხორცშენსმაც ბედმა არ დააცალა. მაგრამ ისიც, რაც დასცალდა, რისი შექმნაც მოასწრო, ძვირფასი შენაძენი, ძვირფასი მონაპოვარია თანამედროვე ქართული ესთეტიკურ-კრიტიკული ნააზრებისა. „სათავებთან“, ბოლო მისი წიგნი, ერთგვარად აჭამებს თითქოს ყოველსავე იმას, რაც წლების მანძილზე უფიქრია, განუსჯია ავტორს. აქ არის თითქოს თქმული უმთავრესი მისი სათქმელი. ამ წიგნს მოკრძალებით აიღებს ხელში ყოველი გონებაგანვითარებული ქართველი, ვინც მართლოდენ ამწუთიერი არსებობის საზომით არ ზომავს ცხოვრებას. მკითხველი არც მერმის მოაკლდება ავტორს; მისი სული, მისი გონება კვლავ გაცოცხლდება ხოლმე ამ ახალ-ახალი შეხვედრისას. დინჯად გაუმართავს იგი დილოგს თანამოსაუბრეს, ბევრ რამეზე დააფიქრებს, აზროვნების უნარს გაუმახვილებს; საპაექროდაც აღძრავს, ისე შეეისიტყვება, ვით ცოცხალი ცოცხალს. ეს კი, ალბათ, ყველაზე დიდი ჯილღაა შემოქმედისათვის.



ნინო ზოფერია

გამოცხადება იტალიაში

1982 წელს ვენეციის უნივერსიტეტმა გამოცხადებების, მოგონებების, ესსეების, პუბლიკაციებისა და დოკუმენტების კრებული „ავანგარდი თბილისში“, რომელიც 10-20-იანი წლების თბილისის შემოქმედებით ატმოსფეროს მიმოიხილავს.

სტატიების ავტორები არიან მარციო მარცადური, ლუიჯი მაგაროტო, ჯოვანი პაგანი ჩეზა (იტალია) როზემარი ციგლერი (ავსტრია), ტატიანა ნიკოლსკაია, ალექსანდრე პარნისი (ლენინგრადი), გასტონ ბუაჩიძე (საქართველო), ჯონ ბოულტი (აშშ), ჟერალდ იანიჩევი (ინგლისი).

შარშან, ახალი ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმზე მოწვეულ იქნა კრებულის ერთ-ერთი შემდგენელი, ფუნდამენტალური გამოკვლევის „ქართული ავანგარდიზმის თეორია და ისტორია“ ავტორი, ვენეციის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი ქართველოლოგი ლუიჯი მაგაროტო.

ჩვენ საშუალება მოგვცემა გვესაუბრა იტალიელ მეცნიერთან.

— ბატონო ლუიჯი, კრებული „ავანგარდი თბილისში“ საუკუნის დასაწყისის ქართული მოდერნის კომპლექსური შესწავლის პირველი ცდაა. რა ძირითად წყაროებზე დაყრდნობით შეიქმნა ეს კრებული და თქვენთვის, როგორც შეცნობისთვის, რა მომენტებმა გახადა აუცილებელი ამ მრავალფეროვანი მასალის გამოთვლიანება?

— კრებულში მითითებული გვაქვს ყველა ის წყარო და მასალა, რაც წიგნზე მუშაობისას გამოვიყენეთ. ჩემს სტატიაში განვითარებული მაქვს ორი ხაზი: „ციხფერქანწლები“, სადაც დავეყრდენი შემდეგ მასალებს: „ციხფერი უანწები“, „მეოცნებე ნაშრომები“, „ბახტრონი“, „ბარიკადი...“ „ARS“, და სხვ. ანალიზისთვის ვიყენებდი „ციხფერქანწლოთა“ ლექსებს. მეორე ხაზი გახლავთ ფუტურისმი, სადაც გა-

მოვიყენე ნ. ჩიქოვანის „მანიფესტი აზიას“, უურნალები „უენიქსი“, „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“, „ლიტერატურა და სხვ.“, „მემარცხენეობა“ და ე. წ. ქართველ ფუტურისტთა ლექსები.

ჩემი აზრით, ეს მასალა არ არის მრავალფეროვანი. გამოთვლიანებისთვის კი თვით მიმართულება განსაზღვრავს მასალას.

ავანგარდისტები პრინციპში ნოვატორები არიან, მაგრამ მათ შემოქმედებაში შეიმჩნევა გარკვეული გამეორებანი, რაც ცოტა არ იყოს, მოსაწყენია.

საერთოდ, ავანგარდიზმზე ლაპარაკი ძალიან დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. კვლევა-ძიებანი უნდა მოხდეს წინასწარ განსაზღვრული ჩარჩოების და დეკონოტებული დებულებების გარეშე. ერთმანეთში არ უნდა აირიოს თეორიული პრინციპი და ტიპური ავანგარდისტული პოეზია.

არის ავანგარდისტული მომენტი, როდესაც წერენ სერიოზულად და არის მომენტი, როცა წერენ განზრახ არასერიოზულად.

ავანგარდს თან ახლავს ერთგვარი თამაშის პროცესი, სიტყვით თუ ფერით ჭამბაზობა.

თამაში კი მაინც ერთი მომენტია. შემდეგ რჩება პოეზია, როგორც ნამდვილი ფასეულობა და ეს არის ყველაზე მთავარი.

ავანგარდისტული პოეზია მელანქოლია წმინდა გარეგნულ მხარეებში: ჩაცმულობა, უესტი, ურთიერთობანი, ზშირად იგივე მელანქოლია შემოქმედების ზოგიერთ ასპექტში.

მე აქ არ ვგულისხმობ შინაგან მედიტაციებზე დაყრდნობილ წმინდა სიმბოლოებს, წმინდა სიმბოლოების წარმომადგენლებს თავიანთი ფილოსოფიური მრწამსის გამო გარეგნული ექვიტანისთვის არ ეცალათ. ამას განსაზღვრავდა ქვეცნობიერის შრეებში წვდომა, საგანში გამოხატული მსოფლიო ნების და საგნების მარადეული ფორმების ძიება.

— ორიოდე სიტყვა ტერმინოლოგიის დაზუსტებისათვის. კრებული „ავანგარდი თბილისში“ ავანგარდის ცნებას შინაარსობრივად დიდ მამატაში აქცევს და საუკუნის დასაწყისის ყველა ახალ, განსხვავებულ ფენომენს ამ წინის ქვეშ ატარებს.

საინტერესოა, რომ კრებულის თითოეული ავტორი ტერმინოლოგიის განხრითაც გვთავაზობს საკუთარ პოზიციას. მაგალითად ტეხასელი მეცნიერი ჯონ ბოულტი „ციხფერყანწელთა“ მოღვაწეობას „ნეოსიმბოლისტურ“ მიმდინარეობას მიაკუთვნებს (რაც მათი ნაგვიანევი გამოხატული არის ნაკარნახევი).

დამეთანხმებით, რომ „ციხფერ ორდენს“ არ ზიულა ორთოდოქსალური სიმბოლოების მთლიანი სახე (პირველ რიგში ემპირიის სრული უარყოფა) და სიმბოლისტური სკოლების გამოცდილებისთვის, გამოსახვის ტრანსაკცენდენტური საგნისთვის სტრუქტურულად ახალი ფორმები არ მიუმატებია. ამიტომ მისი „ნეოსიმბოლოზმად“ გამოცხადება არ არის გამართლებული.

— თქვენს გამოკვლევაში „ქართული ავანგარდის“ შინის თეორია და ისტორია“, „ციხფერყანწელთა“ შემოქმედება არ არის მინუთული წმინდა კანონიკური სიმბოლოზმად.

საინტერესოა იქნება გვესაუბროთ, ევროპული და რუსული სიმბოლოზმისგან განსხვავებით, რატომ არ მიიღო ანალოგიურმა ქართულმა მიმართულებამ კანონიკური სახე.

— ავანგარდისში ხასიათდება რამოდენიმე მომენტით: რამდენიმე ადამიანი (ძალიან მცირე რაოდენობა) აარსებს დაჭგუფებას. შემდეგ ისინი

წერენ მანიფესტს, რომელიც განსაზღვრავს მანას და მიმართულებას.

მანიფესტის უმეტესი ნაწილი განსაზღვრავს თუ როგორ არ უნდა წერონ, ხოლო უფრო მცირე ნაწილი იძლევა რეკომენდაციებს, რჩევებს უნდა წერონ.

შემდეგ ისინი იწყებენ თავიანთ შემოქმედებას.

მათი გამოჩენა შემოქმედებით ასპარეზე უმეტესად იყო საჭაროდ სკანდალური, წინააღმდეგობრივი, ვინაიდან ხდებოდა ძველი ფასეულობების გადაფასება.

მეორე მომენტი უკვე მათი შემოქმედების განვითარებაა, მაგალითად კრუჩინისთვის ეს იყო ექსპერიმენტი, ტიცინი ტაბაძისთვის კი ნათელი შემოქმედებითი სამუშაო.

ავანგარდისში ეს არის XX საუკუნის მოვლენა. XIX ს-ში ის არ არსებობდა. არსებობდა სხვადასხვა ავანგარდისტული დაჭგუფებები და ყოველ დაჭგუფებას სურდა ყოფილიყო უფრო ავანგარდისტული ვიდრე სხვა.

ამიტომ ავანგარდისში დიდი ადგილი უჭირავს XX საუკუნის მსოფლიო ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

როცა ბოულტი „ციხფერყანწელთა“ უწოდებს „ნეოსიმბოლისტებს“, იგი იყენებს ძალიან გავრცელებულ სიტყვას ლიტერატურათმცოდნეებს შორის, მაგრამ ჩემი აზრით, ეს სიტყვა დაძველდა. ამის შესახებ ვწერ ჩემს სტატიაში. „ციხფერყანწელთა“ მოღვაწეობას სიამოვნებით დაუკავშირებდი ტერმინ „პოსტსიმბოლიზმს“, როგორც უკვე უწოდებს რუსულ ლიტერატურაში.


რაც შეეხება განსხვავების მომენტებს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართული „ციხფერყანწელთა“ არ იყვენ ფილოსოფოსები, იმდროს, როცა სიმბოლიზმი რუსეთში იბადება ფილოსოფოსთა შორის. ასე რომ მათ (ციხფერყანწელთა) ფილოსოფიის სფეროში არ განუწახვთ რაიმე ახლის შექმნა.

პოეტი შეიძლება იყოს დიდი ლირიკოსი, მაგრამ არ იყოს ფილოსოფოსი. არსებობენ გენიალური გამოწაკლისები, როცა პოეტი არის ფილოსოფოსიც. მაგალითად დანტი, რუსთაველი. ფილოსოფოსთან დიდი კონტაქტი აქვთ რუს სიმბოლისტ-ფილოსოფოსებს.

რასაც გვთავაზობენ „ციხფერყანწელთა“, ეს არის წმინდა წყლის ლირიკა, პოეზია.

„ციხფერყანწელთა“ არ შეეძლოთ მიეღოთ წმინდა კანონიკური სიმბოლიზმის სახე. ვინაიდან, როდესაც მათ დააარსეს თავიანთი დაჭგუფება, რუსეთშიც და ევროპაშიც სიმბოლიზმი უკვე განვლილი ეტაპი იყო.

ნილო ხოშბერია  
ზამონიკა იტალიაში



ამ დროს უკვე გაჩნდა ფუტურისტული მანიფესტებიც. როგორც ცნობილია, „ცისფერ-ყანწილები“ არ იყვნენ უცივები. მათ ეს იცოდნენ.

— ე. ი. თქვენ მიგაჩნიათ, რომ დროის მასშტაბში სხვადასხვა ერების ლიტერატურული პროცესების პარალელურობა მათ ანალოგიურობას გარკვეულად განსაზღვრავს?

თუ ფრანგული სიმბოლიზმის დასაწყისს მორაისის 1886 წლის მანიფესტს ან ბოლდერის „ბოროტების ყვავილების“ 1857 წლის გამოცემას მივაკუთვნებთ, იქვე დავინახავთ რომ რუსული სიმბოლიზმის ხაზების გახსნა 1894 წელს იწყება, როდესაც ვაგოლის ბრიუსოვის კრებულები. ფრანგული სიმბოლიზმის განვლილი ტრადიციის განხარებაში ახალ რუსულ პოეზიაში, არ შეუშალა ხელი შექმნილიყო ორთოდოქსალურ-სიმბოლისტური მიმართულება.

— მე ვავიშვებ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს დროის ფაქტორს.

1916 წელს, ფურნალ „ცისფერი ყანწების“ I ნომრის გამოხვედრისას უკვე მომწიფდა სიტუაცია, მომწიფდა ლიტერატურული პროცესები.

აღარ არსებობდა რუსული სიმბოლიზმი. არსებობდნენ მხოლოდ პოეტები: ბლოკი, ბრიუსოვი...

აღარ არსებობდა ფრანგული სიმბოლიზმი. არსებობდნენ მხოლოდ პოეტები: ბოლდერი, მალარმე...

სკოლების თეორიული გამოცდილებები ზოგადად პოეზიის გამოცდილებად იქცა. თითოეული „ნიშის“ გამოცდილება მეტ-ნაკლებად გაიზიარა ქართულმა მოდერნიზმმა. სწორედ რამდენიმე დღის წინათ დამეთანხმა ბატონი კოლაუ ნადირაძე, რომ „ცისფერყანწილთა“ პირველ-ტყმა გარკვეულად „ფუტურისტული“ მანიფესტების გავლენის ქვეშაა დაწერილი. საქართველოში არ შეიძლებოდა შექმნილიყო არც წმინდა სიმბოლიზმი, არც წმინდა ფუტურისტული. არის მეორე ფაქტორიც — ეროვნული ფაქტორი: ჩემი აზრით, არც ერთ სხვა ქვეყანაში ადამიანის აზროვნებაზე ისე არ მოქმედებს ტრადიცია, ისტორია, როგორც საქართველოში. ქართული მოდერნიზმების ცდები ტრადიციის ერთგვარი გაგრძელებაც იყო.

ქართველი ფუტურისტები თავიანთ შემოქმედებაში მოიხსენიებენ წინაპრებს: ბარათაშვილს, ბესიკს... ეს იმას ნიშნავს, რომ აქ არ არსებობს კანონიკური ფუტურისტები.

გავიხსენოთ ტიციან ტაბიძე. ის მხოლოდ თავის თეორიებში იყო მოდერნიტი. პრაქტიკულ-

ად მოდერნიზმი მისი შინაგანი გზა არ ქოფილა.

მას აქვს ერთი ლექსი სახელწოდებით „დადაისტური მადრიგალი“, რასაც უკვე აწერდა ავითორი საერთო არა აქვს „დადაიზმთან“.

ქართველმა ავანგარდისტებმა ინდივიდუალური გზა მონახეს მსოფლიო ავანგარდის გამოცდილების ფონზე. სწორედ აქ იწყება მათი ორიგინალობა და ერთადერთობა.

— როგორც თქვენი გამოკვლევიდან და საუბრიდან სრულიად სამართლიანად ჩანს, ქართული ავანგარდის ისტორიაში არც ერთი „ნიში“ არ გახდა ორთოდოქსალური.

და მაინც, ქართული მწერლობის ეს დიდი შემოქმედებითი ლაბორატორია იყო შინაგან ლოლიკაზე დაყრდნობილი შემოქმედებითი პროცესი, ქართული ენის შესაძლებლობების თანამედროვე ფორმებში გახსნა.

თქვენი აზრით რომ განსაზღვრა ამ ექსპერიმენტების აუცილებლობა ქართულ ლიტერატურაში?


— ეს ექსპერიმენტები მნიშვნელოვანია იყვნენ ქართული ლიტერატურის მრავალფეროვნებისთვის. მაგალითად მუშაობა სონეტის ფორმაზე. აღსანიშნავია ტ. ტაბიძის ცდები ლექსის მეტრიკაზე. სიმონ ჩიქვანის ცდები ზგერწერაში (звукоподрожание) ძალიან საინტერესო იყო.

— თქვენს გამოკვლევაში „ქართული ავანგარდის თეორია და ისტორია“ ეპოქების გარკვეულ რიგს, რომელიც ევროპელი ავანგარდისტებისთვისაც იყო დამახასიათებელი, „ცისფერყანწილთა“ პირველ დეკლარაციებს უკავშირებთ: „ექსცენტრიზმი, დენდიზმი, არაჰონფორმიზმი, ანტაგონიზმი, სკანდალური მისწრაფებანი, წარსულის უარყოფა, მანქანების საუკუნის ფეტვირება, თვითრეკლამა, დემაგოგია“.

თქვენი ტერმინი რომ ვინმაროთ, ამ დეკლარაციებში არის ერთგვარი „ავანგარდისტული პოლა“. თავისთავად კი ობიექტური რეალობა, ქართული ავანგარდის გულისხმობს თვითრეკლამის სწორ გაგებას. გამოირცხავს დემაგოგიას, წარსულის უარყოფას.

მაშინ, როცა ცისფერყანწილებს პოეზიაში შეჰყავთ ერთმანეთის პიროვნება, ქმნიან სახელების მაგიას, მოთებს, სიმბოლოებს.

ქართველი მოდერნიტი პროცესთვის სამშობლოს ცნება არ არის მხოლოდ პატრიოტიზმი. ის სხირად ესთეტიკური კატეგორიაა, ქვეტიქსტია, მისტიკის ორეულია, სიმბოლოა. სამშობლოს ცნება უკავშირდება ისტორიას, ეროვნულ ბედს და პოეზიაში ამ ბედის მაგიური მონა-



წილეობა სხვადასხვანაირად არის ტრანსფორმირებული. ამიტომ ქართულ ავანგარდს არ უარსუვია წარსულის ხატი. ქართველი ავანგარდისტების უკიდურესი ძიების მომენტებიც, როგორც თქვენ ბრძანეთ, წარსულის მემკვიდრეობის პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას გულისხმობს.

ალბათ დაგვეთანხმებით, თუ ვიტყვით, რომ თქვენს მიერ ჩამოთვლილი ეპითეტების რეალიზაცია ახალ ქართულ მწერლობაში მხოლოდ მანფესტაციის დონეზე მოხდა.

— არსებობს დიდი განსხვავება შემოქმედებასა და მანიფესტს შორის. ავანგარდისტთა მანიფესტებში უარყოფილი წარსული ხშირად მათ შემოქმედებაში (მე მხედველობაში მაქვს არა მარტო ქართველი ავანგარდისტები) ძალიან დიდ როლს თამაშობს. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა „ციხეფერყანწილებთან“.

ცნებები: სამშობლო, წარსული, ტრადიციები, მიუხედავად იმისა თუ რას წერენ მანიფესტში, მათ ნაწარმოებებში ხშირად ჩნდებიან.

საკუთნის დასაწყისის ნოვატორულ მწერლობაში ტრადიცია და მოდერნი, როგორც ორი აუცილებელი მომენტი, შეხვდა ერთმანეთს. ასეთი ტრანსფორმაცია განიცადა ქართულმა ავანგარდისტულმა მხატვრობამაც. „ავანგარდი თბილისში“ — ის ერთ-ერთი ავტორი ჯონ ბოულტი თავის ესეში „ლადო გუდიაშვილი“ წერს: „გუდიაშვილი ცდილობდა გაეკეთებინა ქართული მხატვრობის ტრადიციებისა და ევროპული მოდერნიზმის სინთეზი და მიეღო სინთეზური და ამავე დროს იდიოსინკრატული ხედვება...“

საინტერესო და პროფესიონალურ შეხედულებებთან ერთად ჩანს ავტორის გარკვეული ტენდენცია გუდიაშვილის ექსპრესიონისტად მონათვლისა, რაც ვფიქრობთ, მხატვრის მოქარბებულ ეგზოტიკურ ელემენტებს, დეფორმაციებს, წერის ზოგად ექსპრესიონისტულ მანერას ეყრდნობა.

აქვე სადავოა, ავტორის აზრი, რომ „გუდიაშვილმა ქართული „მწვენიერის“ გაგება სუდეიკინის გავლენის ქვეშ ჩამოაყალიბა“. მეცნიერი იწველებს 10-იანი წლებისათვის დამახასიათებელ სუდეიკინისეულ ეროტიკას და აღნიშნავს გუდიაშვილის შემოქმედებაზე მხატვარ-ექსპრესიონისტის ბორის გრიგორიევის გავლენასაც.

ცნობილია, რომ თბილისის კაფე „ქიმიკონის“ მხატვრმა პეტრბურგის კაზარე „კომუნდიატების“ მხატვრების სუდეიკინის და გრიგორიევის ფორმალისტური ამოცანა გაითვალისწინა, მაგრამ ანალოგიური თემატისათვის აბსოლუტურად განსხვავებული გზა და გადაწყვეტა მონახა. ლ. გუდიაშვილის შემოქმედების ეს პერიოდი არა რომელიმე სტილის ან მიმდინარეობის კონკ-

რეტულობით, არამედ სრულიად მოულოდნელ სტილისტური ვარიაციებით ხასიათდება.

— მე, რა თქმა უნდა, ბოულტის მხატვრულ გაცემთ აასუსნ. მაგრამ თავად ჩემი შეხედულებები მაქვს გუდიაშვილზე. ვფიქრობ, 1925 წელს ბორის რენალი სწორედ აღნიშნავდა, რომ ლადო გუდიაშვილი „მონაწილეობას იღებს ყველანაირი სამხარეულოში“. ანუ იგი გაცნო მეთოდებს, სტილს, მიმართულებებს, რომელიც იმ დროის საფრანგეთში არსებობდა. მაგრამ ცხადია, ის პასიურად არ იღებს, არამედ საკუთარ შემოქმედებაში ახდენს ყოველივე ამის ტრანსფორმირებას.

ახალი ქართული ხელოვნების სიმპოზიუმზე მე წვკიოთზე მოხსენება გუდიაშვილის ხელოვნებაზე უაჭარულის გავლენის შესახებ, მაგრამ არასწორი იქნებოდა, თუკი გავიგებთ, თითქმის გუდიაშვილმა გადაიღო უაჭარული სტილი.

როდესაც ვლაპარაკობთ გავლენაზე დიდი მხატვრის ან მწერლის შემოქმედებაში, ნიშნავს, რომ იგი იღებს და გამოხატავს თავისებურად ამ გავლენას. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გუდიაშვილთან არის მომენტები ექსპრესიონიზმის, უაჭარულის და სხვა. მაგრამ მას აქვს თავისი სტილი და არის თავისთავადი მხატვარი.

— ამერიკელი მეცნიერი ლაპარაკობს გუდიაშვილის სოლიდურ რეპუტაციაზე 10-იანი წლების საფრანგეთში.

— ბატონო ლუიჯი, იქნებ გვესაუბროთ საუკუნის დასაწყისის ახლგაზრდა ქართველი მხატვრების: ლ. გუდიაშვილის, დ. კაკაბაძის, ელ. ახვლედიანის, შ. ქიქოძის დღევანდელი მამტაბით რეპუტაციაზე უცხოეთში.

— სამწუხაროდ, მე შემიძლია ვთქვა, რომ გუდიაშვილის, კაკაბაძის, ახვლედიანის, ქიქოძის შემოქმედებას უცხოეთში იცნობს მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრე.

— თქვენს კრებულში აღნიშნულია, რომ დავით კაკაბაძის დიდი ადგილი უკავია მიშელ სეფორის აბსტრაქტული ფერწერის ლექსიკონში.

— ეს ლექსიკონი მხოლოდ სპეციალისტებისთვისაა განუთვნილი და მისაწვდომი.

— ცხადია, ეს ფაქტორები უფრო მეტად უცვამს ხაზს ვენეციაში გამოცემული კრებულის მნიშვნელობას, უფრო მეტად ამართლებს საკუთარ დანიშნულებას—ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების პროპაგანდას თანამედროვე ევროპაში.

ნინო ხოშარია  
ბამონიკა იტალიაში

საინტერესოა, რა გამოხმაურება გამოიწვია კრებულმა „ავანგარდი თბილისში“ იტალიელ სპეციალისტებს შორის?

— კრებული სპეციალისტებმა მიიღეს კარგად, არა მარტო იტალიაში, არამედ ინგლისში, გერმანიაში. განსაკუთრებით დიდი მოწონება ზედა შეერთებულ შტატებში, სადაც მას გამოეხმაურა ხუთი სოლიდური კვლევითი ხასიათის სამეცნიერო ურუნალი. აღინიშნა, რომ ეს არის მსოფლიოს მასშტაბში პირველი ცდა ქართული ლიტერატურის და ხელოვნების ამ პერიოდის შესწავლისა, რომ ეს არის სრულიად ახალი ფენომენი ლიტერატურის ისტორიის ინტერიერში.

გერმანელი მეცნიერი ბერნადე შოლდი აღნიშნავდა: „როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მსოფლიო ავანგარდზე, უფლება არ გვაქვს დავივიწყოთ, რომ არსებობს ქართული ავანგარდი...“

— კრებულში „ავანგარდი თბილისში“ მასშტაბურად გამოიკვეთა, რომ რუსეთის და ევროპის ავანგარდისტულ სკოლებთან მიახლოებამ არ

შექმნა ერთგვარობა და თბილისის ლიტერატურულმა მოღერწმა თავისი ორიგინალური სახე შეინარჩუნა.

— ეს იყო ჩვენი ძირითადი მიზანმიმართული

— ბატონო ლუიჯი, თქვენ ზშირად გზედვენ საქართველოს არქივებში, მუზეუმებში წიგნებზე, ხელნაწერებზე მუშაობისას.

მეცნიერებს არ უყვართ მომავლის გეგმებზე საუბარი. იქნებ თქვენ ხართ გამონაკლისი?

— რაც შეეხება მომავლის გეგმებს, შემძლია გითხრათ, რომ ამჟამად აღარ ვმუშაობ ავანგარდიზმზე, რომელიც იყო ჩემი პირველი სიყვარული.

ავანგარდისტები წერდნენ, რომ ლიტერატურაში და კრიტიკაში უნდა დაივიწყო პირველი სიყვარული. არ ვიცი შევძლებ მე ამას თუ არა.

კონკრეტულად ეხლა ვმუშაობ ვაჟა-ფშაველაზე, ერთ-ერთ უველაზე დიდ ქართველ მოაზროვნეზე, რომელიც სამწუხაროდ ევროპაში ცნობილი არ არის...





ნოდარ გრიგალაშვილი

## გ ზ ა ხ ს ნ ი ს ა

„ქვეყანა, ბატონებო, სავსეა ხილულითა და არა ხილულითა, ადამიანის სულიერ და ხორციელ თვალსათვის. ერთის ბრძნისა არ იყოს, — ზოგი სავანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ და ზოგი კი იმისთანაა, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთა სწრაფვა ჩვენი ერთსაც ეტანება და მეორესაც“.

(ი. პავლევიჩის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსის დაკრძალვაზე).

### I

„განდეგილი“ ერთი შეხედვით სწორხაზობრივი, მაგრამ შეინახავს დინამიკით პოლითემატური ხასიათის ნაწარმოებია. პოემის სიუჟეტური მდინარებაში ერთუროს ეჭაჭვება სამი ძირითადი ხაზი, რომელთა სქემა ასე წარმოგვიდგება.

1. ადამიანის სიუვარული ღვთისადმი (განდეგილი და ღმერთი).
2. ღვთაების სიუვარული ადამიანისადმი (ღმერთი და განდეგილი).
3. ადამიანის სიუვარული ადამიანისადმი (განდეგილი და მწყემსი ქალი).

ამგვარ შენაკალთა ვარირებამ განსაზღვრა პოემის არაერთმნიშვნელოვანად, პოლისემიურად აღქმა, გააზრება, რაშიც გვარწმუნებს, როგორც რეტროსპექტული, ასევე „განდეგილის“ შესახებ გამოქვეყნებულ წერილთა მიმოხილვა (ჩამოთვლის წესით მივუთითებთ: ი. მეუწარგია, დ. სოსლანი, ე. ბოსტეველი, მ. წულუკიძე, ივ. გომართელი, კ. აბაშიძე, ს. ხუნდაძე, გ. ქიქოძე, ვ. კოტეტიშვილი, მ. ზანდუკელი, გ. ჭიბლაძე, შ. რადიანი, გრ. კიკნაძე, აპ. მახარაძე, გ. კანკავა, ვ. გოგუაძე, აკ. ბაქრაძე, გ. კალანდარიშვილი და სხვა).

აღრიდანვე ნაწარმოების შესახებ არსებობის სრული უფლება მოიპოვა ორმა დიამეტრალურად განსხვავებულმა აზრმა. ეს ფაქტი თავისთავად პოემის სირთულეზე მეტყველებს, ჩვენ ნაწარმოების მიზანდასახულობის ერთ ასპექტს გამოვკვეთთ.

„განდეგილის“ პრობლემატიკაზე მსჭელობა ასკეტიზმის არსისა და მისი გამოვლინების (ფორმის) გააზრების გარეშე შეუძლებელია.

ბერისა და მწყემსი ქალის დიალოგი სენაკში ასე სრულდება:

„ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა  
აქეთი მერგო მე... უბედურსა...“

ეს ტაბეები მნიშვნელოვანია, შეიძლება ითქვას, ერთგვარი გასაღების ფუნქციაც ეკისრებათ ნაწარმოების მიზანდასახულობის გარკვევისათვის, ხსნა არის ყველგან, მაგრამ ხსნის გზა განდეგილს ერგო „ასეთი“ — ასკეტური. უნებურად ჩნდება კითხვა: როგორია ხსნის ამგვარი გამოვლინება და როგორ უპირისპირდება იგი ხსნის სხვა გზას, რომელსაც მიჰყვება დანარჩენი ქრისტიანული სამყარო, მილიონობით არაასკეტი?

ასკეტიზმის ბუნებას შესანიშნავად წარმოგვიდგენს ერთი სიუჟეტი. წიგნში „რუსთაველის ღვთისმეტყველება“ ვკითხულობთ — „ვორმისის ტაძრის (გერმანია) შესავალზე გამოქანდაკებულია (მე-14 საუკუნე) დიაცი, რომელსაც ჰქვია „ღდეაკაც“ — „ღდეაკაცი ქვეყანა“. ეს არის შუა საუკუნეთა კულტურის ერთი დამახასიათებელი ქანდაკება ევროპაში. ამ ქანდაკებას წინიდან თუ შეხედავ, თვალ-ტანად ტურფა ღდეაკაცს იხილავ, მაგრამ უწინიდან მისი ტანი ტერფიდან თავამდე მოფენილია ჭოჭოებით და გველებით. ამავე ხანის ერთი ლექსი ამ ქანდაკების განმარტებელია. — ერთ მომავკდავ



რანდს გამოცხადდა დედაკაცი, რომლის ხელაშუა უველა ქალისას სჭარბობდა. მას ეცვა შესანიშნავი სამოსელი და მარგალიტებით შემკობილი ოქროს გვირგვინი ეხურა. ვინ ხარ შენ? — ეკითხება მამაკაცი — შე ვარ ქვეყანა — უახსუბებს მას ქალი. შენ ზურგიდან უნდა შემხედლო უფურე, ეს გასამრჯელო მომაქვს შენთვის! მამაკაცი შეძრწუნდა, როდესაც ქალის ზურგი იხილა: უხორცო, სახსე ჭკაოვებითა და მატლებით და მყარდა იგი ვითარცა მძორი ძაღლისა. იტარა მაშინ კავალერმა ვაჟაკმა და სთქვა: „ვაი, მი, რომელი გემოსახურებო შენ“. ამ სიუჟეტში აისახა მონასტრული თვალსაზრისი ქრისტიანული ასკეტიზმისა ხილული ქვეყნის, გრძობად მატერიალური სამყაროს, — „ცოდვის სადგურის“ მიმართ. „დედაკაც ქვეყანაში“ გასაგებებულია გარემოცული მატერია. ქალი სახე-სიმბოლოა ამ უყანასკენილისა. ამდენად არის დიაცი დაგზობილი და უარყოფილი. შემთხვევითი როდია, რომ განგებამ „განსაცდელი რამ მოუფლინა“ განდეგილს სწორედ ქალის ხაზით. ასევეთა შემოსაღებულ სულიერ გოდოლში შეჭრის უველაზე დიდი შესაძლებლობა აქვს ქალს. ქალია ცოდვით დაცემის მიზეზი ტოლსტოის საარაკო ნებისყოფის მქონე ასკეტის — კასატისათვის, ემილ ზოლას ანბეკ შურისა და ფლობერის წმინდა ანტონისათვის. დედაკაცი დაუბინდავს გონებას ანატოლ ფრანსის ფილოსოფოს განდეგილს და გეორგ ბენერის ასკეტს, (გ. ბენერის რომანი „რამეთუ კაცი ვარ“ დაბეჭდილია „ივერიანში“ 1878-79 წწ.). ამავე მიზეზით ეწაა ილიას პოემის გმირი და გასაცოდვდა შო არაგვისპირელის სერაპიონი. რადგან ქალი სახე-სიმბოლოა უველგვარი ზორციელებისა, ზოლო ხიკეთის ნაწილი ხული მით უფრო ირყუნება და ნაკლულივანდება, რაც მეტად არის იგი ზორცის, სხეულის არტაზეში მოქცეული; ამიტომ ასკეტი პროტესტის გრძობით განწეუბა უველადრისადმი, რაც აღნიშნულ სახე-სიმბოლოშია მოაზრებული. განწმენდილ სულს გზა ეხსნება ქვეშაირტ საუფლოში დამკვიდრებისაკენ, რისთვისაც განდეგილს.


დედადამ ლოცვით, ვედრებით, გემით ზორცი სულისთვის უწამებია. რაც უფრო მკაცრი ფორმით ვლინდება სხეულთა ცემა, მით მეტაა ასკეტის სულის ეგზალტაცია. განდეგილი სააქაოს განრიდება უკით სამეფოს ბოროტისასა“. ბოროტებასთან არწიარება უვეელი ადამიანისათვის ღვთიური ვალია და, თუ ეს ასეა, რატომ დასჭირდა პოემის გმირს ბეთლემის გამოქვაბულში გაქცევით გამოხატა პროტესტი ამ უყანასკენელის მიმართ? საზოგადოდ, მორწყნისათვის ბოროტებასთან ბრძოლაში საყრდენია ღმერთი. უველგვარი ავის ახაცილებლად მორწმუნე ღვთისადმი აღვლენს ვედრებას. ითხოვს შეწყვენას ბოროტებას ორი სახე აქვს: გარეგანი, წარმო-

შობილი, დინამიური ბოროტმოქმედება და შინაგანი, სტატიკური, სულში ჩაბუდებული (დემონური), რომელიც თვით წარმოადგენს მიზეზს ბოროტმოქმედებისას. ამ უყანასკენელს აღმოფხვრა გაცილებით რთულია. ასკეტის აზრით, აბსოლუტური სრულყოფა მიიღწევა განდეგილობით — ქვეყნისაგან გაქცევით. საჭიროა გასცდე, უარყო ქვეყანა და უშუალოდ ენაირო, პირდაპირ კავშირში შეხვიდე ღმერთთან. ასეთი მიმართება კაცისა უწენახსთან ქვეყნის, ნვითიერების — „ბოროტების“, ცოდვის სადგურის“ უარყოფას აღდებურებს, რაც განდეგილის მაგალითზე თვალსაჩინოა.

თუმცა ეს უარყოფა უველთვის როდია მოაზრებული აბსოლუტური მნიშვნელობით. საჭიროა ქრისტიანობის თვითყოფადი ხასიათის გათვალისწინება. სააქაოს მიღება თუ უარყოფა, როგორც პარადოქსულადაც არ უნდა ედგრდეს, უველთვის არ გამოიცხავს ერთმანეთს — ზშირად ერთურობთან მორიგებულობა და გარკვეული აღიანისტი განირობებულობა. ამ მხრივ, ქართული ქრისტიანული ასკეტიზმი გამორჩეულია. იგი ხასიათდება შედარებით ნაკლები სიმკაცრით, ცალკეული რევრანსებით უველდღიური ყოფითი ცხოვრების მიმართ. ილია ქვეყანაძის პოემის ბერი, ერთი შეხედვით, ასკეტისათვის არაორთოდოქსალურ ბუნებას ამუღვენებს, როცა აცხადებს: „ხსნა უველგან არის“. განდეგილი პიროვნულად ერთადერთი, ასკეტური გზის მიმდევარი და ამ გზით სულის ხსნის მოწადინება, მაგრამ იგი თვითიულად, ობიექტურად უშვებს ხსნის სხვა გზას. ეს დაშვება არ ქვეყნა განდეგილისათვის სულიერი კოლოზის, შინაგანი მღელვარების საფუძვლიად.

ხსნის სხვა გზა გრძობად-მატერიალურ სამყაროში ეგულისხმება, რომელსაც ბერი უპირისპირდება თავისი პასიური ყოფით, თუმცა გულგრილი ვერ რჩება ამ სამყაროსადმი, მის მკვიდრთა მიმართ. უფრო მეტი — „ცოდვის სადგურში“ უშვებს ხსნის ანუ სრულყოფისაკენ მიმავალ გზას:

მართალი სთქვი შენ თუ ხარ ძე კაცის ცოდვაა გარეთ დაგტოვო ამ დროს. ასე მიმართავს ასკეტი ავი ტარობით შეგირვებულ უცნობს. ზოლო რადესაც ქვექაუბნილით აიკლო ცამ ქვეყანა და წაღეკავს უქადასოფელს განგება, განდეგილი ევედრებოდა შემოქმედს „წარწყმუდიხსაგან ქვეყნისა ხსნას“. იმ ქვეყნის ხსნას, რომელიც მას ბოროტების საშეუფოდ მიაჩნდა, მწირის ქმედებაში იგრძნობა ქვეყნის უარყოფის სააქაოს სატივართან მორიგების ცდა. ის ფაქტი, რომ ქრისტიანობა მონისტური რელიგიაა, ვადამწეუბტი მნიშვნელობისაა ამ შემთხვევაში. დუალისტური რელიგიური ზასიათის აღმსა-



რბლები, როგორც ცნობილია, უფრო მკაცრი ფორმით იცავდნენ ასკეტურ უფასს, რადგან დუალიზმი თვითმყოფად, დამოუკიდებელ, სუბსტანციურ მნიშვნელობას ანიჭებს სიყვითესთან ერთად ბოროტებას. (სიყვითესთან ერთად ბოროტების არსებობის სუბსტანციურ პრინციპს აღიარებს ბუდიზმი, ზნათუტრას რელიგია, განსტიციზმი, ისლამური მისტიციზმი, ანუ ე. წ. სუფიზმი, მითრაიზმი, მანიქეიზმი. ქრისტიანობის ცალკეულ განხრებიდან ბოროტისაგან ბოროტის დაბადების, მიწებისა და შედეგის უღმრთებელ კავშირს აღიარებდა პაულ-ეკიანობა და თოდრიკიანობა სომხეთში). ამიტომ მონისტისაგან განსხვავებით დუალისტი ასკეტო უკიდურესად პენიმიტიკა. თუ ბოროტებას აქვს სუბსტანცია იგი ისევე დაუფლებელია, როგორც სიყვითლე და მის წინააღმდეგ ბრძოლა საფუძველშივე განწირულია. აქტიურობას, აღნიშნული კონცეფციიდან გამომდინარე, არა აქვს აზრი, რადგან სააკო ბოროტება და ბოროტების გარდაქმნა შეულებელია, ამიტომ ამ უკანასკნელს დუალისტი ასკეტო (განსაკუთრებით სუფისტი) უპირისპირდება უკიდურესი პასიურობით და არც თეორიულად შეუძლია დაუშვას, რომ „ხსნა უკვლავ არის“.

ნეტარი ავგუსტინე, მაქსიმე აღმსარებელი, ბასილი დიდი, იოანე დამასკელი, დიონისო არეოპაგელი, იოანე პეტრიწი და, საზოგადოდ, ქრისტიანი თეოლოგები ბოროტის სუბსტანციის შესახებ სრულიად განსხვავებულ აზრს ამტკიცებენ. „ბოლო ბოროტი არც არს არს“ (დიონისე არეოპაგელი). ნეტარი ავგუსტინე აღსარებაში სინანულით წერდა: „მე არ ვიცოდი და ვერც შევითვისე, რომ ბოროტება სულაც არ არის სუბსტანცია“. რუსთაველის თქმით

„დღერთი კარგსა მოაველინებს და ბოროტსა არ დაბადებს“.

ამ დებულებიდან გამომდინარე მონისტური მსოფლხედვის ქრისტიანი ასკეტი, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას „ბოროტების სამეფოდ“ მიიჩნევს, მაინც ლოკულობს და ზრუნავს ქვეყნისათვის („ბოროტებისათვის“).

ბოროტებას არ აქვს საწესის და იგი არც დაუბოლოვებელია, ამდენად „მის მიმართ“ ლოცვა თავისებური ოპტიმიზმის გამოვლინება წარმოადგენს და მილიონობით არა ასკეტი-სათვის „ხსნის სხვა გზის“ დაშვებაც ხავსებით კანონზომიერია.

ასკეტის და, კერძოდ, პოემა „განდეგილის“ ბერის შესახებ სრული წარმოდგენისათვის კიდევ ერთი საკითხი უნდა იქნეს გათვალისწინებული. ისეთი მძიმე პროცესი, როგორც შეიძლება იყოს წლების მანძილზე თვითგვემა, ტანჯვა, რუღუნება, ნებით დასაქურისება, დიდი ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური საფუძვლის გარეშე წარმოუდგენელია. რა მო-

იაზრება ამგვარ სუბსტრატში? ამ კითხვას ნაწილობრივ შემთ გვეკონდა პასუხი გაცემული (ბოროტების პირველ მიწვევაში მიმართ პარტისტო). ამასთან, ნიშნადლობლივია არაერთი მუხლი. კერძოდ, — „უფრო მეტად დაუბოლოვებს ხახლი გინა ქმანი ანუ დანი, ანუ მამა ანუ დედა ანუ ცოლი ანუ შვილი. ანუ ქუეყანა სახელისა ჩემისათვის ასი წლის მოიღოს და ცხოვრება საუკუნო დაიმკვიდროს“. გიორგი ათონელის მიერ თარგმნილ „მცირე სკულესკანონში ვკითხულობთ: „ამქვეყნიური შფოთისა და ამბოხის დატოვება და შვებათა და ამ წარმავალი საწუროსსაგან გაყრა და მოწაწონთა წესით ქრისტეს მონება და წარმავალთა წილ წარუტოვი სიეთვის მოაოვება დიდი საქებათა და საუკუნო ცხოვრების მომწვევი“ (VI კრების კანონები, 39). ბასილი დიდის კანონების მიხედვით აღკვეცა 17 წლის შემდეგ შეიძლებოდა. შემდეგი VI საეკლესიო კრებამ 10 წელი მიიჩნია ცნობიერ ასაკად. მონაწევრობა ნებადართული იყო უველასათვის, ვინც ამას მოისურვებდა, უცოდველი იქნებოდა იგი თუ ცოდვილი — „რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაძო იგი გარე“ (იოანე 8, 37). ილიას განდევნილი ცოდვილი ან რაიმე რეალური მიზეზით განაწყენებული ბერი არ ჩანს. იგი არც საყვარელი ქალისაგან დაღატოთ მიყენებული ტყვეობის გამო განდგომილა, არც კაცისკვლის და არც წელთა სიმარჯლის გამო. განდევნილი მონაწევრი ფილოსოფოსია. მისი ლოცვა არის ლოცვა-ვედრება აღამისა და ევას შეცოდებიდან („აღამის გამო მოგწყდები“ — I კორ. 15, 22) განდგომთომამდე არსებულ, მოწამებობრივ გზაზე შემდგარი კაცისა, რომელიც უფრო დროის მერღვიანზე დგას ჩაფიქრებული.

და მაინც, კონკრეტულად, რა იგულისხმება განდევნილური მსოფლჭვრეტის, ასკეტური მედიტაციის საფუძველში? საქმე ის არის, რომ ასკეტიზმი ნეოპლატონური წარმომოხისაა. კერძოდ, ნეოპლატონური წარმომოხისაა ის რწმენა, რომელიც მონაწონს აქვს ნივთის შესახებ და რომელიც განსაზღვრავს მის პენიმი-იზმს. ქრისტიანობამ, როგორც ცნობილია, პლატონისა და განსაკუთრებით ნეოპლატონური ფილოსოფიის ერთგვარი სუბლიმიცია მოახდინა. არისტოტელეს თეოლოგიურ „დამუშავებამდე“ ქრისტიანობა დიდად დავალებული იყო პლატონისა და პროკლეს სწავლიდან. იღუა, რომელიც გამოკვეთილია ნეოპლატონიზმში, გაულისხმოს იმ მხარის მიტოვებას, სადაც მარადიული, ქვემარტიბი ბედნიერება შეუძლებელია. ასე ფიქრობს ქრისტიანი ასკეტიც. იგივე ნეოპლატონიზმი უკავშირდება ბოროტ-

ნოდარ გრიგალაშვილი  
გზა ხსენისა

ბის არასუბსტანციურობის აღიარებას. ამ სწავლის მიხედვით ნივთი, მატერია არ არის ღვთისაგან დანაბალი ბორბტება, მაგრამ იგი არც ჭეშმარიტ სიკეთეს წარმოადგენს. გრძნობადი სამყარო მახინჯი ანარქულია, ჩრდილია ჭეშმარიტი ზესთასოფლისა.

ქვეყნად არჩეული ყოველი სავანი ნამღვილის მიმსგავსება მხოლოდ და რაც უფრო მატერიალურია იგი, მით მეტად არის დამორბეული თავის ჭეშმარიტ არსს. ამგვარი შეგნებით ღრმად მოცული განდევნილი ცლილობის დასცილდეს ნამღვილი არის უხეშ გამოვლინებას — მატერიას. დასცილდეს ცოდვილ სხეულსაც და ცოდვამდელი ყოფა აღიდგინოს. ხორცისაგან იგი ეგრასოდეს განთავისუფლდება (სახელოდება „აღმდინი“ — ამბოხს გრძივად ალაშა — არ მიესადაგება ცალკე სულსა და ცალკე ხორცს, არამედ ორივეს ერთად; რამეთუ ისინი შექმნილან „ღვთის ხტად“), მაგრამ ცოდვამდელი სხეულის აღდგენა იქნება ჭეშმარიტ ადამიანურ ყოფისთან დაბრუნება, რომლის შერყევნილ ხატსაც (და არა დამპირსპირებულს, ბორბტს) წარმოადგენს მისი სხეული და გარემომცველი სამყარო. ცოდვამდელი, ნამღვილი და ცოდვირ დაცემის შემდეგ შერყევილ სხეულთა პოეტური გააზრება ბრწყინვალედ აქვს ვაჟა-ფშაველას წარმოადგენილი პოემა „გველის მჭამელი“. მინდაღს ღვთაებასთან ზიარების შემდეგ „ახალად სული ჩადგა, ახალი ხორცი აესხა, გულის ხედვა და თვალების, როგორც ბრმის და ყრუს გაეხსნა“. საუურადღებოა ერთი ბიბლიური სიუჟეტიც; ღმერთის რჩეულს, ყოფილ მწყემსსა და შემდეგ ისრაელის პირველ ბიბლიურ მეფეს საულს წინასწარმეტყველი სამოელი მიმართავს: „და მოვიდეს შენ ზედა სული ღმერთისა და შენცა წინასწარმეტყველებდე მათ თანა და გარდაიცვალო შენ ახალკაცად (მეფეთა, 10, 6). გამოდინარე ზემოთქმულიდან, ილიას განდევილი უაჩყოფს სააქაოს, მისწრაფის ზესთასოფლისაკენ, თუმცა მაინც ლოცულობს ამ ქვეყნისათვის, რადგან იგი არაა ბორბტი, აბსოლუტური გაგებით და პირობითად არის სახელდებული ასე.

## II

ახლა კი უშუალოდ უნდა შევუპირისპიროთ ერთმანეთს ხსენს ორი გზა და გავიაროთ პოემისათვის მისი ოდენ სიმბოლური მნიშვნელობა.

განდევლის ხსენს გზა ზეციური ერთობა. ასკეტი შეეყარებულა მაცხოვარზე. მწირი შეშხივნა ირადღურ სამყაროს. მას სწამს და, ამდენად, ხელავს იმას, რაც მრავალთათვის უხილავია.

ზედ ეტყობოდა რომ სული მისი სულ სხვა მსოფლიოს შეშხივნებოდა.

ბერი დღემიარად ლოცულობს, „ლოცვის ცრემლი“ მოლაღად მწირისა ღედესავით ღიოდა. („და არ შემწყდარა მუნ ლოცვის ცრემლი, ვითა ღედესა მას გლოვისასა“ აქ ილია ეუენებს ფსალმუნისეულ პოეტურ სახეს (იბ. ტ. 58, 7). ეს კი დასტურია ღმერთისა მინის ყოველი დღიური ურთიერთობისა, რადგან „ლოცვა ვედრება სხვა არა არის, თუ არა სულის შინაგანი ილუმინირება, ღმერთის უშუალო ხილვა“.


ილია ერთგან წერს, ხორცის დაუძღვრებას სულის დაუძღვრებაც თან მოსდევს და, თუ განდევლის სტოკურ ყოფის, ფიზიკურ შექირვებას სულის დაუძღვრება არ მოპყოლია (ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ განდევილს „სულის სიმადლე ზედ დასჩენოდა“), ამაში „მიჯნურობა პირველის“ ფაქტამა ითამაშა დიდი როლი.

ღმერთგთან მიახლების ერთადერთი გზა არის რწმენა, რომლითაც მოცულია განდევლის პიროვნება, თუმცა პირდაპირი კავშირი ზეციური სატრფოსთან არ ხერხდება და იგი მხოლოდ გაშუალებული სახითაა შესაძლებელი; განდევლის განუწყვეტელ ლოცვას აღნიშნული ფუნქცია ეკისრება, რადგან „ვითარცა ხატებისაგან იცნობების მხატვარი“, „ასე ვითარის სახითა იცნობების დახადებულთაგან დამდაბლები. მსგავსად ზე შესრულისა სახლითა ძიებენი რაიმენი“ (იოანე ხელაშვილი). საკუთარი თავის შეცნობით ცდილობს ასკეტი ზესთასოფელთან ზიარებას, ღვთის შეცნობას.

ღმერთის გაშუალებული ხილვა პოემში კონკრეტული სახითაც წარმოჩინდება. „ჭერ კიდე პავანური რელიგიებიდან ღმერთი სახელდებული იყო, როგორც „უცნაური და უთქმელი“, აღუწერელი (ღვთის ამ შინაარსით სახელდება პირველად წარმოადგინა ებრაელმა ფილოსოფოსმა ფილო ალექსანდრიელმა 25 წ. ძვ. წ. — 50 წ. ახ. წ.). ადამიანმა შექმნა უზენაესის გაშუალებული შემეცნების მოდელი და იგი კონკრეტული ხატით, მზის სახით წარმოიდგინა. მზეს ღვთის ხატად სახელდებდნენ „ფილოსოფოსმა წინანი“ სტოელმა შორის, ალექსანდრიულ ფილოსოფიურ სკოლაში, გნოსტიციზმში, ნეოპლატონიზმში, ქრისტიანობაში.

მზის სახით ღვთის გაშუალებული ხილვის შერხისათვის ილიას ორჭერ მთუმართავს პოემაში. მზის სახით იხილა ღვთაება როგორც მწყემსმა ქალმა, ისე განდევილმა. ასკეტი —

ერთხელ საღამოს ლოცვით დაღლილი, გაღმომდგარიყო ზღუდის კარებსა, და დაფქრებით გაღმპყურებად, მწვანით დღეულ მზისა კალთებსა, მზე გადახრილი ჭერ კიდე სრულად, მთისა გაღაღმა არ დასულიყო, და მთის წვერზედ ვით ცეცხლის ბორბალი, ირგვლივ სხივ გაშლით ანთებულიყო



ცისა ლაქვარდი, ვით ნაკვერჩხალი წითლად და ყვითლად მზისგან პლუტადა და განსხვავებული მისით ღრუბელი, შორს ათას ფერად სხივებში შორთოდა ამა უბიწროს დიადის ხილვით წარტყვენილ იქნა განყენებული და ვით ცხოველ ხატს ღვთის დიდებისას შესცქერდა მზესა განცდიფრებელი.

ღმერთო ნისლიხაგან“ („და განსხვავებული მისით ღრუბელი“) განდეგილის სრულ ექსტაზში გადასვლაზე.

სასულიერო მწერლობაში ხშირად მასწავლებელი როცა ღმერთი ბიბლიური ღრუბლის ალეგორიით განიცდება.

მზის ხილვით, როგორც შემოქმედის გაშუალებული ხილვით გამოწვეულ წარტყვევანაზე მიგვანიშნებს დავით გურამიშვილიც:

მზეც საცნობად შენა მკვერეტსა თავებრუს ასხამ შეაქ რეტსა.

გიმართავ ვერ მართლად თელსა ვერ ესცნობ შენს გზასა და კვალსა.

და იქვე შენ შემქმენ და შენ დამბადე, თელთა დამთარე ბადე.

ამგვარად, სიმბოლურ-ალეგორიული ხერხით გამოხატება პოემა „განდეგილი“ ასკეტის ურთიერთობა ღმერთთან. განდეგილი რელიგიური წარმოდგენით „ღვთებრივ ქორწინებაშია“ შემოქმედთან. მისი სატრფოა ღმერთი. მისი ეროსი ზეციურია. ახვ წარმოდგენა პოემის პირველი თემატური ხაზი — ადამიანის სიყვარული ღმერთისადმი.

(დემიურგი და ადამიანი) — მყუდრო სენაკში შეტყობილი მზის სხივის სიმბოლიზირების საშუალებით ღმერთისაგან განდეგილის სიყვარულზე მანიშნებს პოეტი. ასკეტის ქვაბულში მზის სხივი ეშვებოდა:

როს ლოცულობდა იმ სხივსა თურმე, თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა და ზორსმესხული მზის სხივი იგი უფლის ბრძანებით ზედ შეიჩინდა.


სხივის სასწაულებრივი ძალის გამოვლინებაში უფრო მოვლენის შინაგანი, ეზოთერული პროცესია მინიშნებული. თუ ლოცვა, როგორც ეს ზემოთ ითქვა, სულის შინაგანი ილუმინირებაა, ანუ ღვთაების ხილვა სულში, როგორც მის ნაწილში, უნდა გავითვალისწინოთ ღვთის უბილაგობის, შეუცნობლობის მომენტი. „უბილაგი ნათელი“ მხოლოდ ბიბლიურმა მოსემ იხილა, რომელიც შევიდა „საღმერთო ნისლში“, მაგრამ, ბიბლიის მიხედვით, ღმერთი ზურგშეცემული იღვა. ამდენად, განდეგილისაგან ღვთის უშუალო ხილვა შეუძლებელია, უკეთუ მას თვითონ არ დაეხმარება შემოქმედი. საუბრადღებოა, რომ ლოცვა და სხივის სენაკში შეტრა ერთმანეთს უკავშირდება, ერთდროულად ხდება, როს მლოცულობდა, იმ სხივსა თურმე თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა“. ღმერთს განდეგილის წამება შეუწირავს, ვედრება უსმენია და სხივის სახით, მასზე ლოცვანის შეჩერების ეგზოთერული ფორმით

პოემის ამ შთამბეჭდავი სურათის ანალიზისას მკვლევართა საერთო აზრი ასეთია: „იმდენად ჭაღოსნური მომხიბვლელობისა იყო დაისი, რომ მან ამ ადგილებს შეჩვეული, ცხოვრებას მოწყვეტილი და ხელოვნურად ნორმალურ გრძნობაჩაზრული ბერიც კი გაიტაცა“.

ციტირებული სტრიქონებიდან გამომდინარე განდეგილის სულიერი მდგომარეობა სხვაგვარად წარმოგვიდგება. მზე და ბუნება მწირისაგან გააზრებულია ოდენ სიმბოლური სახით. აქ გამოუყენებელია ქართულ მწერლობაში კარგად ცნობილი სიმბოლურ-ალეგორიული გამოხატვის ხერხი. (რ. სირაძე „ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან“ (სიმბოლურ ალეგორიული გამოხატვისათვის ძველ ქართულ მწერლობაში). განდეგილი „წარტყვენილ იქნა“ არა მზის, როგორც ასეთის, არამედ ღვთის ხატის ხილვით, ისევე, როგორც სამოთხეში მორაბული დანტმ დაატყვევა გასხივსნებული მზის ბორბალში გაცხადებულმა ღმერთმა. განდეგილისაგან აღქმული პეიზაჟი საფუძველია არა დაისის მშვენიერებით ტკობის, არამედ წმინდა რელიგიური ექსტაზისა. ბინდი, ღრუბელი და მზე ასკეტს წარმოუდგება არა როგორც ხილული სამყაროს რეალური სურათი, არამედ, როგორც ხატი დემიურგისა. სხვათაშორის, ებრძისს ზემოთ ნახსენები რომანის ასკეტობ რელიგიური გრძნობით აღიქვამს დაისს.

„ზღვის ნაპირების სიახლოვეს აწოწვილი იყო ჩაკბილული გვირგვინი უშველებელის მთისას. ეგ მთის კენწეროს კბილები, გაბრწყინებულნი ჩამავალის მზის სხივებითა, სწორედ ბრწყინვალე სარტუქისა ჰგავნდა ცეცხლის ნადვრდლის ფერ იაგუნდებით შორათულსა, ღრუბლის სუბუქი ზეწარი თან-თან წამოცხება ზღვის ნაპირებსა, ვერცხლისფრად ცაში მოფანტულ ღრუბლებმა ფერი მოცვალდა. იგიინი ვიციღუნენ ახალი ვარდის ფრად და ზღვის პირის გორბუხედ კი ამეთვისტოს ფერი დაეღვა“. ამ სურათის ხილვისას ასკეტი ექსტაზში გადადის და მეგობარს აღუდგებელი ეტყვის: „არ ვიცი რა ვქნა?... აი, ჩვენ ხომ ეტლა ამ ხადამოს შევზარადით ერთს უდიდეს სასწაულს ღვთისას“. მწყემს ქალსაც ღვთაების სახით ეცხადება ამ დროს მზე. რადგან „ღმერთი არის ნათელი რომელი ბრწყინავს წყვილადში“. (დომინიკ აროპაგელი) წარტყვენა („წარტყვენილ იქნა განყენებული“) მიგვანიშნებს „სა-

ნოდარ გრიგალაშვილი  
გზა ხსენისა



სასწაული ნიშნად მადლისა  
მლაოდებულზე მოუვლენია.

„ლუთაბრივი კომედის“ ერთი პასუხის მიხედვით, ბეატრიჩე ასწავლის დანტეს, ღვთაების სახილველად მოკვადვის მწერა უძლურია და მისივე დახმარება არის საჭირო. ეს დახმარება „ლუთაბრივი კომედიაშიც“ მზის სხივით გამოხატება.

უფლის კეთილდამოკიდებულებას მიაწერს მწიბრი ყოველი კეთილი საქმის ქმედებას. წარღვნას გამორიდებული ქალის სამაღლობელ სიტყვებზე იგი პასუხობს:

ქნე მიმადლი შეილო შენს დახსნას

ღმერთთა ყველას მშველელი მხსნელი.

სხივის სასწაულებრივ გამოვლინებას განდევლისათვის კიდევ ერთი ღუნქცია აკისრია. ერთგვარი თვითანალიზი, საყოთარი თავის შემოწმება მწიბრის ყოველდღიურ, აუცილებელ პროცესად გაუხლია, რადგან უველა მოკვდავი „მერყევე მდგომარეობაშია, ხან ცად აიჭრება, ხანაც მიწაზე ენარცხება. კაცობრიობა არ არსებობს მერყეობის გარეშე. სავსებით თავისუფალი კაცი ჭერ არ მოვლენილა დედამიწაზე“ (აბრაამ ხეშელი).

განმართომამდე არსებული გზა ხავსება იქვით და რუღუნებით. ამიტომ მწიბრი

თვის სიწმინდეს ყოველდღე თურმე  
ამ სასწაულით შეიმოწმებდა.

განდევლის ტრფობის საგანი ღვთაება და „აღამიანის ჭეშმარიტ კმაყოფილებასაც ხომ მხოლოდ იმასთან ურთიერთობა ბადებს, რაც თავად აღამიანს აღემატება“. უნდა ითქვას, რომ კმაყოფილებას მარად ახლავს შიში, შიში, რომლის გამოც ასევე საყოთარი უზიწობას იმოწმებს სხივის დახმარებით. ჰეგელი ამბობს: „შიში, — არ შევცდეთ, განა არ არის უკვე შეცდომა?“ ამაგვარი ურუ ეჭვი, უნდობლობა საყოთარი თაოსანდში და შიში იმისა, არ შევცდეთ, გახდა საცუძველი ასევე სულიერი კოლიზიას, მას შემდეგ, რაც ეჭვი რეალობად იქცა.

პოემის სიუჟეტური მდინარება წარმართულია იხე, რომ განდევლისა და ღმერთის ურთიერთობის შემდეგ ავანსცენაზე ჩნდება ქალი, რომელიც ამსხვრევს მწიბრისაგან ნასათუფევი შეიღობი ეროსის გრძნობას. შიში იმისა, რომ არ შევცდეთ, მწიბრს ქალის ხმის გაგონებისას გაუღრმავდა. იგი „შეერთა, შეშინდა ამა ხმისაგან“. მწიბრი შეტრთა, მაგრამ აღამიანის მოსვლის გამო კი არა, განდევლიმაც მსწარულ თავი შემოიწვლუდა, რათა აღამიანის სახით ეშმაკეული არ მოვლინებოდა, არ დაპატრონებოდა მის სულს. მწიბრი არ არის მიწანათრობი, პირიქით, იგი ქვეყნისთვის მოლოცველი ალტრუისტიკა, მაგრამ როგორც ფილოსოფოსები იტყვიან: სინათლის ხილვა სინათლის ასკოციასაც აღძრავს, ისევე როგორც სიციცხლეზე დაფიქრება სიკვდილისას. განდევლის შიშმა შეახსენა თავი:

ნუთუ აწ გედმა ქალის სახითა  
განსაცდელი რამ მას მოუვლენს.

აქ ყურადღებას ვამახვილებთ სიტყვებზე „ქალის სახითა“. ზემოთ ნახსენებნე ვორსის ტარის ქანდაკების აღგორიით უფროდებოდა ქვეყანა და ქალი-ქვეყანა, „დედაკაცი-ქვეყანა“. ცხადია, იგივე სურათია აქაც დახატული, მაგრამ, უნდა ითქვას, ეს არის პიროვნული, კერძო მიმართება ქალისადმი, რომელშიც შეიძლება ეშმა განსახიერდეს. განდევლი ცდილობს თავი შემოიწვლუდოს, რათა „არ სცეს ადგილი ეშმაკს“. რადგან ეშმაკიეული ძალა უძლიერესია საცუძუნებლად, „აღამიანი არჩევანს წინაშე მარადღე, ვის გაუგონოს — ღმერთთა თუ გველს. ყოველთვის უფრო ადვილია, ცხოველის გშურდეს და ემსახურებოდე, თაყვანს სცემდე ტრტემს, ვიდრე ის, რომ ისმინო ღვთის ხმა!“ (აბრაამ ხეშელი).

განდევლია წინააღმდეგობაშია, რადგან, ერთი მხრივ, შეაშინა ქალის ხმამ, ქალის სახით მოვლის ბოროტებას, ხოლო მეორე მხრივ, მზად არის უშველოს ქალს, როგორც აღამიანს:

მართალი სთქვი შენ, თუ ხარ ძე კაცის,  
ცოდვია გარეთ დატოვო ამ დროს,  
თუ ცოდვილი ხარ, ჩანს ღმერთს სწადიან  
მწიბრი ცოდვილი დღეს გამომცადოს.

განდევლის ასეთ პასუხში გამჟღავნდა მისა მიმართება აღამიანებისადმი. მწიბრი პიროვნულად უფრთხის ქალს, მაგრამ მისი ზოგადი მიმართება აღნიშნული დეტალის მიხედვით მწიბრს წარმოგვიდგენს, როგორც ალტრუისტს. რაც შეეხება სიტყვას „ძე კაცისა“, რომელიც პოემაში სხვაგანაც იხსენიება (თუ ძეა კაცის რამ მოიყვანა ამ დროს ამ ღამეს ქვეყნის რღვნისა-სა?), იგი ზოგადი სიტყვაა და მხოლოდ კაცი არ მოიაზრება. ძველ ქართულ მწერლობაში ეს სიტყვა ჩვეულებრივად ორივე სქესის მიმართ იხმარებოდა. შეიძლება დავიმოწმოთ თვითონ ილიაც „დედაც კაცია, აღამიანია და მარტო კაცისა და აღამიანის სახელით დედათა უფლების საქმე უნდა ზღადადებდეს, და თხოულობდეს თავის წარმართვასა“. ე. ი. მწიბრი მზად არის მიიღოს, დაეხმაროს „ბოროტების სამეფოს“ უნებლიედ ლტოლვილ „ძე კაცისა“ — ქალი იქნება აუ კაცი. ამდენად ზედმეტ სიმკაცრედ ვაჩვენებთ პატივცემული გ. კალაღარიშვილის სიტყვები, რომ „იესო ქრისტესაგან განსხვავებით, განდევლიმა შეიწვლა არა მხოლოდ ცოდვის იდეა, არამედ ცოდვილი აღამიანები“.

სიუჟეტური მდინარება აქ მაღლევს კულმინაციას. ცეცხლის შუქით სინათლემოციავე სიხამი ახლად მოვლენილი მწყემსი ქალის სახით ასევე ულამაზესი ქალის ხილვის საშუალება მიეცა. „გასაოცარი რაღაც მშვენიერა განდევლის თვალწინ წარმოედგინა“, თვალთა ნათელს მშვენიერი მანდილოსნისას „თვით ცეცხლის სითბო

ეცილებოდა“. და ცეცხლის კრთომა ვერ ედრე-  
ბოლა სითბოს მთრთოლვარე ქალისას:

მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი  
ვითა ძლეული უკუ ჰკრთებოდა.

ადამიანთაგან განმარტებული განდეგილას  
მიერ ასეთი მშვენიერების ხილვა წარმოაჩინს  
ვნებაგადვილებულ კაცს. ვნებათა დღევამ აიტანა  
მწირი, მის სულსა და ზორცს წაღვკვას უქადა  
წრეგადასული ლტოლვა-ლიბიდო.

„გულმკერდის თრთოლვით ვინ არ  
ათრთოლდეს!“

„ვიცის არ მოიბზრობს მოინადირებს ყოვლად  
ძლიერი მშვენიერება“.

და განდეგილმაც, მშვენიერების ნანადირევად  
„ქაღს შეაჩრეა ტყვედმწილი თვალი“. ასეუ-  
ტის სულის ამგვარი გამოშლენა ავტორისხეული  
რემარკებით ხდება, ხოლო განდეგილს ჭერაც  
არ გაუცნაობერებია მის სხეულში ატეხილი ლი-  
ბიდო. მწირში ზორციელმა ვნებამ, ბუნებრივმა  
ინსტინქტმა იჩინა თავი და მისი ჩაკვლა მტკიცე  
ნებისყოფის ასექტს არ გასპირებია, რადგან  
„დამიანურს უპირისპირდება დემონური და არა  
ცხოველური საწყისი“. ბერი სრულიად დამშ-  
ვიდდება და ქალს მიმართავს, როგორც შვილს,  
როგორც მოყვასს:

„მე ნუ მიმადლი შვილო შენს დახსნას!“  
„ნუ მიწყენ შვილო და ნურცა გიკვირს!“  
„მოვშორდი შვილო წუთისოფელსა“.

„რა გითხრა შვილო? ყველაზე უფრო სული  
ტკბილია“.

გარდა იმისა, რომ მიმართვის აღნიშნული ფო-  
რმა ასექტის ლექსიკონათვის ჩვეულებრივი და  
დამახასიათებელია, სიტყვის „შვილო“ მრავ-  
ალგზის წარმოთქმა აფორიაქებულ ბერზე ჰქვე-  
მცნეულად მაგიურად მოქმედებს, ამშვიდებს  
და აწუნარებს. მეთუდანებს მწიწებს მწყვეთნი  
ქალის მკაცრი ლოკიური მხკელობა და უპირის-  
პირდება, მწირს საკუთარი თავის მიმართ წამოს-  
ცდება სიტყვა უბედური. ეს, სიტყვა ბერის აგო-  
ნის საბოლოო მიზეზად არ ქცეულა. განდეგი-  
ლის ზეციურ სიყვარულს დაუპირისპირდა „ხსნის  
ნეორე გზა“.

უძლიერესმა ამქვეყნიური სიყვარულის ვნე-  
ბამ წარწყმედა მწირის ნალოლიავეები ზეციური  
ეროსი. პირველ ეტაპზე, მართალია, დათრგუნა  
სექტმა ზორციელი ვნება, გონებამ ყველაფერი  
საუთონი გზით წარმართა, მაგრამ მას შემდეგ,  
რაც ქალმა კერის პირას მიიძინა, განდეგილში  
რადც ახალი გრძნობა ისახება. ჭერ არ ცნო-  
ბილი ვნება ავსებს მწირის პიროვნებას და მისი  
გონება უძლიერია ამ გრძნობის წინააღმდეგ. ეს  
უკვე არაა, ზორციელი ლიბიდო, არამედ ჰემი-  
არტი ადამიანური სიყვარულის გრძნობაა. ამ  
გრძნობამ „ვითარცა დემონმა არ იცის ნება გო-  
ნების, მისთვის მთავარია იქ დაიბადოს, სადაც  
გულს ნახავს სიყვარულის მწყველი გრძნობისათ-

ვის. სიყვარული აკრძალულ სფეროში დემონურ  
კომბივლუდობას იძენს“, (ვ. გოგუაძე) მწირში  
სიყვარულის გრძნობის ჩახახავზე მკაფიოდ მი-  
ნიშნებს პოეტო:

ლიბანს დასცქერდა ნეტა რა სხეული  
გულს ჩაეფინა ნელი და თბილი,  
პირწის, მგარამ იგი ძრწოლა რად არის  
ესოლენ ამო, ესოლენ ტბილი,

აქამდისაც ხომ გული უძგერდა  
ეხლა სულ სხვაა მის გულის ძგერა

ეხლა მის გული თითქოს ებანს სცემს  
და ისმის ჩუმი ებნის სიმთ ყღერა,

როგორ იწამოს და რა დაარქვას  
ამ ჭერ არ ცნობილ ნეტარებასა  
თუ ცოცხა არის ეგრე რადა ჰგავს  
სულისთვის აღქმულ უკვდავებას!

ციტირებულ სტრიქონებში მკაფიოდ არის მი-  
ნიშნებული, რომ „ეხლა სულ სხვაა“ განდეგი-  
ლის არსების შემძვრელი გრძნობა და რომ ეს  
გრძნობა, ეს სიტკბობა „ჭერ არ ცნობილი ნე-  
ტარებაა“. ამავე დროს, მინიშნებულია იმ  
ზორციელ ვნებაზე, რომელზეც ზემოთ ვწერ-  
დით. „აქამდისაც ხომ გული უძგერდა, ეხლა  
სულ სხვაა მის გულის ძგერა“. მწირისათვის  
ამქვეყნიური ყველაფერი ცნობილია, განვილია.  
მას ჰყავდა ყველა — „დედა, და, ძმა ანუ  
ნათესავი“ და ყველას გამოთხოვა, ყველაზე აი-  
ლო ბელი („მყავდა და ყველას გამოთხოვე“).  
მწირის ზეციურ ეროსს ვერ შეარყვავდა ერთხელ  
განცდილი, უკვე ცნობილი და გასაგნებული  
გრძნობა. განდეგილი საამისოდ მტკიცე პერ-  
სონას წარმოადგენს. ილიამ შეხანიშნავ ხერხს  
მიმართა: ზეციურ სიყვარულს, „მიჩნურთა პი-  
რველს“ დაუპირისპირა მიწიერი, ადამიანური  
ეროსი, განდეგილისათვის ჭერ არცნობილი ნე-  
ტარება, რომელიც ჰგავს სულისთვის აღქმულ  
უკვდავებას. თუ რჩეულთათვის ხსნის გზა დვთაე-  
ბრივი სიყვარულია, ვინც სოფელში რჩება, ყვე-  
ლა არ წაწყდება, რადგან არსებობს ამქვეყნიური  
ხსნის გზაც — ზოგადად სიყვარულით გამოხა-  
ტული. ამ შემთხვევაში მის ერთ კონკრეტულ  
სახესთან, ე. წ. „მიჩნურთა მეორესთან“ გვაქვს  
საქმე. მიწიერი ეროსი ბაძავს ზეციურს — „მა-  
რთ მახვე ჰმძკვენ“.

ათანადილი მიმართავს უფალს:  
შენ დაპაბდე მიჩნურობა შენ აწესებ მისსა  
წყესსა.

ღმერთი არის სიყვარული თვითონ და მიზე-  
ზი ყოვლითა სიყვარულითა. ღმერთი, როგორც  
სიყვარული, არის სუბსტანცია და მიზეზი აქცი-  
დენციისა. კაცთა სიყვარული ღვთისაგან იქმნე-  
ბა — „ყოველთა ტრფიალებიისათვის გარდამე-  
ტებულთა ტრფიალებითისა სახიერებისათა გა-

ნოღარ ბრიგალაშვილი  
გზა ხსენისა

რეგან თავის თვის იქმნების წინაგამგებლობისა მიმართ ყოველთა არსთათსა და ვითარცა სახიერებით რათმე და სიყვარულით და ტრფიალობით მწყალობელ არს“. ამიტომ ოსთავის მიხედვით „ქორწინება წმინდა არს და საწოლი შეუგინებელი“. ხოლო იოანე ოქროპირი დასძენს: „ღმერთსა არა დაუყენებვის ქორწილი. მეცა ვიცი, ვითარმედ ღმერთი არა აუენებს ქორწინებად, არამედ დააუენებს მრუსებისაგან“. მიწიერი სიყვარულის ამგვარი გაგება წარწყმედის საფუძველი კი არ არის, არამედ ხსნის მეორე გზას წარმოადგენს. ამ გზაზე შემდგარი ნეტანნი იმედოვნებს, „დღისით და ღამით ხედვიდეს მზინა ელვათა კრთომასა“. ტარიელს ამ გზის გავლით ზესთასოფელში „მიხვდა მუნ დიდი უკვდავი საჩუქარია“, ე. ი. ასეთი გზაც არა წარწყმედის, არამედ სულის ხსნის გზაა. „მიჯნურობა მეორე“ ემსგავსება „მიჯნურობა პირველს“. ამიტომ მგავდა მწირის ჭერ არცნობილი ჯანცდა სულისთვის აღქმულ უკვდავებას.

ღვთისმშობლის ხატება ქალის სახე შეცვალა. განდეგილის მიერ დაშვებული იბო გზიდან ერთმა დათრგუნა მეორე — მის მიერ არჩეული გზა.

ერთი მწერლის მიხედვით, „მხოლოდ ის ვერ უძღვდეს წამთარს, ვისაც ზავსულის სითნო არ უნახავს“. მწირი ჭერაც უნახავი ნეტარების სუსხით დაითრგუნა. სურვილამტყდარი ბერი, ის იყო, უნდა დაპკონებოდა ქალის ბაგეს, რომ უტებ გაშეშდა, ება წაწყმედავ ეს რა სურვილი გულს გაიტარა, ნუთუ იძლია, — არა და არა.

მაგრამ გვიან იყო უკვე. ის, რაც ყველა მოკვდავისათვის აუცილებელი და ამაღლებული გრძობაა, განდეგილმა თვითონ აიკრძალა და ასკეტისათვის ეს ვნება უკვე დანაშაულია. მან შელახა ზეციური ერისი. იგი ტრაგიკულ პერსონაჟად იქცა. მართალია, ქრისტიანული ასკეტებში აბსოლუტურად არ გამოირიცხავს ადამიანის ცოდვილიანობას და უშვებს ცოდვისა და სინანულის კორილაციას, როგორც ეს ხშირად არის ნაჩვენები „ცთუნების სიუფეცის“ ნაწარმოებებში, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია თვით პიროვნების ინდივიდუალობა. ლიტერატურის ისტორიიდან ტიპოლოგიურად მონათესავე პერსონაჟებზე ერთი თვალის გადავლენითაც დავრწმუნდებით, რომ ერთნაირი განზომილების ცოდვაზე ადამიანები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ. თუ ერთი გმირი უნებლიე, მაგრამ სახინელი დანაშაული გამო თვალებს ითბრის, მეორე შორეულ მოგზაურობაში მიემართება „გულის გადასაყოფობლად“, განდეგილი ფაქტობრად თვითმკვლელად ხსნადის. იგი ეწიარება ამ ცოდვას, რომელსაც (და უფრო მძიმე დანაშაულსაც) მისი მონათესავე პერსონაჟები ხანგრძლივი სინანულით გამოისყდიან ბოლომე. სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან ილიას გმი-

რი მხოლოდ ასკეტი კი არა, სახე-იდნა, გარკვეული სიმბოლოდ მატარებელი პერსონაჟია, როგორც ეს აკაკი ბაკრაძემ დასტურებულა. ღენად, სწორი არ უნდა იყოს მისწერის, რომ ილიას გმირი „რომელიც აკრძალული სურვილის რეალიზაციას არც კი ახდენს, დიდი აფორიაქების შემდეგ დაშვიდდება, მაგრამ სულ მალე მის აჩხებაში თავს იჩენს სახედისწირო ზარის და გმირი იღუპება. როგორც ჩანს, პიროვნებაში ამოქმედდნენ რაღაც სხვა ძალები, რომელთა შეუკავებლობამ გამოიწვია კატასტროფა, თორემ ამ შემთხვევაში ასკეტის ხომ თავისი იდეალის გამარჯვება უნდა ეწეოდა“. რა არის „რაღაც სხვა ძალები“ პოემაში არ ჩანს, ის კი ნათელია რომ იგი ცოდვით დაეცა და საკუთარი იდეალის გამარჯვებას ვერ იზიენებდა. მას არ მოუხდენია აკრძალული სურვილის რეალიზაცია, მაგრამ მიწიერი სიყვარულის ამაღლებული გრძობაც მისთვის უკვე მრუსობად აღიქმება. „გემსა რამეთუ თქუა არა იმრუსო“. მართალია, ასკეტმა ვნება მოთოკა, მაგრამ ღოქტინა მკაცრია; „ხოლო მე გეტუე თქვენ, რამეთუ ყოველი, რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულის თქუმად მას. მუნვე იმრუსა მის თანა გულსა შინა თუისსა“. რომანში „რამეთუ კაცი ვარ“ იდენტური სურათია დანახული. რომანის გმირი პავლე, ილიას განდეგილის მსგავსად, არ ახდენს აკრძალული სურვილის რეალიზაციას. მიუხედავად ამისა, თავისი იდეალის გამარჯვების კი არ ზეიმობს, არამედ „სასწარვეთილებით აღვსილი იცემდა თავში ხელს და კენესიდა: „წარხდა ყოველი ჩემოვის წარხდა“. ასკეტი თავისი სულის მოძრაობას აანალიზებს და თვითვე გამოაქვს დასკვნა: „ღმერთი ხედავს წადილს და არა მოქმედებს“, „რა დღეაზე მე სირონას წინაზე (მწყემსი ქალის მსგავსად, სირონაც გამოქვავულს თავშეუპირებელი უნაწყოლო ქალაი, ნ. გ.) და რა არა, — ეგ სულ ერთია, ამას ვინ იციოთხავს: როცა მე გავიწიე სირონასკენ, მე მაშინ ვეყმე სატანას და ამით თანაზიარი გავუხბი დაუძინებელ შტრს მისას, ვისაც შევმსწირე მე ჩემი სული და სორცი“. ასეთივე განცდა ეუფლება განდეგილს. შედეგაც არ აგვიანებს. მწირს საკუთარი პიროვნება აუქანუდება. გაიღვიძებს მიუყრებელი ორელი მისი: „წაწყდა თუ არა“, „დაგლოდე თუ არ“ ჩაენმის ახარებელი დემონური ხმა. მწირი ვერ გაუძლებს. კარში გავარდება სახეწაწილი, სიკვდილივით გაფითრებული და მზის ამოსვლას მოუთმენლად დაელოდება. მარადიულობასთან ზიარებულ წმინდანს ახლა წუთიც კი უძინებდა. ამოვა მზე, მაგრამ სხივი მოცვანს აღარ დაიურდენს. იქაც კეთილი უკეთუ განემოროს უკეთილესა თუისსა არჩეულსა საგანსა ზეცისასა, გინა ქუეყნისასა და გართულ იქმნას ფიციკურ ვითარებით, დამვიწყებელ იქმნების პირველისა საგნისა“. ასე დემართა განდეგილს, ღვთის მფარ-

ველობა, მაღლი აღარ მოეგვინა მწირს სხვიის სახით. „უკველაზე სამართლიანი სასჯელი ცოდვი-  
რთვის იმაში მდგომარეობს, რომ აღამიანი ჰკარ-  
გავს იმას, რაც არ მოესურვა მას კეთილად გა-  
მოყენებინა თავისთვის... ის, ვინაც არ მოისუ-  
რვა სწორად მოქცეულიყო მაშინ, როცა შეეძ-  
ლო ეს, ჰკარგავს ამ შესაძლებლობას მაშინ, რო-  
ცა უკვე მოისურვებს სწორად მოიქცეს“. მწირს  
სურს აღდგინოს სიწმინდე, მაგრამ აღნიშნული  
სიტყვების მკაცრი სიმაართლე აღსრულდა. სასო-  
წარკვეთილება კულმინაციას აღწევს. წლების  
მდინარებაში რუღუნებით ნაფერებ-ნახათუთე-  
ვი გრძნობა დაიბნება. განდევნილ-  
ერთი-საშინლად შეპატივდა ღმერთსა  
და იქვე სხვი ქვეშ უტევა სული.

### III.

„განდევლის“ ტექსტობრივმა ანალიზმა გვი-  
ჩვენა, რომ პოემის ცენტრალური პერსონაჟი  
არ წარმოადგენს ეგოისტს, მიწანობა მუდამ-  
ნება. განდევნილი ქვეყნისათვის მლოცველი, სუ-  
ლით ამაღლებული, ალტრუსტი პიროვნებაა.  
თუმცა, ავტორისა და მკითხველის დიდი სიმპა-  
თიის მიუხედავად, მისი ყოფის ლოგიკური ფი-  
ნალი განისაზღვრება სიკვდილით. პოემის ფი-  
ნალით თქმული ჩვენ ასე გვესახება:

„განდევლის“ მიხედვით ნაჩვენებია ორი გზა,  
ორივე „გზა ხსენის“. ორივე გზაზე უანგარო  
სვლა, წინაობრივი ცხოვრება საწინდარია ქეშმარი-  
ტი ადგილის დამკვიდრებას აქაც და წესთანა  
ფიქსაციას, ცხადია მეტ-ნაღვლები ხარისხით (ხარ-  
ისხების ამ თვალსაზრისით წარმოსადგენად შე-  
სანიშნავი პარადიგმები შეიძლება დაიძი-  
ნოს დანტეს „ღვთაებრივი კომედიაში“). „გან-  
დევლის“ მიხედვით ერთი გზა არის გზა  
უმრავლესობა, ხოლო მეორე — გზა რჩე-  
ულია. ამ უკანასკნელის ურთულესი, მო-  
წამებობრივი არსი ნაჩვენებია აღნიშნული ორი  
მომენტის შეპირისპირების საშუალებით. საკუ-  
თარი არჩევანის, ძნელად სავალი გზის შეგ-  
ნება წამოაყვანილებს მწირს — გზა ხსენი-  
სა ასეთი მერგო მე უბედურსაო. გან-  
დევლის მსგავსად, ბერისის რომანის ასკეტსაც  
აღიჭრებს და აწინებს რჩეულის ზეადრის. მის  
ერთ-ერთ მონოლოგში პირდაპირ არის გამოვლ-  
ენებული ეს შიში. „რა რიგ ემაღებიან უკვლავ-  
ნი იმ ანგელოზს, რომელიც იწვევს აღამიანს  
საქმიოს და უღებს ოქროს კარებსა სამოთხისას.  
უკვლავნი ჩვენ ვგვართ საულისა, იუდეველს,  
რომელიც მთაღებოდა მაშინ, როცა მოციქულნი  
ეწვივნენ სახელმწიფო გვირგვინის მოსართ-  
მევადა!“ ბიბლიური საულის საქციელი მართლაც  
კლასიკური მაგალითია ამ თვალსაზრისით. ყო-  
ფილი ბოგანო მწყემსი მტანჯველმა შიშმა მოი-  
ცვა მეფედ კურთხევის წინ. „პრეჟა უფალ-

მან სამოცის: ამა ეგერა დამალულ არს  
ჭურსა შორის და მიირბინა სამოელ და  
გამოიყვანა საულ მიერ და წარმოადგინა შორის  
მათს“ ((მეფეთა, 10). ოთხთავის მიხედვით,  
როცა ღვთისმშობელს გამოეცხადება ანგელო-  
ზსა და აუწყებს, რომ იგი გამოჩენილია მესა-  
თა შორის, რადგან უბიწოდ ჩაესახება ღმრთი-  
მარიაშს რჩეულის ბედი შეაშინებს. „გიხარო-  
დენ მიმადლებულო. ხოლო მან რაი იხილა შე-  
ძრწუნდა და განიზრახავდა ვით მე არს მოკითხვა  
ესე?“. თვითონ მაცხოვარიც შეცბა ერთ წამს  
გოლგოთაზე ასვლისას. საშიშა რჩეულის ბედი,  
რადგან „იწორ არს და საჭირველ ბედი, მცი-  
რდენი არიან რომელნი ჰპოვებენ მას“, ილია  
ჭავჭავაძისათვის უცხო არ იყო ასეთი შიში, რა-  
დგან საკუთარი თავის მიმართ მისი ანთროპო-  
ცენტრისტული მიმართება სრულიად ანთლაზრ-  
დულ ასაკში მოხდა („მე ცა მნიშნავს და ერი  
წარდის“). შიში მცირედთა გზაზე სვლისა გამ-  
უღვენდა, როგორც პოეტის ადრეულ ლექსებში,  
ისევე „მგზავრის წერილებში“. „მე შევძლბ  
კი, რომ მას (სამშობლოს — ნ. გ.) ღვიძლი სი-  
ტუვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულსტიკივილი  
მოვურჩინო, დავრღობილი აღვადგინო, უნუ-  
გეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მო-  
ვსწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო“. რჩე-  
ულის მიძიდ ზვედრზე ილია წერდა: „ის გზა,  
(რჩეულთა გზა, ხაზი ჩემია ნ. გ.) გზაა  
საკუთარი თავის გაწირვისა, წამებისა, ნა-  
მეტნავად ჩვენის, საცა უმადურობა და  
კილვა ისე ხშირია, როგორც არსად“. ილია  
თავად იყო XIX საუკუნის საქართველოს  
რჩეული შვილი. ქრისტეს ცხოვრებას პოეტი  
აღამიანის უამბუმყოფობის მაგალითად სახავდა.  
თვითონაც მრავლად გაიღო მსხვერპლი მოყვან-  
თათვის და საბოლოოდ მათი ცხოვრების მსგავსე-  
ბის კონსტრუქციის უკან წაწმინდის  
ტრაგედიაში გაუსვია ხაზი. „უმადურობა  
და კილვა“ კი ჩვენში მართლაც ისე ხშირი იყო,  
როგორც არსად“. ჭერ კიდეც 80-იანი წლების

დამდეგამდე ილიას რწმენის დაღატს, არჩეული  
გზიდან გადაცდენისა და გაორებას უკეთებენ.  
1879 წ. გაზეთ დროებაში (№94) ვკითხულობთ  
„დაბა, მე მოგახსენეთ ზემოთ, რომ ჩვენი მო-  
წინავე კაცი იმისთანა მოქნილი და გაწვრითი-  
ლი ორფეხი ქმნილებაა, რომელსაც შეუღლიან  
თავისი ნაფურთხის მეროტად და მისამეთ აღო-  
კა“. რაოდენ მტკივნეულიც უნდა იყოს, ფაქ-  
ტია, ეს სიტყვები ილია ჭავჭავაძის მიხამართით  
იწერებოდა, ამასთან ნუ დაივიწყებთ, იწერე-  
ბოდა „ეროვნული“ პოლიციიდან. ამგვარი იყო  
„უმადურობა“ და „კილვა“ ჩვენში. ამგვარი იყო

ნოდარ ბრძანალაშვილი  
ზნა ხსენისა



ჩვედრი რჩეულთა. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შემთხვევითად არ მიგვანჩნია, რომ „განდეგილი“, რომელშიც პიროვნების იდეალისადმი დამოკიდებულების, არჩეული მიზნისადმი ერთგულების მძაფრი პრობლემაა ჩაფენილი, სწორედ 80-იანი წლების დასაწყისში (1888 წ.) დაიწერა.

სოემის ამგვარად გაგებული პრობლემატიკა, ჩემის აზრით, ყველაზე მეტ ნათესაობას ასკეტურ-მონაწილური სიუჟეტების მქონე ევროპულ რომანებთან კი არა, ვეფა-ფშაველას „გველის მკამელთან“ ამჟღავნებს, რომელიც უფრო მოგვიანებით დაიწერა (შედარება ედება მათ მიზანდასახულობის თვალსაზრისით, მხოლოდ და მხოლოდ). განდეგილიცა და მინდიაც ორივე ღვთის რჩეულია. (განდეგილი იმ მყინვარებში

სახლობს, ხადაც „არდილის“ მიხედვით საქართველოს ბედის თანამდევი ერის უკვდავი სულია დამკვიდრებული). ერთი ამას აღწევს ასკეტური ცხოვრებით, ხოლო მეორე მკაცრად წყალობით. ორივე გმირს უპირისპირდება ბოროტი, არამედ ჩვეულებრივი, ამქვეყნიური ყოფა, მრავალთათვის სავალდებულო გზა. ისინი მარცხდებიან. განდეგილი კარგავს ღვთაებასთან ზიარების უნარს. ასევე, მინდიაც ვეღარ „ლაპარაკობს“ ღმერთთან. ილიასაგან განყენებული თემის აღება, ხოლო ვაჟას შიერ პრეტორიის მითის წარმოდგენა არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი. მათი გმირების ტრაგედია, როგორც ეს განდეგილიან დაკავშირებით შესანიშნავად წარმოაჩინა აკაკი ზაქარაძემ, რწმენის ტრაგედიაა.

## ნოტა რამ „ნისპრის“ შესახებ სპეციალურად

ნინო ხოშბერა დაიბადა 1952 წელს ქ. მახარაძეში. 1974 წელს დაამთავრა თსუ შურნა. ლისტიკის ფაკულტეტი. ამჟამად მუშაობს გლეხონის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლად.

„ცისკარში“ იბეჭდება პირველად.

ნოდარ ბრიგალაშვილი დაიბადა 1958 წელს ბორჯომის რაიონის სოფ. ყვიბისში. 1980 წელს დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამჟამად მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი ლექსები და წერილები 1977 წლიდან ქვეყნდება რესპუბლიკურ შურნალ-გაზეთებში.

„ცისკარში“ იბეჭდება პირველად.

ჩვენის მისამართი: თბილისი, 880007, დალიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 90-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-82, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-80, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 3. 01. 84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. 02. 84 წ., ქალაქის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. საალრ.-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 3. უე 07853. ტირაჟი 58.500

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.  
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



3360 60 333.

23828



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И  
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ  
ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ